ლია წულაძე

სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები

სოციოლოგიური კვლევის
თვისებრივი მეთოდები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია წულაძე

სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მოცემული სახელმძღვანელო სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდებს ეძღვნება და გათვლილია მათზე, ვისაც თვისებრივი მეთოდების საბაზისო ცოდნა აქვს, განსაკუთრებით, მაგისტრატურის სტუდენტებზე. სახელმძღვანელო 10 თავისგან შედგება, რომელთაგან პირველი ორი ემპირიული კვლევისთვის ამზადებს სტუდენტს, შემდეგი ოთხი თავი მონაცემების მოპოვების სხვადასხვა მეთოდს განიხილავს, მომდევნო სამი თავი – მონაცემების ანალიზის ტექნიკას და ბოლო თავი – მონაცემების პრეზენტაციას. იმ თავებს, რომლის შესაბამის საკითხებზეც სტუდენტები ემპირიულ დავალებებს ასრულებენ, სტუდენტების ნიმუშები ახლავს. სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი ავტორის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება – როგორც ემპირიული კვლევების განხორციელების, ისე სტუდენტების სწავლების კუთხით.

სამეცნიერო ნინო ჯავახიშვილი, ფსიქოლოგიის პროფესორი,
რედაქტორი დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ISBN 978-9941-13-930-7 (pdf)

შინაარსი

წინასიტყვაობა 9

თავი 1. თვისებრივი კვლევა სოციოლოგიაში: მეთოდოლოგიური საფუძვლები და განვითარების ისტორია 13
თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები 13
თვისებრივი კვლევის განვითარების ისტორია 20
თვისებრივი კვლევის მეთოდების ზოგადი დახასიათება 25
გამოყენებული ლიტერატურა 30

თავი 2. თვისებრივი კვლევის დიზაინი, შერჩევა და ეთიკის საკითხები 32
თვისებრივი კვლევის დიზაინი 32
კვლევის დიზაინის სტრუქტურა 34
კვლევის მიზნის, ამოცანებისა და ჰიპოთეზის ფორმულირების ნიმუში 41
ცნებების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია 43
შერჩევა 46
კვლევის სანდოობა და ვალიდობა 56
კვლევის ეთიკის საკითხები 59
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 64
გამოყენებული ლიტერატურა 71

თავი 3. სიღრმისეული ინტერვიუ 73
„ემპათიური ინტერვიუ“ 73
სიღრმისეული ინტერვიუს ტიპები 76
ინტერვიუს გზამკვლევი: შრომითი მიგრაციის თავისებურებების კვლევა 83
გზამკვლევის შეკითხვების თანმიმდევრობა და შინაარსი 87
ინტერვიუერის როლი 92
ინტერვიუს მიღმა არსებული რეალობის წვდომა 95
სიღრმისეული ინტერვიუს მონაცემების ანალიზი 100
ტრანსკრიპტების მომზადება და მონაცემების კოდირება 100

მონაცემების კატეგორიზაცია 106
ლოკალური ინტეგრაცია 107
ინკლუზიური ინტეგრაცია 108
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 110
გამოყენებული ლიტერატურა 112

თავი 4. ფოკუსჯგუფი 115
ფოკუსჯგუფის არსი 115
ფოკუსჯგუფის ძლიერი და სუსტი მხარეები 117
ჯგუფური დინამიკა და მოდერატორის როლი 119
სადისკუსიო გეგმა 125
ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზი: კონტენტანალიზი
და ეთნოგრაფიული ანალიზი 131
ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზის ნიმუში:
მიგრანტების გამოცდილება დისკრიმინაციასთან
დაკავშირებით 143
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 146
გამოყენებული ლიტერატურა 148

თავი 5. ეთნოგრაფიული კვლევა 150
ეთნოგრაფიული კვლევის არსი 150
ეთნოგრაფიული კვლევის განვითარების ისტორია 154
„ცნობისმოყვარე“ დაკვირვება 157
„ხილული“ თუ „უხილავი“ დამკვირვებელი? 160
საველე კვლევა 165
საველე ჩანაწერები 169
ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი 175
ეთნოგრაფიული კვლევა, როგორც „კულტურის
ინტიმურობის“ წვდომის ინსტრუმენტი 180
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 184
გამოყენებული ლიტერატურა 192

თავი 6. ქმედების კვლევა 194
ტერმინის განმარტება 194
ქმედების კვლევის ტიპები 196
ქმედების კვლევის დიზაინი 199
ქმედების კვლევის მეთოდები 203
ქმედების კვლევის ძირითადი პრინციპები 205
ქმედების მკვლევრის და მონაწილეთა როლები 206

ქმედების კვლევის ეთიკური სტანდარტები 209
ქმედების კვლევის ნიმუშები 210
სავარჯიშო 214
გამოყენებული ლიტერატურა 214

თავი 7. თვისებრივი კონტენტანალიზი 216
კონტენტანალიზი, როგორც ტექსტის ანალიზის ტექნიკა 216
ნარატიული ანალიზი და არანარატიული კონტენტანალიზი 220
ამბები და თვალსაზრისები 226
კონტენტანალიზის დიზაინი 229
ტექსტური მასალის ანალიზი 231
ტექსტის ჟანრი და ენა 231
ავტორი და მკითხველი 231
ანალიზის ერთეულები 232
კოდირება 234
ანალიტიკური ინდუქცია და დედუქცია 237
ინტერტექსტურობა 239
ტექსტური ანალიზის სანდოობა და ვალიდობა 240
კომპიუტერული პროგრამები კონტენტანალიზისთვის 243
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 245
გამოყენებული ლიტერატურა 248

თავი 8. დისკურსის ანალიზი 250
დისკურსი, როგორც „ენა ქმედებაში“ 250
ძირითადი მიდგომები დისკურსის ანალიზისადმი 252
ინტერაქციულ-სოციოლოგიური მიდგომა 252
ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური მიდგომა 258
ტექსტი და ტექსტურობა 262
დისკურსის კრიტიკული ანალიზი 266
დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიმართულებები 267
ფუკოსეული დისკურსის ანალიზი 267
ფემინისტური პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის ანალიზი 270
დისკურსის ანალიზისადმი ცოდნის სოციოლოგიის მიდგომა 273
ნორმან ფერკლოუს ტრანსდისციპლინური მიდგომა 275

რუთ ვოდაკის დისკურსულ-ისტორიული მიდგომა 278
თოინ ვან დიკის სოციოპოლიტიკური
დისკურსული ანალიზი 280
დისკურსის კრიტიკული ანალიზი პრაქტიკაში:
ნორმან ფერკლოუს სამგანზომილებიანი მოდელი 285
დისკურსების კლასიფიცირება: დასავლური
წარმოსახვა და აღმოსავლეთ ევროპელთა
თავდაცვითი სტრატეგიები 291
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 296
გამოყენებული ლიტერატურა 306

თავი 9. ვიზუალური ანალიზი 309
ვიზუალური სოციოლოგიის საგანი 309
ვიზუალური სოციოლოგიის სათავეებთან:
ქალაქის იერსახე და მისი ტრანსფორმაცია
ვიზუალური სოციოლოგიის პრიზმით 314
ვიზუალური ხატები, როგორც იდენტობის
ფორმირების ინსტრუმენტი 321
ვიზუალური სოციალური კვლევის კონცეპტუალური
ჩარჩო 326
ვიზუალური მონაცემების ანალიზი: კონტენტანალიზი
და ინტერპრეტაციული ანალიზი 331
ვირტუალური სივრცის ვიზუალური ანალიზი 335
ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი 338
გამოყენებული ლიტერატურა 354

თავი 10. თვისებრივი კვლევის ანგარიში 356
კვლევის ანგარიში: საწყისი რეფლექსია 356
კვლევის ანგარიშის სტრუქტურა 358
სათაური 359
ანოტაცია 359
შესავალი 361
ლიტერატურის მიმოხილვა 365
კვლევის მეთოდი 369
კვლევის შედეგები 372
დასკვნა 378
პლაგიატის თავიდან არიდება 383
გამოყენებული ლიტერატურა 386

წინასიტყვაობა

„სოციოლოგია პასუხია. მაგრამ შეკითხვა რა იყო?“
ულრიხ ბეკი

მოცემული სახელმძღვანელო სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდებს ეძღვნება. 10 წლის წინ, როცა რაოდენობრივი მეთოდების სახელმძღვანელოზე ვმუშაობდი, თვისებრივი მეთოდების სახელმძღვანელოს შექმნასაც ვგეგმავდი, თუმცა მაშინ ეს საკმაოდ რთულ ამოცანად მომეჩვენა. რთულად იმიტომ, რომ თვისებრივი მეთოდები ბევრად მრავალფეროვანია და ძალიან იშვიათია, მკვლევარს თითოეულთან პრაქტიკული შეხება ჰქონდეს. რადგან ვგრძნობდი, რომ სათანადო ემპირიული გამოცდილება მაკლდა, თვისებრივი კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოზე მუშაობა სამომავლოდ გადავდე და მხოლოდ 10 წლის შემდეგ გავბედე მისი შექმნა. ამ ხნის განმავლობაში, არა ერთ კვლევით პროექტში, სხვადასხვა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების საკმაო გამოცდილება დამიგროვდა. გარდა ამისა, თვისებრივი მეთოდების არაერთ სახელმძღვანელოს გავეცანი და ერთი თვალსაჩინო ტენდენცია შევნიშნე: მათი უმრავლესობა მონაცემების მოპოვების მეთოდებზე ამახვილებს ყურადღებას და ნაკლებად – ანალიზის მეთოდებზე; განსაკუთრებით თვალშისაცემია პრაქტიკული მაგალითების ნაკლებობა. ამიტომაც მოცემულ სახელმძღვანელოში თითოეული თავის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მონაცემების ანალიზს ეძღვნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტების ნიმუშების განხილვა, რომელთაც შესაბამისი შეკითხვები ახლავს და ახალბედა მკვლევრებს აღნიშნულ საკითხებზე რეფლექსიაში უნდა დაეხმაროს.

სახელმძღვანელო გათვლილია მათზე, ვისაც თვისებრივი მეთოდების საბაზისო ცოდნა აქვს, განსაკუთრებით, მაგისტრატურის სტუდენტებზე. სახელმძღვანელო 10 თავისგან შედგება, რომელთაგან პირველი ორი ემპირიული კვლევისთვის ამზადებს სტუდენტს, შემდეგი ოთხი თავი მონაცემების მოპოვების სხვადასხვა მეთოდს განიხილავს, მომდევნო სამი თავი – მონაცემების ანალიზის ტექნიკას და ბოლო თავი – მონაცემების პრეზენტაციას. იმ თავებს, რომლის შესაბამის საკითხებზეც სტუდენტები ემპირიულ დავალებებს ასრულებენ, სტუდენტების ნიმუშები ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიმუშები საკმაოდ გამართულია, თანმხლებ კითხვებზე პასუხის გაცემა მკითხველს არსებული ხარვეზების დანახვასა და გამოსწორებაში ეხმარება. ამასთან, თითოეული თავის (და არა სახელმძღვანელოს) ბოლოს ბიბლიოგრაფიის მითითების მიზანია, დაინტერესების შემთხვევაში, მკითხველს კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიება გაუმარტივოს.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი ჩემს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება – როგორც ემპირიული კვლევების განხორციელების, ისე სტუდენტების სწავლების კუთხით. ამ ხნის განმავლობაში, სტუდენტები, ერთი მხრივ, ჩემს სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომელთაც მოცემული მეთოდების გამოყენებით ემპირიულ დავალებებს ვაძლევდი; მეორე მხრივ კი, ჩემს მთავარ აუდიტორიას ქმნიდნენ, რომელთაც საკუთარი ემპირიული კვლევების შედეგებს ვუზიარებდი და მათ რეფლექსიას ვეცნობოდი, რასაც, თავის მხრივ, სამომავლო კვლევების განხორციელებისას ვითვალისწინებდი. ამდენად, მოცემული სახელმძღვანელო დიალოგური ხასიათისაა – ლექტორსა და სტუდენტებს, მკვლევარსა და მომავალ მკვლევრებს შორის მუდმივი კითხვა-პასუხის შედეგია. სწორედ მისი მეშვეობით ვცდილობ, პასუხი გავცე შეკითხვას, რომელიც ყველა სოციოლოგისთვის საკვანძოა: რა გზით არის შესაძლებელი სოციალურად კონსტრუირებული რეალობის შემეცნება?

* განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სტუ-
დენტებს, ვისი ნაშრომებიც მოცემულ სახელმძღვანელოში ნი-
მუშების სახით არის წარმოდგენილი. მათ გვარებს ანბანური
თანმიმდევრობით ვუთითებ:
მარიამ ამაშუკელი
სოფიკო ბეგაშვილი
ლანა დავითულიანი
თამარ თაბაგარი
სალომე კალაძე
ქეთი სოლოშვილი
ნინო წულაია
თინათინ ხაბეიშვილი

თავი 1

თვისებრივი კვლევა სოციოლოგიაში: მეთოდოლოგიური საფუძვლები და განვითარების ისტორია

„ნებისმიერ კვლევას, საბოლოო ჯამში, თვისებრივი საფუძველი აქვს “.
დონალდ კემპბელი

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ემპირიული კვლევის არსის გასაგებად, თვისებრივი იქნება ის თუ რაოდენობრივი, აუცილებელია მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების ცოდნა, რაც შესაბამის პარადიგმებს ეფუძნება. *კვლევის პარადიგმის* წვდომა კი სამ ფუნდამენტურ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს: 1. *ონტოლოგიური შეკითხვა:* როგორია რეალობის ბუნება და, შესაბამისად, რისი გაგება შეიძლება მის შესახებ? 2. *ეპისტემოლოგიური შეკითხვა:* რა მიმართებაში იმყოფებიან მკვლევარი და საკვლევი ობიექტი? 3. *მეთოდოლოგიური შეკითხვა:* რა გზით უნდა აღმოაჩინოს მკვლევარმა ის, რის გაგებასაც ცდილობს? ცხადია, რომ სამივე შეკითხვა ურთიერთდაკავშირებულია და, მთლიანობაში, ემპირიული კვლევის ბუნებას განსაზღვრავს (Guba, Lincoln, 1994, 108). მოცემულ ქვეთავში შევეცდები, ამ სამ ფუნდამენტურ შეკითხვას გავცე პასუხი თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომების შედარების საფუძველზე; საბოლოო ჯამში კი, თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები წარმოვაჩინო.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ემპირიული სოციოლოგიის განვითარება სწორედ კვლევის თვისებრივი მეთოდების განვითარებით იწყება, როცა ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის

წარმომადგენლებმა პირველად დატოვეს საუნივერსიტეტო სივრცე და გარეთ გავიდნენ საველე სამუშაოების ჩასატარებლად. მას შემდეგ, თითქმის, ერთი საუკუნე გავიდა და თვისებრივი კვლევა ახალი მეთოდებით და მიდგომებით გამდიდრდა. რა ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება თვისებრივი კვლევა და მისი საფუძველმდებარე პარადიგმა?

რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, რომელიც პოზიტივისტურ პარადიგმას ეფუძნება, თვისებრივი კვლევა კონსტრუქტივისტულ პარადიგმაზეა დაფუძნებული, ანუ თვისებრივი მკვლევარი საკვლევ რეალობას ობიექტურ მოცემულობად კი არ აღიქვამს, არამედ სოციალურად კონსტრუირებულად. ის, რასაც რაოდენობრივი მკვლევრები ობიექტურ რეალობას უწოდებენ, თვისებრივი მკვლევრების მიერ ინტერსუბიექტურ რეალობადაა სახელდებული, სწორედ იმიტომ, რომ ის ინდივიდების, სუბიექტების მიერაა გაზიარებული. თითოეული ინდივიდი სამყაროს მისი სუბიექტური პრიზმიდან ხედავს და რაც უფრო თანხმობაშია ეს სუბიექტური ხედვები, მით მეტად მიდრეკილია ადამიანი, რეალობას ობიექტურის სახელი დაარქვას; თუმცა, თვისებრივი მკვლევრისთვის ის ინტერსუბიექტურია.

ამგვარად, სოციალური რეალობის კონსტრუირება ინტერსუბიექტური პროცესია, რომელიც დროსა და კონტექსტზეა დამოკიდებული. გამოდის, რომ კონკრეტული დრო და კონტექსტი არის მიზეზი იმისა, რომ სოციალურ რეალობას სწორედ ამგვარად აღვიქვამთ. როცა ვინმეს ნარატივს ვაანალიზებთ, იქნება ეს კაცი თუ ქალი, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი ადამიანი, რიგითი მოქალაქე თუ პოლიტიკოსი, ეთნიკური უმრავლესობის თუ უმცირესობის წარმომადგენელი და ა.შ., პირველ რიგში, სწორედ იმაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როდის და რა ვითარებაში გვთავაზობს რესპონდენტი მოცემულ ნარატივს, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ, თუ რა უბიძგებს მას, თქვას ის, რასაც ამბობს და სწორედ იმ ფორმით, რა ფორმითაც ამბობს. ამასთან, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა

მიმართებაა მთხრობელსა და მკვლევარს შორის, რადგან სწორედ მათი ინტერაქციის პროცესში ხდება ამგვარი რეალობის კონსტრუირება. ირვინ გოფმანს რომ დავესესხოთ, ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, საკუთარი ქმედება იმ „ჩარჩოს“ მოარგოს, რომელიც მოცემულ კონტექსტს შეესაბამება და ამ მორგებით, სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს აუდიტორიაზე. თუკი, შემთხვევით, მისი ქმედება „ჩარჩოდან ამოვარდება“, აქტორი ცდილობს, კვლავ „ჩარჩოს დაუბრუნდეს“, თან იმგვარად, რომ აუდიტორიამ ეს ვერ შეამჩნიოს (Goffman, 1956). მკვლევარსა და საკვლევ სუბიექტ(ებ)ს შორის ინტერაქცია სწორედ ამგვარ „ჩარჩოში“ ხორციელდება და სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად, ორივე მხარემ სათანადოდ უნდა შეასრულოს საკუთარი „როლი“. საკვლევი სუბიექტ(ებ)ის მიერ როლის მორგების მოტივაციას და სპეციფიკას რომ სწვდეს, მკვლევარმა ინტერაქციის პროცესს მათი პერსპექტივიდან უნდა შეხედოს. შედეგად, თვისებრივი კვლევისას წამყვანია ემიკური მიდგომა, ანუ რეალობის ხედვა შიდა აქტორის თვალსაწიერიდან, განსხვავებით რაოდენობრივი კვლევისგან, რომელშიც ეტიკური მიდგომაა დომინანტური, ანუ რეალობის ხედვა გარე აქტორის თვალსაწიერიდან. რაოდენობრივი კვლევისას მკვლევარი, გარკვეულწილად, დისტანცირებულია საკვლევი ობიექტისგან, რომლის შესასწავლად ის სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებს, როგორიცაა, მაგალითად, კითხვარი. რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, თვისებრივი კვლევისას, შეიძლება ითქვას, მკვლევარი თავადვე წარმოადგენს მონაცემების მოპოვების „ინსტრუმენტს“ და რადგან ეს „ინსტრუმენტი“ კვლევის პროცესში თანდათანობით იხვეწება, ამიტომ მეტად მოქნილიცაა, ვიდრე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი. სწორედ ამგვარი პოზიცია აძლევს საშუალებას თვისებრივ მკვლევარს, მოვლენებს შიდა აქტორის თვალსაწიერიდან შეხედოს.

ამგვარად, ემიკური მიდგომისას, მკვლევარი ცდილობს, იმ საზრისს სწვდეს, რასაც თავად მონაწილენი მათ ქმედებაში დე-

ბენ. მკვლევრის, როგორც სოციალური აქტორის, ემპათიური პოზიცია ნამდვილად იძლევა ამის შესაძლებლობას, რადგან ისიც სამყაროს მეტნაკლებად იდენტურ ინტერპრეტაციას ახდენს. ისიც ხომ მოცემული საზოგადოებისა და კულტურის ნაწილია, ამიტომ სოციალური ფაქტებისა და მოვლენების ამ საზოგადოების წევრების თვალით დანახვა შეუძლია. მაშინაც კი, როცა ის უცხო საზოგადოებასა და კულტურას სწავლობს, ემპათიური ხედვა უნდა განავითაროს, ანუ სცადოს, სოციალური რეალობა ამ კულტურის წარმომადგენელთა თვალით დაინახოს. ამ შემთხვევაში, სოციალური მკვლევრის პოზიცია ძალიან ახლოსაა ა. შუტცის „უცხოს“ (1944) პოზიციასთან. შუტცი აღწერს, თუ მიგრანტის უცხო საზოგადოებაში ჩასვლიდან რამდენიმე კვირისა თუ თვის შემდეგ, ამ საზოგადოების შესახებ მისი წინასწარი ცოდნა და წარმოდგენები როგორ იწყებს რღვევას, ხოლო ის, რაც ადრე არ იცოდა ან ყურადღების მიღმა რჩებოდა, როგორ იძენს საზრისს. ამ პროცესის წარმატებით გავლა აუცილებელია „უცხოს“ (ამ შემთხვევაში, მიგრანტის) გადარჩენისთვის ახალ გარემოში. თანდათანობით ხვდება რა, თუ როგორ ჩაერთოს ახალ საზოგადოებაში, უცხო „შიდა“ ცოდნას იძენს, რაც მის ხელთ არსებულ „გარე“ ცოდნას ავსებს და ამგვარი კომბინაციის შედეგად, უნიკალურ გამოცდილებას სძენს. შუტცის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი დუალისტური პოზიციის წყალობით, უცხო იმგვარ „ობიექტურობას“ ინარჩუნებს, რაც ადგილობრივი კულტურის წევრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. მათთვის ადგილობრივი კულტურა თავისთავადი მოცემულობაა და ხშირად არც კი აქვთ გაცნობიერებული, თუ რას ეფუძნება მათი ხედვა და ქმედება. სოციალურ მკვლევარს კი, რომელიც თანდათანობით შედის ახალ რეალობაში და მის სამოქმედო პრინციპებს კვლევის პროცესში სწავლობს, სწორედ ამგვარი ხედვის და ქმედების სპეციფიკის გამოვლენა და მასზე რეფლექსია ევალება. გამოდის, რომ მკვლევარი გარე აქტორია, რომელიც შიდა აქტორის თვალით დანახულ რეალობას უნდა სწვდეს

და სხვებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადოს. თუმცა, „უცხოს“ გამოცდილება მხოლოდ მაშინ არ არის გამოსადეგი, როცა მკვლევარი სხვა საზოგადოებას სწავლობს, არამედ მისივე საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფის შესწავლაშიც ეხმარება. მკვლევრები აღიარებენ, რომ ნებისმიერი საზოგადოება, განსაკუთრებით თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებები, შრომის განაწილების კომპლექსური სისტემით, ეთნიკური მრავალფეროვნებით, არაერთგვაროვანი ცხოვრების სტილითა და უამრავი სუბკულტურით, კულტურული ცოდნის მრავალრიცხოვანი შრეებისგან შედგება და სოციალური მკვლევრის მიზანია, ამ მრავალფეროვნების სიღრმისეული აღწერა და მისი საზრისის წვდომა (Hammersley, Atkinson, 2007, 9). მაშინაც კი, როცა საკუთარ საზოგადოებას სწავლობს, მკვლევარმა მას უნდა შეხედოს, როგორც „სოციოლოგიურად უცხოს“ (ზემოხსენებული ავტორები ტერმინ „ანთროპოლოგიურად უცხოს“ იყენებენ (იქვე, 9)) და სცადოს, თვალსაჩინო გახადოს ის საფუძველმდებარე მნიშვნელობები, რომელიც თავადაც კი, როგორც ამ კულტურის წარმომადგენელს, გაუცნობიერებლად ეძლევა. სწორედ ამ გზით ხდება კულტურა სოციალური კვლევის საგანი.

აღნიშნული მიდგომის გამოყენებისას, მკვლევარი შემდეგ შეკითხვებს სვამს:

- კულტურის წევრების მიერ გაზიარებული რა ცოდნა უნდა აღმოაჩინოს მკვლევარმა?
- რა ცნებებით აღწერენ კულტურის წევრები საკუთარ გამოცდილებას და თავად როგორ განმარტავენ ამ ცნებებს?
- როგორ უნდა აღიწეროს კულტურის წევრების გამოცდილება სამეცნიერო ენით, რათა კოლეგებისთვის გასაგები გახდეს? (Spreadley, 1979).

ზემოხსენებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად, მკვლევრის მიზანი არ არის სამიზნე ჯგუფის კვლევით მიღებული მონაცემების ფართო პოპულაციაზე განზოგადება, რასაც რაოდენობრივ კვლევაში აქვს ადგილი. თვისებრივ კვლევაში

მკვლევრის მიზანია მონაცემების კონტექსტუალიზაცია და ცალკეული ტენდენციების გამოვლენა იმგვარი ინტერპრეტაციის მიზნით, რასაც კლიფორდ გირცი „გაჯერებულ აღწერას“ (“Thick Description”) უწოდებს (ქართველი ანთროპოლოგები ტერმინ „მჭიდრო აღწერილობას“ იყენებენ). გირცის თანახმად, რასაც ჩვენს ემპირიულ მონაცემებს ვუწოდებთ, სინამდვილეში, ჩვენი წარმოდგენებია სხვა ადამიანების წარმოდგენებსა და ქმედებებზე, ანუ ჩვენს მიერ სოციალურად კონსტრუირებული რეალობაა. ეს წარმოდგენები კონკრეტულ კონტექსტში გვეძლევა და მხოლოდ მის ფარგლებშია შესაძლებელი მათი ინტერპრეტაცია – იმიტომ არა, რომ მათი განზოგადება შეუძლებელია (განზოგადების გარეშე ხომ თეორიის ფორმულირებაც შეუძლებელია), არამედ იმიტომ, რომ სოციალური კონტექსტიდან მოწყვეტით ისინი შინაარსისგან იცლება. აქედან გამომდინარე, თვისებრივ კვლევაში თეორიის შექმნის მთავარი მიზანია არა აბსტრაქტული კანონზომიერებების დადგენა, არამედ საკვლევი საკითხის „გაჯერებული აღწერა“, არა შემთხვევებს შორის, არამედ შემთხვევებს შიგნით განზოგადება (Geertz, 1973, 25-26). ეს ხედვა ძალიან ახლოსაა მე-18 საუკუნის ფილოსოფოსის, ვიკოს მოსაზრებასთან „პოეტური სიბრძნის“ (“Poetic Wisdom”) შესახებ, რაც გულისხმობს იმის ცოდნას, თუ რა გამოცდილება უდევს საფუძვლად ჩვენს მიერ სამყაროს ამგვარ ხედვას და როგორ მოვახდინოთ ამ ცოდნის სათანადოდ ორგანიზება და გადმოცემა. ვიკოს (მოგვიანებით კი, ფრანგი სოციოლოგის, პიერ ბურდიეს) აზრით, ეს სიბრძნე ხშირად იკარგება ინტელექტუალური ცხოვრების აბსტრაქტულ ცნებებში და როცა მეცნიერები ივიწყებენ იმ სოციალურ და კულტურულ მეტაფორებს, საიდანაც მათი აბსტრაქტული იდეები იღებს სათავეს, ისინი იმ გამოცდილებასაც ივიწყებენ, რასაც მათი ცოდნა ეფუძნება (Fernandez, Herzfeld, 1998, 92). ამდენად, ზემოხსენებულ ავტორთა თანახმად, აბსტრაქტული სამეცნიერო ცნებები აზრს კარგავს მათი საფუძველმდებარე სოციოკულტურული მეტაფორების გათვალისწინების გარეშე.

ალბათ, სწორედ ამიტომ აღნიშნავს დონალდ კემპბელი, რომ „ნებისმიერ კვლევას, საბოლოო ჯამში, თვისებრივი საფუძველი აქვს“.

ამგვარად, თვისებრივი კვლევის ძირითადი მახასიათებლები რომ შევაჯამოთ, იგი კონსტრუქტივისტულ პარადიგმას ეფუძნება და რეალობის ინტერსუბიექტურ ბუნებას აღიარებს, დროსა და კონტექსტზე მორგებულია, ორიენტირებულია არა მონაცემების ფართო საზოგადოებაზე განვრცობაზე, არამედ კონკრეტულ ჯგუფებს შიგნით არსებული ტენდენციების გამოვლენაზე, თავისი არსით ემიკურია და მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის „გაჯერებულ აღწერას“. სწორედ ჩამოთვლილი ნიშნები განაპირობებს თვისებრივი კვლევის მეთოდების მეტ მოქნილობას და ნაკლებ სიხისტეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებთან შედარებით, კონკრეტულ დეტალებზე და არა ზოგად აბსტრაქციებზე ყურადღების გამახვილებას, შესაბამისად, თვისებრივი კვლევის მეტად შემოქმედებით და სიღრმისეულ ბუნებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებობს რამდენიმე „ინტელექტუალური მიზანი“, რომლის მისაღწევად თვისებრივი კვლევის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია: 1. *საზრისის წვდომა,* რომელსაც კვლევაში მონაწილე ინდივიდები საკუთარ გამოცდილებებს და ქმედებებს მიაწერენ. როგორც აღინიშნა, თვისებრივი კვლევისას მხოლოდ კონკრეტული მოვლენები და ქმედებები კი არ გვაინტერესებს, არამედ, პირველ რიგში, თავად მონაწილეებს როგორ ესმით ეს ქმედებები და რა მნიშვნელობას ანიჭებენ მათ. საზრისზე მსგავსი ფოკუსი იმ ხედვის საფუძველია, რასაც მონაცემებისადმი „ინტერპრეტაციულ“ მიდგომას უწოდებენ (Geertz, 1973); 2. *კონტექსტის* ანუ იმ „ბუნებრივი“ გარემოს *წვდომა,* რომელშიც კვლევის მონაწილენი იმყოფებიან და ამ კონტექსტის გავლენა მათ ქმედებებზე. სწორედ ეს მახასიათებელი განაპირობებს თვისებრივი კვლევის „ნატურალისტურ“ ბუნებას (Guba, Lincoln, 1994); 3. იმ *საფუძველმდებარე პროცესების გაგება,* რომლებიც გარკვეულ მოვლენებსა და ქმედე-

ბებს უბიძგებს, ანუ, შეიძლება ითქვას, „საზრისის მიღმა საზრისის“ ძიება, რასაც „გაჯერებული აღწერა“ ემსახურება; 4. საზრისის ძიების ამ უწყვეტი პროცესის შედეგად, მოულოდნელი ფენომენების აღმოჩენა და მათ შესახებ ახალი, *ემპირიაზე დაფუძნებული თეორიების* (“Grounded Theory”) შექმნა (Glaser, Strauss, 1967; Bryant, Charmaz, 2007); 5. *კაუზალური ახსნის შემუშავება.* ტრადიციული შეხედულება, რომ თვისებრივი კვლევა კაუზალურ კავშირებს ვერ გამოავლენს, კაუზალობის ცნების მოძველებულ გაგებას ეფუძნება. დღეს, არა მხოლოდ თვისებრივი, არამედ რაოდენობრივი მკვლევრებიც აღიარებენ თვისებრივი მეთოდების გამოყენების ლეგიტიმურობას კაუზალური ახსნის შესამუშავებლად. ამგვარი მიდგომა კაუზალობის განახლებულ ხედვას ითხოვს, კერძოდ, კაუზალობის განხილვას პროცესების და მექანიზმების სახით და არა ცვლადებს შორის არსებული კანონზომიერებების გამოვლენის სახით (Maxwell, 2009, 221).

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და ძირითადი მახასიათებლების განხილვის შემდეგ, მოკლედ შევეხებით სოციოლოგიაში მისი განვითარების ისტორიას.

თვისებრივი კვლევის განვითარების ისტორია

როგორც უკვე აღინიშნა, თვისებრივი კვლევების განვითარება სოციოლოგიაში ჩიკაგოს სკოლის სახელთანაა დაკავშირებული. როცა 1892 წელს აშშ-ში ჩიკაგოს უნივერსიტეტი დაფუძნდა, მის წიაღში შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით პირველი სოციოლოგიის დეპარტამენტი. სწორედ ამ დეპარტამენტმა ჩაუყარა საფუძველი პირველ სოციოლოგიურ კვლევებს ოჯახის, შრომის, სიღარიბის, რასობრივი და ეთნიკური ურთიერთობების, აგრეთვე მიგრაციის და დანაშაულის საკითხებზე (Bulmer, 1984).

უბრანულ გარემოში მიგრანტთა ცხოვრების შესწავლამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, რადგან 1920-იანი წლების ჩიკაგოში, სამხრეთ იტალიიდან ჩამოსული მიგრანტების დიდი

ნაკადის წყალობით, იტალიელები ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს ქმნიდნენ და ამერიკულ რეალობაში სამხრეთიტალიური კრიმინალური ტრადიციები გადმოჰქონდათ. ამ პერიოდისთვის ჩიკაგოში 200-ზე მეტი იტალიური ბანდა იყო აღრიცხული. ჩიკაგოს მერიის თანამშრომლებმა, რომელთაც ამ პრობლემის აღმოფხვრა ვერ მოახერხეს, საბოლოოდ, ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგებს მიმართეს დახმარებისთვის, რათა აღნიშნული ბანდები მათ ბუნებრივ გარემოში ეკვლიათ და ქალაქის მერიისთვის შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად პრაქტიკული რჩევები მიეცათ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სოციოლოგებმა კვლევის ჩასატარებლად შენობა დატოვეს და ე.წ. „სავარძლის“ სოციოლოგებიდან ემპირიკოსებად იქცნენ. მათ კვლევებთან არის დაკავშირებული სოციოლოგიური ეთნოგრაფიის განვითარება, რომელიც ანთროპოლოგებისთვის ჩვეული ეთნოგრაფიული კვლევისგან განსხვავებით, მეთოდოლოგიური *ტრიანგულაციით* (ერთი კვლევის ფარგლებში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით) გამოირჩეოდა. იმ პერიოდის ანთროპოლოგები ხომ არადასავლურ, ტრადიციულ საზოგადოებებს იკვლევდნენ, რომელთა ენაც ადგილზე უნდა ესწავლათ და სანამ ეს მოხდებოდა, მათთვის კვლევის ძირითადი მეთოდი ჩართული დაკვირვება იყო. ამასთან, ამგვარ საზოგადოებებს, ხშირ შემთხვევაში, დამწერლობაც არ ჰქონდათ, ამიტომ დოკუმენტური ანალიზის განხორციელება შეუძლებელი იყო. ანთროპოლოგებისგან განსხვავებით, სოციოლოგები დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებებს იკვლევდნენ, რომელთა ენაზეც საუბრობდნენ და დოკუმენტური მასალაც უხვად მოიპოვებოდა, იქნებოდა ეს ქალაქის მერიის მასალები კრიმინალურ ბანდებთან დაკავშირებით თუ თავად ბანდის წევრთა დღიურები და მემუარები. შესაბამისად, სოციოლოგებისთვის ეთნოგრაფიული კვლევა ტრიანგულაციის შედეგი იყო – დაკვირვებასთან ერთად, ის არაფორმალურ თუ ფორმალურ ინტერვიუს და დოკუმენტურ ანალიზსაც მოიცავდა. ამასთან, სწორედ კრიმინალური ბანდების კვლევისას გაჩნდა

„თოვლის გუნდად“ წოდებული რესპონდენტების შერჩევის მეთოდი, როცა კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელი მკვლევარს ჯგუფის სხვა წევრთან აკავშირებს, ეს უკანასკნელი – კიდევ სხვა წევრთან და ა.შ. შერჩევის ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია ისეთი ჩაკეტილი ჯგუფებისადმი წვდომის მოსაპოვებლად, როგორიცაა კრიმინალური ბანდები, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობები, ან თუნდაც მთავრობის წევრები. ამგვარად, ჩიკაგოს სკოლის დამსახურებაა როგორც ემპირიული სოციოლოგიის დაფუძნება, ისე შესაბამისი საკვლევი ინსტრუმენტის შექმნა და სამიზნე ჯგუფისადმი წვდომის მოსაპოვებლად შერჩევის სათანადო მეთოდის განვითარება.

ჩიკაგოს სკოლის პირველ ემპირიულ სოციოლოგებს შორის არიან ალბიონ სმოლი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის დამფუძნებელი და ამერიკული და გერმანული სოციოლოგიური ტრადიციების გამაერთიანებელი; უილიამ თომასი, ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის სამეცნიერო პროფილის განმსაზღვრელი, მისი ინტერესის საფუძველზე ურბანული კვლევებისა და თვისებრივი მეთოდების მიმართულებით (სწორედ თომასის და ზნანეცკის 1918 წელს გამოქვეყნებული წიგნი „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“ მიიჩნევა ემპირიული სოციოლოგიური კვლევის პირველ ნიმუშად); რობერტ პარკი, უილიამ თომასის მემკვიდრე, რომელიც ფილოსოფიიდან და ჟურნალისტიკიდან მოვიდა სოციოლოგიაში და სოციოლოგიური სკოლის ძირითად მიმართულებად ქცეულ „ურბანულ ეკოლოგიას“ ჩაუყარა საფუძველი; რობერტ პარკის სტუდენტები იყვნენ ერნესტ ბარგესი, პირველ „ახალგაზრდა სოციოლოგად“ წოდებული ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი (რადგან დანარჩენი პროფესორები სხვა დისციპლინებიდან მოვიდნენ სოციოლოგიაში) და თანაავტორი (პარკთან ერთად) ცნობილი მონოგრაფიისა „ქალაქი“ (1925); აგრეთვე ლუი ვირტი, საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც სახელი გაითქვა ურბანულ გარემოში იმიგრანტთა ერთობების კვლე-

ვით და ნაშრომებით „გეტო“ (1928) და „ჩვენი ქალაქები: მათი როლი ეროვნულ ეკონომიკაში“ (1937), რომელიც აღიარებულია ეროვნული ურბანული პოლიტიკის შექმნის ერთ-ერთ პირველ მცდელობად, ემპირიული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ავტორი, უილიამ ფუთ უაიითი, რომელიც შედარებით ხანმოკლე პერიოდით მოღვაწეობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, თუმცა თვისებრივი კვლევის კლასიკად წოდებული მისი წიგნი „ქუჩის კუთხის საზოგადოება“ (1943) სწორედ ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის ტრადიციის თვალსაჩინო ნიმუშია. 1950-იანი წლებიდან კი ჩიკაგოს სკოლის კვლევების ახალი ტალღა დაიწყო, რაც დაკავშირებულია ისეთი ცნობილი სოციოლოგების სახელებთან, როგორიცაა ჰოვარდ ბეკერი, რომლის წიგნი „აუთსაიდერები: კვლევები დევიაციის სოციოლოგიაში“ (1973) „იარლიყების მიკვრის“ დევიაციური თეორიის საფუძვლადაა მიჩნეული და ირვინ გოფმანი, სიმბოლური ინტერაქციონიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, „დრამატურგიული მიდგომის“ ფუძემდებელი და ავტორი წიგნებისა „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ (1956), „სტიგმა“ (1963), „ჩარჩოს ანალიზი: ესეები გამოცდილების ორგანიზების შესახებ“ (1974) და „საუბრის ფორმები“ (1981).

ყველა ზემოხსენებული სოციოლოგი, სხვადასხვა პერიოდში, ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად იყო არჩეული, ალბიონ სმოლით დაწყებული (1912-13) და ირვინ გოფმანით დამთავრებული (1982). სწორედ მათი დამსახურებაა სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდების არა მხოლოდ განვითარება, არამედ მათ მიმართ უწყვეტი აკადემიური ინტერესი, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა ამერიკულ რეალობაში პოზიტივისტური პარადიგმა გახდა დომინანტური და სოციოლოგების დიდი ნაწილი კვლევის რაოდენობრივ მეთოდებზე გადაერთო. მართლაც, როცა 1950-იანი წლებიდან აშშ-ში პირველი კომპიუტერები გავრცელდა და მკვლევრებმა გააცნობიერეს მათი საკვანძო როლი რაოდენობრივი მონაცემების შენახვისა და

დამუშავების თვალსაზრისით, მომდევნო 30 წლის განმავლობაში რაოდენობრივი მეთოდები სოციოლოგებისთვის წამყვანი გახდა. 1980-იანი წლებიდან კი ე.წ. „კულტურული ბრუნის“ თუ შემობრუნების (“The Cultural Turn”) ეპოქა დაიწყო, როცა კულტურა საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი სოციალური პროცესის ამხსნელად იქნა მიჩნეული და ამიტომ არაერთმა დისციპლინამ კულტურის შესწავლის მეთოდებს მიმართა, რომელთაგან წამყვანი სწორედ თვისებრივი მეთოდები იყო. ამავე პერიოდში განვითარდა და ინსტიტუციონალიზებულ იქნა კულტურის შემსწავლელი ისეთი დისციპლინა, როგორიცაა კულტურის კვლევები, აგრეთვე სოციოლოგიის ისეთი ქვედარგი, როგორიცაა კულტურის სოციოლოგია. თუ 1970-იანი წლების ბოლოს განვითარების პროცესში მყოფი კულტურის სოციოლოგია რაოდენობრივ მეთოდებს უფრო იყენებდა კულტურული არტეფაქტების წარმოებისა და მარკეტინგის საკვლევად, 1980-იან წლებში ის კულტურის მწარმოებელი ინსტიტუტებიდან სოციალურ ცხოვრებაში საზრისის კვლევაზე გადაერთო, რამაც თვისებრივი მეთოდების განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. 1980-იანი წლების შუახანიდან კულტურის კვლევების ახალი დისციპლინის ფორმირებამ, რომელმაც ჯერ სხვადასხვა აკადემიურ ნიშას შეაფარა თავი, როგორიცაა ლიტერატურის, მედიის და კომუნიკაციის კვლევები, შემდეგ კი დამოუკიდებელ დისციპლინად მოგვევლინა, კიდევ უფრო გამოკვეთა თვისებრივი მეთოდების როლი სოციოკულტურული პროცესების კვლევაში. ფემინისტურ კვლევებში, რომლებიც 1970-იან წლებში ქალთა გამოცდილების დოკუმენტირებას ახდენდნენ, 1980-იანი წლებიდან დომინანტური გახდა გენდერული სხვაობების დისკურსის გზით (კვლავ)წარმოების კვლევა, რამაც განსაკუთრებული აქცენტი დასვა დისკურსის, როგორც სოციალური რეალობის კონსტრუირების ინსტრუმენტის, ანალიზზე. პოლიტიკის მეცნიერებაში კულტურის თემატიკის და თვისებრივი მეთოდების მიმართ განსაკუთრებუ-

ლი ინტერესი კი ეთნიკურობის, ნაციონალიზმის და რელიგიური ფუნდამენტალიზმის, როგორც თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი ძირითადი მიზეზების, მიმართ ყურადღების ზრდამ გამოიწვია (Sewell, William, 1999, 37). როგორც ვხედავთ, „კულტურული ბრუნის“ ეპოქამ თვისებრივი მეთოდების მიმართ განახლებულ ინტერესს უბიძგა სოციალური მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინაში. სწორედ ამ განახლებული ინტერესის შედეგია თვისებრივი კვლევის ტრადიციული მეთოდების ახალი მეთოდებით გამდიდრება.

თვისებრივი კვლევის მეთოდების ზოგადი დახასიათება

თვისებრივი კვლევის მეთოდები რაოდენობრივ მეთოდებზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ამასთან, კლასიკური რაოდენობრივი მეთოდები, როგორიცაა მასობრივი გამოკითხვა, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი თუ რაოდენობრივი კონტენტანალიზი, არ ითვალისწინებს თვისებრივი ინსტრუმენტების ჩართვას, განსხვავებით თვისებრივ მეთოდებად მიჩნეული ისეთი მიდგომებისგან, როგორიცაა, მაგალითად, შემთხვევის შესწავლა (Case Study) ან Q მეთოდოლოგია (Q Methodology), რომლებიც თვისებრივთან ერთად რაოდენობრივ ინსტრუმენტებსაც იყენებენ და, ამ თვალსაზრისით, მეტი მოქნილობით გამოირჩევიან.

თვისებრივი კვლევისას გადამწყვეტია, თუ რა წარმოადგენს მკვლევრისთვის ძირითად სამიზნეს: ინდივიდი, დოკუმენტი, ვიზუალური გამოსახულება თუ ორგანიზაცია, რაც კვლევის განსხვავებული მეთოდების სელექციას განაპირობებს. თუ კვლევის სამიზნე არის ინდივიდი, თვისებრივი მკვლევარი, უმეტესად, ინდივიდუალურ სიღრმისეულ ინტერვიუზე ან ჯგუფურ ინტერვიუზე ანუ ფოკუსჯგუფზე შეაჩერებს არჩევანს. სიღრმისეულ ინტერვიუს, თავის მხრივ, კვლევის მიზნიდან გამომდინარე სხვადასხვა ქვეტიპი აქვს, მათ შორის, ბიოგრაფიული ნარატივი, როცა რესპონდენტები საკვლევი საკითხის ირგვლივ თავისი ბიოგ-

რაფიის მნიშვნელოვან დეტალებზე მსჯელობენ, თუ ცხოვრების ისტორია, როცა რესპონდენტები საკუთარი ცხოვრების შესახებ უყვებიან მკვლევარს და თავად ირჩევენ, თუ რა ეპიზოდებზე ან მოვლენებზე გაამახვილონ ყურადღება. სიღრმისეული ინტერვიუ არა მხოლოდ თვისებრივი კვლევის ყველაზე გავრცელებული და ფართოდ გამოყენებადი მეთოდია, არამედ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილიცაა. ჩვენ მუდმივად ვეკითხებით ჩვენს გარშემომყოფებს მათი ოჯახის, სამსახურის, სოციალური ურთიერთობების თუ სამომავლო გეგმების შესახებ, რაც, ფაქტობრივად, არაფორმალური ინტერვიუს ჩატარებას გულისხმობს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისეთივე მნიშვნელოვნია რესპონდენტის ნდობის მოპოვებისა და გულწრფელობის გამომწვევი ტექნიკების ცოდნა, როგორც ფორმალური ინტერვიუს შემთხვევაში. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროფესიონალი მკვლევარი, რომელიც კარგად ფლობს პირისპირ თუ ჯგუფური ინტერვიუს ჩატარების ტექნიკას, ყოველდღიურ სოციალურ ურთიერთობებშიც უფრო მარტივად ორიენტირდება.

თვისებრივი კვლევის არანაკლებ პოპულარული მეთოდია დოკუმენტური ანალიზი. როცა თვისებრივი მკვლევრის სამიზნეს დოკუმენტი წარმოადგენს, ის თვისებრივ კონტენტანალიზს ახორციელებს. განსხვავებით რაოდენობრივი კონტენტანალიზისგან, როცა მკვლევარი გარკვეულ ტექსტში სპეციფიკური ტერმინოლოგიის თუ ფრაზების გამოყენების ან კონკრეტულ მოვლენებზე აპელირების სიხშირეს აღრიცხავს, თვისებრივი კონტენტანალიზისას ის თავად ტექსტის შინაარსობრივ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. კონტენტანალიზი ტექსტური ანალიზის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ამიტომ ისიც ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და გვერდს ვერ ავუვლით, სამეცნიერო ნაშრომს ვეცნობით, საარქივო მასალას თუ გასართობ ნაწარმოებს. თუმცა, სამეცნიერო ხასიათის კონტენტანალიზი მეტად სიღრმისეულია, მეტად იყენებს ანალიზისა

და სინთეზის ტექნიკას, აგრეთვე ტექსტურთან ერთად მეტატექ-სტური ანალიზიც უნდა შემოგვთავაზოს.

ტექსტური ანალიზისადმი შედარებით ახალი მიდგომაა დის-კურსის ანალიზი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ენას ქმედებაში“ (“Language in Action”). ის ზეპირი თუ წერილო-ბითი ტექსტის ანალიზს გულისხმობს, ოღონდ ტექსტის შინაარ-სობრივ ანალიზს მიღმა გადის და იმაზე ამახვილებს ყურადღე-ბას, თუ რა იკითხება ხაზებს შორის. დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი ადრეული ნაირსახეობაა ნარატიული ანალიზი, რომელიც კონკრეტული ნარატივის, როგორც საუბრის ფორმისა თუ ჟან-რის, ანალიზს გულისხმობს; ხოლო ერთ-ერთი გვიანი ნაირსახე-ობაა საუბრის ანალიზი, რომელიც სწორედ სოციოლოგების კვლევებიდან იღებს სათავეს და მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ მიკროსოციოლოგიურ თეორიებთან, როგორიცაა სიმბო-ლური ინტერაქციონიზმი და ეთნომეთოდოლოგია. დღეს დის-კურსის ანალიზი ერთ-ერთ წამყვან მეთოდად გვევლინება რიგ დისციპლინებში, როგორიცაა სოციოლოგია, ანთროპოლოგია და პოლიტიკის მეცნიერება და მისი ქვეკატეგორიაა დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რომელიც სწავლობს, თუ როგორ აისახე-ბა საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებრივი ასიმეტრია თუ უთანასწორობა დისკურსის გზით და, თავის მხრივ, როგორ გვევლინება დისკურსი ამ უთანასწორობის კვლავწარმოების სა-შუალებად.

ვინაიდან დისკურსის ანალიზი ხაზებს შორის ნაგულისხმევი მნიშვნელობის გამოვლენასა და წვდომაზეა ორიენტირებული, ის მნიშვნელოვნად ეყრდნობა სემიოტიკას, როგორც ნიშანთა სისტემების შემსწავლელ დისციპლინას. თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც სემიოტიკას ეფუძნება, ვიზუა-ლური ანალიზია. ამ მეთოდის გამოყენება სოციოლოგებმა უკა-ნასკნელ ხანებში დაიწყეს და ერთ-ერთ პირველ მცდელობად ირ-ვინ გოფმანის კვლევა მიიჩნევა, რეკლამაში გენდერული სტერე-ოტიპების ასახვის შესახებ, რისთვისაც მან 400-მდე რეკლამა შე-

ისწავლა (1976). ამ და მსგავსმა კვლევებმა საფუძველი ჩაუყარა სოციოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა ქვედარგს – ვიზუალურ სოციოლოგიას, რომელიც ვიზუალურ მასალას დამოუკიდებელ მონაცემებად განიხილავს და არა სოციოლოგიური არგუმენტის გამამყარებელ თუ საილუსტრაციო საშუალებად. ვიზუალური სოციოლოგები სოციალურ რეალობას სწორედ ვიზუალური ხატების საფუძველზე სწავლობენ. უფრო მეტიც, ვიზუალური სოციოლოგიის მიდგომები შეგვიძლია გამოვიყენოთ არავიზუალური მონაცემების ანალიზის პროცესშიც; მაგალითად, თუ სოციოლოგები სიღრმისეულ ინტერვიუს ატარებენ, რათა გაიგონ, თუ როგორ ახდენენ რესპონდენტები ვიზუალური ხატების შექმნას, ინტერპრეტაციასა და გავრცელებას. ასეთ შემთხვევაში, მკვლევრები სპეციფიკურ ვიზუალურ ხატებს კი არ აანალიზებენ, არამედ იმას, თუ როგორ აღიქვამენ კვლევის მონაწილენი სოციალურ რეალობას.

თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი პოპულარული მეთოდი, უფრო სწორედ, მეთოდოლოგიური მიდგომა, ეთნოგრაფიული კვლევაა, რომელიც ანთროპოლოგების უმთავრესი საკვლევი ინსტრუმენტია. ეთნოგრაფიული კვლევის მიზანია, გარკვეულ გარემოზე დაკვირვებით, მისთვის სპეციფიკური სოციოკულტურული მახასიათებლები აღწეროს და ახსნას. იქნება ეს კულტურის, მისი შემადგენელი მცირე რეგიონის თუ სუბკულტურის დონეზე, ეთნოგრაფიულმა კვლევამ ამ რეგიონის თუ ჯგუფის „კულტურის ინტიმურობა“ (Herzfeld, 2005) უნდა გამოავლინოს, რაც მათთვის სპეციფიკურ ისეთ მახასიათებლებს გულისხმობს, რომლებიც უსიტყვოდ გასაგებია ამ კონკრეტული ერთობის წევრებისთვის, თუმცა გარეშე პირებისთვის არათუ გაუგებარია, არამედ შესაძლოა უხერხულობის წყაროდაც კი იქცეს, რადგან მათ ამ ერთობის შიგნით არ გაუვლიათ სოციალიზაცია. ამ კომპლექსური მახასიათებლების გამოსავლენად ეთნოგრაფია მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის პრინციპს იყენებს: დაკვირვების მონაცემების გასამდიდრებლად და მათი სიღრმისეული ინ-

ტერპრეტაციისთვის, ის ინტერვიუს და დოკუმენტურ ანალიზსაც იშველიებს. სწორედ ამიტომ ვერ ჩაითვლება ერთ მეთოდად, არამედ მეთოდოლოგიურ მიდგომად.

და ბოლოს, როცა სოციოლოგების სამიზნეს არა ინდივიდი, ჯგუფი, დოკუმენტი ან ვიზუალური გამოსახულება, არამედ ორგანიზაცია წარმოადგენს, ისინი ქმედების კვლევას (რასაც განათლების ადმინისტრირების სპეციალისტები „პრაქტიკულ კვლევას“ უწოდებენ) ატარებენ, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის შიგნით არსებული პრობლემების გამოვლენაზე, თავად ორგანიზაციის წევრებთან ერთად ამ პრობლემებთან გამკლავების სტრატეგიების დასახვასა და შესაბამისი ინტერვენციის განხორციელებაზე. ქმედების კვლევა, რომელსაც ჩართულ ქმედების კვლევასაც უწოდებენ, ერთადერთი მეთოდია სოციოლოგიაში, როცა მკვლევარს არათუ არ ეკრძალება, არამედ ევალება კიდეც საკვლევ გარემოზე გავლენის მოხდენა, რათა მოვლენების პოზიტიური მიმართულებით განვითარებას შეუწყოს ხელი და ორგანიზაციამ ადეკვატური ფუნქციონირება შეძლოს. ამდენად, ამ ვითარებაში სოციოლოგი ერთგვარ სოციალურ თერაპევტადაც კი გვევლინება, რომელმაც, ორგანიზაციის წევრებთან ერთობლივი ძალისხმევით, ორგანიზაციის „სოციალური წყლულები“ უნდა მოაშუშოს.

თვისებრივი კვლევის ზემოხსენებული მეთოდები დეტალურად იქნება განხილული ამ სახელმძღვანელოში. მართალია, ისინი არ ამოწურავს თვისებრივი კვლევის სპექტრს, მაგრამ უდავოდ ინარჩუნებს დომინანტობას თვისებრივ სოციოლოგებს შორის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის შედეგია და აგრეთვე საკმაოდ პოპულარულია თვისებრივ მკვლევრებს შორის, შემთხვევის შესწავლაა. თუმცა, მას მიზანმიმართულად არ ვფარავთ ამ ნაშრომში, რადგან კონკრეტული შემთხვევის შესწავლისას, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მკვლევარმა შესაძლოა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები გამოიყენოს. მსგავს შე-

რეულ მიდგომას ეფუძნება Q მეთოდოლოგიაც, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი ინსტრუმენტების კომბინირებას ახდენს, რათა ადამიანთა სუბიექტური მოსაზრებები იკვლიოს. ამდენად, ამ მეთოდსაც არ შევეხებით მოცემულ ნაშრომში, რომელიც უფრო „ტრადიციულ“ თვისებრივ მეთოდებზე ამახვილებს ყურადღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

American Sociological Association (2018). *Albion Woodbury Small*. Retrieved from http://www.asanet.org/albion-w-small

American Sociological Association (2018). *Ernest Watson Burgess.* Retrieved from http://www.asanet.org/ernest-w-burgess

American Sociological Association (2018). *Louis Wirth.* Retrieved from *http://www.asanet.org/louis-wirth*

American Sociological Association (2018). *Robert Ezra Park.* Retrieved from http://www.asanet.org/robert-e-park

American Sociological Association (2018). *William Isaac Thomas*. Retrieved from http://www.asanet.org/william-i-thomas

Bryant, A., & Charmaz, K. (2007). *The Sage Handbook of Grounded Theory.* London: Sage.

Bulmer, M. (1984). *The Chicago School of Sociology: Institutionalization, Diversity and the Rise of Sociological Research.* Chicago: University of Chicago Press.

Fernandez, J., & Herzfeld, M. (1998). In Search of Meaningful Method. In B. H. Russel (Ed.), *Handbook of Methods in Cultural Anthropology* (pp. 89-129). London: Altamira Press.

Glaser, B. G., & Strauss, A. L. (1967). *The Discovery of Grounded Theory: Strategies for Qualitative Research.* New Brunswick & London: AldineTransaction.

Geertz, C. (1973). *The Interpretation of Cultures.* New York: Basic Books.

Goffman, I. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

Guba, E. G., & Lincoln, Y. S. (1994). Competing Paradigms in Qualitative Research. In N. K. Denzin & Y. S. Lincoln (Eds.), *Handbook of*

Qualitative Research (pp. 105-117). Thousand Oaks, CA: Sage.

Hammersley, M., & Atkinson, P. (2007). *Etnography: Principles in Practice* (3rd ed.). London & New York: Routledge.

Herzfeld, M. (2005). *Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State* (2nd ed.). New York: Routledge.

Becker, H. S. *HOWIE's Home Page*. Retrieved from http://www.howardsbecker.com/

Lemert, C., & Branaman, A. (1997). *The Goffman Reader.* Oxford: Blackwell Publishing. Retrieved from http://people.brandeis.edu/ ~teuber/goffmanbio.html

Maxwell, J. A. (2009). Designing a Qualitative Study. In L. Bickman & D. J. Rog (Eds.), *The Sage Handbook of Applied Social Research* (pp. 214-250). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Schuetz, A. (1944). The Stranger: An Essay in Social Psychology. *American Journal of Sociology*, 49 (6), 499-507.

Sewell, Jr., & William H. (1999). The Concept(s) of Culture. In V. E. Bonnell & L. Hunt (Eds.), *Beyond the Cultural Turn: New Directions in the Study of Society and Culture* (pp. 35-61). Berkeley: University of California Press.

Smith, M.K. (2009). William Foote Whyte, Street Society, Organizations and Learning from the Field. *The Encyclopaedia of Informal Education*. Retrieved from http://infEd.org/mobi/william-foote-whyte-street-society-organizations-and-learning-from-the-field/

Spradley, J. P. (1979). *The Ethnographic Interview*. Fort Worth, TX: Harcourt Brace. Jovanovich College Publishers.

თავი 2
თვისებრივი კვლევის დიზაინი, შერჩევა და ეთიკის საკითხები

თვისებრივი კვლევის დიზაინი

ნებისმიერი კვლევის – თვისებრივი იქნება ის თუ რაოდენობრივი – წარმატებისთვის აუცილებელია, რომ წინასწარ დეტალურად იქნას გაწერილი მისი დიზაინი ანუ სქემა, რომლითაც მკვლევარი უშუალოდ საველე სამუშაოების ჩატარებისას იხელმძღვანელებს. ეს სქემა მისთვის ერთგვარი გზამკვლევია, რათა თანმიმდევრულად განახორციელოს დაგეგმილი კვლევა; მისი კოლეგებისთვის კი განხორციელებული კვლევის ხარისხის ინდიკატორია, რადგან ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად ლოგიკურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან ამ კვლევის თითოეული კომპონენტი. თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევაში დიზაინი მსგავსი კომპონენტებისგან შედგება, ანუ სტრუქტურულად იდენტურია, თუმცა თითოეულის შემთხვევაში თავისი სპეციფიკა აქვს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია კვლევის მეთოდის შერჩევისას. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ რაოდენობრივი კვლევის დიზაინისგან განსხვავებით, რომლის ყველა პუნქტი წინასწარ მკაცრად გაწერილია და კვლევის პროცესში ცვლილებას არ განიცდის, თვისებრივი კვლევის დიზაინი კვლევის პროცესში იხვეწება და მოდიფიკაციას განიცდის. ამ მიზეზით, თვისებრივი კვლევის დიზაინს „ინტერაქციულსაც“ უწოდებენ (Maxwell, 2013).

სოციალური კვლევის დიზაინი ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: თეორიული ანუ მეთოდოლოგიური ნაწილი და მეთოდური ანუ პროცედურული ნაწილი.

თეორიულ ანუ მეთოდოლოგიურ ნაწილში (მეთოდოლოგია სწორედ იმ თეორიულ საფუძვლებს გულისხმობს, რაც კონკრეტუ-

ლი მეთოდ(ებ)ის სელექციას განაპირობებს) აუცილებელია საკვლევი პრობლემის დასმა, მის კონკრეტულ მიზნამდე დავიწროვება, შემდეგ ამ მიზნის შესაბამისი ამოცანების გამოყოფა და კვლევის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით წინასწარი დაშვების ანუ ჰიპოთეზის შემუშავება. რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, რომელშიც ჰიპოთეზა სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, თვისებრივ კვლევაში ის სავალდებულოდ არ მიიჩნევა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჰიპოთეზა მსგავს თემატიკაზე ჩვენამდე ჩატარებულ კვლევებს ანუ წინა გამოცდილებას ეფუძნება, და რადგან კონკრეტული ემპირიული კვლევის დაგეგმვამდე ყოველთვის ვეცნობით შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და სხვა მკვლევრების მიერ მოპოვებულ მსგავს მონაცემებს, ამიტომ გარკვეული მოლოდინებიც გვექმნება ჩვენს კვლევასთან დაკავშირებით. ჰიპოთეზა კი სხვა არაფერია, თუ არა ამ მოლოდინების გაჟღერება.

მეთოდურ ანუ პროცედურულ ნაწილში მკვლევარი უშუალოდ საველე სამუშაოების დეტალებს განიხილავს. პირველ რიგში, ის კვლევის სამიზნე ჯგუფს გამოყოფს და იმასაც განმარტავს, თუ რა გზით უნდა მოხდეს საერთო პოპულაციიდან იმ კონკრეტული ადამიანების თუ სხვა საკვლევი ერთეულების (დოკუმენტების, ვებგვერდების, ვიზუალური მასალის და ა.შ.) შერჩევა, რომლებიც კვლევაში უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას. შერჩევის განხილვას მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდების განხილვა მოსდევს, რაც, ცხადია, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, კვლევის თითოეული ამოცანა შესაძლოა განსხვავებული მეთოდის გამოყენებას ითხოვდეს და ეს სათანადო განმარტებას და დასაბუთებას საჭიროებს. მონაცემების ანალიზის სტრატეგიები უშუალოდ მონაცემების მოპოვების მეთოდებიდან გამომდინარეობს და მათი გამოყენების საჭიროებაც შესაბამის დასაბუთებას ითხოვს. მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდებზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ კვლევის სანდოო-

ბისა და ვალიდობის საკითხებს, კერძოდ, მკვლევარმა უნდა ახსნას, თუ რატომაა მისი მონაცემები დამაჯერებელი, რა ალტერნატიული ინტერპრეტაციები შეიძლება არსებობდეს და რა სახის მხარდაჭერას თუ გამოწვევას წარმოადგენს მკვლევრის ძირითადი არგუმენტებისთვის მოპოვებული მონაცემები. მეთოდური ნაწილის შემდეგი კომპონენტია კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის განხილვა, ანუ იმის აღნიშვნა, თუ რას შესძენს მოცემული კვლევა სამეცნიერო დისციპლინას და, ამასთან, რა პრაგმატული ღირებულების მატარებელია ამ დისციპლინის მიღმა, ყოველდღიურ ცხოვრებაში, კვლევის სამიზნე ჯგუფის წევრებისა თუ შესაბამისი პოლიტიკის შემქმნელებისთვის. და ბოლოს, მკვლევარმა მოკლედ უნდა ისაუბროს კვლევის შეზღუდვებზეც. უდავოა, რომ ყველა კვლევას აქვს თუნდაც მცირე ხარვეზები და თავად მკვლევრის მიერ მათი ხაზგასმა კვლევას მეტ სანდოობას სძენს, ხოლო ოპონენტს შესაძლებლობას ართმევს, რომ მკვლევარი გააკრიტიკოს – ამ უკანასკნელმა ხომ თავად აღიარა კვლევის სუსტი მხარეები.

ქვემოთ წარმოგიდგენთ თვისებრივი კვლევის დიზაინის ძირითად კომპონენტებს და მათ თავისებურებებს.

კვლევის დიზაინის სტრუქტურა

დიზაინის თეორიული ანუ მეთოდოლოგიური ნაწილი:

საკვლევი პრობლემის დასმა და მისი აქტუალობის დასაბუთება. თავდაპირველად, მკვლევარი საკვლევ პრობლემას განსაზღვრავს, რომლის შესწავლა აქტუალური უნდა იყოს, რათა აუდიტორიამაც მნიშვნელოვნად მიიჩნიოს და არა მხოლოდ მკვლევრისთვის საინტერესო აღმოჩნდეს. საკვლევი პრობლემა შესაბამის *კონცეპტუალურ ჩარჩოში* უნდა იყო წარმოდგენილი, რომელიც შესასწავლი სოციალური ფენომენის არსებულ მდგომარეობას და ამ მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს აღწერს. ხშირად, სტუდენტები კონცეპტუალურ ჩარჩოს ლიტერატურის

მიმოხილვას უწოდებენ, რაც შეცდომაა და მკვლევარს არასწორ მიმართულებას აძლევს. მან შეიძლება იფიქროს, რომ კონცეპტუალურ ჩარჩოს მხოლოდ აღწერითი ფუნქცია აქვს, რათა განიხილოს, თუ რას გვთავაზობს არსებული თეორიები ან რა აჩვენა წინა კვლევებმა. სინამდვილეში, კონცეპტუალური ჩარჩო ანალიტიკურია და ის მომავალი კვლევისთვის იდეების გენერირების წყაროა, რომლის საფუძველზეც მკვლევარმა მისი საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს. კონცეპტუალური ჩარჩო არა მხოლოდ ეფუძნება არსებულ თეორიებსა და კვლევებს, არამედ შესაძლოა ითვალისწინებდეს მკვლევრის პირად გამოცდილებასაც. ამასთან, კონცეპტუალური ჩარჩოს გამართვისა თუ სრულყოფისთვის შესაძლოა პილოტური კვლევაც ჩატარდეს.

კონცეპტუალური ჩარჩოს განხილვისას, მკვლევარი ზოგადიდან კერძოს მიმართულებით მოძრაობს და თანმიმდევრულად ავიწროვებს ფოკუსს სპეციფიკურ საკითხამდე, რომელიც ხშირად *საკვლევი კითხვის* სახით არის ფორმულირებული. საკვლევი კითხვა უნდა ითვალისწინებდეს როგორც იმ ინფორმაციას, რაც უკვე ცნობილია შესასწავლ ფენომენთან დაკავშირებით (კონცეპტუალური ჩარჩო), ისე იმასაც, თუ მოცემული კვლევით მკვლევარს რისი მიღწევა სურს (კვლევის მიზანი). აზრს მოკლებულია ისეთი საკვლევი კითხვის დასმა, რომელზეც პასუხი უკვე არსებობს ან რომელიც პირდაპირ კავშირში არ არის მოცემული კვლევის მიზანთან. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, დიზაინის ამ სექციაში, მკვლევარი ჯერ თეორიული ცნებების განმარტებას ანუ *კონცეპტუალიზაციას* და შემდეგ მათი ემპირიული საზომების (ინდიკატორების) შემუშავებას ანუ *ოპერაციონალიზაციას* ახდენს. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის დასმის მთელი სექცია კონცეპტუალიზაციის და ოპერაციონალიზაციის რაუნდებისგან შედგება, რასაც, საბოლოოდ, კვლევის მიზნამდე მივყავართ; თან იმგვარად, რომ სანამ უშუალოდ მიზნის სექციაზე გადავა, მკითხველმა თავად შეძლოს მისი გამოცნობა. მხო-

ლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება მკვლევრის მსჯელობა ლოგიკურად და სათანადოდ დასაბუთებულად.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანი ნაშრომის ძირითად ფოკუსს შეესაბამება და მის მოკლე ვერსიას ნაშრომის სათაური წარმოადგენს. ნაშრომს ყოველთვის ერთი მიზანი აქვს, რომლის შემადგენელი თემატური ასპექტებია საკვლევი ამოცანები. მათ მიზნის შემდგომი ოპერაციონალიზაციის შედეგად ვიღებთ. ხშირია შემთხვევა, როცა დამწყებ მკვლევრებს ამოცანებად ის აქტივობები მიაჩნიათ, რაც მიზნის მისაღწევადაა საჭირო. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამოცანა და მის განსახორციელებლად საჭირო აქტივობა დიზაინის ორი სხვადასხვა კომპონენტია. ინტერვიუს გზამკვლევი რომ ავიღოთ თემატური სექციებით, გზამკვლევის სათაური მიზანს შეესაბამება, თითოეული თემატური სექცია კი – ამოცანებს.

განვიხილოთ კვლევის მიზნისა და ამოცანების ფორმულირების მაგალითი. ვთქვათ, კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ქართველ სტუდენტებში ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ განწყობების ფორმირებას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ფაქტორთა ორი ძირითადი კატეგორიაა განხილული: პრაგმატული და იდენტობის ფაქტორები, რაც პრობლემის დასმისას უნდა განვიხილოთ და თითოეულის კონცეპტუალიზაცია (რა იგულისხმება პრაგმატული და იდენტობის ფაქტორების ქვეშ) და ოპერაციონალიზაცია (როგორ უნდა გაიზომოს პრაგმატული და იდენტობის ფაქტორები) უნდა მოვახდინოთ. ჩვეულებრივ, პრაგმატული ფაქტორების ქვეშ მოიაზრება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება/აღდგენა, პოლიტიკური სისტემის ქმედითუნარიანობის გაუმჯობესება, ეკონომიკური განვითარება და სხვ. იდენტობის ფაქტორის ქვეშ კი – ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა თუ დაკარგვის მოლოდინი. შესაბამისად, თუ ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ ქართველი სტუდენტების დამოკიდებულებებს ვიკვლევთ, საკვლევი ამოცანები სწორედ იმის შესწავლას გულისხმობს, თუ, ევროპეი-

ზაციის პროცესის გავლენით, როგორ ესახებათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, მოელიან თუ არა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (რა ასპექტების და რა გზით), აგრეთვე, ხედავენ თუ არა რაიმე საფრთხეს ეროვნული იდენტობისთვის და კონკრეტულად, რა საფრთხეებს.

კვლევის ჰიპოთეზა. მკვლევარს შესაძლოა შემუშავებული ჰქონდეს ერთი სამუშაო ჰიპოთეზა, ანუ სამეცნიერო ვარაუდი კვლევის მოსალოდნელ ძირითად შედეგთან დაკავშირებით და რამდენიმე ქვეჰიპოთეზა, ანუ წინასწარი მოლოდინი თითოეულ ამოცანასთან დაკავშირებით. რაოდენობრივ კვლევაში დეტალურადაა გაწერილი როგორც ძირითადი ჰიპოთეზა, ისე ქვეჰიპოთეზები. თუმცა, თვისებრივ კვლევაში მკვლევარი, უმეტესად, ძირითადი ჰიპოთეზით შემოიფარგლება და ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როცა ის ჰიპოთეზის გარეშე იწყებს კვლევას.

რადგან ჰიპოთეზა მკვლევრის სამეცნიერო ვარაუდს წარმოადგენს, ამიტომ ის ვერ იქნება ისეთი დებულება, რაც კარგად ცნობილია და ამიტომ საკამათო არ არის, მაგალითად, ის, რომ ევროკავშირის რეგულაციების ადგილობრივ დონეზე დანერგვა აუცილებელი პირობაა, რათა ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს. ჰიპოთეზა ვერც ისეთი დებულება იქნება, რაც უკვე დადასტურებულია და აღიარებულია მოცემული დისციპლინის მიერ, მაგალითად, ის, რომ ურბანიზაცია ინდუსტრიალიზაციის თანმდევი პროცესია, რაზეც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ტალკოტ პარსონსი საუბრობდა. ჰიპოთეზა ყოველთვის გულისხმობს არგუმენტს, რომელმაც შესაძლოა თანხმობა ან არდათანხმება გამოიწვიოს და მისი დადასტურება მოცემული ემპირიული კვლევის შედეგად უნდა მოხდეს. მაგალითად, მკვლევარმა შესაძლოა ივარაუდოს, რომ ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ დამოკიდებულებების ფორმირებისას პრაგმატული ფაქტორები გადასწონის იდენტობისას ან, პირი-

ქით, იდენტობის ფაქტორის როლი პრაგმატულ ფაქტორებზე მეტად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, დაგეგმილმა ემპირიულმა კვლევამ უნდა აჩვენოს, რამდენად გამართლდება ან არ გამართლდება მისი ვარაუდი.

აღსანიშნავია, რომ ჰიპოთეზა, რომელიც არ დადასტურდა, არ გულისხმობს აუცილებლად არაადეკვატურ ჰიპოთეზას. სათანადოდ დაგეგმილი და კეთილსინდისიერად განხორციელებული კვლევის პირობებში, ჰიპოთეზა, რომელიც არ დადასტურდა, შესაძლოა ორ გარემოებაზე მიუთითებდეს: ერთი, რაც რელევანტურია გარკვეული რეალობისთვის, შესაძლოა არარელევანტური იყოს მეორისთვის; მაგალითად, პრაგმატული და იდენტობის ფაქტორების ხედვა ქართულ რეალობაში შესაძლოა განსხვავდებოდეს უკრაინულ რეალობაში მათი ხედვისგან, ან თუნდაც ერთი საზოგადოების შიგნით, ეთნიკური უმცირესობის ხედვა განსხვავდებოდეს ეთნიკური უმრავლესობის ხედვისგან. მეორე, რადგან სოციალური ცხოვრება ძალიან სწრაფად იცვლება, ის, რასაც ადგილი ჰქონდა 10 წლის წინ, შესაძლოა სრულიად არარელევანტური იყოს 10 წლის შემდეგ; მაგალითად, გარკვეული პერიოდის წინ, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის დანერგვას ქართულ საზოგადოებაში შესაძლოა საოცარი ვნებათაღელვა გამოეწვია, თუმცა, დღეს ის საზოგადოებისთვის სრულიად მისაღები იყოს.

მკვლევარს არ უნდა ეშინოდეს, რომ მისი ჰიპოთეზა არ დადასტურდება და არ უნდა შეცვალოს საწყისი ჰიპოთეზა, თუ ის არ გამართლდა, რადგან ეს არაკეთილსინდისიერი საქციელია. საბოლოო ჯამში, სწორედ უკუგდებული ჰიპოთეზა ხდება ახალი თეორიების საფუძველი, რადგან, თუ გარკვეული არგუმენტი მუდმივად დასტურდება, მის საფუძველზე ახალი ცოდნა ვერ იქმნება.

დიზაინის მეთოდური ანუ პროცედურული ნაწილი:

შერჩევა აღწერს კვლევის სამიზნე ჯგუფს/პოპულაციას (იქნება ეს ადამიანები, დოკუმენტები, ვიზუალური მასალა თუ

სხვ.) და შერჩევით ერთობლიობას, ანუ მოცემული პოპულაციიდან ადამიანების თუ დოკუმენტების იმ კონკრეტულ ერთობლიობას, რომელიც უშუალოდ ემპირიულ კვლევაში ხვდება. კვლევის დიზაინში აუცილებლად უნდა იყოს აღწერილი შერჩევის მეთოდი, ანუ რა გზით მოხდა მთლიანი პოპულაციიდან უშუალოდ კვლევაში მონაწილე ადამიანებისა თუ სხვა ერთეულების (ორგანიზაციების, დოკუმენტების და ა.შ.) შერჩევა. როგორც წესი, თვისებრივ კვლევაში მიზნობრივი შერჩევა გამოიყენება, ანუ მიზანმიმართულად ხდება კვლევაში მონაწილე ჯგუფის შერჩევა, რადგან ამ სფეროს ექსპერტები არიან ან უშუალოდ შეეხოთ საკვლევი პრობლემა; ან რესპონდენტების შერჩევისთვის თოვლის გუნდის მეთოდი გამოიყენება, რომელიც ჩაკეტილ ჯგუფებში შეღწევის საუკეთესო გზაა. რაც შეეხება დოკუმენტურ, აუდიო/ვიდეო და ვიზუალურ მასალას, მასაც მიზნობრივად ვარჩევთ, ვთქვათ, რაღაც კონკრეტულ ჟურნალ-გაზეთებს თუ გადაცემებს, სადაც ჩვენი საკვლევი თემა შუქდება გარკვეული პერიოდულობით, ან სპეციფიკურ ვიზუალურ ხატებს, რომლებიც ჩვენს საკვლევ საკითხზე სათანადო ინფორმაციას გვაწვდის და ა.შ. თვისებრივ კვლევაში გამოყენებულ შერჩევაზე მოცემულ თავში დეტალურად ვისაუბრებთ.

მონაცემების მოპოვების მეთოდები აღწერს, თუ რა სახის კვლევას ვატარებთ: ესაა სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ეთნოგრაფიული კვლევა, დოკუმენტების ანალიზი თუ სხვ. აუცილებლად უნდა დასაბუთდეს, რატომაა მაინცდამაინც ეს კონკრეტული მეთოდი თუ მეთოდების კომბინაცია მიზანშეწონილი ჩვენი მონაცემების მოსაპოვებლად და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა უპირატესობით გამოირჩევა სხვა მეთოდებთან შედარებით. მონაცემების მოპოვების მეთოდებს მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ.

მონაცემების ანალიზის მეთოდები. ცხადია, რომ მონაცემების მოპოვების ყველა მეთოდს ანალიზის შესაბამისი მეთოდი

ახლავს და აუცილებელია განიმარტოს, რა გზით განხორციელდა კონკრეტული მონაცემების ანალიზი. მაგალითად, მას შემდეგ, რაც თვისებრივი ინტერვიუს ტრანსკრიპტები შევქმენით, მონაცემების ანალიზისას, როგორც წესი, შემდეგ ეტაპებს გავდივართ: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია (თითოეულს შესაბამისი ახსნა დასჭირდება); დოკუმენტების ანალიზისას კი უნდა აღიწეროს, კონკრეტულად რა სახის ანალიზი ჩატარდა – სისტემური კონტენტანალიზი, რომელიც მონაცემების სისტემურ შეჯამებას გულისხმობს; ინტერპრეტაციული ანალიზი, რომელიც სემიოტიკურ მიდგომას ეფუძნება და იმის გაგებას ცდილობს, რაც ხაზებს შორის იკითხება; დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რომელიც იკვლევს, თუ საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობა როგორ აისახება ენაში/საუბარში და ა.შ. მონაცემების ანალიზის მეთოდებს მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ.

კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ კომპონენტში მკვლევარი განიხილავს, თუ რა წვლილი შეაქვს მოცემულ კვლევას კონკრეტული მიმართულების/დარგის განვითარებაში თუ არსებული აკადემიური ცოდნის გამდიდრებაში; აგრეთვე, რა პრაქტიკული ფუნქცია აქვს კვლევის შედეგებს სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის, და რა კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობს პოლიტიკის შემქმნელებს არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ დამოკიდებულებების განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სოციოლოგიის წიაღში ისეთი მიმართულების განვითარებაში, როგორიცაა ევროპეიზაციის სოციოლოგია. ამასთან, კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლოა შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რაც მათ ქვეყნის ევროპეიზაციასთან

დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვასა და წარმართვაში დაეხმარება.

კვლევის შეზღუდვები აღწერს, თუ რისი კვლევა ვერ მოხერხდა ან არასათანადოდ მოხდა დროის და ფინანსების სიმცირის ან სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო. ეს პუნქტი ნაშრომს მეტ აკადემიურობას სძენს, რადგან აჩვენებს, რომ თავად მკვლევარი აცნობიერებს მისი კვლევის შეზღუდვებს და გვთავაზობს იმ საკითხებს, რისი დაფარვაც, მართალია, ვერ მოხერხდა მოცემული კვლევის შემთხვევაში, მაგრამ სამომავლო კვლევებისთვის მიზანშეწონილი თუ რეკომენდებულია. მაგალითად, თუ ევროპეიზაციის შესახებ ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში სრულად ვერ იქნა შესწავლილი ყველა პრაგმატული ფაქტორის როლი, მაშინ მკვლევარმა უნდა ახსნას ამის მიზეზები და შემოგვთავაზოს სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

კვლევის მიზნის, ამოცანებისა და ჰიპოთეზის ფორმულირების ნიმუში

ვთქვათ, ჩვენი ინტერესის საგანს საქართველოს ევროპეიზაცია წარმოადგენს. **საკვლევი პრობლემის** სახით გვსურს იმის დადგენა, თუ რამდენად წარმატებით ითვისებს საქართველო ევროკავშირის რეგულაციებს და რა არის ამ პროცესში მისი აქტივობის განმსაზღვრელი – ევროკავშირის მოთხოვნები/დირექტივები თუ თავად საქართველოს მისწრაფება, რომ ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა გადმოიღოს. სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად გვეცოდინება, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის მსურველ ქვეყნებში, ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის ძირითადი მექანიზმებია პირობითობა და სოციალიზაცია. პირობითობის მექანიზმი სანქციების და ჯილდოს პრინციპზეა აგებული და ორი სახისაა: პოზიტიური პირობითობა ანუ ევროკავშირის მიერ გარკვეული ქვეყნის პროგრესის დაჯილდოვება შიდა ბაზარში მისი უფრო სწრაფი ინტეგრაციით,

სავიზო რეჟიმის გამარტივებით და ა.შ. და ნეგატიური პირობითობა, იქნება ეს ევროკავშირის მხრიდან ბილატერალური შეთანხმებების შეჩერების, მხარდაჭერის შენელების თუ პოლიტიკური სანქციების განხორციელების (მაგ.: ვიზალიბერალიზაციის დაბრკოლება) მუქარა. რაც შეეხება სოციალიზაციას, სამიზნე ქვეყნები რწმუნდებიან ევროკავშირის ნორმების სარგებლიანობაში და თავად ცდილობენ მათ დანერგვას, თუ ეს ნორმები ლეგიტიმურად მიაჩნიათ და თუ საკუთარი თავის ევროკავშირთან იდენტიფიცირებას ახდენენ (Sedelmeier, 2011; Schimmelfenning, 2012). არსებობს ერთგვარი „შუალედური" მექანიზმიც, კერძოდ, თვითპირობითობა, როცა ქვეყნები, რომელთაც ევროკავშირის წევრობა სურთ, საკუთარ თავზე იმაზე მეტ ვალდებულებას იღებენ, ვიდრე ევროკავშირი ითხოვს, ცდილობენ რა ევროკავშირი დაარწმუნონ, რომ ისინი კანდიდატებად განიხილოს (Schimmelfennig, 2010). აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნების მაგალითების განხილვის საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ პოლიტიკური ცვლილებებისთვის ბიძგის მიმცემი მთავარი მექანიზმი ევროკავშირის მხრიდან პოზიტიური პირობითობის გამოყენებაა; თუმცა, რიგ შემთხვევაში, ინტეგრაციის მსურველი ქვეყნები თვითპირობითობასაც მიმართავენ, ანუ მეტი პირობითობის ქვეშ მოიაზრებენ საკუთარ თავს და ისე იქცევიან, თითქოს წევრობის გარანტირებული პერსპექტივა ჰქონდეთ (Borzel, 2015). ჩვენთვის საინტერესოა, თუ განხილული მექანიზმებიდან რომელია დომინანტური საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში.

ცხადია, რომ მოცემული საკითხის კვლევისას, შეუძლებელია ყველა სფეროს მოცვა, რომელშიც ევროკავშირის რეგულაციები ინერგება. კვლევის განხორციელება რეალისტური რომ იყოს, ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ სფეროზე უნდა შევაჩეროთ არჩევანი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური ან საკვლევად საინტერესოა. ერთ-ერთ ასეთ სფეროს ქართულ რეალობაში ადამიანთა უფლებების დაცვა წარმოადგენს და სწო-

რედ მის ფარგლებში შეგვიძლია ევროკავშირის რეგულაციების დანერგვისა და ამ რეგულაციებთან დაკავშირებით ექსპერტებისა და მოსახლეობის შეხედულებების კვლევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** იმის განსაზღვრა, თუ ევროპეიზაციის მექანიზმებიდან, უმეტესად, რომელი და რა გზით უბიძგებს საქართველოს, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში ევროკავშირის რეგულაციები დანერგოს. ხოლო მიზნის შესაბამისი **ამოცანებია:**

1. პირობითობის მექანიზმის როლის კვლევა საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში;
2. თვითპირობითობის მექანიზმის როლის კვლევა საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში;
3. სოციალიზაციის მექანიზმის როლის კვლევა საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში.

ჰიპოთეზა: როგორც აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, საქართველოს წინამორბედების შემთხვევაში, ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის უმთავრესი მექანიზმი, მათ შორის, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში, პოზიტიური პირობითობა იყო. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოშიც, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში, პოზიტიური პირობითობა ევროპეიზაციის წამყვან მექანიზმად მოგვევლინება.

ცნებების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია

როგორც აღინიშნა, კვლევის დიზაინის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი თეორიული ცნებების ოპერაციონალიზაციაა, რათა ისინი ემპირიულად გაზომვადი გავხადოთ. პრობლემის დასმისას, მკვლევარი კონცეპტუალიზაციით იწყებს და ოპერაციონალიზაციით ასრულებს. როგორც განვმარტეთ, *კონცეპტუალიზაცია* გულისხმობს პროცესს, როცა მკვლევარი ხსნის, თუ რას გულისხმობს ცალკეული ცნების ქვეშ (Babbie, 2001, 122). განხილულ მაგალითში საქართველოს ევროპეიზაციის წარმმარ-

თველი მექანიზმების შესახებ, პირობითობის, თვითპირობითობის და სოციალიზაციის ცნებების განმარტება სწორედ კონცეპტუალიზაციის ნიმუშია. თუმცა, მხოლოდ ცნებების კონცეპტუალიზაცია საკმარისი არ არის, რათა ისინი ემპირიულად გაზომვადი გავხადოთ, არამედ მკვლევარმა უნდა ახსნას, თუ რა გზით გეგმავს პირობითობის, თვითპირობითობის და სოციალიზაციის მექანიზმების ქმედითუნარიანობის გაზომვას ქართულ რეალობაში, ჩვენ შემთხვევაში, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროს მაგალითზე. ეს პროცესი *ოპერაციონალიზაციის* სახელითაა ცნობილი, მის შედეგად მიღებული საზომი კი – *ოპერაციული დეფინიციის* სახელით (Babbie, 2001, 140). აღსანიშნავია, რომ კონცეპტუალიზაციას და ოპერაციონალიზაციას მხოლოდ კვლევის დაწყებამდე კი არა აქვს ადგილი, არამედ ემპირიული კვლევის პროცესშიც გრძელდება, რომლის დროსაც მეტად იხვეწება კონცეპტუალური და ოპერაციული დეფინიციები.

კონცეპტუალიზაციის და ოპერაციონალიზაციის მაგალითები ზემოთაც წარმოვადგინეთ, თუმცა აქ კიდევ ერთ ნიმუშს განვიხილავთ. ვთქვათ, ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში მოპოვებული სოციალური კაპიტალის შესწავლას. ცხადია, რომ სოციალური კაპიტალის ცნების კონცეპტუალიზაციით უნდა დავიწყოთ და შემდეგ მისი ოპერაციონალიზაცია უნდა მოვახდინოთ. პირველ რიგში, განვმარტავთ, რომ სოციალური კაპიტალი ინდივიდთა ყოველდღიურ სოციალურ ურთიერთობებს აღწერს. ინდივიდები ურთიერთობენ როგორც მათი პირველადი ჯგუფის წევრებთან, ვისთანაც უშუალო ემოციური კავშირები აქვთ (ოჯახის წევრები, ახლო მეგობრები), ისე მეორადი ჯგუფის წევრებთან, ვისთანაც ინსტრუმენტული მიზნები აკავშირებთ (თანამშრომლები, ბიზნესპარტნიორები, უბრალო ნაცნობები). სწორედ ამ მოსაზრებით, პატნამმა (2000) სოციალური კაპიტალის ორი ქვეკატეგორია გამოყო: „გამაერთიანებელი“ (bonding), რომელიც პირველადი ჯგუფების წევრებთან ურთიერთობებს აღწერს და „მაკავშირებელი“

(bridging), რომელიც მეორადი ჯგუფების წევრებთან ურთიერთობებს აღწერს. მართალია, სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში ინსტრუმენტული მიზნით მიდის, მან შესაძლოა ახლო მეგობრული ურთიერთობები დაამყაროს მის რამდენიმე კურსელთან და ამ გზით, მეორადი ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის ფორმირება მოხდეს. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს ამ ურთიერთობების კომპლექსური ქსელის შესწავლას და ამისთვის სოციალური კაპიტალის ცნების კონცეპტუალიზაცია მოვახდინეთ. თუმცა, ეს არ არის საკმარისი სტუდენტების სოციალური კაპიტალის ემპირიულად გასაზომად, რისთვისაც აუცილებელია სოციალური კაპიტალის ცნების ოპერაციონალიზაცია, ანუ იმის განსაზღვრა, თუ რა კონკრეტული ცვლადებით ვზომავთ მათ სოციალურ კაპიტალს. თუ მათ მაკავშირებელ სოციალურ კაპიტალს ვზომავთ, კურსელებთან ერთობლივად განხორციელებულ აქტივობებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რაც ან სასწავლო მიზნების განხორციელებას ემსახურება, იქნება ეს სასწავლო კურსის ფარგლებში ერთმანეთის დახმარება, ერთობლივ კვლევით პროექტზე მუშაობა, დარგის უახლესი ლიტერატურის ერთად თარგმნა და ა.შ., ან კურიკულუმის მიღმა გარკვეული აქტივობების განხორციელებას, იქნება ეს ერთობლივ სპორტულ თუ თეატრალურ ღონისძიებებში მონაწილეობა, სტუდენტურ ორგანიზაციაში ერთად საქმიანობა, უნივერსიტეტის ბაღში ნარგავების ერთად დარგვა და ა.შ. თუკი სტუდენტების გამაერთიანებელ სოციალურ კაპიტალს ვზომავთ, უნდა ვიკვლიოთ კურსელებთან დამყარებული ახლო მეგობრული ურთიერთობები, საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა ერთად გატარებული თავისუფალი დრო, ერთმანეთთან სახლებში სტუმრობა, პირადი ინფორმაციის გაზიარება და ა.შ. ჩამოთვლილი ინდიკატორები ის ოპერაციული დეფინიციებია, რომლებიც სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში შეძენილ, ინსტრუმენტულ და აფექტურ ურთიერთობებზე დამყარებულ სოციალურ კაპიტალს ზომავს და თუ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან ჯგუფური ინ-

ტერვიუს ჩატარებას ვგეგმავთ, სწორედ ამ თემებზე უნდა ვესაუბროთ.

შერჩევა

როგორც კვლევის დიზაინის სტრუქტურის განხილვისას აღინიშნა, შერჩევა კვლევის სამიზნე ჯგუფიდან თუ პოპულაციიდან უშუალოდ ჩვენს კვლევაში მონაწილე ერთობლიობის განსაზღვრას გულისხმობს, იქნება ეს ადამიანები, დოკუმენტები, ვიზუალური მასალა თუ სხვ. რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, სადაც შერჩევის მიზანია ემპირიულ კვლევაში მონაწილე ერთობლიობის იმგვარად შერჩევა, რომ შემდეგ შესაძლებელი იყოს მიღებული მონაცემების მთელ სამიზნე ჯგუფზე განზოგადება, თვისებრივ კვლევაში შერჩევის მიზანია სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოვლენა. რადგან თვისებრივ კვლევას რაოდენობრივის მსგავსი რეპრეზენტატულობა არ მოეთხოვება, ამიტომ ის არც ალბათურ შერჩევას იყენებს, რომელშიც სამიზნე ჯგუფის ყველა წევრს/ერთეულს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი და არანულოვანი შანსი აქვს. თვისებრივ კვლევაში არაალბათური შერჩევა გამოიყენება, ანუ მიზანმიმართულად ხდება სამიზნე ჯგუფის იმ წევრების/ერთეულების შერჩევა, რომლებიც უშუალოდ ემპირიულ კვლევაში მიიღებენ მონაწილეობას და ეს შერჩეული ჯგუფი საკმაოდ მცირერიცხოვანია – სხვადასხვა ავტორის აზრით, საშუალოდ, 20-30 (Creswell, 2013) ან 30-50 რესპონდენტის/ერთეულის (Morse, 1994) ფარგლებში მერყეობს; შესაბამისად, მის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების მთელ სამიზნე ჯგუფზე განზოგადება არ ხდება, არამედ მკვლევარი იმ ძირითად ტენდენციებზე საუბრობს, რაც სამიზნე ჯგუფისთვის სპეციფიკურია და მათ სიღრმისეულ ახსნას ცდილობს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივ კვლევაში რესპონდენტების/ერთეულების რაოდენობის განსაზღვრისას, აუცილებლად

გასათვალისწინებელია კონკრეტული კვლევის ფოკუსი, საკვლევი თემა, დიზაინის თავისებურებები, მონაცემების ხარისხი და „ჩრდილოვანი“ მონაცემების გამოყენებაც (მაგალითად, მონაწილეთა ანგარიშები სხვების შესახებ) (Morse, 2000), აგრეთვე კვლევის ხანგრძლივობა/გრაფიკი და მკვლევრის ხელთ არსებული რესურსები.

რადგან თვისებრივ კვლევაში მიზანმიმართულად ხდება საკვლევი ერთეულების შერჩევა, ამიტომ შერჩევის დომინანტურ ფორმად **მიზნობრივი შერჩევა** გვევლინება. სწორედ მიზნობრივად ვარჩევთ რესპონდენტებს, როცა მათი მოსაზრებები გვაინტერესებს, ვთქვათ, სკოლაში სწავლების გამოცდილების, გარკვეულ ქვეყანაში შრომითი მიგრაციის, ოჯახში ძალადობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში, ინდივიდუალური თუ ჯგუფური ინტერვიუები უნდა დავგეგმოთ მათთან, ვინც სკოლის მასწავლებელია, შრომითი მიგრანტია კონკრეტულ ქვეყანაში, ოჯახის ძალადობის მსხვერპლია და ა.შ. ამასთან, შეგვიძლია ექსპერტული ინტერვიუებიც ჩავატაროთ ამ საკითხებზე მომუშავე პროფესიონალებთან. დოკუმენტური ანალიზისას კი სწორედ იმ დოკუმენტურ თუ აუდიო/ვიდეო მასალას უნდა გავეცნოთ, რაც ზემოხსენებულ თემებს ეხება, იქნება ეს საგაზეთო სტატიები თუ ბლოგები, სამიზნე ჯგუფის წევრთა დღიურები თუ მემუარები, მედიით გაჟღერებული ექსპერტთა მოსაზრებები თუ პოლიტიკის შემქმნელთა კომენტარები და ა.შ. ჩვენს მაგალითს რომ დავუბრუნდეთ საქართველოში ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ, პირველ რიგში, კვლევისთვის პოლიტიკის შემქმნელები უნდა შევარჩიოთ, რომლებიც ევროკავშირის რეგულაციებს ნერგავენ ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში, აგრეთვე დარგის ექსპერტები, რომლებიც ამ რეგულაციების დანერგვის ეფექტიანობას შეაფასებენ. მსგავსი სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობაა **ექსპერტული შერჩევა,** რომელიც რესპონდენტისგან სპეციფიკურ კვალიფიკაციას თუ გამოცდილებას

ითხოვს. ცხადია, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის გარეშე, რესპონდენტი ვერ შეაფასებს განხორციელებული რეგულაციების ეფექტიანობას. მსგავსად ამისა, რესპონდენტი ვერ ისაუბრებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, თუ მათთან უშუალოდ არ უმუშავია და მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას სათანადოდ არ იცნობს.

მკვლევრები მიზნობრივი შერჩევის კიდევ არაერთ ტიპს გამოყოფენ, თუმცა, ჩვენი შეხედულებისამებრ, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანზე შევჩერდებით, როგორიცაა ჰეტეროგენული შერჩევა, ჰომოგენური შერჩევა, ტიპური შემთხვევების შერჩევა, ექსტრემალური ანუ დევიანტური შემთხვევების შერჩევა და კრიტიკული შემთხვევების შერჩევა (Patton, 2014).

ჰეტეროგენული შერჩევისას მკვლევრის მიზანია იმ საკვანძო ელემენტების თუ გაზიარებული მახასიათებლების აღმოჩენა, რაც სხვადასხვა ერთობლიობისთვის საერთოა, თუმცა, იმავდროულად, მათი უნიკალური თუ განსხვავებული თავისებურებების წარმოჩენის შესაძლებლობასაც იძლევა. ამის ნათელი მაგალითია კულტურული უნივერსალიის კვლევა, რომელიც იმ უნივერსალურ მახასიათებელს აღწერს, რაც სხვადასხვა კულტურისთვის საერთოა, თუმცა თითოეულის შემთხვევაში კულტურულ-სპეციფიკურია, იქნება ეს ქორწინების ტრადიცია, სუფრის გაძღოლის ტრადიცია თუ სხვ. ამიტომ ჰეტეროგენული შერჩევისას მკვლევარი შეეცდება, რაც შეიძლება განსხვავებული შემთხვევები შეარჩიოს, რათა მოცემული კულტურული უნივერსალია მაქსიმალურად მრავალფეროვან გარემოში იკვლიოს.

ჰომოგენური შერჩევისას კი მკვლევარი საპირისპირო სტრატეგიას ირჩევს, ანუ მსგავსი მახასიათებლების და გამოცდილების მქონე ერთობებს შეარჩევს, რაც მათ შორის განსხვავებებს ამცირებს და მონაცემების ანალიზს ამარტივებს. ეს სტრატეგია ხშირად გამოიყენება ფოკუსჯგუფების დროს. მაგა-

ლითად, თუ მკვლევარს აინტერესებს იმ მარტოხელა დედების გამოცდილება, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობენ, მხოლოდ ამ კონკრეტული ნიშნით შეარჩევს ფოკუსჯგუფის მონაწილეებს.

ტიპური შემთხვევების შერჩევისას მკვლევარს ტიპური ანუ ყველაზე გავრცელებული შეხედულებების შესწავლა აინტერესებს და სწორედ ამ მოსაზრებით არჩევს „ტიპურ“ საკვლევ ერთეულებს, რათა შეისწავლოს, ვთქვათ, „ტიპური“ დიასახლისების ყოველდღიური ცხოვრება ან „ტიპური“ სკოლების სასწავლო პროცესი.

ექსტრემალური ანუ დევიანტური შემთხვევების შერჩევისას მკვლევარი არატიპურ თუ გამონაკლის შემთხვევებს სწავლობს, მაგალითად, განსაკუთრებული მიღწევების თუ განსაკუთრებული მარცხის შემთხვევები. თუ რამდენიმე სკოლის კურსდამთავრებულები განსაკუთრებით მაღალ შედეგებს აჩვენებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, მაშინ მკვლევარი სწორედ ამ სკოლებით დაინტერესდება, რათა მათი სწავლების სპეციფიკა იკვლიოს.

და ბოლოს, **კრიტიკული შემთხვევების შერჩევა** ისეთ შემთხვევებს მოიცავს, რომლებიც მოცემული სამიზნე ჯგუფის შეხედულებებისა თუ ქცევების შესახებ კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. მაგალითად, თუ საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში ახალი რეგულაციები ინერგება, თუმცა პოლიტიკის შემქმნელებმა არ იციან, რამდენად გასაგები იქნება ეს რეგულაციები ფართო მოსახლეობისთვის, პირველ რიგში, განსახილველი რეგულაციები მოსახლეობის განათლებულ სეგმენტს უნდა მისცენ შესაფასებლად და თუ ეს სეგმენტი ვერ გაიგებს რეგულაციების არსს, ნაკლებ განათლებულ მოსახლეობას მით უფრო გაუჭირდება მათი გაგება. შესაძლოა პირიქითაც მოხდეს, ანუ რეგულაციები ნაკლებ განათლებულ მოსახლეობას მისცენ შესაფა-

სებლად და თუ ამ სეგმენტისთვის მათი არსი ნათელია, მეტად განათლებული მოსახლეობისთვისაც გასაგები იქნება.

რაც შეეხება შერჩევითი ერთობლიობის ზომას, არსებობს შემთხვევები, როცა მკვლევარი მას წინასწარ კი არ განსაზღვრავს, არამედ კვლევის პროცესში, ანუ თავად ემპირიული კვლევა აჩვენებს, თუ რამდენ რესპონდენტზე/ერთეულზე შეაჩეროს არჩევანი. მიზნობრივი შერჩევისას მკვლევარი ხომ ინფორმაციის საჭიროებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას საკვლევი ერთეულის შესახებ, ამიტომ მას შეუძლია შეწყვიტოს შერჩევა მაშინ, როცა ყოველი მომდევნო შემთხვევისას მონაცემები მეორდება და ახალი ინფორმაცია აღარ შემოდის (Lincoln, Gupa, 1985, 202).

თვისებრივი შერჩევის კიდევ ერთი საკმაოდ გავრცელებული ტიპი, რომელიც ჯერ კიდევ ჩიკაგოს სკოლის კვლევებიდან იღებს სათავეს, **თოვლის გუნდის** მეთოდია. ავტორთა ნაწილი მას მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობად განიხილავს (Patton, 2014), ნაწილი კი – თვისებრივი შერჩევის დამოუკიდებელ მეთოდად (Bernard, 2006). როგორც ზემოთ აღინიშნა, თოვლის გუნდის მეთოდი განსაკუთრებით მიზანშეწონილია რთულად ხელმისაწვდომი ჯგუფების საკვლევად. სწორედ ამგვარ ჩაკეტილ ჯგუფს წარმოადგენდნენ კრიმინალური ბანდები, რომელთაც ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგები იკვლევდნენ. თუმცა, შერჩევის ეს მეთოდი გამოსადეგია არა მარტო დევიანტური, არამედ ისეთი მარგინალიზებული და სტიგმატიზებული ჯგუფების წევრების რეკრუტირებისთვის, როგორიცაა უსახლკარო ადამიანები, ჰომოსექსუალები, ნარკომანები, აივ/შიდსის მქონე პირები და ა.შ. შერჩევის ეს მეთოდი არანაკლებ ხელსაყრელია ელიტური ჯგუფების წევრებთან დასაკავშირებლად, მაგალითად, პარლამენტარებთან თუ მინისტრებთან, რომლებიც აგრეთვე ჩაკეტილ ჯგუფს ქმნიან. თოვლის გუნდის მეთოდი საშუალებას აძლევს მკვლევარს, ჯგუფის ერთ წევრთან დაკავშირების გზით, მის სხვა წევრებსაც დაუკავშირდეს და კვლევაში ჩართოს. მაგალითად, ერთ მინის-

ტრთან წარმატებული ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, მკვლევარმა უნდა სთხოვოს, მის კოლეგა სხვა მინისტრს დააკავშიროს; თავის მხრივ, მეორე მინისტრი მკვლევარს მის სხვა კოლეგასთან დააკავშირებს და ა.შ. მსგავსი მიდგომა უნდა გამოიყენოს მკვლევარმა ისეთი მარგინალიზებული ჯგუფის შემთხვევაშიც, როგორიც უსახლკარო ადამიანებია, რომლებიც მათი წრის მიღმა მყოფ ადამიანებს ნაკლებ ენდობიან და საკმაოდ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. ერთ-ერთ უსახლკარო ადამიანთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით შესაძლოა მკვლევარი მარტივად მოხვდეს ამ ჩაკეტილი ჯგუფის წიაღში და მისმა ნაცნობმა სხვა უსახლკაროები გააცნოს, მათ კიდევ – სხვები და ამ გზით მკვლევარმა რესპონდენტთა საკმაოდ დიდ ჯგუფზე მოიპოვოს წვდომა. თუმცა, თოვლის გუნდის მეთოდს თავისი ნაკლიც აქვს, კერძოდ, რესპონდენტები მკვლევარს, უმეტესად, მათივე მახასიათებლების მქონე თუ მსგავსი შეხედულებების მატარებელ ინდივიდებთან აკავშირებენ. უფრო მეტიც, მოცემულ ჯგუფს მიღმა სამიზნე ჯგუფის წევრების წვდომა საკმაოდ რთულია. მაგალითად, თუ მკვლევარი რომელიმე ბანდის წარმომადგენლებთან კვლევას ატარებს, ამ ბანდის ერთმა წევრმა შესაძლოა მეორეს დააკავშიროს, მეორემ – მესამეს და ყოველი მომდევნო ინტერვიუს შედეგად მისი შერჩევის ჩარჩო გაიზრდება. თუმცა, ამ სტრატეგიის გამოყენებით ის მხოლოდ მოცემული ბანდის შიგნით იტრიალებს და ვერ შეძლებს ამ ბანდის მოქიშპე ბანდასთან დაკავშირებას.

თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებისას მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები: 1. რესპონდენტების პოვნა და მათი ქსელის თუ „ჯაჭვის“ აგების დაწყება; 2. პოტენციური რესპონდენტების რელევანტურობაში დარწმუნება; 3. რესპონდენტების კვლევის ასისტენტებად ჩართვა; 4. თითოეული ტიპის „ჯაჭვისა“ და მასში შემთხვევების რაოდენობის გაკონტროლება; 5. ამ „ჯაჭვების“ დახმარებით მოპოვებული მონაცემების ხარისხის მონიტორინგი (Biernacki, Waldorf, 1981, 144). ავ-

ტორები დეტალურად განიხილავენ ამ ხუთ ეტაპს უაღრესად საინტერესო კვლევაში ყოფილი ნარკომანების შესახებ, რომელთაც საკუთარი ნებით, სამედიცინო ჩარევის გარეშე თქვეს უარი ნარკოტიკების მოხმარებაზე და რომელშიც ზემოხსენებულ ჯგუფს ყოფილი ნარკომანების იმ ჯგუფთან ადარებენ, ვინც მკურნალობის შედეგად გადააგდო ნარკოტიკი.

პირველ კომპონენტზე ანუ რესპონდენტების პოვნაზე საუბარს ისინი სამიზნე ჯგუფის სოციალური ხილვადობის განხილვით იწყებენ. გარკვეული სამიზნე ჯგუფები, როგორიცაა სკოლის პედაგოგები, პოლიცია, მინისტრები და ა.შ., მაღალი სოციალური ხილვადობით გამოირჩევიან და თუნდაც მკვლევარს გაუჭირდეს მათთან წვდომის მოპოვება, ის უდავოდ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად შეიძლება მათი პოვნა. სხვა სამიზნე ჯგუფები ნაკლები სოციალური ხილვადობით ხასიათდებიან, მათ ქმედებებთან დაკავშირებული მორალური, სამართლებრივი თუ სოციალური პრობლემების გამო, რაც პოტენციური რესპონდენტების პოვნას ართულებს. სწორედ ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნებიან ყოფილი ნარკომანებიც, რომელთაც არასდროს გაუვლიათ მკურნალობის კურსი. განსხვავებით ამ ჯგუფისგან, ბევრად მარტივია იმ ყოფილი ნარკომანების პოვნა და კვლევაში ჩართვა, ვინც მკურნალობის გარკვეული კურსი გაიარა. მკვლევარს შეუძლია ამ ჯგუფზე გასვლა შესაბამის ინსტიტუციასთან კავშირის გამო, მისი პერსონალის ფორმალური თუ არაფორმალური კონტაქტების დახმარებით. მართლაც, აღნიშნულ შემთხვევაში, მკვლევრებს არ გასჭირვებიათ მკურნალობის კურსგავლილ ყოფილ ნარკომანებთან დაკავშირება, რომლებიც მონდომებითაც კი ერთვებოდნენ კვლევაში, რათა სიამაყით გაეზიარებინათ მათი წარმატების ისტორიები. მკვლევრებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ ჯგუფის მეშვეობით ყოფილი ნარკომანების იმ ჯგუფსაც დაუკავშირდებოდნენ, ვისაც მკურნალობის კურსი არ გაუვლია, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა. მკურნალობაგავლილი რესპონდენტების დიდ ნაწილს არც კი სჯეროდა, რომ

მკურნალობის გარეშე ვინმე უარს იტყოდა ნარკოტიკების მოხმარებაზე და ამიტომ ამ მეორე ჯგუფს სკეპტიკურადაც კი აღიქვამდნენ. მართლაც, კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ყოფილი ნარკომანები, ვისაც მკურნალობის კურსი არ გაუვლიათ, ბევრად არახილვადები იყვნენ და ბევრად იზოლირებულნი სხვა ყოფილი ნარკომანებისგან, ვიდრე მკურნალობაგავლილი ინდივიდები. რესპონდენტთა შერჩევის სირთულის გამო, მკვლევრებმა თეორიულ მასალას მიმართეს და მის საფუძველზე სცადეს მსგავსი სოციალურად არახილვადი ჯგუფების შესწავლის პრეცედენტების აღმოჩენა. როცა კვლევის მიზანი რაიმე თეორიის შემოწმებაა, მოცემული თეორია ნათლად განსაზღვრავს შესაბამის სამიზნე ჯგუფს და მკვლევარიც იმის მიხედვით არჩევს რესპონდენტებს, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი წარმოდგენილ თეორიულ კონსტრუქტებს. მაგალითად, თუ დევიანტების კვლევა სურს, მკვლევარმა ის ადამიანები უნდა შეარჩიოს, ვინც თეორიის საფუძველზე დადგენილ „დევიანტობის“ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. შერჩევის ეს მეთოდი **თეორიული შერჩევის** სახელითაა ცნობილი და მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობადაა მიჩნეული (Patton, 2014). მოცემულ შემთხვევაში, მკვლევრებმა სწორედ ამ მეთოდს მიმართეს და, პირველ რიგში, რობინსის კვლევა გამოიყენეს ვიეტნამის ომის ვეტერანების შესახებ (1973), რომელმაც აჩვენა, რომ ვეტერანების უმრავლესობა, რომელიც ვიეტნამში ნარკოტიკებს მოიხმარდა, აშშ-ში დაბრუნებიდან სამ წელიწადში მათ საერთოდ აღარ მოიხმარდა, თან ამისთვის მკურნალობის კურსი გავლილი არ ჰქონდა. ამდენად, ყოფილ ნარკომანთა შესარჩევად ერთ-ერთ მთავარ სამიზნე ჯგუფს ვიეტნამის ომის ვეტერანები წარმოადგენდნენ. დამხმარე წყაროებად სხვა მსგავსი კვლევებიც იქნა გამოყენებული, რომლებიც აჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჰეროინს აღარ მოიხმარენ, ყოფილ ნარკომანებს სერიოზული პრობლემები უჩნდებათ ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებით. ამდენად, რესპონდენტების პოვნა შესაძლებელი იყო ისეთ ჯგუფებს შორის,

როგორიცაა ანონიმური ალკოჰოლიკები და სხვ. (Biernacki, Waldorf, 1981, 144-147). სწორედ ამ გზით მოხდა საწყისი რესპონდენტების მოძიება. გამოდის, რომ ყოფილი ნარკომანების შერჩევის საწყის ეტაპზე, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ კონსტრუქტებზე დაყრდნობით, მკვლევრებმა სწორედ თეორიული შერჩევა გამოიყენეს.

შერჩევის პირველი ეტაპის შემდეგ, მნიშვნელოვანია პოტენციური რესპონდენტების რელევანტურობაში დარწმუნება. როცა საწყისი კონტაქტების სია ამოწურულია, მკვლევარს ახალი კონტაქტების დამყარება უწევს და სწორედ აქ იჩენს თავს დამატებითი პრობლემები. სადაც წინასწარი კონტაქტები არ არის დამყარებული, მკვლევარს არ შეუძლია, ბრმად ენდოს მონაცემებს, თუნდაც, ერთი შეხედვით, პოტენციური რესპონდენტები საჭირო კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. რაც უფრო დისტანციური და ნაკლებ პერსონალური ხდება „ჯაჭვის“ თითოეული უჯრედი, მით უფრო რთულდება მისი რელევანტურობის დადგენა. ერთი გამოსავალია კვლევის დამხმარე პერსონალისთვის შესაბამისი ინსტრუქციის მიწოდება, კერძოდ, რადგან ეთიკის ნორმების გათვალისწინებით, მკვლევრებმა შესაძლოა ვერ მოახერხონ პირდაპირი კონტაქტების დამყარება პოტენციურ რესპონდენტებთან, სამედიცინო დაწესებულების პერსონალი, მკვლევრების მიერ მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების დაცვით, თავად უნდა დაუკავშირდეს მკურნალობის კურსგავლილ ყოფილ ნარკომანებს და მხოლოდ მათი საკონტაქტო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მკვლევრებს, ვინც კვლევაში მონაწილეობის თანხმობას განაცხადებს. ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, შერჩევის ყველა კრიტერიუმი უნდა გაამჟღავნონ მკვლევრებმა თუ მხოლოდ რამდენიმე მათგანი. ძალიან ბევრი კრიტერიუმის გამჟღავნებამ შესაძლოა ვერიფიკაციის პრობლემები შექმნას, ძალიან ცოტა კრიტერიუმის გამჟღავნებამ კი – მენეჯმენტის პრობლემები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მკვლევარს უხერხულად მიაჩნია არარელევანტური, თუმცა მოწადინებული

ინდივიდისთვის კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა. ხშირად რესპონდენტთა რელევანტურობის ვერიფიკაციის წყარო მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაციაა – პირები, რომლებიც უშუალოდ იცნობენ პოტენციურ რესპონდენტებს, ადასტურებენ, რომ ეს უკანასკნელნი კვლევისთვის საჭირო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ (იქვე, 148-150).

მესამე და უმნიშვნელოვანესი ეტაპია რესპონდენტების კვლევის ასისტენტებად ჩართვა, რაც თოვლის გუნდის მეთოდის ბირთვს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ასისტენტები იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ეთნოგრაფიულ კვლევაში ინფორმანტები. კვლევის ასისტენტებად გვევლინებიან თავად ყოფილი ნარკომანები, რომლებიც ამ ჩაკეტილი ჯგუფის წევრებს პირადად იცნობენ და საკვლევ თემაზე „შიდა აქტორის“ („ინსაიდერის“) გამოცდილებას ფლობენ. ცხადია, რომ ყველა „ინსაიდერი“ თანაბრად არ გამოდგება რესპონდენტების რეკრუტირებისთვის, არამედ მკვლევარი მხოლოდ მათ დაეყრდნობა, ვისაც ენდობა და სჯერა, რომ პოტენციურ რესპონდენტებს კვლევის შესახებ ინფორმაციას ადეკვატურად მიაწვდიან. „ინსაიდერების“ კვლევის ასისტენტებად ჩართვის ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ ჩაკეტილი ჯგუფის წევრები, რომლებიც უცხო ადამიანებს არ ენდობიან და მარტივად არ უზიარებენ შიდა ინფორმაციას, მკვლევარს მეტი ნდობით მოეკიდებიან, რადგან ის მათივე ჯგუფის წევრმა წარადგინა და თან მანამდე თავად გაუზიარა მკვლევარს პირადი ინფორმაცია (იქვე, 152-154).

რაც შეეხება „ჯაჭვის“ ტიპებისა და შემთხვევების რაოდენობის კონტროლს, როგორც უკვე ვნახეთ, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ტიპის „ჯაჭვი“ გამოიყენება, სამედიცინო პერსონალით დაწყებული და უშუალოდ სამიზნე ჯგუფის წევრებით დასრულებული. კვლევის განვითარების კვალდაკვალ, მკვლევარი მეტად სელექციური ხდება რესპონდენტების შერჩევის თვალსაზრისით. მაგალითად, ყოფილი ნარკომანების კვლევისას, პირველი ოცი შემთხვევის ანალიზმა აჩვენა, რომ განკურნებუ-

ლი რესპონდენტების დიდი ნაწილი თავად მუშაობდა ნარკომანიის მკურნალობის პროგრამებში. ამიტომ, მხოლოდ ცალმხრივი პერსპექტივა რომ არ გამოვლენილიყო, მკვლევრებმა გადაწყვიტეს, მეტად სელექციურები ყოფილიყვნენ და კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოერიცხათ ისინი, ვინც ნარკომანიის მკურნალობის პროგრამებში იყვნენ დასაქმებულნი (იქვე, 155). გარდა სელექციურობისა, მნიშვნელოვანია შემთხვევების რაოდენობის კონტროლიც. შეკითხვაზე, თუ კიდევ რამდენი შემთხვევა უნდა მოიცვას, მკვლევრის პასუხს ორი გარემოება განაპირობებს: 1. რამდენად მდიდარია მოპოვებული მონაცემები და რამდენად აღწერს მოცემული ჯგუფის შიგნით არსებულ ტენდენციებს; 2. რამდენად მეორდება ინფორმაცია ყოველი მომდევნო შემთხვევის დამატებისას. მხოლოდ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით არის შესაძლებელი ხარისხიანი მონაცემების მოპოვება, რომელთაც მკვლევარმა მთელი კვლევის განმავლობაში სათანადო მონიტორინგი უნდა გაუწიოს.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ემპირიული კვლევისას შერჩევის ადეკვატურად განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია მონაცემების სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველყოფისთვის.

კვლევის სანდოობა და ვალიდობა

თვისებრივი კვლევა, მსგავსად რაოდენობრივი კვლევისა, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობისა და ვალიდობის მოთხოვნებს.

სანდოობა გულისხმობს, რომ იმავე პირობებში, იმავე მეთოდის გამოყენებით კვლევის განმეორების შედეგად, მკვლევარმა იდენტური შედეგები უნდა მიიღოს. კვლევის სანდოობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა ისეთი საზომების გამოყენება, რაც არაერთხელ გამოყენებულა წინა კვლევებში და მათი სანდოობაც დადასტურებულია. სანდოობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი გზაა ერთზე მეტი საზომის გამოყენება გარკვეული

სოციალური ფენომენის გასაზომად, იქნება ეს შერეული მეთოდების გამოყენება თუ ერთ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე განსხვავებული შეკითხვის დასმა. მიუხედავად განსხვავებული ფორმულირებისა, ყველა ეს შეკითხვა სწორედ მოცემულ ფენომენს უნდა ზომავდეს, შესაბამისად, მსგავსი ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოს. ძალიან მნიშვნელოვანია თავად მკვლევრის გავლენით გამოწვეული პრობლემების გაკონტროლებაც, იქნება ეს უშუალოდ ინტერვიუს პროცესთან თუ მონაცემების კოდირებასთან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, სანდოობის შემოწმების რამდენიმე მექანიზმია: პირველ რიგში, კონკრეტული ინტერვიუს მონაცემების იმავე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სხვა ინტერვიუს მონაცემებთან შედარება. კოდირებისას კი რამდენიმე ადამიანის ჩართვა კოდების შემუშავებაში და შექმნილი კოდების ადეკვატურობის ამ გზით შემოწმება.

ვალიდობა გულისხმობს, რომ ემპირიული საზომი ადეკვატურად ზომავს საკვლევ სოციალურ ფენომენს. ვალიდობის ორი ზოგადი ტიპია: შინაგანი და გარეგანი ვალიდობა. *შინაგანი ვალიდობა* კაუზალურ კავშირებზეა დაფუძნებული და გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს კონკრეტული პირობები იწვევს კვლევის ამგვარ შედეგებს; ხოლო *გარეგანი ვალიდობა* ნიშნავს, რომ კვლევის შედეგები განზოგადებადია მის მსგავს სხვა შემთხვევებზეც. მართალია, თვისებრივ კვლევაში არ მოითხოვება იმ სახის განზოგადება, როგორიც რაოდენობრივ კვლევაში, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ნებისმიერი კვლევა განზოგადების გარკვეულ ხარისხს გულისხმობს, რადგან სხვაგვარად ის მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას ახსნის და სამეცნიერო ღირებულება ვერ ექნება.

მკვლევართა აზრით, ვალიდობის უზრუნველყოფის რამდენიმე გზა არსებობს: *ზედაპირული ვალიდობა,* როცა ერთი შეხედვითაც ვხვდებით, რომ საზომი იმას ზომავს, რისი გაზომვაც სურს. ასეთ დროს, როგორც წესი, უკვე დამკვიდრებული ოპერაციული დეფინიციები გამოიყენება; მაგალითად, სოციალური კაპიტალის გაზომვისას, პატნამის „გამაერთიანებელი“ და „მაკავ-

შირებელი“ კაპიტალის ცნობილი კლასიფიკაცია. *კრიტერიუმთან დაკავშირებული* ანუ *პრედიქტული ვალიდობა,* რომელიც გარე კრიტერიუმის გამოყენებით აფასებს ემპირიული საზომის ვალიდობას. მაგალითად, კოლეჯის მისაღები გამოცდების ვალიდობა გამოიხატება მის უნარში, რომ ჩარიცხული სტუდენტების წარმატების პრედიქტორად გამოდგეს. ამ შემთხვევაში, კოლეჯში წარმატებით სწავლა სწორედ გარე კრიტერიუმს ქმნის. ვალიდობის კიდევ ერთი ტიპია *კონსტრუქტის ვალიდობა,* რომელიც ცვლადებს შორის ლოგიკურ კავშირზეა დამყარებული. მაგალითად, თუ ქორწინებით კმაყოფილებას ცოლქმრული ერთგულებით ვზომავთ, თუმცა აღმოჩნდება, რომ ქორწინებით კმაყოფილი წყვილები ისევე ღალატობენ ერთმანეთს, როგორც უკმაყოფილონი, მაშინ ჩვენი საზომის ვალიდობაში ეჭვი უნდა შევიტანოთ. არსებობს *შინაარსის ვალიდობაც,* რომელიც იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად მოიცავს საზომი მოცემული ცნების ყველა შესაძლო მნიშვნელობას. მაგალითად, თუ საზოგადოებაში არსებულ დისკრიმინაციას ვზომავთ, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ყველა ტიპის დისკრიმინაცია გავითვალისწინეთ, იქნება ეს გენდერული, ასაკობრივი, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ რაიმე სხვა ნიშნით (Babbie, 2001, 143-144). კვლევის ვალიდობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი გზაა *რესპონდენტების მხრიდან ვალიდაცია,* რაც გულისხმობს უშუალოდ საკვლევი ჯგუფის წევრებისგან კვლევის მონაცემებსა და დასკვნებზე უკუკავშირის მიღებას და ამ გზით მცდარი ინტერპრეტაციის თავიდან არიდებას. ამასთან, კვლევის ვალიდობის მნიშვნელოვანი მექანიზმია *ტრიანგულაციაც* – განსხვავებული მეთოდების გამოყენებით, სხვადასხვა პირობებში ინდივიდებისგან საჭირო ინფორმაციის მოპოვება (Maxwell, 2009, 245).

მკვლევარს მუდამ უნდა ახსოვდეს კვლევის სანდოობის და ვალიდობის ოქროს წესი: თუ არ არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაიზომოს კონკრეტული ფენომენი, მკვლევარმა მის გასაზომად რამდენიმე განსხვავებული სტრა-

ტეგია უნდა გამოიყენოს. თუკი ამ ფენომენს რამდენიმე განზომილება აქვს, მკვლევარმა თითოეული მათგანი უნდა გაზომოს. ამასთან, ის უნდა დარწმუნდეს, რომ გასაზომ ფენომენს არა აქვს რაიმე სხვა მნიშვნელობა, გარდა იმისა, რაც მკვლევრისთვის ცნობილია (Babbie, 2001, 145).

კვლევის ეთიკის საკითხები

ნებისმიერ სამეცნიერო სფეროში, კვლევა შესაბამისი ეთიკური პრინციპების დაცვით წარიმართება. კვლევის ეთიკის ზედმიწევნით დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დისციპლინებში, რომელთაც ადამიანებთან აქვთ საქმე. ცხადია, რომ სოციალური მეცნიერებები ამგვარი დისციპლინების სიაში წამყვან ადგილზეა.

ვებსტერის ლექსიკონის განმარტებით, ეთიკური ნიშნავს გარკვეული დარგის თუ ჯგუფის ქცევის სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფს. გამოდის, რომ ეთიკური სტანდარტები, როგორი უნივერსალურიც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ჯგუფის წევრთა შორის შეთანხმების შედეგია. ამდენად, სხვადასხვა ჯგუფში შესაძლოა ქცევის განსხვავებული სტანდარტები იყოს დამკვიდრებული. ამიტომ, სანამ კვლევას შეუდგება, მკვლევარმა უნდა იცოდეს, თუ რა მიიჩნევა ეთიკურად ან არაეთიკურად შესასწავლ საზოგადოებასა თუ ჯგუფში, რაც კვლევის წარმატებით წარმართვის მნიშვნელოვანი გარანტია. აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ ეთიკური პრინციპები კვლევის თითოეულ საფეხურს განმსჭვალავს, ანუ მათი გათვალისწინება აუცილებელია კვლევის მიზნისა და ამოცანების ფორმულირების, შერჩევის განხორციელების, მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის პროცესში, აგრეთვე სანდოობისა და ვალიდობის საკითხების განხილვისას.

პირველი საკითხი, რაც კვლევის ეთიკის კონტექსტში წამოიჭრება, არის თავად დაგეგმილი ემპირიული *კვლევის განხორციელების მიზანშეწონილობა.* მკვლევარმა აუცილებლად უნდა დაუსვას საკუთარ თავს შეკითხვა: რამდენად ღირს ამ კვლევის

ჩატარება და რამდენად თანხმობაშია ის ჩემს პიროვნულ ღირებულებებთან? როგორც წესი, ოპორტუნისტულ კვლევებში, რომელთაც მხოლოდ ფინანსური ინტერესები ამოძრავებს და შინაარსობრივი თვალსაზრისით მკვლევრისთვის ნაკლებ საინტერესოა, ნაკლები ყურადღება ეთმობა კვლევის დიზაინს, მონაცემების ხარისხიანად მოპოვებასა და ანალიზს, აგრეთვე კვლევის სანდოობის და ვალიდობის საკითხებს. კვლევის ანგარიშის მთავარი მიზანი იქნება, „კარგად გამოიყურებოდეს“ და არა სიღრმისეულად აღწერდეს და აკურატულად აანალიზებდეს მონაცემებს (Miles, Huberman, & Saldana, 2014, 59). ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვლევა მხოლოდ დონორებზე კი არ იყოს გათვლილი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკვლევი ჯგუფის შესახებ ღირებულ ინფორმაციას აწვდიდეს სამეცნიერო საზოგადოებას; ამასთან, თავად საკვლევი ჯგუფის წევრებშიც არ იწვევდეს ზერელე დამოკიდებულების თუ უსამართლო მოპყრობის განცდას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება მოცემული კვლევა ეთიკურად.

მეორე მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხი *კვლევის სარგებელს და დანაკარგს* უკავშირდება. მკვლევარმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: რა სარგებელს მიიღებს კვლევაში ჩართული თითოეული მხარე (მკვლევარი/მონაწილეები) და რამდენად დაბალანსებულია ეს სარგებელი? მკვლევარი ყოველთვის იღებს კვლევიდან ამა თუ იმ სარგებელს, იქნება ეს სტატიები, დისერტაცია, კარიერული წინსვლა, კოლეგების მხრიდან დაფასება თუ სამომავლო პროექტების დაფინანსება. კვლევის მონაწილეები განსხვავებულ სარგებელს იღებენ: მათი მოსაზრებები ვიღაცისთვის მნიშვნელოვანია, შესაძლოა ღირებული გამოცდილება შეიძინონ, შესაძლოა მატერიალური ჯილდოც მიიღონ, მათი პრობლემების გასაჯაროვების შედეგად შესაძლოა სხვადასხვა ტიპის დახმარება მოიპოვონ და ა.შ. თუმცა, კვლევის მონაწილენი მაინც იშვიათად იღებენ სათანადო კომპენსაციას დახარჯული დროისა და ენერგიისთვის (Miles, Huberman, & Saldana,

2014, 60). სოციალური კვლევა ხომ სხვის ცხოვრებაში „შეჭრას“ გულისხმობს, მისი კომპენსაციის მთავარი გზა კი სხვის მდგომარეობაში შესვლა ანუ ემპათიაა, რომლის გარეშე რთული იქნება ემპირიული კვლევის ეთიკურობაზე საუბარი.

შემდეგი და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც კვლევის ეთიკის ქვაკუთხედია, კვლევის მონაწილეთა მხრიდან *ინფორმირებული თანხმობის* მოპოვებაა. ინფორმირებული თანხმობის პრინციპი იმთავითვე გულისხმობს მონაწილეთათვის სიმართლის თქმას კვლევის შესახებ. მკვლევარმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: აქვს თუ არა ჩემს შესასწავლ ჯგუფს სათანადო ინფორმაცია დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებით და არის თუ არა მათი კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა ნებაყოფლობითი? ნებაყოფლობითი თანხმობა კვლევაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, თუმცა არის შემთხვევები, როცა თვისებრივი მკვლევრები არ ამხელენ დაგეგმილი კვლევის მნიშვნელოვან დეტალებს, რადგან შიშობენ, რომ კონკრეტულმა დეტალმა შესაძლოა დააფრთხოს რესპონდენტი და მან უარი თქვას კვლევაში მონაწილეობაზე, ან შესაძლოა რესპონდენტებმა ჩვეული ქცევა შეცვალონ, როცა ეცოდინებათ, რომ მათ აკვირდებიან. მართალია, მსგავსი საფრთხე არსებობს, მაგრამ ეთიკური სტანდარტების დაცვა მოითხოვს, რომ კვლევის სუბიექტებმა იცოდნენ, რას უნდა მოელოდნენ კვლევიდან. ამიტომ, როგორც წესი, „სენსიტიური“ კვლევების დაგეგმვისას, როცა „სოციალური სასურველობის“ ეფექტიც განსაკუთრებით ძლიერია და რესპონდენტებმა შესაძლოა ჩვეული რიტორიკა/ქცევა შეცვალონ, მკვლევრები იმგვარად წარადგენენ კვლევის მიზანსა და დეტალებს, რომ ამან მონაწილეთა დისკურსზე და ქცევაზე რაც შეიძლება ნაკლები გავლენა მოახდინოს. მაგალითად, თუ მოხუცთა თავშესაფარში დასაქმებული პერსონალის ბენეფიციარებისადმი დამოკიდებულებას იკვლევენ, ცხადია, მკვლევრები არ გაუმხელენ პერსონალს, რომ აინტერესებთ, თუ როგორ ექცევიან ისინი ასაკოვან ადამიანებს, რადგან, უდავოა, რომ დაკვირვების

სუბიექტები შეეცდებიან, რაც შეიძლება უკეთ მოექცნენ ბენეფიციარებს კვლევის პროცესში და მკვლევრებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეამოწმონ, ეს მათი ყოველდღიური პრაქტიკაა თუ მხოლოდ კვლევის ეფექტი. ამიტომ მკვლევრებმა იმ სახით უნდა წარუდგინონ პერსონალს კვლევის მიზანი, რომ „სოციალური სასურველობის“ გამო მათ ჩვეული ქცევა არ შეცვალონ. მაგალითად, მკვლევრებს შეუძლიათ თქვან, რომ ისინი მოხუცთა თავშესაფარში არსებულ სოციალურ ინტერაქციას აკვირდებიან, რაც სიმართლეს შეესაბამება, თუმცა, არ აკონკრეტებს იმ დეტალს, რამაც შესაძლოა მონაწილეთა ქცევაზე არსებითი გავლენა მოახდინოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური პრინციპია *მონაწილეთა დაცვა ზიანის მიყენებისგან.* მკვლევარმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: რამდენად შესაძლებელია, რომ დაგეგმილმა კვლევამ ზიანი მიაყენოს მის მონაწილეებს? ზიანი შესაძლოა მრავალგვარი იყოს, დაწყებული მონაწილეთა შიშით, რომ სხვის თვალში ცუდად ან სასაცილოდ გამოჩნდნენ, რაც მათ თვითშეფასებაზე მოახდენს გავლენას, დამთავრებული რეალური საფრთხით, რომ ზიანი მიადგეს მათ სოციალურ სტატუსს, სამსახურებრივ პოზიციას ან თუნდაც ფიზიკურ უსაფრთხოებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ კვლევა ავტორიტარულ საზოგადოებაში ტარდება. პირველ რიგში, მკვლევარი თანაგრძნობით უნდა მოეკიდოს კვლევის სუბიექტებს და განსაკუთრებული სიფრთხილით მიუდგეს „სენსიტიური“ თემების განხილვას, რათა მონაწილეებს ფსიქოლოგიური ზიანი არ მიაყენოს. ამასთან, მან კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალობა უნდა უზრუნველყოს, რათა გარეშე პირებმა ვერ შეძლონ მათი იდენტიფიცირება და რიგ საზოგადოებებში, განსაკუთრებით ავტორიტარულში, მათზე თავდასხმა. მონაწილეთა ზიანის მიყენებისგან დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია ეთიკური კომისიებიც, რომელთაც მკვლევარი წინასწარ წარუდგენს დაგეგმილი კვლევის დეტალებს და თუ ეთიკური კომისია გადაწყვეტს, რომ მონაწილეები სათა-

ნადოდ არ არიან დაცულნი ზიანის მიყენებისგან, მაშინ მკვლევარს მოუწევს კვლევის სხვაგვარად დაგეგმვა. დასავლურ საზოგადოებებში, ეთიკური კომისია ყველა უნივერსიტეტისა თუ პროფესიული ასოციაციის შემადგენელი ნაწილია. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ისინი ინსტიტუციონალიზებული არ არის, ამიტომ მხოლოდ მკვლევრის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული კვლევის იმგვარად წარმართვა, რომ მონაწილეებს ზიანი არ მიაყენოს.

როგორც აღინიშნა, *მონაწილეთა კონფიდენციალობის* დაცვა თვისებრივი კვლევის ეთიკის განუყოფელი ნაწილია. მკვლევარი სვამს შეკითხვას: შესაძლებელია თუ არა გარკვეული ინფორმაციის საფუძველზე კონკრეტული პირების იდენტიფიცირება? კონფიდენციალობის ანალოგი რაოდენობრივ კვლევაში რესპონდენტთა ანონიმურობაა. ამ შემთხვევაში, მკვლევარი თავად ვერ ახდენს მიღებული პასუხების კონკრეტულ რესპონდენტებთან იდენტიფიცირებას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მასობრივი გამოკითხვისას. თვისებრივ კვლევაში, მართალია, მკვლევარმა იცის რესპონდენტების ვინაობა და თითოეული სიღრმისეული ინტერვიუს დაკავშირება შეუძლია კონკრეტულ ადამიანთან, მაგრამ მან ეს ინფორმაცია არ უნდა გაასაჯაროვოს. უფრო მეტიც, როგორც წესი, თვისებრივ ანგარიშში კვლევის მონაწილეთა ვინაობა დაფარულია – სახელები შეცვლილია, ხშირად სახელების ნაცვლად ინიციალები გამოიყენება, ზოგჯერ ლოკაციებიც კი შეცვლილია (განსაკუთრებით მცირე ერთეულების შემთხვევაში), რათა აუდიტორიამ მათ საფუძველზე კონკრეტული ინდივიდები არ ამოიცნოს.

ეთიკური სტანდარტებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი *მონაცემების ანალიზსა და ნაშრომის შექმნას* უკავშირდება. მკვლევრებს კოლეგების წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რომ კვლევის მონაცემები აკურატულად და მიუკერძოებლად წარადგინონ. ყველა მკვლევარმა იცის საკუთარი კვლევის შეზღუდვები და სისუსტეები, რაც აუცილებლად უნდა გაუ-

ზიაროს კოლეგებს. მან არ უნდა დაუმალოს მკითხველს, თუ კვლევის ჰიპოთეზა არ გამართლდა, პირიქით, გულწრფელად უნდა ისაუბროს ამის შესახებ. არც მონაცემების გაბუქებას აქვს აზრი კოლეგებზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. მკვლევრის კეთილსინდისიერება სათანადოდ დაფასდება კოლეგების მიერ, რომლებიც, თავის მხრივ, მსგავს სირთულეებს აწყდებიან ემპირიულ კვლევებში. შესაბამისად, ამგვარი სირთულეების გადალახვის გამოცდილების გაზიარება მათაც დაეხმარებათ, რათა უკეთ დაგეგმონ კვლევა და სამომავლოდ მსგავსი პრობლემები თავიდან აირიდონ. ამ შემთხვევაში, მკვლევარი ერთგვარ გზამკვლევადაც კი გვევლინება, რომლის შეცდომებზე როგორც თავად, ისე სხვებმა უნდა ისწავლონ.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მკვლევარს პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც კვლევის მონაწილეების, ისე კოლეგების წინაშე. თუმცა, შესაძლო ეთიკური პრობლემების დიდი ნაწილი სწორედ კვლევის მონაწილეებთან ინტერაქციას უკავშირდება. ამიტომ ავტორები კვლევის „კოოპერაციული პარადიგმის“ (Lincoln, Gupa, 1989, 233) უპირატესობებზე საუბრობენ, როცა მკვლევარსა და მონაწილეებს შორის ინტერპრეტაციების გაზიარებას აქვს ადგილი და მონაწილეებიც მონაცემების „მესაკუთრეები“ ხდებიან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ეთიკური თვალსაზრისით კვლევა გამართულია.

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

გთავაზობთ სტუდენტების კვლევის დიზაინს, რომლის გაცნობის შედეგად, გთხოვთ, შემდეგ კითხვებს უპასუხოთ: 1. რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებენ ავტორები საკვლევი პრობლემის აქტუალობას და რა სახის სამხილს/მხარდაჭერას გვთავაზობენ ამ მიზნით? 2. რამდენად ლოგიკურადაა დავიწროვებული ფოკუსი საკვლევი პრობლემიდან კვლევის მიზნის მიმართულებით? კვლევის მიზნიდან ამოცანების მიმართულებით? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია. 3. რამდენად შეესაბამება ჰიპოთეზა

კვლევის მიზანს? დასაბუთეთ თქვენი პოზიცია. 4. რამდენად რელევანტურად მიგაჩნიათ შერჩევის მეთოდი? რა ალტერნატიული შერჩევის განხორციელება შეიძლებოდა ამ შემთხვევაში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. 5. რამდენად რელევანტურად მიგაჩნიათ მონაცემების მოპოვების მეთოდი? რა ალტერნატიული მეთოდ(ებ)ით შეიძლებოდა მოცემული კვლევის განხორციელება? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. 6. როგორ განავრცობდით ამ კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას? 7. როგორ შეაფასებდით ამ კვლევის შეზღუდვებს?

კვლევის დიზაინი: საბერძნეთიდან დაბრუნებული მიგრანტი ქალების რეინტეგრაცია ქართულ შრომის ბაზარზე

საკვლევი პრობლემის აქტუალობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში არსებული არასტაბილური სოციოეკონომიკური სიტუაცია გახდა მასობრივი შრომითი მიგრაციის მიზეზი. ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე, რესურსების არათანაბარი გადანაწილება თუ არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია გახდა მამოტივირებელი ფაქტორი მოსახლეობისთვის, რათა მათ სამუშაოს ძიება ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაეწყოთ. აღსანიშნავია, რომ თუკი შრომითი მიგრაციის გააქტიურების საწყის ეტაპზე, მამაკაცები უფრო ხშირად მიდიოდნენ ემიგრაციაში, ვიდრე ქალები, 1991 წლიდან 2010 წლამდე შეინიშნება შრომითი მიგრაციის თანდათანობითი ფემინიზაცია, რისი გამომწვევი მიზეზია მზარდი მოთხოვნა შინ შრომის სერვისზე (Vanore & Siegel, 2015). ქალებს ემიგრაციაში ყოფნის დროს უწევთ, ინტეგრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და პრობლემებს გაუმკლავდნენ, რათა თავი დაიმკვიდრონ მიმღები ქვეყნის შრომის ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ემიგრანტი ქალებისთვის პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ინტეგრაცია, არამედ საქართველოში დაბრუნების შემდგომი რეინტეგრაციაც, განსაკუთრებით კი ქართულ შრო-

მის ბაზარზე, სადაც ანაზღაურება არის მკვეთრად დაბალი, ვიდრე ემიგრაციის ქვეყანაში, არსებობს მონოპოლიზებული ბიზნესსფეროები, ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული პრობლემები. ასევე დაბრუნებულ მიგრანტებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ფინანსები ან ცოდნა რაიმე ბიზნესის დასაწყებად.

ემიგრაციაში გატარებული წლები და იქ შეძენილი უნარ-ჩვევები დიდ გავლენას ახდენს ქალების სრულყოფილ რეინტეგრაციაზე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ავტორები კვლევაში „გენდერი, მიგრაცია და სოციალური ცვლილება“ საუბრობენ ქალთა მიგრაციის სამ პოტენციურ შედეგზე (Tienda & Booth, 1991, 56): 1. განვითარება, რომელიც უკავშირდება ცვლილებას მჩაგვრელი გარემოდან ნაკლებად მჩაგვრელის მიმართულებით, რაც აძლევს ქალს უფრო მეტ ავტონომიას და წვდომას მატერიალურ რესურსებზე. 2. ეროზია, შეესაბამება რეგრესულ ნაბიჯს, რომლის შედეგადაც ქალები ვერ აღწევენ წინსვლას დასაქმების თვალსაზრისით და, ამასთანავე, კარგავენ ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონტროლის შესაძლებლობას. 3. რესტრუქტურიზებული ასიმეტრია უკავშირდება ისეთ სტრუქტურულ ცვლილებებს, როგორებიცაა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ახალი უნარ-ჩვევები, რომლებიც საშუალებას აძლევს ქალებს, უფრო მაღალი სოციალურ პოზიცია დაიკავონ იერარქიულ სოციალურ სისტემასა და შრომის ბაზარზე.

ქართველი ქალებისთვის შრომის ბაზარზე ინტეგრაცია არ წარმოადგენს მარტივ პროცესს და აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში გატარებული წლები დიდად არ ცვლის ამ სიტუაციას. მაია მესტვირიშვილი, თამარ ზურაბიშვილი და თინათინ ზურაბიშვილი თავიანთ კვლევაში „ქართველი მიგრანტი ქალები: გამოცდილება საზღვარგარეთ და სახლში“ (2015) საუბრობენ იმ სირთულეების შესახებ, რომელთა გადალახვაც დაბრუნებულ მიგრანტ ქალებს უხდებათ ადგილობრივ შრომის ბაზარზე სრულყოფილი რეინტეგრაციისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ ის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ავტონომია, რომელსაც ემიგ-

რანტი ქალები საზღვარგარეთ ყოფნისას აღწევენ, რთული შესანარჩუნებელია საქართველოში დაბრუნების შემდგომ. ქალებს უჭირთ ისეთი სამსახურის შოვნა, სადაც მათ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება. კვლევაში მონაწილე 17 რესპონდენტიდან 14 ვერ რეინტეგრირდა შრომის ბაზარზე. მირიან ტუხაშვილის კვლევის – „საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციასთან დაკავშირებული სოციოეკონომიკური პრობლემები“ – მიხედვით კი, დაბრუნებული მიგრანტებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას დაბალი ანაზღაურება და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერები წარმოადგენს; ბიზნესის წამოწყების შემთხვევაში კი – მონოპოლიზებული სფეროები ან არასაკმარისი ფინანსები (2013, 15).

მიგრანტთა რეინტეგრაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს და მის მიერ შემუშავებულ პროგრამებს. ქართველი ემიგრანტების რეინტეგრაციის მნიშვნელობა ქვეყანაში ხაზგასმულია საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და ევროკავშირის მიერ შექმნილი მობილობის ცენტრები, რომელიც მოქმედებს ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, თელავი და ბათუმი), დაბრუნებულ მიგრანტებს დახმარებას უწევს, დაწყებული ძირითადი ადმინისტრაციული მხარდაჭერით და დამთავრებული დროებითი საცხოვრებლით. მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნებული მიგრანტების რაოდენობა ცოტა არ არის, მიმართვიანობის დონე მაინც დაბალია. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) პუბლიკაციის „ურთიერთკავშირი საჯარო პოლიტიკას, მიგრაციასა და განვითარებას შორის საქართველოში“ (2017) მიხედვით, ბოლო პერიოდში, ყველაზე მეტი მიგრანტი საბერძნეთიდან დაბრუნდა, თუმცა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015 წელს საბერძნეთიდან დაბრუნებული მხოლოდ 12 მიგრანტი დარეგისტრირდა პროექტის ბენეფიციარად. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ დაბრუნე-

ბულ მიგრანტ ქალთა რაოდენობა აღემატება კაცებისას და წინა კვლევები ადასტურებს, რომ მათი უმრავლესობა ვერ ახდენს რეინტეგრაციას საქართველოში (ზურაბიშვილი, მესტვირიშვილი, 2013). ამდენად, საინტერესოა ვიკვლიოთ, რამდენად ფლობენ საბერძნეთიდან დაბუნებული მიგრანტი ქალები ინფორმაციას მობილობის ცენტრების არსებობის შესახებ და უსარგებლიათ თუ არა მათი მომსახურებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც საბერძნეთიდან დაბრუნებულ ქართველ მიგრანტ ქალთა შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის თავისებურებების კვლევა, ისე სახელმწიფოს როლის შეფასება ადგილობრივ შრომის ბაზარზე მათი რეინტეგრაციის პროცესში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საბეძნეთიდან დაბრუნებული მიგრანტი ქალების რეინტეგრაციის კვლევა ქართულ შრომის ბაზარზე.

დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ქართველი მიგრანტი ქალების სამშობლოში დაბრუნების მიზეზების შესწავლა;
- ვიკვლიოთ, რა დაბრკოლებებს აწყდებიან ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში და როგორ უმკლავდებიან ამ დაბრკოლებებს;
- ვიკვლიოთ, რა როლს ასრულებს ემიგრაციაში შეძენილი უნარ-ჩვევები და გამოცდილება შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში;
- დავადგინოთ, რამდენად აქვთ წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ რეინტეგრაციის ხელშემწყობ პროგრამებზე.

კვლევის ჰიპოთეზა

არსებული კვლევებიდან გამომდინარე, გვაქვს მოლოდინი, რომ საბეძნეთიდან დაბრუნებული მიგრანტი ქალები ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის მნიშვნელოვან პრობლემას

განიცდიან და არათუ ინდივიდუალური რესურსებით, არამედ სახელმწიფო პროგრამების დახმარებითაც ვერ ახერხებენ ამ პრობლემის გადაჭრას.

კვლევის მეთოდი

შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა საბერძნეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ემიგრანტთა დიდი ნაწილი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში (21.7%), საბერძნეთში (15.9%) და თურქეთში (11.2%). საბერძნეთი ავირჩიეთ იმიტომ, რომ OECD-ისა და CRRC-ის ერთობლივი პუბლიკაციის მიხედვით, ემიგრანტი ქალების ყველაზე დიდი წილი, 29%, იმყოფება საბერძნეთში და ამავე პუბლიკაციის მიხედვით, ყველაზე მეტი ემიგრანტი ქალი სწორედ საბერძნეთიდან ბრუნდება (OECD/CRRC, 2017). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15 რესპონდენტმა ქალმა, რომელთა შერჩევაც მოხდა თოვლის გუნდის მეთოდით. კერძოდ, 10 რესპონდენტს დავუკავშირდით ერთ-ერთი მკვლევრის დედის დახმარებით, რომელიც საბერძნეთში ემიგრაციაში იმყოფება და საბერძნეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებთან აქვს კონტაქტი. დანარჩენი რესპონდენტების შერჩევაში ის ქალები დაგვეხმარნენ, ვისთანაც ინტერვიუ ჩავატარეთ. შერჩევის ამ მეთოდის გამოყენება გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები დაბრუნებული ემიგრანტების შესახებ, რადგანაც მათი დიდი ნაწილი არალეგალურად იმყოფებოდა საბერძნეთში.

მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები

თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ მონაცემები სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მოგვეპოვებინა. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდმა საშუალებას მოგვცა, მიგვეღო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია როგორც

ემიგრაციაში ყოფნის გამოცდილების, ასევე შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

მონაცემთა ანალიზის პროცესი ინტერვიუს ტრანსკრიპტების კოდირებით დავიწყეთ და კოდების საფუძველზე ის ფართო კატეგორიები შევიმუშავეთ, რომლებიც შემდგომი ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში გამოვიყენეთ. ჯერ თითოეული კატეგორიაში შემავალი ინფორმაცია შევაჯამეთ, შემდეგ კი – შეჯამებული ინფორმაციის ამონარიდები ერთმანეთთან მიმართებაში გავაანალიზეთ, რათა კვლევის ძირითად შეკითხვაზე პასუხი გაგვეცა.

ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მონაცემები თვისებრივი კონტენტანალიზისა და დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით გავაანალიზეთ, რომელმაც საშუალება მოგვცა, რომ რესპონდენტების ნარატივები სტრუქტურული სოციალური უთანასწორობის კონტექსტში განგვეხილა და ის ძალაუფლებრივი ასიმეტრია გამოგვევლინა, რომლის პირობებშიც საბერძნეთიდან დაბრუნებულ ქართველ ემიგრანტ ქალებს უწევთ ცხოვრება.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

რადგან ქართველ მიგრანტთა ადგილობრივ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის შესახებ კვლევები საკმაოდ მწირია, მოცემული კვლევა არსებულ სოციოლოგიურ კვლევებს უახლესი მონაცემებით გაამდიდრებს და შესაძლოა, სამომავლოდ, აღნიშნულ პრობლემაზე უფრო ფართომასშტაბური კვლევების საფუძველიც გახდეს. ამასთან, დაბრუნებული მიგრანტების შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევისა და ამ პროცესში სახელმწიფო პროგრამების როლის შესწავლის საფუძველზე, შესაძლებელია პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება, რაც სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებს მიგრანტთა რეინტეგრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი პოლიტიკის გატარებაში დაეხმარება.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ მისი ფოკუსია მხოლოდ საბერძნეთიდან დაბრუნებული ქართველი მიგრანტი ქალების გამოცდილებისა და შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის შესწავლა. შესაბამისად, კვლევის ფარგლებს მიღმა რჩება სხვა ქვეყნებიდან დაბრუნებული მიგრანტი ქალები, რომლებმაც შესაძლოა ემიგრაციაში განსხვავებული გამოცდილება შეიძინეს და რეინტეგრაციის პროცესშიც განსხვავებულ პრობლემებს აწყდებიან. ამასთან, ვინაიდან კვლევა საკმაოდ მცირე შერჩევითი ერთობლიობის მონაცემებს ეფუძნება, მიღებულ დასკვნებს ვერ განვაზოგადებთ საბერძნეთიდან დაბრუნებულ მიგრანტ ქალთა უფრო ფართო სეგმენტზე, რასაც რაოდენობრივი კვლევაც სჭირდება. მართალია, არსებული კვლევა ქართველ მიგრანტ ქალთა ადგილობრივ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასთან დაკავშირებულ ძირითად ტენდენციებს ავლენს, მაგრამ მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია კვლევის შედეგებს მეტ სანდოობას შესძენდა.

გამოყენებული ლიტერატურა

Babbie, E. (2001). *The Practice of Social Research* (9th ed.). Belmont: Wadsworth/Thompson Learning.

Bernard, H. R. (2006). *Research Methods in Anthropology: Qualitative and Quantitative Approaches* (4th ed.). Lanham: AltaMira Press.

Biernacki, P., & Waldorf, D. (1981). Snowball Sampling: Problems and Techniques of Chain Referral Sampling. *Sociological Methods and Research,* 10 (2), 141-163.

Börzel, T. A. (2015). Building Sand Castles? How the EU Seeks to Support the Political Integration of its New Members, Accession Candidates and Eastern Neighbours. *MAXCAP Working Paper Series 9*. Retrieved from http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/ system/files/max cap_wp_ 09_ 4.pdf

Creswell, J. W. (2013). *Qualitative Inquiry and Research Design: Choosing Among Five Traditions* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Lincoln, Y. S., & Gupa, E. G. (1985). *Naturalistic Inquiry.* London: Sage Publications.

Lincoln, Y. S., & Gupa, E. G. (1989). Ethics: The Failure of Positivist Science. *Review of Higher Education,* 12 (3), 221-240.

Maxwell, J. A. (2009). Designing a Qualitative Study. In L. Bickman & D. J. Rog (Eds.), *The Sage Handbook of Applied Social Research* (pp. 214-250). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Maxwell, J. A. (2013). *Qualitative Research Design: An Interactive Approach.* Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Miles, M. B., Huberman, A. M., & Saldana, J. (2014). *Qualitative Data Analysis: A Methods Sourcebook* (3rd ed.). Los Angeles: Sage.

Morse, J. M. (1994). Designing Funded Qualitative Research. In N.K. Denizin & Y. S. Lincoln (Eds.), *Handbook of Qualitative Research* (pp. 220-235). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Morse, J. M. (2000). Determining Sample Size. *Qualitative Health Research*, 10 (1), 3-5. DOI: 10.1177/104973200129118183.

Patton, M. Q. (2014). *Qualitative Research & Evaluation Methods: Integrative Theory and Practice.* London: SAGE Publications.

Putnam, R. D. (2000). *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community.* New York: Simon & Schuster.

Schimmelfennig, F. (2010). Europeanization beyond the Member States. *Zeitschrift fu□r Staats- und Europawissenschaften.* Retrieved from https://www.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/ european-politics-dam/documents/People/Publications/ Europeanization/Member_. pdf

Schimmelfenning, F. (2012). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance,* 7 (1). Retrieved from http: //www. livingreviews.org/lreg- 2012- 1

Sedelmeier, U. (2011). Europeanization in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance,* 6 (1). Retrieved from http://www.europeangovernance-livingreviews.org/ Articles/lreg- 2011- 1/

თავი 3
სიღრმისეული ინტერვიუ

„ემპათიური ინტერვიუ“

სიღრმისეული ინტერვიუ ბაზისური და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია თვისებრივ კვლევაში. ის სოციალურ სამყაროზე ემპირიულ მონაცემებს იმით მოიპოვებს, რომ ადამიანებს სთხოვს, საკუთარ ცხოვრებაზე ისაუბრონ (Holstein, Gubrium, 2003, 4). ერთნი ფიქრობენ, რომ „ინტერვიუ თვისებრივი მკვლევრის საყვარელი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია“ (Denzin, Lincoln, 2004, 353). სხვები უფრო შორსაც მიდიან და მიაჩნიათ, რომ დღეს „ინტერვიუს საზოგადოებაში“ (“The Interview Society”) ვცხოვრობთ (Silverman, 1993). მართლაც, სიღრმისეული ინტერვიუს პოპულარობას, პირველ რიგში, ის განაპირობებს, რომ ის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია – ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ ინტერვიუს ჩვენი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და კოლეგებთან, როცა მათი მოსაზრებების, ემოციების და საქმიანობის შესახებ ვეკითხებით; ინტერვიუს ვატარებთ მაშინ, როცა პროფესორისგან სასწავლო კურსის შინაარსის ან საგამოცდო საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება გვსურს; მაშინაც კი ინტერვიუს ვატარებთ, როცა მაღაზიაში გამყიდველს გამოველაპარაკებით და ჩვენთვის საინტერესო პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას ვცდილობთ. გამოდის, რომ ყოველდღიური ცხოვრება ინტერვიუთა უწყვეტი ჯაჭვისგან შედგება, რომელთაგან ზოგი არაფორმალურია და ზოგი – ფორმალური, ზოგი შედარებით ხანმოკლეა და ზოგიც – საკმაოდ ხანგრძლივი, ზოგი მეტად ზედაპირულია და ზოგიც – უაღრესად დეტალური და ა.შ. ჩვენი მიზნიდან და სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, ინტერვიუს პროცესშივე განვსაზღვრავთ, როგორი უნდა იყოს მისი ხანგრძლივობა,

სიღრმე თუ სხვა მახასიათებლები. თუ ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვახერხებთ, რომ საჭირო ინფორმაცია მოვიპოვოთ და თანამოსაუბრეს სამომავლოდაც გაუჩნდეს ჩვენთვის ინფორმაციის გაზიარების სურვილი, მაშინ რამდენად უფრო დახვეწილი და ინფორმატიული იქნება ჩვენი ინტერვიუ, თუ პროფესიულ დონეზე ვფლობთ მისი ჩატარების ტექნიკას!

როგორც აღინიშნა, სიღრმისეული ინტერვიუ კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში მიმდინარეობს, რომელშიც ორი (ან მეტი) ადამიანის აქტიური ძალისხმევით იქმნება გარკვეული ფაბულა თუ ისტორია – თავად ინტერვიუ. ანუ მიღებული ნარატივი თუ ისტორია ინტერვიუერისა და რესპონდენტის მიერ ერთობლივად კონსტრუირებულ სოციალურ რეალობას ასახავს, რომლის წვდომაც მხოლოდ მოცემული კონტექსტის გათვალისწინებითაა შესაძლებელი, რადგან სხვა სოციალურ კონტექსტში შესაძლოა სულ სხვა ნარატივი თუ ისტორია მიგვეღო. ინტერვიუს პროცესში რესპონდენტები ორი სახის ნარატივს გვთავაზობენ: პიროვნულს და კოლექტიურს. თუ პიროვნული ნარატივის ფორმასა და შინაარსს მთხრობლის პირადი გამოცდილება განსაზღვრავს, კოლექტიური ნარატივი კულტურაში ფართოდ გაზიარებულ, კონვენციურ წარმოდგენებს ასახავს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პიროვნულ ისტორიებზეც დიდ გავლენას ახდენს კულტურის მიერ აღიარებული ნარატიული და ლინგვისტური კონვენციები, რომლებიც, თავის მხრივ, მთხრობელთა სქესზე, ასაკზე, განათლებასა და სხვა სოციოდემოგრაფიულ მახასიათებლებზეა დამოკიდებული. ხოლო კოლექტიური ნარატივი თითოეული მთხრობელის მიერ ინდივიდუალურად აღქმული და გადმოცემულია (Narayan, George, 2003, 124). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც მკვლევარს უჩნდება, არის ის, თუ როგორ სწვდეს ინტერვიუს მიღმა არსებულ რეალობას. ამ საკითხზე მოგვიანებით დეტალურად ვიმსჯელებთ.

რადგან ინტერვიუს ნარატივი მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ინტერაქციის შედეგია, გამოდის, რომ მკვლევარს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ამ მონათხრობსა თუ ფაბულაზე. მართლაც, ინტერვიუს პროცესში ყოველთვის გასათვალისწინებელია „ინტერვიუერის ეფექტი", ანუ მისი როლი იმაში, რომ რესპონდენტმა თავისი ისტორია სწორედ ამ ფორმით გვიამბო. ამგვარ როლზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ფენომენი, რასაც მკვლევარნი „დამკვირვებლის პარადოქსს" უწოდებენ და რაც პირველად ამერიკელმა სოციოლინგვისტმა, უილიამ ლაბოვმა განმარტა. ლაბოვი აღნიშნავდა, რომ „საზოგადოებაში ლინგვისტური კვლევის მიზანი უნდა იყოს იმის გამოვლენა, თუ როგორ საუბრობენ ადამიანები, როცა მათ სისტემატურად არ აკვირდებიან; თუმცა, ამგვარი მონაცემების მიღება მხოლოდ მათზე სისტემატური დაკვირვების შედეგად არის შესაძლებელი" (1972, 209). ამ პარადოქსის საპასუხოდ, ავტორი მიიჩნევდა, რომ მკვლევრის მინიმალური ჩარევის შედეგად, ინტერვიუ „ბუნებრივ საუბარს" დაემსგავსებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად მკვლევრის დასწრების ფაქტი იმთავითვე გავლენას ახდენს რესპონდენტზე და ამიტომ მისი ნარატივი ვერ იქნება იმგვარი, როგორიც იმ შემთხვევაში იქნებოდა, როცა მას არ აკვირდებიან. გოფმანის „დრამატურგიული მიდგომა" რომ გავიხსენოთ, ინდივიდები იმგვარ როლებს ირგებენ „სცენაზე" (ანუ სხვების თანდასწრებით), რომ მათ აუდიტორიაზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ, ხოლო სცენის მიღმა, „კულისებში" (ანუ მარტო დარჩენისას) ამ როლების შესასრულებლად ემზადებიან (1956). ცხადია, რომ იშვიათი შემთხვევების გარდა, მკვლევრისთვის „კულისები" მიუწვდომელია, თუმცა მისი პროფესიონალიზმი სწორედ იმით გამოიხატება, რომ „სცენაზე" დადგმული ნარატივის მიღმა იმის გაგებაც სცადოს, რაც „კულისებში" ხდება და იმის ახსნაც, თუ რატომ სთავაზობს რესპონდენტი „სცენაზე" სწორედ ამგვარ შესრულებას. ამ საკითხს კი კვლავ ინტერვიუს მიღმა არსებული რეალობის წვდომის დილემასთან მივყავართ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სიღრმისეული ინტერვიუს, როგორც მკვლევრისა და რესპონდენტის ინტერაქციის პროცესში სოციალურად კონსტრუირებული რეალობის ხედვასთან, არის მათი ტრადიციული როლების ახლებურად გააზრება. თანამედროვე მიდგომის თანახმად, მკვლევარი და რესპონდენტი არ არიან ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნულნი და მკვლევარს არა აქვს პრივილეგირებული „ხმა". პირიქით, თუ ადრე მკვლევარი აკონტროლებდა ინტერვიუს ნარატივს და თავად წყვეტდა, თუ რა იყო საკვლევ სუბიექტთა სოციალური სამყაროს რეპრეზენტაციის საუკეთესო გზა, დღეს დომინანტურია ინტერვიუს პროცესის „დიალოგური" ხედვა და პრივილეგირებული ხდება რესპონდენტის „ხმა"; მკვლევარი კი მიზნად ისახავს, რესპონდენტების თვალით დანახული მათივე იდენტობა აღწეროს (Gubrium, Holstein, 2003). ამგვარად, სახეზეა მკვლევრის ემიკური მიდგომა, რაც „ემპათიური ინტერვიუს" საფუძველი ხდება (Fontana, Frey, 2005, 696). სწორედ „ემპათიური" მიდგომა უბიძგებს მკვლევარს, რომ არა მხოლოდ რესპონდენტების, არამედ საკუთარ როლსაც განსხვავებულად შეხედოს და სჯეროდეს, რომ „სხვების" შემეცნებით „საკუთარ თავსაც" შეიმეცნებს (იქვე, 697).

სიღრმისეული ინტერვიუს ტიპები

ნაირსახეობები: ინდივიდუალურიდან ჯგუფურ ინტერვიუმდე

სიღრმისეული ინტერვიუს რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს, რომელთაგან ტრადიციული და ყველაზე გავრცელებული ფორმაა *ინდივიდუალური ინტერვიუ.* ამ შემთხვევაში, ინტერვიუს პროცესში მხოლოდ ორი მონაწილეა ჩართული – მკვლევარი და რესპონდენტი. როგორც აღინიშნა, ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებით, რომელიც რესპონდენტს პასიურ როლს მიაწერდა და მხოლოდ ინფორმაციის წყაროდ განიხილავდა, ხოლო ინტერვიუერს – მზა ინფორმაციის უბრალო შემგროვებლად ანუ

აგრეთვე საკმაოდ პასიურად, თანამედროვე მიდგომა ორივე მხარეს აქტიურ როლს მიაწერს რეალობის ინტერაქციულ კონსტრუირებაში. შეიძლება ითქვას, რომ სიღრმისეული ინტერვიუ წარმოადგენს „ინტერპერსონალურ დრამას განვითარების პროცესში მყოფი ფაბულით“ (de Pool, 1957, 193), მისი მონაწილეები კი – სოციალურ პრაქტიკოსებს, რომლებიც ცოდნის წარმოების პროცესში არიან ჩართულნი. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა, უეისის (1994) სიტყვებით რომ ვთქვათ, „უცხოებისგან ისწავლოს“ – მიიღოს ცოდნა მათი შეხედულებების, გრძნობების და გამოცდილების შესახებ, მათი სოციალური ურთიერთობების და იმ სოციალური სამყაროს შესახებ, რომელშიც მათი იდენტობები ყალიბდება და ტრანსფორმაციას განიცდის. ამისთვის კი აუცილებელია, პირველ რიგში, მკვლევარმა შემდეგ შეკითხვებს გასცეს პასუხი: რას ნიშნავს, იყო ინტერვიუერი? რას ნიშნავს, იყო რესპონდენტი? რას ფიქრობს რესპონდენტი ინტერვიუს პროცესის შესახებ? საიდან ჩნდება ცოდნა და ვის ხედვაზეა ის დაფუძნებული? რესპონდენტს შემოთავაზებული ისტორიის მხოლოდ ერთი ვერსია ექნება თუ რამდენიმე? თუ რამდენიმე, მაშინ რამ უბიძგა რესპონდენტს, რომ მკვლევრისთვის სწორედ ეს ვერსია მოეყოლა? და ა.შ. (Holstein, Gubrium, 2003, 14).

ზემოხსენებული შეკითხვები „ემპათიური ინტერვიუს“ ქვაკუთხედია, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმას მიიღებს ის. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ინდივიდუალურმა ინტერვიუმ შესაძლოა *ბიოგრაფიული ნარატივის* ფორმა მიიღოს, როცა რესპონდენტი საკუთარი ცხოვრებიდან იმ პერსონალურ ისტორიებს თუ ნარატივებს მოგვითხრობს, რომლებმაც მისი გამოცდილების ფორმირებაზე გავლენა მოახდინა. ამ შემთხვევაში, მკვლევარი იმ ნარატიულ სტრატეგიებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლითაც რესპონდენტი თავის გამოცდილებას აღწერს (Riessman, 2008). როცა კვლევის ფოკუსია არა რესპონდენტის ბიოგრაფიის ცალკეული ასპექტები, რომლებიც მისი სპეციფიკური გამოცდილებისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა, არამედ რესპონდენტის

მთელი ცხოვრება, ამგვარ ინტერვიუს *ცხოვრების ისტორიას* უწოდებენ. ცხოვრების ისტორია ის ისტორიაა, რომლის მოყოლასაც რესპონდენტი ირჩევს თავისი ცხოვრების შესახებ (Atkinson, 2002, 125). არსებობს შემთხვევებიც, როცა სიღრმისეული ინტერვიუ მიზნად ისახავს, პიროვნული მონათხრობის გზით ისტორიული მოვლენების რეპრეზენტაცია და მათზე რეფლექსია მოახდინოს. სწორედ ამგვარი მოტივაცია ამოძრავებს *ზეპირ ისტორიას* (Hesse-Biber, Leavy, 2006, 152-157).

ინდივიდუალურთან ერთად, ძალიან გავრცელებულია ჯგუფური ინტერვიუს ანუ ფოკუსჯგუფის ფორმატიც, რაც მკვლევრის დროსა და რესურსებს მნიშვნელოვნად ზოგავს. *ფოკუსჯგუფისას* რამდენიმე ადამიანთან ერთობლივად ტარდება ინტერვიუ, რომელსაც დისკუსიის ფორმა აქვს, ხოლო ინტერვიუერი მოდერატორის როლში გვევლინება. ფოკუსჯგუფის თავისებურებაა მისი მოქნილობა (მონაწილეთა რაოდენობის და დისკუსიის ხანგრძლივობის თვალსაზრისით), ეგალიტარული ხასიათი (თითოეული მონაწილის ჩართვა დისკუსიაში თანაბრად წახალისებულია), დიდი რაოდენობის ინფორმაციის ერთბაშად მოპოვება, ჯგუფური დინამიკის წვდომის შესაძლებლობა და სინერგეტიკის ეფექტი, როცა მონაწილენი დისკუსიის პროცესში სპონტანურად იწყებენ გარკვეულ საკითხებზე რეფლექსიას, რაზეც, შესაძლოა, მანამდე არც უფიქრიათ. სწორედ ზემოხსენებული მახასიათებლების გათვალისწინებით, ფოკუსჯგუფი ინტერვიუს ჭეშმარიტად „სოციალური“ ფორმაა და თან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული – არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მარკეტინგულ კვლევებშიც.

სტრუქტურა: ნახევრადსტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუ, როგორც „შემოქმედებითი“ და „აქტიური“ ინტერვიუ

როგორც აღინიშნა, სიღრმისეული ინტერვიუ სოციალურ ინტერაქციაში ჩართულ ორ მხარეს – მკვლევარს და რესპონდენტს – გულისხმობს. მათ შორის კომუნიკაცია შესაძლოა მეტნაკლებად სტანდარტიზებული იყოს ან ინფორმაციის თავისუფალ

გაცვლას ჰქონდეს ადგილი. თუმცა, გარკვეული სტანდარტიზაციის შემთხვევაშიც კი, მკვლევარს შემოქმედების შესაძლებლობა ეძლევა და ის არ არის მოქცეული მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში, რასაც რაოდენობრივი კვლევისას, სტანდარტიზებული/სტრუქტურირებული ინტერვიუს პროცესში აქვს ადგილი. სწორედ ამ თავისებურების გამო, სიღრმისეულ ინტერვიუს „შემოქმედებით ინტერვიუსაც“ (“Creative Interviewing”) უწოდებენ (Douglas, 1985). თუ რაოდენობრივ მკვლევარს არ აქვს უფლება, შეკითხვების წინასწარგანსაზღვრული თანმიმდევრობა ან მათი ფორმულირება შეცვალოს, კონკრეტული შეკითხვები ამოიღოს ან დაამატოს, ან თუნდაც გარკვეული განმარტებები მოიყვანოს, თვისებრივ ინტერვიუში ეს ყოველივე მიღებული პრაქტიკაა (Berg, Lune, 2012, 109). თუმცა, ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუ მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან:

- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში, შეკითხვების დადგენილი თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს ინტერვიუს მსვლელობისას, რადგან რესპონდენტმა შეიძლება ერთ შეკითხვაზე პასუხით სხვა შეკითხვაც მოიცვას, ან მის პასუხს ლოგიკურად სხვა შეკითხვა მოსდევდეს და არა ის, რომელიც ინტერვიუს გზამკვლევშია მითითებული; ხოლო არასტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში, შეკითხვების თანმიმდევრობა განსაზღვრული არ არის და თავად რესპონდენტის პასუხებზეა დამოკიდებული მკვლევრის მომდევნო შეკითხვა;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში, შეკითხვის სავარაუდო ფორმულირება შესაძლოა ადგილზევე შეიცვალოს; ხოლო არასტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში, არც ერთ შეკითხვას არ აქვს წინასწარგანსაზღვრული ფორმულირება;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში, ინტერვიუერს შეუძლია დამაზუსტებელი შეკითხვების/ზონ-

დირების დამატება, როცა გარკვეული ინფორმაციის გადამოწმება ან დაზუსტება სურს, ან თუნდაც ამოღება, როცა პასუხი აღარ საჭიროებს დაზუსტებას; ხოლო არასტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში, მკვლევარს შეუძლია საჭიროებისამებრ დაამატოს ან ამოიღოს ნებისმიერი შეკითხვა. რაც შეეხება მკვლევრის მიერ გარკვეული განმარტებების მოყვანას, ეს ორივე შემთხვევაში მიღებულია.

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ არასტრუქტურირებული ინტერვიუ ყველაზე ახლოს დგას „შემოქმედებითი ინტერვიუს“ კონცეფციასთან, რომლის მიზანია რესპონდენტის „სიღრმისეული გამოცდილების“ წვდომა, მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საფუძველზე (Douglas, 1985, 25). ავტორის თქმით, ცოდნა, გარკვეულწილად, „შემოქმედებითი ინტერაქციის“ ანუ საზრისის წვდომის ერთობლივი მცდელობის პროდუქტია (იქვე, 55). გამოდის, რომ სწორედ შემოქმედებითი ინტერაქციის გამო, სიღრმისეული ინტერვიუ სოციალური ცხოვრების შესახებ ცოდნის შექმნის საუკეთესო საშუალებაა.

როგორ ხდება საზრისის წვდომა სიღრმისეული ინტერვიუს გზით? „ინტერპრეტაციული პრაქტიკის“ ანუ ყველა იმ პროცედურისა თუ რესურსის საფუძველზე, რაც რეალობის გაგების, ორგანიზებისა და რეპრეზენტაციისთვისაა აუცილებელი (Holstein, 1993; Holstein, Gubrium, 1994). სიღრმისეული ინტერვიუ ინტერპრეტაციული პრაქტიკის ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც როგორც ინტერვიუერის, ისე რესპონდენტის აქტიურ ჩართვას მოითხოვს ინტერპრეტაციის პროცესში. ამიტომ, შემოქმედებითთან ერთად, ამგვარ ინტერვიუს „აქტიურ ინტერვიუსაც“ (“Active Interviewing”) უწოდებენ (Gubrium, Holstein, 2003, 66). ავტორები თანხმდებიან, რომ სწორედ სიღრმისეული ინტერვიუს აქტიური და შემოქმედებითი ხასიათის გამოა, რომ ის სოციალური რეალობის კონსტრუირების მნიშვნელოვან მექანიზმად გვევლინება.

ფორმატი: პირისპირ და ელექტრონული ინტერვიუ

ტრადიციულად, ნახევრად სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ ინტერვიუს მკვლევარსა და რესპონდენტს შორის უშუალო ინტერაქციის პროცესში აქვს ადგილი. მკვლევარი და რესპონდენტი ერთ სივრცეში იმყოფებიან და როგორც ზემოთ აღინიშნა, შემოქმედებითი ინტერაქციის პროცესში არიან ჩართულნი. ამ დროს უაღრესად მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებანი. ვერბალური კომუნიკაციისას მხოლოდ იმას კი არ ექცევა ყურადღება, თუ რას ამბობს მთხრობელი, არამედ იმასაც, თუ როგორ/რა ფორმით და რატომ ამბობს იმას, რასაც ამბობს. ანუ შემოქმედებითი ინტერაქციის მონაწილენი მხოლოდ საუბრის შინაარსზე კი არ ფოკუსირდებიან, არამედ იმაზეც, რაც ხაზებს შორის იკითხება. ამისთვის კი მნიშვნელოვანია საუბრის ისეთი დეტალების გათვალისწინება, როგორიცაა ხმის აწევა/დაწევა, აქცენტების დასმა, პაუზები, გადაფარვები, უცხო სიტყვების თუ სპეციალური ტერმინების გამოყენება, მეტაფორების ჩართვა და ა.შ.

რაც შეეხება არავერბალურ კომუნიკაციას, ის, ერთი მხრივ, ვერბალური კომუნიკაციის გაძლიერების, მეორე მხრივ კი, მისი უკეთ წვდომის ინსტრუმენტია. გორდენი ინტერვიუს პროცესში არავერბალური კომუნიკაციის ოთხ ფორმაზე ამახვილებს ყურადღებას: 1. *პროქსემიკური კომუნიკაცია,* ანუ მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ინტერპერსონალური სივრცის გამოყენება გარკვეული დამოკიდებულების გამოხატვისთვის; 2. *ქრონემიკური კომუნიკაცია,* ანუ საუბრის ტემპისა და სიჩუმის ხანგრძლივობის გამოყენება გარკვეული გზავნილის გადმოსაცემად; 3. *კინესთეტიკური კომუნიკაცია,* ანუ სხეულის მოძრაობები და პოზიციები, როგორც სოციალური გზავნილი; 4. *პარალინგვისტური კომუნიკაცია,* ანუ ხმის ტემბრის, ტონის თუ დიაპაზონის ვარიაციები, როგორც სათქმელის გაძლიერების თუ ემოციების გამოხატვის გზები (1980, 335).

ტექნოლოგიურმა განვითარებამ ინტერვიუს პროცესზეც მოახდინა გავლენა და პირისპირ ინტერვიუს ალტერნატივები შემოგვთავაზა. პირველ ინოვაციურ მიდგომად სატელეფონო ინტერვიუ მოგვევლინა, თუმცა, რადგან ის რაოდენობრივ და არა თვისებრივ კვლევაშია გავრცელებული, მასზე აღარ შევჩერდებით. ტექნოლოგიის შემდგომმა განვითარებამ ელექტრონული ინტერვიუს ფორმატი დაამკვიდრა, რომელიც დღეს საკმაოდ გავრცელებულია როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევაში.

როცა ინტერვიუ ელექტრონულ სივრცეში იგეგმება და მკვლევარი ფიქრობს, სიღრმისეული ინტერვიუ ჩაატაროს თუ „ვირტუალური“ ფოკუსჯგუფი, ის, პირველ რიგში, გადაწყვეტილებას იღებს, ასინქრონული (მოგვიანებით მიღებული პასუხებით) ინტერვიუ ჩაატაროს თუ სინქრონული („რეალურ“ დროში). ინდივიდუალური ასინქრონული ინტერვიუს დროს, უმეტესად, ელექტრონული ფოსტა გამოიყენება, სინქრონულის დროს კი – ინტერაქციული სოციალური მედია, როგორიცაა ფეისბუქის მესინჯერი, სკაიპი ან ვაიბერი. ასინქრონული ფოკუსჯგუფისას „ონლაინ“ კონფერენცია გამოიყენება, რომელიც საკმაოდ გავრცელებული მეთოდია ქმედების კვლევაშიც (საგანგებოდ იქმნება კონფერენციის ვებგვერდი შეზღუდული საზოგადოებრივი წვდომით); სინქრონული ფოკუსჯგუფი კი მოითხოვს, რომ ის, რასაც ერთი ადამიანი წერს ან ამბობს, მომენტალურად ხელმისაწვდომი იყოს ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის, ამიტომ აქაც ინტერაქციული სოციალური მედია უნდა იყოს გამოყენებული ან საგანგებო პროგრამები (“shareware”), რომლებიც ან თავისუფლად ჩამოტვირთვადია (მაგალითად, MIRC), ან – ლიცენზირებული (მაგალითად, FirstClass) (Mann, Stewart, 2003).

თუ მკვლევრები ელექტრონული ინტერვიუს ჩატარებას გეგმავენ, მათ არაერთი ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ, რათა კვლევა ნაყოფიერი აღმოჩნდეს. პირველ რიგში, როგორ მოიპოვონ რესპონდენტების მხრიდან ნდობა ვირტუალურ სივრცეში (რაც ბევრად მარტივია უშუალო, პირისპირ კომუნიკაციისას),

როგორ მოახდინონ წარმატებით ვირტუალური ინტერაქცია და ვირტუალური დისკუსიების მოდერაცია, როგორია ვირტუალური სივრცისა და მასში გამოყენებული ენისა თუ კომუნიკაციის არავერბალური სტრატეგიების გავლენა მონაწილეთა იდენტობებზე და მათ შორის არსებულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე და ა.შ. ინდივიდუალური თუ ჯგუფური ელექტრონული ინტერვიუ ინტერვიუერის ტექნიკური და ინტერპერსონალური უნარების იმგვარ მობილიზებას მოითხოვს, რომ მხოლოდ ინტერვიუს კონვენციური ფორმების სათანადო ექსპერტიზის მქონე ინტერვიუერები თუ იგრძნობენ თავს „უსაფრთხოდ", რომ ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლონ.

ინტერვიუს გზამკვლევი: შრომითი მიგრაციის თავისებურებების კვლევა

სიღრმისეული ინტერვიუს დასაგეგმად აუცილებელია მისი მონახაზის შექმნა, რომელიც, საწყის ეტაპზე, იმ ფართო თემატურ კატეგორიებს მოიცავს, რომლებიც საკვლევ ამოცანებს შეესაბამება; მომდევნო ეტაპზე კი, თითოეული თემატური კატეგორიის ქვეშ შესაბამისი შეკითხვების ფორმულირება ხდება. მაგალითად, თუ მკვლევრის მიზანია შრომითი მიგრაციის თავისებურებების კვლევა, მიგრანტთან სიღრმისეულ ინტერვიუში მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, რომლებიც მიგრაციის პროცესს თანმიმდევრულად აღწერს, დაწყებული გამგზავრების მოტივაციით და დასრულებული მიღწეული შედეგებითა და მიგრაციასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმებით. კერძოდ, მკვლევარმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს მიგრაციის მოტივაცია, მიგრაციის გამოცდილება, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, მიმღებ ქვეყანაში ადაპტაციის პრობლემები, გამგზავრების შედეგები და სამომავლო გეგმები. თითოეული ეს კატეგორია ინტერვიუს გზამკვლევის თემატურ ბლოკს ქმნის, რომლის ქვეშაც შესაბამისი შეკითხვები უნდა გავაერთიანოთ, იქნება ეს კონკრეტული კითხვების სახით ფორმუ-

ლირებული (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში) თუ უფრო ზოგადი სახით წარმოდგენილი (არასტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში). გთავაზობთ არასტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევის ნიმუშს შრომითი მიგრაციის შესახებ.

შრომითი მიგრაციის თავისებურებების კვლევა

1. მიგრანტის დემოგრაფიული მონაცემები

სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, შვილები და მათი ასაკი, განათლება, ენების ცოდნა, ამჟამინდელი დასაქმება, მიგრაციის გადაწყვეტილების მიღების მომენტში დასაქმება, დასახლების ტიპი, ეროვნება, რელიგია.

2. მიგრაციის მოტივაცია

- რატომ გადაწყვიტა მიგრაციაში წასვლა (მიგრაციის გამომწვევი მიზეზები).
- რა მიზნით წავიდა მიგრაციაში.
- ოჯახის აზრი მის გამგზავრებასთან დაკავშირებით.

3. მიგრაციის გამოცდილება (თითოეული გამგზავრების ისტორია)

- გამგზავრების ხანგრძლივობა, მიმართულება და კონკრეტული ქვეყნის შერჩევის კრიტერიუმები.
- გამგზავრებისთვის მზადება და დასაქმების ადგილის პოვნა (მეგობრების, ნათესავების, სააგენტოების დახმარება), გამგზავრების ხარჯები და სირთულეები.
- სოციალური ქსელები და კავშირები მიმღებ ქვეყანაში.
- მიმღებ ქვეყანაში დამკვიდრება (საცხოვრებლის ძიება/გამოცვლა, სამუშაოს ძიება, თუ წინასწარ შეთანხმებული არ იყო/გამოცვლა, ადაპტაციის თავისებურებები).
- ყოველდღიური რუტინა სამსახურში (საქმიანობის ტიპი, სამუშაო პირობები, სამშობლოში მიღებული ცოდნისა და პროფესიული უნარების გამოყენება).

- ხელფასი (ხელფასით კმაყოფილება დასაწყისში და მომდევნო ეტაპზე, გამომუშავებული თანხის გამოყენება, საკვებსა და ტრანსპორტში ხარჯვა, გადასახადები, დაზოგილი თანხა, სახლში თანხის გზავნა).
- სამშობლოში დარჩენილი ოჯახი (ვინ ზრუნავს ბავშვებზე და მოხუცებზე, ვინ უძღვება ოჯახს, რა პრობლემები გამოიწვია რესპონდენტის გამგზავრებამ).
- სახლში დაბრუნება (მოტივაცია, მგზავრობის ხარჯები, სირთულეები, სამომავლო გეგმები).

4. მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები

- მესაზღვრეებთან, პოლიციასთან, სტატუსთან (ლეგალური/არალეგალური), სამსახურის არქონასთან, მძიმე სამსახურთან, გადასახადებთან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

5. *ადაპტაციის თავისებურებები*

- ახალ ადგილთან შეწყობა (დამსაქმებლის მიმართ დამოკიდებულება, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, სხვა მიგრანტებთან ურთიერთობა), ენის ბარიერი და მასთან დაკავშირებული სირთულეები.
- ემოციური მდგომარეობა მიგრაციის დასაწყისში და მომდევნო პერიოდში (ფსიქოლოგიური პრობლემები, სამშობლოს ნოსტალგია და მათთან გამკლავება).
- თავისუფალი დრო (ჰქონდა თუ არა, ვისთან ერთად ატარებდა, რას აკეთებდა).
- სტიგმა და მისი არიდების მცდელობა (ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრანტის და მისი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ, მიგრანტის თავდაცვის სტრატეგიები).
- ოჯახთან ურთიერთობა (დისტანციური ურთიერთობების ფორმა და სიხშირე, ამ ურთიერთობებთან დაკავშირებული

პრობლემები, ნათესავების მიერ მიგრანტის მონახულება, მიგრანტის მიერ მცირე ხნით სამშობლოში დაბრუნება).

6. გამგზავრების შედეგები

- გამგზავრებით კმაყოფილება (ფინანსური, ფსიქოლოგიური, პროფესიული; ენის და ახალი უნარების ათვისება).
- მიმღებ ქვეყანაში ვიზიტის გაგრძელების სურვილი და მცდელობა.
- მიმღებ ქვეყანაში შეძენილ მეგობრებთან და დამსაქმებელთან ურთიერთობის გაგრძელება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.
- საკუთარ ოჯახთან ურთიერთობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.
- ემოციური მდგომარეობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

7. სამომავლო გეგმები

- ახალი გამგზავრების დაგეგმვა (იმავე ქვეყანაში ან სხვაგან, ლოკაციის შერჩევის მიზეზები).
- მიგრაციის გამოცდილების გავლენა მიგრანტის სურვილზე, რომ ხელახლა წავიდეს მიგრაციაში.
- ხელახალი მიგრაციის გადაწყვეტილების გავლენა მიგრანტის ოჯახის წევრებთან ურთიერთობებზე.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევში შეკითხვებიც კონკრეტულადაა გაწერილი და მათი თანმიმდევრობაც. მართალია, საჭიროებიდან გამომდინარე, შეკითხვების ფორმულირება და თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ გზამკვლევში ისინი მაინც წინასწარაა განსაზღვრული. მაგალითად, განხილული არასტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი ნახევრად სტრუქტურირებულად რომ ვაქციოთ და ნიმუშად მიგრაციის მოტივაციის ბლოკი ავიღოთ, მას შემდეგი სახე ექნება:

2. მიგრაციის მოტივაცია

1. რამ გიბიძგათ, მიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება მიგეღოთ?
2. რა მიზანი გამოძრავებდათ, როცა მიგრაციაში მიდიოდით? რა მოლოდინ(ებ)ი გქონდათ?
3. რა დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენი ოჯახის წევრებს თქვენი გამგზავრების მიმართ?

გზამკვლევის შეკითხვების თანმიმდევრობა და შინაარსი

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტისგან – კითხვარისგან განსხვავებით, რომელიც დახურული შეკითხვებისგან შედგება, ანუ პასუხის ვარიანტები მკვლევრის მიერ წინასწარ განსაზღვრულია და შესაძლოა დამატებითი ვარიანტის სახით იყოს „სხვა (მიუთითეთ)", თვისებრივ კვლევაში ინტერვიუს გზამკვლევი ღია შეკითხვებისგან შედგება, რომლის პასუხებიც მთლიანად რესპონდენტის შემოქმედების ნაყოფია. დახურული შეკითხვების შემთხვევაშიც კი, მკვლევარმა აუცილებლად უნდა დასვას თანმდევი ღია შეკითხვები, რომ მოცემულ საკითხზე დეტალური ინფორმაცია მოიპოვოს და ამა თუ იმ მოსაზრების საფუძველმდებარე მიზეზები იცოდეს. შეკითხვების თანმიმდევრობა, ფორმულირება, ენობრივი სპეციფიკა და სტილი როგორც საკვლევ საკითხზეა დამოკიდებული, ისე საკვლევი სუბიექტების სოციოდემოგრაფიულ მახასიათებლებზე – ასაკზე, განათლებაზე, დასაქმებაზე და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების ერთი „სწორი" გზა და შეკითხვების ფორმულირების ერთი უნივერსალური ფორმატი. მიჩნეულია, რომ ინტერვიუს სოციალური კონტექსტი, რესპონდენტის მსოფლმხედველობა და ინტერვიუერის ინდივიდუალური სტილი ერთიანობაში ქმნის ინტერვიუს უნიკალურ გარემოს (Qu, Dumay, 2011, 247).

რაც შეეხება უშუალოდ შეკითხვების თანმიმდევრობას და შინაარსს, საუბრის დაწყებისას მკვლევარი შესავლის მარტივ

შეკითხვებს სვამს, შემდეგ თანმიმდევრულად გადადის ძირითად თემატურ შეკითხვებზე და შედარებით „სენსიტიურ“ შეკითხვებსაც ურთავს, პერიოდულად კი – ზონდირებას იყენებს (ძირითად და სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვები, ოღონდ განსხვავებულად ფორმულირებული); ასეთივე თანმიმდევრობით მიყვება მომდევნო თემატურ ბლოკს და ბოლოს მარტივი შემაჯამებელი შეკითხვებით ასრულებს (Berg, Lune, 2012, 119).

მკვლევრები ინტერვიუს გზამკვლევის შეკითხვების შემდეგ ტიპებს გვთავაზობენ (Qu, Dumay, 2011, 249):

შეკითხვის ტიპები	შეკითხვის მიზანი	ნიმუშები
1. შესავლის შეკითხვები	საუბრის დაწყება და ძირითადი ინტერვიუსთვის საფუძვლის მომზადება	„შეგიძლიათ მიამბოთ...?“ „ხომ არ გახსოვთ შემთხვევა, როცა ...?“
2. თანმდევი შეკითხვები	ახლახანს ნათქვამზე ყურადღების გამახვილება	მნიშვნელოვანი სიტყვების გამეორება, მსგავსი შინაარსის სხვა სახით ფორმულირება და ა.შ.
3. ზონდირება	უფრო დეტალური ნარატივების მოპოვება	„შეგიძლიათ უფრო მეტი მიამბოთ ამის შესახებ?“ „შეგიძლიათ დამატებითი მაგალითების მოყვანა?“
4. დამაზუსტებელი შეკითხვები	ინფორმაციის დაზუსტება, კერძოდ, ზოგადი არგუმენტებიდან უფრო დეტალურ აღწერაზე გადასვლა	„რა იფიქრეთ იმ მომენტში?“ „რა რეაქცია გქონდათ?“
5. პირდაპირი შეკითხვები	პირდაპირი პასუხების მიღება	„ოდესმე გიფიქრიათ/გიგრძვნიათ/გაგიკეთებიათ...?“

6. ირიბი შეკითხ-ვები	„სენსიტიურ“ სა-კითხებთან დაკავში-რებული ინფორმა-ციის ირიბად მოპო-ვება	„როგორ ფიქრობთ, რო-გორ მოიქცეოდნენ თქვე-ნი მეგობრები ამ სიტუა-ციაში?“
7. მაკავშირებე-ლი შეკითხვები	ინტერვიუს ერთი თემატური ბლოკის დასრულება და ახალზე გადასვლა	„მოდით, კიდევ ერთი სა-კითხი განვიხილოთ...“
8. განმარტები-თი შეკითხვები	ზონდირების მსგავ-სი, რაც რესპონდენ-ტის პასუხის შეჯამე-ბას ახდენს, რათა მი-ღებული ინფორმა-ცია უკეთ განმარ-ტოს	„ანუ გულისხმობთ, რომ...?“ „შეგიძლიათ თქვათ, რომ ... [გამონათქვამი] ნათ-ლად აღწერს ამ მდგომა-რეობას?“
9. სპონტანური შეკითხვები	სხვადასხვა მიზნით გამოიყენება, ვთქვათ, რესპონდენ-ტის ნდობის მოსაპო-ვებლად, საკითხის გარშემო დამატები-თი ინფორმაციის მი-საღებად, რესპონ-დენტის განსამუხ-ტად, თუ „სენსიტი-ურ“ თემას შევეხეთ და ა.შ.	„სხვათაშორის, საინტე-რესოა...“ „დამავიწყდა, მეკითხა...“
10. სიჩუმე	პაუზის გამოყენება, რათა რესპონდენტმა ნათქვამზე რეფლექ-სია მოახდინოს და თავად დაარღვიოს სიჩუმე	–

მიჩნეულია, რომ ზემოხსენებული ტიპის შეკითხვები ინტერვიუს გზამკვლევში, საბოლოო ჯამში, სამი უმთავრესი ფუნქციით გამოიყენება: ძირითად შეკითხვებად, თანმდევ შეკითხვებად და ზონდირების ტექნიკად (Rubin, Rubin, 2005, 152-200).

ძირითადი შეკითხვები უშუალოდ საკვლევი მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს. როგორც წესი, საკვლევი პრობლემის შესახებ რესპონდენტს პირდაპირ ვერ დავუსვამთ შეკითხვას, რადგან ის ზედმეტად აბსტრაქტულია, რომ კონკრეტული პასუხი მივიღოთ. მაგალითად, რესპონდენტს შეიძლება გაუჭირდეს პასუხის გაცემა შეკითხვაზე, რამდენად წარმატებულია მისი ქორწინება, რადგან შესაძლოა ასე კომპლექსურად არ უფიქრია და მზა პასუხი არა აქვს. ნაცვლად ამისა, საკვლევი პრობლემა რამდენიმე ძირითად შეკითხვად უნდა ჩავშალოთ, რომელზეც პასუხი რესპონდენტისთვის შედარებით მარტივი გასაცემი იქნება, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე. მაგალითად, იმის გასაგებად, თუ რამდენად წარმატებულია ვინმეს ქორწინება, დაქორწინებულ წყვილებს შეგვიძლია ვკითხოთ მათი ერთობლივი აქტივობების შესახებ, კონფლიქტების არიდების სტრატეგიების შესახებ, ქორწინებამდელი მოლოდინების და ქორწინების შემდეგ ამ მოლოდინების განხორციელების შესახებ და ა.შ. საკვლევი პრობლემიდან ძირითად შეკითხვებამდე ფოკუსის დავიწროვება ორი გზითაა შესაძლებელი: ერთ შემთხვევაში, მკვლევარს თემასთან დაკავშირებით საკმარისი ცოდნა აქვს და დარწმუნებულია, რომ კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება საშუალებას მისცემს, საკვლევ კითხვას უპასუხოს. ასეთ დროს, მკვლევარი განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაცია სჭირდება ძირითადი შეკითხვების ფორმულირების მიზნით. მეორე შემთხვევაში, მკვლევარს დასმული აქვს საკვლევი კითხვა, თუმცა ჯერ არ იცის, რა კონკრეტული ინფორმაცია სჭირდება მასზე პასუხის გასაცემად. ვთქვათ, მკვლევარმა ზოგადად იცის, თუ რა სპეციფიკური აქტივობები უკავშირდება საკვლევ საკითხს. მაგალითად, კონფლიქტის არიდების რა სტრატეგიები შეიძლება ჰქონ-

დეთ ქორწინებაში მყოფ წყვილებს. მისი ძირითადი შეკითხვები იმგვარად იქნება ფორმულირებული, რომ რესპონდენტმა სწორედ პარტნიორთან კონფლიქტის არიდების ცალკეულ აქტივობაზე ისაუბროს. გაცემული პასუხებიდან მიღებული ინფორმაციით მკვლევარი თანმდევ შეკითხვებს შეიმუშავებს, რომელიც იმ სპეციფიკურ ინფორმაციას მიაწოდებს, რაც აუცილებელია საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჩვენს შემთხვევაში, თუ რამდენად წარმატებულია ამ წყვილის ქორწინება (იქვე, 152).

ძირითადი შეკითხვების ფორმულირებისას გასათვალისწინებელია, რომ მკვლევარმა უფრო ზოგადი შეკითხვებით უნდა დაიწყოს და შემდეგ თანმიმდევრულად უნდა დაავიწროვოს ფოკუსი მეტად კონკრეტული შეკითხვების მიმართულებით; ის სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მისი მაგალითების თუ გამოცდილების მოყვანას ძირითადი შეკითხვების დასმისას, რათა რესპონდენტის შეხედულებებზე გავლენა არ მოახდინოს; ის უნდა მოერიდოს აკადემიური ჟარგონის გამოყენებას, რომელიც გაუგებარია მისი პროფესიის მიღმა; ის უნდა მოერიდოს „დიახ-არა“ პასუხის გამომწვევ შეკითხვებს და ამგვარ შეკითხვებს ყოველთვის უნდა ახლდეს თანმდევი შეკითხვები შესაბამისი დეტალების დასაზუსტებლად; ის უნდა მოერიდოს პირდაპირ „რატომ?“ შეკითხვის დასმას, არამედ ჰკითხოს რესპონდენტებს მათი გამოცდილების შესახებ და თავად გამოიტანოს დასკვნები საფუძველმდებარე მიზეზების შესახებ; ის უნდა მოერიდოს შეფასებითი მსჯელობის გამომწვევი შეკითხვების დასმას, რომელზეც პასუხის გაცემას რესპონდენტები უფრთხიან ხოლმე (მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ დასვას შეკითხვა: „რამდენად გაუმჯობესდა ორგანიზაციის საქმიანობა მას შემდეგ, რაც მასში მუშაობა დაიწყეთ?“, ინტერვიუერმა რესპონდენტს უნდა ჰკითხოს: „თუ რამე მნიშვნელოვან ცვლილებას ჰქონია ადგილი ორგანიზაციაში თქვენი მუშაობის დაწყებიდან მოყოლებული, გთხოვთ, მომიყვეთ ამ ცვლილებების შესახებ“); თუკი რესპონდენტის მხრიდან გარკვეული შეფასებები მაინც აინტერესებს, მკვლევარმა

მსგავსი შეკითხვები ინტერვიუს ბოლოს უნდა დასვას, როცა რესპონდენტმა უკვე არაერთი მაგალითი მოიყვანა აღნიშნულ საკითხზე და ა.შ.

თანმდევი შეკითხვები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მიღებას ემსახურება. ისინი, ასევე, ეხმარება მკვლევარს, უკეთ გაიგოს მოულოდნელი პასუხის არსი ან მოიპოვოს მეტი დეტალი, როცა მიღებული პასუხი საკმაოდ ზოგადი და ზედაპირულია. თანმდევი შეკითხვის ფორმულირებამ პირდაპირ უნდა ასახოს ის, რაც რესპონდენტმა ახლახანს თქვა. თანმდევი შეკითხვისას მკვლევარი რესპონდენტის ნათქვამს აჯამებს და შემდეგ სპეციფიკურ შეკითხვას სვამს, რასაც თან ახლავს რესპონდენტის უფრო დეტალური ნარატივი. შედეგად, მკვლევარი მეტ სამხილს იძენს მისი დასკვნების გასამყარებლად ან თუნდაც საკითხის ახლებურ ინტერპრეტაციას ახდენს.

ზონდირება მკვლევარს საუბრის წარმართვაში ეხმარება, აკონტროლებს რა პასუხების სიგრძეს და დეტალურობას, აზუსტებს გაუგებარ წინადადებებს და ფრაზებს, და ავსებს ნაკლულ ინფორმაციას. ზონდირება შესაძლოა იყოს ვერბალურიც და არავერბალურიც. ვერბალური ზონდირება, როგორც წესი, საკმაოდ მოკლე და მარტივ შეკითხვებს მოიცავს, როგორიცაა „შეგიძლიათ უფრო მეტი მიამბოთ ამის შესახებ?“ არავერბალური ზონდირება კი შესაძლოა მოიცავდეს მკვლევრის მხრიდან მცირე პაუზას, რათა რესპონდენტს საუბრის გაგრძელება აცალოს, რესპონდენტისკენ დახრას, რათა მიღებული ინფორმაციის მიმართ ინტერესი გამოხატოს, გარკვეული ინფორმაციის მიმართ თანხმობის ღიმილით ან თავის ქნევით გამოხატვას და ა.შ.

ინტერვიუერის როლი

მკვლევართა აზრით, ხარისხიანი ინტერვიუს ჩასატარებლად, ინტერვიუს პროცესში სამ მნიშვნელოვან ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: 1. რესპონდენტის მონათხრობის უწყვეტობის შენარჩუნებაზე, რასაც შეიძლება დაემუქროს ინტერ-

ვიუერის საუბარში ჩარევა ან სხვა თემაზე საუბრის გადატანა, რესპონდენტის დაწყებული წინადადების დასრულება, რესპონდენტისთვის გაუგებარი შეკითხვების დასმა და ა.შ. 2. რესპონდენტთან პოზიტიური ინტერაქციის დამყარებაზე, რასაც შეიძლება დაემუქროს ინტერვიუერის მიერ მზა პასუხების შეთავაზება, გაკვირვებისა თუ აღშფოთების გამოხატვა (თუნდაც არავერბალურად), თანხმობის ნიშნების ან პოზიტიური უკუკავშირის არმიცემა და ა.შ.; 3. ინტერვიუერის მიკერძოების/ტენდენციურობის არიდებაზე, რასაც შეიძლება დაემუქროს ინტერვიუერის მიერ რესპონდენტისთვის საკუთარი შეხედულებების თავს მოხვევა, მიმართულების მიმცემი შეკითხვების დასმა, რესპონდენტის პოზიციის განსჯა და ა.შ. (Shensul, Schensul, & LeCompte, 1999, 141).

სანამ ინტერვიუს დაიწყებს, მკვლევარმა რესპონდენტის ნდობა უნდა მოიპოვოს. ამისთვის არაერთი სტრატეგია გამოიყენება, დაწყებული ინტერვიუერის ვიზუალით და სამოსით, რომელიც ინტერვიუს სოციალური კონტექსტის შესაბამისი უნდა იყოს (მაგალითად, ინტერვიუერი არ უნდა წავიდეს უსახლკარო ადამიანებთან ინტერვიუს ჩასატარებლად ძვირფასი შარვალ-კოსტუმით) და დამთავრებული რესპონდენტთან საზიარო გამოცდილების ხაზგასმით (რითიც მკვლევარი მის ემპათიურ პოზიციას გამოხატავს), ან პირიქით, ამგვარი გამოცდილების ნაკლებობის გამო, რესპონდენტისგან ცოდნის მიღების სურვილის დემონსტრირებით (ამ შემთხვევაში, რესპონდენტი ერთგვარ ექსპერტად გვევლინება, რომლისგანაც ინტერვიუერმა უნდა ისწავლოს. უსახლკარო ადამიანებიც კი ქუჩის ცხოვრების „ექსპერტები“ არიან, რომელთა შიდაჯგუფურ ინფორმაციაზე მკვლევარს წვდომა არ აქვს და თავად ამ ჯგუფის წევრებისგან უნდა მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია). რესპონდენტის ნდობის მოსაპოვებლად, როგორც წესი, ინტერვიუერი მასთან ინტერაქციას ხანმოკლე საუბრით იწყებს (შეიძლება უშუალოდ საკვლევ თემას არც ეხებოდეს), რომელიც ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის „ყინულის გალღობის“ ფუნქციას ასრულებს. ინტერვიუე-

რი წარადგენს საკუთარ თავს და კვლევის მიზანს, აგრეთვე უხსნის რესპონდენტს, თუ როგორ შეარჩია ის კვლევისთვის და რატომაა ღირებული სწორედ მისი აზრი. რესპონდენტს შესაძლოა ეშინოდეს, რომ ინტერვიუერის თვალში არაკომპეტენტური გამოჩნდება ან მისი განსჯის საგანი გახდება, ამიტომ ნდობის მოსაპოვებლად და რესპონდენტის გასახსნელად, ინტერვიუერმა უნდა აუხსნას, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები და რომ მას რესპონდენტის პირადი მოსაზრებები და გამოცდილება აინტერესებს.

ინტერვიუს წარმატებით წარმართვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუერმა შეძლოს რესპონდენტის აზრებისა და მინიშნებების სათანადოდ გაგება – არა მარტო მონათხრობის შინაარსის ადეკვატურად წვდომა, არამედ იმის გამოცნობაც, რაც ხაზებს შორის იკითხება. ამას კი შესაბამისი პრაქტიკა სჭირდება. ამიტომ უშუალოდ ინტერვიუს ჩატარებამდე, სასურველია, მკვლევარმა სიმულირებული ინტერვიუ ჩაატაროს მეგობრების წრეში ან, უმჯობესია, გამოცდილი ინტერვიუერის თანდასწრებით. ამ გზით ის შეძლებს, დაგეგმილი ინტერვიუს პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირება მოახდინოს და წინასწარ იფიქროს მათთან გამკლავების შესაძლო სტრატეგიებზე.

ინტერვიუს პროცესში რესპონდენტები ისტორიებს ყვებიან. მკვლევარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ როდის და რა ვითარებაში სთავაზობს რესპონდენტი მოცემულ ისტორიას თუ ნარატივს, რათა მიხვდეს, თუ რა უბიძგებს მას, თქვას ის, რასაც ამბობს და სწორედ იმ ფორმით, რა ფორმითაც ამბობს. როგორც აღინიშნა, ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, საკუთარი ქმედება იმ „ჩარჩოს“ მოარგოს, რომელიც მოცემულ კონტექსტს შეესაბამება და ამ მორგებით, აუდიტორიაზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს (Goffman, 1956). მკვლევარსა და საკვლევ სუბიექტ(ებ)ს შორის ინტერაქცია სწორედ ამგვარ „ჩარჩოში“ ხორციელდება და სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად, ორივე მხარემ სათანადოდ უნდა შეასრულოს თა-

ვისი „როლი“. საკვლევი სუბიექტ(ებ)ის მიერ როლის მორგების მოტივაციას და სპეციფიკას რომ სწვდეს, მკვლევარმა ინტერაქციის პროცესს მათი პერსპექტივიდან უნდა შეხედოს. ის დაინახავს, რომ ზოგი რესპონდენტი უფრო თამამია და უკეთესი მთხრობელიცაა, ზოგი – მეტად მორიდებული და ნაკლებ მჭევრმეტყველი. პირველ შემთხვევაში, ინტერვიუერის საქმეა ნარატივის ყურადღებით მოსმენა და თხრობის დასრულების შემდეგ საჭირო შეკითხვების დასმა. თუმცა, აქტიური მთხრობლის შემთხვევაში, ინტერვიუერის მთავარ გამოწვევას იმის კონტროლი წარმოადგენს, რომ რესპონდენტის ნარატივი კვლევის სპეციფიკურ ფოკუსს არ გასცდეს. სიტყვაძუნწი რესპონდენტის შემთხვევაში კი, ინტერვიუერმა შეკითხვების იმგვარ ფორმულირებაზე უნდა იზრუნოს, რომ რესპონდენტი აალაპარაკოს; თუმცა, ნაკლებ უნდა უფრთხოდეს, რომ რესპონდენტი თემიდან გადაუხვევს. ისტორიების მოსმენასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია, მკვლევარმა ამ ისტორიების რესპონდენტისეული ინტერპრეტაციებიც მოისმინოს და ეს ინტერპრეტაციები საკუთარს შეადაროს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მკვლევრის მიერ ინტერვიუს პროცესზე რეფლექსია, იქნება ეს ინტერვიუს დასრულებისთანვე თუ მოგვიანებით, ჩანაწერების მოსმენის შემდეგ. ამახვილებს რა ყურადღებას მთხრობლის მახასიათებლებზე, შემოთავაზებული ისტორიების თუ ნარატივების ტიპებზე, სოციალური კონტექსტის შესაბამისად ამ ნარატივების ცვლილებაზე და ერთი ნარატივის სხვადასხვა ვერსიის წარმოქმნაზე, მკვლევარი არა მხოლოდ ინტერვიუს ფაბულის, არამედ მის მიღმა არსებული რეალობის წვდომასაც ცდილობს.

ინტერვიუს მიღმა არსებული რეალობის წვდომა

სიღრმისეული ინტერვიუს მიღმა არსებული რეალობის აღმოსაჩენად, სოციალური მკვლევრები გვთავაზობენ, რეფლექსური მიდგომა გამოვიყენოთ, რაც საკვლევი საკითხის სხვადასხვა კუთხიდან დანახვას გულისხმობს და არა რაიმე დომინანტური,

პრივილეგირებული ხედვის გამოყენებას. ამგვარ მიდგომას შესაძლოა სამი შედეგი მოყვეს: მეთოდოლოგიური, რეფლექსური და ინოვაციური (Alvesson, 2003, 25).

მეთოდოლოგიური მიდგომის ჭრილში, რესპონდენტი აღიქმება არა ობიექტური ინფორმაციის წყაროდ, არამედ სუბიექტად, რომელზეც ორგანიზაციის პოლიტიკა ახდენს გავლენას. მაგალითად, რესპონდენტს შესაძლოა არ სურდეს სიმართლის გამხელა კონფიდენციალობის დარღვევის შიშით ან მან მხოლოდ ის გაამხილოს, რისი მოსმენაც, მისი აზრით, ინტერვიუერს სურს. ინტერვიუსადმი „ემპათიური“ მიდგომის გამოყენება ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი უმთავრესი გზაა. მეორე, რეფლექსური მიდგომა ინტერვიუს მასალის ახლებურ ხედვას გვთავაზობს. მკვლევარი აცნობიერებს, რომ ინტერვიუს ტრანსკრიპტი არის ტექსტი, რომელიც ობიექტურ რეალობას კი არ ასახავს, არამედ სუბიექტურად უნდა შეფასდეს. მიუხედავად მოპოვებული მონაცემების სამეცნიერო ანალიზისა, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ინტერპრეტაცია ყოველთვის სუბიექტური სახისაა და არა ობიექტური რეალობის ამსახველი. რაც შეეხება ინოვაციურ მიდგომას, ის ინტერვიუს ახალი საკვლევი კითხვებისა და ახლებური ინტერპრეტაციის წყაროდ აღიქვამს. ამგვარი მიდგომისას თავად ინტერვიუს პროცესი და არა მასალის შინაარსი ხვდება მკვლევრის ყურადღების ცენტრში. ამ შემთხვევაში, ინტერვიუს პროცესი მიმართულია ორგანიზაციული დისკურსის გამოვლენაზე, რომელიც რესპონდენტის სუბიექტური მახასიათებლების გავლენით ყალიბდება. ინტერვიუს მონაცემები ასახავს, თუ რას ფიქრობენ, გრძნობენ და აკეთებენ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. შესაბამისად, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ინტერვიუს პროცესის დინამიკაზე, რომლის შედეგად მიღებული მონაცემები უნდა გაანალიზდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა ისტორიებს და როგორ ყვებიან რესპონდენტები, და რატომ ირჩევენ სწორედ ამ ისტორიების მოყოლას (იქვე, 27-30).

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ სიღრმისეული ინტერვიუ-სადმი რეფლექსური მიდგომა, მისი მეთოდოლოგიური, რეფ-ლექსური და ინოვაციური შედეგებით, იმთავითვე უარყოფს ობიექტური რეალობის წვდომის შესაძლებლობას და ინტერვიუს შედეგად მიღებულ მონაცემებს სოციალურად კონსტრუირებუ-ლად მიიჩნევს. ამგვარი ხედვის საფუძველზე, ობიექტურობა არის არა აბსოლუტური ან თავისთავად მნიშვნელადი მდგომა-რეობა, რომელზეც ადამიანები რეაგირებენ, არამედ ადამიანუ-რი გამოცდილების კონკრეტული ასპექტი. კვლევას არ შეუძლია სოციალური სამყაროს „ობიექტურად“ ასახვა, არამედ გვაძლევს იმ საზრისის წვდომას, რასაც ადამიანები სოციალურ სამყაროს და მათ გამოცდილებას მიაწერენ (Miller, Glassner, 2004, 126). ამ შემთხვევაში, სიღრმისეული ინტერვიუ კვლევის ერთი-ერთი სა-უკეთესო ინსტრუმენტია, რადგან კვლევის სუბიექტების შეხე-დულებების წვდომის საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფს რა ამ შეხედულებებს „რეალობის სტატუსით, რომელიც კულტურის მიერაა მინიჭებული“ (იქვე, 127).

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის სუბიექტების შეხედულე-ბები მათ ნარატივებსა თუ ისტორიებში აისახება. ლ. რიჩარდსონი ორ ამგვარ ისტორიას განიხილავს: 1. „კულტურულ ისტორიას“ (“Cultural Story”) ანუ ნარატივს, რომელსაც ინდივიდები კულტუ-რის დომინანტური, ნორმატული თვალსაწიერიდან ყვებიან და რომელიც მნიშვნელოვნად ეფუძნება კულტურაში არსებულ სტე-რეოტიპებს; და 2. „კოლექტიურ ისტორიას“ (“Collective Story”), რომელიც კვლევის სუბიექტების თვალსაწიერიდანაა მოთხრო-ბილი და მათ ხედვას გააჟღერებს, ვინც მარგინალიზებულია და ვისი ხმაც არ ისმის „კულტურულ ისტორიაში“ (1990, 25). სიღ-რმისეული ინტერვიუს უპირატესობად სწორედ ის მიიჩნევა, რომ კვლევის სუბიექტებს თვითრეფლექსიისკენ და „კოლექტი-ური ისტორიების“ მოყოლისკენ უბიძგებს (Miller, Glassner, 2004, 130), რაც დომინანტური დისკურსის მიღმა არსებული რეალო-ბის დანახვის საშუალებას იძლევა.

მილერი და გლასნერი კულტურული და კოლექტიური ისტორიების ნიმუშებს გვთავაზობენ თინეიჯერი გოგონების ქუჩის ბანდების მაგალითზე. კულტურული ისტორიების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია გოგონების ნარატივები გენდერული უთანასწორობის გამოცდილების შესახებ ქუჩის ბანდებში. გოგონები მათ პიროვნულ ნარატივებს ბანდის გოგონების შესახებ უფრო ფართო კულტურული ისტორიების კონტექსტში ათავსებდნენ და ერთდროულად თან უარყოფდნენ ამ ისტორიებს და თან ბანდებში ჩართული „სხვა“ გოგონების აღწერისას იყენებდნენ. გავრცელებული კულტურული სტერეოტიპის თანახმად, გოგონებს ბანდებში მეორეხარისხოვანი როლი აქვთ და, უმეტესად, ბანდის წევრი კაცების სექსუალურ პარტნიორებად გვევლინებიან. წარმოდგენილ კვლევაში ეს კულტურული სტერეოტიპი კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო იმის გამო, რომ რიგ შესასწავლ ბანდაში გოგონების მიღების წინაპირობა ბანდის წევრ რამდენიმე კაცთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება იყო. გავრცელებული კულტურული სტერეოტიპების გამყარებასთან ერთად, ეს პრაქტიკა ბანდებში გოგონების სექსუალური რეპუტაციის შელახვას იწვევდა. ამიტომ ინტერვიუს პროცესში გოგონები ამ პრაქტიკიდან საკუთარი თავის დისტანცირებას ახდენდნენ და ეჭვქვეშ აყენებდნენ კულტურულ ისტორიას, როცა ბანდებში საკუთარ როლზე საუბრობდნენ. უფრო მეტიც, ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბანდის შიგნით პატივისცემა იმით დაიმსახურეს, რომ კაცებთან და კაცებივით ჩხუბობდნენ. თუმცა, ეს გოგონები ზემოხსენებულ კულტურულ ისტორიას ბანდის წევრი „სხვა“ გოგონების გასაკრიტიკებლად იყენებდნენ, რომლებსაც ბანდის წევრ კაცებთან სექსუალური კავშირები ჰქონდათ; მაგრამ თავად ბანდის წევრ კაცებს, რომლებიც გოგონებს სექსუალურ ობიექტებად აქცევდნენ, არ აკრიტიკებდნენ. ამგვარად, ბანდის წევრი გოგონები იმავე კულტურულ ისტორიებს იმეორებდნენ, რომლებსაც მსხვერპლი ქალები თავად გამოჰყავდათ დამნაშავეებად (იქვე, 134-135).

კოლექტიური ისტორია უპირატესობას ანიჭებს ლოკალურ და არა საზოგადოებრივ ამბებს. ბანდის გოგონებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი არა მარტო უარყოფდნენ გაბატონებულ სტერეოტიპებს ბანდებში მათი ჩართვის ამბის მოყოლისას, არამედ ბანდის, როგორც გენდერული თანასწორობის მქონე სივრცის, შესახებ კოლექტიურ ისტორიასაც ყვებოდნენ. გოგონები ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ ბანდაში ყველა თანასწორი იყო და რომ გოგონებს ისევე სცემდნენ პატივს, როგორც ბიჭებს. მათი კოლექტიური ისტორიის თანახმად, ქუჩის ბანდა იყო ადგილი, სადაც გოგონები სტატუსსა და პატივისცემას იმით იმსახურებდნენ, რომ საკუთარი თავის დაცვა შეეძლოთ და ისეთ თვისებებს ავლენდნენ, რასაც კულტურული ისტორიები, როგორც წესი, კაცებს მიაწერდნენ. საგულისხმოა, რომ ბანდის წევრი გოგონები არ მიიჩნევდნენ, რომ ყველა ქალი თანასწორი უნდა ყოფილიყო, არამედ გამოარჩევდნენ საკუთარ თავს იმ ახალგაზრდა ქალებისგან, რომლებიც ბანდებში არ იყვნენ ჩართულნი (იქვე, 136).

რომ შევაჯამოთ, თუ როგორ აგებდნენ ბანდის წევრი გოგონები მათ კულტურულ და კოლექტიურ ისტორიებს, დავინახავთ, რომ ისინი მსხვერპლ გოგონებს ადანაშაულებდნენ, ნაცვლად ახალგაზრდა კაცებისა, რომლებიც თანაბანდელ გოგონებს სექსუალურ ობიექტებად აქცევდნენ. ამ ნარატივებით ისინი საკუთარ თავსაც და სხვებსაც არწმუნებდნენ, რომ საპირისპირო სქესის თანაბანდელები მათ თანასწორად აღიქვამდნენ. ბანდაში გაწევრიანების გავრცელებული პრაქტიკისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეიცავდა რისკს, რომ გოგონები გარიყულნი დარჩებოდნენ იმის გამო, რომ ბანდებში კაცები დომინირებდნენ. ეს იმის აღიარებასაც ნიშნავდა, რომ გოგონები არ იყვნენ „თანასწორნი“ მათი თანაბანდელი კაცების თვალში. ბანდის გოგონები ცხოვრობდნენ სოციალურ რეალობაში, სადაც ქალებს ნაკლებ ღირებულად მიიჩნევდნენ. არსებული მდგომარეობისთვის წინააღმდეგობის გაწევის მათეული სტრატეგია არა ამგვარი დამო-

კიდებულების გაპროტესტება იყო, არამედ საკუთარი თავის მისგან განყენებულად წარმოჩენა. იმეორებდნენ რა კულტურულ ისტორიებს ბანდებში ჩართული გოგონების შესახებ და მოიაზრებდნენ რა საკუთარ თავს ამ წარმოდგენებს მიღმა, ბანდის წევრი გოგონები ქმნიდნენ კოლექტიურ ისტორიას, რომ ისინი ბიჭების მსგავსნი იყვნენ (იქვე, 137). განხილული მაგალითი ზემოხსენებული რეფლექსური მიდგომის კონტექსტში რომ ჩავსვათ, თვალსაჩინოა, რომ საკვლევი საკითხის არა ერთი პრივილეგირებული, არამედ სხვადასხვა (დომინანტური და მარგინალიზებული) თვალსაწიერიდან დანახვა მკვლევარს ეხმარება ინტერვიუს პროცესში სოციალურად კონსტრუირებული რეალობის წვდომაში და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემაში, თუ რა ისტორიებს და როგორ ყვებიან რესპონდენტები, და რატომ ირჩევენ სწორედ ამ ისტორიების მოყოლას.

სიღრმისეული ინტერვიუს მონაცემების ანალიზი

ტრანსკრიპტების მომზადება და მონაცემების კოდირება

ინტერვიუს მონაცემების ანალიზი არის „ნედლი“ ინტერვიუებიდან არგუმენტირებულ ინტერპრეტაციაზე გადასვლის პროცესი. მონაცემების ანალიზი ინტერვიუს მასალის კლასიფიცირებას, შედარებას და კომბინირებას გულისხმობს გარკვეული კანონზომიერებების გამოსავლენად, იზოლირებული აღწერების ერთ ლოგიკურ ნარატივად გასაერთიანებლად და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად. სოციოლოგები მონაცემების ანალიზის რამდენიმე ტიპს განიხილავენ და მკვლევრის გადასაწყვეტია, თუ კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ანალიზის რომელ ტიპზე შეაჩერებს არჩევანს. როგორც რობერტ უეისი აღნიშნავს, განზოგადების ხარისხიდან გამომდინარე, მონაცემების ანალიზი შესაძლოა იყოს ზოგადი ან კონკრეტული, ფოკუსიდან გამომდინარე კი – პრობლემაზე ან შემთხვევაზე ორიენტირებული. ამ ოთხი მახასიათებლის კომბინაციით შესაძლოა მივიღოთ

ანალიზის სხვადასხვა ტიპი, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ სოციოლოგიური (და აბსტრაქტული სამეცნიერო) ანალიზი, საბოლოო ჯამში, სოციალურ პრობლემაზე ფოკუსირდება და ნაკლებად – კონკრეტულ შემთხვევაზე, რითიც განზოგადების შესაბამის ხარისხს აღწევს. თუ ზემოთქმულს კონტინიუმის სახით წარმოვიდგენთ, კონტინიუმის ერთ მხარეს პრობლემაზე ფოკუსირებული ზოგადი ანალიზი იდგება, რომელსაც სოციოლოგები ახორციელებენ, ხოლო მეორე მხარეს – შემთხვევაზე ფოკუსირებული კონკრეტული ანალიზი, რაც ახლოსაა ჟურნალისტურ კვლევასთან (Weiss, 1994, 152).

სიღრმისეული ინტერვიუ მონაცემების ანალიზის ოთხ ეტაპს მოიცავს: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია (იქვე, 154). ანალიზის საწყის ეტაპზე მკვლევარი ინტერვიუს აუდიოჩანაწერებს შიფრავს და მათ *ტრანსკრიპტებს* (აუდიოჩანაწერის წერილობითი ვერსია) ამზადებს, შემდეგ კი – მონაცემების კოდირებას და კატეგორიზაციას ახდენს. *მონაცემების კოდირება* ინტერვიუს მასალიდან საკვანძო ცნებების და იდეების ამოღებას და მათ მოკლე შეჯამებას გულისხმობს (მსგავსად იმისა, როგორც ინტერვიუს გზამკვლევის თემატური ბლოკების სახელწოდებები მათ ფარგლებში დასმული შეკითხვების შინაარსს აჯამებს); *მონაცემების კატეგორიზაცია* კი იმ ინფორმაციის შეკრებას გულისხმობს, რასაც რესპონდენტები ამ ცნებებისა და საკითხების შესახებ ამბობენ. ანალიზის მომდევნო ეტაპი უფრო სიღრმისეული ხასიათისაა და თავდაპირველად მონაცემების *ლოკალურ ინტეგრაციას* ახდენს, ანუ თითოეული კოდის ქვეშ თავმოყრილი ინფორმაციის ანალიზსა და ინტერპრეტაციას, ხოლო შემდეგ – *ინკლუზიურ ინტეგრაციას,* ანუ ინფორმაციის ცალკეული ამონარიდის ერთმანეთთან მიმართებაში ანალიზს, ინტერპრეტაციას და ერთ ლოგიკურ ნარატივად გაერთიანებას.

ტრანსკრიპტების მომზადება შეუძლია როგორც თავად ინტერვიუერს, ისე ასისტენტს, რომელიც საგანგებოდ იქნება დაქი-

რავებული აუდიოჩანაწერის გასაშიფრად. ტრანსკრიპტები კვლევის პროცესშივე უნდა მომზადდეს, რათა თანმიმდევრული რეფლექსია დაეხმაროს ინტერვიუერს, მომდევნო ინტერვიუსთვის უკეთ მოემზადოს. სხვის მიერ მომზადებულ ტრანსკრიპტებს ის ნაკლი აქვს, რომ ეს ადამიანი არ დასწრებია თავად ინტერვიუს პროცესს და არ იცის კონკრეტულ ადამიანებთან ან მოვლენებთან დაკავშირებული ის დეტალები, რაც ინტერვიუერისთვის ცნობილია. ამიტომ ინტერვიუერს მოუწევს, სხვის მიერ შექმნილ ტრანსკრიპტებს ყურადღებით გადახედოს და დარწმუნდეს, რომ რაიმე აცდენას არა აქვს ადგილი. ტრანსკრიპტების მომზადებისას ან სხვის მიერ მომზადებული ტრანსკრიპტების კითხვისას, მკვლევარმა საკუთარი რეფლექსიაც უნდა დაურთოს – ეს შეიძლება იყოს ცალკეულ ინტერვიუსთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები, ვთქვათ, ინტერვიუს გარკვეულმა ამონარიდმა გაახსენოს წაკითხული სტატია თუ უბიძგოს ახალ საკვლევ კითხვას, ან ეს შეიძლება იყოს თავად ინტერვიუს პროცესთან დაკავშირებული კომენტარი. მკვლევარმა საყურადღებო ციტატებიც უნდა გამოყოს, რომლებიც მისი არგუმენტების გამყარებას ემსახურება და საბოლოო ნაშრომშიც შევა. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ტრანსკრიპტის მომზადების შემდეგ მკვლევარმა ინტერვიუს შინაარსის მნიშვნელოვანი ასპექტების შეჯამებაც უნდა დაურთოს, რომელიც უნდა შეიცავდეს ინტერვიუში გამოვლენილ არსებით მიგნებებს, რაც საკვლევ შეკითხვას პასუხობს, ასევე, რესპონდენტის სახელს/ინიციალებს ან ფსევდონიმს, ინტერვიუს ხანგრძლივობას, ადგილსა და დროს (Rubin, Rubin, 2005, 205).

ტრანსკრიპტების მომზადების შემდეგ მკვლევარი მათ ერთ („სუფთა“) ვერსიას ცალკე ფოლდერში ინახავს, ხოლო მეორე („სამუშაო“) ვერსიას – მონაცემების დასამუშავებლად იყენებს. მონაცემების ანალიზი მათი კოდირებით იწყება, რაც, პირველ რიგში, ინტერვიუს მასალაში საკვანძო ცნებების, თემების, მოვლენებისა თუ თემატური მარკერების იდენტიფიცირებას ნიშნავს, შემდეგ კი – თითოეულ ტრანსკრიპტში შესაბამისი სახელ-

წოდების ანუ კოდის მიწერას იმ მონაცემებისთვის, სადაც ეს ცნება, თემა, მოვლენა თუ თემატური მარკერი გვხვდება. მიჩნეულია, რომ *ცნება* არის სიტყვა თუ ტერმინი, რომელიც საკვლევი პრობლემისთვის მნიშვნელოვან იდეას მოიცავს; *თემა* აჯამებს, თუ რა ხდება მოცემულ სიტუაციაში; *მოვლენა* ის ხდომილებაა, რომელიც საკვლევ კონტექსტს ქმნის; *თემატური მარკერი* კი შეიძლება იყოს ადამიანების, ორგანიზაციების, ადგილების სახელები, თარიღები, მისამართები, საკანონმდებლო რეგულაციები და ა.შ. თემატური მარკერები თავისთავად მნიშვნელადი კი არ არის, არამედ ნარატივის ცალკეულ ნაწილებს ერთად კრავს. მაგალითად, თუ საკანონმდებლო აქტების ლობირების პრაქტიკას იკვლევს, მკვლევარს შეუძლია ინტერვიუს მასალაში მოიძიოს გარკვეული საკანონმდებლო მუხლი, რომელიც ინიცირებულია კონკრეტულ დროს და სწორედ ის იქნება მკვლევრისთვის თემატური მარკერი. საკვანძო ცნებებისა თუ თემების იდენტიფიცირების შემდეგ, მკვლევარი თითოეული ინტერვიუს საფუძველზე მათ განმარტებას და სინთეზს ახდენს, რასაც შედეგად ახალი ცნებებისა და თემების გენერირება მოსდევს. ამ მიზნით, ის აუცილებლად სვამს შემდეგ ხუთ შეკითხვას: 1. რა შემიძლია ვუწოდო ამ ცნებას? 2. როგორ შემიძლია მისი განსაზღვრა? 3. როგორ უნდა ვიცნო ის სხვადასხვა ინტერვიუში? 4. რა უნდა გამოვრიცხო ამ ცნებიდან? და 5. რა არის მისი კონკრეტული მაგალითი? (იქვე, 206).

სწორედ ამ ეტაპს მოყვება ის პროცედურა, რაც კოდირების სახელითაა ცნობილი (თუმცა, კოდირება ცნებების და თემების იდენტიფიცირებით იწყება), კერძოდ, თითოეული ცნებისთვის, თემისთვის, მოვლენისა და თემატური მარკერისთვის შესაბამისი სახელის ანუ კოდის დარქმევა და შემდეგ ამ კოდის მონიშვნა თითოეული ინტერვიუს ტექსტში, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა ინტერვიუში გამოვლენილი მსგავსი მონაცემების შეკრება და გაანალიზება. კოდებს შორის ურთიერთკავშირს „კოდირების სტრუქტურა“ ეწოდება. კოდები და კოდირების სტრუქტურა

ლოგიკური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კვლევის მიზანს შეესაბამება (იქვე, 207). მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ როდის მთავრდება კოდირების პროცესი. როგორც წესი, კოდირება სრულდება მაშინ, როცა მკვლევარი ტრანსკრიპტების კითხვას ასრულებს. თუმცა, კოდირების პროცესი იცვლება კვლევის განვითარების კვალდაკვალ. ტრანსკრიპტების გარკვეული რაოდენობის კოდირების შემდეგ მკვლევარი ამჩნევს, რომ ახალი ტრანსკრიპტების მონაცემები სულ უფრო მეტად ერგება უკვე შემუშავებულ კოდებს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მომენტი, როცა ახალი მასალა ვერ გაამდიდრებს არსებულ კოდებს, ანალიზის კვალდაკვალ ახალი კოდების შემუშავების სიხშირე კლებულობს.

განვიხილოთ ინტერვიუს მონაცემების კოდირების კონკრეტული ნიმუში. თუ კვლევის მიზანია ჯანმრთელობისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესახებ რესპონდენტთა წარმოდგენების კვლევა, მკვლევარი შესაძლოა დაინტერესდეს მათი ცხოვრების წესით, მათი მხრიდან ჯანმრთელობის სხვადასხვა ასპექტის აღქმით, ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე სხვადასხვა ფაქტორის იდენტიფიცირებით და ა.შ. თუ ამგვარი ფაქტორების განხილვისას რესპონდენტი საუბრობს იმაზე, რომ ადამიანის ჯანმრთელობა მის ცხოვრების წესზეა დამოკიდებული და მოჰყავს მაგალითები, როგორ უფრთხილდება საკუთარ ჯანმრთელობას იმით, რომ არ ეწევა და სპორტს მისდევს, მკვლევარს შეუძლია ამგვარი ინფორმაცია შეაჯამოს კოდით „საკუთარი ქცევა“. თუკი რესპონდენტს მიაჩნია, რომ არა აქვს მნიშვნელობა ჯანმრთელი ცხოვრების წესს, რადგან ადამიანს მაინც მემკვიდრეობით გადაეცემა მისი მშობლების და წინაპრების დაავადებები, მაშინ მკვლევარი გამოიყენებს კოდს „ბიოლოგიური მემკვიდრეობა“. თუკი რესპონდენტს მიაჩნია, რომ ინდუსტრიული დაბინძურებით გამოწვეული გარემოს ცვლილებები ფატალურ გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მაშინ ინფორმაცია შეჯამდება კოდით „გარემოს ფაქტორები“ და ა.შ.

მონაცემების კოდირების ნიმუში: ჯანმრთელობისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესახებ წარმოდგენები

1. **პიროვნული პროფილი** 1.1 სქესი 1.2 ასაკი 1.3 ოჯახური მდგომარეობა 1.4 შვილების ყოლა 1.5 განათლება 1.6 დასაქმება 1.7 შემოსავალი 1.8 დასახლების ტიპი 1.9 რელიგია	**4. ჯანმრთელობაზე გავ-ლენის მქონე ფაქტორები** 4.1 საკუთარი ქცევა 4.2 ასაკი 4.3 ბიოლოგიური მემკვიდ-რეობა 4.4 ოჯახის ისტორია 4.5 სოციალური ფაქტორები 4.6 გარემოს ფაქტორები 4.7 ჯანდაცვის სერვისები
2. ჯანმრთელობის აღქმა 2.1 ჯანმრთელობის ფიზიკური ას-პექტები 2.2 ჯანმრთელობის მენტალური ასპექტები 2.3 ჯანმრთელობის ფიზიკურ და მენტალურ ასპექტებს შორის მი-მართება 2.3 ჯანმრთელი ადამიანის ხატი 2.4 არაჯანმრთელი ადამიანის ხატი	**5. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იდეების წყარო** 5.1 ოჯახი 5.2 მეგობრები 5.3 სამსახური 5.4 მასმედია 5.5 ჯანდაცვის სერვისები 5.6 საზოგადოებრივი კამპა-ნიები
3. ცხოვრების წესი 3.1 ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხედვა 3.2 არაჯანმრთელი ცხოვრების წესის ხედვა 3.3 შეხედულებები დიეტაზე 3.4 შეხედულებები მოწევაზე 3.5 შეხედულებები ალკოჰოლის სმაზე 3.6 შეხედულებები ფიზიკურ ვარ-ჯიშზე 3.7 შეხედულებები დასვენებაზე 3.8 შეხედულებები სტრესზე	**6. ჯანმრთელი ცხოვრების წესზე პასუხისმგებელი პი-რები** 6.1 თავად პიროვნება 6.2 ოჯახი 6.3 საგანმანათლებლო და-წესებულებები 6.4 სამედიცინო დაწესებუ-ლებები 6.5 მთავრობა

მონაცემების კატეგორიზაცია

მონაცემების კოდირებას მათი კატეგორიზაცია მოსდევს, რაც შესაბამისი კოდების ქვეშ ინტერვიუს მონაცემების დახარისხებას გულისხმობს (ცალკე ფაილად). ამ მიზნით, მკვლევარმა თითოეული ინტერვიუდან კოდის სახელწოდების შესაბამისი შინაარსი უნდა ამოკრიფოს და მოცემული კოდის ქვეშ მოათავსოს (როგორც სათაურის ქვეშ თავსდება ნაწარმოების შინაარსი). ეს პროცედურა საშუალებას აძლევს მკვლევარს, გააანალიზოს, თუ მთლიანობაში როგორ აღიქმება განსახილველი საკითხი თუ მოვლენა, რა დატვირთვა აქვს მას სხვადასხვა რესპონდენტისთვის, რა მსგავსება-განსხვავებებია რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ მსგავსი ცნებების, თემებისა თუ მოვლენების ხედვაში და ა.შ.

დღეს მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციის გამარტივების მიზნით სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამა გამოიყენება, როგორიცაა NVivo, MAXQDA, HyperRESEARCH, Atlas.ti და ა.შ. ამ პროგრამებით მოინიშნება გარკვეული ცნების, თემის, მოვლენის თუ თემატური მარკერის თითოეული გამოყენება ყველა ინტერვიუში. ამ სახით დაჯგუფებულ მასალაში, მკვლევარი ცდილობს ცნებებს, თემებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების მოკვლევას და გარკვეული კანონზომიერებების აღმოჩენას, რათა შედეგად „გაჯერებული აღწერა“ წარმოადგინოს. შეკითხვაზე, თუ როგორ ადგენს მკვლევარი თემებს შორის კავშირებს, ავტორები პასუხობენ, რომ, პირველ რიგში, ეს საკუთარი შეკითხვების გაანალიზებით ხდება, რადგან კვლევის დროს გაჩენილი შეკითხვები ასახავს მკვლევრის იდეებს შესაძლო თემების შესახებ. მეორე გზაა იმის ანალიზი, თუ თავად რესპონდენტები როგორ ხედავენ საკვანძო ცნებებს შორის კავშირებს. მესამე გზაა მოცემული კვლევის კონტექსტუალიზება არსებული ლიტერატურის ფარგლებში და იმის მოძიება, თუ განხილული ლიტერატურა ამ ცნებებს შორის რა კავშირებს გვთავაზობს.

და ბოლოს, მარტივ ლოგიკაზე დაყრდნობით, ცნებებსა და თემებს შორის კავშირების გამოცნობა და შემდეგ, თეორიული მასალის საფუძველზე, ამ ლოგიკური ჯაჭვის ადეკვატურობის შემოწმება (Rubin, Rubin, 2005, 231).

ლოკალური ინტეგრაცია

როცა ცალკეული კოდის ქვეშ შესაბამისი მონაცემებია კატეგორიზებული, მკვლევარმა მათი შეჯამება და ანალიზი უნდა მოახდინოს, რაც, შედეგად, კვლევის ანგარიშის კონკრეტულ სექციას ქმნის. რობერტ უეისი ანალიზის ამ ეტაპს ლოკალურ ინტეგრაციას უწოდებს (1994, 158). ის გვთავაზობს, ამ პროცედურას ინტერვიუს მონაცემების მოპოვებისთანავე შევუდგეთ და მთელი კვლევის მანძილზე განვაგრძოთ. ლოკალური ინტეგრაციისას, თავდაპირველად, რესპონდენტების აზრებს ვაჯამებთ და დომინანტური იდეები თუ ხედვები გამოგვყავს, რითიც არგუმენტაციის ძირითად ხაზს ვავითარებთ; შემდეგ მათგან განსხვავებულ, ალტერნატიულ მოსაზრებებს ვპოულობთ და ვაჯამებთ.

თუ წინა თავში წარმოდგენილი კვლევის დიზაინის მაგალითს მოვიყვანთ ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ საქართველოში, მონაცემების ანალიზიდან აღმოჩნდება, რომ ქვეყანაში ევროპეიზაციის წამყვან მექანიზმად პირობითობა გვევლინება, ანუ საკანონმდებლო რეფორმები სწორედ იმიტომ ხორციელდება, რომ ამას ევროკავშირი ითხოვს; თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, ევროპეიზაციის წარმმართველ მექანიზმად სოციალიზაციაც გვევლინება. ლოკალური ინტეგრაციის მიზნით, მკითხველს თავდაპირველად ის მასალა უნდა წარვუდგინოთ, რომელიც დომინანტურ მდგომარეობას (პირობითობის მექანიზმის უპირატესობას) აღწერს და მის ახსნას ცდილობს, შემდეგ კი განსხვავებული შემთხვევა (სოციალიზაციის მექანიზმის უპირატესობა) აღვწეროთ და მისი მიზეზების ახსნა ვცადოთ.

ამდენად, ლოკალური ინტეგრაციისას, მონაცემების აღწერასთან ერთად, აუცილებელია გარკვეული თეორიული ინტერპრეტაციების მოყვანაც, რომ მკვლევრის არგუმენტები დამაჯერებლად ჟღერდეს. ამიტომ უეისი გვთავაზობს „მინითეორიების“ ანუ იმ ჰიპოთეზების შემუშავებას, რაც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული თუ გარკვეული სექციის ქვეშ შეჯამებული მასალის გაგებაში დაგვეხმარება. მონაცემების ანალიზის კვალდაკვალ, მკვლევარი მხოლოდ იმ „მინითეორიებს“ შეინარჩუნებს, რაც მის მონაცემებს გაამყარებს და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მსგავს თეორიებსაც ეხმიანება (იქვე, 158-159).

ინკლუზიური ინტეგრაცია

ინკლუზიური ინტეგრაცია ერთ მთლიან ისტორიად კრავს ლოკალური ინტეგრაციის შედეგად მიღებული ცალკეული სექციის ანალიზს. ინკლუზიური ინტეგრაციის მიზანია იმ საერთო თეორიული ჩარჩოს შემუშავება, რომლის ფარგლებშიც მონაცემების ინტეგრირება და საბოლოო დასკვნების გამოტანა მოხდება. მართალია, მკვლევარს თეორიული ჩარჩოს მონახაზი ჯერ კიდევ კვლევის დიზაინში აქვს წარმოდგენილი, მაგრამ მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის შედეგად ის შემდგომ იხვეწება და შესაძლოა ფუნდამენტური ცვლილებაც განიცადოს (იქვე, 160).

კვლავ ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ კვლევის დიზაინს რომ დავუბრუნდეთ, ინკლუზიური ინტეგრაციისას იმ ძირითადი თემატური სექციების შედარებით ანალიზსა და სინთეზს ექნება ადგილი, რაც ლოკალური ინტეგრაციის შედეგად მივიღეთ, კერძოდ, საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში, პირობითობის, თვითპირობითობის და სოციალიზაციის მექანიზმების ქმედითუნარიანობის ანალიზი განხორციელდება და ამ ანალიზის საფუძველზე ევროპეიზაციის წარმმართველი მექანიზმის შესახებ ძირითადი დასკვნების გამოტანა მოხდება; წარმოდგე-

ნილი ანალიზი კი ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ არსებულ თეორიულ ჩარჩოში იქნება კონტექსტუალიზებული.

ამდენად, ანალიზის დასასრულს მკვლევარი აჯამებს თემებს, რომლებიც მის საკვლევ კითხვას პასუხობს. ამ ეტაპზე მკვლევარი ცდილობს იმის დადგენას, რამდენად ხსნის მოცემული კვლევის შედეგები სხვა მსგავს სიტუაციებს, ანუ რამდენად ფართოდ გამოყენებადია მისი თეორიული მიგნებები. ამისთვის რამდენიმე მიდგომა არსებობს: ერთ შემთხვევაში, შესასწავლი გარემო, შემთხვევები თუ რესპონდენტები თავიდანვე იმგვარად იქნება შერჩეული, რომ მოგვიანებით სხვა მსგავს შემთხვევებსა თუ სიტუაციებზეც იყოს შესაძლებელი მონაცემების განზოგადება. მაგალითად, საქართველოში ევროკავშირის ნორმატული სტანდარტების დანერგვის შესწავლა მრავალფეროვან სიტუაციებში, რათა შესაძლებელი იყოს ევროპეიზაციის წარმმართველი მექანიზმების იდენტიფიცირება სოციოეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კვლევის მიგნებების განვრცობის კიდევ ერთი გზაა მსგავს თემატიკაზე ლიტერატურის ანალიზი, რათა მკვლევარმა ნახოს, რამდენად შეესაბამება მისი კვლევის შედეგები სხვა ავტორების მიერ აღწერილ მსგავს სიტუაციებს. მაგალითად, საქართველოში ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ კვლევის შედეგების შედარება მსგავს პირობებში მყოფ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (უკრაინა და მოლდოვა) ევროპეიზაციის მექანიზმების კვლევებთან და მიღებული დასკვნების განვრცობის მცდელობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე, რომელთაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

საბოლოო ჯამში, მონაცემების ანალიზის მიზანია იმ ცნებების და თემების წარმოჩენა, რომლებიც სათანადოდ აღწერს შესასწავლ სოციალურ გარემოს. მონაცემების ანალიზი წარმატებულია, თუ მკვლევარი მიაგნებს თეორიას, რომელიც მის საკვლევ შეკითხვას პასუხობს და კვლევის სუბიექტების მიერაც მათი სოციალური სამყაროს აკურატულ აღწერად არის მიჩნეული.

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

გთავაზობთ სტუდენტების სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევს, რომელიც წინა თავში განხილული კვლევის დიზაინის საფუძველზეა შემუშავებული. ინტერვიუს გზამკვლევის გაცნობის შედეგად, გთხოვთ, შემდეგ კითხვებს უპასუხოთ: 1. თქვენი აზრით, რამდენად ლოგიკურია შეკითხვების თანმიმდევრობა და რამდენად ჰარმონიულია მათ შორის ბმები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. 2. რამდენად მრავალფეროვანია მოცემული ინტერვიუს გზამკვლევი შეკითხვის ტიპების თვალსაზრისით (იქნება ეს თანმდევი, დამაზუსტებელი, მაკავშირებელი თუ სხვა სახის შეკითხვები)? მოიყვანეთ გზამკვლევიდან შესაბამისი მაგალითები. 3. აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე თემატური სექცია და მისი თქვენეული ვარიანტი წარმოადგინეთ. რომელ შეკითხვებს ამოიღებდით, დაამატებდით, შეცვლიდით (რა სახით)?

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი: საბერძნეთიდან დაბრუნებული მიგრანტი ქალების რეინტეგრაცია ქართულ შრომის ბაზარზე

1) დაბრუნებული მიგრანტების პროფილი

1. რესპონდენტების ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, ემიგრაციაში გატარებული წლების რაოდენობა, მუშაობის გამოცდილება (საქმიანობა, ანაზღაურება), დაბრუნების წელი.

2) ქართველი მიგრანტი ქალების სამშობლოში დაბრუნების მიზეზების შესწავლა

1. რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება?
2. იყო თუ არა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება თქვენი პირადი არჩევანი? რა წვლილი მიუძღვის თქვენს ოჯახს ამ გადაწყვეტილების მიღებაში?
3. მოახდინა თუ არა თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა საქართველოში არსებულმა ეკონომიკურმა/სოციალურმა/პოლიტიკურმა სიტუაციამ?

3) შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასთან დაკავშირებული სირთულეები

4. მას შემდეგ, რაც საქართველოში დაბრუნდით, საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე ხომ არ შეგხვედრიათ? დადებითი პასუხის შემთხვევაში: რა სახის სირთულე?
5. დაიწყეთ თუ არა მუშაობა საქართველოში დაბრუნების შემდგომ? [„დიახ"-ის შემთხვევაში: რას საქმიანობთ? „არა"-ს შემთხვევაში: რატომ? (შეეშალათ თუ არა ხელი ოჯახური პირობების, საჭირო უნარ-ჩვევების არქონის, არასაკმარისი ფინანსების, სქესის, ასაკის გამო)]
6. ითამაშა თუ არა რაიმე როლი შრომის ბაზარზე თქვენს ინტეგრაციაში იმ თანხამ/დანაზოგმა, რაც ემიგრაციაში ყოფნის დროს გამოიმუშავეთ? (ინახავდა თუ არა რაიმე ბიზნესისთვის, ოჯახმა წამოიწყო თუ არა ბიზნესი მისი გამოგზავნილი ფულით, თუ გზავნიდა და მთლიანად იხარჯებოდა ყოველდღიური საჭიროებებისთვის?).
7. რამდენად გაგიმარტივდათ ან გაგიჭირდათ სამსახურის პოვნა? რა სახის პრობლემებს წააწყდით? (იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი არის თვითდასაქმებული, აქვს მცირე ბიზნესი, ვეკითხებით, რა პრობლემებს წააწყდა/აწყდება ბიზნესის წარმოებისას). თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამ პრობლემების არსებობას?
8. სამსახურის ძიების პროცესში მიმართეთ თუ არა ვინმეს დახმარებისათვის? ვის და რა მიზნით?
9. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ამჟამინდელი საქმიანობით? კარიერით? ცხოვრებით?

4) ემიგრაციაში შეძენილი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების როლი შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში

10. რა ტიპის სამუშაოს ასრულებდით ემიგრაციაში ყოფნისას და რა უნარ-ჩვევები შეიძინეთ ამ სამუშაოს შესრულებისას?

11. გქონდათ თუ არა მოლოდინი, რომ ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება საქართველოში დაბრუნების შემდგომ გამოგადგებოდათ? როგორ წარმოგედგინათ ამ გამოცდილების გამოყენება?
12. გამოგადგათ თუ არა ემიგრაციაში შეძენილი უნარ-ჩვევები სამსახურის ძიებისას ან/და თავად საქმიანობის პროცესში? გთხოვთ, განმარტოთ თქვენი მოსაზრება.

5) რეინტეგრაციის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და წვდომა

13. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რა სახის სახელმწიფო პროგრამები არსებობს დაბრუნებული მიგრანტებისთვის საქართველოში? [თუ აქვს ინფორმაცია, დაასახელოს ეს პროგრამები; თუ არა აქვს ინფორმაცია, როგორ ხსნის საკუთარ არაინფორმირებულობას?]
14. *ვინც ინფორმირებულია:* თავად მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა რომელიმე ზემოხსენებულ პროგრამაში? [თუ მიუღია, რა მოლოდინი ჰქონდა, რამდენად გამართლდა მისი მოლოდინი და როგორ შეაფასებს ამ პროგრამას? თუ არ მიუღია, რატომ და აქვს თუ არა მონაწილეობის სურვილი?]

გამოყენებული ლიტერატურა

Alvesson, M. (2003). Beyond Neopositivisits, Romantics and Localists: A Reflective Approach to Interviews in Organizational Research. *Academy of Management Review*, 28 (1), 13-33.

Atkinson, R. (2002). Life Story Interview. In J. F. Gubrium & J. A. Holstein (Eds.), *Handbook of Interview Research: Context and Method.* Thousand Oaks (pp. 121-140). CA: Sage Publications.

Berg, B., & Lune, H. (2012). *Qualitative Research Methods for the Social Sciences* (8th ed.). Boston: Pearson.

Denzin, N. K., & Lincoln, Y. S. (Eds.). (2004). *Handbook of Qualitative Research*. Thousand Oaks, CA: Sage.

de Pool, I. S. (1957). A Critique of the Twentieth Anniversary Issue. *Public Opinion Quarterly,* 21, 190–98.

Douglas, J. D. (1985). *Creative Interviewing*. London: Sage.

Fontana, A., & Frey, J. H. (2005). The Interview: From Neutral Stance to Political Involvement. In N. K. Denzin & Y. S. Lincoln (Eds.), *The Sage Handbook of Qualitative Research* (3rd ed., pp. 695-727). Thousand Oaks, CA: Sage.

Goffman, I. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

Gorden, R. L. (1980). *Interviewing: Strategy, Techniques, and Tactics.* Homewood, IL: Dorsey.

Gubrium, J. F., & Holstein, J. A. (2003). *Postmodern Interviewing.* Thousand Oaks, CA: Sage.

Hesse-Biber, S. N., & Leavy, P. (2006). *The Practice of Qualitative Research.* Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Holstein, J. A. (1993). *Court-Ordered Insanity: Interpretive Practice and Involuntary Commitment*. Hawthorne, NY: Aldine de Gruyter.

Holstein, J. A., & Gubrium, J. F. (1994). Phenomenology, Ethnomethodology, and Interpretive Practice. In N. K. Denzin & Y. S. Lincoln (Eds.), *Handbook of Qualitative Research* (pp. 262–72). Newbury Park, CA: Sage.

Holstein, J. A., & Gubrium, J. F. (2003). *Inside Interviewing.* London: Sage.

Holstein, J. A., & Gubrium, J. F. (2003). Active Interviewing. In J. F. Gubrium & J. A. Holstein (Eds.), *Postmodern Interviewing* (pp. 66-81). Thousand Oaks, CA: Sage.

Labov, W. (1972). *Sociolinguistic Patterns*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.

Mann, C., & Stewart, F. (2003). Internet Interviewing. In J. F. Gubrium & J. A. Holstein (Eds.), *Postmodern Interviewing* (pp. 81-106). Thousand Oaks, CA: Sage.

Miller, J., & Glassner, B. (2004). The “Inside” and the “Outside” – Finding Realities in Interviews. In D. Silverman (Ed.), *Qualitative Research: Theory, Method and Practice* (2nd ed., pp. 125-139). London: Sage Pulications.

Narayan, K., & George, K., M. (2003). Personal and Folk Narratives as Cultural Representations. In J. F. Gubrium & J. A. Holstein (Eds.), *Postmodern Interviewing* (pp. 123-140). Thousand Oaks, CA: Sage.

Qu, S. Q., & Dumay, J.C. (2011). The Qualitative Research Interview. *Qualitative Research in Accounting and Management,* 8 (3), 238-264.

Richardson, L. (1990). *Writing Strategies: Reaching Diverse Audiences.* Newbury Park, CA: Sage.

Riessman, C. K. (2008). *Narrative Methods for the Human Sciences*. Thousand Oaks CA: Sage Publications.

Rubin, H. J., & Rubin, I. S. (2005). *Qulitative Interviewing: The Art of Hearing Data* (2nd ed.). London: Sage.

Shensul, S.L., Schensul, J.J., & LeCompte, M.D. (1999). *Essential Ethnographic Methods 2: Observations, Interviews and Questionnaires*. Walnut Creek, CA: Altamira Press.

Silverman, D. (1993). *Interpreting Qualitative Data: Methods for Analysing Talk, Text and Interaction.* London: Sage.

Weiss, R. S. (1994). *Learning from Strangers: The Art and Method of Qualitative Interview Studies.* New York: The Free Press.

თავი 4
ფოკუსჯგუფი

ფოკუსჯგუფის არსი

როგორც წინა თავში აღინიშნა, სიღრმისეული ინტერვიუ შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური. ფოკუსჯგუფი სწორედ ჯგუფურ ინტერვიუს წარმოადგენს, რომელიც საკვლევ თემაზე მონაცემებს ჯგუფური ინტერაქციის გზით მოიპოვებს (Morgan, 1997, 6). ფოკუსჯგუფი აქტიურად გამოიყენება არა მარტო სოციოლოგიაში, არამედ სხვა დისციპლინებშიც, როგორიცაა კომუნიკაციის კვლევები, პოლიტიკის მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. აკადემიური სფეროს მიღმა, ფოკუსჯგუფი უაღრესად პოპულარულია მარკეტინგულ კვლევებში, სადაც მისი გამოყენებით მოსახლეობის დამოკიდებულებებს იკვლევენ რიგი საკითხებისადმი, დაწყებული კვების პროდუქტებით და დამთავრებული პოლიტიკური კანდიდატებით.

ფოკუსჯგუფის მეთოდის ფუძემდებლად მიჩნეულია ამერიკელი სოციოლოგი რობერტ მერტონი, პატრიცია კენდალთან ერთად გამოქვეყნებული ნაშრომით „ფოკუსირებული ინტერვიუ“ (1946). მოგვიანებით, 1987 წელს მერტონმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც „ფოკუსირებული ინტერვიუს“ მეთოდს მარკეტოლოგების მიერ გამოყენებულ ფოკუსჯგუფებს ადარებს და მათ შორის სხვაობებს განიხილავს. მარკეტინგული კვლევისგან განსხვავებით, რომელსაც მოსახლეობის აზრი აინტერესებს გარკვეულ პროდუქციასთან დაკავშირებით, სოციალური კვლევა საკვლევი კითხვით იწყებს და ფოკუსჯგუფების საფუძველზე მოპოვებული მონაცემებით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს.

ფოკუსჯგუფს როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა მეთოდებთან კომბინირებულად იყენებენ, მათ შორის მასობრივი გამოკითხვის მოსამზადებელ ეტაპზე. კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის შემუშავებისას, ფოკუსჯგუფების მონაწილეებისგან შეგვიძლია გავიგოთ, თუ რას ფიქრობენ და როგორ საუბრობენ სამიზნე ჯგუფის წევრები შესასწავლ საკითხზე. ფოკუსჯგუფები მასობრივი გამოკითხვის მონაცემების უკეთ გაგების შესაძლებლობასაც იძლევა, რადგან სამიზნე ჯგუფის წევრებთან დისკუსია მკვლევარს იმის ინტერპრეტაციაში ეხმარება, თუ რას ფიქრობდნენ რესპონდენტები, როცა ამა თუ იმ დახურულ შეკითხვას შემოხაზავდნენ. ფოკუსჯგუფები არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ სხვა თვისებრივ მეთოდებთან ინტეგრირებულადაც გამოიყენება, იქნება ეს დაკვირვება თუ სიღრმისეული ინტერვიუ. როცა საკვლევი სუბიექტები ერიდებიან გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროვებას, მკვლევარმა შესაძლოა ჯერ ფოკუსჯგუფის მეთოდი გამოიყენოს, რათა მონაწილეებში იდეების გენერირებას უბიძგოს, შემდეგ კი სიღრმისეული ინტერვიუ ჩაატაროს იმ საკითხებზე, რომლებთან დაკავშირებითაც მონაწილეები საკუთარი მოსაზრებების გამჟღავნებას ერიდებოდნენ. შესაძლოა პირიქითაც მოხდეს, კერძოდ, მკვლევარმა ჯერ სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი გამოიყენოს და მონაწილეებისგან საკვლევ საკითხზე ინდივიდუალური ინფორმაცია მოიპოვოს, შემდეგ კი ფოკუსჯგუფები ჩაატაროს, რათა იკვლიოს, თუ რამდენად ახდენს გავლენას მათ შეხედულებებზე ჯგუფური ინტერაქცია და რამდენად იცვლება ან მყარდება მათი შეხედულებები სხვებთან დისკუსიის პროცესში.

ფოკუსჯგუფის მეთოდის ხედვა ორგვარია: პირველს ინკლუზიური მიდგომა ახასიათებს და მიაჩნია, რომ ჯგუფური ინტერვიუს თითქმის ყველა ვარიანტი ფოკუსჯგუფის ნაირსახეობაა. მეორე კი ექსკლუზიურ მიდგომას ემხრობა და ამტკიცებს, რომ ფოკუსჯგუფი უფრო ვიწრო ტექნიკაა, რომელიც ჯგუფური ინტერვიუს სხვა სახეობებში არ უნდა აგვერიოს. ექსკლუზიური

მიდგომის ერთ-ერთი ვარიანტი, განსაკუთრებით გავრცელებული მარკეტინგულ კვლევებში, ასაბუთებს, რომ ფოკუსჯგუფი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ კრიტერიუმებს, კერძოდ, ის უნდა გულისხმობდეს სტრუქტურირებულ დისკუსიას ფორმალურ გარემოში, რომელშიც უცნობების ჰომოგენური ჯგუფი მონაწილეობს, 6-დან 10 ადამიანამდე შემადგენლობით (Morgan, 2002). მკვლევრები დღემდე კამათობენ, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება ჯგუფური ინტერვიუ ფოკუსჯგუფად და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის. თუმცა, დღეს სულ უფრო მეტად თანხმდებიან იმ ფაქტზე, რომ ფოკუსჯგუფის ფორმატი – თუ რამდენად ფორმალურ გარემოში ტარდება დისკუსია, რამდენად თავისუფალი ან მართულია ის და რამდენად სტრუქტურირებულია დასმული შეკითხვები – კონკრეტული კვლევის მიზანზეა დამოკიდებული. ზოგადად, მკვლევრები გვირჩევენ ფოკუსჯგუფის ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ ინტერაქციის საფუძველზე მიღებული მონაცემები გვაინტერესებს და თუ მონაცემების ანალიზისას მათი მოპოვების მეთოდიც გვსურს აისახოს (Short, 2006, 105).

ფოკუსჯგუფის ძლიერი და სუსტი მხარეები

მსგავსად სოციალური კვლევის სხვა მეთოდებისა, ფოკუსჯგუფს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მკვლევარნი ფოკუსჯგუფის მეთოდის შემდეგ ძლიერ მხარეებს გამოყოფენ (Stewart, Shamdasani, Rook, 2009, 594):

1. ფოკუსჯგუფის საფუძველზე მონაცემების მოპოვება შესაძლებელია ბევრად უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯით, ვიდრე ეს თითოეულ მონაწილესთან ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი;
2. ფოკუსჯგუფი მკვლევარს რესპონდენტებთან უშუალო ინტერაქციის შესაძლებლობას აძლევს, რაც პასუხების დაზუსტებისა და დამატებითი შეკითხვების დასმისთვის ძალიან

მნიშვნელოვანია. ამასთან, მკვლევარს მონაწილეების არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვებაც შეუძლია (ვთქვათ, მიმიკასა და ჟესტებზე), რაც ვერბალური კომუნიკაციის უკეთ გაგებაში ეხმარება;

3. ფოკუსჯგუფისას გამოყენებული ღია შეკითხვების ფორმატი საშუალებას აძლევს მკვლევარს, მდიდარი და დეტალური მონაცემები მოიპოვოს, რესპონდენტების სიტყვებითვე გადმოცემული. თან ეს მონაცემები ინდივიდუალურ ინტერვიუზე მეტად „ბუნებრივ“ გარემოშია მოპოვებული, რადგან ძალიან ახლოსაა ყოველდღიურ საუბართან და ისეთ კომუნიკაციურ პროცესებს მოიცავს, როგორიცაა ისტორიის მოყოლა, ხუმრობა, კამათი, დარწმუნება, დათანხმება, არდათანხმება და ა.შ.
4. რამდენიმე რესპონდენტის ერთდროული მონაწილეობის გამო, მკვლევრის მხრიდან კონტროლი და ინტერაქციაზე გავლენა ბუნებრივად მცირდება, რაც ფოკუსჯგუფს საკმაოდ „ეგალიტარულ“ მეთოდად აქცევს (Wilkinson, 2004, 181);
5. ფოკუსჯგუფი საშუალებას აძლევს რესპონდენტებს, დისკუსიის პროცესში ახალი იდეების გენერირება და ერთმანეთის პასუხებზე რეაგირება მოახდინონ, რაც ვერ მოხდება სიღრმისეული ინტერვიუს შემთხვევაში;
6. ფოკუსჯგუფი ერთ-ერთი იშვიათი მეთოდია, რომელიც ბავშვებისგან ან წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანებისგან მონაცემების მოპოვების საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება ფოკუსჯგუფის სუსტ მხარეებს, მკვლევარნი შემდეგ მახასიათებლებს ჩამოთვლიან (Stewart, Shamdasani, Rook, 2009, 595):

1. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსჯგუფებს მასობრივი გამოკითხვის მოსამზადებელ ეტაპზეც კი იყენებენ, მონაწილეთა მცირე რაოდენობა და მათი რეკრუტირების სპეციფიკა მნიშვნელოვნად ზღუდავს უფრო ფართო პოპულაციაზე მონაცემების განზოგადების შესაძლებლობას;

2. ფოკუსჯგუფში მონაწილეთა ინტერაქციას შესაძლოა ორი არასასურველი შედეგი მოყვეს: ერთი, მონაწილეებმა შესაძლოა ერთმანეთის პასუხებზე გავლენა მოახდინონ; მეორე, რამდენიმე აქტიურმა მონაწილემ შესაძლოა დისკუსიის პროცესი წარმართოს და უფრო მორიდებულმა წევრებმა შესაძლოა თავი შეიკავონ აზრის გამოთქმისგან;
3. ფოკუსჯგუფის წამყვანმა (განსაკუთრებით გამოუცდელმა) მისი დირექტივებით თუ მინიშნებებით შესაძლოა უნებურად გავლენა მოახდინოს მონაწილეთა პასუხებზე;
4. ღია შეკითხვებზე მიღებული პასუხების მრავალფეროვნება ართულებს რესპონდენტების შეხედულებების უშუალო შედარების შესაძლებლობას.

ჯგუფური დინამიკა და მოდერატორის როლი

მიუხედავად მოჩვენებითი სიმარტივისა, ფოკუსჯგუფი უაღრესად მნიშვნელოვანი მეთოდია სოციალურად კონსტრუირებული მნიშვნელობებისა და მათი საფუძველმდებარე განწყობების გამოსავლენად (Kleiber, 2004, 89). ტიპური ფოკუსჯგუფი წამყვანისა და რამდენიმე მონაწილისგან შედგება. ფოკუსჯგუფის წამყვანს *მოდერატორი* ჰქვია. მისი ფუნქციაა, თვალყური ადევნოს, თუ როგორ ასაჯაროვებენ მონაწილენი პირად მოსაზრებებს და ამ პროცესში როგორ ახდენენ ერთმანეთის ინფორმირებას (იქვე, 90). მონაწილეთა რაოდენობა, ჩვეულებრივ, 6-დან 10-მდე მერყეობს (თუმცა მკვლევართა ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს 6-დან 12-მდე მონაწილეს). მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ რაც უფრო კომპლექსურია საკვლევი პრობლემა, მით უფრო ნაკლები მონაწილე უნდა იყოს ფოკუსჯგუფში (Berg, Lune, 2012, 193). გარდა ამისა, მცირე ჯგუფში ბევრად მარტივია ერთი ან ორი მოტივირებული მონაწილის მიერ საუბრის მონოპოლიზაციის თავიდან არიდება და ყველა მონაწილისთვის საუბარში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობის მიცემა. და ბოლოს,

მცირე ჯგუფის შემთხვევაში, ტრანსკრიპტების მომზადებისას ბევრად მარტივია ნათქვამის მოსაუბრესთან იდენტიფიცირება.

ფოკუსჯგუფის მონაწილეების რეკრუტირებისას გასათვალისწინებელია მათი სქესი, ასაკი, განათლების დონე, განსახილველ საკითხში ინფორმირებულობა და ა.შ. ამ სოციოდემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით ჯგუფის ჰომოგენურობა თუ ჰეტეროგენულობა უშუალოდ კვლევის მიზანზეა დამოკიდებული; ამასთან, ჯგუფის სტრუქტურამ (სქესობრივი, ასაკობრივი თუ სხვა ნიშნით) შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კვლევის შედეგებზე. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ე. არიესის კვლევა შეხედულებების განსხვავებულად გამოხატვის შესახებ ქალების, კაცების და შერეული ჯგუფების შემთხვევაში. მან აღმოაჩინა, რომ სქესობრივი ნიშნით ჯგუფების დაყოფა გავლენას ახდენდა როგორც დისკუსიის თემატურ შინაარსზე, ისე ჯგუფში არსებულ სოციალურ ინტერაქციაზე. ქალების ჯგუფებში, მონაწილეები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ინტერპერსონალურ საკითხებზე. ისინი საუბრობდნენ საკუთარ თავზე, ოჯახებზე და ოჯახის წევრებთან ურთიერთობებზე, განსაზღვრავდნენ რა საკუთარ როლს მათ უშუალო გარემოცვასთან მიმართებაში. კაცების ჯგუფებში, მონაწილეები ინტერპერსონალურ საკითხებზე პირდაპირ კი არ საუბრობდნენ, არამედ ირიბად, ისტორიების და მეტაფორების გამოყენებით. ამასთან, კაცების ჯგუფებში გაცილებით ხშირად განიხილებოდა აგრესიასთან დაკავშირებული თემები, ვიდრე ქალების ჯგუფებში. არიესმა აღმოაჩინა, რომ შერეულ ჯგუფებში ქალები ნაკლებად საუბრობენ სახლზე და ოჯახზე, ასევე, მათ საქმიანობასა და მიღწევებზე. ასეთ ჯგუფებში ქალები, ზოგადად, ნაკლებს საუბრობდნენ და მეტად წარმოაჩენდნენ მათ ქალურ ასპექტებს, ანუ მეტად ითავსებდნენ ტრადიციულ ფემინურ როლს. შერეულ ჯგუფებში კაცების ქცევაც იცვლებოდა და ისინი საკუთარ კომპეტენტურობას ხაზს უსვამდნენ არა ისტორიების მოყოლით, არამედ ლიდერის როლის წარმოჩენით. ამასთან, ქალების თანდას-

წრეებით, ისინი მეტად ახდენდნენ საკუთარ თავსა და პირად სენ-ტიმენტებზე რეფლექსიას (1976, 7-18).

ფოკუსჯგუფის არა მხოლოდ სქესის ნიშნით, არამედ ასაკის, განათლების, შემოსავლის, ოჯახური მდგომარეობის და სხვა ნიშ-ნებით დაკომპლექტებამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფურ დინამიკასა და მიღებულ შედეგებზე. მოსა-ლოდნელია, რომ ახალგაზრდები განსხვავებულად ისაუბრებენ თანატოლების გარემოცვაში და უფროსების თანდასწრებით, და-ოჯახებული და მარტოხელა ადამიანები განსხვავებულად წარმო-აჩენენ თავიანთ შეხედულებებს ოჯახურ ცხოვრებაზე ჰომოგე-ნურ ჯგუფებში და ერთმანეთის თანდასწრებით, დაბალ- და მა-ღალშემოსავლიანი ადამიანები კი განსხვავებულად იმსჯელებენ გადასახადების გადახდის საკითხებზე ცალცალკე და ერთმანე-თის გარემოცვაში და ა.შ. მკვლევარმა ეს დეტალები აუცილებ-ლად უნდა გაითვალისწინოს ფოკუსჯგუფების დაგეგმვისას. მო-ნაწილეთა რეკრუტირებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფოკუსჯგუფში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მკვლე-ვარმა მათ შესაბამისი თანხა უნდა გადაუხადოს ან მადლიერების ნიშნად მცირე საჩუქრები უნდა გადასცეს; ეს განსაკუთრებით აქ-ტუალურია დაბალშემოსავლიანი, სოციალურად დაუცველი ან მარგინალიზებული ჯგუფების შემთხვევაში.

რაც შეეხება მოდერატორის ფუნქციას, მისი მიზანია საკ-ვლევ საკითხთან დაკავშირებით მონაწილეებისგან ინფორმაცი-ის მოპოვება, ანუ მისი როლი ინტერვიუერისას ჰგავს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მოდერატორს მეტი მობილიზება სჭირ-დება, რადგან ის მონაწილეებს შორის ინტერაქციას უნდა დააკ-ვირდეს და იდეების გენერირებას მისცეს სტიმული. სწორედ ჯგუფური ინტერაქციის შედეგია მოვლენა, რომელსაც „ჯგუფის სინერგიულ ეფექტს“ უწოდებენ (Berg, Lune, 2012, 170), კერძოდ, დისკუსიის პროცესი მონაწილეებს უბიძგებს, ისეთ საკითხებზე დაფიქრდნენ, რაზეც აქამდე არ დაფიქრებულან, ან თუნდაც განსხვავებული კუთხით შეხედონ. ჯგუფური დისკუსიის შედე-

გად, ბევრად მეტი იდეის, თემის, თუნდაც პრობლემის გადაჭრის გზის მიგნებაა შესაძლებელი, ვიდრე ინდივიდუალური ინტერვიუს დროს. ის, რაც ფოკუსჯგუფს აქცევს ტექნიკად, რომელიც ინდივიდუალურ ინტერვიუთა ჯამს აღემატება, არის მონაწილეთა მიერ როგორც ერთმანეთის შეხედულებებში ჩაძიება, ისე საკუთარი აზრების ერთმანეთისთვის განმარტება. ამ გზით შესაძლებელია არა მარტო იდეების გენერირებაზე, არამედ ჯგუფურ დინამიკაზე დაკვირვებაც (რასაც *კომუნიკაციურ დინამიკასაც* უწოდებენ (Krzyzanowski, 2008)), კერძოდ, ჯგუფში შეთანხმებამდე მისვლისა და აზრთა სხვადასხვაობის თავისებურებების კვლევა.

გამოცდილი მკვლევრები დამწყებთ *მოდერატორის გზამკვლევის* გამოყენებას ურჩევენ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, თუ რა უნდა თქვას და გააკეთოს მოდერატორმა ფოკუსჯგუფის მსვლელობისას. ბერგის და ლუნის თანახმად, მოდერატორის გზამკვლევი შემდეგი პუნქტებისგან უნდა შედგებოდეს: 1. შესავალი და შესავლის აქტივობები; 2. დისკუსიის ძირითადი პრინციპების გაცნობა; 3. კითხვა-პასუხზე დაფუძნებული მოკლე დისკუსიები; 4. საგანგებოდ მოფიქრებული აქტივობები თუ სავარჯიშოები; და 5. „სენსიტიურ“ საკითხებთან მიდგომის რეკომენდაციები (2012, 179).

შესავალი და შესავლის აქტივობები. მოდერატორმა, პირველ რიგში, მონაწილეებს პროექტის მიზანი უნდა გააცნოს და ფოკუსჯგუფის პრინციპები უნდა აუხსნას. ამასთან, მან მონაწილეთა ნდობაც უნდა მოიპოვოს. ამიტომ მოდერატორის გზამკვლევი პროექტის მოკლე აღწერასაც უნდა შეიცავდეს. შესავლის აქტივობები მონაწილეებს შორის უშუალო და კომფორტული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. ამ მიზნით, ფოკუსჯგუფის მონაწილეებს შეიძლება ვთხოვოთ საკუთარი თავის შესახებ რაიმე დეტალის გაზიარება, ვთქვათ, მათი განსაკუთრებული ინტერესის თუ უნარის.

დისკუსიის ძირითადი პრინციპების გაცნობა. მართალია, ფოკუსჯგუფებს ქცევის მყარი წესები არ მართავს, ნებისმიერი ინტერაქცია, გოფმანის (1956) სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეულ „ჩარჩოში“ მიმდინარეობს და მის მონაწილეებს შესაბამისი მოლოდინები უჩნდებათ ერთმანეთის მიმართ. ფოკუსჯგუფის შემთხვევაში, ეს მოლოდინები რომ გამართლდეს, მონაწილეებმა ქცევის შესაბამისი ეტიკეტი უნდა დაიცვან, მოდერატორმა კი – ამ ეტიკეტის დაცვას თვალყური უნდა ადევნოს. სწორედ ამ მიზნით აცნობს ის მონაწილეებს ფოკუსჯგუფის დისკუსიის წარმართვის ძირითად პრინციპებს.

კითხვა-პასუხზე დაფუძნებული მოკლე დისკუსიები. ფოკუსჯგუფების უმეტესობა დაფუძნებულია რიგ მოკლე დისკუსიაზე, რომლებსაც მოდერატორის მიერ დასმული შეკითხვები იწვევს. ეს შეკითხვები სადისკუსიო გეგმის სახით არის წარმოდგენილი. მოდერატორმა შესაძლოა ზონდირების ტექნიკაც კი წინასწარ დაგეგმოს, რათა მეტი ინფორმაციის მოპოვება შეძლოს იმ შემთხვევაში, თუ საწყის შეკითხვებს სათანადო დისკუსია არ მოყვება. როგორც წესი, დამწყები მოდერატორები მაქსიმალურად მისდევენ წინასწარ გაწერილ გზამკვლევს, ხოლო გამოცდილი მოდერატორებისთვის ჩვეულია მისგან გადახვევა და დისკუსიის მეტად თავისუფალ რეჟიმში წარმართვა.

საგანგებოდ მოფიქრებული აქტივობები თუ სავარჯიშოები. ფოკუსჯგუფის დისკუსია უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი რომ გახადოს, მოდერატორმა შესაძლოა მონაწილეები სხვადასხვა აქტივობაში ჩართოს, როგორიცაა, მაგალითად, დაუსრულებელი წინადადებების დასრულება, საკუთარი ემოციების ნახატებით გადმოცემა ან თუნდაც როლური თამაშები. მსგავსი აქტივობები საშუალებას აძლევს მოდერატორს, გაიგოს, თუ რას ფიქრობენ მონაწილეები ინდივიდუალურად, ჯგუფის სხვა წევრების გავლენის გარეშე. მიჩნეულია, რომ ამ აქტივობების დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი სოციოდემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა მონა-

წილეთა ასაკი და სიმწიფის დონე. ცხადია, რომ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ფოკუსჯგუფში მოდერატორი სხვა ტიპის საკარჯიშოებსა და აქტივობებს დაგეგმავს და ასაკოვან ადამიანებთან – სხვას.

„სენსიტიურ“ *საკითხებთან მიდგომის რეკომენდაციები.* როცა დისკუსია ისეთ სენსიტიურ საკითხებს ეხება, როგორიცაა ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოხმარება, დევიაცია, ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები და ა.შ., მოდერატორი, როგორც წესი, ირიბი შეკითხვების დასმით იწყებს, რომ მონაწილეებს არ მოერიდოთ ან არ შეეშინდეთ გულწრფელი პასუხების გაცემა. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ჰკითხოს მათი მოწევის ჩვევის შესახებ, მოდერატორი ჰკითხავს მონაწილეებს, თუ რას ფიქრობენ, ზოგადად, სიგარეტის მოწევის შესახებ. მონაწილეებს სენსიტიურ საკითხებზე საუბარი რომ გაუმარტივდეთ, მოდერატორი ისეთ აქტივობებს იყენებს, როგორიცაა განსახილველი საკითხების რანჟირება, ისტორიების მოყოლა, პროექციული ტექნიკა, როლური თამაშები, სურათები/ვიზუალური მასალა საუბრის სტიმულირებისთვის და ა.შ. (იქვე, 180-182).

მოდერატორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები დისკუსიის წარმატებით წარმართვისა და ადეკვატური მონაცემების მოსაპოვებლად:

- ფოკუსჯგუფის დაწყებამდე, თითოეულ მონაწილესთან უნდა განთავსდეს ბანერი მისი სახელით, რათა მოდერატორსაც და თავად მონაწილეებსაც გაუმარტივდეთ ერთმანეთთან კომუნიკაცია; ამასთან, აუდიოფირზეც მარტივად აისახება თითოეული მოსაუბრის ვინაობა, რადგან მოდერატორსაც და მონაწილეებსაც უპრობლემოდ შეუძლიათ, სახელებით მიმართონ ერთმანეთს;
- მოდერატორმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ძირითადი შეკითხვები და გათვალოს სავარაუდო დრო, რაც თითოეულ ძირითად შეკითხვაზე დაიხარჯება, რომ ფოკუსჯგუფი უსასრულოდ არ გაიჭიმოს;

- მოდერატორმა უნდა ჩაინიშნოს საკვანძო იდეები და საყურადღებო ციტატები ფოკუსჯგუფის მსვლელობისას და მონაწილეებს მათზე რეფლექსია სთხოვოს;
- დისკუსიის შეჯამებისას მოდერატორმა მონაწილეებს საკუთარი ინტერპრეტაცია უნდა შესთავაზოს, რათა მონაწილეების მხრიდან დამატებით რეფლექსიას უბიძგოს. მან ისიც უნდა იკითხოს, მონაწილეებს რამის დამატება ხომ არ სურთ, რაც დისკუსიის ან შეჯამების დროს ყურადღების მიღმა დარჩა;
- სასურველია თითოეული ტრანსკრიპტი მომდევნო ფოკუსჯგუფამდე მომზადდეს, რადგან ჩატარებულ დისკუსიაზე რეფლექსია ბევრად ამარტივებს მომდევნო ფოკუსჯგუფის მოდერაციას.

სადისკუსიო გეგმა

თუ სიღრმისეულ ინტერვიუს დროს ინტერვიუს გზამკვლევი გამოიყენება, ფოკუსჯგუფისას მოდერატორის ინსტრუმენტია *სადისკუსიო გეგმა,* რომელიც სხვადასხვა ტიპის შეკითხვისგან შედგება და თითოეულს განსხვავებული ფუნქცია აქვს. მორგანი და მისი კოლეგები სადისკუსიო გეგმის 5 ტიპის შეკითხვას გამოყოფენ: გამხსნელი, შესავლის, გარდამავალი, ძირითადი და შემაჯამებელი შეკითხვები. გამხსნელი შეკითხვების ფუნქციაა, რომ მონაწილეები ერთმანეთს გააცნოს და მათ შორის „ყინულის გალღობას“ შეუწყოს ხელი; შესავლის შეკითხვები დისკუსიის დასაწყებად გამოიყენება; გარდამავალი შეკითხვების ფუნქციაა ძირითად შეკითხვებზე ჰარმონიული გადასვლის უზრუნველყოფა; ძირითადი შეკითხვები კვლევის მთავარ ფოკუსს შეესაბამება; შემაჯამებელი შეკითხვები კი – დისკუსიას აჯამებს (1998, 22).

გამხსნელი შეკითხვები ფოკუსჯგუფის მონაწილეებს საუბრის დაწყებაში ეხმარება. როგორც წესი, ისინი საკუთარი თავის

წარდგენით და საერთო მახასიათებლების იდენტიფიცირებით იწყებენ საუბარს. ამიტომ ამ შეკითხვებს ანალიტიკური ფუნქცია კი არა აქვთ, არამედ ჯგუფში ერთიანობის განცდის შექმნის. ავტორები გვირჩევენ, რომ ეს შეკითხვები ფაქტობრივ მონაცემებს ეხებოდეს და არა მონაწილეთა განწყობებსა და შეხედულებებს. ამ უკანასკნელთ სათანადო მოსაფიქრებელი დრო და შესაბამისი მაგალითების მოყვანა სჭირდება, ამიტომ უმჯობესია მოგვიანებით დაისვას (იქვე, 23). თუ, ვთქვათ, გარემოსდაცვითი აქტივიზმის წინაშე არსებულ გამოწვევებს ვიკვლევთ ქართულ რეალობაში, გამხსნელი შეკითხვის ნიმუში იქნება: „გთხოვთ, გაგვეცნოთ და გაგვიზიაროთ, როგორ დაინტერესდით გარემოს დაცვის საკითხებით“.

შესავლის შეკითხვები დისკუსიის თემას წარადგენს და მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, რეფლექსია მოახდინონ მათ გამოცდილებაზე განსახილველი თემის კონტექსტში. ეს შეკითხვები მონაწილეებს დისკუსიისა და ინტერაქციისკენ უბიძგებს, მაგრამ ანალიზისთვის საკვანძო არ არის. თუ გამხსნელი შეკითხვები მონაწილეებს საუბარში რთავს, შესავლის შეკითხვები უშუალოდ სადისკუსიო თემას სთავაზობს. როგორც წესი, ეს ღია შეკითხვები გვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ესმით მონაწილეებს საკვლევი ფენომენი და როგორი იყო მათი პირველი შეხება ამ საკითხთან. ამ შეკითხვებით მოდერატორი პირველ შთაბეჭდილებას იქმნის მონაწილეთა შეხედულებებზე საკვლევ თემასთან დაკავშირებით. გარემოსდაცვითი აქტივიზმის წინაშე არსებული გამოწვევების კვლევისთვის შესაძლოა შესავლის შემდეგი შეკითხვების დასმა: „გთხოვთ, გვიამბოთ, როგორ ჩაერთეთ გარემოსდაცვით აქტივიზმში“ ან „რა იყო თქვენთვის გარემოსდაცვით აქტივიზმში ჩართვის მთავარი მოტივაცია?“

გარდამავალ შეკითხვებს ძირითადი შეკითხვების მიმართულებით მიჰყავთ დისკუსია და ლოგიკურ ბმას გვთავაზობენ შესავლის და ძირითად შეკითხვებს შორის. სწორედ ამ დროს ეცნობიან მონაწილეები ერთმანეთის შეხედულებებს. ჩვენს ზემოხ-

სენებულ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, გარდამავალი შეკითხვები შესაძლოა ასე ჟღერდეს: „საიდან იღებდით ინფორმაციას გარემოსდამცველი აქტივისტების საქმიანობის შესახებ?“ ან „როგორ დაამყარეთ კავშირი სხვა გარემოსდამცველ აქტივისტებთან?“

ძირითადი შეკითხვები ფოკუსჯგუფის დისკუსიის საფუძველს ქმნის. სწორედ მათი შემუშავებით იწყება სადისკუსიო გეგმის შექმნა და მათზეა მთავარი აქცენტი მონაცემების ანალიზისას. ამიტომ თითოეული შეკითხვის განხილვას შესაძლოა 15 წუთი ან მეტი დაეთმოს და, უმეტესად, სწორედ მათთან იყენებს მოდერატორი პაუზებსა და ზონდირების ტექნიკას დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად. ძირითადი შეკითხვების ნიმუში იქნება: „გარემოსდაცვითი პოლიტიკის ადვოკატირების რა სტრატეგიებს იყენებენ აქტივისტები ქართულ რეალობაში?“ ან „როგორ შეაფასებდით ხელისუფლების თქვენთან თანამშრომლობის მზაობას გარემოს დაცვის საკითხებზე? გთხოვთ, მოიყვანოთ შესაბამისი მაგალითები“.

შემაჯამებელი შეკითხვები ფოკუსჯგუფის დისკუსიას აჯამებს, ამიტომ ისინი საკვანძო მნიშვნელობისაა ანალიზისთვის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მოდერატორმა მონაწილეებს საშუალება მისცეს, წინა კომენტარებზე რეფლექსია მოახდინონ და მათი საბოლოო პოზიცია დააფიქსირონ; ამიტომ შემაჯამებელ შეკითხვებს ყველა მონაწილე პასუხობს. შემაჯამებელი შეკითხვის ნიმუშებია: „გარემოსდაცვითი აქტივიზმის წინაშე არსებული გამოწვევებიდან, რომელი მიგაჩნიათ ყველაზე რთულად გადასალახად? რატომ ფიქრობთ ასე?“ ან „წარმოიდგინეთ, რომ გარემოს დაცვის პრობლემებზე საუბრობთ ტელევიზიით და საეთერო დროის მხოლოდ ერთი წუთი გაქვთ. რას ეტყოდით მაყურებელს?“

სადისკუსიო გეგმის ნიმუში: ურბანული გარემოსდაცვითი აქტივიზმის წინაშე არსებული გამოწვევების კვლევა საქართველოში, თბილისის მაგალითზე (ვაკის პარკში სასტუმრო

***„ბუდაპეშტისა“ და „პანორამა თბილისის“ პროექტების საფუძველზე)* (Tsuladze et al., 2017)**

სადისკუსიო გეგმა გარემოსდამცველი აქტივისტებისთვის, რომლებიც ზემოხსენებული ორი პროექტის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ:

1. რატომ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად „დავიცვათ ვაკის პარკი“ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა?
2. რატომ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად „არა პანორამას“ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა?
3. უმეტესად პროტესტის რა გზებს მიმართავთ? („ონლაინ“-ს თუ „ოფლაინ“-ს? ფორმალურს თუ არაფორმალურს?) კონკრეტული მაგალითები. რითია გამოწვეული სწორედ ამ ფორმების გამოყენება? რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ პროტესტის ამ გზების გამოყენება?
4. რამდენად გეხმარებათ „ონლაინ“ მედია საზოგადოების მობილიზებაში? სოციალურ ქსელებში დაგეგმილი აქცია რა მასშტაბებს იღებს ხოლმე მის გარეთ? რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?
5. რა სიხშირით მიმართავდით/მიმართავთ თბილისის მერიას-/შესაბამის უწყებებს ოფიციალური წერილებით/ალტერნატიული წინადადებებით? როგორ რეაგირებ(დნ)ენ ხელისუფლების წარმომადგენლები ამ წერილებზე/ალტერნატიულ წინადადებებზე? რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?
6. როგორ რეაგირებ(დნ)ენ ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენს მიერ ორგანიზებულ ქუჩის აქციებზე ან პროტესტის სხვა ფორმებზე? რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?
7. რამდენად მიგაჩნიათ თქვენი აქტივობა პოლიტიკური დატვირთვის მატარებლად? როგორ ფიქრობთ, რამდენად მიაჩნდათ/მიაჩნიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს თქვენი აქტივობა პოლიტიკური დატვირთვის მატარებლად? რატომ ფიქრობთ ასე?

8. თქვენი აზრით, რამდენად/რა გზით უწყობს ხელს საქართველოს საკანონმდებლო ბაზა სამოქალაქო ჩართულობას და კონკრეტულად, გარემოსდაცვით აქტივიზმს? გთხოვთ, მოიყვანოთ შესაბამისი მაგალითები.
9. რა მიგაჩნიათ გარემოსდაცვითი აქტივიზმის ხელშემწყობ და ხელშემშლელ გარემოებებად საქართველოში და კონკრეტულად, ვაკის პარკისა და „პანორამა თბილისის“ პროექტების შემთხვევაში?
10. თქვენი აზრით, რა გზითაა შესაძლებელი გარემოსდაცვითი აქტივიზმის გაძლიერება საქართველოში? რა გზითაა შესაძლებელი მეტი გავლენის მოხდენა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე?

სადისკუსიო გეგმა მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ზემოხსენებულ ორ პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობდნენ:

1. თქვენი აზრით, რამდენად მიზანშეწონილია სასტუმრო „ბუდაპეშტის“ აშენება ვაკის პარკში? რატომ ფიქრობთ ასე?
2. თქვენი აზრით, რამდენად მიზანშეწონილია „პანორამა თბილისის“ პროექტის განხორციელება? რატომ ფიქრობთ ასე?
3. თქვენი აზრით, რამდენად აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისთვის ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის/„პანორამა თბილისის“ მშენებლობის შეჩერება? რა მიგაჩნიათ პროტესტის მიზეზად თითოეულ შემთხვევაში?
4. თქვენი გამოცდილებით, უმეტესად პროტესტის რა გზებს მიმართავენ აქტივისტები? („ონლაინს“ თუ „ოფლაინ“ს? ფორმალურს თუ არაფორმალურს?) კონკრეტული მაგალითები. თქვენი აზრით, რითია გამოწვეული სწორედ ამ ფორმების გამოყენება? რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ისინი?
5. რა სიხშირით ღებულობს თბილისის მერია/შესაბამისი უწყებები აქტივისტების ოფიციალურ წერილებს/ალტერნატიულ

წინადადებებს? რამდენად არგუმენტირებულად მიგაჩნიათ მათი წინადადებები? რა ქმედებებს მიმართავთ საპასუხოდ?

6. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება გარემოსდამცველ აქტივისტთა ქუჩის აქციები და პროტესტის სხვა ფორმები? როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებენ პროტესტის ამ ფორმებს? რა ქმედებებს მიმართავთ საპასუხოდ?
7. თქვენი აზრით, რამდენად არის პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი გარემოსდამცველ აქტივისტთა საპროტესტო ქმედებები? როგორ ფიქრობთ, თავად რამდენად მიაჩნიათ მათი აქტივობა პოლიტიკური დატვირთვის მატარებლად? რატომ ფიქრობთ ასე?
8. თქვენი აზრით, რამდენად/რა გზით უწყობს ხელს საქართველოს საკანონმდებლო ბაზა სამოქალაქო ჩართულობას და კონკრეტულად, გარემოსდაცვით აქტივიზმს? გთხოვთ, მოიყვანოთ შესაბამისი მაგალითები.
9. რა მიგაჩნიათ გარემოსდაცვითი აქტივიზმის ხელშემწყობ და ხელშემშლელ გარემოებებად საქართველოში და კონკრეტულად, ვაკის პარკისა და „პანორამა თბილისის“ პროექტების შემთხვევაში?
10. თქვენი აზრით, უნდა ჰქონდეთ თუ არა გარემოსდამცველ აქტივისტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას მეტი გავლენის მოხდენის საშუალება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე? რატომ ფიქრობთ ასე?

ფოკუსჯგუფის აქტივობის ნიმუში: გარემოსდამცველ აქტივისტებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ევალებათ გარემოს დაცვის საკითხებზე ერთმანეთთან თანამშრომლობის შეფასება შემდეგ 7-ქულიან კონტინიუმზე

ინტერაქციის სტილი ხელისუფლებასა და აქტივისტებს შორის არის
კოლაბორაციული 1 --- 2 --- 3 --- 4 --- 5 --- 6 --- 7 კონფლიქტური

ხელისუფლებასა და აქტივისტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ეფუძნება
ნდობას 1 --- 2 --- 3 --- 4 --- 5 --- 6 --- 7 უნდობლობას

დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის ღია 1 --- 2 --- 3 --- 4 --- 5 --- 6 --- 7 დახურული

აქტივისტები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ 1 --- 2 --- 3 --- 4 --- 5 --- 6 --- 7 არ მონაწილეობენ

აქტივისტები ერთვებიან პროცესებში ფორმალური გადაწყვეტილებების მიღებამდე 1 --- 2 --- 3 --- 4 --- 5 --- 6 --- 7 მიღების შემდეგ

აქტივისტების რეაქციის შედეგად ხელისუფლება მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვას ახდენს 1 --- 2 --- 3 --- 4 --- 5 --- 6 --- 7 არ ახდენს

პროექციული ტექნიკის ნიმუში: გარემოსდამცველ აქტივისტებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შემდეგი წინადადებების დასრულება ევალებათ, რათა გარემოს დაცვის საკითხებზე ერთმანეთთან თანამშრომლობა შეაფასონ

დღეისთვის გარემოსდამცველი აქტივისტებისა და ხელისუფლების ურთიერთობაში მთავარი მონაპოვარია...

დღეისთვის გარემოსდამცველი აქტივისტებისა და ხელისუფლების ურთიერთობაში მთავარი გამოწვევაა...

ვფიქრობ, ხელისუფლებასა და გარემოსდამცველ აქტივისტებს შორის თანამშრომლობა ბევრად ნაყოფიერი იქნება, თუ...

ხელისუფლების მიმართ გარემოსდამცველი აქტივისტების ნდობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია, რომ...

გარემოსდაცვითი აქტივიზმი პროაქტიული და არა რეაქტიული რომ იყოს, საჭიროა...

გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტივისტების ჩართვა გავლენას ახდენს...

ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზი: კონტენტანალიზი და ეთნოგრაფიული ანალიზი

ფოკუსჯგუფის აუდიო/ვიდეო ჩანაწერების ანალიზის მიზნით, საჭიროა მათი ტრანსკრიპტების შექმნა ისევე, როგორც სიღრმისეული ინტერვიუს შემთხვევაში. ვიდეო ჩანაწერების შემ-

თხვევაში, მკვლევარს არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვებაც შეუძლია, რაც მონაცემების უკეთესი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. მკვლევართა აზრით, არ არსებობს ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზისადმი ერთი სწორი ან რეკომენდებული მიდგომა. შერჩეული ანალიზის ტიპი კვლევის მიზანსა და საკვლევ შეკითხვაზეა დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, ფოკუსჯგუფის შედეგების ვალიდობაზე ახდენს გავლენას. ამიტომ მკვლევრებმა მუდმივად უნდა გაითვალისწინონ შესაძლო ტენდენციურობის გამომწვევი მიზეზები და სათანადო ზომები მიიღონ კვლევის შედეგების ვალიდობის უზრუნველყოფისთვის (Stewart, Shamdasani, Rook, 2009, 603).

ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზი საკმაოდ ახლოსაა სიღრმისეული ინტერვიუს მონაცემების ანალიზთან და მსგავს საფეხურებს მოიცავს, დაწყებული ტრანსკრიპტებში წარმოდგენილი მონაცემების კოდირებითა და დასრულებული კომპლექსური ინტერპრეტაციული ანალიზით. მკვლევრები ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზის ორ ტიპს გამოყოფენ: კონტენტანალიზს და ეთნოგრაფიულ ანალიზს (Morgan, 1997; Wilkinson, 2004). კონტენტანალიზი მონაცემების სისტემატურ და დეტალურ მიმოხილვასა და შეჯამებას ახდენს და ზოგჯერ რაოდენობრივ ელემენტსაც მოიცავს; ხოლო ეთნოგრაფიული ანალიზი უფრო სელექციურია და ცდილობს, დეტალურად აღწეროს და ახსნას, თუ რა ხდება მონაწილეებს შორის ინტერაქციის ამა თუ იმ მომენტში. ცხადია, რომ ეს ორი განსხვავებული მიდგომა ორ სხვადასხვა საკვლევ კითხვასთანაა დაკავშირებული და მათ საფუძველზე მიღებული შედეგებიც განსხვავებულად გამოიყურება (Wilkinson, 2004, 182-183).

ფოკუსჯგუფის მონაცემების კონტენტანალიზი შემდეგ საფეხურებს მოიცავს: *მონაცემების შექმნა, შეკვეცა, შეჯამება, ანალიზი* და *ვალიდაცია*. კონტენტანალიზისას გამოყენებული მონაცემები მოიცავს საუბარს, ქცევას და არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას. ამგვარი მონაცემები უაღრესად

არასტრუქტურირებულია და სანამ მკვლევარი მათ ანალიზს შეუდგება, მან ფოკუსჯგუფის მონაცემები ინფორმაციის სპეციფიკურ ერთეულებად უნდა აქციოს. მონაცემების სტრუქტურირება კვლევის მიზანზეა დამოკიდებული, თუმცა არსებობს გარკვეული საფეხურები, რაც ამ პროცესში ყველა მკვლევარმა უნდა გაიაროს (Stewart, Shamdasani, Rook, 2009, 605).

პირველი საფეხური მონაცემების ანალიზის შესაბამისი ერთეულის თუ დონის განსაზღვრას გულისხმობს. შესაძლოა მკვლევარმა ფოკუსჯგუფში ნათქვამი თითოეული სიტყვა ანალიზის ერთეულად განიხილოს, ანდა დასრულებული წინადადება, წინადადებათა გარკვეული ერთობლიობა ან თუნდაც მცირე დიალოგი აქციოს ანალიზის ერთეულად. ანალიზის ერთეულის განსაზღვრა კოდირების სისტემის შექმნის საწინდარია. მორგანი (1997) ფოკუსჯგუფის მონაცემების კოდირების სამ გზას გვთავაზობს: მოცემული კოდის იდენტიფიცირება თითოეული ჯგუფური დისკუსიისას; მოცემული კოდის იდენტიფიცირება თითოეული მონაწილის ნარატივში; და მოცემული კოდის ყველა მოხსენიების იდენტიფიცირება (ყველა ფოკუსჯგუფში თუ ყველა მონაწილესთან). მეორე საფეხურზე დისკუსიის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის სტრუქტურირება ხდება, კერძოდ, კონკრეტულ კოდთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთად ორგანიზება. სწორედ აქ იწყება მონაცემების შექმნის მესამე საფეხური, როცა მკვლევარი ზემოხსენებული მონაცემების ლოგიკურ კატეგორიზაციას და შეჯამებას ახდენს. მხოლოდ ამ საფეხურის გავლის შემდეგ არის ფოკუსჯგუფის მონაცემები მზად ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის. იდეალურ შემთხვევაში, ამგვარ კოდირება-კატეგორიზაციას რამდენიმე ადამიანი აკეთებს, რათა მონაცემების სანდოობა სადავო არ იყოს (Stewart, Shamdasani & Rook, 2009, 605-606).

კოდირება-კატეგორიზაცია მონაცემების შექმნისა და შეკვეცის (არასაჭირო მონაცემების გაცხრილვის) ეტაპზე ხორციელდება. დღევანდელ დღეს, მონაცემების შექმნისა და შეკვეცის

პროცესში კომპიუტერული პროგრამებიც აქტიურად გამოიყენება. უფრო მეტიც, მკვლევრები გვირჩევენ კიდეც მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციისთვის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, რადგან ისინი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მკვლევრის საქმეს. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ გამოვიყენოთ შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები, არის ის, რომ ისინი ბევრად ამარტივებს საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას და თან მათ იზოლირებულად კი არ გვაწვდის, არამედ შესაბამის კონტექსტთან ერთად, რაც უფრო ზუსტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. გარკვეული ამონარიდის შინაარსისა და კონტექსტის კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე იდენტიფიცირების ერთ-ერთი გავრცელებული გზაა KWIC (key-word-in-context) ტექნიკის გამოყენება. მისი მეშვეობით, კომპიუტერი საკვანძო სიტყვებს ეძებს და იმ ტექსტთან ერთად აჩვენებს, რომელშიც ეს სიტყვები გვხვდება. მკვლევარს შეუძლია აკონტროლოს, თუ რა რაოდენობის ტექსტს უჩვენებს პროგრამა. კონტენტანალიზისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებად კომპიუტერულ პროგრამებს შორის მკვლევრები TEXTPACK, Concordance, Wordstat და TextQuest-ს ასახელებენ (იქვე, 608-609), აგრეთვე The Ethnograph-ს (Morgan et al., 1998, vol. 6, 89).

უნდა გვახსოვდეს, რომ კომპიუტერული პროგრამა მონაცემების ანალიზს არ აკეთებს, არამედ საჭირო მონაცემების მოძიებისა და სისტემატიზების ხელსაყრელი ინსტრუმენტია. კომპიუტერული პროგრამების დახმარებით მარტივია როგორც კოდირების პროცესში ნებისმიერი არათანმიმდევრულობის გამოვლენა, ისე კოდების სისტემის განახლება და მოდიფიცირება. კერძოდ, მკვლევარს შეუძლია მიზანმიმართულად მოიძიოს სპეციფიკური კოდები, რომლებიც დახვეწას და განახლებას საჭიროებს. ამდენად, ნაცვლად იმისა, რომ თითოეული ტრანსკრიპტის მთელი ტექსტი წაიკითხოს ხელახალი კოდირების მიზნით, კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით მკვლევარს შეუძლია, მარტივად მოძებნოს საწყისი კოდის თითოეული გამოყენება ტექ-

სტში და მხოლოდ კონკრეტული ამონარიდი წაიკითხოს, რათა საწყისი კოდი განაახლოს ან ახალი კოდი შექმნას. მორგანი სვამს შეკითხვას, თუ, რეალურად, რამდენად საჭიროა ამ დროს კომპიუტერული პროგრამის გამოყენება – კოდების შექმნა, მათი თანმიმდევრული გამოყენება, მონაცემების აღწერისა და ინტერპრეტაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა ხომ ლოგიკური პროცესია, რომელიც მკვლევრის ცოდნასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული და სპეციალური პროგრამა სულ არ სჭირდება. თუმცა, ავტორი აღნიშნავს, რომ ამ პროცედურების ხელით განხორციელება რთულდება, თუ დიდი რაოდენობით ფოკუსჯგუფის მონაცემებს ვაანალიზებთ. უფრო მეტიც, მისი თქმით, კომპიუტერული პროგრამის გამოყენება მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციისთვის ნამდვილი შვებაა, თუ ექვსზე მეტი ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზს ვახდენთ (იქვე, 91-93).

მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციის შემდეგ, მკვლევარს შეუძლია, მათ ანალიზს შეუდგეს. როგორც უკვე აღინიშნა, ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზი შეიძლება ორგვარი იყოს: კონტენტანალიზი და ეთნოგრაფიული ანალიზი. კონტენტანალიზი განმეორებად მონაცემებს ეძებს როგორც ერთი ტრანსკრიპტის შიგნით, ისე სხვადასხვა ტრანსკრიპტს შორის და როგორც ითქვა, მათი კოდირება-კატეგორიზაციით იწყებს და ინტერპრეტაციით ასრულებს. აღსანიშნავია, რომ თვისებრივ კონტენტანალიზთან ერთად, ფოკუსჯგუფის მონაცემების დამუშავებისას რაოდენობრივი კონტენტანალიზიც ხშირად გამოიყენება. მიჩნეულია, რომ რაოდენობრივი კონტენტანალიზი მკვლევარს განმეორებადი შემთხვევების თუ გარკვეული ტენდენციების გამოვლენაში ეხმარება, რასაც თვისებრივი კონტენტანალიზი მოსდევს, რათა მკვლევარმა ახსნას, თუ რა არის ამ ტენდენციების გამომწვევი მიზეზები (იქვე, 92-93). კონტენტანალიზისგან განსხვავებით, ეთნოგრაფიული ანალიზი ბევრად უფრო სელექციურია და ვიწრო ფოკუსი აქვს. ის ფოკუსჯგუფის დისკუსიას განიხილავს, როგორც მონაწილეთა სოციალური რეალობის წვდომის საშუა-

ლებას და ამ რეალობის მნიშვნელოვანი დეტალების ინტერპრეტაციას ცდილობს. ამასთან, ეთნოგრაფიული ანალიზისთვის ამოსავალია სოციალური სამყაროს თავად მონაწილეების და არა მკვლევრის თვალსაწიერიდან ხედვა (Wilkinson, 2004, 183).

ანალიზის ამ ორ მეთოდს შორის სხვაობის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ კვლევა, რომელიც საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ პოპულარულ დისკურსებს ეხება (წულაძე et al., 2016). კვლევის ფარგლებში დედაქალაქსა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქებში მცხოვრებ სამი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობასთან ფოკუსჯგუფები ჩატარდა. ერთი ასაკობრივი ჯგუფი იმ თაობას მოიცავდა, რომელმაც საბჭოთა პერიოდში გაიარა სოციალიზაცია; მეორე ასაკობრივი ჯგუფი მათ, ვინც სოციალიზაციის ნაწილი საბჭოთა პერიოდში გაიარა (დაწყებითი და საშუალო განათლების ეტაპი) და ნაწილი – პოსტსაბჭოთა პერიოდში (უმაღლესი განათლების ეტაპი); მესამე ასაკობრივი ჯგუფი კი – თაობას, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდშია სოციალიზებული. მკვლევართა ვარაუდით, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდში გავლილი სოციალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დამოკიდებულებებზე საქართველოს ევროპეიზაციის მიმართ. ანალიზის მიზნით განვიხილავთ ფოკუსჯგუფების მონაცემებს, სადაც მონაწილეები იმ პრაგმატულ და იდენტობის ფაქტორებზე მსჯელობენ, რაც ევროპეიზაციის პროცესის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებებს განსაზღვრავს. თავდაპირველად ორი სახის კონტენტანალიზის ნიმუშს წარმოგიდგენთ – თვისებრივს და რაოდენობრივს, რადგან ჩვენთვის საინტერესოა როგორც ის, თუ რა პრაგმატულ და იდენტობის ფაქტორებს ასახელებენ ფოკუსჯგუფის მონაწილეები, აგრეთვე ისიც, თუ რა სიხშირით მოიხსენიებენ ისინი ამა თუ იმ ფაქტორს. ხოლო ეთნოგრაფიული ანალიზის ფოკუსია, თუ როგორ მსჯელობენ მონაწილეები პრაგმატული და იდენტობის ფაქტორების შესახებ და რატომ სწორედ ამ სახით. აღსანიშნავია, რომ თითოეული პრაგმატული და იდენტობის ფაქტორის მიმართ მო-

სახლეობა საკმაოდ ამბივალენტურ დამოკიდებულებებს გამოხატავს, კერძოდ, ერთსადაიმავე ფაქტორებს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კუთხით აღიქვამს.

პირველ რიგში, განვიხილოთ რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტანალიზის მაგალითები. ერთ შემთხვევაში, თითოეული ფაქტორის მოხსენიების სიხშირეა წარმოდგენილი, მეორეში კი – მათი შინაარსი თავად მონაწილეების სიტყვებით/ციტატებით არის შეჯამებული და სწორედ ამ ციტატების საფუძველზე აყალიბებს მკვლევარი მის ძირითად არგუმენტებს. სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით, რაოდენობრივი კონტენტანალიზისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელი თაობის წარმომადგენლები რა ფაქტორებს ჩამოთვლიან და რა სიხშირით; თვისებრივი კონტენტანალიზისას კი – როგორ ახასიათებენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები თითოეულ ფაქტორს და რატომ სწორედ ამ სახით.

რაოდენობრივი კონტენტანალიზი

პრაგმატული ფაქტორები

1. ევროინტეგრაციის პროცესი, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტი (8-ჯერ) // ევროკავშირი უუნაროა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს და დაიცვას (6-ჯერ)
2. ევროპეიზაციის პროცესი, როგორც საქართველოს ეკონომიკური გაძლიერების გარანტი (11-ჯერ) // ევროპეიზაციის პროცესი ვერ გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას, რადგან ქართული პროდუქცია ვერ გავა/დამკვიდრდება ევროპულ ბაზარზე (8-ჯერ)
3. ევროპეიზაციის პროცესი პოლიტიკის კეთების „ევროპულ მოდელზე“ გადასვლას იწვევს (7-ჯერ)//„ფასადური ევროპეიზაცია“ ვერ ცვლის პოლიტიკის კეთების „ქართულ მოდელს“ (10-ჯერ)

იდენტობის ფაქტორები

1. ევროპეიზაციის პროცესი, როგორც ქართული ტრადიციების დაცვის გარანტი (9-ჯერ) // ევროპეიზაციის პროცესი, როგორც ქართული ტრადიციებისთვის საფრთხის მატარებელი (12-ჯერ)
2. ევროპული პოსტნაციონალისტური, სამოქალაქო ღირებულებები, როგორც საქართველოსთვის მისაბაძი (10-ჯერ) // ევროპული პოსტნაციონალისტური ღირებულებები, როგორც პატრიოტიზმის დეფიციტის მაჩვენებელი (6-ჯერ)
3. ევროპეიზაციის პროცესი, როგორც ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების დამცველი (4-ჯერ) // ევროპეიზაციის პროცესი, როგორც ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების როლის შემასუსტებელი (7-ჯერ)

თვისებრივი კონტენტანალიზი

თვისებრივი კონტენტანალიზისას მკვლევარი მონაცემებიდან შესაბამის არგუმენტებს შეიმუშავებს, რომელთა გასამყარებლად რესპონდენტთა ციტატები მოჰყავს. ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშები აჩვენებს, რომ კვლევის მონაწილეები საკმაოდ ამბივალენტური ხედვით გამოირჩევიან ევროპეიზაციის თანმხლები როგორც პრაგმატული (მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება), ისე იდენტობის (მაგალითად, ევროპეიზაციის ქართულ ტრადიციებზე გავლენა) ფაქტორების მიმართ.

ეკონომიკური განვითარების ამბივალენტური ხედვა

პოზიტიური ხედვა: ევროკავშირთან დაახლოების შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სფერო მზარდ მატერიალურ დახმარებას იღებს და ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებიც ევროპასთან ფართოვდება, რაც ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას იწვევს.

„ასოცირების ხელშეკრულებას მოჰყვა სავაჭრო გზების, ბაზრის გახსნა. ალბათ იმ ხალხისთვის, ვინც ბიზნესს აკეთებს, რაღაც წინსვლა იქნება“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

„სოფლის მეურნეობას შეეხო, არის გრანტები ევროპიდან, წერს ხალხი და იღებს კიდეც. რომ არა ეს გრანტები, რაც ახლა გვაქვს სოფლის მეურნეობაში, ისიც არ გვექნებოდა“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„დაიხვეწება პროდუქცია. რაც რუსეთში გაგვქონდა, თუნდაც ღვინო, ძალიან დაბალი ხარისხის იყო; რაც ევროპაში გაგვაქვს, საგრძნობლად მოიმატა ხარისხმა“ (მამრ., 18-25, თბილისი).

ნეგატიური ხედვა: ქართული პროდუქცია ევროპულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და ამიტომ ის ვერ შეძლებს ევროპის ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას.

„ევროპასთან ვართ გამოწვევის წინაშე, დააკმაყოფილებს თუ არა მათ სტანდარტებს ქართული ბაზარი. ჩვენ არ გვაქვს რესურსი, გერმანიის რომელიმე ქარხანას გავუწიოთ კონკურენცია“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

„ქართულ პროდუქციას ძალიან გაუჭირდება ევროკავშირის ქვეყნებში ბაზრის ათვისება იმიტომ, რომ ეს ის ბაზარია, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ია ბრენდები. იქ შეხვიდე ახალი, პატარა ქვეყნიდან და ისეთი პროდუქცია შეიტანო, ისეთივე ხარისხის, ძალიან ძნელია“ (მამრ., 26-40, თელავი).

„ისეა გაჯერებული ევროპის ბაზარი, რომ ბოთლის ჩასადგმელი ადგილი არ არის. როგორმე უნდა დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნები, გვქონდეს ISO სერტიფიკატი, რომ რაღაც ჩვენც გავიტანოთ ევროპის ბაზარზე, რაც დღეს ჩვენთვის ნამდვილი გამოწვევაა“ (მამრ., 41-65, თელავი).

ტრადიციების შენარჩუნების ამბივალენტური ხედვა

პოზიტიური ხედვა: მიუხედავად გავრცელებული მითებისა, რომ ევროპაში წახალისებულია არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობები, სინამდვილეში, იქაც ისევე ზრუნავენ ტრადიციების დაცვაზე, როგორც საქართველოში; უბრალოდ, ევროპელებისთვის პრიორიტეტულია ადამიანის უფლებების დაცვა.

„მე მხოლოდ პოზიტიური ასოციაციები მაქვს [ევროპასთან]. მეტიც, არა მგონია, რომ ის, რაც ევროპისთვისაა მთავარი – ადამიანის უფლებები და თავისუფლება, ავალდებულებდეს ვინმეს, რომ დაგმოს საკუთარი ტრადიციები ან იდენტობა; არა მგონია, რომ ევროპა თავს მოგვახვევს რაღაცის დაგმობას“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

„განა ევროპელები არ ფიქრობენ საკუთარ ტრადიციებზე და ღირებულებებზე? განა მარტო ჩვენ ვდარდობთ ჩვენს ღირებულებებზე? ამას წინათ გერმანელი სტუმარი მყავდა, რომელიც მიყვებოდა, ჩვენ ახლა ბევრს ვფიქრობთ ტრადიციების შენარჩუნებაზეო, მათ აღდგენაზეო. იქაც არის ტრადიციები, კუთხეების მიხედვით იყოფა და არაა ისე, რომ მხოლოდ ჩვენ ვდარდობთ ტრადიციებზე“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„ძალიან ბევრი მითია და ევროკავშირზე დამახინჯებული ინფორმაცია არსებობს. ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ასევე გულისხმობს ჩვენს საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების გამრავლებას, მათ პროპაგანდას, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და ა.შ., რაც მასე არ არის, უბრალოდ, ევროკავშირი მოითხოვს, რომ იყოს ადამიანის უფლებები დაცული. ადამიანად კი იგულისხმება ყველა, ვინც დაიბადა და ღმერთის მიერ მოევლინა დედამიწას, და სქესს, რელიგიას და ეთნიკურ წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს“ (მდედრ., 18-25, თელავი).

ნეგატიური ხედვა: ევროკავშირთან დაახლოება ხელს უწყობს ოჯახური ტრადიციების რღვევას და წაახალისებს სექსუალურ თავისუფლებასა და არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს საქართველოში.

„მე ყველაზე მეტად ამის მეშინია ევროკავშირთან ინტეგრაციისას, ჩვენი ტრადიციები თანდათან დაიკარგება. ქორწილამდე სექსი, ერთსქესიანთა ქორწინება, ეს ხომ ჩვენს რელიგიაში არ

ჯდება. მაგრამ ასე მგონია, რომ დროთა განმავლობაში დაიკარგება“ (მდედრ., 41-65, გორი).

„ევროპაში არ არის ოჯახური სითბო, სრულწლოვანი მიდის ოჯახიდან... ჩვენ ტრადიციული ხალხი ვართ და გვაქვს ოჯახური სითბო... ევროპაში 18 წლის რომ გახდებიან, არც კითხულობენ მშობელს“ (მდედრ., 41-65, ბათუმი).

„ტრადიციებსაც შეექმნება საფრთხე. ახალგაზრდები იმას იტაცებენ ყველაზე მარტივად, რაც უარყოფითია. ვიღაც მერე იფიქრებს, ოღონდ შვილმა ცოლად კაცი არ მოიყვანოს და რაც გინდა, იყოსო. აი, მაგალითად, 20 წლის წინ, წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ქართველი კაცი საყურით ივლიდა, მაგრამ ახლა მოდაშია და დადიან ჩვეულებრივად“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

ეთნოგრაფიულ ანალიზს აინტერესებს საუბარი, როგორც ქმედება, რომლის გზითაც გარკვეული სოციალური რეალობის კონსტრუირება ხდება. ფოკუსჯგუფის ფარგლებში მკვლევარს შეუძლია გაიგოს, თუ როგორ ყვებიან ადამიანები ისტორიებს, როგორ ხუმრობენ, როგორ ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ერთმანეთს და როგორ ცდილობენ ერთმანეთის დარწმუნებას. მკვლევარს შეუძლია დააკვირდეს მათ თვითპრეზენტაციას, ანუ საკუთარი თავის რა „ვერსიებს“ სთავაზობენ ისინი დანარჩენებს, რათა ერთმანეთზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ, გააკრიტიკონ, გამოაჯავრონ, გაამხნევონ და ა.შ. სწორედ ამ გზით ცდილობს მკვლევარი, თავად მონაწილეების თვალით დანახული რეალობა გააანალიზოს (Wilkinson, 2004, 188). ჩვენს ზემოხსენებულ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მკვლევარმა უნდა ახსნას, თუ როგორია ფოკუსჯგუფის მონაწილეების მიერ თითოეული პრაგმატული თუ იდენტობის ფაქტორის ხედვა, რამდენად იზიარებენ ან არ იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს ამ ფაქტორებთან დაკავშირებით და რა ფორმით გამოხატავენ საკუთარ თანხმობას/არდათანხმებას, რამდენად ახდენს გავლენას ამა თუ იმ მონაწილის აზრი დანარჩენების შეხედულებებ-

ზე ამ ფაქტორებთან დაკავშირებით და დარწმუნების რა ხერხებს მიმართავენ ისინი, აგრეთვე რა შეიძლება იწვევდეს ზემოხსენებულ ამბივალენტურ ნარატივებს.

ეთნოგრაფიული ანალიზის ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ ეთნომეთოდოლოგიურ ტრადიციაზე დაფუძნებული საუბრის ანალიზი, რომელიც ბოლო ხანებში ფართოდ გამოიყენება ფოკუსჯგუფების მონაცემების ანალიზისას. ეს მიდგომა ფოკუსჯგუფს განიხილავს, როგორც „ლოკალიზებული ვერბალური ინტერაქციების ფორმას“ და იმაზე კი არ ამახვილებს ყურადღებას, თუ „რა ითქვა“, არამედ „როგორ ითქვა“ (Krzyzanowski, 2008, 168). აქედან გამომდინარე, საუბრის ანალიზზე აგებული მიდგომა იკვლევს მონაწილეებსა და მოდერატორს, აგრეთვე თავად მონაწილეებს შორის ინტერაქციას და ამგვარი ანალიზისას აქცენტს სვამს ლინგვისტური კატეგორიების გამოყენებაზე, როგორც ვერბალური ინტერაქციის ინსტრუმენტებზე. ამ მიდგომის გამოყენებით, მკვლევარი იგებს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა საკითხის წარდგენა, ფორმულირება და ინტერპრეტაცია ჯგუფური დისკუსიისას; აგრეთვე, თუ როგორ მიანიშნებს „მარკერებად“ წოდებული სხვადასხვა ვერბალური/ლინგვისტური ელემენტები მონაწილეებს შორის თანხმობა/არდათანხმებას (იქვე, 169).

მონაცემების ანალიზის შემდეგ მკვლევარი სვამს შეკითხვას: რისი წარდგენა მსურს კვლევის ანგარიშში? როცა ანგარიშის მიზანი და სავარაუდო მკითხველი განსაზღვრულია, მკვლევარი იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ დაწერს ანგარიშს – როგორ ენას და სტილს გამოიყენებს და რა სახით წარადგენს მონაცემებს. სადისკუსიო გეგმა თუ კოდირებული მონაცემები შესაბამის ჩარჩოს ქმნის კვლევის ანგარიშისთვის და სწორედ მათ საფუძველზე ხდება ანგარიშის თავებისა და ქვეთავების განსაზღვრა. ამ დროს მკვლევარი იღებს გადაწყვეტილებას მონაცემების „ჰორიზონტალურად“ თუ „ვერტიკალურად“ წარდგენის შესახებ (Morgan et al., 1998, vol. 6, 94). თუ რამდენიმე ფოკუსჯგუფი ჩატარდა მოსახლეობის ერთ კონკრეტულ სეგმენტთან,

რომლის წარმომადგენლებიც საერთო პრობლემებს განიხილავენ, მაშინ „ჰორიზონტალური“ ანალიზი უნდა განხორციელდეს, ანუ სხვადასხვა ფოკუსჯგუფში გამოვლენილი საერთო პრობლემები თუ საკითხები უნდა იქნას გაანალიზებული. თუკი კვლევაში მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტი მონაწილეობდა და თითოეულთან თითო ფოკუსჯგუფი ჩატარდა, მაშინ მონაცემები „ვერტიკალურად“ უნდა გაანალიზდეს, ანუ სხვადასხვა ჯგუფის მიერ გაჟღერებული პრობლემები თუ საკითხები ცალცალკე იქნას განხილული და მათთვის საერთო პრობლემები თუ საკითხები ერთად შეჯამდეს დასკვნით ნაწილში.

ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზის ნიმუში: მიგრანტების გამოცდილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებით

ამ ქვეთავში წარმოგიდგენთ ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზის ნიმუშს, რომელიც ავსტრიულ საზოგადოებაში მიგრანტების ინტეგრაციის პრობლემებს ეხება. მკვლევრებს აინტერესებდათ მიგრანტების პირადი გამოცდილება დისკრიმინაციასა და რასიზმთან დაკავშირებით, როგორც სოციალურ ინსტიტუტებთან, ისე ავსტრიელ მოსახლეობასთან ყოველდღიური ინტერაქციის პროცესში (Krzyzanowski, 2008, 162-181). მათ მიგრანტებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფების მონაცემების ანალიზი ორ დონეზე განახორციელეს: 1. დისკურსის საკვანძო თემების ზოგადი ანალიზი ანუ კონტენტანალიზის დონე და 2. მონაცემების სიღრმისეული ანუ ეთნოგრაფიული ანალიზის დონე, რომლის ფოკუსიც დისკურსის რიტორიკული ელემენტების, არგუმენტირების სტრატეგიების, დარწმუნების ხერხების და ა.შ. გამოყენების ანალიზი იყო. ეს ორდონიანი ანალიზი აქცენტს სვამს იმაზე, თუ როგორ ვლინდება ფოკუსჯგუფების გზით სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული იდენტობების დისკურსული და კონსტრუირებული ბუნება (იქვე, 169).

ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზი თემატური კონტენტანალიზით იწყება, რომლის დროსაც მკვლევარი იმ ძირითად დისკურსულ თემებს გამოყოფს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ან ნათლად აჯამებს არგუმენტის ძირითად იდეას. მსგავსი თემები ორ კატეგორიად იყოფა: პირველადი თემები და მეორადი თემები. *პირველადი თემები* მოდერატორის მიერ არის წარდგენილი და მონაწილეები მათზე რეფლექსიას ახდენენ; *მეორადი თემები* კი თავად მონაწილეების მიერ დისკუსიის პროცესში წამოიჭრება (იქვე, 170). მიგრანტების მიერ ავსტრიულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხის და მათ მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკების გამოყენების შესახებ კვლევაში, მკვლევრებმა შემდეგი პირველადი თემები განსაზღვრეს: თ-I – მიმღები ქვეყნის შესახებ წარმოდგენები; თ-II – შრომითი ურთიერთობები; თ- III – განათლება; თ-IV – ულტრამემარჯვენეთა ქმედებები; თ-V – რასიზმისთვის თავის გართმევა; თ-VI – ტოლერანტობის ზრდა და ანტირასიზმი (იქვე, 171). უშუალოდ ფოკუსჯგუფების მსვლელობისას, ამ თემებმა რესპონდენტებს უბიძგა, რომ მეორადი თემები წამოეჭრათ, რომლებიც პირველად თემებთან მჭიდრო კავშირში იყო. ამგვარი მეორადი თემები აღმოჩნდა: თ-1 – სოციალური კონტაქტი; თ-2 – მიგრანტების შესახებ წარმოდგენები; თ-3 – მოქალაქეობა და კოლექტიური იდენტობა; თ-4 – ეთნიკურობა და რელიგია; თ-5 – ენა; თ-6 – სტერეოტიპები; თ-7 – ულტრამემარჯვენე პოლიტიკა; თ-8 – მედია და საჯარო სივრცე; თ-9 – ინტეგრაცია (იქვე, 174).

თემატური ანალიზი მხოლოდ პირველადი და მეორადი თემების გამოყოფით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ მათ შორის ურთიერთკავშირებიც უნდა გამოავლინოს და ამით დაეხმაროს მკვლევრებს, რომ სხვადასხვა კონტექსტი და სფერო გააანალიზონ, რომელშიც მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობასთან თუ ინსტიტუტებთან ურთიერთობის გამოცდილებას იძენენ, შესაბამისად, დისკრიმინაციულ მოპყრობას განიცდიან. სწორედ ამგვარი ურთიერთკავშირების აღმოჩენა და მათი ინტერპრეტა-

ცია წარმოადგენს პირველ ნაბიჯს მონაცემების სიღრმისეული ანალიზის გზაზე. პირველადი თემებიდან პირველივე რომ ავიღოთ (თ-I – მიმღები ქვეყნის შესახებ წარმოდგენები), ავსტრიაში მყოფ მიგრანტებთან ფოკუსჯგუფებმა გამოავლინა, რომ ისინი აღნიშნულ თემას სოციალური კონტაქტების (თ-1) კონტექსტში განიხილავენ, რაც, მათი აზრით, გავლენას ახდენს ავსტრიელების წარმოდგენებზე მიგრანტების შესახებ (თ-2). ამასთან, მიმღები ქვეყნის შესახებ წარმოდგენები ხშირად წარმოშობდა დისკუსიას მოქალაქეობის და კოლექტიური იდენტობის (თ-3) შესახებ, რაც, თავის მხრივ, ეთნიკურობის და რელიგიის (თ-4) და ენის (თ-5) შესახებ დისკუსიას უბიძგებდა. ეს ყველაფერი კი მჭიდრო კავშირში იყო სტერეოტიპების (თ-6) და ინტეგრაციის (თ-9) საკითხებთან.

აღნიშნული მაგალითიდან ვასკვნით, რომ ავსტრიის შემთხვევაში, მიმღები ქვეყნის შესახებ წარმოდგენები დამოკიდებულია მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ყოველდღიურ სოციალურ კონტაქტებზე, რაც არსებით როლს თამაშობს ავსტრიელების მიერ მიგრანტების აღქმაში. ამასთან, შეგვიძლია ისიც დავასკვნათ, რომ მიგრანტთა კოლექტიური იდენტიფიკაციისა და მოქალაქეობის პრობლემები მჭიდრო კავშირშია მათ ეთნიკურობასა და რელიგიასთან, აგრეთვე ენასთან. მიგრანტები მუდმივად უსვამდნენ ხაზს, რომ მათი უცხოდ ან ადგილობრივად მიჩნევა და ავსტრიის მოქალაქეობის მიღება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მათ ეროვნებაზე, რელიგიაზე და ენაზე. წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ მიგრანტები ნათლად აცნობიერებენ ავსტრიულ საზოგადოებაში (როგორც საკმაოდ ჰომოგენურ ქვეყანაში, რომელიც მეტწილად თეთრკანიანი, ქრისტიანული, გერმანულენოვანი მოსახლეობისგან შედგება) მიგრანტების მიმართ არსებულ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს (იქვე, 176). უფრო სიღრმისეული ეთნოგრაფიული ანალიზისას მკვლევრებს შეუძლიათ იმის შეფასება, თუ როგორ ახდენენ ფოკუსჯგუფების მონაწილე მიგრანტები თი-

თოეული ზემოხსენებული თემის დავიწროვებას, რამდენად იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს ამ თემებთან დაკავშირებით და რა ფორმით გამოხატავენ საკუთარ თანხმობას/არდათანხმებას, რამდენად ახდენს გავლენას ამა თუ იმ მონაწილის აზრი დანარჩენების შეხედულებებზე და დარწმუნების რა სტრატეგიებს იყენებენ ისინი. ამ ყველაფრის ანალიზისას კი, ცხადია, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ენობრივ-ლინგვისტური ხერხების შესწავლა, რომელთა გზითაც აღნიშნული თემების წარდგენა, ფორმულირება და ინტერპრეტაცია ხდება.

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

გთავაზობთ სტუდენტის სადისკუსიო გეგმის ნიმუშს ბედნიერების გაგების საკვლევად, რომლის გაცნობის შედეგად, გთხოვთ, შემდეგ კითხვებს უპასუხოთ: 1. როგორ ფიქრობთ, რა არის მოცემული კვლევის მიზანი და ვინ არის მისი სამიზნე ჯგუფი? 2. აღნიშნულ სადისკუსიო გეგმაში მოახდინეთ გამხსნელი, შესავლის, გარდამავალი, ძირითადი და შემაჯამებელი შეკითხვების იდენტიფიცირება. 3. რა სახის აქტივობებს მოიცავს მოცემული ფოკუსჯგუფი და რა მიზანს ემსახურება ამ აქტივობების დისკუსიაში ინტეგრირება?

ფოკუსჯგუფის სადისკუსიო გეგმა ბედნიერების გაგების შესახებ

1. **შესავალი** (მოდერატორის წარდგენა, საკვლევი საკითხის შეთავაზება, მონაწილეების გაცნობა)
2. **ბედნიერება: ასოციაციები**
   რა ასოციაციები გიჩნდებათ სიტყვაზე „ბედნიერება“?
3. **ბედნიერება: განმსაზღვრელი ფაქტორები (პირადი გამოცდილება)**
   მონაწილეებს ურიგდებათ წინასწარ გამზადებული ფურცლები, სადაც ჩამოწერენ, მათი აზრით, ბედნიერების გან-

მსაზღვრელ ფაქტორებს და შემდეგ მოკლედ განმარტავენ, თუ რატომ არის მათ მიერ ჩამოწერილი კონკრეტული ფაქტორები მათი ბედნიერებისთვის მნიშვნელოვანი.

3.1. გთხოვთ, დარიგებულ ფურცელზე ჩამოწეროთ, რა ფაქტორები განაპირობებს უშუალოდ თქვენს ბედნიერებას.

3.2. ასევე, მოკლედ განმარტოთ, თუ რატომ არის თქვენს მიერ ჩამოწერილი ეს კონკრეტული ფაქტორები მნიშვნელოვანი თქვენი ბედნიერებისთვის.

მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე დაასრულებს წერას, მოდერატორი დაფაზე ჩამოწერს ფაქტორებს, რომელსაც მონაწილეები უკარნახებენ (ვთქვათ, საათის ისრის მიმართულებით). მოდერატორი არ იმეორებს დაფაზე ერთსა და იმავე ფაქტორებს.

4. ბედნიერებასთან დაკავშირებულ ფაქტორებზე მუშაობა

4.1. *მონაწილეები აგრძელებენ მუშაობას დარიგებულ ფურცლებზე: დაფაზე ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტორების ჩამოწერის შემდეგ, მონაწილეები, სურვილისამებრ, ამატებენ ან უცვლელს ტოვებენ ფაქტორების სიას საკუთარ ფურცლებზე.*

4.1.1. როგორ ფიქრობთ, დაფაზე ჩამოწერილი ფაქტორები რამდენად არის სხვა ადამიანებისთვისაც ბედნიერების განმსაზღვრელი? ამ ფაქტორებიდან გამოყოფდით თუ არა ბედნიერების განმსაზღვრელ უნივერსალურ ფაქტორ(ებ)ს?

4.1.2. დაფაზე ჩამოწერილი ფაქტორებიდან რომლის ამოღებაა თქვენთვის სრულიად დაუშვებელი/წარმოუდგენელი? რატომ? როგორ აისახება მათი არქონა ადამიანის ბედნიერებაზე? შეგიძლიათ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითები?

4.2. *მონაწილეები აღნიშნულ ფაქტორებს სამ კატეგორიად აჯგუფებენ: მთავარი ფაქტორები, მნიშვნელოვანი ფაქტორები და ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორები.*

4.2.1. ახლა, გთხოვთ, დაუბრუნდეთ თქვენს პირად ფურცლებზე ფაქტორების საბოლოო ჩამონათვალს და აღნიშნული ფაქტორები დააჯგუფოთ სამ კატეგორიად: ბედნიერების განმსაზღვრელი *მთავარი ფაქტორები, მნიშვნელოვანი ფაქტორები და ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორები.*

5. ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება (life satisfaction) და კეთილდღეობა (well-being)

5.1. რა მნიშვნელობის მატარებელია თქვენთვის ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება და კარგად ყოფნა? [თუ მათ მსგავს მნიშვნელობას მიაწერენ, რა შემთხვევაში? თუ არა, მაშინ რა მიაჩნიათ ძირითად განსხვავებებად?]

5.2. თქვენს პირად ფურცლებზე ჩამოწერილ ფაქტორთა სიიდან, შეგიძლიათ თქვათ, თუ რომელი ფაქტორია განსაკუთრებით/გამორჩეულად დაკავშირებული ბედნიერებასთან, ცხოვრებით კმაყოფილებასთან ან კარგად ყოფნასათან? გთხოვთ, ახსნათ რატომ.

6. შეჯამება: ერთი წინადადებით რომ აჯამებდეთ ბედნიერების გაგებას, როგორი იქნებოდა თქვენი შეჯამება?

გამოყენებული ლიტერატურა

Aries, E. (1976). Interaction Patterns and Themes of Male, Female and Mixed Groups. *Small Group Behavior,* 7 (1), 7-18.

Berg, B. L., & Lune, H. (2012). *Qualitative Research Methods for the Social Sciences* (8th ed.). Boston: Pearson.

Goffman, I. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

Kleiber, P. B. (2004). Focus Groups: More than a Method of Qualitative Inquiry. In K. deMarrais & S. D. Lapan (Eds.), *Foundations for Research: Methods of Inquiry in Education and the Social Sciences* (pp. 87-102). Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates, Inc.

Krzyzanowski, M. (2008). Analyzing Focus Group Discussions. In R. Wodak & M. Krzyzanowski (Eds.), *Qualitative Discourse Analysis*

in the Social Sciences (pp. 162-181). New York: Palgrave Macmillan.

Merton, R., K. (1987). The Focused Interview and Focus Groups. *Public Opinion Quarterly,* 51 (4), 550-566.

Merton, R., & K., Kendall, P. L. (1946). The Focused Interview. *American Journal of Sociology,* 51 (6), 541-557.

Morgan, D. L. (1997). *Focus Groups as Qualitative Research* (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Sage.

Morgan, D. L. (2002). Focus Group Interviewing. In J. F. Gubrium & J. A. Holstein (Eds.), *Handbook of Interview Research* (pp. 141-159). Thousand Oaks, CA: Sage.

Morgan, D. L., Krueger, R. A. & King, J. A. (1998). The *Focus Group Kit.* Vols. 1-6. Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Short, S. E. (2006). Focus Groups: Focus Group Interviews. In E. Perecman & S. R. Curran (Eds.), *A Handbook for Social Science Field Research: Essays & Bibliographic Sources on Research Design and Methods* (pp. 103-116). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Stewart, D. W., Shamdasani, P. M., & Rook, D. W. (2009). Group Depth Interviews: Focus Group Research. In L. Bickman & D. J. Rog (Eds.), *The SAGE Handbook of Applied Social Research Methods* (pp. 589-616). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Tsuladze, L., Macharashvili, N. & Pachulia, K. (2017). SOS Tbilisi: Challenges to Environmental Civic Participation in Georgia. *Problems of Post-Communism*, 64 (3), 1-17.

Wilkinson, S. (2004). Focus Group Research. In D. Silverman (Ed.), *Qualitative Research: Theory, Method and Practice* (2nd ed., pp. 177-199). London: Sage Publications.

წულაძე, ლ., ესებუა, ფ., კახიძე, ი., კვინტრაძე, ა., ოსეფაშვილი, ი., ამაშუკელი, მ. (2016). *ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში.* თბილისი: „ნეკერი.

თავი 5
ეთნოგრაფიული კვლევა

ეთნოგრაფიული კვლევის არსი

ეთნოგრაფიული კვლევა კულტურის შესწავლის მეთოდია. უფრო სწორედ, მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც მეთოდების მთელ ერთობლიობას მოიცავს, რათა გარკვეული კულტურის წარმომადგენელთა ღირებულებებს, შეხედულებებს და ქმედებებს სწვდეს. ამ მიზნით, ეთნოგრაფიული კვლევა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობას (აშკარა ან არააშკარა სახით) ითვალისწინებს, შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ამ პროცესში, მკვლევარი *აკვირდება* მათ ქმედებებს, ისმენს მათ ნარატივებს და უსვამს შესაბამის შეკითხვებს *არაფორმალური ან ფორმალური ინტერვიუს* გზით, და მოიპოვებს საჭირო *დოკუმენტურ მასალას,* რათა საკვლევ კითხვას უპასუხოს. ამგვარად, ეთნოგრაფიული კვლევა მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის ნიმუშია, რომლის საფუძველი ჩართული დაკვირვებაა, თუმცა ის სამ მეთოდს მაინც აერთიანებს – დაკვირვებას, არაფორმალურ ან ფორმალურ ინტერვიუს და დოკუმენტურ ანალიზს.

ალბათ, სწორედ ამგვარი მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის ბრალია, რომ არცთუ იშვიათად, ეთნოგრაფიული კვლევა თვისებრივი კვლევის სხვა მეთოდებში არის აღრეული და სხვადასხვა სახელითაც კი არის მოხსენიებული, როგორიცაა „საველე კვლევა“, „ინტერპრეტაციული მეთოდი“ თუ „შემთხვევის შესწავლა“. ბოლო პერიოდში, კიდევ უფრო მეტი აღრევა გამოიწვია ე.წ. „ვირტუალური ეთნოგრაფიის“ განვითარებამ, რომლის მონაცემებიც მხოლოდ ინტერნეტიდან ჩამოტვირთული მასალით შემოიფარგლება (Hammersley, Atkinson, 2007, 1).

ამ აღრევაში სიცხადის შესატანად, პირველ რიგში, უნდა ავხსნათ, თუ რა კონკრეტული მახასიათებლებით გამოირჩევა ეთნოგრაფიული კვლევა. სოციალური მკვლევრები მის შემდეგ მახასიათებლებს ჩამოთვლიან (იქვე, 3):

- ადამიანთა შეხედულებები და ქმედებები მათ ყოველდღიურ კონტექსტში შეისწავლება და არა მკვლევრის მიერ ხელოვნურად შექმნილ პირობებში. სწორედ ამიტომ მას „საველე კვლევასაც“ უწოდებენ.
- მონაცემების მოპოვება „არასტრუქტურირებული“ სახით ხდება: ერთი მხრივ, ეთნოგრაფიული კვლევის დიზაინი ძალიან მყიფეა და კვლევის პროცესში მუდმივ განახლებას განიცდის; მეორე მხრივ კი, კატეგორიები, რომელთაც მკვლევარი ადამიანთა შეხედულებებისა და ქმედებების ასახსნელად იყენებს, თავად საველე მონაცემებიდან მომდინარეობს.
- მკვლევრის ფოკუსია რამდენიმე მცირემასშტაბური შემთხვევა, შესაძლოა, ერთი კონკრეტული გარემო ან ადამიანთა მცირე ჯგუფი. ალბათ, ამიტომაა, რომ ზოგი მკვლევარი ეთნოგრაფიულ კვლევას „შემთხვევის შესწავლას“ უწოდებს. ერთი ან რამდენიმე მცირემასშტაბური შემთხვევის შესწავლა მკვლევარს მონაცემების სიღრმისეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ეთნოგრაფიულ კვლევას „ინტერპრეტაციულ მეთოდსაც“ უწოდებენ.
- მონაცემების ანალიზის მიზანია ადამიანთა ქმედებებისა და ინსტიტუციური პრაქტიკების მნიშვნელობის, მოტივაციისა და შედეგების წვდომა და ინტერპრეტაცია ადგილობრივ კონტექსტში; თუმცა, შესაძლოა ეს ინტერპრეტაცია უფრო ფართო კონტექსტშიც რელევანტური იყოს.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ეთნოგრაფიული კვლევის ფილოსოფიური საფუძველია *ჰერმენევტიკა,* რომლის თანახმად, ადამიანური ცხოვრება ინტერპრეტაციების უწყვეტი ჯაჭვია, ადა-

მიანად ყოფნა კი – სწორედ მნიშვნელობათა სისტემების შექმნასა და წვდომას გულისხმობს. შესაბამისად, სოციალურმა მკვლევარმა *ინტერსუბიექტურობა* ანუ ინდივიდების მიერ ამ მნიშვნელობათა გაზიარებული ხედვა უნდა იკვლიოს (Gottlieb, 2006, 48). ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი გავლენიანი წარმომადგენელი „სიმბოლური ანთროპოლოგიის“ (ასევე ცნობილი „სიმბოლური და ინტერპრეტაციული ანთროპოლოგიის“ სახელით) ფუძემდებელი კლიფორდ გირცი იყო, ნაშრომით „კულტურათა ინტერპრეტაცია“ (“The Interpretation of Cultures”). ავტორი კულტურის არსის წვდომას არაერთხელ ნახსენები „გაჯერებული აღწერის“ მეთოდის საფუძველზე გვთავაზობს, რომელსაც „კულტურის ინტერპრეტაციულ თეორიას“ უწოდებს (1973, 3). მისი სიტყვებით, კულტურა განსხეულებულია საზოგადოებრივ სიმბოლოებში, რომელთა საშუალებითაც საზოგადოების წევრები ერთმანეთს საკუთარ მსოფლმხედველობას, ღირებულებებს, ემოციებს და ა.შ. გადასცემენ. ამდენად, სიმბოლოები მნიშვნელობათა გადამცემი ინსტრუმენტებია და რადგან ისინი კონკრეტული საზოგადოების ფარგლებში მოქმედებენ, ამიტომ მათი გაგება მოცემული სოციალური კონტექსტის ცოდნას ითხოვს. ამასთან, სიმბოლოთა მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია, რომ მკვლევარმა მათ თავად კულტურის მონაწილეთა ანუ შიდა აქტორთა პერსპექტივიდან შეხედოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურა ადამიანთა მცდელობის პროდუქტია, რომ გარემომცველი სამყაროს საზრისს სწვდნენ. თუკი კულტურის გაგება სურს, მკვლევარმა საკუთარი თავი მათ პოზიციაში უნდა ჩააყენოს, ვინც კულტურის კონსტრუირებას ახდენენ (Ortner, 1984, 129-130). ამგვარად, ინტერპრეტაციული მიდგომის თანახმად, ემიკური ხედვა კულტურის წვდომის ერთადერთი გზაა.

ეთნოგრაფიულ კვლევაში დიდი ხანია კამათობენ, თუ რა პოზიცია უნდა ეკავოს მკვლევარს შესასწავლ ჯგუფთან მიმართებით, რომ ემიკური ხედვა განავითაროს – სასურველია, „შიდა“

აქტორი იყოს, რომ კვლევის სუბიექტთა ქმედებები უსიტყვოდ ესმოდეს თუ, პირიქით, „გარე“ აქტორი უნდა იყოს, რომ უნებურად მიკერძოებული ხედვით არ გამოირჩეოდეს? ტრადიციულად, ანთროპოლოგიაში „ნამდვილ“ და „მკვიდრ“ ანთროპოლოგებს განასხვავებდნენ და მიაჩნდათ, რომ „მკვიდრი“ ანთროპოლოგი პროფესიას „შიდა“ აქტორის ავთენტურ ხედვას მიაწვდიდა. ამგვარი მიდგომა კოლონიზაციის ეპოქის გადმონაშთი იყო, როცა დასავლელი მკვლევრები, არადასავლური საზოგადოებების კვლევისას, მათ „პრიმიტიულის“ სახელით მოიხსენიებდნენ. თუმცა, დროთა განმავლობაში, ანთროპოლოგები, სოციოლოგების მსგავსად, დასავლეთის ინდუსტრიული, გლობალიზებული საზოგადოებების კვლევას შეუდგნენ და ამ ცვალებად პირობებში, ადამიანების ჰიბრიდულ იდენტობებზე დაიწყეს ყურადღების გამახვილება. მსგავსი ტრანსფორმაციების პროცესში, როცა იდენტობის საზღვრები მუდმივად იცვლება, „შიდა“ აქტორის ცოდნაც კი ცვალებადია, სიტუაციურია და შეთანხმების საგანია. ეს პროცესი ვრცელდება როგორც პიროვნულ და პროფესიულ, ისე კულტურულ სფეროებზე. ამიტომ „შიდა“ და „გარე“ აქტორის ტრადიციული გაგება საკამათო ხდება, ისევე როგორც სხვა მსგავსი დაყოფა. კირინ ნარაიანის სიტყვებით, ერთი კედელი ჩვენშივე გადის – ერთი მხრივ, როგორც ადგილობრივი ისტორიების დაინტერესებულ მსმენლებსა და მეორე მხრივ, როგორც თეორიული ხედვით აღჭურვილ პროფესიონალებს შორის; მეორე კედელი კი ჩვენს მიღმაა და მკაცრ ზღვარს ავლებს ნარატივს (რომელიც სუბიექტურ ცოდნასთან ასოცირდება) და ანალიზს (რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებასთან ასოცირდება) შორის. ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ჩვენში და ჩვენს მიღმა არსებული ამ საზღვრების რღვევის შედეგად შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი იდენტობების სიტუაციური და ჰიბრიდული ბუნება (1993, 682).

ამგვარად, ეთნოგრაფიული კვლევა სუბიექტურ და ობიექტურ რეალობას შორის ტრადიციული საზღვრების გარღვევას

და მათ „შერიგებას“ ცდილობს ინტერსუბიექტური, სიტუაციური ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამდენად, ის ზედმიწევნით გადმოსცემს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ემპირიული თვისებრივი კვლევები სწორედ ეთნოგრაფიით დაიწყო როგორც ანთროპოლოგიის, ისე სოციოლოგიის სფეროში. მომდევნო ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ ეთნოგრაფიული ტრადიციის განვითარების ისტორიას.

ეთნოგრაფიული კვლევის განვითარების ისტორია

ეთნოგრაფიული კვლევა მე-19 საუკუნის დასავლური ანთროპოლოგიიდან იღებს სათავეს. ამ პერიოდში, ტერმინი „ეთნოგრაფია“ დასავლური სამყაროს მიღმა არსებული კულტურების აღწერას ნიშნავდა და „ეთნოლოგიის“ დანამატად განიხილებოდა. „ეთნოლოგია“ კი არადასავლური საზოგადოებებისა და კულტურების ისტორიულ და კომპარატიულ ანალიზს გულისხმობდა. ის მოგზაურებისა და მისიონრების მიერ შექმნილ ეთნოგრაფიულ ანგარიშებს ეფუძნებოდა. დროთა განმავლობაში, ტერმინი „ეთნოლოგია“ მოძველდა და ანთროპოლოგიით ჩანაცვლდა, „ეთნოგრაფია“ კი როგორც კულტურის აღწერის ემპირიულ ინსტრუმენტად, ისე საზოგადოებისა და კულტურის თეორიული და კომპარატიული ინტერპრეტაციის აღმნიშვნელად იქცა. ამ ცვლილების შედეგად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ეთნოგრაფიული საველე კვლევა ანთროპოლოგიის საფუძველი გახდა (Hammersley, Atkinson, 2007, 1).

სწორედ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოხდა „სავარძლის ანთროპოლოგების“ „საველე ანთროპოლოგებით“ ჩანაცვლება, რომლებიც თავად გაემგზავრნენ უცხო ქვეყნებში ემპირიული მასალის მოსაპოვებლად. მათი საველე კვლევა გულისხმობდა რამდენიმე წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში ცხოვრებას, ამ ქვეყნის ენის სწავლას და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტე-

რაქციას, რათა მათი ცხოვრების წესისა და ღირებულებების აღწერა და ინტერპრეტაცია მოეხდინათ. ამგვარ მიდგომაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნილმა სეპირ-უორფის „ლინგვისტური რელატივიზმის“ თეორიამ (1956, 1961), რომლის თანახმად, ენა მხოლოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტი კი არ არის, არამედ სამყაროს აღქმისა და ხედვის სისტემაა. ენის ათვისებისას, მოცემული საზოგადოების წევრები არა მხოლოდ ენის სამეტყველო აპარატს ითვისებენ, არამედ იმ მსოფლმხედველობასა და ღირებულებით სისტემასაც, რაც ამ საზოგადოებისთვის დომინანტურია. შესაბამისად, გარკვეული საზოგადოების წევრთა კულტურული ღირებულებების, შეხედულებებისა და ქმედებების გასაგებად, მკვლევარი აუცილებლად უნდა ფლობდეს მათ ენას, როგორც სამყაროს მათეული ხედვის გასაღებს. „ლინგვისტური რელატივიზმის“ პარადიგმასთან ერთად, დომინანტური გახდა ფრანც ბოასის მიერ შემოთავაზებული „კულტურული რელატივიზმის“ პარადიგმა (1940), რომლის თანახმად, ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელთა ღირებულებები და ქმედებები ამავე კულტურის პრიზმიდან უნდა შევაფასოთ და არა ჩვენი კულტურის გადმოსახედიდან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, სამყარო იმგვარად დავინახოთ, როგორც მას ადგილობრივი კულტურის წარმომადგენელნი ხედავენ და მათი ქმედებების საზრისს ვწვდეთ. უდავოა, რომ კულტურული რელატივიზმი თანამედროვე ემიკური მიდგომის საფუძველი გახდა.

ამგვარად, კულტურული და ლინგვისტური რელატივიზმი „საველე ანთროპოლოგების“ სამოქმედო პრინციპად იქცა. ამგვარ ანთროპოლოგებს შორის პირველები ბოასი, მალინოვსკი, რადკლიფ-ბრაუნი, ლევი-სტროსი, რუთ ბენედიქტი, მარგარეთ მიდი და სხვები იყვნენ. ამავე პერიოდში, ანთროპოლოგიური საველე კვლევების პარალელურად, პირველი ემპირიული კვლევები დაიწყო სოციოლოგიაშიც. როგორც პირველივე თავში აღი-

ნიშნა, 1920-იან წლებში, ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგებმა სავე-ლე კვლევები დაიწყეს ურბანული ცხოვრების წესის შესასწავ-ლად. მათი ემპირიული კვლევის მეთოდი სწორედ ეთნოგრაფია იყო, თუმცა, განსხვავებით ანთროპოლოგებისგან, რომლებიც არადასავლურ, უმეტესად, დამწერლობის არმქონე საზოგადოე-ბებს იკვლევდნენ, რომელთა ენასაც თანდათან სწავლობდნენ, სოციოლოგები დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებებს იკ-ვლევდნენ, განვითარებული ბიუროკრატიული სისტემებით და შესაბამისი დოკუმენტური მასალით. შესაბამისად, ანთროპო-ლოგებისგან განსხვავებით, რომელთა ძირითადი მეთოდი, თავ-დაპირველად, ჩართული დაკვირვება იყო, სოციოლოგები სწო-რედ იმ ეთნოგრაფიულ კვლევას იყენებდნენ, რომელიც დღეს ეთნოგრაფიის სტანდარტადაა მიჩნეული, კერძოდ, დაკვირვე-ბის, არაფორმალური თუ ფორმალური ინტერვიუს და დოკუმენ-ტური ანალიზის კომბინაციას.

1960-იანი წლებიდან, ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის ემ-პირიული ხედვა სხვა მომიჯნავე დისციპლინებმაც აითვისეს და აშშ-დან ევროპაში და სხვა კონტინენტებზეც გავრცელდა. ამას-თან, სულ უფრო მეტმა ანთროპოლოგმა დაიწყო ეთნოგრაფიუ-ლი კვლევის ჩატარება დასავლურ საზოგადოებებში, ჯერ სა-სოფლო, შემდეგ კი – უბრანულ გარემოში. კიდევ ერთი მნიშვნე-ლოვანი სიახლე იყო კულტურის კვლევების დისციპლინის გან-ვითარება, რომელიც ანთროპოლოგიასთან და სოციოლოგიას-თან მჭიდრო კავშირშია. ამ დისციპლინაში ეთნოგრაფიული მე-თოდი განსაკუთრებით პოპულარული გახდა კულტურის წარმო-ებისა და მოხმარების პროცესისა და მისი სამიზნე აუდიტორიის საკვლევად. უფრო მეტიც, მე-20 საუკუნის ბოლოს, ეთნოგრაფი-ული კვლევა ისეთ დისციპლინებშიც გავრცელდა, როგორიც ფსიქოლოგია და საზოგადოებრივი გეოგრაფიაა; შესაბამისად, კიდევ უფრო მულტიდისციპლინური ხასიათი შეიძინა და ახალი პერსპექტივებით გამდიდრდა (Hammersley, Atkinson, 2007, 2).

„ცნობისმოყვარე“ დაკვირვება

როგორც ნებისმიერი სხვა კვლევა, ეთნოგრაფიული კვლევაც საკვლევი პრობლემის დასმით იწყება; ამ პრობლემის შესასწავლად შესაბამისი გარემოს თუ შემთხვევების შერჩევას ითვალისწინებს; შემდეგ – ამ გარემოსადმი წვდომის მოპოვებას, რათა მკვლევარმა ემპირიული კვლევის ჩატარება შეძლოს; ამას უშუალოდ საველე კვლევის ჩატარება მოსდევს, რომლის დროსაც მკვლევარი სხვადასხვა კვლევით სტრატეგიას იყენებს და მთელ პროცესს საველე ჩანაწერებში აღწერს; ემპირიული მონაცემების მოპოვებას მათი ანალიზი მოსდევს და აქაც მკვლევარს მონაცემების ანალიზის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება შეუძლია; მონაცემების ინტერპრეტაციის და დასკვნების შემუშავების შედეგად კი, მკვლევარი ეთნოგრაფიული კვლევის ანგარიშს წერს.

ეს ის ძირითადი საფეხურებია, რაც ეთნოგრაფიული კვლევისას ნებისმიერმა მკვლევარმა უნდა გაიაროს. თუმცა, ალბათ, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია, თუ როგორ მიაგნოს საკვლევ პრობლემას და როგორ შეუდგეს კვლევას. ამერიკელი ანთროპოლოგი თეოდორ ბესტორი დამწყებ მკვლევარს უაღრესად საინტერესო სტრატეგიას სთავაზობს საკვლევი პრობლემის მისაგნებად, რასაც „ცნობისმოყვარე“ დაკვირვებას უწოდებს. ბესტორი ნაშრომს შემდეგი ფრაზით იწყებს: „ჩემი პირველი საკვლევი გარემოს პოვნა საკმაოდ რთული ამოცანა იყო; მეორე მცდელობისას, თავად გარემომ მიპოვნა, თუმცა საკმაო დრო დამჭირდა ამის გასაცნობიერებლად“ (2003, 315). ერთი შეხედვით, ბესტორის ფრაზა სიურეალისტურად ჟღერს. როგორ შეიძლება საკვლევმა გარემომ თავად მიაგნოს მკვლევარს? თუმცა, თუ მის „ცნობისმოყვარე“ დაკვირვებას თანმიმდევრულად მივყვებით, ვნახავთ, რომ შესაძლოა ეს ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სტრატეგია იყოს.

როცა 1979 წელს, ბესტორი სადისერტაციო ნაშრომისთვის საველე კვლევას შეუდგა ტოკიოში, მან რამდენიმე წარუმატებე-

ლი კვირა გაატარა ტოკიოს იმ სამეზობლოს ძიებაში, სადაც ადგილობრივი სოციალური ქსელების შესწავლას შეძლებდა. სწორედ ამ დროს ურჩია კოლეგამ, ქსელი აერჩია და არა სამეზობლო, ანუ საკვლევი პრობლემის საშუალებით მიეგნო გარემოსთვის და არა პირიქით. ბესტორმა დაიწყო ფიქრი, თუ ვისთან ჰქონდა ყველაზე ძლიერი კონტაქტები ტოკიოში და ვის შეეძლო მისი წარმატებით დაკავშირება სავარაუდო სამიზნე ჯგუფის სხვა წევრებთან. სწორედ ამ გზით გააცნობიერა ბესტორმა, რომ სოციალური ქსელები უფრო მეტად ირჩევენ მკვლევარს (ანუ ირჩევენ მკვლევრის მიღებას), ვიდრე მკვლევარი ირჩევს მათ. საველე კვლევის ხრიკი კი სწორედ ისაა, რომ მკვლევარი მიხვდეს, თუ როგორ გამოიყენოს ეს ქსელები საკვლევი მიზნით და როგორ გააფართოვოს ისინი (ან ზოგჯერ, როგორ გაექცეს მათ) (იქვე, 315). ამგვარად, როცა ტოკიოში კვლევას შეუდგა, ბესტორს მხოლოდ საკვლევი თემა ჰქონდა მოფიქრებული და ჯერ ქსელები იპოვნა (და ქსელებმაც იპოვნეს ის), შემდეგ კი – ამ ქსელებმა საკვლევ გარემოში შეიყვანეს, კერძოდ, ცუკიჯის ზღვის პროდუქტების ბაზარში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ზღვის პროდუქტების ბაზარია. თუმცა, ცხადია, რომ ზღვის პროდუქტების ბაზრის კვლევა ძალიან აბსტრაქტული ამოცანა იქნებოდა და ბესტორს კონკრეტულ საკითხამდე უნდა დაევიწროვებინა ფოკუსი. ბაზრის მმართველობასთან არაფორმალური გასაუბრების შემდეგ, ბესტორი მიხვდა, რომ ბაზარში საკმაოდ კომპლექსური ეკონომიკური სისტემა არსებობდა: ერთი მხრივ, ბაზრის აუქციონის სისტემა და, მეორე მხრივ, მცირემასშტაბური საბითუმო გაყიდვები, რაც, დროთა განმავლობაში, მსხვილ კორპორაციებსა და მცირე საოჯახო საწარმოებს შორის ძალაუფლებრივ იერარქიასა და მის დინამიკაზე ახდენდა გავლენას. ბესტორის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანი სწორედ ცუკიჯის ბაზარში არსებული ძალაუფლებრივი იერარქიისა და მისი თანმდევი სოციალური ურთიერთობების შესწავლა გახდა (იქვე, 318).

კვლევის მიზანთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა, რადგან სწორედ მის წევრებს უნდა დააკვირდეს მკვლევარი ეთნოგრაფიული კვლევისას. ბესტორისთვის სამიზნე ჯგუფს საბითუმო გამყიდველები წარმოადგენდნენ. სხვა მკვლევარს, განსხვავებული საკვლევი კითხვით, შესაძლოა სხვა სამიზნე ჯგუფი აერჩია და შეესწავლა, ვთქვათ, იაპონური თევზის ინდუსტრიის სტრუქტურა, თევზის ინდუსტრიის ინტერესების გავლენა შესაბამისი პოლიტიკის შექმნაზე, მომხმარებლების და გარემოს დაცვის მოძრაობების გავლენა ზღვის პროდუქტების დისტრიბუციაზე და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი პრობლემა სპეციფიკურ რესურსებზე მკვლევრის წვდომას განსაზღვრავს. მაგალითად, ბესტორს არავინ მისცემდა უფლებას, თავად დაეფასოებინა თევზი ან თინუსის აუქციონში მონაწილეობა მიეღო, რათა მისი სამიზნე ჯგუფების საქმიანობის გამოცდილება უშუალოდ შეეძინა. რადგან „ნამდვილი“ მონაწილეობის შესაძლებლობები შეზღუდული იყო, ამიტომ ბესტორმა მის ეთნოგრაფიულ კვლევას, „ჩართულის“ ნაცვლად, „ცნობისმოყვარე“ დაკვირვება უწოდა (იქვე, 319).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია საკვლევი ველისადმი წვდომის მოსაპოვებლად, არის სხვადასხვა პოზიციისა და სტატუსის მქონე ადამიანებთან კონტაქტების დამყარება. ამ პოზიციებიდან გამომდინარე, ადამიანებმა შესაძლოა შეასრულონ „მეკარის“, „გიდის“ და სხვა ფუნქციები. „მეკარეები“ ის ადამიანები ან ჯგუფებია, რომლებიც მკვლევარს აძლევენ ან ართმევენ წვდომას საკვლევ გარემოზე. ისინი შესაძლოა ფორმალური ან არაფორმალური იერარქიული პოზიციიდან იცავდნენ საკვლევ გარემოს, ორგანიზაციას თუ ადამიანებს (Berg, Lune, 2012, 214). „გიდები“ კი ის ადგილობრივი პირებია, ვინც მკვლევარს ჯგუფის სხვა წევრებთან ურთიერთობების დამყარებაში ეხმარება. „გიდები“ უნდა დარწმუნდნენ, რომ დაგეგმილი კვლევა მნიშვნელოვანია, სასარგებლოა და ზიანს არ მიაყენებს ჯგუფის წევრებს, რათა მათ დანარჩენი წევ-

რებიც დაარწმუნონ, კვლევაში მონაწილეობა მიიღონ. როგორც წესი, ინდივიდების დარწმუნება, გიდების როლი შეასრულონ და მკვლევართან ხანგრძლივად ითანამშრომლონ, ბევრად რთულია, ვიდრე „მეკარეებისგან“ ერთჯერადად კვლევაზე თანხმობის მოპოვება (იქვე, 215). ბესტორის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მან არა მხოლოდ ცუკიჯის ბაზრის „მეკარეებთან“ ანუ მმართველობასთან, არამედ სხვადასხვა ტიპის „გიდებთანაც“ დაამყარა კავშირები, კერძოდ, აუქციონში მონაწილე პირებთან, რიგით გამყიდველებთან, ახლომდებარე თევზის რესტორნების მფლობელებთან და მათ მომმარაგებლებთანაც, რათა სხვადასხვა მხრიდან მოეპოვებინა საკვლევ ველზე წვდომა. თავის მხრივ, ამ საკონტაქტო პირებმა მათ სხვა ნაცნობებს დააკავშირეს და ასე გაფართოვდა ბესტორის სოციალური ქსელი. მისი გამოცდილების საფუძველზე ბესტორი გვირჩევს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სასარგებლო აღმოჩნდება კვლევის თვალსაზრისით დამყარებული კავშირები, მკვლევარმა მაქსიმალურად ფართო სოციალური ქსელის შექმნა სცადოს, რადგან მას წინასწარ ვერ ეცოდინება, რომელი კავშირი სად მიიყვანს და რა ღირებული ინფორმაციის მოპოვებაში დაეხმარება (2003, 320).

„ხილული“ თუ „უხილავი“ დამკვირვებელი?

ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი პრობლემაა თავად მკვლევრის ველზე ყოფნა, რაც დაკვირვების სუბიექტთა რუტინულ ქცევაზე ახდენს გავლენას (Berg, Lune, 2012, 217), კერძოდ, როცა ინდივიდებმა იციან, რომ მათ აკვირდებიან, ისინი განსხვავებულად იქცევიან, ვიდრე ჩვეულ სიტუაციაში. თუნდაც გოფმანის (1956) არაერთხელ ნახსენები დრამატურგიული მიდგომა რომ მოვიშველიოთ, ადამიანები „სცენაზე“ (“front region”) და „კულისებში“ (“back region”) განსხვავებულად იქცევიან. „სცენაზე“ მათი ქცევის მთავარი მოტივაცია აუდიტორიაზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენაა. როგორც კი მკვლევარი ადგი-

ლობრივ გარემოში შედის, კვლევის მონაწილენი მომენტალურად იწყებენ სასურველი შთაბეჭდილების მოხდენაზე ზრუნვას, რაც, ბუნებრივია, მათი ჩვეული ქცევისგან განსხვავდება. ამიტომ, ამგვარი გავლენა რომ შეამციროს, მკვლევარი უნდა შეეცადოს, კვლევის სუბიექტებისთვის მაქსიმალურად შეუმჩნეველი თუ „უხილავი“ დარჩეს. „უხილავ“ მკვლევრად ყოფნა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ის იმგვარად აკვირდება კვლევის სუბიექტებს, რომ თავად არ ხდება დაკვირვების საგანი და საკვლევ გარემოსა და მის მონაწილეებზე გავლენის მოხდენის გარეშე „ჩაიჭერს“ მათ თავისებურებებს (Berg, Lune, 2012, 217).

ამგვარი „უხილავობის“ საჭიროებას ნათლად ასახავს ანდერსონის კვლევა, რომელსაც ის შავკანიანთა ლუდის ბარში ატარებდა, ჩიკაგოში. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც შავკანიანი იყო და, ერთი შეხედვით, სხვა ლუდის მსმელებისგან არაფრით გამოირჩეოდა, ავტორის თქმით, ამ ბარში „შეღწევა“ საკმაოდ გრძელი პროცესი იყო, რომელმაც მდიდარი ეთნოგრაფიული გამოცდილება შესძინა. ამ გამოცდილებას ანდერსონი საველე ჩანაწერებში გადმოსცემს (2003, 218):

როგორც კი შევედი, ბართან დავჯექი და ჩემი პირველი სასმელი შევუკვეთე, მომენტალურად მივიპყარი დამსწრეთა უმრავლესობის პირდაპირი თუ ირიბი ყურადღება. ისინი მაკვირდებოდნენ, ხმას დაუწიეს და შეწყვიტეს ერთმანეთთან თავისუფლად ურთიერთობა, ზერელედ უსმენდნენ რა, თუ რას ვეუბნებოდი მიმტან ქალბატონს და აკვირდებოდნენ კიდეც, თუ როგორ ვეუბნებოდი ამას. მათ სურდათ ჩემზე ინფორმაციის მიღება და მეც უნებურად გავეცი ის, მათთან ინტერაქციის გზით. იმ დროისთვის, როცა ჩემი პირველი ლუდი შევუკვეთე, სოციალური ყინულიც გავალღე და სხვებიც, დროებით კმაყოფილნი, საკუთარ საქმეებს მიუბრუნდნენ, თუმცა უკვე ჩემი თანდასწრების გაცნობიერებით.

აღნიშნული ამონარიდიდან ნათელია, რომ გარკვეულ გარემოში უცხო ადამიანის მოხვედრა ადგილობრივებისთვის შეუმ-

ჩნეველი ვერ დარჩება. მაშინაც კი, როცა ეს უცხო ადამიანი ლუდის ბარის ჩვეული კლიენტივით იქცევა და არავის აქვს ეჭვი, რომ ის მკვლევარია და ბარის გარემოს აკვირდება, ადგილობრივების ქცევა იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ვითომდა, ჩვეული საქმის კეთებას აგრძელებენ, უცხო პირის ყოფნას არ ივიწყებენ. როგორ უნდა გახდეს მკვლევარი მათთვის შეუმჩნეველი? ეს დროთა განმავლობაში ხდება, ადგილობრივ გარემოში მკვლევრის სისტემატური და ხანგრძლივი ყოფნის შედეგად. ერთ დღეს მკვლევარი აღმოაჩენს, რომ ის შინაურად აღიქმება და სხვა შინაურებისგან აღარ გამოარჩევენ. სწორედ ასე მოხდა ანდერსონის შემთხვევაშიც.

ანდერსონი აღწერს, რომ აღნიშნულ ლუდის ბარს ლიქიორის განყოფილებაც ჰქონდა, რომელიც ბარის დანარჩენი ნაწილისგან გამორჩეული იყო. მართალია, ბარის სივრცეში უცხო ადამიანებს თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება და სასმელის აღება, მაგრამ ლიქიორის განყოფილება მხოლოდ შინაურებზე იყო გათვლილი. თუ უცხო ადამიანი ლიქიორს შეიძენდა, მას აიძულებდნენ, მომენტალურად დაეტოვებინა ლიქიორის განყოფილება და ბარის მეორე ნაწილში გადასულიყო. ეს ის დაუწერელი კანონი იყო, რაც ყველამ იცოდა. ამიტომ ისინი, ვინც ლიქიორის განყოფილებაში ისხდნენ, სხვა კლიენტებისგან სწორედ იმით გამოირჩეოდნენ, რომ შინაურებად თუ „კლუბის წევრებად“ იყვნენ მიჩნეულნი. ბარის მფლობელი, სახელად ჯელი, მათ ენდობოდა და დარწმუნებული იყო, რომ რაიმე პრობლემას არ შეუქმნიდნენ. კვლევის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ანდერსონი ბარში რომ შევიდა, ლიქიორის განყოფილებაში თვალი მოკრა იმ ადამიანს, ვისთანაც ამ ბარში განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა დაამყარა და შორიდან მიესალმა. ამ ადამიანმა კი თვალით ანიშნა, რომ ლიქიორის განყოფილებაში გადასულიყო, სადაც ანდერსონი სხვა შინაურებს წარუდგინა. ეს იყო ანდერსონის პირველი ვიზიტი „კლუბის წევრთა“ განყოფილებაში, რაც შინაურებთან მის დაახლოებას ნიშნავდა (იქვე, 220). ამ

შემთხვევის შემდეგ, ანდერსონმა მისი კვლევის ამბავიც გაასაჯაროვა. თავდაპირველად მან ზემოხსენებულ ადამიანს, ვისთანაც განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა, გაუმხილა, რომ ჯელის ბარში სადოქტორო კვლევის ჩატარებას გეგმავდა; ამ უკანასკნელმა კი დამსწრეებსაც გაუზიარა ინფორმაცია. თუმცა, ამ პერიოდისთვის, ჯელის კლიენტები იმდენად შეჩვეულნი იყვნენ ანდერსონის კომპანიას და რეგულარულ კლიენტად აღიქვამდნენ, რომ მისი მკვლევრის სტატუსს ყურადღებაც აღარ მიაქციეს (იქვე, 223).

ამასობაში, ანდერსონმა ბარის მუდმივი კლიენტების დიდი ნაწილი გაიცნო და მათთან ერთად მიირთმევდა ლუდს, ხუმრობდა, ისმენდა მათ ისტორიებს და თავისას უზიარებდა. თუმცა, „შინაურად“ მისი საბოლოო ინიციაცია მაშინ მოხდა, როცა ერთ-ერთმა კლიენტმა სასმელი მოითხოვა, რომელიც მაცივარში ინახებოდა. ანდერსონი მაცივართან ახლოს იჯდა და თავად ჯელიმ სთხოვა მაცივრიდან სასმელის გამოღება. ანდერსონის თქმით, ამ ქმედებას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა: მას უკვე „ჰქონდა ლიცენზია ჯელის მაცივრის გამოხსნაზე, როგორც ადამიანს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მისი მეგობრის მაცივრის გახსნა... [ანდერსონი] ნამდვილად ხდებოდა ერთ-ერთი მათგანი [შინაური]“ (იქვე, 229).

ანდერსონის კვლევის მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორი ხანგრძლივი პროცესია და რამდენ ძალისხმევას ითხოვს მკვლევრის „შინაურად“, „თავისიანად“ თუ „უხილავად“ ქცევა, რომლის პროცესშიც მკვლევარი ინიციაციის არაერთ საფეხურს გადის. ანდერსონის საველე ჩანაწერებმა დაგვანახა, თუ როგორ გაიარა მან პროცესი „უცხოდან“ „კლუბის წევრამდე“ და ბოლოს, „შინაურამდე“. ზოგადად, ეთნოგრაფიულ კვლევაში „უხილავის“ სტატუსის მოპოვების რამდენიმე გზა არსებობს, რომელთაგან მკვლევარმა მოცემული სიტუაციისა და კონტექსტის შესაფერისი და ეთიკურ სტანდარტებთან სხვებზე მეტად თანხმობაში მყოფი უნდა აირჩიოს (Stoddart, 1986, 109-113):

- როცა მკვლევარი საკმაოდ დიდ დროს ატარებს შესასწავლ გარემოში, კვლევის მონაწილენი მას ვეღარ ამჩნევენ;
- მკვლევარი იქცევა, როგორც შესასწავლი ჯგუფის წევრი, რათა მასსა და ადგილობრივებს შორის არსებული სხვაობები მაქსიმალურად მიჩქმალოს. ის ცდილობს, ჩაიცვას, ისაუბროს, თუნდაც იხუმროს ადგილობრივების მსგავსად;
- მკვლევარი ადგილობრივებთან ერთად მონაწილეობს მათ ყოველდღიურ აქტივობებში, ვთქვათ, მათთან ერთად მუშაობს და ისვენებს. ამ გზით, მკვლევრის როლი ერწყმება მის ახალ როლს ჯგუფში და ადგილობრივებისთვის დომინანტური სწორედ მისი „არამკვლევრის“ როლი ხდება;
- მკვლევარი უმეგობრდება ჯგუფის წევრებს, რაც ნდობის მოპოვებაში ეხმარება. ამ შემთხვევაში, ადგილობრივებს არ ავიწყდებათ მკვლევრის სტატუსი, მაგრამ ახლო პიროვნული ურთიერთობების გამო, კვლევის პროცესში ეხმარებიან;
- მკვლევარი ღიად აცხადებს მისი სტატუსის შესახებ, თუმცა არ უმხელს ადგილობრივებს მისი კვლევის რეალურ ფოკუსს. მაგალითად, კვლევის სუბიექტებმა შესაძლოა მკაცრად აკონტროლონ საკუთარი ქცევა სამუშაოს პროცესში და სულ არ მიაქციონ ყურადღება სოციალურ ურთიერთობებს შესვენების დროს. შესაბამისად, მკვლევარს განსაკუთრებით სჭირდება „უხილავობა“ შესვენებების დროს;
- მკვლევარი ფარულ დაკვირვებას აწარმოებს და რადგან ადგილობრივებმა არ იციან, რომ მათ აკვირდებიან, არც ჩვეულ ქცევას იცვლიან. თუმცა, ეთიკური მოსაზრებით, ამგვარი კვლევის ჩატარება გაუმართლებელია.

ანდერსონმა ეთნოგრაფიული კვლევა ფარული დაკვირვებით დაიწყო და „შეუმჩნევლობის“ სტრატეგიით დაასრულა. მართალია, მის კვლევაში „უხილავობის“ სხვადასხვა სტრატეგიის ელემენტები იყო გაერთიანებული, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ზემოხსენებული სიიდან პირველი სამი სტრატეგია. სწორედ მისი ყოველდღიური და ხან-

გრძლივი მონაწილეობა ჯელის ბარის აქტივობებში და „შინაურებს“ შორის ნდობის მოპოვება იყო მიზეზი იმისა, რომ „ნამდვილი“ (მკვლევრის) როლის გამხელის შემდეგაც კი, კვლევის სუბიექტებისთვის ანდერსონის „არამკვლევრის“ როლი დარჩა დომინანტური.

საველე კვლევა

რა უნდა გააკეთოს მკვლევარმა მას შემდეგ, რაც საჭირო სოციალური კავშირები დამყარებულია და საკვლევი გარემოსადმი წვდომა მოპოვებულია? პირველ რიგში, მან ეს გარემო უნდა შეისწავლოს. საკვლევი გარემოს სოციალური განზომილებებისა და მახასიათებლების კვლევა დიდი გამოწვევაა. მკვლევარს ჯერ გარეგანი მახასიათებლები ხვდება თვალში, რომელთა მნიშვნელობასაც უნდა სწვდეს. ცალკეული გარეგანი ნიშანი შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური გზავნილის მატარებელი იყოს, ამიტომ თეოდორ ბესტორი გვირჩევს, რომ მკვლევარმა, პირველ რიგში, სწორედ ამგვარი *ნიშნების წაკითხვითა და ინტერპრეტაციით* დაიწყოს კვლევა. ნიშნების კითხვით მკვლევარი მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს შესასწავლი გარემოს სოციალური კატეგორიზაციის სისტემაზე, მასში მონაწილე ადამიანებზე, მათ სოციალურ როლებსა და საქმიანობაზე, იმ სოციალურ ორგანიზაციებზე, რომლებშიც ადგილობრივები არიან ჩართულნი და ამ ორგანიზაციებს შორის არსებულ გეოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ საზღვრებზე (2003, 321).

ბესტორმა ტოკიოში, ცუკიჯის ზღვის პროდუქტების ბაზრის კვლევისას, სწორედ ამგვარ ნიშნებზე დაიწყო ყურადღების გამახვილება: აბრებზე, ლოგოებზე, ჩაცმის სტილზე, სამსახურის ფორმაზე, კომპანიის სავიზიტო ბარათებზე და ა.შ. მან თანდათანობით ისწავლა ადამიანთა ორგანიზაციული კუთვნილებისა და სამსახურებრივი პოზიციის გარჩევა ცუკიჯის ბაზარში მათი ქუდების საფუძველზე. კერძოდ, თინუსის აუქციონში მონა-

წილეების, საბითუმო გამყიდველებისა და მყიდველების, აგრეთვე მათი ორგანიზაციული კუთვნილებისა და პოზიციის გარჩევა შესაძლებელი იყო მათი ბეისბოლის ტიპის ქუდების სტილისა და ფერების მიხედვით. ადამიანთა სოციალური სტატუსისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლეოდა სოციალური პროქსემიკაც, ანუ ის, თუ როგორი იყო კვლევის სუბიექტებს შორის ფიზიკური დისტანცია მათი ურთიერთობის პროცესში, როგორ ისხდნენ ერთმანეთთან მიმართებაში, როგორ გამოხატავდნენ ურთიერთპატივისცემას ან სხვა დამოკიდებულებებს სხეულის ენით. ნიშანთა კითხვა და ინტერპრეტაცია თავისთავადი მიზანი არ არის, არამედ მკვლევარს საკვლევი შეკითხვების ფორმულირებასა და შესაბამისი მასალის მოძიებაში ეხმარება. რაც მთავარია, ამ გზით მკვლევარს შესასწავლი გარემოს სოციალური „რუკის“ შედგენა და საკვლევი ფენომენის მასში კონტექსტუალიზაცია შეუძლია (იქვე, 322).

როგორც ნიშნები ეხმარება მკვლევარს ორგანიზაციებისა და აქტორების კატეგორიების გამოცნობაში, ასევე *გარემოს სივრცული განაწილების* შესწავლა აქტორთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობებისა და აქტივობების გაგებაში უწყობს ხელს. ცუკიჯის ბაზარში, იმ ნიშნების იდენტიფიცირებამ, რაც ცალკეული მაღაზიისა თუ ბიზნესის გარკვეული სავაჭრო ფედერაციის წევრობაზე მიუთითებდა, საწყისი წარმოდგენები შეუქმნა ბესტორს თავად ბაზრის ორგანიზაციაზე, რომელიც უამრავი სავაჭრო ერთეულისგან შედგებოდა და თითოეულს თავისი სპეციალიზაცია, ორგანიზაციული სტრუქტურა და ბიზნესის წარმოების წესები ჰქონდა. ბაზარში არსებული ცალკეული ჯგუფისა და მისთვის სპეციფიკური ნიშის იდენტიფიცირებამ ის უამრავი შეკითხვა გააჩინა, რაც მოგვიანებით სიღრმისეულ ინტერვიუებს დაედო საფუძვლად. ცუკიჯის აუქციონების სივრცული განაწილების გაგება კი საკვანძო საფეხური იყო ბაზრის ინსტიტუციური სტრუქტურის ასახსნელად. სხვა შეკითხვებთან ერთად, ბესტორს ბაზრის დახლების სივრცული

განაწილებაც აინტერესებდა, რაც, თავდაპირველად, უბრალო შემთხვევითობად მოეჩვენა. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გამყიდველები ყოველ 4-5 წელიწადში ლატარეას გაითამაშებდნენ და დახლებს ამის მიხედვით ინაწილებდნენ მომდევნო ლატარეამდე. ბაზრის სოციალური სტრუქტურა ისე იყო აგებული, რომ ყველა გამყიდველს შესაძლებლობა ჰქონოდა, ბაზარში უკეთესი ან უარესი ადგილი დაეკავებინა, მიუხედავად მისი სპეციალიზაციისა, ბიზნესის ზომისა და სოციალური გავლენისა. ლატარეის პრინციპით დახლების ცვლა ბაზარში არსებული სოციალური უთანასწორობის სისტემის დარეგულირებას ემსახურებოდა, რაც ბაზრის კოლექტიური მართვის, როგორც სოციალურად კონსტრუირებული „საერთო საკუთრების“, საფუძველს ქმნიდა. ამგვარად, ბაზრის სივრცული განაწილების რუკა პირველი ნაბიჯი იყო ბაზრის ორგანიზაციული სტრუქტურისა და იერარქიული სისტემის წვდომის გზაზე (იქვე, 324-326).

ბესტორის მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატებული საველე კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა სოციალური გარემოს მისეული „აღმოჩენა“ მოახდინოს – აბრების კითხვის, გარემოს რუკის შედგენის და სხვა სტრატეგიების გამოყენებით, რაც ადგილობრივი კონტექსტის არსებითი მახასიათებლების წვდომაში ეხმარება და რის საფუძველზეც იმ კითხვებს შეიმუშავებს, რასაც მომდევნო ეტაპზე კვლევის მონაწილეებს დაუსვამს. ადამიანები სიამოვნებით უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ისტორიებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ხედავენ, რომ მეორე მხარეს გულწრფელი ინტერესი აქვს ამ ისტორიების მიმართ. მკვლევრის მიზანი სწორედ ისაა, რომ *ადამიანები აალაპარაკოს,* როგორც მათი ისტორიების მიმართ გულწრფელი ინტერესის გამოხატვით, ისე იმგვარი შეკითხვების დასმით, რაც კვლევის სუბიექტებს უბიძგებს, მათი ყოველდღიური ცხოვრების ცალკეულ ასპექტზე დაფიქრდნენ და მკვლევარს გაუზიარონ (იქვე, 326). რადგან ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობები და აქტივობები მათი ოჯახის წევრების, მეგობ-

რების, თანამშრომლების და სხვა ახლობლების წრეში ტრიალებს, როგორც წესი, მათ გარშემო არ არის ბევრი ადამიანი, ვინც მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. და რადგან ახლობლებს უკვე მრავალჯერ აქვთ მოსმენილი მათი ისტორიები, კვლევის მონაწილენი სიამოვნებით უზიარებენ ამ ისტორიებს დაინტერესებულ მკვლევარს, რომლისთვისაც ეს ისტორიები „აღმოჩენაა". ამის ნათელი მაგალითია ცუკიჯის ბაზარი, სადაც ადამიანები ძალიან ამაყობენ საკუთარი საქმიანობით, ცხოვრების წესითა და სოციალური ურთიერთობებით, მაგრამ, რადგანაც ის სოციალურად იზოლირებული ადგილია (არა მარტო ადგილის, არამედ სამუშაო დროის თვალსაზრისითაც, რადგან ბაზარში დასაქმებული ადამიანები დილის 2 საათზე იწყებენ საქმიანობას და საღამოს 6 საათზე უკვე სძინავთ), ამიტომ ბაზრის თანამშრომლებს არ აქვთ აქტიური ინტერაქცია სხვა საქმიანობით დაკავებულ ადამიანებთან. შესაბამისად, მათ ახარებთ კიდეც მკვლევრის გამოჩენა, რომელსაც მათი საქმიანობის ყველა დეტალი აინტერესებს და მონდომებით უსმენს მათ ახსნა-განმარტებებს. აქედან გამომდინარე, ბესტორი გვირჩევს უამრავი ტრივიალური შეკითხვის დასმას კვლევის სუბიექტებისთვის და ფორმალურ ინტერვიუმდე მცირე არაფორმალური ინტერვიუების ჩატარებას (იქვე, 327). მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი პროექტის დასაწყისში, როცა მკვლევარმა არ იცის, თუ რა მიმართულებით წარიმართება მისი კვლევა და რა რეზონანსი მოყვება მას, საკუთარი თავის წარდგენა და ტრივიალური შეკითხვების დასმა საკმაოდ რთულია და მკვლევარს საწყისი სიმორცხვის გადალახვა უწევს, მაგრამ მთავარია მკვლევრის როლის წარმატებით მორგება, ანუ მკვლევრის „პერსონის" შექმნა, რომელიც კვლევის სუბიექტებისთვისაც მისაღები იქნება და თავად მკვლევარსაც კომფორტულად აგრძნობინებს თავს ამ პოზიციაში (იქვე, 329).

როგორ უნდა შეიქმნას მკვლევრის „პერსონა"? პირველ რიგში, მკვლევრის ვიზუალი (ჩაცმულობა, სტილი, მანერა) და

ენა/ჟარგონი კვლევის სუბიექტებისგან რადიკალურად განსხვავებული არ უნდა იყოს, რომ მათ შორის სოციალური დისტანციის გადალახვას უბიძგოს და არა მის გაღრმავებას. გარდა ამისა, საკვლევი გარემოს შესახებ გარკვეული ცოდნა ან თუნდაც შესაბამისი უნარების ქონა (მაგალითად, რაგბის გუნდთან ეთნოგრაფიული კვლევის შემთხვევაში, რაგბის წესების ცოდნა; მედდების კვლევის შემთხვევაში, მათი საქმიანობის ზოგადი ასპექტების ცოდნა და ა.შ.) მკვლევარს კვლევის სუბიექტებთან ურთიერთგაგების დამყარებასა და ნდობის მოპოვებაში ეხმარება, რაც წარმატებული კვლევის აუცილებელი პირობაა. და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარს „შთაბეჭდილების მართვის“ სათანადო უნარი ჰქონდეს და კვლევის სუბიექტებიც ოსტატურად ჩართოს ეთნოგრაფიული კვლევის „შესრულებაში“ (Goffman, 1956).

საველე ჩანაწერები

ეთნოგრაფიული კვლევის არსებითი კომპონენტია საველე ჩანაწერები, რომელთაც მკვლევარი საველე კვლევისას აწარმოებს. მათში სრულყოფილად და აკურატულადაა აღწერილი საკვლევი გარემო და კვლევის სუბიექტთა აქტივობები. მართალია, საველე ჩანაწერები იშვიათად კეთდება თავად დაკვირვების პროცესში, მაგრამ დაკვირვებიდან უახლოეს პერიოდში აუცილებლად უნდა გაკეთდეს, სანამ მკვლევარს ნათლად ახსოვს აღწერილი სიტუაციის დეტალები. ამ დეტალების სათანადოდ გადმოსაცემად, ირვინ გოფმანი მკვლევრებს ზედსართავების და ზმნიზედების ხშირ გამოყენებას ურჩევს, რათა აუდიტორიამ სიტუაციის ვიზუალური წარმოსახვა შეძლოს ფერების, ფორმების, ზომების, ხმის ტემბრისა თუ საუბრის ტემპის, ჟესტების, სახის გამომეტყველების, მოძრაობების ან სუნისა და გემოს აღწერის გზითაც კი (1989, 131). ზემოხსენებული დეტალების გარდა, საველე ჩანაწერები მონაწილეთა გამოცდილებასაც აღწერს, რო-

მელიც სამი სახისაა: 1. ვერბალური კომუნიკაცია კვლევის სუბიექტებს შორის, ან მკვლევარსა და კვლევის სუბიექტებს შორის (შემთხვევით მოსმენილი საუბარი, საჯარო დისკუსია, მონაწილეებთან ინტერვიუ და ა.შ.); 2. კვლევის სუბიექტთა აქტივობები (მონაწილეთა რუტინული, რეგულარული ქმედებები); 3. აღნიშნულ კომუნიკაციებსა და აქტივობებს შორის კავშირები (Berg, Lune, 2012, 229).

მკვლევრებს საველე ჩანაწერების წარმოების განსხვავებული სტრატეგიები აქვთ, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კვლევის მიზანზე, საკვლევ კონტექსტზე და მკვლევრის მონაწილეებთან ურთიერთობაზე. ზოგი საველე ჩანაწერების წარმოებას უშუალოდ დაკვირვების პროცესში იწყებს, რათა არსებითი დეტალები არ გამოეპაროს. ცხადია, რომ ამგვარი ჩანაწერები საკმაოდ მოკლეა და მხოლოდ საკვლევი ველის დატოვების შემდეგ იქცევა დეტალურ აღწერად. ზოგიც მხოლოდ საკვლევი ველიდან გამოსვლის შემდეგ აწარმოებს საველე ჩანაწერებს და იმთავითვე დეტალურ ანგარიშებს ქმნის.

ემერსონი და მისი კოლეგები საველე ჩანაწერების შემდეგ ტიპებს გვთავაზობენ (1995, 85-105):

- *ესკიზები,* როგორც სენსორული შთაბეჭდილებები, რომლებიც ვიზუალურ, აუდიო და კინესთეტიკურ დეტალებს ეფუძნება. ესკიზის მეშვეობით მკვლევარი გარემოს სურათს ხატავს და მასში მოვლენების თუ მონაწილეების ინტერაქციის კონტექსტუალიზაციას ახდენს.
- ესკიზებისგან განსხვავებით, რომლებიც სტატიკურ სურათს გვაძლევს, *ეპიზოდები* უშუალოდ მოვლენებს და ინტერაქციებს აღწერს და ამ გზით დასრულებულ ჩანაწერებს ქმნის. ეპიზოდები მკვლევარს სხვადასხვა საველე ჩანაწერებში გამოვლენილი ქცევის მოდელების და ინტერაქციის ტიპების კატეგორიზაციაში ეხმარება.
- *საველე ისტორიები* სხვადასხვა ეპიზოდებს აკავშირებს, რომლებიც მსგავს მოვლენებს თუ აქტივობებს აღწერენ.

მოვლენების განვითარებასთან ერთად მკვლევრის ნარატივიც ვითარდება; თუმცა, მკვლევარი მოვლენებს კომპლექსური ნარატივის სახით კი არ კრავს ან მათ „შელამაზებას“ კი არ ცდილობს, რათა დამაჯერებლობა შემატოს, არამედ ურთიერთდაკავშირებული ეპიზოდების საფუძველზე გარკვეულ ისტორიას მოგვითხრობს. საველე ისტორიები თავისუფალი სტრუქტურით გამოირჩევა: მკვლევარი აღწერს, რაც ნახა და როგორც ახსოვს. ანუ მკვლევრის ფოკუსია ყოველდღიური გამოცდილების აღწერა და არა სტრუქტურირებული ნარატივის შექმნა.

- საველე კვლევისას გარდაუვალია ინტერაქციებსა და მოვლენებზე რეფლექსია და მათი ინტერპრეტაცია, ანუ აღწერიდან ანალიტიკურ ხედვაზე გადასვლა. ანალიტიკური საველე ჩანაწერები *კომენტარებს* და *შენიშვნებს* მოიცავს, რომელთა საფუძველზეც მკვლევარმა საველე ჩანაწერების თემატური შეჯამება უნდა მოახდინოს და შესაბამისი ინტერპრეტაციები შეიმუშავოს. ამგვარი კომენტარები შემდეგ მეთოდოლოგიურ კითხვებზე პასუხის გაცემაშიც ეხმარება: კიდევ რას უნდა დავაკვირდე და რა შეკითხვები უნდა დავსვა უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მოსაპოვებლად? რაც უფრო დეტალურადაა განსაზღვრული თემატური კატეგორიები, მით მეტი შესაძლებლობა აქვს მკვლევარს, სხვადასხვა არგუმენტის დასაბუთება, მოდიფიცირება ან უკუგდება მოახდინოს.

ბერგი და ლუნი საველე ჩანაწერების კიდევ უფრო გამარტივებულ კლასიფიკაციას გვთავაზობენ (2012, 231-232):

- *მოკლე ჩანაწერები,* რომლებიც საველე კვლევისას იქმნება და მოიცავს საკვანძო სიტყვებს ან ტერმინებს, სახასიათო ფრაზებს, მცირე ჩანახატებს და ა.შ., რაც მკვლევარს მნიშვნელოვანი დეტალების გახსენებაში დაეხმარება, როცა სრულყოფილ საველე ჩანაწერებს შექმნის;

- *დეტალური აღწერები,* რომლებიც საკვლევი გარემოდან გამოსვლის შემდეგ იქმნება. ისინი ნარატიული საველე ჩანაწერების ბირთვს წარმოადგენს და გარემოსა და ადამიანთა ინტერაქციის რაც შეიძლება დეტალურ აღწერას იძლევა. ამგვარ ჩანაწერებში როგორც მონაწილეების ჩაცმულობა, ჟესტები, მანერები და სხვა დეტალები, ისე გარემოს სპეციფიკური მახასიათებლებია აღწერილი, როგორიცაა ინტერიერი, ფერები, არომატი და ა.შ. ამგვარი აღწერები ძალიან ახლოსაა იმასთან, რასაც ავტორები „შეგრძნებების ანთროპოლოგიას" უწოდებენ და რაც გულისხმობს, რომ სენსორული აღქმა, ფიზიკურთან ერთად, კულტურულიცაა; ანუ სმენა, ხედვა, ყნოსვა, გემო და შეხება მხოლოდ ფიზიკური ფენომენების შეცნობის გზები კი არ არის, არამედ კულტურულ ღირებულებათა გადაცემის გზებიც. რადგან აღქმა კულტურულ-სპეციფიკურია, ამიტომ ის, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები სამყაროს, კულტურებს შორის განსხვავდება. ეთნოგრაფის მიზანი, რომელიც კულტურას სწავლობს, სწორედ ამ სპეციფიკის გამოვლენაა (Classen, 1997, 401).
- *ანალიტიკური ჩანაწერები* ანუ *დამკვირვებლის კომენტარები* მკვლევრის მოსაზრებებია, რომლებიც დეტალური აღწერების შექმნისას უჩნდება. მკვლევარმა თვალსაჩინოდ უნდა გამიჯნოს ამგვარი კომენტარები უშუალო დაკვირვებებისგან, რათა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ერთმანეთში არ აერიოს მოვლენის აღწერა და მასზე საკუთარი კომენტარი.
- *სუბიექტური რეფლექსიები* მკვლევრის პირად ემოციებსა და დამოკიდებულებებს გადმოსცემს აღწერილ მოვლენებთან და ინტერაქციებთან დაკავშირებით. კომენტარების მსგავსად, სუბიექტური რეფლექსიებიც თვალსაჩინოდ უნდა გაიმიჯნოს უშუალოდ მოვლენების აღწერისგან.

რადგან ადამიანთა მეხსიერება განსხვავებულია, ამიტომ მკვლევრების მიერ მოვლენებისა და ინტერაქციების დამახსოვ-

რების სიზუსტეც განსხვავებულია. დამწყებ მკვლევრებს საველე ჩანაწერების შემნისას შესაბამისი დეტალების გახსენება რომ გაუმარტივდეთ, ავტორები შემდეგ სტრატეგიებს სთავაზობენ: 1. საველე კვლევის პროცესში, საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების ჩანიშვნა, რაც მოგვიანებით მკვლევარს ინტერაქციის დეტალების გახსენებაში დაეხმარება; 2. მოვლენების თანმიმდევრობის შესახებ ჩანაწერების წარმოება, რაც მოგვიანებით მკვლევარს მოვლენების აღდგენაში დაეხმარება; 3. საველე დაკვირვების ხანგრძლივობის შემცირება. მიჩნეულია, რომ საველე დაკვირვებასა და მისი ჩანაწერების შექმნას შორის მიმართებაა 1:4. შესაბამისად, თუ 15-წუთიან დაკვირვებას აწარმოებს, მკვლევარს, განსაკუთრებით დამწყებს, ერთი საათი მაინც დასჭირდება ამ დაკვირვების აღსაწერად. ამიტომ საჭირო დეტალები რომ არ გამორჩეს და მათი აღწერა ტანჯვად რომ არ ექცეს, დამწყებ მკვლევრებს მცირეხნიანი (15-30 წუთი) დაკვირვებების ჩატარებას და უშუალოდ დაკვირვებისთანავე მონაცემების აღწერას ურჩევენ; 4. რაც უფრო დიდი დრო გავა საველე დაკვირვებასა და ჩანაწერების შექმნას შორის, მით მეტი დეტალი წაიშლება მკვლევრის მეხსიერებიდან, ამიტომ საველე ჩანაწერები საკვლევი გარემოდან გამოსვლისთანავე უნდა შეიქმნას; 5. საველე ჩანაწერები მანამდე უნდა შეიქმნას, სანამ მკვლევარი სხვებს გაუზიარებს თავის დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს, რადგან კოლეგების კომენტარებმა და რეფლექსიამ შესაძლოა მკვლევრის შეხედულებებზე გავლენა მოახდინოს, რაც შემდეგ საველე ჩანაწერებზეც აისახება (Berg, Lune, 2012, 234-235).

როგორ გამოიყურება დეტალური საველე ჩანაწერი? ის აუცილებლად შეიცავს შემდეგ ელემენტებს: საველე კვლევის თარიღს; მკვლევრის მიერ დაკვირვების დაწყების და დასრულების დროს; კონკრეტული დაკვირვების დასათაურებას, რაც მის ძირითად არსს გადმოსცემს; თავად აღწერებს, რომლებიც კვლევის დასაწყისში საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა, თუმცა კვლევის

განვითარების კვალდაკვალ, მკვლევრის ფოკუსი ვიწროვდება, შესასწავლი ფენომენის კონკრეტულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და საველე ჩანაწერებიც მეტად სელექციური ხდება. ამდენად, ანალიტიკური იდეების განვითარებასთან ერთად, მკვლევრის შეხედულება, თუ რა უნდა აისახოს საველე ჩანაწერებში, იცვლება და თავად ჩანაწერების ხასიათიც იცვლება, კერძოდ, ისინი უფრო კონკრეტული და დეტალური ხდება; ამასთან, სულ უფრო ხშირად ვხვდებით მკვლევრის სუბიექტურ რეფლექსიას.

მოკლედ უნდა შევეხოთ თანამედროვე პირობებში მონაცემების ჩაწერის ახალ ტექნოლოგიებსაც, რამაც ბევრად გაამარტივა მოპოვებული მონაცემების დოკუმენტირება, იქნება ეს აუდიო და ვიდეო მასალა, ფოტოგრაფია თუ კომპიუტერული ტექნოლოგია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ უკანასკნელის როლი აუდიო, ვიზუალურ და ხელით შექმნილ ჩანაწერებს შორის უწყვეტობის თუ მთლიანობის უზრუნველყოფის კუთხით. ამასთან, კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი საკვანძოა *ვირტუალური ეთნოგრაფიის* ჩატარებისას (Rutter, Smith, 2005). ამ შემთხვევაში, მკვლევარი სოციალურ ქსელებში მიმდინარე კომუნიკაციას აკვირდება, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული საკვლევი ველისგან. ვირტუალური სამყაროს კვლევა ინტერაქციული თამაშების, ბლოგების, ფეისბუქის და სხვა სოციალური მედიის კვლევას გულისხმობს. მართალია, ვირტუალურ სივრცეში უშუალო დაკვირვების შესაძლებლობა შეზღუდულია, მაგრამ აქ ეთნოგრაფიული კვლევის ჩატარებას ორი უპირატესობა აქვს: ერთი მხრივ, ინტერნეტით ეთნოგრაფიული კვლევის განხორციელების ხარჯები ბევრად მცირეა, ვიდრე ტრადიციული ეთნოგრაფიის შემთხვევაში; მეორე მხრივ, ცვლის რა დისტანციისა და სივრცის ტრადიციულ გაგებას, ინტერნეტსივრცე მკვლევარს კულტურული ღირებულებებისა და ყოველდღიური გამოცდილების გლობალურ დონეზე შესწავლის საშუალებას აძლევს.

ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი

ეთნოგრაფიული კვლევის მონაცემების ანალიზი მათი მოპოვების პროცესშივე იწყება, როცა მკვლევარი საველე ჩანაწერებს საკუთარ კომენტარებს და სუბიექტურ რეფლექსიას ურთავს. ამ დროს მკვლევრის მიზანია, მოპოვებული მონაცემებიდან ახალი თემებისა და ჰიპოთეზების განვითარება, ანუ თემებისა და ჰიპოთეზების მოპოვებულ მონაცემებზე დაფუძნება, რაც *ემპირიაზე დაფუძნებული თეორიის* (“Grounded Theory”) შექმნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია (Glaser, Strauss, 1967). ამგვარი თეორიის ამოსავალი პრინციპია მონაცემებსა და იდეებს შორის მკვლევრის მუდმივი მოძრაობა – ანალიზი მხოლოდ მონაცემების ინტერპრეტაციას კი არ გულისხმობს, არამედ მკვლევრის მიერ მონაცემების მიღმა გასვლას, რათა ის იდეები განავითაროს, რაც ამ მონაცემებს ნათელს მოჰფენს, შემდეგ კი ამ იდეების დანარჩენ მონაცემებთან თანხმობა უნდა შეამოწმოს. ანუ იდეები მკვლევრის საველე გამოცდილებიდან და მონაცემებზე საწყისი ანალიტიკური რეფლექსიიდან ჩნდება და, თავის მხრივ, დანარჩენი საველე მონაცემების ახსნისთვის გამოიყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების მოპოვებასა და ანალიზს შორის ამ დიალექტიკური ინტერაქციის პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ რთულია და მკვლევრისგან დიდ ძალისხმევას ითხოვს (Hammersley, Atkinson, 2007, 159).

საველე ჩანაწერების ანალიზი კოდირების პროცესით იწყება, კერძოდ, *ღია კოდირებით,* ანუ შესასწავლი თემების თუ პრობლემების იდენტიფიცირებით და მათი ფართო თემატურ კატეგორიებში გაერთიანებით; რასაც *ღერძული კოდირება* მოსდევს, ანუ კატეგორიების შემდგომი ჩაშლა მათ შემადგენელ ქვეკატეგორიებად და იმ ცენტრალური თუ „ბირთვული“ კატეგორიების იდენტიფიცირება, რაც მონაცემების ანალიზის საფუძველს ქმნის; კოდირების პროცესი *სელექციური კოდირებით* სრულდება, რაც ყველა კატეგორიის „ბირთვული“ კატეგორიის

გარშემო გაერთიანებას გულისხმობს (Corbin, Strauss, 1990, 12-15). მონაცემების კოდირებისას ძალიან მნიშვნელოვანია იმ სტრატეგიის გამოყენება, რასაც ავტორები „უწყვეტ კომპარატიულ მეთოდს“ (“constant comparative method”) უწოდებენ და რაც გულისხმობს თითოეული კატეგორიის ქვეშ კოდირებული ერთეულის მსგავსება-განსხვავების დადგენას იმავე გზით კატეგორიზებულ სხვა მონაცემებთან (Glaser, Strauss, 1967). ეს სტრატეგია როგორც არსებული კატეგორიების დაზუსტების, ისე ახალი კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების შექმნის საშუალებაა. კოდირების პროცესს დეტალურად განვიხილავთ ქვეთავში, რომელიც თვისებრივ კონტენტანალიზს ეხება.

კოდირების ეტაპზევე მნიშვნელოვანია მონაცემების *ტრიანგულაცია,* რაც ეთნოგრაფიული მონაცემების *ვალიდობის* პირობაა. ტრიანგულაცია რამდენიმე წყაროდან ინფორმაციის გადამოწმებას გულისხმობს, რათა ალტერნატიული ინტერპრეტაციები უკუგდებულ იქნას და საკვლევი ჰიპოთეზა დადასტურდეს. როგორც წესი, მონაცემების გადასამოწმებლად მკვლევარი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს ადარებს და საბოლოო კატეგორიზაციას სწორედ ამ შედარების შედეგად ახორციელებს (Fetterman, 2009, 573). მაგალითად, ცუკიჯის ბაზრის იერარქიული სტრუქტურის კვლევისას, თეოდორ ბესტორი ბაზრის მმართველობასაც გაესაუბრა, საჭირო დოკუმენტაციაც შეისწავლა და მსხვილი და წვრილი მეწარმეების ინტერაქციასაც დააკვირდა, რამაც მისი დასკვნები ბაზრის იერარქიული სტრუქტურის შესახებ ბევრად დასაბუთებული გახადა.

რა ხდება მას შემდეგ, რაც ცენტრალური საკვლევი კატეგორიები იდენტიფიცირებული და თემატურად დაჯგუფებულია? მკვლევარი ძირითადი *მოდელების („პატერნების“)* გამოყოფას ცდილობს, რაც ეთნოგრაფიული მონაცემების *სანდოობის* აუცილებელი პირობაა. გარდა ჩვეული, გავრცელებული შემთხვევების იდენტიფიცირებისა, მკვლევარი გამონაკლისი, დევიანტური

შემთხვევების გამოვლენასაც ახდენს, რადგან არსებული ვარიაციები შესასწავლი ფენომენის არსის უკეთ წვდომაში ეხმრება (იქვე, 573).

ძირითადი მოდელების გამოყოფას მათი *ტიპოლოგიზაცია* მოსდევს, რაც მსგავსი მოვლენების, აქტივობების, ადამიანების, ობიექტებისა და ადგილების სისტემატური კლასიფიცირების მეთოდია (Berg, Lune, 2012, 242). ტიპოლოგიზაციის თვალსაჩინო ნიმუშია ანდერსონის მიერ ლუდის ბარის კლიენტთა სამ კატეგორიად კლასიფიკაცია: „რესპექტაბელურნი", „რესპექტაბელურთან მიახლოებულნი" და „არარესპექტაბელურნი" ("respectables", "near-respectables", "nonrespectables"), რაც ლუდის ბარში მათ სტატუსსა და პოზიციას აღწერდა თავად ავტორის სიტყვებით. თუმცა, ავტორის მიერ კატეგორიების სახელდებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, თუ თავად კვლევის მონაწილენი როგორ ახდენენ საკუთარი თავისა და გარშემომყოფების კატეგორიზაციასა და სახელდებას, რაც თავად მონაწილეების მხრიდან მონაცემების ვალიდაციას ახდენს, ხოლო მკვლევარს თითოეული კატეგორიის არსის უკეთ გაგებაში ეხმარება. ამ შემთხვევაში, ანდერსონის კატეგორიები სხვა სახელებით წარმოგვიდგა: „მუდმივი კლიენტები" ("regular"), „ხულიგნები" ("hoodlum") და „ღვინის მსმელები" ("winehead") (2003, 230). მისი კლასიფიკაციის შესამოწმებლად ანდერსონმა ბარის კლიენტებისთვის შეკითხვის დასმა დაიწყო, თუ რა პოზიცია ეკავათ ბარში, რაზეც სათითაოდ ყველასგან პასუხად იღებდა, რომ ისინი „მუდმივი კლიენტების" სიაში შედიოდნენ. თუმცა, ერთ დღეს ბარის ყველაზე მარგინალიზებულმა წევრმაც კი საკუთარი თავის იდენტური სახელდება მოახდინა და ანდერსონმაც გადაწყვიტა სტრატეგიის შეცვლა და ბარის კლიენტებისთვის იმის კითხვა, თუ რას ფიქრობდნენ სხვების პოზიციაზე ბარში. სწორედ ამ გზით შეამოწმა ანდერსონმა მისი კატეგორიების სიზუსტე და გამოავლინა, თუ როგორ ახდენდნენ ჯგუფის წევრები ერთმანეთისთვის „იარლიყების მიკვრას". განსაკუთრებით საინტერესო

იყო შეჯიბრის როლი ადგილობრივი სტატუსის განსაზღვრაში, რამაც ავტორს ბარის რეალობა სრულიად ახალი პერსპექტივიდან დაანახა. „მუდმივი კლიენტების“ ცნებას ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ერთი მხრივ, მის ქვეშ მოაზრებოდა ყველა, ვინც ჯელის ლუდის ბარში რეგულარულად დადიოდა; მეორე მხრივ კი, ის იმ სოციოლოგიური ფენომენის ადგილობრივი სახელწოდება იყო, რასაც ანდერსონი „რესპექტაბელურებს“ უწოდებდა. ეს კლიენტთა ის კატეგორია იყო, რომელიც მუშაობდა და „ხილული“ საშუალებებით ირჩენდა თავს, ჰყავდა სტაბილური ოჯახი, დადიოდა ეკლესიაში და კანონს ემორჩილებოდა. ისინი ბარს რეკრეაციული მიზნით სტუმრობდნენ. „მუდმივი კლიენტებისგან“ განსხვავებით, „ხულიგნები“ „უხილავი“ საშუალებებით ირჩენდნენ თავს. მართალია, ისინიც დასაქმებულნი იყვნენ, მაგრამ ხშირად მათი სამსახურების სცხვენოდათ, სამაგიეროდ, მათი პოლიციასთან შეხლა-შემოხლითა და ციხის გამოცდილებით ამაყობდნენ. „ღვინის მსმელები“ კი მარგინალურ პოზიციას იკავებდნენ „მუდმივ კლიენტებსა“ და „ხულიგნებს“ შორის. მათ ოჯახის რჩენა ან პოლიციასთან მუდმივი გარჩევები კი არ აღელვებდათ, არამედ დროისტარება და გემოთი ტკბობა, რისთვისაც ღვინოს სვამდნენ. რადგან ჯელის ლიქიორის ბარი ჰქონდა, ღვინის მოთხოვნა მის გაღიზიანებას იწვევდა და ის ამ ჯგუფის წევრებს ნამდვილად არ სწყალობდა. ამიტომ ისინი ბარის სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს ქმნიდნენ და შედარებით მარგინალიზებული ხულიგნებიც კი მათზე უპირატეს პოზიციაში იყვნენ. ბარის სოციალური იერარქიის გააზრებისას, ანდერსონმა მხოლოდ მის კლიენტთა ტიპოლოგიზაცია კი არ მოახდინა, არამედ იმაზე რეფლექსიაც, თუ თავად რა პოზიცია ეკავა ამ სოციალური ქსელის ფარგლებში და ჯგუფის წესები მასზეც როგორ ვრცელდებოდა (იქვე, 231-232).

მართალია, ტიპოლოგიზაცია ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის ცენტრალური ასპექტია, მაგრამ ანალიზი მისით არ სრულდება; პირიქით, ტიპოლოგიზაცია „გაჯერებული აღწერის“

საწყისი ეტაპია და ინტერპრეტაციათა ჯაჭვი მოსდევს, რაც, საბოლოოდ, საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემით მთავრდება. ანდერსონის ეთნოგრაფიულ კვლევას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, ის შავკანიან კაცთა რუტინულ პრაქტიკებს აღწერდა; მეორე მხრივ კი, აჩვენებდა, თუ როგორ ახდენდნენ ადგილობრივები გარკვეული ღირებულებებისა და ნორმების გარშემო ორგანიზებას. პირველი საკითხი შავკანიან კაცთა სპეციფიკურ ჯგუფს ეხებოდა, მეორე კი – ჯგუფური ინტერაქციის ზოგად თავისებურებებს აღწერდა. ანდერსონს არ დაუწყია კვლევა ზოგადი საკითხით, არამედ უბრალოდ ამ კონკრეტული ჯგუფის სპეციფიკა აინტერესებდა. მაგრამ კვლევის კვალდაკვალ, მათი სტატუსი და პოზიცია მნიშვნელოვანი ცვლადები აღმოჩნდა და მკვლევარმა დასვა შეკითხვა, თუ რას ნიშნავდა მათთვის სოციალური სტატუსი. ეს შეკითხვა კვლევის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა და მკვლევარიც მაკავშირებელ რგოლად იქცა ჯელის ბარის სამყაროსა და უფრო ფართო სამყაროს შორის, კვლევის სუბიექტთა მიერ სოციალური ორგანიზაციის აგების პრაქტიკულ უნარებსა და სოციალური ორგანიზაციის შესახებ ჩვენს ზოგად წარმოდგენებს შორის. ანდერსონის სიტყვებით, სოციალური კვლევის მიზანი სწორედ ისაა, რომ მკვლევარმა ისწავლოს მათგან, ვისაც იკვლევს და შემდეგ ეს ცოდნა სხვებს გადასცეს (იქვე, 237).

ამგვარ ფართო საკითხზე გასასვლელად მკვლევარი *საკვანძო მოვლენებს* იყენებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვლინდება კულტურული სპეციფიკა ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში. რადგან საკვანძო მოვლენა ცხოვრების წესის ან გარკვეული სოციალური ღირებულების მეტაფორაა, ამიტომ კულტურის წვდომის გასაღებს გვთავაზობს (Fetterman, 2009, 574). მაგალითად, გირცმა ბალის სოციალური ცხოვრება მამლების ბრძოლის პრაქტიკის საფუძველზე აღწერა და ახსნა (1973).

ეთნოგრაფიული კვლევა, როგორც „კულტურის ინტიმურობის“ წვდომის ინსტრუმენტი

როგორც ზემოთქმულიდან ნათელია, ეთნოგრაფიული კვლევის საბოლოო მიზანი მოცემული კულტურის (თუ სუბკულტურის) სპეციფიკური მახასიათებლების აღწერა და ინტერპრეტაციაა, და ამ გზით, აღწერილი საზოგადოებისა თუ მისი ცალკეული ჯგუფის „კულტურის ინტიმურობის“ (Herzfeld, 2005) წვდომა. *„კულტურის ინტიმურობა“* კულტურული იდენტობის იმ ასპექტებს აღწერს, რაც ამ კულტურის წარმომადგენელთა გამორჩეულ სოციალურ სამყაროს ქმნის და მათთვის უსიტყვოდ გასაგებია, ხოლო გარეშე პირებისთვის გაუგებარია და უხერხულობის წყაროა (იქვე, 3). მართლაც, თითოეულ კულტურას მისთვის დამახასიათებელი ნიშნები გამოარჩევს, რაც ამ კულტურის წარმომადგენელთა შესახებ არსებული სტერეოტიპების წყაროა, იქნება ეს ქართველის სტუმართმოყვარეობა, იტალიელის ემოციურობა, გერმანელის პუნქტუალობა, ესტონელის სიდინჯე თუ ა.შ. უფრო მეტიც, მსგავსი მახასიათებლები სუბკულტურულ დონეზეც არსებობს და არა მხოლოდ კულტურის შიგნით სხვადასხვა ჯუფებს გამოარჩევს, არამედ მათ შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებსაც გვაწვდის, იქნება ეს კახელის სიჯიუტე, მეგრელის მოხერხებულობა, რაჭველის სიდინჯე და ა.შ. როგორც აღინიშნა, მსგავსი მახასიათებლები კულტურის თუ სუბკულტურის წევრებისთვის უსიტყვოდ გასაგებია, რადგან ისინი მოცემულ საზოგადოებაში არიან სოციალიზებულნი და ეს თვისებები მათი კულტურული იდენტობის ნაწილია. არც ერთ ქართველს არ სჭირდება იმის განმარტება, თუ რას ნიშნავს მეგრელის მოხერხებულობა ან რაჭველის სიდინჯე. თუმცა, ეს მახასიათებლები გაუგებარია მათთვის, ვინც მოცემული კულტურის ფარგლებში არ არის სოციალიზებული. შესაბამისად, სხვა კულტურის წარმომადგენლისთვის შესაძლოა გაუგებარი დარჩეს, რატომ სთხოვს იმერელი სტუმარს დარჩენას ასე დაჟინებით, როცა მან უკვე არაერთხელ აუხსნა, რომ ეჩქარება და ვერ დარჩება.

„კულტურის ინტიმურობის“ ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია ის, რომ ის ერთდროულად სიამაყის და სირცხვილის წყაროა, ამიტომ მისი „შესრულება“ ანუ პერფორმანსი სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე განსხვავებულია. ქართველები შესაძლოა ძალიან ამაყობდნენ მათი სტუმართმოყვარეობით და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ტრაბახობდნენ ქართული სუფრის ტრადიციებით, თუმცა, შინაურ წრეში, იგივე სუფრის ტრადიციები ნაკლებ საამაყოდ მიაჩნდეთ და სცხვენოდეთ კიდეც გადამეტებული ღრეობისა და უსასრულოდ გაჭიმული სადღეგრძელოების გამო, რაც შესაძლოა სტუმრებისთვის შემაწუხებელიც აღმოჩნდეს. სუბკულტურულ თუ რეგიონულ დონეზე რომ განვიხილოთ, შესაძლოა იმერლები თავს იწონებდნენ „გადამეტებული“ სტუმართმოყვარეობით, რომ მათი დაჟინებული მცდელობა აუცილებლად შედეგს გამოიღებს და სტუმარი ხელიდან ვერ დაუძვრებათ; თუმცა, იმავდროულად, შესაძლოა „კულისებში“ მათ უხერხულობას იწვევდეს ის ფაქტი, რომ ხშირად ამგვარი დაჟინება სულაც არ არის გულწრფელი, არამედ კუთხური ტრადიციაა, რომელსაც ჩვეულებისამებრ მისდევენ. ამგვარად, „კულტურის ინტიმურობის“ პერფორმანსი განსხვავებულია „სცენაზე“, როცა ის უცხო თვალისთვის სრულდება და „კულისებში“, როცა ის შინაურებისთვის არის გამიზნული. ეთნოგრაფიული კვლევის მიზანია არა მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოებისა თუ მასში არსებული ჯგუფების „კულტურის ინტიმურობის“ გამოვლენა, არამედ იმის აღწერაც, თუ რაში ვლინდება „კულტურის ინტიმურობის“ საამაყო და უხერხული ასპექტები და იმის „ჩაჭერაც“, თუ რით განსხვავდება მისი სცენური შესრულება კულისებში არსებულისგან. „კულტურის ინტიმურობის“ სპეციფიკა და თავისებურებები დეტალურადაა აღწერილი ჰერცფილდის (2005), ჯენკინსის (1994), ედენსორის (2002) და სხვა ავტორების მიერ.

„კულტურის ინტიმურობა“ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება მაშინ, როცა სოციალური აქტორები ოფიციალური წესების ტრანსფორმაციას ცდილობენ არაოფიციალური, პირა-

დი მიზნების მისაღწევად (Herzfeld, 2005, 2). ხშირად მოქალაქეები ფიქრობენ, რომ, რადგან სახელმწიფო ზედმეტად ბიუროკრატიულია, კანონის ზედმიწევნით დაცვა სისულელეა (იქვე, 4). ამიტომ ისინი ეძებენ ამ კანონებიდან თუ წესებიდან გადახვევის ისეთ გზებს, რაც საშუალებას მისცემთ, ისე „გამოძვრნენ“ სიტუაციიდან, რომ სასჯელი აირიდონ. „გამოძრომის“ ამგვარი სტრატეგიები კი ყოველთვის კონკრეტულ სოციალურ კონტექსტზეა მორგებული და ამიტომ მოცემული საზოგადოების თუ ჯგუფის კულტურულ სპეციფიკას ასახავს. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, გთავაზობთ „კულტურის ინტიმურობის“ მაგალითს ქართული რეალობიდან, რომელიც წესებიდან გადახვევის ადგილობრივი ვერსიის ნიმუშია და ჩემს დაკვირვებას ეფუძნება.

ათეული წლის წინ, სანამ თბილისში ყვითელი სამგზავრო ავტობუსები შემოვიდოდა, ქალაქის ძირითადი საზოგადოებრივი ტრანსპორტი სამარშრუტო ტაქსები იყო, რომლებიც ცენტრალურ ქუჩებზე უპრობლემოდ მოძრაობდნენ. თუმცა, სამგზავრო ავტობუსების შემოღებასთან ერთად, სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა ისეთ ცენტრალურ ქუჩებზე, როგორიცაა რუსთაველის პროსპექტი და ჭავჭავაძის გამზირი, აიკრძალა. სამარშრუტო ტაქსებმა ორმაგი დარტყმა განიცადეს: ერთი მხრივ, მგზავრებს მათი ალტერნატივა გამოუჩნდათ ავტობუსების სახით; მეორე მხრივ კი, მათ აღარ ჰქონდათ ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებზე მოძრაობის უფლება. რა გამოსავალი მოძებნეს სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა ამ ზიანის საკომპენსაციოდ? მიუხედავად ჯარიმის საფრთხისა, მიღებული წესიდან გადახვევა, თან იმგვარად, რომ სამარშრუტო ტაქსიც გაევსოთ და სიტუაციიდანაც „სუფთად გამომძვრალიყვნენ“. დაბინდების შემდეგ, განსაკუთრებით ზამთარში (რადგან ადრე ბინდდება), სამარშრუტო ტაქსის მძღოლები მანქანას აბრას მოხსნიდნენ, შუქს ჩააქრობდნენ და ნაცვლად პარალელური ქუჩებისა, ცენტრალური ქუჩით მოძრაობდნენ. გაჩერებასთან, სადაც ხალხი ავტობუსს ელოდებოდა, სწრაფად შეჩერდებოდნენ, შუქს აანთებდნენ, შესაბამის აბრას

დააბრუნებდნენ და უცებ შეკრებდნენ საჭირო მიმართულებით მიმავალ მგზავრებს, რომელთაც სიცივეში ავტობუსის ლოდინი უწევდათ. შემდეგ ისევ აბრას მოხსნიდნენ და შუქს ჩააქრობდნენ, რომ შემთხვევით ჩავლილ საპატრულო პოლიციის მანქანას არ შეენიშნა და ცენტრალური ქუჩის მომდევნო გაჩერებისკენ გაემართებოდნენ. აქაც ასევე სწრაფად შეკრებდნენ დანარჩენ მგზავრებს და უკვე სავსე სამარშრუტო ტაქსით მშვიდად შეეძლოთ პარალელურ ქუჩებზე მოძრაობა, რადგან მგზავრების ძებნა აღარს სჭირდებოდათ და საკმარის თანხასაც იღებდნენ. მართალია, არსებობდა რისკი, რომ საპატრულო პოლიცია შემთხვევით მათი დევიაციის მომსწრე გახდებოდა და დააჯარიმებდა, მაგრამ მაინც ღირდა რისკის გაწევა. გარდა მატერიალური სარგებლისა, ამ დევიაციას სოციალური სარგებელიც ჰქონდა, კერძოდ, მის აქტორებს თამამად შეეძლოთ კოლეგებისთვის საკუთარი წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და იმის სწავლება, თუ როგორ „გაეცურებინათ“ პოლიცია. აღსანიშნავია, რომ ეს „შესრულება“ წარმატებული ვერ იქნებოდა შესაბამისი აუდიტორიის გარეშე, რომლისთვისაც გასაგები და მისაღები იქნებოდა აღწერილი პრაქტიკა. ამგვარ აუდიტორიას მგზავრები წარმოადგენდნენ. ფლობდნენ რა ამავე „კულტურის ინტიმურობას“, მათთვის უსიტყვოდ გასაგები იყო მძღოლის ქმედება. არც შუქის ჩაქრობა ან აბრის მოხსნა აფრთხობდათ და არც შეკითხვას სვამდნენ, თუ რატომ იქცეოდა მძღოლი ამგვარად (წარმოიდგინეთ, რომ მგზავრებს შორის გერმანელი ტურისტი მოხვდა, რომლის თანდასწრებითაც მძღოლმა მანქანას აბრა მოხსნა, შუქი ჩააქრო და მარშრუტი შეცვალა!). გამოდის, რომ მგზავრებიც იმავე „შესრულებაში“ მონაწილეობდნენ; უფრო მეტიც, რომ არა მათი ნაგულისხმევი თანხმობა, მძღოლის ეს სტრატეგია აზრს დაკარგავდა და წარუმატებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში კი, ორივე მხარე ხეირს ნახულობდა: ერთი მატერიალურ სარგებელს იღებდა, მეორე – დანიშნულების ადგილზე დროულად ხვდებოდა. შესაბამისად, მათ შორის უსიტყვო შეთანხმება არსებობდა აღნიშნული წესიდან გადახვევის თაო-

ბაზე და იმის თაობაზეც, რომ მძღოლის სტრატეგია აუცილებლად წარმატებული უნდა ყოფილიყო, რადგან მგზავრებს არ ჰქონდათ დრო და სურვილი, რომ პოლიციასა და მძღოლს შორის საქმის გარჩევის მომსწრენი გამხდარიყვნენ. აქ მთავარი ის გაზიარებული მოლოდინია, რაც „კულტურის ინტიმურობაზეა“ აგებული: მგზავრებს აქვთ მოლოდინი, რომ მძღოლი ფლობს სათანადო „კულტურის ინტიმურობას“, რათა მოცემული სტრატეგია დაუსჯელად განახორციელოს; ხოლო მძღოლს აქვს მოლოდინი, რომ მგზავრები ფლობენ სათანადო „კულტურის ინტიმურობას“, რათა მის სტრატეგიას უთქმელად მიუხვდნენ. ეს ყველაფერი ზედმიწევნით რომ აღწეროს და სათანადოდ განმარტოს, მკვლევარი თავადაც მოცემული „კულტურის ინტიმურობას“ უნდა ფლობდეს და ცხადია, ჩართულ დაკვირვებას უნდა ატარებდეს.

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

გთხოვთ, გაეცნოთ სტუდენტის ეთნოგრაფიული კვლევის ნიმუშს და შემდეგ შეკითხვებს უპასუხოთ: 1. რა სტრატეგია გამოიყენა მკვლევარმა, რათა საკვლევ გარემოში შესულიყო? კიდევ რა სტრატეგიების გამოყენება შეიძლებოდა საკვლევ გარემოში შესაღწევად? 2. როგორ დაახასიათებდით მკვლევრის ტიპოლოგიას? თავად რას დააკვირდებოდით და რას დაეფუძნებოდა თქვენი ტიპოლოგია? 3. რა სპეციფიკურ ასპექტებს გამოყოფდით მკვლევრის აღწერაში, რაც მკითხველს წარმოდგენას უქმნის სინაგოგის გარემოს „კულტურის ინტიმურობის“ შესახებ?

ეთნოგრაფიული კვლევა თბილისის სინაგოგაში (რა ხდება დახურულ კარს მიღმა)

დიდხანს ვფიქრობდი ჩემი ეთნოგრაფიული კვლევის თემატიკაზე. ვიმედოვნებდი, იქნებ, თედ ბესტორივით საველე ადგილმა თავად მიპოვოს-მეთქი, მაგრამ ყველას ამ მკვლევარივით როდი უმართლებს. ჰოდა, მეც აღარ დაველოდე იმ მომენტს,

როცა საკვლევი ჯგუფი თავად „ამირჩევდა“, ავიღე მკვლევრის ინსტრუმენტები – საწერი კალამი და რვეული, და საკვლევი თემის ძიებას შევუდექი.

რამდენიმე კვირის წინ (სანამ კვლევას დავიწყებდი), ლესელიძის ქუჩაზე სეირნობისას ერთი, წითელი აგურით აშენებული შენობა შევნიშნე, რომლის თავზეც დავითის ვარსკვლავი იყო. სინაგოგაა-მეთქი, გულში გავიფიქრე, წამიერად შევათვალიერე რამდენიმე დაკეტილი სარკმელი, დახურული შავი კარი და დავინტერესდი, რა ხდებოდა სალოცავის ჭიშკრის მიღმა. მაშინ სეირნობა გავაგრძელე, არც გავჩერდი და არც ჩემი თანამგზავრისთვის მითხოვია, შიგნით შევიდეთ, ვნახოთ, რა ხდება-მეთქი. თუმცა, გულში იმდენად ჩამრჩა ინტერესი ამ ძველი შენობის მიმართ, რომ გადავწყვიტე, ჩემი კვლევა სინაგოგაზე, მლოცველებზე, მათ ერთმანეთთან ინტერაქციაზე ყოფილიყო.

გუმანმა არ მიმტყუნა. როგორც კი სინაგოგას კარი შევაღე, თვალი მომჭრა კედლების, ჭერის მოხატულობამ, ორნამენტებმა, ცისფერისა და ღია ყავისფერის, უფრო კრემისფერის, ერთმანეთში შერევამ. სალოცავში ხის ერთგვაროვანი სკამები რიგებად ჩაემწკრივებინათ. წინ ტრიბუნა, შემაღლებული ადგილია, საიდანაც წინამძღვარი ხმამარლა კითხულობს შემას (ებრაულ ლოცვას). ტრიბუნის წინ გამოყოფილი ადგილია. რომ შევხედე, მართმადიდებლული ეკლესიის საკურთხეველი გამახსენდა. თუმცა, იქ არც წმინდანთა გამოსახულებებია და არც მლოცველებს ეკრძალებათ მიახლოება. როცა პირველად მივედი, დავინახე შავებში ჩაცმული ქალი, რომელიც მის წინ ლოცულობდა, ხელის გულები ზემოთ ჰქონდა მიმართული.

ცოტა ხნით სინაგოგაში მდგარ სკამზე ჩამოვჯექი და უფრო დაკვირვებით მიმოვიხედე. შემოსასვლელი კარის მარჯვნივ თაროებზე წიგნები შემოელაგებინათ. ახლოს რომ მივედი, აღმოვაჩინე, რომ არც ერთი წიგნი არ იყო ქართულ ენაზე. უმრავლესობა ალბათ ივრითზე დაწერილი „თორაა“ – ეს კი გავიფიქრე და მოგვიანებით გავარკვიე, რომ არ შევმცდარვარ. კარის ხელმარ-

ცხნივ ხით გამოყოფილი ადგილი იყო; იქ მხოლოდ სკამები ეწყო. ამ ადგილს „ქალთა გალერეას“ ეძახიან. თურმე, ქალები და კაცები ერთად არ ლოცულობენ. თუმცა, მართლმადიდებლური ეკლესიისგან განსხვავებით, აქ ქალი ვალდებული არაა, თმა დაიბუროს ან კაბა ჩაიცვას.

პირველ დღესვე გამახსენდა როჯერ ველენსის სიტყვები: მთავარია არა ის, რაც უნდა იცოდე, არამედ ის, ვისაც უნდა იცნობდე. მეც ინფორმანტების/გიდების მოძებნა გადავწყვიტე. თუმცა ეს არც ისე მარტივი აღმოჩნდა, როგორც ველოდი, მით უმეტეს მაშინ, როცა სინაგოგაში ძალიან ცოტა ხალხია (სულ 3 ადამიანი). რადგან ასარჩევად არ მქონდა საქმე, ისევ იმ ქალს მივადექი, ცოტა ხნის წინ ფეხზე მდომი რომ ლოცულობდა. მივუახლოვდი და ვკითხე, რომელ საათზე იწყებოდა ლოცვები და საჭირო იყო თუ არა კაბით მისვლა. ქალმა დაღლილი თვალებით ამომხედა და მიპასუხა, რომ ლოცვები, ყოველ დღე დღეში ორჯერ, დილით რვაზე და საღამოს შვიდ საათზე იყო. სწორედ ამ ქალბატონისგან გავიგე, რომ სინაგოგაში შარვლით ყოფნა ნებადართული იყო. კარგი მოსაუბრე არ ჩანდა. თავი აღარ შევაწყინე და დავემშვიდობე. იმ წამს გავიფიქრე, თუ აქ ყოველთვის ასე ცოტა ხალხია და თან ყველა ასე ჩაკეტილი, მაშინ იქნებ ჯობდა, საერთოდ ხელი ამეღო ამ კვლევაზე.

ბრიუს ბერგის რეკომენდაციით, პირველ დღეს „ველზე“ ოც წუთზე მეტს არ დავრჩენილვარ. სამწუხაროდ, არც ბევრი ინფორმაცია მიმიღია, თუმცა შემდეგ დღეს გამიმართლა და „ენა ტკბილად მოუბარი“ რესპონდენტი გავიცანი. ასე, სამოციოდე წლის კაცი იქნებოდა. სალოცავში როგორც კი შევედი, მომიახლოვდა, გამეცნო და სინაგოგის ისტორიაზე დაიწყო საუბარი. მითხრა, რომ თავად სინაგოგა ბერძნულად კრებას ნიშნავდა. „ახალციხელების ლოცვას“ უწოდებენ თბილისის დიდ სინაგოგას, რადგანაც მეოცე საუკუნეში სწორედ ახალციხელ ებრაელებს აუშენებიათ თავიანთი სახსრებით და მატერიალური შემოსავლის სიმცირის გამო, ძლივს დაუმთავრებიათ. სალოცავის წი-

ნა, მთვარის მხარე, იერუსალიმისკენაა მიქცეული. შემდეგ მეორე სართულზე ამიყვანა, სადაც იკრიბებიან და თორას კითხულობენ, განმარტავენ. ეს კაცი ჩემთან საუბარში ისე გაიხსნა, რომ მასონებიდან დაწყებული, საკუთარი შვილებითა და შვილიშვილებით დამთავრებული, ყველაფერზე მესაუბრა. გავიგე, რომ სინაგოგას ბევრი მლოცველი არ ჰყავს, თუმცა ებრაელი ტურისტები ხშირად სტუმრობენ და ერთად ლოცულობენ.

„მიხარია, როცა სინაგოგაში შემოდიან და ჩვენი კულტურით ინტერესდებიან“ – ასე მითხრა ჩემმა გიდმა და სულ არ მომიტყუებია, როცა ვუთხარი, რომ მისი სალოცავი ხელოვნების ნიმუშია. გულწრფელად მომწონდა ეს შენობა, თავისი ლამაზი მოხატულობითა და დავითის ვარსკვლავების მოზაიკით. ვაკვირდებოდი ამ კაცს. რამდენი ადამიანიც მოვიდა, იმდენ ენაზე დაელაპარაკა: ივრითი, სომხური, ქართული, რუსული, ინგლისური; ინტერაქციის დამყარება არ უჭირდა. ტურისტებიც მიმოდიოდნენ. ბოლოს ჩემი გიდი თავის ნაცნობებთან მივიდა, ეზოში მდგარ კაცებთან და ჩემთვის უცხო ენაზე, გუმანით მივხვდი, რომ ივრითი იქნებოდა, საუბარი დაიწყო. საუბრობდნენ ლაღად, ხმადაბლა, იცინოდნენ და ხელით ზურგზეც ეხებოდნენ, სითბოს გამოხატვის ნიშნად. როცა დაკვირვებას მოვრჩი, დავემშვიდობე და დროის დათმობისთვის მადლობა გადავუხადე.

მესამე დღეს უკვე ლოცვას დავესწარი. ეზოში ხალხი შეკრებილიყო, სულ კაცები იყვნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ; ხან სპორტზე, ფეხბურთზე, ხან მეზობლებზე, მოკლედ რომ ვთქვა, ყოფით თემებზე. სინაგოგაში როცა შევედი, დავინახე, ერთი კაცი ტურისტებს ესაუბრებოდა, გავიგონე, როგორ შესთავაზა ლოცვებზე დასწრება. როცა ტურისტები წავიდნენ, ვკითხე, მათი ლოცვების მოსმენა თუ შეიძლებოდა. შევამჩნიე, როგორ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი, „ქალთა გალერეაში“ შემიყვანა და იქ მყოფი ქალები გამაცნო.

დაინტერესდნენ, ებრაელი ვიყავი თუ არა, სად ვცხოვრობდი, რა გვარის ვიყავი. მეც გავარკვიე, რომ ერთ ქალი არაბი ებ-

რაელი, მეორე – ქართველი ებრაელი იყო, რომელიც ისრაელში დაბრუნდა და უკვე 20 წელზე მეტია იქ ცხოვრობს. თბილი ადამიანი ჩანდა, უცებ გაიხსნა საუბარში და ქათინაურებიც მითხრა. მეც კომპლიმენტებით ვუპასუხე. ნელ-ნელა ბანოვანთა სალოცავი ქალბატონებით ივსებოდა.

როცა ლოცვები დაიწყო, სინაგოგაში ებრაელი ტურისტების გამო უკვე ორმოცდაათამდე ადამიანი იყო. ჩვეულებრივ, ბევრად უფრო ცოტანი არიან. წინამძღვარი ტრიბუნაზე ავიდა და ლოცვა დაიწყო. იმის გამო, რომ ქალთა კუთხე კაცებისგან გატიხრული იყო, კაცების დაკვირვება მიჭირდა, თუმცა მაინც ვახერხებდი.

ჩემი დაკვირვებიდან მლოცველების რამდენიმე ტიპს გამოვყოფდი: პირველ ტიპს *„განდეგილ მლოცველებს“* ვუწოდებდი. ისინი ტრიბუნასთან უფრო ახლოს იყვნენ, ხშირ შემთხვევაში ფეხზე იდგნენ, ლოცვების წიგნი ხელში ეჭირათ და ჩუმად ბუტბუტებდნენ, წინამძღვართან ერთად ჩუმად კითხულობდნენ. იმდენად გართულნი იყვნენ ლოცვით, რომ უნებურად, რიტმულად, ქანქარისებრ მოძრაობდნენ. გვერდითაც არ იყურებოდნენ. ლოცვის დროს, წინამძღვართან ერთად, თორადან განსაკუთრებულ ადგილებს სხვა მლოცველებიც ხმამაღლა კითხულობდნენ. *„განდეგილი“* მლოცველები ამ დროს სხვებისგან გამორჩეულად, უფრო ხმამაღლა და გამოკვეთილად, ზეპირად წარმოთქვამდნენ ლოცვის მონაკვეთს.

მლოცველთა მეორე ნაწილი გასასვლელ კართან უფრო ახლოს იყო. გვერდზე მჯდომს ელაპარაკებოდნენ და ლოცვებს არ უსმენდნენ. ამ ტიპს „მოფუსფუსეებს“ დავარქმევდი. მაგალითად, მესმოდა, ბოლო რიგში მჯდომი ქალები როგორ საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე: ისრაელში მცხოვრები ქართველებიდან დაწყებული, სამუშაოს არარსებობით დამთავრებული. მლოცველთა შორის იმდენი *მოფუსფუსე* იყო, რომ სინაგოგაში გარკვეულ ხმაურს, ფუსფუსს იწვევდა.

მესამე ნაწილს *„გუშაგების“* კატეგორიაში გავაერთიანებდი. ისინი, *„განდეგილებისგან“* განსხვავებით, ლოცვების წიგნს თვალს

არ ადევნებდნენ, თუმცა, წინამძღვარს უსმენდნენ და განუწყვეტლივ *მოფუსფუსეების* დაშოშმინებას ცდილობდნენ. *გუშაგებისგან* ხშირად გაიგონებდით ისეთ შორისდებულებს, როგორიცაა: ჩუუ... სუ... თავად წინამძღვარი კი ტრიბუნაზე აბრახუნებდა ხელს. *მოფუსფუსეებს* სახეზე კმაყოფილება და ღიმილი აღბეჭდოდათ, *გუშაგებს* კი – უკმაყოფილება და სიბრაზე.

მლოცველთა გარკვეული ნაწილი არც ლოცვის დროს ბუტბუტებდა, არც ფუსფუსებდა და არც სხვებს აჩუმებდა, უბრალოდ, იჯდა და აქეთ-იქით იყურებოდა. მათ შემხედვარეს, რაბი ლევი იცხაკი გამახსენდა, რომელიც ლოცვის დამთავრების შემდეგ ერთ კაცთან მივიდა და უთხრა: „გილოცავ მშვიდობით დაბრუნებას!“ კაცს გაუკვირდა, მე ხომ არსად წავსულვარ! რაბი ლევი იცხაკმა გაიღიმა და თქვა: „ლოცვის დროს თქვენი აზრები აქეთ-იქით დაფრინავდნენ, თქვენ მოასწარით ვარშავის ბაზარში ყოფნაც და კრაკოვში ნათესავებთან სტუმრობაც. სადაც აზრებია, ადამიანიც იქ არის. ამიტომაც მოგილოცეთ სინაგოგაში მშვიდობით დაბრუნება!“

როცა ლოცვა დასასრულს მიუახლოვდა, წინამძღვარმა კითხვა შეწყვიტა და ხალხს მიმართა როგორც ივრითზე, ისე ქართულად. როგორც გავარკვიე, შესაწირს აგროვებდა. შესაწირი ათი ლარიდან იწყებოდა. ეს გარკვეულწილად აუქციონის იმიტაციას მიქმნიდა, რადგან შესაწირის ფასი ნელ-ნელა იზრდებოდა. წინამძღვარიც თანხის დასახელებას უცნაურად წარმოთქვამდა, ბოლო ასოს აგრძელებდა: ათი ლარიიი! ოცდახუთი ლარიიი!

მესმოდა, მლოცველები როგორ ჩუმად ამბობდნენ ათ ლარს და რა ხმამაღლა წამოიძახებდნენ ას ლარს. ამ უკანასკნელთ „კმაყოფილ *ქველმოქმედთა*“ კატეგორიაში გავაერთიანებდი, რადგან ამ წამოძახილის დროს სახეზე კმაყოფილება, სიამაყე ეხატათ. სხვებისგან გამორჩეულად, უფრო სოლიდურად ეცვათ. თუ ქალების გალერეაში მთელი ლოცვის განმავლობაში ფუსფუსი იყო, ამ პროცესის დროს სიჩუმემ დაისადგურა; გასუსულები უსმენდნენ, აინტერესებდათ, სინაგოგას რამდენს შესწირავდნენ.

მართალია, სინაგოგაში მყოფ ადამიანთა დაკვირვებით გამოვყავი მლოცველთა ტიპები, მაგრამ ვვარაუდობ, რომ მისი განზოგადება შეიძლება სხვადასხა აღმსარებლობის მლოცველებზეც. მაგალითად, მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დაკვირვების დროსაც აღმოვაჩინე, რომ აქაც გვხვდებიან *„განდეგილები“* (გალობას ჩუმად ჰყვებიან, ხელში ლოცვანი უჭირავთ), *„მოფუსფუსეები“* (თავიანთ გვერდით მდგომს ჩუმად ეჩურჩულებიან, ეკლესიაში ფუსფუსს იწვევენ), *„გუშაგები“* (მლოცველები, რომლებიც *მოფუსფუსეებისგან* გამოწვეულ უკმაყოფილებას ვერ მალავენ და ცდილობენ, ტაძარში სიწყნარე შეინარჩუნონ), გვხვდებიან ადამიანები, რომელთა ფიქრებიც ლოცვის დროს აქეთ-იქით დაფრინავენ (ბევრი მართლმადიდებლისგან მსმენია, რომ ეკლესიაში ყოფნის დროს უჭირთ ლოცვაზე კონცენტრირება). განსხვავება შეიძლება მოიძებნოს *კმაყოფილ ქველმოქმედთა* კატეგორიაში, რადგანაც ეკლესიაში შესაწირს ხმამაღლა არ აცხადებენ და მას არც აუქციონის სახე აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ სინაგოგაში მლოცველთათვის არ მითქვამს ჩემი კვლევის შესახებ, მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ იყო ეთიკის დარღვევა. როდესაც ჩემი კვლევის მონაწილენი გავიცანი, ვუთხარი, რომ დაინტერესებული ვიყავი მათი კულტურით. რადგანაც სხვა ჯგუფის წევრი ვიყავი, ჩემი „ენა ტკბილად მოუბარი“ გიდი დაწვრილებით მომიყვა როგორც სინაგოგის, ისე თავისი ჯგუფის წევრების შესახებ. მეორე, რის გამოც არ ვთვლი ჩემ კვლევას ეთიკის დარღვევად, არის ის, რომ ყველა მლოცველს ვერ გავაფრთხილებდი კვლევის შესახებ; ეს გარკვეულ უხერხულობასაც კი შექმნიდა.

სინაგოგის მლოცველთა ინტერაქცია ისეთივე იყო, როგორც მართლმადიდებლურ ეკლესიაში. სინაგოგისა და ეკლესიის ეზოში შეკრებილი მრევლის ურთიერთობა არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მლოცველებს საერთო რელიგია აერთიანებთ და იქნებ სწორედ ამიტომაცაა ერთი ჯგუფის წევრებს შორის ინტერაქცია ასეთი ცოცხალი, გახსნილი და თბილი.

ლოცვის დამთავრების შემდეგ, ორივე ჯგუფის წევრები ერთმანეთს უღიმიან და სიხარულს უზიარებენ.

მიუხედავად იმისა, რომ სინაგოგაში ზოგი ადამიანი ჩემს მიმართ დადებითად იყო განწყობილი (ჩემს კითხვებს პასუხობდნენ, თავს ზედმეტად არ მაგრძნობინებდნენ), იყვნენ ისეთებიც, ვისაც ლოცვაზე უცხო პირის ყოფნა არ მოსწონდათ. მაგალითად, როცა ლოცვა დასრულდა, ერთი კაცი შემოვიდა „ქალთა გალერეაში“ და ივრითზე უხეში ტონით რაღაც მითხრა. ამ დროს ერთმა უცხოელმა გოგონამ, რომელიც ჩემს გვერდით იდგა, შეშფოთებულმა შემომხედა და თავი გაიქნია, მანიშნა, ყურადღება არ მიაქციოო. თუ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არავინ მიყურებდა და ყველა თავის ჯგუფის წევრად აღმიქვამდა, სინაგოგაში აშკარად შეინიშნებოდა, რომ *სხვა* ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ თვალის ერთი გადავლებით, მათგან არ გამოვირჩეოდი (ის, რომ ებრაელი ხარ, შუბლზე არ გაწერია).

ეთნოგრაფიულ კვლევამდე უპირატესობას რაოდენობრივ კვლევას ვანიჭებდი. მომწონდა საკვლევი ინსტრუმენტი ანუ *კითხვარი* და ვფიქრობდი, რომ სტრუქტურირებული ინტერვიუს გამოყენებით უფრო სანდო მასალას მოვიპოვებდი. მაგრამ ახლა მივხვდი, რომ რაოდენობრივი კვლევის დროს, საკვლევ გარემოში ყოფნით მათი კულტურის შემადგენელი ნაწილი ვერასოდეს გავხდებოდი. ვფიქრობ, თუ კულტურის რაიმე ასპექტის შესწავლა გვინდა, მას უნდა დავაკვირდეთ უშუალოდ მასში მონაწილე ინდივიდთა თვალით. ეთნოგრაფიული კვლევა კი ამისთვის იდეალურია. ის დამეხმარა, რომ საკვლევი გარემოს ნაწილი გავმხდარიყავი. გამოვიყენე ჩართული დაკვირვება, არაფორმალური ინტერვიუები. ამ მეთოდების გამოყენებით, სოციალური რეალობა უფრო ღრმად შევისწავლე. სინაგოგაში მყოფი ადამიანების ინტერაქციები ჩემთვის ბევრად უფრო ხილული და ცხადი იყო, რადგანაც მათთან უშუალო ურთიერთობა მქონდა. შემეძლო მათი მოქმედებებისთვის თვალი მედევნებინა და შესაბამისი ინტერპრეტაცია მიმეცა. ეთნოგრაფიული კვლევის გამოყენე-

ბით, ის დახურული კარი შევაღე, რომლის მიღმაც არ ვიცოდი, რა დამხვდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

Anderson, E. (2003). Jelly's Place: An Ethnographic Memoir. *Symbolic Interaction*, 26 (2), 217–237.

Berg, B., & Lune, H. (2012). *Qualitative Research Methods for the Social Sciences* (8th ed.). Boston: Pearson.

Bestor, T. C. (2003). Inquisitive Observation: Following Networks in Urban Fieldwork. In T. C. Bestor, P. G. Steinhof, & V. L. Bestor (Eds.), *Doing Fieldwork in Japan* (pp. 315-334). Honolulu: University of Hawaii Press.

Boas, F. (1940). *Race, Language, and Culture*. New York: The Macmillan Company.

Classen, C. (1997). Foundations for an Anthropology of the Senses. *International Social Science Journal,* 49 (153), 401-412.

Corbin, J., & Strauss, A. (1990). Grounded Theory Research: Procedures, Canons, and Evaluative Criteria. Qualitative Sociology, 13 (1), 3-21.

Edensor, T. (2002). *National Identity, Popular Culture and Everyday Life.* Berg: Oxford & New York.

Emerson, R. M., Fretz, R. I. & Shaw, L. L. (1995). *Writing Ethnographic Fieldnotes.* Chicago: The University of Chicago Press.

Fetterman, D. M. (2009). Ethnography. In L. Bickman & D. J. Rog (Eds.), *The SAGE Handbook of Applied Social Research Methods* (pp. 543-589). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Geertz, C. (1973). *The Interpretation of Cultures.* New York: Basic Books.

Glaser, B. G., & Strauss, A. L. (1967). *The Discovery of Grounded Theory: Strategies for Qualitative Research.* New Brunswick & London: AldineTransaction.

Goffman, I. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

Goffman, I. (1989). On Fieldwork. *Journal of Contemporary Ethnography,* 18, 123-132.

Gottlieb, A. (2006). Ethnographic Methods: Ethnography: Theory and Methods. In E. Perecman & S. R. Curran (Eds.), *A Handbook for Social*

Science Field Research: Essays & Bibliographic Sources on Research Design and Methods (pp. 47-85). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Hammersley, M., & Atkinson, P. (2007). *Etnography: Principles in Practice* (3rd ed.). London & New York: Routledge.

Herzfeld, M. (2005). *Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State* (2nd ed.). New York: Routledge.

Jenkins, T. (1994). Fieldwork and the Perception of Everyday Life. *Man,* 29, 433-455.

Narayan, K. (1993). How Native is a "Native~ Anthroplogist? *American Anthropologist,* 95 (3), 671-686.

Ortner, S. B. (1984). Theory in Anthropology since the Sixties. *Comparative Studies in Society and History*, 26 (1), 126-166.

Rutter, J., & Smith, G. W. H. (2005). Ethnographic Presence in a Nebulous Setting. In C. Hines (Ed.), *Virtual Methods: Issues in Social Research on the Internet* (pp. 81-92). New York: Berg.

Sapir, E. (1961). *Culture, Language and Personality*. Selected Essays. Berkeley & Los Angeles: University of California Press.

Stoddart, K. (1986). The Presentation of Everyday Life. Some Textual Strategies for Adequate Ethnography. *Urban Life,* 15 (1), 103-121.

Whorf, B. L. (1956). *Language, Thought and Reality.* Selected Writings. New York & London: John Wiley & Sons.

თავი 6
ქმედების კვლევა

ტერმინის განმარტება

ქმედების კვლევა, რომელსაც ხშირად თანამონაწილეობით ან კოლაბორაციულ კვლევასაც უწოდებენ, აქტიური ქმედების საფუძველზე სწავლას და გამოცდილების შეძენას გულისხმობს: ადამიანთა ჯგუფი გამოყოფს პრობლემას, ეძებს მისი გადაჭრის გზებს, აფასებს, თუ რამდენად წარმატებულია მათი მცდელობა და, თუ მიღებული შედეგები არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია, ხელახლა იწყებს კვლევას. ქმედების კვლევა ორ მიზანს ემსახურება: „სისტემის კვლევას და მის წევრებთან ერთად სისტემის სასურველი მიმართულებით შეცვლის მცდელობას. ამ ორი მიზნის მიღწევა აუცილებლად მოითხოვს მკვლევარსა და სისტემის წევრებს შორის აქტიურ თანამშრომლობას და აქცენტს სვამს ერთობლივ სწავლაზე, როგორც კვლევითი პროცესის ძირითად კომპონენტზე“ (MacIsaac in O’Brien, 2001, 3). ამდენად, ფოკუსით იმაზე, თუ როგორ მიდიან მონაწილეები სოციალური პრობლემების გაზიარებულ გაგებამდე და მათი გადაჭრის შეთანხმებულ სტრატეგიებამდე, ქმედების კვლევა კონსტრუქტივისტული პარადიგმის ჩარჩოში ხვდება (Wimpenny, 2010, 90).

რით განსხვავდება ქმედების კვლევა სხვა სოციალური კვლევებისგან? პირველ რიგში, კვლევის ობიექტების კვლევაში ჩართვით, რადგან ადამიანები უკეთ სწავლობენ და მეტად იყენებენ მიღებულ ცოდნას, როცა სწავლის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი. გარდა ამისა, კვლევას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში აქვს ადგილი და მისი მიზანია სოციალური პრობლემების გადაჭრა. ამასთან, სხვა სოციალური კვლევებისგან განსხვავებით, აქ მკვლევარი სულაც არ ცდილობს, არ ჩაერიოს მონაწილეთა ბუნებრივ ურთიერთობებში და გავლენა არ მოახდინოს

საკვლევ გარემოზე. პირიქით, სწორედ ამგვარი ჩარევა და მის შედეგად პოზიტიური სოციალური ცვლილებების გამოწვევაა მკვლევრის მთავარი მოტივაცია. ამგვარად, ავტორთა აზრით, ქმედების კვლევას ორი საკვანძო ამოცანა ამოძრავებს: ცოდნის წარმოება, რომელიც თავად ჯგუფის წევრებისთვის გამოსადეგი იქნება და ამ ცოდნის საფუძველზე ჯგუფის რიგითი წევრების გაძლიერება (Berg, Lune, 2012).

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ქმედების კვლევის გამოყენება უამრავ შემთხვევაშია მიზანშეწონილი: პირველ რიგში, მაშინ, როცა სკოლასა თუ უნივერსიტეტში სწავლების პროცესის სრულყოფა გვსურს. ქმედების კვლევა ხომ საშუალებას აძლევს სკოლის პედაგოგებს, რეფლექსია მოახდინონ სწავლების პროცესზე, შეამოწმონ ახალი იდეები და მეთოდები, და უკუკავშირი მიიღონ კოლეგებისგან და მოსწავლეებისგან. ეს მეთოდი არანაკლებ ეფექტურია უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პრობლემების გამოსავლენად და შესაბამისი ინტერვენციის დასაგეგმად. თუ, ვთქვათ, გვსურს შევაფასოთ, რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ბოლონიის პროცესი საქართველოს უნივერსიტეტებში, სწორედ ქმედების კვლევა უნდა დავგეგმოთ, რომელშიც სამივე რგოლი – სტუდენტები, პროფესორები და ადმინისტრაცია – იქნება ჩართული და თითოეულის ხედვა იქნება გათვალისწინებული ბოლონიის პროცესის გამოწვევებთან და სირთულეების გადალახვის შესაძლო სტრატეგიებთან დაკავშირებით. ქმედების კვლევა აქტიურად გამოიყენება მაშინაც, როცა დღის წესრიგშია ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება. თუ, ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ახდენს გარკვეული სოციალური თემატიკის ადვოკატირებას და პოლიტიკის შემქმნელებისთვის საკითხის ადეკვატურად მიწოდებას ან, ვთქვათ, თუ სამთავრობო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია მოქალაქეებში ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, სათანადოდ ვერ ახორციელებს დაგეგმილ საინფორმაციო კამპანიას, მაშინ არსებული პრობლემე-

ბის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და ინტერვენციის შესაბამისი სტრატეგიების დასაგეგმად, სწორედ, ქმედების კვლევა უნდა განხორციელდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების კვლევა ორგანიზაციების ხელმძღვანელთ ახალი იდეების შემოწმებასა და უმტკივნეულოდ დანერგვაში ეხმარება, რადგან ყოველი ახალი ინიციატივა ერთობლივად ფასდება ჯგუფის წევრების მიერ და შესაძლებელი ხდება წარუმატებელი იდეების დროულად უკუგდება, დანარჩენების კი – პრაქტიკაში დანერგვა და შედეგების შეფასება. ამდენად, ქმედების კვლევა უაღრესად ეფექტური მეთოდია გარკვეული ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების „სოციალური თერაპიისთვის“.

ქმედების კვლევის ტიპები

ქმედების კვლევის ფუძემდებლად ცნობილი გერმანელი სოციალური ფსიქოლოგი, კურტ ლევინია მიჩნეული. მისი კვლევის საგანს ჯგუფში მიმდინარე პროცესები წარმოადგენდა, როგორიცაა კონფლიქტი, კრიზისი და სოციალური ცვლილებები, აგრეთვე პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, უმთავრესად, დიდ ორგანიზაციებში. ლევინმა პირველმა გამოიყენა ტერმინი „ქმედების კვლევა“ მის 1946 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქმედების კვლევა და უმცირესობათა პრობლემები“, სადაც ქმედების კვლევა აღწერა, როგორც კომპარატიული მიდგომა, რომელიც სოციალური მოქმედების სხვადასხვა ფორმის გავლენას სწავლობდა. ის ხაზს უსვამდა, რომ ქმედების კვლევა სპირალური პროცესია, რომლის თითოეული საფეხური დაგეგმვის, აქტივობის და მოქმედების შედეგების შეფასების ციკლს მოიცავს.

კიდევ ერთი მეცნიერი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქმედების კვლევის მეთოდოლოგიურ სრულყოფაში, ორგანიზაციული განვითარების სფეროს წამყვანი მკვლევარი, ბრიტანელი ერიკ ტრისტია. მისი ჯგუფი ადამიანურ ურთიერთობათა კვლევის ინსტიტუტში, ლონდონში, აქტიურად იკვლევდა გერმანელი ტყვეების რეპატრიაციის საკითხებს მეორე მსოფლიო ომის შემ-

დგომ პერიოდში. ტრისტი და მისი კოლეგები ფართომასშტაბურ, მულტიორგანიზაციულ პრობლემებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ლევინმაც და ტრისტმაც საკუთარი კვლევები ორგანიზაციებში სასურველი ცვლილებების გამოსაწვევად გამოიყენეს. მათ ხაზი გაუსვეს მკვლევარსა და კლიენტს შორის უშუალო თანამშრომლობის მნიშვნელობას და ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება ჯგუფში არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებელ პირობად მიიჩნიეს.

1970-იანი წლებიდან ქმედების კვლევამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო და მასში 4 ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ტრადიციული, კონტექსტური (ქმედების დასწავლა), რადიკალური და საგანმანათლებლო.

ტრადიციული მიმართულება ქმედების კვლევაში კურტ ლევინის ნაშრომებიდან იღებს სათავეს და მისი „ველის თეორიის“, ჯგუფური დინამიკისა და კლინიკური მოდელის ცნებებსა და კვლევებზეა აგებული. მუშებსა და მენეჯმენტს შორის არსებული ურთიერთობების მიმართ განსაკუთრებულმა ინტერესმა ქმედების კვლევის გამოყენებას უბიძგა ორგანიზაციის განვითარების, ინფორმაციული სისტემების, შრომითი კმაყოფილებისა და ორგანიზაციული დემოკრატიის სფეროებში. ეს ტრადიციული მიდგომა მიმართულია „სტატუს კვოს“ შენარჩუნებაზე, ორგანიზაციაში არსებული ძალაუფლებრივი სტრუქტურების მეშვეობით.

კონტექსტური მიმართულება ქმედების კვლევაში, რომელსაც ზოგჯერ ქმედების დასწავლასაც უწოდებენ, ორგანიზაციებს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ ტრისტის კვლევებიდან იღებს სათავეს. ამ მიმართულებას კონტექსტური ეწოდება, რადგან მისი მიზანია სოციალურ გარემოში მოქმედ პირებს შორის არსებული ურთიერთობების რეკონსტრუირება. ის ხაზს უსვამს მონაწილეების მნიშვნელობას, როგორც პროექტის დიზაინრებისა და კვლევაში აქტიურად ჩართული პირებისა, და მიაჩნია, რომ სოციალური ტრანსფორმაცია მხოლოდ მონაწილეების საერთო თანხმობის საფუძველზე მიიღწევა.

ქმედების კვლევაში *რადიკალური მიმართულების* საფუძველია კარლ მარქსის „დიალექტიკური მატერიალიზმი“ და ანტონიო გრამშის „პრაქსისის“ თეორია. ისინი აქცენტს სვამენ ძალაუფლების სტრუქტურაში ბალანსის აღდგენაზე და მიაჩნიათ, რომ სოციალური ტრანსფორმაციის მიზანი საზოგადოების გარიყული და დაჩაგრული ჯგუფების გაძლიერება უნდა იყოს.

საგანმანათლებლო მიმართულება ქმედების კვლევაში ამერიკელი განმანათლებელ-ფილოსოფოსის, ჯონ დევის ნაშრომებიდან იღებს სათავეს, რომელსაც მიაჩნდა, რომ პროფესიონალი განმანათლებლები აქტიურად უნდა ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში. ამ მიმართულების წარმომადგენლები აქცენტს სვამდნენ პროფესიულ განვითარებასა და ცოდნის სოციალურ კონტექსტში გამოყენებაზე. სწორედ ამ მიმართულების საფუძველზე დაიწყო უნივერსიტეტში მოღვაწე ქმედების მკვლევართა თანამშრომლობა სტუდენტებთან და დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგებთან, ერთობლივი საზოგადოებრივი პროექტების განსახორციელების მიზნით (O’Brien, 2001).

1990-იანი წლების ბოლომდე ქმედების კვლევის სფერო საკმაოდ ეკლექტური იყო და მკვლევრებისა და პრაქტიკოსების სხვადასხვა ჯგუფს შორის დიალოგს თითქმის არ ჰქონდა ადგილი. ქმედების კვლევის პოპულარობის ზრდამ ამ სიტუაციის ცვლილება გამოიწვია, კერძოდ, მკვლევრების მიერ ნეოკაპიტალისტური სისტემის კრიტიკამ და ადვოკატირების ინოვაციური სტრატეგიების დანერგვამ, მათსა და პრაქტიკოსებს შორის დიალოგის გაღრმავებას შეუწყო ხელი. *კრიტიკული თანამონაწილეობითი ქმედების კვლევის* გაჩენა სწორედ ამ დიალოგის ნაწილია. მისი მიზანი იყო თანამედროვე სოციალური სისტემის ხარვეზების კრიტიკა და იმ სტრატეგიების შემუშავება, რაც ადამიანებს დაეხმარებოდათ მზარდი ინდივიდუალიზმისა და დომინანტური ინსტრუმენტული ხედვის გამოწვევებთან, ასევე, მათთან დაკავშირებულ იმედგაცრუებებთან გამკლავებაში (Kemmis, McTaggart, 2005, 562-563).

ქმედების კვლევის დიზაინი

როგორც წესი, ქმედების კვლევის დიზაინი საკვლევი კითხ-ვ(ებ)ის დასმას, მათზე პასუხის გასაცემად ინფორმაციის მოპოვებას, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზსა და ინტერპრეტაციას, და ბოლოს, შედეგების შეფასებასა და მათზე რეფლექსიას გულისხმობს. ქმედების ეს ციკლი რამდენჯერმე მეორდება, სანამ სასურველი სოციალური ცვლილება არ იქნება მიღწეული, რის გამოც ქმედების კვლევა შესაძლოა დროში საკმაოდ გაიჭიმოს. ამ პროცესში საკვანძოა მკვლევრის მონაწილეებთან თანამშრომლობა, დაწყებული პრობლემის იდენტიფიცირებით, დასრულებული ერთობლივი რეფლექსიით. ქმედების კვლევა ხომ იმთავითვე სოციალური და საგანმანათლებლო პროცესია, რომლის მიზანია სოციალური პრაქტიკის კვლევა, ანალიზი და რეკონსტრუირება. „თუ პრაქტიკა ადამიანებს შორის სოციალური ინტერაქციის პროცესში ყალიბდება, მაშინ პრაქტიკის ცვლილებაც სოციალური პროცესია“ (Kemmis, McTaggart, 2005, 563). ეს იდეა ძალიან ახლოსაა იურგენ ჰაბერმასის „საჯარო სფეროსა“ (1989) და „საკომუნიკაციო სივრცის გახსნის“ (1996) ცნებებთან, რომლებიც გულისხმობს, რომ ადამიანები სოლიდარულ საკომუნიკაციო სივრცეს ქმნიან, რომელიც მათ მიერ სიტუაციისა თუ პრობლემის გაზიარებულ გაგებას ეფუძნება.

რა თავისებურებებით ხასიათდება საჯარო სფერო თუ საკომუნიკაციო სივრცე და როგორ ვლინდება მისი სამოქმედო პრინციპები ქმედების კვლევაში? „საჯარო სფეროს“ რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს: 1. საჯარო სფეროს მონაწილეებს შორის რეალური კომუნიკაციის ქსელები ქმნის. თუ ქმედების კვლევას ამ ჭრილში განვიხილავთ, ის ადამიანთა ისეთ ქსელებს გულისხმობს, რომელიც სოციალური პრობლემის იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის იქმნება; 2. საჯარო სფერო ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგია და საკმაოდ ავტონომიურია, რადგან სახელმწიფოს ფორმალურ სტრუქტურებს მიღმა იქმნება. რადგან ამ ერთობის მიზანი გარკვეული

პრობლემების გადაჭრაა, ამიტომ გაერთიანების საფუძველი თემატურია. თუ ქმედების კვლევას ამ კუთხით განვიხილავთ, მონაწილეები სწორედ გარკვეული საკითხის თუ თემის გარშემო ნებაყოფლობით ერთიანდებიან და ერთობლივი წვლილი შეაქვთ სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში, რაც დამკვიდრებული ხედვისა და პრაქტიკის გადახედვას გულისხმობს; 3. საჯარო სფერო, როგორც წესი, პასუხია ლეგიტიმურობის დეფიციტზე, ანუ მონაწილეები ეჭვქვეშ აყენებენ არსებული სიტუაციის, პრაქტიკის და რეგულაციების ქმედითუნარიანობას. შესაბამისად, მათი მიზანია საქმის კეთების ალტერნატიული გზების პოვნა ლეგიტიმურობის კრიზისის დასაძლევად. გამოდის, რომ ქმედების კვლევისას მონაწილეთა გაერთიანების საფუძველი ის გარემოება ხდება, რომ არსებული პრაქტიკა ნაკლებ ქმედითია, ამიტომ მონაწილეების თვალში ლეგიტიმურობას კარგავს და განახლებას საჭიროებს; 4. საჯარო სფერო მონაწილეებს შორის კომუნიკაციას ანუ საჯარო დისკურსს ემსახურება, რომლის მიზანია ინტერსუბიექტური თანხმობის მიღწევა. სწორედ გაზიარებული პრაქტიკისა და ინტერსუბიექტური თანხმობის მიღწევის მიზნით იგეგმება ქმედების კვლევა; 5. საჯარო სფერო ინკლუზიურია, ანუ ძალაუფლების მქონე და პრივილეგირებული ჯგუფებისგან კი არ შედგება, არამედ საჯარო გადაწყვეტილებების ადრესატებისგან, ვისაც უშუალოდ ეხება ესა თუ ის სოციალური პრობლემა. ქმედების კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაშიც მთელი სამიზნე ჯგუფია ჩართული და კოორდინირებულად ცდილობს არსებულ სტრუქტურებსა და პროცესებზე გავლენის მოხდენას (Kemmis, McTaggart, 2005, 584-587).

ზემოხსენებული მახასიათებლების გათვალისწინებით, ქმედების კვლევის სხვადასხვა დიზაინი საკმაოდ წააგავს ერთმანეთს კვლევის პროცესის საფეხურებით და ჯგუფური დინამიკით. ქვემოთ ორ პოპულარულ დიზაინზე გავამახვილებთ ყურადღებას.

სტივენ კემისმა (1988) ქმედების კვლევის მარტივი მოდელი შეიმუშავა, რომელიც ციკლური ხასიათისაა და თითოეული ციკლი 4 საფეხურს მოიცავს: დაგეგმვა, ქმედება, დაკვირვება და

რეფლექსია. ყოველი ახალი ციკლი გაუმჯობესებული გეგმით იწყება და ასე გრძელდება მანამ, სანამ რეფლექსია არ გვიჩვენებს, რომ დამაკმაყოფილებელი შედეგები იქნა მიღწეული. უფრო დეტალურად განვიხილოთ მოცემული მოდელი: *დაგეგმვის სტადიაზე,* პროექტის ჯგუფის წევრები იკრიბებიან, რათა პროექტის მნიშვნელობა განიხილონ და ის საკითხი თუ პრობლემა დააყენონ, რომლის გადაჭრაც უმთავრეს პრიორიტეტად მიაჩნიათ. ამის შემდეგ ჯგუფი აგროვებს მონაცემებს იმ სიტუაციის შესახებ, რომლის გაუმჯობესებასაც პროექტი მიზნად ისახავს. ჯგუფის წევრები მსჯელობენ, თუ რა შესაძლო გზები არსებობს პრობლემის გადასაჭრელად, რა ევალება ჯგუფის თითოეულ წევრს და როგორ უნდა შეფასდეს მიღებული შედეგები. დაგეგმვის ეტაპს *ქმედების ეტაპი* მოსდევს, რომელიც პირველი დაგეგმილი აქტივობის განხორციელებით იწყება. მომდევნო ეტაპზე, რომელსაც *დაკვირვება* წარმოადგენს, ჯგუფი აკვირდება, განიხილავს და აანალიზებს მიმდინარე პროცესებს და თითოეული წევრი საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებს დანარჩენებს. საბოლოო სტადიას *რეფლექსია* წარმოადგენს, რომლის დროსაც ჯგუფი საკუთარ საქმიანობას აფასებს და მისი სრულყოფის გზებს ეძებს. ჯგუფი თანხმდება, თუ როგორ გამოიყენოს მიღებული შედეგები პრობლემის უფრო ღრმად წვდომისა და გადაჭრისთვის (სიტუაციის კრიტიკული ანალიზი). მოპოვებული ინფორმაცია და ცოდნა ანგარიშების სახითაა წარმოდგენილი. ამის შემდეგ ახალი ციკლი იწყება და იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც პირველი ციკლისას იყო მიღწეული, უფრო დეტალურ დაგეგმვას აქვს ადგილი. ამავე სტადიაზე, ჯგუფი გეგმავს შეფასების მომდევნო ციკლს, რათა, ან გააღრმავოს წინა ციკლისას მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება, ან ახალი იდეა, საკითხი თუ პრობლემა იკვლიოს. ამას კვლავ მოქმედების, დაკვირვებისა და რეფლექსიის ახალი ციკლი მოსდევს და ა.შ.

ჯერალდ სასმანი (1983) ქმედების კვლევის უფრო დეტალურ მოდელს გვთავაზობს, სადაც თითოეული ციკლი 5 საფეხურისგან შედგება: პირველი საფეხური, რომელსაც *დიაგნოსტი-*

კას უწოდებს, პრობლემის დაყენებას და მონაცემების მოპოვებას გულისხმობს უფრო დეტალური დიაგნოზირებისთვის; მომდევნო საფეხური, რომელსაც *ქმედების დაგეგმვა* ჰქვია, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების ერთობლივ ძიებას გულისხმობს, საიდანაც ერთი საბოლოო სამოქმედო გეგმა შემუშავდება და ინერგება; მომდევნო ეტაპზე, რომელსაც ავტორი *ქმედების განხორციელებას* უწოდებს, სამოქმედო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვება და გაანალიზება ხდება; შემდგომ ეტაპზე, რომელსაც *შეფასება* ჰქვია, მიღებული შედეგები ქმედების ეფექტურობის თვალსაზრისით ფასდება; ბოლო, მეხუთე საფეხური, რომელსაც *ცოდნის განსაზღვრა* ეწოდება, მიღებულ შედეგებზე რეფლექსიას ახდენს და კვლევის ახალ ციკლს უდებს საფუძველს. ასე გრძელდება პროცესი მანამ, სანამ პრობლემა არ გადაიჭრება. გთავაზობთ სასმანის მოდელის სქემატურ გამოსახულებას:



ქმედების კვლევის მეთოდები

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ქმედების კვლევა პროცესზე ორიენტირებული კვლევაა და ამიტომ სწორედ პროცესის შეფასებას გულისხმობს; ვთქვათ, თუ რამდენად ქმედითია პროგრამა და რეალურად, რამდენად ემსახურება სამიზნე ჯგუფის წევრებს. თუმცა, ამასთან, ქმედების კვლევა შედეგზე ორიენტირებული კვლევაცაა, რადგან იმის შეფასებასაც გულისხმობს, თუ რა გავლენა მოახდინა პროგრამამ მონაწილეებზე.

ის, რაც ქმედების კვლევას სხვა სოციალური კვლევებისგან განასხვავებს, არის არა ადამიანების კვლევა, არამედ ადამიანებთან ერთად კვლევა (Wimpenny, 2010, 91). მისი სპეციფიკაა ციკლური ხასიათი, მონაწილეების ჩართულობა, სხვადასხვა მეთოდის კომბინირება და თავად კვლევის პროცესშივე, შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ქმედების კვლევა პრობლემის გადაჭრისადმი ჰოლისტურ მიდგომას წარმოადგენს და არა მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის ერთ კონკრეტულ მეთოდს. მისი ციკლური ხასიათისა და გარკვეული ინტერვალებით გამეორების, აგრეთვე შერეული მეთოდების გამოყენების გამო, როგორც წესი, ის სხვა სახის კვლევებთან შედარებით მეტ დროს საჭიროებს. გამოყენებული მეთოდები, უმეტესად, თვისებრივია, როგორიცაა სიღრმისეული ინტერვიუ, ჩართული დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი, კვლევითი ჟურნალის წარმოება, აგრეთვე შემთხვევის შესწავლა; თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა კითხვარები და სტატისტიკური მონაცემებიც იყოს ინტეგრირებული. სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და მონაწილეთა განსხვავებული ჯგუფებისგან ინფორმაციის მოპოვება (ვთქვათ, სტუდენტები, მათი მშობლები, უნივერსიტეტის პროფესორები და ადმინისტრაცია), საშუალებას აძლევს პროექტის ჯგუფს, უკეთ გაერკვეს არსებულ სიტუაციაში (ვთქვათ, საუნივერსიტეტო სწავლების თანამედროვე გამოწვევებში). მოპოვებული ინფორმაცია სხვადასხვა სახისაა, იქნება

ეს ინდივიდუალური ისტორიები, ფოტო თუ ვიდეო დოკუმენტაცია, მონაწილეების კომენტარები თუ ნახატები, კვლევის დაწყებამდე და პროექტის დასრულების შემდგომ პერიოდებში მონაწილეების ცოდნის/შეხედულებების/ქცევების შეფასების ფორმები თუ პროექტის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები.

თუმცა, არსებობს მეთოდი, რომელიც საგანგებოდ ქმედების კვლევისთვის შეიქმნა, კერძოდ, *კვლევითი კონფერენცია*. ეს მეთოდი პირველად ერიკ ტრისტმა და ფრედ ემერიმ გამოიყენეს (1965) და მას შემდეგ, კვლევითი კონფერენციის ფორმატი ფართოდ გამოიყენება ქმედების კვლევაში. თავად ავტორები კვლევით კონფერენციას შემდეგი სახით აღწერენ: შეხვედრაში მონაწილეობენ ჯგუფები, რომლებიც აქციონრებისა თუ მენეჯერებისგან შედგება. ჯგუფური შეხვედრები, ჩვეულებრივ, 2-3 დღე მიმდინარეობს, ზოგჯერ კი – 5 დღეც. გახსნითი სესიები იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას ეთმობა, რომლებიც მოცემულ სოციალურ კონტექსტში სერიოზულ პრობლემებს იწვევს, ამდენად, ისინი სამომავლოდაც საფრთხეს უქმნიან ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას. კონფერენციის თემატიკა მთლიანად მის მონაწილეებზეა დამოკიდებული. საწყის სესიაზე, ყოველგვარი კრიტიკისა და კომენტარის გარეშე, ოთახის გარშემო განთავსებულ დაფებზე ჩამოწერილი იქნება აქტუალური პრობლემები, რომლებიც უფრო დეტალურად იქნება განხილული მცირეჯგუფური დისკუსიებისას. შემდეგ ისევ მთლიანი ჯგუფი იკრიბება, საკუთარ ორგანიზაციულ გარემოს განიხილავს ამ პრობლემების კონტექსტში, მნიშვნელოვან ხელისშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს გამოყოფს და სასურველი მომავლის სურათს სახავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც წესი, მონაწილეები საოცარი ერთსულოვნებითა და თანხმობით გამოირჩევიან. ამის შემდეგ უშუალოდ სამოქმედო სტრატეგიების განხილვა მიმდინარეობს, შერჩეულ იქნება ძირითადი ამოცანები და იქმნება სამუშაო ჯგუფები ამ ამოცანების განსახორციე-

ლებლად. სამუშაო ჯგუფებს მიმდინარე პროცესების თაობაზე რეგულარული ანგარიშების წარდგენა ევალებათ. კონფერენციის შემდეგ, სამუშაო ჯგუფები პერიოდულად იკრიბებიან და ერთმანეთს უკუკავშირს აძლევენ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე გეგმავენ მომავალ კვლევით კონფერენციებსა და მონაწილეთა ქსელის გაფართოებას, რათა მიღებული შედეგების სრულყოფასა და უწყვეტ შეფასებას ჰქონდეს ადგილი (Emery, Trist, 1965).

ქმედების კვლევის ძირითადი პრინციპები

ქმედების კვლევის დიზაინისა და მეთოდების გათვალისწინებით, ინგლისელი მკვლევარი რიჩარდ უინტერი ქმედების კვლევის 6 ძირითად პრინციპს გვთავაზობს (1989):

რეფლექსიური კრიტიკა. ინდივიდებმა სხვადასხვა პრობლემასა თუ პროცესზე რეფლექსია უნდა მოახდინონ და ის ფარული მოსაზრებები თუ ინტერპრეტაციები უნდა გაამჟღავნონ, რომლებზეც შეფასებებია აგებული. ამ გზით, პრაქტიკულმა მოსაზრებებმა შესაძლოა საფუძველი ჩაუყაროს თეორიულ ცოდნას.

დიალექტიკური კრიტიკა. სოციალური ფენომენები კონცეპტუალიზებულია დისკურსის გზით. ამდენად, როგორც ფენომენებსა და მათ სოციალურ კონტექსტს შორის, ისე ფენომენების შემადგენელ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის წვდომა, აუცილებლობით მოითხოვს დიალექტიკურ კრიტიკას. უმთავრესად, იმ ელემენტებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც არასტაბილურია ან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან სწორედ ისინი გვევლინება ცვლილებების წყაროდ.

კოლაბორაციული რესურსი. ქმედების კვლევის მონაწილენი თანამკვლევრებს წარმოადგენენ. კოლაბორაციული რესურსის პრინციპი გულისხმობს, რომ თითოეული მონაწილის, როგორც ახალი იდეების პოტენციური წყაროს, როლი თანაბარმნიშვნელოვანია.

რისკი. ცხადია, რომ ცვლილების პროცესი ქმედების განხორციელების ჩვეულ გზებს ემუქრება, წარმოშობს რა შფოთს მონაწილეებს შორის. მონაწილეთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი შიში დაკავშირებულია ფაქტთან, რომ ღია დისკუსიის დროს მათი ფარული იდეები და ინტერპრეტაციები გაცხადდება. ქმედების კვლევის ინიციატორები ცდილობენ, მონაწილეთა შფოთი შეამცირონ, ხაზს უსვამენ რა იმ გარემოებას, რომ, თავის მხრივ, ისინიც ჩაერთვებიან პროცესში და ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში, ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა მოხდება.

მრავლობითი სტრუქტურა. კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, იარსებებს უამრავი შეხედულება, კომენტარი თუ კრიტიკა, რაც სხვადასხვა შესაძლო ინტერპრეტაციას და ქმედების სტრატეგიას გვთავაზობს, რასაც სათანადო კვლევის ანგარიშების მომზადება სჭირდება. ამდენად, კვლევის ანგარიში უფრო მონაწილეებს შორის მიმდინარე დისკუსიების წახალისებას ემსახურება, ვიდრე საბოლოო დასკვნების წარდგენას.

თეორია, პრაქტიკა და ტრანსფორმაცია. ქმედების მკვლევრისთვის, თეორია პრაქტიკას ამდიდრებს, პრაქტიკა კი თეორიის შემდგომ გამდიდრებას იწვევს, უწყვეტი ტრანსფორმაციის პროცესის საფუძველზე. ნებისმიერ გარემოში, ადამიანთა ქმედებას გარკვეული თეორიები და ჰიპოთეზები უდევს საფუძვლად, ყოველი ახალი შედეგი კი თეორიის გამდიდრებას იწვევს, რაც ცვლილების ერთიანი პროცესის ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტია.

ქმედების მკვლევრის და მონაწილეთა როლები

როგორც წესი, სოციალურ კვლევაში მკვლევარი სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს, რომლის მეშვეობით კვლევის ობიექტებისგან საკუთარი თავის დისტანცირებას ახდენს, რათა მათ ქმედებებსა და ურთიერთობებზე გავლენა არ მოახდინოს. ქმედების კვლევისას ამგვარი დისტანცია საჭირო არ არის, რადგან სწორედ მკვლევრის ჩარევამ უნდა გამოიწვიოს სასურველი შე-

დეგები და ყველა მონაწილემ, მკვლევართან ერთად, მონიტორინგი უნდა გაუწიოს და შეაფასოს როგორც მიმდინარე პროცესები, ისე მიღებული შედეგები. ახალი და გაუმჯობესებული შესრულების მცდელობამ, „ტრანსფორმაციის შემოქმედებითი მომენტი“ უნდა გამოიწვიოს, რაც გულისხმობს წარმოსახვით ნახტომს სამყაროდან, „როგორიც ის არის“, სამყაროზე, „როგორიც ის უნდა იყოს“ (Wadsworth, 1997, 5). ქმედების მკვლევრის ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ პროცესის იმგვარად წარმართვაა, რომ ის შემოქმედებასა და წარმოსახვის განვითარებას მაქსიმალურად უწყობდეს ხელს.

ქმედების მკვლევრის ფუნქციაა, იმგვარად დაგეგმოს აქტივობათა ციკლი, რომ კვლევამ სწორედ ის სასურველი შედეგი გამოიღოს, რაზეც მონაწილეები შეთანხმდნენ. ამ მიზნით, მკვლევარმა კვლევის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული როლი უნდა შეითავსოს, იქნება ეს მგეგმავი, მსმენელი, კატალიზატორი, პედაგოგი, ლიდერი, ფასილიტატორი, დიზაინერი, დამკვირვებელი თუ ანალიტიკოსი. ჩვეულებრივ, ქმედების მკვლევრის ფუნქციაა, ხელი შეუწყოს დიალოგსა და თანამშრომლობას მონაწილეებს შორის, აწვდის რა მათ პერიოდულ ანგარიშებს და წერს საბოლოო ანგარიშს, როცა მისი საქმიანობა ამოწურულია. თუმცა, მკვლევრის უმთავრესი როლია, ადგილობრივ ლიდერებს უბიძგოს, პასუხისმგებლობა აიღონ მიმდინარე პროცესებზე. ეს ამოცანა განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს, როცა მონაწილეებს ქმედების სტრატეგიები ესმით და კვლევის გაგრძელება შეუძლიათ მას შემდეგ, რაც მკვლევარი მათ გარემოს ტოვებს.

გამოდის, რომ ქმედების კვლევა იმგვარად ცვლის კვლევით პროცესს, რომ, თუ სხვა სახის კვლევაში ექსპერტი აქტიურ როლს თამაშობს, კვლევის ობიექტები კი – პასიურს, აქ კვლევის ობიექტები კვლევითი პროცესის აქტიური თანამონაწილენი ხდებიან. მიჩნეულია, რომ ქმედების კვლევაში ძალიან რთულია გამოკვეთილი მკვლევრის იდენტიფიცირება. ნებისმიერი ქმედება, კვლევის ჩათვლით, ერთობლივი ქმედებაა, რაც მკვლევრისა და მონაწილეების ურთიერთობის შედეგია. ფაქტობრივად, მკვლე-

ვარი ფასილიტატორს წარმოადგენს, რომელიც მონაწილეებს ეხმარება, თავად მოძებნონ პრობლემის გადაჭრის გზები. შესაბამისად, კვლევა იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ მონაწილეებს შორის თანამშრომლობას შეუწყოს ხელი. მონაწილეთა შორის კომუნიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ქმედების კვლევა სწორედ მონაწილეთა თვალსაწიერიდან აშუქებს პრობლემას; თავის მხრივ, პრობლემის გამოყოფა და მისი გადაჭრის გზების ძიება მონაწილეთა შორის შეუზღუდავი კომუნიკაციის აუცილებლობას წარმოშობს. მონაწილეთა ჩართულობა ქმედების კვლევაში ნებაყოფლობითია. ყველა მონაწილემ იცის ერთმანეთის შესახებ და ერთმანეთს უთანხმებს სამოქმედო გეგმას, ერთად აანალიზებს კვლევის მონაცემებს და წვლილი შეაქვს სამომავლო სტრატეგიების შემუშავებაში. სწორედ ამ მახასიათებლის გამო მიჩნეულია, რომ ქმედების კვლევა *დემოკრატიულ დიალოგს* უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, მონაწილეთა ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარების შედეგად, ახალი ცოდნის გენერირებას იწვევს (Wimpenny, 2010, 95).

იმისათვის, რომ ინდივიდები პროექტში ჩაერთონ, აუცილებელია რეფერენტული ჯგუფ(ებ)ის შექმნა. რეფერენტული ჯგუფის წევრთა უმრავლესობას თუ არა, ნახევარს მაინც, ის ადამიანები უნდა შეადგენდნენ, ვისთვისაც პროექტია გამიზნული, რათა მკვლევარი დარწმუნებული იყოს, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ცვლილებების განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში. დანარჩენი მონაწილეები შეიძლება იყონ განათლების, ჯანდაცვისა თუ სოციალური მომსახურების ადგილობრივი სამსახურების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელნი, ან უბრალოდ საზოგადოების წევრები, რომლებიც მოცემული საკითხით არიან დაინტერესებულნი. თავდაპირველად, შესაძლოა პროექტში ადამიანთა შედარებით მცირე რაოდენობა იყოს ჩართული, მაგრამ პროექტის განხორციელების კვალდაკვალ, მათი რაოდენობა გაიზარდოს. ზოგ პროექტში, შესაძლოა, დაპირისპირებული გუნდები იყვნენ ჩართულნი, რათა კონფლიქტის გადაჭრისა და პოზიტიური გადაწყვეტილებე-

ბის მიღების შესაძლებლობა მიეცეთ. სხვა პროექტებში, შესაძლოა, ერთზე მეტი ჯგუფის ჩართვა გახდეს საჭირო, რათა ყველა შესაძლო პოზიცია იყოს გათვალისწინებული. ამ გზით, ქმედების კვლევის პროცესში მონაწილეთა „გაზიარებული რეპერტუარი“ იქმნება, რომელიც მათ უბიძგებს, კრიტიკულად გაიაზრონ დომინანტური წარმოდგენები და ცოდნის შექმნის ინკლუზიურ პროცესში ჩაერთონ. შედეგად, მონაწილეები გარდაქმნიან და აუმჯობესებენ მათი ინსტიტუციური და კულტურული კონტექსტისთვის დამახასიათებელ ჩვეულ პრაქტიკებს (იქვე, 96).

ქმედების კვლევის ეთიკური სტანდარტები

ვინაიდან ქმედების კვლევა არსებული რეალობის ცვლილებას ისახავს მიზნად და, ამასთან, მასში მონაწილე ადამიანებს შორის ღია და მჭიდრო კომუნიკაციას გულისხმობს, მკვლევრები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ მის ეთიკურ მხარეს. ამ კვლევის ეთიკური ნორმები, ზოგადად, თვისებრივი კვლევის ეთიკურ სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა, მიდგომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ასპექტებიც აქვს. რიჩარდ უინტერი ქმედების კვლევის შემდეგ ეთიკურ სტანდარტებს გვთავაზობს (1996):

- მკვლევარი უნდა დარწმუნდეს, რომ შესაბამის ინდივიდებს, ჯგუფებს და ავტორიტეტებს მიმართა, და რომ მისი საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპები ყველას მიერ წინასწარაა მოწონებული;
- მკვლევარმა მონაწილეებს უნდა გააცნოს კვლევის პროცესის ყველა დეტალი, პირადი ინტერესების ჩათვლით;
- საჭიროა წინასწარი ნებართვა დაკვირვებების საწარმოებლად ან იმ დოკუმენტების ანალიზისთვის, რომლებიც სხვა მიზნითაა შექმნილი;
- გარედან მოსულმა მკვლევარმა ისე უნდა წარმართოს პროცესი, რომ პროექტში ყველა მონაწილის ჩართვის ალბათობა გაიზარდოს;

- მკვლევარმა პატივი უნდა სცეს მათ გადაწყვეტილებასაც, ვინც პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა, რადგან მონაწილეობა ნებაყოფლობითია;
- მკვლევარმა პროექტში მონაწილე ადამიანების კონფიდენციალობა უნდა დაიცვას;
- ყველა მონაწილისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვლევასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია;
- კვლევის მიმართულებისა და სასურველი შედეგების დასახვაში ყველა მონაწილე უნდა იყოს ჩართული;
- ყველა მონაწილეს უფლება უნდა ჰქონდეს, მიმდინარე პროცესზე გავლენა მოახდინოს;
- საქმიანობის მთელი პროცესი ღია უნდა დარჩეს და სამიზნე ჯგუფის ყველა წევრს უნდა შეეძლოს რჩევისა თუ შენიშვნის მიცემა განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით;
- სანამ სხვების შეხედულებების ან მათი საქმიანობის აღწერა იქნება გამოქვეყნებული, აუცილებელია ამ ადამიანებისგან თანხმობის მიღება.

ქმედების კვლევის ნიმუშები

ინტერნეტზე დაფუძნებული კოლაბორაციული ჯგუფების განვითარება

1997 წელს, ამერიკელმა მკვლევრებმა ლაუმ და ჰეივარდმა ქმედების კვლევა ინტერნეტზე დაფუძნებული კოლაბორაციული ჯგუფების ჩამოყალიბების შესასწავლად გამოიყენეს. ორი წლის მანძილზე, ისინი ფასილიტატორების სახით მონაწილეობდნენ ქმედების კვლევაში, რომელიც სამი ციკლისგან შედგებოდა და პროექტის ჯგუფის 15 მონაწილესა და ჯანდაცვის სფეროს 25 პროფესიონალს მოიცავდა სხვადასხვა რეგიონიდან. მონაწილეები ცდილობდნენ თემზე დაფუძნებული ჯანდაცვის პროგრამის დანერგვას. პროექტის მიზანი იმის შეფასება იყო, თუ რა გავლენას ახდენდა ინტერნეტზე დაფუძნებული კომუნი-

კაცია ვირტუალური სახის კოლაბორაციული სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

კვლევის პირველ ეტაპზე, განისაზღვრა პრობლემა და იდენტიფიცირდა მონაწილეთა მოლოდინები, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ტექნოლოგია. პროექტის განხორციელების პროცესზე დაკვირვებისას, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ხანმოკლე, მაგრამ ხშირი სესიები, რომლებიც ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკურ პროექტებზე ახდენდა ფოკუსირებას, საკმაოდ ნაყოფიერი იყო მონაწილეთათვის. იგივე აღნიშნეს თავად მონაწილეებმაც, როცა კომენტარებსა თუ უკუკავშირს იძლეოდნენ რეფლექსიის სტადიაზე. მომდევნო ეტაპზე, მონაწილეებს შორის კომუნიკაციამ უფრო სტაბილური ხასიათი შეიძინა, რამაც ხელი შეუწყო მესამე ციკლის განმავლობაში ვირტუალური სამუშაო ჯგუფების საბოლოო ჩამოყალიბებას.

მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი, ვინც პროექტის ფარგლებში შექმნილ სისტემას სოციალური ინტერაქციისთვის იყენებდნენ, უფრო მეტად ახერხებდნენ კოლაბორაციული პროექტების განხორციელებას. ისიც გაირკვა, რომ თემზე დაფუძნებული ჯანდაცვის შესახებ ინტერნეტით შესაბამისი ხარისხის ინფორმაციის ნაკლებობა მონაწილეთათვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა; ამიტომ მოცემული პროექტის საფუძველზე შეძენილმა ცოდნამ და გამოცდილებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა, ერთმანეთის მხარდაჭერა და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, ვირტუალური სამუშაო ჯგუფების განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს წარმოადგენენ. ამასთან, გამოიკვეთა შემდგომი კვლევის ჩატარების აუცილებლობაც, რათა განსაზღვრულიყო, თუ რა გზით ეხმარება ამ სახის ინტერაქცია ჯგუფის წევრების წარმატებულ საქმიანობას მათ პროფესიულ გარემოში, ისევე როგორც შესწავლილ ყოფილიყო ჯგუფის წევრების მიერ ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობი ფაქტორები.

ელექტრონული პორტფელი სკოლის მოსწავლეებისთვის

პედაგოგების წინაშე ორი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა დგას: ერთი, სწავლების იმგვარი მეთოდების შერჩევა, რომ მოსწავლეთა სათანადო მოტივირება მოახდინონ, და მეორე, მათი მიღწევების სრულფასოვნად შეფასება. ამიტომ მათ მუდმივად უწევთ იმაზე ფიქრი, თუ როგორ დახვეწონ სწავლების არსებული მეთოდები და როგორ გააუმჯობესონ ცოდნის შეფასების სისტემა.

გ. დიმესკიმ, რომელიც საშუალო სკოლაში 13-14 წლის ასაკის მოსწავლეებს ასწავლიდა, გადაწყვიტა მათთან სწავლების ისეთი ინოვაციური მეთოდები დაენერგა, რაც სტუდენტების მოტივაციასაც გაზრდიდა და პედაგოგსაც დაეხმარებოდა, რომ მათი ცოდნა და აკადემიური მოსწრება უკეთ შეეფასებინა. სწორედ ამ მიზნით, 2009 წელს მან გადაწყვიტა სწავლების პროცესში მოსწავლეთა ელექტრონული პორტფელების დანერგვა. დიმესკი ვარაუდობდა, რომ მოსწავლეთა შეფასებისთვის პორტფელის გამოყენება ორი ფუნქციით შეიძლებოდა: მოსწავლეთა მონიტორინგისთვის (ქულების დაწერის გარეშე), რათა შეგროვებულიყო ინფორმაცია მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ, რაც სამომავლოდ შეფასებისთვის იქნებოდა გამოყენებული, და მოსწავლეთა შრომის შესაფასებლად (ქულების გამოყენებით), მათი თვითრეფლექსიის შეფასების საფუძველზე. ელექტრონული პორტფელის მთავარი მიზანია იმის წარმოჩენა, თუ რა გააკეთა სტუდენტმა, აგრეთვე დამაჯერებელი ინფორმაციის მიწოდება პედაგოგისთვის სტუდენტის მიღწევების შესახებ. პორტფელი ეხმარება როგორც პედაგოგებს, ისე მოსწავლეებს, სისტემატურად ადევნონ თვალი სწავლების პროცესს და შედეგების გაუმჯობესებაზე ორიენტირდნენ.

დიმესკიმ ელექტრონული პორტფელის იდეა მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს გააცნო და გადაწყვიტა, რომ მხოლოდ მათთან ეცადა სწავლების ეს ახალი მეთოდი, ვინც თავად გამოთქვამდა ინტერესს. ეს ჯგუფი 100 მოსწავლისგან შედგებოდა და 35-მა მოსწავლემ გამოთქვა ინტერესი და მზაობა, რომ ელექტრონული პორტფელი ეწარმოებინა.

მონაცემების მოპოვების მეთოდებად, რომელიც პროექტის შედეგების შეფასებაში დაეხმარებოდა, პედაგოგმა გამოიყენა: პროექტში მონაწილე სტუდენტების დღიურები და საკუთარი დღიური, რომელსაც პროექტის განმავლობაში სისტემატურად აწარმოებდა; ელექტრონული პროფილები, რომელიც სტუდენტთა პროგრესის შესახებ ინფორმაციას მოიცავდა; კითხვარები, რომლებიც სტუდენტებს პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ გადაეცათ და რომლებიც მათ წინასწარ მოლოდინებსა და, მოგვიანებით, რეფლექსიებს აფასებდა ელექტრონული პორტფელის, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის შესახებ; სტუდენტებთან დისკუსიების აუდიოჩანაწერები, რომელშიც ელექტრონული პორტფელის სხვადასხვა ასპექტს აფასებდნენ; სტუდენტთა მიერ შესრულებული სამუშაოს მასალები და ფოტოსურათები.

მოსწავლეთა პირველი დავალება ელექტრონული პორტფელის ვებგვერდზე მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ატვირთვას გულისხმობდა, მომდევნო დავალება კი – საკუთარ პროექტებზე რეფლექსიასა და მეგობრებისთვის უკუკავშირის მიცემას. რათა ეგრძნოთ, რომ პედაგოგიც ჯგუფის ნაწილი იყო, დიმესკიმ საკუთარი პორტფელი შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს სამუშაო პროექტებთან დაკავშირებით რჩევებს აძლევდა, აგრეთვე დამხმარე მასალას აწვდიდა. მას შემდეგ, რაც სტუდენტებმა პროექტები დაასრულეს, პედაგოგმა ჯგუფური დისკუსია გამართა მათთან, სადაც განიხილეს, თუ რამდენად გააუმჯობესა ელექტრონულმა პორტფელმა მათი სწავლების პროცესი, რამდენად სამართლიანად აფასებდნენ საკუთარ და სხვის ნაშრომებს, რამდენად მისდევდნენ ეთიკურ ნორმებს და ა.შ.

სტუდენტთა მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდებოდა და ამისთვის მათი და პედაგოგის დღიურები გამოიყენებოდა. ელექტრონული პორტფელი ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდა არა მარტო მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის და სასწავლო პროცესისადმი მათი ინტერესის გაზრდის თვალსაზრისით, არამედ მათი თვითრეფლექსიის და ერთმანე-

თისთვის უკუკავშირის მიცემის თვალსაზრისით. რაც შეეხება თავად პედაგოგს, ელექტრონული პორტფელი მას მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და მათი მიღწევების თანმიმდევრულ შეფასებაში დაეხმარა, რაც საბოლოო შეფასებასაც ბევრად ამარტივებდა და მეტად სამართლიანს ხდიდა. ამდენად, ელექტრონული პორტფელი უაღრესად ხელსაყრელი აღმოჩნდა როგორც სწავლების მეთოდების სრულყოფის, ისე ცოდნის შეფასების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სავარჯიშო

თქვენი ქმედების კვლევის მიზანია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და მათთან გამკლავების სტრატეგიების შემუშავება. ზემოხსენებული ნიმუშის მსგავსად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემებიდან ფოკუსირებას ახდენთ სტუდენტთა დაბალ მოტივაციაზე და მათი შეფასების სისტემის ხარვეზებზე. შესაბამისად, ქმედების კვლევას შედეგად უნდა მოყვეს სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება და მათი შეფასების სისტემის გაუმჯობესება. გთხოვთ, განმარტოთ: 1. როგორ დაგეგმავდით ამ საკითხზე ქმედების კვლევას? როგორი იქნებოდა თქვენი კვლევის დიზაინი? 2. რომელ აქტორებს ჩართავდით მის განხორციელებაში და რატომ სწორედ ამ აქტორებს? 3. რა მეთოდებს გამოიყენებდით კვლევის პროცესში და როგორ დაასაბუთებდით მათ რელევანტურობას?

გამოყენებული ლიტერატურა

Berg, B. L., & Lune, H. (2012). *Qualitative Research Methods for the Social Sciences* (8th ed.). Boston: Pearson.

Dimeski, G. (2009). E-Portfolio for Pupils. In A. Hudson, B. Hudson, & M. Laanpere (Eds.), *Compendium of Action Research Reports* (pp. 73-80). Tallin: Estonian E-Learning Development Centre.

Emery, F., & Trist E. (1965). The Causal Texture of Organizational Environments. *Human Relations,* 18 (1), 21-32.

Habermas, J. (1989). *The Structural Transformation of Public Sphere.* Cambridge, MA: Massachusetts Institute of Technology.

Habermas, J. (1996). *Between Facts and Norms.* Cambridge, MA: MIT Press.

Kemmis, S., & McTaggart, R. (1988). The Action Research Planner (3rd ed.). Geelong: Deakin University.

Kemmis, S., & McTaggart, R. (2005). Participatory Action Research: Communicative action and the Public Sphere. In K. D. Denzin & Y. S. Lincoln (Eds.), *The Sage Handbook of* Qualitative Research (3rd ed., pp. 559-603). Thousand Oaks: Sage Publications.

Lau, F., & Hayward, R. (1997). *Structuration of Internet-Based Collaborative Work Groups Through Action Research*. Retrieved from http://search.ahfmr.ab.ca/tech_eval/gss.htm

Lewin, K. (1946). Action Research and Minority Problems. *Journal of Social Issues,* 2, 34-46.

O'Brien, R. (2001). *An Overview of the Methodological Approach of Action Research.* Toronto: University of Toronto.

Susman, G. I. (1983). Action Research: A Sociotechnical Systems Perspective. In G. Morgan (Ed.), *Beyond Method: Strategies for Social Research* (pp. 95-113). London: Sage Publications.

Wadsworth, Y. (1997). *Do It Yourself Social Research* (2nd ed.). Sydney: Allen & Unwin.

Wimpenny, K. (2010). Participatory Action research: An Integrated Approach towards Practice Development. In M. Savin-Baden & C. H. Major (Eds.), *New Approaches to Qualitative Research: Wisdom and Uncertainty* (pp. 89-99). London & New York: Routledge.

Winter, R. (1989). *Learning From Experience: Principles and Practice in Action-Research*. Philadelphia: The Falmer Press.

Winter, R. (1996). Some Principles and Procedures for the Conduct of Action Research. In O. Zuber-Skerritt (Ed.), *New Directions in Action Research* (pp. 13-27). London: Falmer Press.

თავი 7
თვისებრივი კონტენტანალიზი

კონტენტანალიზი, როგორც ტექსტის ანალიზის ტექნიკა

თვისებრივი კონტენტანალიზი ტექსტური მასალის ანალიზის მეთოდია, რომელიც ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემების თუ ტენდენციების გამოსავლენად. ტექსტური მასალა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნაბეჭდი თუ ელექტრონული დოკუმენტების, აუდიო თუ ვიდეო მასალის სახით. მისი წყარო შესაძლოა იყოს პირადი დოკუმენტები (წერილები, დღიურები, ავტობიოგრაფიები და ა.შ.), ჯგუფური ინტერაქცია (ფოკუსჯგუფის დისკუსია, პოლიტიკოსებს შორის დებატები და ა.შ.), მედია (ტრადიციული და ვირტუალური), სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტაცია და ა.შ.

ტექსტები „სოციალურ ფაქტებს“ წარმოადგენენ, ვინაიდან მათი შექმნა, გავრცელება და გამოყენება სოციალური ინტერაქციის შედეგია. მეტიც, ისინი გვთავაზობენ „სოციალური რეალობის განსაკუთრებულ, დოკუმენტურ ვერსიას“ (Atkinson, Coffey, 2004, 59). ტექსტების ანალიზისას სოციალურ მკვლევრებს სამი უმთავრესი საკითხი აინტერესებთ: როგორ იქმნება ტექსტი გარკვეულ სოციალურ კონტექსტში; როგორ გამოიყენება ტექსტი ყოველდღიურ ინტერაქციაში; და რა გავლენას ახდენს ტექსტი მკითხველის იდენტობის ფორმირებაზე (Prior, 2004, 77).

ანალიტიკოსები ტექსტების ექვს საკვანძო ნიშანს გამოყოფენ, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია კონტენტანალიზისას: 1. *ტექსტებს არა აქვთ ობიექტური ანუ მკითხველისგან დამოუკიდებელი მახასიათებლები.* ტექსტებს და მათ გზავნილებს აზრი ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა მათ ვინმე კითხულობს და სწორედ

ამ მკითხველის თავისებურებებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაიგებს ის ტექსტის მნიშვნელობას და რა საზრისს დაინახავს მასში; 2. *ტექსტებს არა აქვთ ერთი კონკრეტული მნიშვნელობა.* ტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა სხვადასხვა ტიპის ანალიზის განხორციელების შესაძლებლობასაც ნიშნავს. მაგალითად, რაოდენობრივი და თვისებრივი მკვლევრები განსხვავებულად უდგებიან ტექსტის ანალიზს; 3. *ტექსტების მნიშვნელობის გაზიარება სავალდებულო არ არის.* მკვლევრები აღიარებენ, რომ იშვიათად თუ ხდება თანხმობის მიღწევა იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმა ტექსტის ავტორმა და რა საზრისია ჩადებული აღნიშნულ ტექსტში. მაგალითად, სოციოლოგები ადამიანთა ვერბალურ ან არავერბალურ ინტერაქციას განსხვავებულად აანალიზებენ, ვიდრე თავად ინტერაქციის მონაწილენი. უფრო მეტიც, კონტენტანალიტიკოსები ტექსტებს სხვა მკითხველებისგან განსხვავებულად რომ არ აანალიზებდნენ, კონტენტანალიზის მეთოდი არ იარსებებდა; 4. *მნიშვნელობები სცილდება კონკრეტულ ტექსტებს.* ტექსტები გვაწვდის ინფორმაციას შორეული ადგილების, წარსულის მოვლენების, ადამიანთა განსხვავებული შეხედულებების შესახებ და ა.შ. ეს კი უბიძგებს მკითხველს, კონკრეტულ ტექსტს მიღმა გავიდეს და დასვას კითხვები, თუ როგორ იყენებენ სხვა ადამიანები განსხვავებულ გარემოში იმავე ტექსტებს, როგორ ესმით მათი მნიშვნელობა, რა გავლენას ახდენს აღნიშნული ტექსტები მათ იდენტობაზე და ა.შ.; 5. *ტექსტები მნიშვნელობას იძენენ გარკვეულ კონტესტთან, დისკურსთან თუ მიზანთან კავშირში.* ტექსტებს ყოველთვის გარკვეული მიზნით ვკითხულობთ და ვცდილობთ, მათში გარკვეული საკითხების ხედვის თუ პრობლემებთან გამკლავების გზები აღმოვაჩინოთ. ერთი ტექსტის ანალიზის შემთხვევაშიც კი სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლებს შესაძლოა სხვადასხვა მოტივაცია ამოძრავებდეთ; მაგალითად, სოციოლოგებს სოციალური ინტერაქციის სპეციფიკა აინტერესებდეთ, ანთროპოლოგებს – ამ ინტერაქციის კულტურულ-სპეციფიკური მახასიათებ-

ლები, ლინგვისტებს – ინტერაქციის ვერბალური თავისებურებები და ა.შ.; 6. *კონტენტანალიტიკოსების მიერ ტექსტური მასალის ანალიზიდან მიღებული დასკვნები კონკრეტულ კონტექსტს ასახავს.* რადგან კონტენტანალიტიკოსი კონკრეტულ საკვლევ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, კონკრეტული მიდგომის გამოყენებით და კონკრეტულ პირობებში ახდენს ტექსტების ანალიზს, ამიტომ მისი დასკვნები კონტექსტსპეციფიკურია. უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ კონტექსტი თავადაც კონსტრუირებულია (ამ შემთხვევაში, კონტენტანალიტიკოსების მიერ) და ის მუდმივი რეკონსტრუირების პროცესშია (Krippendorf, 2004, 22-25).

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ კონტენტანალიტიკოსები (განსაკუთრებით, თვისებრივი, ინტერპრეტაციული პარადიგმის მიმდევარნი) ტექსტების ანალიზს სოციალური კონსტრუქტივიზმის პოზიციიდან უდგებიან. სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგია ტექსტის, როგორც სოციალური რეალობის კონსტრუირების საშუალების, ხედვა. კონტენტანალიზი კი ამ რეალობის წვდომის ინსტრუმენტად მოიაზრება. მკვლევრები რამდენიმე ნიშნით ახდენენ იმ ტექსტების კლასიფიცირებას, რომელთა გაანალიზებაც კონტენტანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი (Neuendorf, 2017, 23-24):

აშკარა და ლატენტური შინაარსი. პირველ რიგში, მკვლევარს თვალში ხვდება ტექსტის ის ელემენტები, რომლებიც აშკარად ჩანს და თან დათვლადია. თუმცა, ზედაპირულ მახასიათებლებთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ლატენტური შინაარსის წვდომაც, რომელიც ცალსახად თვალსაჩინო და პირდაპირ გაზომვადი არ არის, არამედ ხაზებს შორის იკითხება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი სოციალური ფენომენების გაზომვისას, როგორიცაა დისკრიმინაცია, სექსიზმი, ცრურწმენები და სხვ., რომლებიც ნაგულისხმევი უფროა, ვიდრე ღიად გამოხატული.

შინაარსის და *ფორმის ელემენტები* ამა თუ იმ მედიუმთან კავშირში განიხილება. შინაარსის ელემენტების გადაცემა ნებისმიერი მედიუმის გზით არის შესაძლებელი, ხოლო ფორმის ელე-

მენტებისა – მხოლოდ კონკრეტული მედიუმის გზით. ფორმის ელემენტები ხშირად შინაარსის ელემენტების მნიშვნელოვანი მედიატორები ხდებიან. მაგალითად, არსებობს კვლევები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სატელევიზიო გადაცემების ფორმატი მათი შინაარსის წვდომაზე, განსაკუთრებით ბავშვებში.

ტექსტის და სხვა სახის შინაარსის ანალიზი. ტრადიციულად, კონტენტანალიზის ერთეულად ტექსტი (ნაბეჭდი ან ელექტრონული) განიხილებოდა. დღეს, ტექსტის გაგება ბევრად ფართოა და, შესაბამისად, კონტენტანალიზის სამიზნეც გაფართოვდა, მოიცავს რა ვერბალურ და არავერბალურ ინტერაქციას და ვიზუალურ ხატებსაც კი.

ბოლო პერიოდში, გარდა ტექსტის გაგების ცვლილებისა, თავად კონტენტანალიზის ტექნიკის ხედვაც შეიცვალა. თუ ადრე მკვლევრები მას ექსკლუზიურად რაოდენობრივი ან თვისებრივი პერსპექტივიდან უდგებოდნენ, დღეს ორივეს კომბინირებას ახდენენ. თუ იყო დრო, როცა მკვლევართა ერთი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ობიექტური მონაცემების მოსაპოვებლად, კონტენტანალიზი აუცილებლად რაოდენობრივი უნდა ყოფილიყო, მეორე ჯგუფი კი ამტკიცებდა, რომ სიღრმისეული საზრისის წვდომა შეუძლებელია მონაცემების დათვლით და კონტენტანალიზი იმთავითვე თვისებრივი მეთოდია, თანამედროვე პირობებში გავრცელებულ პრაქტიკად ორივე მიდგომის გაერთიანება იქცა (Berg, Lune, 2012, 354). მიუხედავად ამისა, რაოდენობრივ და თვისებრივ კონტენტანალიზს შორის სხვაობა თვალსაჩინოა და მათი გამიჯვნის მიზნით, ზოგიერთი ავტორი *ნარატიულ ანალიზსა* და *არანარატიულ კონტენტანალიზს* განასხვავებს (Silverman, 2011). პირველ შემთხვევაში, მკვლევარი გარკვეულ პრინციპებს შეიმუშავებს და მათ საფუძველზე ტექსტის საზრისის წვდომას ცდილობს; მეორე შემთხვევაში კი, მკვლევარი გარკვეულ კატეგორიებს შეიმუშავებს და შემდეგ თითოეული კატეგორიის შიგნით შემთხვევების რაოდენობას ითვლის (იქვე, 64). ეს

ორი მიდგომა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ანალიზის განსხვავებული დონის ამსახველი და არა როგორც ორი რადიკალურად განსხვავებული ტექნიკა.

ნარატიული ანალიზი და არანარატიული კონტენტანალიზი

ნარატიული ანალიზი

ნარატიული ანალიზი განსაკუთრებით პოპულარული გახდა სოციალურ მეცნიერებებში ბოლო პერიოდის „ნარატიული ბრუნის“ თუ შემობრუნების ფონზე, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პოზიტივისტური პარადიგმა და თეორიის „მასტერ-/გრანდ ნარატივები“ (Riessman, 2005, 1). ნარატიული ანალიზი „ისტორიების სტრუქტურას აღწერს“ (Silverman, 2011, 75). ამ ისტორიების დიდი ნაწილი სიღრმისეული ინტერვიუდან მოდის. თუმცა, ისტორიების აღმოსაჩენად არ არის აუცილებელი ინტერვიუს ჩატარება; ისტორიები შეიძლება აღმოვაჩინოთ ავტობიოგრაფიებში, დღიურებში, პირად წერილებში, საგაზეთო სტატიებში, სალექციო კურსებში თუ ადამიანების ყოველდღიურ საუბარში. მაგალითად, თომასის და ზნანეცკის ცნობილი ნაშრომი „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“ (1918), რაც ემპირიული სოციოლოგიური კვლევის პირველ ნიმუშადაა მიჩნეული და პოლონელი მიგრანტების გამოცდილებას აღწერს ჩიკაგოში, უმეტესად, იმ პირადი წერილების ანალიზს ეფუძნება, რომლებსაც ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები პოლონელი ოჯახის წევრები ერთმანეთს უგზავნიდნენ. ავტორები აჩვენებენ, თუ რა სახით ვლინდება მიგრანტთა იდენტობების ცვლილება, როცა ისინი აღწერენ მათ ცხოვრებას ევროპასა და ამერიკაში. ამგვარი ანალიზი სოციალურ კონსტრუქტივიზმს ეფუძნება, ანუ აჩვენებს, თუ როგორ ახდენენ ადამიანები მათი იდენტობების კონსტრუირებას და როგორ წარმოაჩენენ საკუთარი თავის განსხვავებულ ვერსიებს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. ნარატი-

ული ანალიზი მიზნად ისახავს, მოცემული ტექსტის (ამ შემთხვევაში, პირადი წერილების) საფუძველზე იდენტობების ამ ვერსიების გამოვლენასა და მათზე რეფლექსიას.

ნარატიული ანალიზის კიდევ ერთი ნიმუშია ქ. რისმენის წიგნი „საუბარი განქორწინებაზე“ (“Divorce Talk”, 1990), რომელშიც ავტორი აანალიზებს, თუ როგორ ყვებიან ქალები და კაცები მათი განქორწინების ისტორიებს. ავტორს აინტერესებს არა მხოლოდ ის, თუ როგორ აღწერს თითოეული ისტორია მისი მთხრობლის სოციალურ ცხოვრებას, არამედ ისიც, თუ წარმოჩენილი თემატიკა და თხრობის სტილი როგორ ახდენს მთხრობელის გამოცდილების კონსტრუირებას. თავად წიგნის ყდაზე მოცემული შეჯამების თანახმად, განქორწინების ასახსნელად, ქალები და კაცები ქორწინების მოლოდინების გენდერულ ხედვას გვთავაზობენ და, ამასთანავე, სწორედ გენდერულ სხვაობებს აბრალებენ მათ განქორწინებას. რისმენი აანალიზებს „ისტორიებს, რომელთაც ადამიანები მათი ქორწინების – პროტაგონისტების, ამაღელვებელი მომენტების და კულმინაციური მოვლენების – შესახებ ყვებიან და იმასაც, თუ როგორ ცდილობენ მთხრობელები ამ ნარატიული სტრუქტურების გზით როგორც საკუთარი თავის, ისე მსმენელის დარწმუნებას, რომ განქორწინება გამართლებული იყო“. ამგვარად, ნარატიული ანალიზის გამოყენებით შეგვიძლია ავხსნათ, თუ როგორ ახდენენ ადამიანები სოციალური რეალობის გარკვეული ვერსიის კონსტრუირებას ყოველდღიური საუბრის გზით.

როგორც აღინიშნა, ნარატიული ანალიზის სამიზნეს არა მხოლოდ ინტერვიუს მონაცემები, ყოველდღიური საუბრები თუ პირადი წერილები, არამედ ნებისმიერი ტექსტური მასალა წარმოადგენს, რომელშიც ისტორიებია გადმოცემული. როგორ უნდა მოხდეს ამ ისტორიების ანალიზი? ავტორები ნარატიული ანალიზის სხვადასხვა ტიპს გვთავაზობენ, რომლებიც ურთიერთშემავსებელია და მათ შორის საზღვრები საკმაოდ მყიფეა (Riessman, 2008).

თემატური ანალიზისას თავად ტექსტის შინაარსზე კეთდება აქცენტი, ანუ „რა“ არის ნათქვამი და არა „როგორ“ ხდება მისი გადმოცემა. როგორც წესი, მკვლევრები ისტორიებს აგროვებენ და თემატიკის საფუძველზე მათ კონცეპტუალურ დაჯგუფებას ახდენენ. თემატური ანალიზი ძალიან ხელსაყრელია სხვადასხვა შემთხვევებს შორის საერთო მახასიათებლების გამოსავლენად, კერძოდ, საკვლევი სუბიექტების მიერ მოთხრობილ ისტორიებს შორის საერთო თემატიკის აღმოსაჩენად. რადგან კვლევის ფოკუსი თავად ისტორიის შინაარსია, ანალიტიკოსები ნათქვამის ინტერპრეტაციას მხოლოდ მისი შინაარსის საფუძველზე ახდენენ და, როგორც წესი, სოციალურ კონტექსტს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ისევე როგორც ენის გამოყენების სპეციფიკას (Riessman, 2005, 2-3).

სტრუქტურული ანალიზისას კვლევის ფოკუსია ის, თუ „როგორ“ ხდება ისტორიის მოყოლა. მართალია, თემატიკა თუ შინაარსი კვლავ მნიშვნელოვანია, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება ფორმის შესწავლაც, ანუ ის, თუ რა ნარატიული სტრატეგიების გამოყენებით ცდილობს მთხრობელი მსმენელის დარწმუნებას. ამდენად, წინა მიდგომისგან განსხვავებით, ენის გამოყენების ანალიზი საკვანძო მნიშვნელობას იძენს. სტრუქტურული ანალიზის ფუძემდებლად უილიამ ლაბოვი (1982) მიიჩნევა, რომელმაც ძალადობის გამოცდილების ამსახველი პიროვნული ისტორიები შეისწავლა და ანალიზისას ნარატიული სტრუქტურის შემდეგ ელემენტებზე გაამახვილა ყურადღება: შეჯამება (ისტორიის არსის მოკლედ გადმოცემა); ორიენტაცია (დროის, ადგილის, მოქმედი პირების და სიტუაციის აღწერა); სიტუაციის გართულება (ფაბულა, რომელიც, როგორც წესი, კრიზისს ან გარდამტეხ მომენტს აღწერს); შეფასება (მთხრობელის კომენტარი ან ემოციური რეფლექსია ფაბულაზე); გახსნა (ფაბულის შედეგი); მიზანსცენა (ისტორიის დასრულება და ქმედების კვლავ აწმყოში დაბრუნება). მართალია, ყველა ისტორია არ მოიცავს ყველა ზემოხსენებულ ელემენტს და ისინი შეიძლება სხვადასხვა თანმიმდევ-

რობითაც შეგვხვდეს, მაგრამ ლაბოვის სტრუქტურული ანალიზი მაინც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ძალადობის გამოცდილების კონსტრუირება და მასზე რეფლექსია მთხრობელთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ (იქვე, 3).

ინტერაქციული ანალიზისას მკვლევრის ფოკუსია მთხრობელსა და მსმენელს შორის დიალოგური პროცესი. აქ განსაკუთრებული როლი ენიჭება ნარატივის სოციალური კონტექსტის ანალიზს, რადგან, გოფმანის (1956) არაერთხელ გამოყენებულ ფრაზას კიდევ ერთხელ რომ მივმართოთ, ნებისმიერი ინტერაქციისას ადამიანი ცდილობს, მისი ქმედება იმ „ჩარჩოს“ მოარგოს, რომელიც მოცემულ სოციალურ კონტექსტს შეესაბამება და თუ შემთხვევით ის ამ „ჩარჩოდან“ ამოვარდება, გარშემომყოფებისგან შეუმჩნევლად კვლავ ამ „ჩარჩოს დაუბრუნდეს“. მიუხედავად იმისა, რომ ინტერაქციული ანალიზისას თემატური და სტრუქტურული ანალიზიც შენარჩუნებულია, მთავარი აქცენტი უშუალოდ თხრობის პროცესზეა, როგორც სოციალური რეალობის კონსტრუირების საშუალებაზე, საუბრის შემთხვევაში კი – როგორც მონაწილეთა მიერ რეალობის თანაკონსტრუირების გზებზე. ინტერაქციული მიდგომა ხელსაყრელია მოსაუბრეებს შორის ურთიერთობის შესასწავლად სხვადასხვა სოციალურ გარემოში, იქნება ეს საკლასო ოთახი, სამედიცინო დაწესებულება, სასამართლო, ინტერვიუს თუ ფოკუსჯგუფის გარემო და ა.შ. ამ შემთხვევაში, თავად საუბართან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია საუბრის პროცესის შემადგენელი ისეთი ელემენტების ანალიზიც, როგორიცაა პაუზა, რიგითობა, საუბრის შეწყვეტა ან სიტყვის ჩამორთმევა და ა.შ. თუმცა, ინტერაქციული ანალიზი ნაკლებ ამახვილებს ყურადღებას არავერბალურ ნიშნებზე, როგორიცაა ჟესტები, მიმიკები, დაჟინებული მზერა და ა.შ., რაც, რეალურად, საუბრის მნიშვნელობის უკეთ გაგებაში გვეხმარება და რაც მომდევნო მიდგომის ფოკუსია (Riessman, 2005, 4-5).

პერფორმატიული ანალიზისას ისტორიის მოყოლა განიხილება, როგორც „შესრულება“, ანუ მხოლოდ თხრობაზე კი არ

არის აქცენტი, არამედ ქმედებაზეც; შესაბამისად, ვერბალურ კომუნიკაციასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია არავერბალური კომუნიკაციის ანალიზიც. პერფორმატიული მიდგომა ხელსაყრელია არა მხოლოდ კომუნიკაციის პროცესის, არამედ იდენტობის კონსტრუირების საკვლევადაც, კერძოდ, როგორ ცდილობენ მთხრობელები მოცემულ სიტუაციაში საკუთარი იდენტობის ამა თუ იმ ვერსიის კონსტრუირებას და აუდიტორიისთვის დამაჯერებლად მიწოდებას (იქვე, 5). აქ კვლავ გოფმანის (1956) დრამატურგიულ მიდგომას უნდა მივმართოთ და მისი „სცენა“ (“front region”) და „კულისები“ (“back region”) გავიხსენოთ – თუ როგორ ემზადებიან შემსრულებლები „კულისებში“ აუდიტორიის წინაშე თავის წარსადგენად და როგორ ცდილობენ დაგეგმილი ქმედების ზედმიწევნით შესრულებას „სცენაზე“, რომ ერთმანეთზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნარატიული ანალიზისას შემდეგი პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ (Silverman, 2011, 82):

- მსოფლმხედველობრივ საფუძვლად კონსტრუქტივისტული მიდგომა ავიღოთ;
- ნარატივის ანალიზისას ყურადღება გავამახვილოთ არა მხოლოდ მის შინაარსზე, არამედ ფორმასა და ფუნქციაზეც, ანუ იმაზე, თუ როგორ არის აგებული ნარატივი და რატომ სწორედ ამ სახით;
- ნარატივის ანალიზისას აუცილებლად გავითვალისწინოთ მისი სოციალური კონტექსტი და პერფორმატიული სტრატეგიები, რომელთა გამოყენებითაც აქტორები ერთმანეთზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობენ.

არანარატიული კონტენტანალიზი

ნარატიული ანალიზისგან განსხვავებით, არანარატიული კონტენტანალიზის მიზანია არა ტექსტის სიღრმისეული ანალიზი, მისი სემანტიკური მნიშვნელობის, ფორმის, ფუნქციის თუ კონტექსტის გათვალისწინებით, არამედ ანალიტიკური კატეგორიების

შემუშავება და მოცემულ ტექსტში მათი გამოვლენის სიხშირის დათვლა. ამ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ შემუშავებული კატეგორიები იმდენად ზუსტი იყოს, რომ ყველა ანალიტიკოსი, რომელიც მოცემულ ტექსტს განიხილავს, მსგავს შედეგებამდე მივიდეს. სწორედ ამ გზით ცდილობენ მოცემული მიდგომის წარმომადგენლები საზომის სანდოობის (სხვადასხვა მკვლევრის მიერ მისი იდენტურად გამოყენება) და შედეგების ვალიდობის (ამა თუ იმ სიტყვის გამოყენების სიხშირის დათვლა) უზრუნველყოფას (Silverman, 2011, 64-65). ამდენად, არანარატიული კონტენტანალიზი პოზიტივისტურ ხედვას ეფუძნება.

რა საფეხურებს გადის მკვლევარი ამგვარი კონტენტანალიზისას? ავტორებს სავალდებულოდ მიაჩნიათ შემდეგი საფეხურების გავლა (იქვე, 65):

- საკვლევი პრობლემის შესაბამისი ტექსტების მოძიება;
- სათანადო შერჩევის განხორციელება, თუ მათი რაოდენობა ძალიან დიდია;
- კოდების ჩარჩოს (კატეგორიზაციის სქემის) შექმნა, რომელიც თეორიული მასალის და ემპირიული მონაცემების რელევანტურია;
- კოდების ჩარჩოს შემოწმება და განახლება პილოტური კვლევის საფუძველზე;
- კოდების სანდოობის შემოწმება;
- შერჩეული ტექსტური მასალის კოდირება;
- მონაცემების ფაილის შექმნა სტატისტიკური ანალიზისთვის;
- კოდების წიგნის შედგენა, რომელიც განმარტავს: 1. კოდირების ჩარჩოს სპეციფიკას; 2. კოდების გამოვლენის სიხშირეს; 3. კოდირების პროცესის სანდოობას.

მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ მიუხედავად რაოდენობრივი და შედარებით ზედაპირული ხასიათისა, ამგვარი კოდირება თვისებრივი მკვლევრებისთვისაც გამოსადეგია. უპირველეს ყოვლისა, ის მონაცემების დიდ რაოდენობას ცხრილავს და ორგანიზე-

ბულ სეგმენტებამდე დაჰყავს, რითიც თვისებრივ ანალიზსაც ამარტივებს. თუმცა, ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს, კერძოდ, მონაწილეების თვალით დანახული კატეგორიების ნაცვლად, ის მკვლევრის მიერ წინასწარ შექმნილ კატეგორიებს ეფუძნება და, შესაბამისად, რაოდენობრივი კვლევის თეორიული მიდგომისგან ვერ თავისუფლდება (იქვე, 66).

არანარატიული კონტენტანალიზის ნიმუში მეოთხე თავში გვაქვს განხილული, ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზის ტიპებზე საუბრისას. რადგან მოცემული ნაშრომი სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდებს ეძღვნება და ამ თავის ფოკუსი თვისებრივი კონტენტანალიზია, ამიტომ არანარატიულ კონტენტანალიზზე აღარ შევჩერდებით.

ამბები და თვალსაზრისები

როგორც აღინიშნა, ტექსტის ნარატიული ანალიზისას მნიშვნელოვანია მისი რიტორიკის შესწავლა, ანუ როგორ არის ძირითადი არგუმენტები აგებული და როგორ ცდილობს ავტორი შინაარსის დამაჯერებლად გადმოცემას (Rapley, 2007, 113). ავტორმა შესაძლოა არჩიოს მხოლოდ ფაქტების გადმოცემა, რომ მიუკერძოებლად ჟღერდეს (ანუ „ამბები“ გადმოსცეს), ან პირიქით, საკუთარი შეფასებები შესთავაზოს მკითხველს და ამ გზით მისი დარწმუნება სცადოს (ანუ „თვალსაზრისი“ წარადგინოს). ამბების და თვალსაზრისების ანალიზი განსხვავებულად ხორციელდება: თუ ამბების ანალიზისას, უმეტესად, მათი შინაარსის შეჯამება ხდება, თვალსაზრისების ანალიზისას საფუძველმდებარე დისკურსებზეც ხდება ყურადღების გამახვილება და მკვლევარი ამა თუ იმ პოზიციის გამომწვევი მიზეზების დადგენასაც ცდილობს.

ნიმუშის სახით, საქართველოში ევროპეიზაციის შესახებ დისკურსებზე კვლევა განვიხილოთ, რომლის ფარგლებში პროდასავლური და ანტიდასავლური მედიის ანალიზიც განხორციელდა (წულაძე et al., 2016). გთავაზობთ მედიაში გაჟღერებულ

რიტორიკას 2016 წლის ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. ეს თვე ქვეყნის ევროპეიზაციის კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან 9-10 ივნისს, ევროკავშირის საბჭოს შეხვედრაზე, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება, თუმცა პროცესი 20 ივნისისთვის გადაიდო. ამჯერად ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება საქართველოს ვიზალიბერალიზაციის თაობაზე, თუმცა საკითხი კვლავ ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტში დააბრუნეს.

თავდაპირველად, ქართულ მედიაში ზემოხსენებული მოვლენის „ამბების“ სახით შეჯამება განვიხილოთ:

> *10 ივნისს, ევროკავშირის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრთა საბჭომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხი განიხილა. საქართველოს შესახებ გადაწყვეტილება მინისტრებმა ვერ მიიღეს, ევროკავშირის რიგი წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგობის გამო. 20 ივნისს, აღნიშნულ საკითხს ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭო განიხილავს. იმ შემთხვევაში, თუ ამ შეხვედრაზე საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის დასრულება შეიძლება რამდენიმე თვით გადაიდოს (IDFI).*

ცხადია, რომ წარმოდგენილი ამონარიდი ფაქტის სახით, შეფასების გარეშე გვაწვდის საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესის შეფერხებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამონარიდიდან ვიგებთ, რომ ამ შეფერხების მიზეზია ევროკავშირის გარკვეული სახელმწიფოების მხრიდან საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებაზე უარის თქმა და რომ შესაძლოა პროცესი კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდეს. ამ ამონარიდიდან ვერ ვიგებთ ავტორის პოზიციას განხილული ფაქტის მიმართ, ანუ ტექსტი მხოლოდ „ამბავს“ გვთავაზობს და არა „თვალსაზრისს“.

ახლა განვიხილოთ „თვალსაზრისები“ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ვიზალიბერალიზაციის გადაწყვეტილების გადავადების შესაძლო შედეგებს როგორც პროდასავლური, ისე ანტიდასავლური მედია განიხილავს და საკუთარ შეფასებებს გვთავაზობს. პროდასავლური მედია მოსახლეობის მოსალოდნელ ფრუსტრირებაზე საუბრობს; თუმცა ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილების მიღების გადავადება უარს არ ნიშნავს და მთავარი კითხვაა „როდის?“ და არა „იქნება თუ არა?“

> *საზოგადოების ჯანსაღად მომლოდინე ნაწილი სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის გახანგრძლივების შემთხვევაში ძალიან გაწბილდება... ამ ყველაფრის მიუხედავად, ანალიტიკოსები შეგვახსენებენ, რომ პროცესის რამდენიმე თვით გახანგრძლივება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის უარის თქმას („რადიო თავისუფლება“).*
>
> *საქართველოსთან მიმართებაში არის გადაწყვეტილება მიღებული, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას მიიღებს. ამიტომ ამ გადაწყვეტილების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება დღეს არ ხდება. აქ საუბარია პროცესზე და პროცესის მიმდინარეობაზე. მესიჯი არის ის, რომ საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა გაიტეხოს გული, რომ ეს ივნისში არ მოხდება, თუ ივლისში თუ ა.შ. ჩვენ ვიმუშავებთ, რომ ეს რაც შეიძლება მალე იქნას, მათ შორის თუნდაც ივლისში („ტაბულა“).*

თუმცა, ანტიდასავლურ მედიაში ვიზალიბერალიზაციის მიღების გადავადება შეფასებულია, როგორც ევროპის მიერ საქართველოს „დაცინვა“ და „დამცირება“. უფრო მეტიც, ძირითადი ნარატივის თანახმად, აღნიშნული მდგომარეობით „საქართველო *თვითდამცირების პოზაში დგება*“ და გამოთქმულია იმედი, რომ ამის შემდეგ მაინც *„გამოვა ქვეყანა ლეთარგიული ძილიდან“ („ასავალ-დასავალი“).*

როგორც ვხედავთ, პროდასავლური და ანტიდასავლური მედიის რიტორიკა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან

და თუ პირველი მკითხველს მოუწოდებს, „გული არ გაიტეხოს“, რადგან ვიზალიბერალიზაციის მინიჭების რამდენიმე თვით გადავადება მის „კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას“ არ ნიშნავს, მეორე მკითხველს „გამოფხიზლებისკენ“ და „თითდამცირებაზე“ უარის თქმისკენ მოუწოდებს. როცა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე პროდასავლური და ანტიდასავლური მედიის რიტორიკა უკვე ცნობილია, მკვლევრისთვის ბევრად მარტივია შესაბამისი არგუმენტების მოძიება და ამ რიტორიკის კონტექსტში მათი შეჯამება და ინტერპრეტაცია.

კონტენტანალიზის დიზაინი

კონტენტანალიზის დიზაინი კვლევის პროცესში განხორციელებული საფეხურების აღწერას მოიცავს, ანუ მკვლევრის მოძრაობას ტექსტიდან კვლევის შედეგებამდე. კონტენტანალიზის პროცესში შემდეგი საფეხურებია გასავლელი:

- ანალიზის ერთეულის განსაზღვრა;
- შერჩევის განხორციელება;
- მონაცემების კოდირება;
- მონაცემების შეკვეცა ანალიზის გამარტივების მიზნით;
- დასკვნების გამოტანა მოცემული კონტექსტის შესაბამისი ანალიტიკური მოდელების საფუძველზე;
- საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა ნარატივის სახით, ანუ მონაცემების ინტერპრეტაციისთვის ნარატიული ანალიზის გამოყენება.

პირველი ხუთი საფეხური მონაცემების შექმნის პროცესს აღწერს, რაც კვლევის სხვა მეთოდებისთვისაც დამახასიათებელია, იქნება ეს თვისებრივი თუ რაოდენობრივი მეთოდები. თუმცა, კონტენტანალიზისას ეს საფეხურები მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკით გამოირჩევა. ბოლო საფეხური კი კონტენტანალიზისთვის უნიკალურია (Krippendorf, 2004, 83).

ანალიზის ერთეულის განსაზღვრა ტექსტის ამა თუ იმ სეგმენტის – სიტყვების, ფრაზების და ა.შ. – სისტემატურ გამოყოფას და ანალიზის ძირითად სამიზნედ ქცევას გულისხმობს. *შერჩევა* ტექსტების ერთობლიობის იმგვარ რაოდენობამდე დაყვანას გულისხმობს, რომ მათი ანალიზი რეალისტური იყოს და, იმავდროულად, ისინი ამ ერთობლიობის სტატისტიკურ (რაოდენობრივი კონტენტანალიზისას) ან კონცეპტუალურ (თვისებრივი კონტენტანალიზისას) რეპრეზენტაციას ახდენდნენ. *კოდირება* ერთგვარი ხიდია ანალიზის ერთეულებსა და მკითხველის მიერ მათ გაგებას შორის. მკვლევარი ანალიტიკურ კატეგორიებს ქმნის, რომელთა სახელდებასაც ახდენს და შემდეგ მათი შედარება შეუძლია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ან სხვა მსგავსი კვლევების მონაცემებთანაც კი. *მონაცემების შეკვეცა* ბევრად ამარტივებს მონაცემების „მართვას“ და ანალიზს. რაოდენობრივი კონტენტანალიზისას ის სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით ხდება, თვისებრივი კონტენტანალიზისას კი – მონაცემების შეჯამებით და მხოლოდ ანალიზისთვის არსებითი ინფორმაციის შენარჩუნებით. *კონტექსტური დასკვნების გამოტანის* გზით ტექსტის ანალიზი კონკრეტული მონაცემების ანალიზს სცილდება და ტექსტის აღწერით ანგარიშს მის ანალიტიკურ ინტერპრეტაციასთან აკავშირებს. ცხადია, რომ ძირითადი არგუმენტების გასამყარებლად მკვლევარს შესაბამისი სამხილის მოძიება სჭირდება, რაც კონტენტანალიზისას იმ ანალიტიკური მოდელების საფუძველზე ხდება, რომლებიც მოცემული კონტექსტის შესახებ დეტალურ ცოდნას გვაწვდის. *საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემისას* კონტენტ-ანალიტიკოსი ნარატიულ ანალიზს იყენებს და თავად მონაწილეების პერსპექტივიდან ახდენს მონაცემების ინტერპრეტაციას. ამასთან, ის ხსნის, თუ როგორ ამდიდრებს მოცემული კვლევის შედეგები დარგის ლიტერატურას და რა პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია კონკრეტულ დარგს მიღმა (იქვე, 83-85).

ტექსტური მასალის ანალიზი

ტექსტის ჟანრი და ენა

როგორ უნდა გავაანალიზოთ ტექსტური მასალა? პირველ რიგში, თვალში გვხვდება ტექსტის ენა და სტილი, რომლითაც მას გარკვეულ *ჟანრს* მივაკუთვნებთ. ჟანრი შესაბამისი *ლინგვისტური რეესტრით* გამოირჩევა, ანუ ენის სპეციფიკური გამოყენებით, რაც ყოველდღიური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსთანაა დაკავშირებული. ცალკეულ პროფესიებს თუ ორგანიზაციებს მათთვის დამახასიათებელი რეესტრი აქვთ. მკვლევარს მარტივად შეუძლია განსაზღვროს, თუ რა სახის დოკუმენტთან აქვს საქმე, თუ ამ დოკუმენტში ენის სპეციფიკურ გამოყენებას შეისწავლის. თითოეული ჟანრი მისთვის დამახასიათებელი ფორმით, ლექსიკონითა და ტონით გამოირჩევა (Atkinson, Coffey, 2004, 59). მაგალითად, მკითხველს მომენტალურად შეულია აკადემიური ჟანრის ტექსტის „ყვითელი პრესისგან“ გარჩევა, მასში გამოყენებული სამეცნიერო ტერმინოლოგიის, თხრობის სტილის, არგუმენტების ფორმულირების, შესაბამისი სამხილის წარდგენის და საერთო ლინგვისტური რეესტრის საფუძველზე.

ავტორი და მკითხველი

მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ტექსტთან გვაქვს საქმე, ცხადი თუ ანონიმურია მისი ავტორი და თვალსაჩინოა თუ არა სამიზნე აუდიტორია, ტექსტის შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების ერთიანი სისტემის გასაგებად, მკვლევარი ავტორს (აშკარა ან ნაგულისხმევს) და მკითხველს (აშკარა ან ნაგულისხმევს) უნდა შეეხოს (იქვე, 70). ტექსტი ყოველთვის მკითხველზეა გათვლილი, ანუ ის თუნდაც იმპლიციტურად გულისხმობს სავარაუდო აუდიტორიას და ამ უკანასკნელისთვის ტექსტი გასაგები რომ იყოს, ავტორი შესაბამის ჟანრს, ენას და სტილს ირჩევს. მაგალითად, მოცემული სახელმძღვანელო სოციალურ მეცნიერებათა სტუდენტებისთვისაა გამიზნული, ამიტომ მასში

გამოყენებული ტერმინოლოგია, ენა და სტილი სოციალურ მეცნიერებათა სფეროდანაა. ამასთან, ითვალისწინებს რა თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების აუცილებლობას და იმას, რომ სტუდენტს ბევრად გაუმარტივდება ინფორმაციის ათვისება შესაბამისი მაგალითების საფუძველზე, ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მაგალითი ჩადოს ამ სახელმძღვანელოში და თან არა მხოლოდ მისი პირადი ან სხვა მკვლევრების გამოცდილებიდან, არამედ თავად სტუდენტების გამოცდილებიდანაც.

ანალიზის ერთეულები

მას შემდეგ, რაც ტექსტის ჟანრი და ენა დადგენილია და აშკარა ან ნაგულისხმევი ავტორი და მკითხველიც განსაზღვრულია, მკვლევარი ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ერთეულების იდენტიფიცირებას ახდენს. ანალიზის ერთეულების განსაზღვრა მკვლევარს მონაცემების შეკვეცაში თუ გაცხრილვაში ეხმარება. ის ირჩევს, თუ ტექსტის რა ერთეულები შეარჩიოს ანალიზისთვის, რათა საკვლევ შეკითხვას უპასუხოს. ამგვარი ერთეულების სახით შეიძლება მოგვევლინოს სიტყვები ან ტერმინები, თემები, აქტორები, პარაგრაფები და ცნებები (Berg, Lune, 2012, 359).

სიტყვა კონტენტანალიზის ყველაზე მცირე ერთეულია. მკვლევარმა შესაძლოა დაითვალოს მოცემულ ტექსტში კონკრეტული სიტყვების თუ ტერმინების სიხშირე (რაოდენობრივი კონტენტანალიზისას) ან მათი სემანტიკური მნიშვნელობა იკვლიოს (თვისებრივი კონტენტანალიზისას). მაგალითად, რა სიხშირით ახსენებენ ქართველი პოლიტიკოსები ინტერვიუს პროცესში სიტყვა „ევროპეიზაციას“ და რა მნიშვნელობით იყენებენ ამ ტერმინს.

თემა მარტივი წინადადებაა, რომელშიც სუბიექტი და მისი ქმედება (ანუ არსებითი სახელი და ზმნა) არის წარმოდგენილი. რადგან სუბიექტი მისი ქმედებით ტექსტში მრავალჯერ გვხვდება, ამიტომ მკვლევარმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რა კონკრეტული ამონარიდების ანალიზს აპირებს. მაგალითად, მას შეიძლება აინტერესებდეს ქართველი პოლიტიკოსების შეფასებები

ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებთან ან ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის დანერგვის მცდელობებთან დაკავშირებით და ა.შ.

აქტორიც შესაძლოა ტექსტური ანალიზის ერთეულად მოგვევლინოს და ამ შემთხვევაში, მკვლევარი გარკვეული სიტყვების თუ ტერმინების სიხშირეს კი არ ითვლის ტექსტში, არამედ ამა თუ იმ აქტორის თუ პიროვნების მოხსენიების სიხშირეს (რაოდენობრივი კონტენტანალიზისას), ან აანალიზებს, თუ რა კონტექსტში და რა პერფორმატიული ფუნქციით გვევლინება ეს აქტორი (თვისებრივი კონტენტანალიზისას). მაგალითად, რა სიხშირით ახსენებენ ქართველი პოლიტიკოსები არასამთავრობო სექტორს საქართველოს ევროპეიზაციის კონტექსტში და რა როლს მიაწერენ მას ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებაში.

პარაგრაფი ნაკლებად განიხილება კონტენტანალიზის ერთეულად, მეტწილად, მისი კოდირების სირთულის გამო, რადგან შესაძლოა ერთ პარაგრაფში სხვადასხვა იდეა იყოს თავმოყრილი. თუმცა, რადგან თითოეული პარაგრაფი გარკვეულ არგუმენტს მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებით, ის ტექსტის კოდირებისა და კატეგორიზაციისთვის მაინც გამოსადეგი ერთეულია.

ცნების გამოყენება კონტენტანალიზისთვის, წინა ერთეულებთან შედარებით, პროცედურულად ყველაზე რთულია, რადგან ცნებები ნიშნავს კონცეპტუალურ კლასტერებად დაჯგუფებულ სიტყვებს. მაგალითად, ევროპეიზაციის ცნებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური კლასტერი შეიძლება შედგებოდეს ისეთი სიტყვებისგან/ტერმინებისგან, როგორიცაა ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია, პირობითობა, სოციალიზაცია და ა.შ. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ თვისებრივი კონტენტანალიზი იძენს, კერძოდ, ამ კონცეპტუალური კლასტერის სემანტიკური მნიშვნელობის წვდომა ქართველი პოლიტიკოსების ნარატივებში ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ.

კოდირება

ანალიზის ერთეულების იდენტიფიცირებას და საერთო მახასიათებლების საფუძველზე მათ დაჯგუფებას ანუ კატეგორიების შექმნას, მათი კოდირება მოსდევს, რაც კონტენტანალიზის ბირთვს წარმოადგენს. ამდენად, კოდირება კატეგორიების იდენტიფიცირების და სახელდების პროცესია, რაც თითოეული სტრიქონის, წინადადების, პარაგრაფის, გვერდის თუ სექციის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს. განსხვავებით რაოდენობრივი კონტენტანალიზისგან, სადაც კატეგორიები ურთიერთგამომრიცხავი უნდა იყოს, რომ სტატისტიკური ანალიზის პროცესში ხარვეზები არ გამოიწვიოს, თვისებრივი კონტენტანალიზი საშუალებას აძლევს მკვლევარს, ტექსტის გარკვეული ერთეული ერთდროულად ერთზე მეტ კატეგორიას მიაკუთვნოს (Tesch, 1990). მიუხედავად თვისებრივი კონტენტანალიზის ამგვარი მოქნილობისა, კატეგორიები მაინც იმგვარად უნდა იქნას შემუშავებული, რომ შიგნიდან მაქსიმალურად ჰომოგენური, ხოლო გარედან ანუ ერთმანეთთან მიმართებაში მაქსიმალურად ჰეტეროგენული იყოს (Lincoln, Gupa, 1985, 335). საგულისხმოა, რომ, რაც უფრო მცირეა ანალიზის ერთეული, მით მეტი აღწერითი კატეგორია იქმნება, ანალიზის მომდევნო ეტაპზე კი ისინი უფრო მსხვილ ანალიტიკურ კატეგორიებად ერთიანდება. ანუ საწყის ეტაპზე კოდირება, უმეტესად, აღწერითია, თუმცა ანალიზის გაღრმავების კვალდაკვალ, ის მეტად ანალიტიკური ხდება. თვისებრივი მკვლევრები კოდირების სამ ეტაპს გადიან:

მკვლევარი *ღია კოდირებით* იწყებს, რაც გარკვეული ფენომენების თუ მოვლენების უფრო ფართო აღწერით კატეგორიებში გაერთიანებას გულისხმობს. ამ პროცესში, მოცემული ფენომენების, მოვლენების თუ ინტერაქციების დანარჩენებთან შედარება და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა ხდება. ამ გზით, კონცეპტუალურად მსგავსი ფენომენები, მოვლენები თუ ინტერაქციები ერთად ჯგუფდება და საერთო კატეგორიებს

თუ ქვეკატეგორიებს ქმნის, რომელთაც მკვლევარი შესაბამის სახელწოდებას აძლევს (Corbin, Strauss, 1990, 12). მაგალითად, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გარკვეული რეფორმების განსახორციელებელი თანხის გადაცემა, ევროკავშირის ქვეყნებთან უკეთესი სავაჭრო ტარიფების შეთავაზება, ვიზალიბერალიზაციის პროცესის დაჩქარება და მსგავსი მოვლენები შეგვიძლია გავაერთიანოთ კატეგორიაში „პოზიტიური პირობითობა“. ღია კოდირება მკვლევარს საშუალებას აძლევს, ზოგადი სახის ანალიტიკური შეკითხვები დასვას. მაგალითად, რას ნიშნავს ევროკავშირის „პოზიტიური პირობითობა“ და როგორ ვლინდება ის საქართველოს შემთხვევაში? რით განსხვავდება ის ევროპეიზაციის ისეთი მექანიზმისგან, როგორიცაა „სოციალიზაცია“? და ა.შ. სწორედ ამ გზით ხდება თითოეული კატეგორიის დაზუსტება და კატეგორიებს შორის შედარებების განხორციელება.

ღია კოდირებას *ღერძული კოდირება* მოსდევს, რომლის დროსაც კატეგორიების შემდგომი ჩაშლა ხდება ქვეკატეგორიებად. ლოგიკური და იერარქიული თანმიმდევრობით მათი დალაგების მიზნით, მკვლევარი *კოდირების პარადიგმას* (Corbin, Strauss, 1990, 13) თუ *კოდირების ჩარჩოს* (Berg, Lune, 2012, 367) შეიმუშავებს, სადაც ზოგი კატეგორია „ბირთვს“ ქმნის, ზოგი კი – „პერიფერიას“. ჩვენს ზემოხსენებულ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ და „პოზიტიური პირობითობის“ შემადგენელი ქვეკატეგორიები განვიხილოთ, უნდა განიმარტოს, თუ რამ უბიძგა ევროკავშირის მხრიდან „პოზიტიური პირობითობის“ განხორციელებას, რა კონკრეტულ კონტექსტში აქვს მას ადგილი და რატომ სწორედ ამ კონტექსტში, რა შედეგები მოაქვს „პოზიტიური პირობითობის“ თითოეულ შემთხვევას საქართველოსთვის და ა.შ. ღერძული კოდირებისას მკვლევარი მონაცემების მეტად დეტალურ ინტერპრეტაციაზე გადადის. მაგალითად, მას შეუძლია ჩაუღრმავდეს „პოზიტიური პირობითობის“ თითოეულ აღწერილ შემთხვევას და შეადაროს მათი სპეციფიკა სხვადასხვა კონტექსტში.

ვთქვათ, როგორ განხორციელდა ევროკავშირის „პოზიტიური პირობითობა“ სასამართლო რეფორმის შემთხვევაში და როგორ – საგანმანათლებლო რეფორმის შემთხვევაში, რა მსგავსება-განსხვავებებია ამ შემთხვევებს შორის და რა შეიძლება იწვევდეს ამ განსხვავებებს.

სელექციური კოდირება ყველა კატეგორიის „ბირთვული“ კატეგორიის გარშემო გაერთიანებას გულისხმობს, ამიტომ ის მონაცემების ანალიზის უფრო გვიან ეტაპზე ხორციელდება. „ბირთვული“ კატეგორია ძირითად საკვლევ ფენომენს წარმოადგენს. მისი განსაზღვრა საკვლევი კითხვის საფუძველზე ხდება: რა არის ამ კვლევის მთავარი ფოკუსი? ერთი წინადადებით რომ აღვწერო კვლევა, რას ვიტყოდი? რა გზით შემიძლია ავხსნა კატეგორიებს შორის ვარიაცია? ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, მკვლევარი დასვამდა კითხვას, თუ ევროპეიზაციის მექანიზმებიდან რომელია წამყვანი საქართველოში და რატომ სწორედ ის? ანალიზის ამ ეტაპზე ადგილი აქვს ნაკლული კატეგორიების შევსებას, ბუნდოვანი კატეგორიების დაზუსტებას და „ბირთვულ“ კატეგორიასთან მათი ლოგიკური კავშირის შემოწმებას, რის შედეგადაც აბსტრაქციის გარკვეული დონე მიიღწევა. რაც უფრო აბსტრაქტულია ცნებები, განსაკუთრებით „ბირთვული“ კატეგორია, მით უფრო ფართოდ გამოყენებადია შემუშავებული თეორია. თუმცა, ამავდროულად, არც სპეციფიკური დეტალია დაკარგული, რადგან კვლევაში წარმოდგენილია ის კონკრეტული პირობები თუ კონტექსტი, რომელშიც მოცემული ფენომენი იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი. სხვა მკვლევრებმა შესაძლოა განსხვავებულ პირობებში ჩაატარონ კვლევა, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად ჩათვალონ არსებული თეორიის გამოყენება. მათ შესაძლოა აინტერესებდეთ, თუ რამდენად ხსნის მოცემული თეორია მათ საკვლევ ფენომენს და ამ ფენომენის – რა კონკრეტულ ასპექტებს, ასევე, რამდენად გამოდგება ის ახალი სიტუაციების ასახსნელად (Corbin, Strauss, 1990, 14-15).

ანალიტიკური ინდუქცია და დედუქცია

როგორც ზემოთქმულიდან ვიგებთ, ტექსტური მასალის კოდირებას და ინტერპრეტაციას თეორიის შემუშავება მოსდევს. თვისებრივი კონტენტანალიზისას თეორიის შემუშავების პროცესი ანალიტიკურ ინდუქციას ან დედუქციას ეფუძნება. *ანალიტიკური ინდუქციისას* კატეგორიები და ცნებები ემპირიული კვლევის შედეგად ჩნდება, ანუ მკვლევარი მათ ტექსტური მასალის დეტალური ანალიზისა და თანმიმდევრული შედარებების საფუძველზე შეიმუშავებს. სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგია *ემპირიაზე დაფუძნებული თეორია* ("Grounded Theory"). *დედუქციური* მიდგომისას კი კატეგორიები და ცნებები არსებული თეორიიდან თუ წინარე კვლევებიდან მომდინარეობს, ანუ მკვლევარს წინასწარ აქვს შემუშავებული კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის საფუძველზეც მოსალოდნელი კავშირებისა და კანონზომიერებების შეფასებას გეგმავს. ამდენად, დედუქციური მიდგომა თეორიის შემოწმების პროცესია. თვისებრივი კონტენტანალიზისას მკვლევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ როგორც ინდუქციური, ისე დედუქციური მიდგომის გამოყენება (Patton, 2002; Hsieh & Shannon, 2005; Berg & Lune, 2012; Cho & Lee, 2014).

ანალიტიკური ინდუქციისას მკვლევარი შემდეგ საფეხურებს გადის: 1. საკვლევი შეკითხვის დასმა; 2. კატეგორიების და აბსტრაქციის დონეების განსაზღვრა; 3. ტექსტური მასალიდან ინდუქციური კატეგორიების შექმნა; 4. კატეგორიების განახლება; 5. შემუშავებული კატეგორიების საფუძველზე ტექსტის ანალიზი და 6. შედეგების ინტერპრეტაცია. ანალიტიკური დედუქციაც მსგავს საფეხურებს მოიცავს, ოღონდ მეორე და მესამე საფეხურების განსხვავებულ ხედვას ეფუძნება, კერძოდ, საკვლევი კითხვის დასმის შემდეგ, კატეგორიების განსაზღვრისთვის მკვლევარი არსებულ თეორიებს იყენებს და კოდირების ჩარჩოსაც არსებული თეორიებიდან ქმნის (Cho, Lee, 2014, 10).

ინდუქციური და დედუქციური მიდგომების საილუსტრაციოდ, განვიხილოთ ლის კვლევა კორეული წარმოშობის ამერიკე-

ლების ხანდაზმულთა სახლებში ცხოვრების გამოცდილების შესახებ. მას ორი საკვლევი კითხვა ჰქონდა: 1. როგორია იმ ხანდაზმულთა სახლების ფიზიკური, სოციალური და ორგანიზაციული გარემო, რომელშიც კორეული წარმოშობის ამერიკელები ცხოვრობენ? და 2. როგორია ამ ხანდაზმულთა სახლებში მცხოვრები კორეული წარმოშობის ამერიკელების საჭიროებები, სურვილები და კმაყოფილების დონე?

პირველ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ლიმ თვისებრივი კონტენტანალიზისადმი დედუქციური მიდგომა გამოიყენა. პირველ რიგში, მან ანალიზის ერთეული განსაზღვრა, რათა ზუსტად სცოდნოდა, თუ რაზე გაემახვილებინა ყურადღება ინტერვიუს ტრანსკრიპტებში, საველე ჩანაწერებში თუ არსებულ დოკუმენტებში. ამასთან, მან ფიზიკური, სოციალური და ორგანიზაციული გარემოს ოპერაციონალიზაცია მოახდინა, რისთვისაც შესაბამის ლიტერატურას მიმართა და „ადგილის ინტეგრაციული მოდელი“ გამოიყენა, რომლის თანახმად, „გარემო ოთხ განსხვავებულ განზომილებას შორის ურთიერთკავშირის კომპლექსური სისტემისგან შედგება: ინდივიდი, სოციალური კონტექსტი, ორგანიზაციული კონტექსტი და ფიზიკური გარემო“ (Calkins & Weisman, 1999, 133 in Cho & Lee, 2014, 10). ამ ოთხი განზომილებიდან ლიმ მის კვლევაში სამი გამოიყენა (სოციალური, ორგანიზაციული და ფიზიკური გარემო). აღნიშნული სამი კატეგორია ქვეკატეგორიებად დაიყო, მაგალითად, საჯარო სივრცე, მომსახურე პერსონალთან ინტერაქცია, მიწოდებული სერვისები და ა.შ. მომდევნო ეტაპზე, ლიმ მთელი იმ ტექსტის კოდირება მოახდინა, რაც გარემოს სოციალურ, ორგანიზაციულ და ფიზიკურ განზომილებებს აღწერდა, წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების შესაბამისად. ამ პროცესში, გარკვეული კატეგორიები ამოვარდა, ახალი კატეგორიები დაემატა, ზოგი კი – დაზუსტდა და მოდიფიცირდა. მონაცემებისთვის, რომელთა კოდირებაც ვერ მოხერხდა წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში, ახალი კატეგორიები შეიქმნა. საბოლოოდ, ლიმ აღნიშნული კატეგორიების შინა-

არსი შეადარა შესასწავლ ხანდაზმულთა სახლებში და ამ შედარებითი ანალიზის საფუძველზე ძირითადი დასკვნები გამოიტანა, რათა საკვლევ კითხვაზე პასუხი გაეცა.

მეორე საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ლიმ თვისებრივი კონტენტანალიზისადმი ინდუქციური მიდგომა გამოიყენა. პირველ რიგში, მან ინტერვიუს ტრანსკრიპტებსა და საველე ჩანაწერებში იმ ტექსტის მონიშვნა დაიწყო, რომელიც ხანდაზმულთა სახლებში მცხოვრები კორეული წარმოშობის ამერიკელების საჭიროებების, სურვილებისა და კმაყოფილების დონის აღწერას შეიცავდა; შემდეგ ამ ამონარიდების სინთეზი მოახდინა, რათა ანალიზის ერთეულები გამოეყო. ანალიზის ერთეულების განსაზღვრას მონაცემების კოდირება მოყვა. ლიმ ღია კოდირებით დაიწყო, თითოეულ ტრანსკრიპტში ცალკეული სიტყვისა და სტრიქონის დონეზე. ღია კოდირების შედეგად ძირითადი კოდები განისაზღვრა, რომლის საფუძველზეც დანარჩენი ტრანსკრიპტების კოდირება მოხდა. როცა გარკვეული მონაცემები არსებულ კოდებს არ შეესაბამებოდა, ლი ახალ კოდებს ქმნიდა. მომდევნო ეტაპზე, ლიმ მსგავსი კოდები ერთად დააჯგუფა და შესაბამის კატეგორიებად გააერთიანა. შემდეგ არსებული კატეგორიები უფრო ფართო კატეგორიებად აქცია და საბოლოო კატეგორიები შეიმუშავა, რომელთა საფუძველზეც მონაცემების ინტერპრეტაცია მოახდინა, საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად (Cho, Lee, 2014, 10-11).

ინტერტექსტურობა

ტექსტური მასალის ანალიზისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – *ინტერტექსტურობა*. ტექსტები ერთმანეთისგან იზოლირებულად ვერ იარსებებს, მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. სწორედ ამგვარი ურთიერთკავშირის შედეგად იქმნება ზემოხსენებული დოკუმენტური თუ ტექსტური რეალობა. ამიტომ მკვლევარმა მხოლოდ ცალკეული ტექსტის შემადგენელი ელემენტები კი არ

უნდა გააანალიზოს, არამედ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ტექსტებს შორის კავშირებიც, იქნება ეს მოცემული ტექსტის მიმართება ამავე ჟანრის სხვა ტექსტებთან თუ სხვა სახის ტექსტურ მასალასთან. ამგვარად, მკვლევარმა ინტერტექსტური კავშირები უნდა იკვლიოს და ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებები გამოავლინოს (Atkinson, Coffey, 2004, 68). მაგალითად, გარკვეული ორგანიზაციის დოკუმენტების ანალიზისას, მკვლევარს შეუძლია მათი კონვენციური ფორმატის შესწავლა, კერძოდ, როგორ ხდება ამ დოკუმენტების საშუალებით ერთგვაროვანი ბიუროკრატიული სტილის ფორმირება. ნიმუშის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შეხვედრების ოქმები, რომლებიც წინა შეხვედრების ოქმებთანაა უშუალო კავშირში და მსგავსი ენით, ტონით და სტრუქტურით გამოირჩევა.

დოკუმენტურ მასალას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს. მისი გავრცელება და გაზიარება, გარკვეულწილად, იმიტომ ხდება, რომ ის მოვლენების *დეკონტექსტუალიზებას* ახდენს. როცა მკვლევარი დოკუმენტს ქმნის, ის სპეციფიკურსა და ლოკალურს „ფაქტებად“ და „ანგარიშებად“ აქცევს, რომლებიც, თავის მხრივ, დამოუკიდებელ არსებობას იძენს. მაგალითად, სამეცნიერო სტატიების შექმნაზე საუბრისას, ავტორები მიიჩნევენ, რომ სტატიები მათი შექმნის წყაროსგან (მკვლევართა ჯგუფი, ლაბორატორია და ა.შ.) დამოუკიდებლები ხდებიან და შესაძლოა დროთა განმავლობაში იმგვარი გავლენა მოახდინონ, რასაც თავად შემქმნელები ვერც კი გათვლიდნენ (იქვე, 69).

ტექსტური ანალიზის სანდოობა და ვალიდობა

ტექსტურ ანალიზს ისევე ახასიათებს სანდოობა და ვალიდობა, როგორც ნებისმიერი სხვა სახის თვისებრივი მონაცემების ანალიზს.

კონტენტანალიზი სანდოდ მიიჩნევა, თუ მკვლევრები თანხმდებიან მოცემული ტექსტური მონაცემებისა და კვლევის შედეგების იდენტურ გაგებაზე; ანუ სანდოობა გვიჩვენებს, თუ

რამდენად ეთანხმება აკადემიური წრე მოცემული ტექსტური მასალის სწორედ ამგვარ გაგებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას (Krippendorff, 2004, 212). კონტენტანალიზისას სამი სახის სანდოობაზე საუბრობენ: სტაბილურობა, რეპროდუცირებადობა და აკურატულობა.

სტაბილურობა ნიშნავს, რომ კოდირების პროცედურა იმავე შედეგებს იძლევა განმეორებითი კოდირებისას. როგორც წესი, მონაცემების კოდირებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მკვლევარი იმავე ტექსტს თავიდან კითხულობს და მონაცემების ხელახალ კატეგორიზაციასა და ანალიზს ახდენს. *რეპროდუცირებადობა* ნიშნავს, რომ სხვა ადგილებსა და პირობებში მყოფ მკვლევრებს მოცემული კვლევის გამეორება შეუძლიათ. მაგალითად, ორმა ან მეტმა დამოუკიდებელმა მკვლევარმა შეესაძლოა ანალიზის მსგავსი ერთეულების განსაზღვრისადმი მოცემული კვლევის მიდგომით იხელმძღვანელოს და მოსალოდნელია, რომ ისინი მსგავს შედეგებამდე მივლენ. რეპროდუცირებადობა, რომელსაც „ინტერსუბიექტურ თანხმობასაც“ უწოდებენ, სანდოობის ბევრად უფრო ძლიერი საზომია, ვიდრე სტაბილურობა (ანუ დროში სიმყარე), რადგან სოციალური ცხოვრება ძალიან სწრაფად იცვლება. *აკურატულობის* გაზომვისას მკვლევრები მოცემული კვლევის პროცესის ცალკეულ პროცედურას იმ პროცედურებთან ადარებენ, რომლებიც გამართულად არის მიჩნეული. რადგან, ამ შემთხვევაში, უკვე აღიარებულ პროცედურებთან ხდება შედარება, ამიტომ აკურატულობა ტექსტური მონაცემების სანდოობის შემოწმების ყველაზე ძლიერი საზომია (იქვე, 215).

კონტენტანალიზის სანდოობასთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი ვალიდობის უზრუნველყოფაც. როგორც ვიცით, საზომი ვალიდურად მიიჩნევა, თუ ის ნამდვილად ზომავს იმას, რის გაზომვასაც გეგმავს. კონტენტანალიზი ვალიდურია, თუ შესასწავლი ტექსტებიდან მიღებული დასკვნები მკვლევარს ძირითადი არგუმენტისთვის ადეკვატურ სამხილს სთავაზობს და არსე-

ბულ თეორიულ ჩარჩოს ერგება ან ახალი იდეებით ამდიდრებს (იქვე, 313). კონტენტანალიზისას სამი ტიპის ვალიდობაზე საუბრობენ, რაც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეტიპს მოიცავს. ვალიდობის სამი ძირითადი ტიპია: ზედაპირული, სოციალური და ემპირიული.

ზედაპირული ვალიდობა ნიშნავს, რომ ტექსტის ანალიზი, ერთი შეხედვით (ანუ ზედაპირულად), ცხადად და დამაჯერებლად გამოიყურება, ანუ აზრს მოკლებული არ არის. ზედაპირული ვალიდობა განსაკუთრებით გავრცელებულია კონტენტანალიზისას, რადგან მკვლევრის მცდელობა, ტექსტის არსს სწვდეს, მნიშვნელოვნად ეფუძნება საღ აზრსა და გაზიარებულ კულტურას. ამიტომ, სანამ სხვა ტიპის ვალიდობას შეამოწმებს, მკვლევარი, პირველ რიგში, სწორედ ზედაპირული ვალიდობით იწყებს. *სოციალური ვალიდობა* ნიშნავს, რომ კონტენტანალიზის პროცესში მკვლევრის მიერ შექმნილი კატეგორიები მნიშვნელოვანია აკადემიური სივრცის მიღმაც და ღირებული წვლილი შეაქვს შესაბამის საჯარო დისკუსიაში. მაგალითად, ეს კატეგორიები სიძულვილის ენის სპეციფიკას აღწერს, რასიზმის და სექსიზმის გამოვლინებებს ან ანტისოციალურ გზავნილებს ეხება რაიმე ნარატივში და ა.შ. ამგვარი კვლევის სოციალურ ვალიდაციას მისი მხარდამჭერები და ოპონენტები ახდენენ, რომელთაც აღნიშნული პრობლემები აღელვებთ და კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენებას ცდილობენ, კერძოდ, შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებაზე გავლენის მოსახდენად იყენებენ. *ემპირიული ვალიდობა* გვიჩვენებს, თუ რამდენად განამტკიცებს ემპირიული სამხილი და არსებული თეორიები მოცემული კვლევის დასკვნებს. ამგვარ ვალიდობას „შინაგანი ვალიდობის“ სახელითაც მოიხსენიებენ. მართალია, ემპირიული ვალიდობა არ უარყოფს ინტუიციის როლს (ზედაპირული ვალიდობა) და არც სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორებისგან განყენებულად გვეძლევა (სოციალური ვალიდობა), მაგრამ ის საკვანძო მნიშვნელობას უშუალოდ მონაცემების მოპოვების

პროცესიდან მიღებულ სამეცნიერო არგუმენტებს მიაწერს (იქვე, 314-315).

რადგან ემპირიული ვალიდობა კვლევითი პროცესის განსხვავებულ ასპექტებს მოიცავს, ამიტომ მის ფარგლებში ვალიდობის სხვადასხვა ქვეტიპს გამოყოფენ. როცა საქმე ტექსტის შინაარსს ეხება, ავტორები ორი სახის ვალიდობაზე საუბრობენ: *შერჩევის ვალიდობა,* რაც ნიშნავს, რომ შესასწავლი ტექსტები სათანადოდ ასახავს ტექსტების იმ ერთობლიობას, რომლიდანაც ის აღებულია და რომელზეც მოცემული კვლევის შედეგები უნდა გავრცელდეს; და *სემანტიკური ვალიდობა,* რაც ნიშნავს, რომ ანალიტიკური კატეგორიები ზუსტად აღწერს ტექსტის მნიშვნელობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლევრები თანხმდებიან, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში შექმნილი კატეგორიების შემადგენელ სიტყვებს (თუ ანალიზის სხვა ერთეულებს) სწორედ ის მნიშვნელობა აქვთ, რასაც მათ კვლევის ავტორი მიაწერს (იქვე, 319).

კომპიუტერული პროგრამები კონტენტანალიზისთვის

50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ტექსტური მონაცემების ანალიზის გასამარტივებლად კომპიუტერული პროგრამა შეიქმნა. პირველი ამგვარი პროგრამა იყო General Inquirer, თუმცა მისი გამოშვების დროისთვის პერსონალური კომპიუტერები ხელმოსაწვდომი არ იყო და ამიტომ მკვლევართა უმრავლესობა ამ პროგრამით ვერ სარგებლობდა. აღნიშნული პროგრამა, უმეტესად, ტექსტის სხვადასხვა ერთეულებს ითვლიდა და მათ სტატისტიკურ შეჯამებას ახდენდა, რაც კონტენტანალიზის იმდროინდელ ხედვას შეესაბამებოდა – მკვლევართა დიდი ნაწილი მას რაოდენობრივი და არა თვისებრივი ანალიზის მეთოდად მიიჩნევდა. დღემდე კონტენტანალიზისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელოების თუ წიგნების დიდი ნაწილი მას ექსკლუზიურად რაოდენობრივ მეთოდად განიხილავს და მხოლოდ რაოდენობ-

რივ კონტენტანალიზს გვთავაზობს (Weber, 1990; Hodson, 1999 და ა.შ.). თუმცა, ზემოხსენებული „ნარატიული ბრუნის“ გავლენით, რომელმაც ტექსტის სიღრმისეული მნიშვნელობის წვდომაზე გადაიტანა ფოკუსი, რაოდენობრივი კონტენტანალიზი კრიტიკის სამიზნე გახდა სწორედ ტექსტის ანალიზის გაუმართლებელი გამარტივებისა და სემანტიკური მნიშვნელობის უგულებელყოფისთვის. ამ მიდგომის გავლენით კი ახალი კომპიუტერული პროგრამები შეიქმნა კონტენტანალიზისთვის.

როგორც ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზის თავში აღინიშნა, კონტენტანალიზისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებად კომპიუტერულ პროგრამებს შორის სპეციალისტები TEXTPACK, Concordance, Wordstat და TextQuest-ს ასახელებენ (Stewart, Shamdasani & Rook, 2009, 609), თუმცა კონტენტანალიზისთვის აქტიურად გამოიყენება თვისებრივი მონაცემების ანალიზის ისეთი ზოგადი პროგრამებიც და ფართო მომხმარებელში ტექსტური ანალიზის სპეციალიზებულ პროგრამებზე მეტი პოპულარობითაც სარგებლობს, როგორიცაა NVivo, The Ethnograph, HyperRESEARCH და ATLAS.ti.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ გამოვიყენოთ ზემოხსენებული კომპიუტერული პროგრამები, არის ის, რომ ისინი ბევრად ამარტივებს ტექსტში საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას და თან მათ იზოლირებულად კი არ გვაწვდის, არამედ შესაბამის კონტექსტთან ერთად, რაც უფრო ზუსტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. გარკვეული ამონარიდის შინაარსისა და კონტექსტის კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე განსაზღვრისადმი ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა KWIC (key-word-in-context) ტექნიკის გამოყენება. მისი მეშვეობით, კომპიუტერი საკვანძო სიტყვებს ეძებს და იმ ტექსტთან ერთად აჩვენებს, რომელშიც ეს სიტყვები გვხვდება, მკვლევარს კი შეუძლია აკონტროლოს, თუ რა რაოდენობის ტექსტს უჩვენებს პროგრამა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ კომპიუტერული პროგრამა მონაცემების ანალიზს არ აკეთებს, არამედ საჭი-

რო მონაცემების მოძიებისა და სისტემატიზების ხელსაყრელი ინსტრუმენტია. კომპიუტერული პროგრამების დახმარებით მარტივია როგორც კოდირების პროცესში ნებისმიერი არათანმიმდევრულობის გამოვლენა, ისე კოდირების ჩარჩოს განახლება და მოდიფიცირება, რაც შედეგების სანდოობასა და ვალიდობაზეც ახდენს გავლენას.

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

რადგან კოდირება კონტენტანალიზის ბირთვია, ნიმუშის სახით გთავაზობთ სტუდენტების მიერ ტექსტური მასალის კოდირებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, კოდირება დეტალურად უნდა ასახავდეს ტექსტში არსებულ საკვანძო კატეგორიებს და მათ შორის ლოგიკურ კავშირებს. წარმატებული კოდირების შემთხვევაში, კოდების გაცნობით მკითხველი საკვლევ ამოცანებს უნდა მიხვდეს და კვლევის ინსტრუმენტის შესახებ, ჩვენს შემთხვევაში – ინტერვიუს გზამკვლევის ძირითადი სექციებისა და შეკითხვების შესახებ, წარმოდგენა უნდა შეექმნას. სტუდენტების კვლევა ეხებოდა „სახლის“ (“Home”) განცდას აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამი თაობის წარმომადგენლებში (თბილისში დაბადებული ახალგაზრდები (18-25), მათი მშობლები და ბებია-ბაბუები), რომლებიც თბილისში საკუთარ ბინაში ცხოვრობენ.

გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშს გაეცნოთ და შემდეგ შეკითხვებს უპასუხოთ: 1. მკვლევრისთვის გაცემულ პასუხებში გამოვლენილ რა ძირითად ტენდენციებზე შეგიძლიათ საუბარი ქვემოთ წარმოდგენილი კოდების საფუძველზე? 2. რამდენად ურთიერთგადამფარავი ან ურთიერთგამომრიცხავია წარმოდგენილი კოდები? მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები და წარმოადგინეთ აღნიშნული კოდების თქვენეული ხედვა. 3. ქვემოთ წარმოდგენილი კატეგორიებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და მისი შინაარსი შესაბამისი კოდების საფუძველზე შეაჯამეთ.

1. აფხაზეთში ცხოვრება ომამდე

1.1 რესპონდენტის კარგი მატერიალური მდგომარეობა
1.2 რესპონდენტის წარმატებული კარიერა
1.3 რესპონდენტის მაღალი სოციალური სტატუსი
1.4 რესპონდენტის უდარდელი ბავშვობა
1.5 რესპონდენტის უზრუნველი ცხოვრება
1.6 რესპონდენტის მყარი სოციალური კავშირები (სამეზობლო, სამეგობრო)
1.7 რესპონდენტის დიდი და ლამაზი სახლი, კარ-მიდამო

2. რას ნიშნავს რესპონდენტისთვის სახლი

2.1 სახლი ანუ აფხაზეთი
2.2 სახლი, როგორც ნავსაყუდელი
2.3 სახლი, როგორც ციხე-სიმაგრე
2.4 სახლი, როგორც პრობლემებიდან გაქცევის ადგილი
2.5 სახლი, როგორც პირადი კუთხე სამყაროში
2.6 სახლი, როგორც მოგონებების ადგილი
2.7 სახლი, როგორც მშვიდად ძილის გარანტი
2.8 სახლი, როგორც მესაიდუმლე
2.9 სახლი, როგორც შვილების მოლოდინის ადგილი
2.10 სახლი, როგორც დაცულობისა და კომფორტის გარანტი
2.11 სახლი, როგორც სულიერი თავშესაფარი
2.12 სახლი, როგორც ნაცნობი არომატების ადგილი
2.13 სახლი, როგორც იდენტობის შემადგენელი ნაწილი
2.14 სახლი, როგორც პატარა სამშობლო
2.15 სახლი, როგორც სამოთხე დედამიწაზე

3. სახლთან დაკავშირებული ასოციაციები

3.1 აფხაზეთი
3.2 ბავშვობა
3.3 დედა
3.4 ოჯახის წევრები
3.5 უდარდელი და ლაღი ცხოვრება

3.6 სიმყუდროვე
3.7 საყვარელი ნივთები
3.6 დასვენება
3.7 სიმშვიდე, დაცულობა
3.8 მიტოვებული საფლავები
3.9 თბილისის სახლი

4. აფხაზეთის სახლთან დაკავშირებული სენტიმენტები

4.1 სიყვარულის განცდა
4.2 მონატრება, ტკბილი მოგონებები
4.3 სიწმინდის განცდა
4.4 პატივისცემის განცდა
4.5 სინანულისა და მწუხარების განცდა
4.6 ტკივილის განცდა
4.7 სიცარიელის განცდა

5. თბილისის სახლთან დაკავშირებული სენტიმენტები

5.1 შეგუების განცდა
5.2 სტუმრად ყოფნის განცდა
5.3 დროებითობის შეგრძნება
5.4 მადლიერების განცდა
5.5 დაცულობის განცდა
5.6 სიყვარულის განცდა
5.7 გაუცხოების შეგრძნება
5.8 გაორების შეგრძნება

6. აფხაზეთში დაბრუნების სურვილი

6.1 აფხაზეთის სახლის მიმართ სენტიმენტები
6.2 აფხაზეთში დარჩენილი ახლობლების მიმართ სენტიმენტები
6.3 აფხაზეთის ბუნების მიმართ სენტიმენტები
6.4 აფხაზეთში ახლობელი ადამიანების საფლავების მიხედვის სურვილი
6.5 აფხაზეთში დასაფლავების სურვილი
6.6 სეზონური დაბრუნების სურვილი

7. აფხაზეთში დაბრუნების სურვილის არქონა

7.1 არ ახსოვთ აფხაზეთის სახლი
7.2 არ აკავშირებთ აფხაზეთთან გრძნობები და განცდები
7.3 არ ჰყავთ აფხაზეთში ახლობელი და საყვარელი ადამიანები
7.4 აფხაზეთში სამუშაოს შოვნის პრობლემა
7.5 აფხაზეთში განუვითარებელი ინფრასტრუქტურა
7.6 დაბადებიდან თბილისში ცხოვრება
7.7 თბილისში აწყობილი კარიერა
7.8 თბილისში დამყარებული სოციალური კავშირები
7.9 თბილისთან დაკავშირებული კომფორტის შეგრძნება
7.10 თბილისის მიჩნევა „ნამდვილ" სახლად

8. აფხაზეთში დაბრუნების შემთხვევაში, ახალ ცხოვრებასთან დაკავშირებული სირთულეები:

8.1 ცხოვრების ნულიდან დაწყების პრობლემები
8.2 საცხოვრებლის ხელახალი მოწყობის პრობლემები
8.3 კარიერის აწყობის პრობლემები
8.4 გაუცხოების პრობლემა
8.5 რუსეთის გავლენის შედეგად შეცვლილი აფხაზეთი

გამოყენებული ლიტერატურა

Atkinson, P., & Coffey, A. (2004). Analyzing Documentary Realities (56-75). Silverman, D. (Ed.), *Qualitative Research: Theory, Method and Practice* (2nd Ed.). London: Sage Publications.

Berg, B. L., & Lune, H. (2012). *Qualitative Research Methods for the Social Sciences* (8th ed.). Boston: Pearson.

Cho, J., Y., & Lee, E. (2014). Reducing Confusion about Grounded Theory and Qualitative Content Analysis: Similarities and Differences. *The Qualitative Report,* 19 (32), 1-20.

Corbin, J., & Strauss, A. (1990). Grounded Theory Research: Procedures, Canons, and Evaluative Criteria. *Qualitative Sociology,* 13 (1), 3-21.

Goffman, I. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

Hodson, R. (1999). *Analyzing Documentary Accounts*. Thousand Oaks, CA: Sage.

Krippendorf, K. (2004). *Content Analysis: An Introduction to Its Methodology* (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Sage.

Hsieh, H. F., & Shannon, S.E. (2005). Three Approaches to Qualitative Content Analysis. *Qualitative Health Research*, 15(9), 1277-1288.

Lincoln, Y. S., & Guba, E. G. (1985). *Naturalistic Inquiry*. Beverly Hills, CA: Sage Publications.

Neuendorf, K. A. (2017). *The Content Analysis Guidebook* (2nd ed). Los Angeles: Sage.

Patton, M.Q. (2002). *Qualitative Research and Evaluation Methods*. Thousand Oaks, CA: Sage.

Prior, L. (2004). Doing Things with Documents. In D. Silverman (Ed.), *Qualitative Research: Theory, Method and Practice* (2nd ed., pp. 76-94). London: Sage Publications.

Rapley, T. (2007). *Doing Conversation, Discourse and Document Analysis*. Los Angeles: Sage.

Riessman, C. K. (1990). *Divorce Talk: Women and Men Make Sense of Personal Relationships.* Rutgers: Rutgers University Press.

Riessman, C. K. (2005). Narrative Analysis. In N. Kelly, C. Horrocks, K. Milnes, B. Roberts, & D. Robinson (Eds.), *Narrative, Memory and Everyday Life* (pp. 1-7). Huddersfield: University of Huddersfield.

Riessman, C. K. (2008). *Narrative Methods for the Human Sciences*. Thousand Oaks, CA: SAGE Publications.

Silverman, D. (2011). *Interpreting Qualitative Data: A Guide to the Principles of Qualitative Research*. London: SAGE.

Stewart, D. W., Shamdasani, P. M., & Rook, D. W. (2009). Group Depth Interviews: Focus Group Research. In L. Bickman & D. J. Rog (Eds.), *The SAGE Handbook of Applied Social Research Methods* (pp. 589-616). Thousand Oaks, CA: Sage Publications.

Tesch, R. (1990). *Qualitative Research: Analysis Types & Software Tools*. Bristol, PA: Falmer Press.

Weber, R. (1990). Basic Content Analysis. Thousand Oaks, CA: Sage.

წულაძე, ლ., ესებუა, ფ., კახიძე, ი., კვინტრაძე, ა., ოსეფაშვილი, ი., ამაშუკელი, მ. (2016). *ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში.* თბილისი: „ნეკერი“.

თავი 8
დისკურსის ანალიზი

დისკურსი, როგორც „ენა ქმედებაში“

ტერმინი „დისკურსი“ ყოველდღიურ ინგლისურში ადამიანებს შორის საუბარს ნიშნავს, ხოლო ფრანგულსა და გერმანულში – პრეზენტაციას, ლექციას თუ საჯარო დისკუსიას. ყველა ეს მნიშვნელობა, გარკვეულწილად, თავმოყრილია დისკურსის ანალიტიკოსის განმარტებაში, რომელიც დისკურსს განიხილავს, როგორც „ენას ქმედებაში“ (Gee, 1999). შესაბამისად, ის სწავლობს ტექსტებში და საუბარში „გაცოცხლებულ“ ენას, რომელსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. სწორედ დისკურსის სოციალურ ფუნქციაზე მეტყველებს მისი ნაირსახეობები – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიერ იქმნება, ვრცელდება და გაშუალებულია მედიის დისკურსით. გამოდის, რომ დისკურსი სოციალური პრაქტიკის თუ ინტერაქციის ფორმაა, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტში გარკვეულ სოციალურ ზემოქმედებას ახდენს (van Dijk, 1993, 107). ეს გავლენა შესაძლოა არა ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი მასშტაბისაც იყოს. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას სიტყვები „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ პოლიტიკურიდან პოპულარულ დონეზეც მალევე გავრცელდა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ დისკურსად იქცა. შესაბამისად, დისკურსის ანალიზისას მკვლევრის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ უბიძგებს დისკურსი კონკრეტულ სოციალურ აქტივობებს და ქმნის სოციალურ იდენტობებს (გარკვეულ სოციალურ ჯგუფში, ინსტიტუტსა თუ კულტურაში „წევრობის“ გზით) (Gee, 1999, 1). მაგალითად, როგორ უბიძგებს ზემოხსენებული დისკურსი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკ-

რულების გაფორმებას და ქართველების მიერ მათი „ევროპული იდენტობის“ ხაზგასმის მცდელობას. ამგვარად, დისკურსი იძენს მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ, როცა ის გადმოსცემს „ვინ“ და „რა“-ს. „ვინ“ მოცემულ სოციალურ კონტექსტში *სიტუაციურ იდენტობას* აღწერს, ანუ რა ტიპის პიროვნებად წარადგენს თავს ადამიანი აქ და ახლა. „რა“ კი *სიტუაციურ აქტივობას* აღწერს, ანუ რა სახის ქმედებას ახორციელებს ადამიანი სასურველი ზემოქმედების მოსახდენად.

ცხადია, რომ ადამიანები განსხვავებულ იდენტობას ავლენენ სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში, ვთქვათ, ფორმალური და ოჯახური სადილისას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში სადილთან გვაქვს საქმე, ისინი მაინც განსხვავებული აქტივობებია. ადამიანებს არათანაბარი წვდომა აქვთ სხვადასხვა იდენტობებსა და აქტივობებზე, რაც მათ განსხვავებულ სტატუსს ანიჭებს და საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის საფუძველია. რადგან სხვადასხვა იდენტობები და აქტივობები ენის გზით გადმოიცემა, ენა ყოველთვის „პოლიტიკურია“, ანუ ძალაუფლების წყაროა და პირდაპირ კავშირშია თანასწორობისა და სამართლიანობის საკითხებთან. სწორედ ამიტომ, ენა არის არა მხოლოდ სამყაროს ხედვის, არამედ მისი შექმნის და ცვლილების ინსტრუმენტი (იქვე, 13). კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, კონკრეტული სოციალური როლის შესრულებისას, ადამიანები ენას სპეციფიკურად იყენებენ, ანუ იმგვარ დისკურსს გვთავაზობენ, რაც მოცემული კონტექსტის და როლის შესაბამისია და მიზნად ისახავს საკუთარი ღირებულებების, აზრებისა და გრძნობების იმგვარად გადმოცემას, რომ გარშემომყოფებზე სასურველი გავლენა მოახდინოს. ამ პროცესში ადამიანები დისკურსის წარმოებას, კვლავწარმოებას თუ ცვლილებას ახდენენ. გის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი ჩვენი ცხოვრება არის „ფიქრების, სიტყვების, ობიექტების, მოვლენების, ქმედებების და ინტერაქციების კოლაჟი, ასახული დისკურსში“ (იქვე, 7). თუმცა, სანამ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით, ჯერ დისკურსის ანალიზის საფუძვლები განვიხილოთ.

კოლექტიური ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ განსხვავებულ მიდგომებს აერთიანებს, რომლებიც კომუნიკაციის პროცესებს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში და სხვადასხვა პერსპექტივიდან სწავლობს, იქნება ეს ლინგვისტური, სოციოლინგვისტური, ეთნომეთოდოლოგიური, სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური (Keller, 2013, 13). თავად ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ ამერიკელ ლინგვისტს ზ. ჰარისს ეკუთვნის, რომელმაც 1952 წელს ამ ტერმინით მკვიდრი ამერიკული ენების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზისადმი მისი მიდგომა აღწერა. დისკურსის ანალიზის თანამედროვე მიმართულების განსაზღვრაში კი წამყვანია ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს როლი, რომლის ნაშრომების საფუძველზე 1960-70-იანი წლებიდან განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინა დისკურსის კრიტიკულმა ანალიზმა. ქვემოთ წარმოგიდგენთ დისკურსის ანალიზისადმი არსებულ ძირითად მიდგომებს და წამყვან ავტორებს, ვინც მის მეთოდოლოგიურ განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა.

ძირითადი მიდგომები დისკურსის ანალიზისადმი

როგორც აღინიშნა, „დისკურსის ანალიზი“ მიდგომათა მთელ ერთობლიობას აერთიანებს და მულტიდისციპლინური ხასიათისაა. იმის შესაბამისად, თუ დისკურსის ანალიზისას რა წარმოადგენს მკვლევრის ძირითად ინტერესს, რამდენიმე განსხვავებული (თუმცა ურთიერთდაკავშირებული) მიდგომის გამოყოფა შეგვიძლია. ქვემოთ წარმოდგენილი მიდგომების თემატური ფოკუსი და ავტორების სელექცია ჩემს ხედვას ეფუძნება.

ინტერაქციულ-სოციოლოგიური მიდგომა

დისკურსის ანალიზისადმი ინტერაქციულ-სოციოლოგიური მიდგომა რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს, როგორიცაა ინტერაქციული სოციოლოგია, სოციოლინგვისტიკა და საუბრის ანალიზი. დისკურსის ანალიზისას ამ მიდგომის ფოკუსია ადამიანებს შორის ინტერაქცია – როგორც ვერბალური, ისე არავერ-

ბალური კომუნიკაცია (არავერბალური კომუნიკაცია, როგორ ტექსტი და ნიშანი) და ამ პერფორმატიული პრაქტიკების გავლენა რეალობის კონსტრუირებაზე. ამგვარად, ამ მიდგომის თანახმად, დისკურსის გზით გარკვეული სოციალური რეალობა იქმნება და მკვლევარმა სწორედ ის მექანიზმები უნდა იკვლიოს, რომლითაც დისკურსი რეალობის შექმნასა და ცვლილებაზე ახდენს გავლენას. რადგან ამ მიდგომის აქცენტი ადამიანებს შორის ვერბალურ და არავერბალურ ინტერაქციაზეა, დისკუსის ანალიზისას ის ყურადღებას ამახვილებს ინტერაქციის ისეთ ელემენტებზე, როგორიცაა მისი სოციალური კონტექსტი, კომუნიკაციის „გახსნა“ და „დახურვა“, წამოცდენების „შესწორება“, „კოდის გადართვა“ (“code switching”), ინტერაქციის ჩარჩო (“footing”) (Goffman, 1981) და ა.შ.

დისკურსის ანალიზის ინტერაქციული მიდგომის წარმომადგენლები ირვინ გოფმანი და ჰაროლდ გარფინკელი არიან. ამ კონტექსტში კვლავ გოფმანის დრამატურგიული მიდგომა უნდა გავიხსენოთ, რომელიც სოციალურ ცხოვრებას სცენად განიხილავს, სადაც მონაწილეები ანუ აქტორები შესაბამის შესრულებას გვთავაზობენ და ეს შესრულება განსხვავებულია „სცენაზე“ (ანუ როცა აუდიტორიისთვისაა დადგმული) და „კულისებში“ (ანუ შინაურ გარემოში, როცა უცხო თვალისთვის არაა გამიზნული) (Goffman, 1956). „კულისებში“ აქტორები „სცენური“ შესრულებისთვის ემზადებიან, რათა მოგვიანებით ეს შესრულება სოციალური კონტექსტის შესაბამის „ჩარჩოს“ მოარგონ. თუკი შემთხვევით შესრულება „ჩარჩოდან“ ამოვარდა, აუდიტორიისთვის შეუმჩნევლად ისევ ამ „ჩარჩოს“ უნდა დაუბრუნდნენ, რომ გარშემომყოფებზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ (Goffman, 1975). ნიმუშის სახით წარმოვიდგინოთ აპლიკანტის ინტერვიუ დამსაქმებელთან. აპლიკანტი შინ ანუ „კულისებში“ არაერთხელ გაივლიდა შესაძლო შეკითხვებს და მათზე სავარაუდო პასუხებს, ფორმალური ინტერვიუს დროს კი შეეცდება, დამსაქმებელს სათანადო შესრულება შესთავაზოს და წინასწარ მოფიქ-

რებული პასუხები დამაჯერებლად წარადგინოს. თუ მის მიერ დაგეგმილი შესრულება უნებურად „ჩარჩოდან“ ამოვარდება, ვთქვათ, მოფიქრებული პასუხი დაავიწყდება ან ის ინფორმაცია წამოსცდება, რის გამხელასაც არ გეგმავდა, მაშინ აპლიკანტი მომენტალურად შეეცდება მისი ნარატივის დამსაქმებლისთვის შეუმჩნევლად „შესწორებას“ და დაგეგმილ „ჩარჩოში“ დაბრუნებას. მაშინაც კი, თუ დამსაქმებელი ამ ხარვეზებს შეამჩნევს, ის, როგორც წესი, ამას არ შეიმჩნევს; უფრო მეტიც, მან შესაძლოა საკუთარი ნარატივის ადაპტირებაც კი მოახდინოს, რათა აპლიკანტს უხერხულად არ აგრძნობინოს თავი. თუკი ამგვარი „არშემჩნევა“ წარუმატებელი აღმოჩნდება, აპლიკანტი ძალიან უხერხულად იგრძნობს თავს, რადგან, გოფმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში, თავად „იდენტობა განიცდის უხერხულობას და არა მისი როლი“. ეს ყველაფერი – „ჩარჩოში“ დაბრუნების მცდელობა, „შესწორებები“ და მათი „არშემჩნევა“ „ინტერაქციული *კომპეტენციის “* საბაზისო მახასიათებლებია, რასაც ყოველდღიური გამოცდილებიდან ვიძენთ (იქვე, 223).

„ინტერაქციული კომპეტენციის“ განუყოფელი ნაწილია იმის ცოდნაც, თუ როგორ უნდა დავიწყოთ და დავასრულოთ საუბარი, ანუ როგორ უნდა მოხდეს კომუნიკაციის „გახსნა“ და „დახურვა“, აგრეთვე საუბრისას თანმიმდევრობის დაცვა (რიგითობა), ინტერაქციის ჩარჩოს გათვალისწინება და ინტერაქციის სხვა კონვენციების გამოყენება, რაც აუცილებლად გულისხმობს სოციოკულტურული კონტექსტის ცოდნას. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში, კულტურულ-სპეციფიკური კომპეტენციაც არასაკმარისია და კონკრეტული სოციალური კონტექსტის დეტალების ცოდნაა საჭირო, რათა ინტერაქციის შინაარსს ვწვდეთ. ეს ყველაფერი დეტალურად აქვს აღწერილი ჰაროლდ გარფინკელს მის „ეთნომეთოდოლოგიაში“ (1984), სადაც ავტორი გვიჩვენებს, თუ რაოდენ რთულია დედა-შვილის, ცოლ-ქმრის, მეგობრების, დამსაქმებელ-დასაქმებულის ან თუნდაც ლექტორ-სტუდენტის საუბრის გაგება, თუ მსმენელი არ იცნობს იმ კონტექსტს,

რომელშიც მოცემული საუბარი მიმდინარეობს და იმ ტერმინოლოგიას თუ „ჟარგონს“, რომელსაც მონაწილეები იყენებენ. ზემოხსენებული რეფერენტული ჯგუფის წევრებს, ინტერაქციის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, განმარტებების გარეშე ესმით ერთმანეთის, ხოლო გარეშე პირისთვის, ამ გამოცდილების არქონის გამო, მათი კომუნიკაციის დეტალები ხშირად გაუგებარი რჩება, თუ შესაბამისი განმარტება არ მიიღო.

„ინტერაქციული კომპეტენციის“ ანალიზისას, პირველ რიგში, მკვლევრები კომუნიკაციის „გახსნას“ და „დახურვას“ სწავლობენ. სწორედ ამ საკითხის კვლევით ჩაეყარა საფუძველი დისკურსის ანალიზის მიმართულებას – საუბრის ანალიზს, რომელიც ამერიკელი სოციოლოგების, შეგლოფის და სეკსის კვლევებიდან იღებს სათავეს. შეგლოფის და სეკსის კვლევის თავდაპირველი ფოკუსი იყო ის, თუ როგორ ცდილობდნენ ლოს ანჯელესის „თვითმკვლელობის პრევენციის ცენტრის“ თანამშრომლები სატელეფონო საუბრისას პოტენციური თვითმკვლელების დარწმუნებას, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგათ. თუმცა, მათი ყურადღება მალევე მიიპყრო საუბრის გახსნის სპეციფიკამ, რომელიც გარკვეულ კონვენციებს ავლენდა. კერძოდ, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ საწყისი მისალმების შემდეგ, როცა ცენტრის თანამშრომლები პოტენციურ თვითმკვლელებს საკუთარ ვინაობას გააცნობდნენ, საპასუხოდ მათაც საკუთარი ვინაობა უნდა გაემხილათ, რაც გარკვეულ უხერხულობას უქმნიდათ. ამიტომ პოტენციური თვითმკვლელები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ რიგის „ჩაგდებას“ და საუბრის ისე გაგრძელებას, რომ საკუთარი ვინაობა არ გაემხილათ. ამ მიზნით ისინი არაერთ ხრიკს იგონებდნენ, მაგალითად, როცა ცენტრის თანამშრომელი საკუთარ სახელს ეტყოდა, ნაცვლად იმისა, რომ საპასუხოდ საკუთარი სახელი ეთქვათ, ისინი ხელმეორედ გაუმეორებდნენ შეკითხვას: „რა თქვით, როგორ მოგმართოთ? ცუდად ისმის.“.. ცენტრის თანამშრომელი თავის სახელს გაიმეორებდა და საუბარი ლოგიკურად რომ გაეგრძელებინა, ამჯერად იმასაც იკითხავდა, თუ რით

შეეძლო დახმარება. ამის პასუხად, პოტენციური თვითმკვლელი პირდაპირ მის პრობლემას აცნობდა, ვინაობის გამხელის გარეშე, რადგან კითხვა-პასუხის ეს რაუნდი უკვე გავლილი იყო. ეს იმდენად ჩვეული პრაქტიკა იყო, რომ ზარის ავტორების ვინაობა თითქმის ყოველთვის ანონიმური რჩებოდა. ამ კვლევის საფუძველზე, შეგლოფმა და სეკსმა დაასკვნეს, რომ საუბარს თავისი რიგითობა ჰქონდა და ნაგულისხმევი თანმიმდევრობის დარღვევა საშუალებას აძლევდა რომელიმე მხარეს, თავი დაეძვრინა არასასურველ საკითხზე საუბრისგან. ამ თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია საუბრის დახურვის კონვენციაც. ავტორები საუბრობენ იმ სიგნალებზე, რომლებიც მოსაუბრეებს ერთდროულად მიიყვანს საუბრის დასრულებამდე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა კითხვა-პასუხის შემცველი „ლოგიკური წყვილების“ ანალიზისას (როგორიცაა გამარჯობა/გაგიმარჯოს, შეთავაზება/თანხმობა ან უარი, კეთილი სურვილი/მადლობის გადახდა, დამშვიდობება/საპასუხო დამშვიდობება და ა.შ.). კითხვა-პასუხის შემცველი წყვილი გვიჩვენებს, რომ ერთ მოსაუბრეს ადეკვატურად ესმის და თანხმობას გამოთქვამს მეორე მოსაუბრის განზრახვაზე, რომ საუბარი დაასრულოს (Schegloff, Sacks, 1973).

„ინტერაქციული კომპეტენციის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინტერაქციის ჩარჩოს ცოდნა, რომელიც, გოფმანის სიტყვებით, საუბარში *მონაწილეობის ჩარჩოსგან* და ნარატივის *წარმოების ფორმატისგან* შედგება (1981, 153). საუბრის სოციალური გარემო სიტყვებთან ერთად პერფორმატიულ პრაქტიკასაც მოიცავს, რომელიც შესაძლოა უსიტყვოდ განხორციელდეს. ნარატივის ნაცვლად მონაწილეებმა შესაძლოა სხვადასხვა მინიშნება გამოიყენონ, რაც მათ გზავნილს ისევე განმარტავს, როგორც სქოლიო განმარტავს ძირითადი ტექსტის შინაარსს. ამიტომ საუბრის მნიშვნელობის ადეკვატურად გასაგებად აუცილებელია მისი მთლიანი სოციალური კონტექსტის დეტალურად განხილვა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ ინტერაქციას მოიცავს. გოფმანი

განიხილავს პრეზიდენტ ნიქსონის პრესკონფერენციას მნიშვნელოვან დეკლარაციაზე ხელის მოწერის შემდეგ, როცა ჟურნალისტების ჯგუფის თანდასწრებით საკუთარ პრესმდივანს შენიშვნას აძლევს ჩაცმულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ეკითხება, რატომ აცვია კვლავ შლაქსები და რას ფიქრობს მისი მეუღლე შლაქსებთან დაკავშირებით. ნიქსონი აღნიშნავს, რომ ყოველთვის, როცა შლაქსებში ჩაცმულ გოგონებს ხედავს, ჩინეთი ახსენდება. თუმცა, აქვე დასძენს, რომ ზოგს შლაქსები უხდება და მათ შორისაა მისი ადრესატიც, რომელსაც „დატრიალებას“ სთხოვს, რომ უკეთ შეაფასოს. პრესმდივანიც პირუეტს აკეთებს პრეზიდენტის, FBI-ის დირექტორის და სხვა მაღალჩინოსნების ღიმილის თანხლებით.

რას ვიგებთ ამ ამონარიდიდან? პირველ რიგში, იმას, რომ პრეზიდენტის კომენტარი ერთდროულად სექსისტურიცაა და ორიენტალისტურიც, რადგან ის თავს უფლებამოსილად თვლის, რომ ქალს სამუშაო გარემოში პირუეტი გააკეთებინოს და, იმავდროულად, ღიად განაცხადოს, რომ სამოსი, რომელიც არ მოსწონს, ჩინეთს ახსენებს. გოფმანის სიტყვებით, ჩვენ საზოგადოებაში არსებული იერარქიის შესახებ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას ვიგებთ, კერძოდ იმას, რომ პრეზიდენტს აქვს იმის ძალაუფლება, რომ ქალი მისი სამსახურებრივი პოზიციიდან სექსუალურ, შინაურ პოზიციაში „გადაისროლოს“. აქ კიდევ ერთი არსებითი საკითხი ვლინდება: მოლოდინი, რომ ქალები მუდამ მზად უნდა იყვნენ მათ გარეგნობასთან დაკავშირებით კომენტარის მისაღებად (1981, 125). საქმიან გარემოში არაფორმალურ, სექსუალურ შინაარსზე მსგავსი ნახტომი ჯონ გამპერცის და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებული ტერმინით „კოდის გადართვა“ (“code switching”) აღინიშნება, სადაც კოდი ენას თუ დიალექტს გულისხმობს. ნიმუშის სახით გოფმანი აღნიშნული ავტორების მიერ ნორვეგიაში ჩატარებულ კვლევას განიხილავს, სადაც მკვლევრები აღწერენ, თუ მათი გამოჩენისას როგორ იცვლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის კომუნიკაცია – როგორც ვერბალური (წინადადებების ტემპი და რითმი, აგრეთვე რეგიო-

ნული დიალექტიდან ლიტერატურულ ენაზე გადართვა), ისე არავერბალური (ჯიბეებიდან ხელების ამოღება, სერიოზული იერის მიღება და ა.შ.). თუმცა „კოდის გადართვას“ მხოლოდ გარეშე პირების გამოჩენა არ იწვევს, არამედ საუბრის კონტექსტის და მონაწილეობის ჩარჩოს შეცვლაც. ზემოხსენებულ ავტორებს რომ დავუბრუნდეთ, ისინი აღწერენ, თუ ჩრდილოეთ ნორვეგიის ერთ-ერთი ქალაქის მაცხოვრებლები როგორ მოიკითხავდნენ ბანკის თანამშრომელს და მის ოჯახს ადგილობრივ დიალექტზე, თუმცა საქმეზე გადასვლისას ლიტერატურულ ენას იყენებდნენ. მსგავსად ამისა, სკოლაში მასწავლებელი ლიტერატურულ ენაზე ატარებდა გაკვეთილებს, თუმცა ნორვეგიულის ადგილობრივ დიალექტზე გადაერთვებოდა, როცა მოსწავლეებს შორის ღია და თავისუფალი დისკუსიის წახალისება სურდა (იქვე, 126). აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ წარმატებული კომუნიკაციისთვის აუცილებელია ინტერაქციის ჩარჩოს ზედმიწევნით ცოდნა და კოდებს შორის სათანადო ლავირება. გოფმანის თანახმად, სწორედ ენა გვაწვდის მინიშნებებსა და მარკერებს, რომ უკეთ ვწვდეთ ინტერაქციის ჩარჩოს და მისი დისკურსული ანალიზი განვახორციელოთ (იქვე, 157).

ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური მიდგომა

დისკურის ანალიზისადმი ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური მიდგომა დისკურსის არსის წვდომას მისი მაკრო და მიკრო სტრუქტურის, ადგილის და დროის გარემოებების, ნაწილაკების, თავსართების და ა.შ. გამოყენების ანალიზის საფუძველზე ცდილობს. ამ მიდგომის მიხედვით, გრამატიკა დისკურსის პროდუქტია და არა პირიქით, ანუ სწორედ კონკრეტული დისკურსის გამო ვიყენებთ გრამატიკას ამ სახით. ამასთან, ეს მიდგომაც აღიარებს, რომ სიტყვების გამოყენებას პერფორმატიული ფუნქცია აქვს; უფრო მეტიც, რომ სიტყვებით შეგვიძლია „საქმე ვაკეთოთ“.

ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური მიდგომის ერთ-ერთი გავლენიანი წარმომადგენელია ჯონ ოსტინი, რომლის ლექციების კურსი სახელწოდებით „როგორ ვაკეთოთ საქმე სიტყვებით“

(“How to Do Things with Words”, 1955) ჰარვარდის უნივერსიტეტის საუკეთესო ლექციათა ციკლშია შეყვანილი. ოსტინის თანახმად, ენა შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისთვის, რომ რაღაც ვამტკიცოთ და იმისთვის, რომ რაღაც ვაკეთოთ. განაცხადი, როგორიცაა „პირობას ვდებ, რომ ამას გავაკეთებ“ სწორედ რაღაცის კეთებად – პირობის მიცემად – უნდა გავიგოთ და არა რაღაცის მტკიცებად. ავტორის სიტყვებით, წინადადებები თავისთავად არც მართალია და არც მცდარი, არამედ მთავარია, თუ როგორ ვიყენებთ მათ. სწორედ ეს გამოყენება ანიჭებს წინადადებებს პერფორმატიულ ფუნქციას. მაგალითად, როცა ჯვრისწერისას ვინმე განაცხადს აკეთებს: „თანახმა ვარ, ამ ადამიანზე დავქორწინდეო“, მსგავსი წინადადება მხოლოდ ადამიანის განზრახვას კი არ აღწერს, არამედ მის რეალურ ქმედებას. ამიტომ ოსტინი მსგავს განაცხადებს „სამეტყველო აქტებს“ (“speech-act”) უწოდებს (Austin, 1955, 40).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, სიტყვებით საქმის კეთების არსი რომ გავიგოთ, მნიშვნელოვანია აქტორის განზრახვის ცოდნა. შესაბამისად, ამ მიდგომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სწორედ ავტორის/მოსაუბრის განზრახვის (“intentionality”) ანალიზი. თუმცა, აქ ორი რადიკალურად განსხვავებული ხედვა არსებობს, რომელიც ოსტინის მოსაზრებების საფუძველზე ავტორის/მოსაუბრის განზრახვას აანალიზებს: ერთი, ფრანგი ფილოსოფოსის ჟაკ დერიდას პოზიცია, რომლის თანახმად, განაცხადი შესაძლოა დაშორდეს მისი ავტორის საწყის განზრახვას და სრულიად აღარ აღიქმებოდეს ამ ავტორთან კავშირში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ქმნის მნიშვნელობას. დერიდას სიტყვებით, ოსტინს ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ ნებისმიერ სამეტყველო აქტზე გავლენას ახდენს კონტექსტური შეზღუდვების გამო არნათქვამი სიტყვები და ლინგვისტური ელემენტების განმეორებადობა მოცემულ კონტექსტს მიღმა. მისი თქმით, ოსტინის თეორიაში განზრახვა შეზღუდულია მხოლოდ ავტორის ნაგულისხმევი მნიშვნელობით და არ ით-

ვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა გაუგებარია, მოცემული სამეტყველო აქტი გულწრფელია თუ მხოლოდ სხვის ციტირებას ახდენს და შესაძლოა ამ დროს ირონიული კონოტაციაც კი შეიძინოს. ამდენად, ის ასკვნის, რომ სამეტყველო აქტის გაგება კონკრეტულ ისტორიულ-ლინგვისტურ კონტექსტზეა დამოკიდებული და არა ავტორის განზრახვაზე (1988). დერიდას საპირისპიროდ, ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ სერლი ოსტინის პოზიციას იცავს და მიიჩნევს, რომ მაშინაც კი, როცა განაცხადის ავტორი უცნობია, ის მაინც გარკვეული განზრახვის მატარებელია, რადგან საზრისის მქონე წინადადება ყოველთვის განზრახვის მატარებელ სამეტყველო აქტს გულისხმობს. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებული განზრახვით შეუძლიათ მოცემული სამეტყველო აქტის გამოყენება, ვერ ცვლის საწყისი ავტორის განზრახვას და გავლენას ვერ ახდენს ამ განაცხადის საწყის მნიშვნელობაზე (1994).

ამგვარად, ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური მიდგომა აქცენტს აკეთებს დისკურსის პერფორმატიულ ფუნქციაზე და მოსაუბრეთა განზრახვის ანალიზზე. თუმცა, ამ ანალიზს ის ფაქტი ართულებს, რომ საუბარს შესაძლოა სხვადასხვა როლის მქონე მრავალი მონაწილე ჰყავდეს და ისინი სხვადასხვა პერფორმატიულ ფუნქციას ასრულებდნენ. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ჯუდი ირვაინის სტატია „ჩრდილოვანი საუბრები: მონაწილეთა როლების ბუნდოვანება“ (1996), სადაც ავტორი ვოლოფის ტომის შეურაცხმყოფელ პოეზიას განიხილავს, რომელიც ქორწილის დროს სრულდება. ამ პოეზიის შემქმნელიც და ადრესატიც არა ერთი რომელიმე აქტორი ან მხარეა, არამედ როლების მთელ ერთობლიობას მოიცავს, რომელთა ანალიზის გარეშეც ამ პოეზიის არსის წვდომა შეუძლებელია. პოეზიის შემქმნელებს შორის სამი ძირითადი როლი გამოიკვეთება: დამკვეთი თუ სპონსორი, რომელიც აფინანსებს პატარძლის ახლო ნათესავების შეურაცხმყოფელი პოეზიის შექმნას. ვოლოფის შემთხვევაში, ესაა სიძის სხვა ცოლები, რომლებიც შეურაცხმყოფელი პოეზიის დამკვეთ-

ნი არიან, თუმცა, თავად არ ასრულებენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მაღალი ფენის წარმომადგენელნი არიან. ამგვარ პოეზიას უფრო დაბალი რანგის ქალბატონები ასრულებენ, რომლებიც პოეზიის შინაარსზე პასუხისმგებელნი სულ არ არიან. ცხადია, „კულისებში“ რჩება არაიდენტიფიცირებადი ავტორიც, რომელიც თავად პოეზიის ფორმულირებაზეა პასუხისმგებელი. ამგვარად, შეურაცხმყოფელ პოეზიაზე პასუხისმგებლობას რამდენიმე აქტორი ინაწილებს და თითოეულს შესაბამისი პერფორმატიული ფუნქცია აქვს. რაც შეეხება პოეზიის ადრესატებს, აქაც სამ ძირითად როლს ვხვდებით: პოეზიის მთავარი ადრესატი ანუ პატარძალი; პოეზიის სამიზნე ჯგუფი ანუ პატარძლის ახლო ნათესავები, რომელთა საქმეებიც (განსაკუთრებით სკანდალური) საყოველთაო ინტერესის საგანია; და ბოლოს, აუდიტორია, რომელიც შეურაცხმყოფელ პოეზიას მოისმენს და მოგვიანებით სხვა აუდიტორიასაც მიაწვდის ამ გზავნილს (1996, 136-137). ამგვარად, ვოლოფის შეურაცხმყოველ პოეზიაში მონაწილეთა ექვსი განსხვავებული როლი იკვეთება: სამი – ავტორის მხარეს და სამი – ადრესატის მხარეს. უდავოა, რომ ყველა ამ როლის ურთიერთკავშირისა და პერფორმატიული ფუნქციის ანალიზის გარეშე შეუძლებელი იქნება აღნიშნული პოეზიის დისკურსის ანალიზის განხორციელება.

ზემოხსენებული მაგალითი ცხადყოფს, რომ გარკვეული ტექსტი და მისი შესრულება უბრალოდ ვერბალურ გზავნილს კი არ წარმოადგენს, არამედ პოეტურ გზავნილსაც (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით). სწორედ ამიტომ მიიჩნევს რომან იაკობსონი მნიშვნელოვნად ვერბალური გზავნილის არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ პოეტურ ანალიზსაც. მისი თქმით, პოეტიკის მთავარი ფოკუსია, თუ „რა აქცევს ვერბალურ გზავნილს ხელოვნების ნიმუშად“ (1960, 350). ის აღნიშნავს, რომ პოეტიკა ვერბალური სტრუქტურის პრობლემებს ეხება ისევე, როგორც ფერწერული ტილოს ანალიზი – მის მხატვრულ სტრუქტურას. რადგან ლინგვისტიკა ზოგადი მეცნიერებაა ვერბალური

სტრუქტურის შესახებ, ამიტომ პოეტიკა ლინგვისტიკის შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტიკა მხოლოდ ენას კი არ უკავშირდება, არამედ ნიშანთა მთელ სისტემას ანუ სემიოტიკას, რადგან უდავოა, რომ ენას ნიშანთა სხვა სისტემებთან საერთო უამრავი მახასიათებელი აქვს (იქვე, 350-351). იაკობსონის აზრით, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ურთიერთკავშირი სიტყვასა და სამყაროს შორის, რაც მხოლოდ ვერბალურ გზავნილებს კი არ ეხება, არამედ დისკურსის ყველა სახეობას. „ლინგვისტიკა იკვლევს ურთიერთკავშირს ყველა შესაძლო პრობლემას დისკურსსა და 'დისკურსის სამყაროს' შორის", კერძოდ, როგორ ხდება სამყაროს ვერბალიზება მოცემული დისკურსის გზით (იქვე, 351). ამგვარი ვერბალიზების თვალსაჩინო ნიმუშია დელ ჰაიმსის „ეთნოპოეტიკა" (1981). ის პერფორმატიულ ხედვას ეფუძნება, რასაც განმსაზღვრელად მიიჩნევს ფოლკლორის, როგორც კომუნიკაციის, შესასწავლად და მკვიდრი ამერიკელების ფოლკლორული ნარატივების ანალიზის საფუძველზე გვიჩვენებს, რომ ზეპირი ნარატივებისთვის დამახასიათებელია პოეტური ფორმები, რომლებიც სოციოკულტურული სპეციფიკის წვდომის ინსტრუმენტებია. ამგვარად, გარკვეული კულტურული ერთობისთვის დამახასიათებელი ენის პოეტური გამოყენების ანალიზი (ეთნოპოეტიკა) საშუალებას აძლევს მკვლევარს, ამ ერთობის კულტურულ-სპეციფიკური მახასიათებლები გამოავლინოს.

ტექსტი და ტექსტურობა

დისკურსის ანალიზისადმი მომდევნო მიდგომა „ტექსტის და ტექსტურობის" სახელწოდებით არის ცნობილი. „ტექსტი" ნებისმიერი სახის დოკუმენტირებად ნარატივს გულისხმობს, იქნება ეს წერილობითი, ზეპირი თუ კულტურული ტექსტი. „ტექსტურობა" კი ტექსტის იმ მახასიათებლებს აერთიანებს, რაც მის ლოგიკურ მთლიანობას უზრუნველყოფს.

ამ მიდგომის თანახმად, ტექსტის გასაგებად არასაკმარისია მხოლოდ მისი შინაარსის გაცნობა, არამედ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა სოციალურ გარემოში შეიქმნა ეს ტექსტი, ანუ გავაანალიზოთ მისი კონტექსტი (con-text); თუ რით აიხსნება მისი შექმნა, რამ უბიძგა სწორედ ამ ტექსტის გაჩენას (pre-text); თუ რა თანმხლებ დისკურსს გვთავაზობს ეს ტექსტი (co-text); თუ რა საპასუხო ტექსტის შექმნას იწვევს ეს ტექსტი (post-text); და ბოლოს, თუ რის საფუძველზე ვახდენთ ამ ტექსტის ინტერპრეტაციას (meta-text). ყველა ეს მახასიათებელი ერთიანობაში პასუხისმგებელია ტექსტის „ტექსტურობაზე“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა სათავეს იღებს ფრანგი ფილოსოფოსის პოლ რიკოს ნაშრომებიდან, რომელიც კულტურას განიხილავდა, როგორც ტექსტს, რომლის წაკითხვაც შეიძლებოდა (1981). კულტურის „წაკითხვის“ თვალსაზრისით მას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა „გაფართოებული დისკურსის“ (“Extended Discourse”) როლი, რომელიც რამდენიმე სახის დისკურსისგან შედგება: მეტაფორული, ნარატიული, რელიგიური და პოლიტიკური. აღნიშნული დისკურსების ინტერპრეტაცია როგორც კულტურის კონტექსტში ადამიანური ქმედების საზრისის წვდომის, ისე უკეთესი თვითშემეცნების საშუალებაა (1974).

რიკოს თანახმად, მეტაფორული დისკურსი ერთდროულად რამდენიმე გზავნილს გვაწვდის. განსხვავებით ლოგიკური თანწყობისგან, რომელიც გვეუბნება, რომ რაღაც ხდება ან არ ხდება, მეტაფორა გვეუბნება, რომ რაღაც ერთდროულად ხდება კიდეც და არც ხდება, რითიც რეალობის ახლებურ აღწერას ახდენს. მეტაფორა შეიძლება გასცდეს ცალკეულ წინადადებას, როგორც ეს პოეტური ენის შემთხვევაში ხდება. სწორედ ამიტომ პოეტური ენა რეალობის ახლებურ აღწერას გვთავაზობს. რაც შეეხება ნარატიულ დისკურსს, ის საშუალებას გვაძლევს, ადამიანური ქმედების საზრისს დროის გარკვეულ მომენტში ვწვდეთ. ნარატიული დისკურსი ფიზიკურ მოვლენებს ნარატიულ მოვლენებად აქცევს, ანუ ისეთ მოვლენებად, რომლებიც განმარტავს,

თუ რა ხდება კონკრეტულ ისტორიაში. რელიგიური დისკურსი თქმულებების, იგავების, ნარატივების, ჰიმნების და კანონების სახით გვეძლევა და ყოველთვის პოეტური დისკურსის სახეს იძენს. რელიგიური დისკურსი ზემოხსენებულ ტექსტებს რელიგიური ტრადიციების ლეგიტიმაციის მიზნით იყენებს, ანუ ამ ტექსტების კითხვის და ინტერპრეტაციის გზით მათში აღწერილი რელიგიური ტრადიციების ლეგიტიმაციას უწყობს ხელს. და ბოლოს, პოლიტიკური დისკურსი, რომელიც რიკოს დისკურსის ყველაზე მყიფე და რიტორიკულ ფორმად მიაჩნია. ამ დისკურსის მიზანია დარწმუნება, რადგან არ არსებობს ერთი შეთანხმებული ხედვა მმართველობის ამა თუ იმ ფორმის უპირატესობისა თუ ამა თუ იმ კანონის ქმედითობის შესახებ. ის, რომ პოლიტიკური დისკურსი გადაწყვეტილების მიღებისა და სხვების მართვის ძალაუფლებას ეხება, მას კიდევ უფრო მყიფეს ხდის. ამ ყველაფერს იდეოლოგიის და უტოპიის დიალექტიკამდე მივყავართ. იდეოლოგიები ესწრაფვის როგორც ძალაუფლებაში მყოფი ადამიანების პოზიციების ლეგიტიმაციას, ისე იმ განსვლის შენიღბვას, რაც მათ განაცხადებსა და რეალურ ქმედებებს შორისაა. ამის საპირისპიროდ, უტოპიური აზროვნება სამყაროს იდეოლოგიის გარეშე ან მის მიღმა წარმოსახავს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ უტოპია ადამიანებს იდეოლოგიის განსაკუთრებით საზიანო ფორმების მსხვრევაში ეხმარება, ის კვლავ იდეოლოგიაზე დამოკიდებული ხდება, რადგან ის „არსად“ არსებობს (1974). როგორც აღინიშნა, რიკოს ხედვით, ზემოხსენებული დისკურსების ინტერპრეტაცია როგორც გარემომცველი სამყაროს შემეცნების, ისე თვითშემეცნების საუკეთესო გზაა. სწორედ ამგვარმა ხედვამ მიიყვანა ავტორი „ნარატიული იდენტობის“ იდეამდე. ეს უკანასკნელი იმ ისტორიებს ეფუძნება, რომელსაც ადამიანი საკუთარ ცხოვრებაზე ყვება და იმ ისტორიებსაც, რომელთაც სხვები ყვებიან მისი ცხოვრების შესახებ. სწორედ ამ ისტორიების გააზრების საფუძველზე ვპასუხობთ შეკითხვას „ვინ?“: ვინ თქვა ეს? ვინ გააკეთა ეს? ვინ არის ეს? ვინ ვართ ჩვენ? (Pellauer, Dauenhauer, 2016).

რიკოს ხედვიდან მოყოლებული, კულტურის, როგორც ტექსტის, წაკითხვის იდეა ერთ-ერთ დომინანტურ მიდგომად იქცა თანამედროვე დისკურსის ანალიზში. მ. სილვერსტაინი და გ. ურბანი მიიჩნევენ, რომ კულტურის, როგორც ტექსტის, იდეა საშუალებას აძლევს კულტურის ანალიტიკოსს, რომ მიმდინარე სოციალური ქმედების გარკვეული მონაკვეთი მისივე კონტექსტში „ჩაიჭიროს“, ამ ამონარიდზე ფოკუსირდეს და მისი სტრუქტურა და შინაარსი იკვლიოს. საზოგადოებაში ცირკულირებადი ტექსტები სწორედ დისკურსის მისი საწყისი კონტექსტიდან ამოღებით იქმნება, რასაც ავტორები „ენტექსტუალიზაციის“ სახელს არქმევენ. კულტურის ანალიტიკოსი სვამს კითხვას, თუ კულტურის ეს ტექსტური ფრაგმენტი რა გზითაა დაკავშირებული მის „კონტექსტთან“ ანუ ტექსტის არაწაკითხვად გარემოსთან და „თანმხელ ტექსტთან“ (“co-text”), როცა კონტექსტი გაგებულია, როგორც წაკითხვადი. ამგვარად, კულტურული ტექსტის გასაგებად აუცილებელია ორი ერთდროული პროცესის ანალიზი – *„ენტექსტუალიზაციის“* და *„კო(ნ)ტექსტუალიზაციის“*. უფრო მეტიც, ავტორები მიიჩნევენ, რომ „რაღაცის ტექსტად ქცევა ნიშნავს მისი სტრუქტურის და შინაარსის *დეკონტექსტუალიზებას,* ანუ იმგვარი ფორმის და შინაარსის მიცემას, რაც წარმოსადგენია იმ დროით-სივრცული თუ სხვა ჩარჩოების გარეშე, რომელშიც ის შეიქმნა“ (1996, 1). ეს პროცესი, ავტომატურად, *რეკონტექსტუალიზებასაც* გულისხმობს, ანუ ახალ კონტექსტში ტექსტის გადატანას და მის ახლებურ გამოყენებას. ამიტომ კულტურის წარმომადგენლებს შეუძლიათ სხვადასხვაგვარად „ითამაშონ“ ტექსტით, მაგალითად, აიღონ დისკურსის გარკვეული ფრაგმენტი და მისი ახლებური ციტირება მოახდინონ, რითაც ორ განსხვავებულ მნიშვნელობას მიანიჭებენ ორ სხვადასხვა კონტექსტში; ან მათ შეუძლიათ ზეპირი დისკურსის რაიმე ფრაგმენტისთვის ტექსტური ფორმის მიცემა, რაც მკითხველს შედარებით მყარ, დეკონტექსტუალიზებულ მნიშვნელობასაც მიაწვდის; ან მათ შეუძლიათ ამგვარი ფიქსირებული ტექ-

სტის სცენური შესრულება და სწორედ ამ პერფორმატიული პრაქტიკის საფუძველზე მისთვის ახალი ინტერპრეტაციული მნიშვნელობის მინიჭება. ამ თვალთახედვით, ტექსტი *„მეტადისკურსულ“* ფენომენად გვევლინება, რომელიც კულტურის წარმომადგენლებს გაზიარებული კულტურული ერთობისადმი კუთვნილების შეგრძნებას ანიჭებს (იქვე, 2) და ამ გზით, იმგვარ იდენტობასაც, რასაც რიკო „ნარატიულ იდენტობას“ უწოდებს.

დისკურსის კრიტიკული ანალიზი

დისკურსის ანალიზისადმი კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მიდგომაა დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რომლის საკვანძო ცნებაა ძალაუფლება, როგორც კონტროლის მექანიზმი. ძალაუფლების სხვადასხვა ტიპი არსებობს, იქნება ეს ფიზიკურ ძალაზე დამყარებული სამხედრო ძალაუფლება, ფინანსებზე დამყარებული ეკონომიკური ძალაუფლება, ავტორიტეტზე დამყარებული მშობლის ძალაუფლება თუ ცოდნაზე დამყარებული პროფესორის ძალაუფლება. დისკურსის კრიტიკული ანალიზი სწორედ ძალაუფლებასა და დისკურსს შორის კავშირს იკვლევს, კერძოდ, ის სწავლობს, თუ როგორ ხდება სოციოპოლიტიკურ კონტექსტში ძალაუფლების ასახვა, კვლავწარმოება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ტექსტის და საუბრის გზით. აქ ორი მნიშვნელოვანი პოსტულატი ჩნდება: ერთი, სხვადასხვა ტიპის დისკურსისადმი წვდომა (იქნება ეს პოლიტიკური, მედიის, სამეცნიერო თუ ა.შ.) ძალაუფლების წყაროა; მეორე, სხვების გონების (ვთქვათ, ცოდნის ან განწყობების) კონტროლით ადამიანებს მათი ქცევების კონტროლიც შეუძლიათ. შესაბამისად, ვინც ყველაზე გავლენიან დისკურსებს აკონტროლებს, სხვების აზროვნებისა და ქცევების კონტროლის მეტი შესაძლებლობაც აქვს (van Dijk, 2001, 355). ამდენად, ამ მიდგომის თანახმად, ძალაუფლებრივი ურთიერთობები ყოველთვის დისკურსულია; თავის მხრივ, დისკურსი საზოგადოების და კულტურის კონსტრუირების მექანიზმია. დისკურსის კრიტიკული ანალიზით მკვლევარმა

სწორედ საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებრივი ასიმეტრია უნდა გამოავლინოს და მისი ფორმები იკვლიოს. ამდენად, დისკურსის კრიტიკული ანალიზი ვერასდროს იქნება ღირებულებით-ნეიტრალური, არამედ გაცხადებულ აქტივისტურ პოზიციაზე დგას.

დისკურსის კრიტიკული ანალიზის ფარგლებში არაერთი მიმართულება ჩამოყალიბდა, რომელთაგან ქვემოთ მხოლოდ ყველაზე გავლენიანებს განვიხილავთ, კერძოდ, მიშელ ფუკოს თეორიას, ფემინისტურ პოსტ-სტრუქტურალისტურ დისკურსის ანალიზს, დისკურსის ანალიზისადმი ცოდნის სოციოლოგიის მიდგომას, ნორმან ფერკლოუს მოდელს, რუთ ვოდაკის დისკურსულ-ისტორიულ მიდგომას და თოინ ვან დიკის სოციოპოლიტიკურ დისკურსულ ანალიზს.

დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიმართულებები

ფუკოსეული დისკურსის ანალიზი

დისკურსის ანალიზის თანამედროვე პოპულარობა სწორედ მიშელ ფუკოს დამსახურებაა. მის ოთხტომეულში „სექსუალობის ისტორია“ (1978) ფუკო განიხილავს სექსუალობასთან დაკავშირებული ეთიკური და მორალური ღირებულებების განვითარებას, სექსუალობის კონტროლს ისეთი ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა სახელმწიფო და ეკლესია, აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებული ისეთი აკადემიური დისციპლინების განვითარებას, როგორიცაა მედიცინა, სამართალი და ფსიქოლოგია. ფუკო მიიჩნევს, რომ სექსუალობის ისტორიის განხილვისას გარდაუვალია მასთან დაკავშირებული დისკურსის ანალიზი, რაც დისკუსიისგან განსხვავებული ცნებაა. როცა დისკუსიაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ იმას განვიხილავთ, თუ ვინ რა თქვა; ხოლო როცა დისკურსზე ვსაუბრობთ, განვიხილავთ, თუ ვის აქვს რამის თქმის ძალაუფლება, რა ფორმით ამბობს ამას, რა კონტექსტში და ა.შ. ფუკო მიიჩნევს, რომ სექსუალობის დისკურსის

გავრცელება სოციალური კონტროლის საშუალებაა. ჩვენ ვუკავშირებთ სექსუალობის ცნებას განათლებას, ოჯახურ სტრუქტურას, დემოგრაფიას, ფსიქიატრიას, კარგ მმართველობას და ა.შ. საზოგადოების „ჯანსაღი“ სექსუალობის უზრუნველყოფის მოტივით ჩვენ ვცდილობთ საკუთარი და სხვების სექსუალური ქცევების კონტროლს. აქედან გამომდინარე, სექსუალობა არა ჩვენი შინაგანი, ფიქსირებული მდგომარეობაა, არამედ სოციალური კონსტრუქტია, რომელიც საზოგადოების მიერ არის თავს მოხვეული.

ამგვარად, დისკურსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძალაუფლებრივი ურთიერთობების ანალიზისას. ფუკოს მიხედვით, საუბარი და ტექსტი უბრალოდ ფაქტების გადმოცემას არ ახდენს და მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა არის ნათქვამი, არამედ ისიც, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, რა ითქვას. ვინც აკონტროლებს, თუ რაზე შეიძლება საუბარი, აგრეთვე აკონტროლებს, თუ რა შეგვიძლია ვიცოდეთ. ვინც აკონტროლებს, თუ რა ცოდნაზე გვაქვს წვდომა, აგრეთვე აკონტროლებს, თუ რას ვფიქრობთ და რას წარმოვადგენთ. ანუ იმის კონტროლით, თუ რაზე შეუძლიათ საზოგადოების წევრებს საუბარი და რა ცოდნაა მათთვის ხელმისაწვდომი, გადაწყვეტილების მიმღებნი მათ იდენტობასაც აკონტროლებენ. ერთი მხრივ, ძალაუფლებაში მყოფნი დისკურსს აკონტროლებენ და გადაწყვეტილებას იღებენ, თუ ვის აქვს სექსუალობაზე საუბრის უფლება და რა ფორმით; ამ გზით ისინი საზოგადოების წევრების სექსუალურ ცოდნასაც აკონტროლებენ. მეორე მხრივ, დისკურსის ამგვარი კონტროლი მათი ძალაუფლების შენარჩუნებას უწყობს ხელს. გამოდის, რომ სექსუალობის დისკურსის და შესაბამისი ცოდნის კონტროლის მცდელობა სინამდვილეში ძალაუფლების კონტროლის მცდელობაა. ამიტომ დისკურსის ანალიტიკოსმა მხოლოდ ის კი არ უნდა იკვლიოს, თუ ძალაუფლებრივი ასიმეტრია როგორ გამოვლინდება დისკურსის გზით, არამედ ისიც, თუ,

თავის მხრივ, როგორ უწყობს დისკურსი ხელს არსებული უთანასწორობის შენარჩუნებას.

ნაშრომში „პოლიტიკა და დისკურსის შესწავლა“ (1991) ფუკო აღნიშნავს, რომ დისკურსი იმ ობიექტების ფორმირებას ახდენს, რომელზეც საუბრობს და ამიტომ ის ყოველთვის პოლიტიკურია. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მისი კვლევის ფოკუსი არ არის დისკურსის ენობრივი სისტემა ან ფორმულირების წესები, რადგან არ აინტერესებს, თუ რა ხდის დისკურსს ლეგიტიმურს ან თუნდაც გასაგებს. მისი ფოკუსია დისკურსის წარმოქმნის პირობები და მათი კავშირი სხვა წარსულ ან თანამედროვე მოვლენებთან (დისკურსულთან და არადისკურსულთან). ფუკოს თანახმად, ამ პრობლემის კვლევისას აუცილებელია შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილება: 1. *თქმადის* საზღვრები და ფორმები: რისი თქმა არის შესაძლებელი? რა წარმოდგენს დისკურსის სფეროს? 2. *კონსერვაციის* საზღვრები და ფორმები: რა დისკურსებია განწირული სამუდამოდ გასაქრობად? რომელი მათგანი დარჩება ადამიანურ მეხსიერებაში რიტუალური შესრულების, პედაგოგიკის, გართობის, საჯაროობის გზით? რომელი მათგანის ცირკულირება ხდება და რა ჯგუფებს შორის? რომელი მათგანი ხდება რეპრესიის და ცენზურის საგანი? 3. *მეხსიერების* საზღვრები და ფორმები: რა დისკურსებია მიჩნეული ვალიდურად ან არავალიდურად? რომელი მათგანია უკუგდებული, როგორც უმნიშვნელო ან უარყოფილი, როგორც უცხო? რა კავშირია წარსულ და აწმყო დისკურსებს შორის? 4. *რეაქტივაციის* საზღვრები და ფორმები: წინა ეპოქების ან უცხო კულტურების დისკურსებიდან რომელი შენარჩუნდა და გადმოღებულ იქნა სხვა კულტურებში? რა როლი ენიჭება და რა ღირებულების მატარებელია ისინი? 5. *მითვისების* საზღვრები და ფორმები: რომელ ინდივიდებს, ჯგუფებსა და კლასებს აქვთ წვდომა ცალკეულ დისკურსებზე? როგორ ხდება ურთიერთკავშირის ინსტიტუციონალიზაცია დისკურსს, მთხრობელსა და აუდიტორიას შორის? როგორ მიმდინარეობს ბრძოლა დისკურსების კონტრო-

ლისთვის სხვადასხვა ერს, კლასს, ლინგვისტურ, კულტურულ თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის? (59-60). ამგვარად, ფუკოს ხედვა მოკლედ რომ შევაჯამოთ, დისკურსი ყოველთვის ძალაუფლებისა და კონტროლის ინსტრუმენტია და ამ თვალსაზრისით, ყოველთვის პოლიტიკურია. ამიტომ დისკურსის ანალიზი ამ ძალაუფლებრივი ასიმეტრიის საფუძველმდებარე პირობებისა და თანმდევი შედეგების შესწავლის საშუალებაა.

ფემინისტური პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის ანალიზი

ფუკოს და ფრანგული პოსტ-სტრუქტურალიზმის გავლენით, თანამედროვე დისკურსის ანალიზში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა ფემინისტური დისკურსის ანალიზი. ფუკოს იდეების საფუძველზე, ამ მიმართულების წარმომადგენელნი, როგორიცაა ჯუდი ბათლერი, გაიათრი სპივაკი და სხვები, იმ დისკურსულ პროცესებს სწავლობენ, რომლებიც ქმნის და გარდაქმნის გენდერს მოცემულ სოციალურ კონტექსტში. შესაბამისად, მათ აინტერესებთ გენდერული იდეოლოგიის გამოვლენა ენის გზით და დისკურსის როლი გენდერული იერარქიის მქონე სოციალური წესრიგის შენარჩუნებაში. გენდერის და დისკურსის ანალიზის საწყისი კვლევები სწავლობდა ემპირიულ სხვაობებს ქალის და კაცის საუბარს შორის მათი ინტერაქციისას, ქალების ენისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს და, რაც მთავარია, ენის როლს გენდერული უთანასწორობის ხელშეწყობასა და შენარჩუნებაში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალსაჩინოა რობინ ლაკოფის ნაშრომში „ენა და ქალის ადგილი“ (1975), რომელიც ენის და გენდერის ურთიერთმიმართების კვლევის საფუძველმდებარე ტექსტად მიიჩნევა. ავტორი „მოჯადოებულ წრეს“ განიხილავს, რომელიც იწყება ქალის და კაცის უთანასწორო როლით საზოგადოებაში; ეს უკანასკნელი განსხვავებულ გენდერულ სოციალიზაციას იწვევს, რომლის ფარგლებშიც გოგონებს პასიურობას ასწავლიან, რადგან ეს ქალის სოციალური

ნორმაა. თავის მხრივ, „ქალის ენის“ გამოყენება ქალს ძალაუფ-ლებისადმი წვდომას ართმევს და არსებულ სოციალურ უთანას-წორობას განამტკიცებს. ლაკოფი რიგ ლინგვისტურ სტრუქტუ-რას განიხილავს, რაც ქალის ენას უფრო „რბილს“ და ნაკლებ დირექტიულს ხდის. კიდევ ერთ გავლენიან კვლევაში ციმერმან-მა და ვესტმა (1975) აღმოაჩინეს, რომ კაცები ბევრად ხშირად აწყვეტინებდნენ ქალებს საუბარს საზოგადოებრივ ადგილებში, ვიდრე ქალები – კაცებს. მათ თანახმად, ყოველდღიურ საუბარ-ში არსებული ასიმეტრია, ზოგადად, სოციალურ სტრუქტურაში არსებული ასიმეტრიების ასახვას და კვლავწარმოებას ახდენს.

ენის და გენდერის უფრო გვიანი კვლევები ირვინ გოფმანის გავლენას განიცდის და დისკურსს და გენდერს სოციალური ინ-ტერაქციის განმსაზღვრელ კომპონენტებად მიიჩნევს, რაც ვლინდება როგორ აღმოსავლურ-ტრადიციული, ისე დასავლურ-ინდუსტრიული საზოგადოებების კვლევისას. მაგალითად, ბრაუ-ნის კვლევა (1980) ზრდილობის ფორმების გამოყენების შესახებ მაიას საზოგადოებაში აჩვენებს, რომ ქალები მეტად იყენებდნენ ზრდილობის გამოსახატ სტრატეგიებს, ვიდრე კაცები; ხოლო გუდვინის კვლევა (1980, 1990) შავკანიანი ამერიკელი ბავშვების სოციალიზაციის შესახებ ურბანულ გარემოში აჩვენებს, რომ შე-რეული სქესის სათამაშო მოედნებზე ბიჭების და გოგონების სა-უბრები სხვადასხვა სახის სოციალურ ორგანიზაციას ასახავდა: ბიჭები მეტად იერარქიულ სტრუქტურებს ქმნიდნენ, გოგონები კი – მეტად ეგალიტარულს; კერძოდ, ბიჭების საუბარი მეტად დირექტიული იყო, ხოლო გოგონებისა – შეთავაზებას უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე მოთხოვნას (Kendall, Tannen, 2001, 551).

1990-იან წლებში გენდერის და დისკურსის კვლევაში ორი ხედვა იყო განმსაზღვრელი: „ძალაუფლების“ თუ „დომინანტო-ბის“ მიმართულება, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა არა-თანაბარ როლებზე, როგორც უთანასწორობის წყაროზე და „კულტურული“ თუ „განსხვავების“ მიმართულება, რომელიც გენდერული სოციალიზაციის განსხვავებებზე ამახვილებდა ყუ-

რადღებას. პირველი მიმართულება ინტერაქციულ-სოციოლოგიურ მიდგომას ეფუძნება, მეორე კი – ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურს. თუმცა, ბოლო პერიოდში მათი „შერიგების“ მცდელობას წარმოადგენს შეხედულება, რომ დომინანტობისა და დაქვემდებარების ურთიერთობები ინტერაქციის პროცესში ყალიბდება და „კულტურული“ ხედვის მიზანი სწორედ მათი საფუძვლების ახსნაა (იქვე, 554).

21-ე საუკუნის დასაწყისში გენდერის და დისკურსის კვლევები კიდევ უფრო განვითარდა და „კაცის ენის“ კვლევებზეც ფოკუსირდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საუბრისას კაცები ავლენენ ტენდენციას, საკუთარ თავზე ექსპერტის ან ავტორიტეტის როლები აიღონ. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება შეიძინა გენდერსა და სოციალური იდენტობის სხვა მარკერებს (ეთნიკურობა, განათლება, სოციალური კლასი, სექსუალობა და ა.შ.) შორის კავშირის შესწავლამ. თანამედროვე კვლევებში წამყვანია *გენდერის, როგორც სოციალური კონსტრუქტის,* ხედვა, რომლის თანახმად, გენდერის მნიშვნელობა კულტურულ-სპეციფიკურია და გენდერული იდენტობები ინტერაქციის საფუძველზე ყალიბდება. შესაბამისად, გენდერის და დისკურსის ურთიერთკავშირის თანამედროვე ხედვა გოფმანის ინტერაქციულ და ბათლერის პერფორმატიულ მიდგომებს ეფუძნება, რომელთა თანახმად, გენდერული ქცევების კვლავწარმოება უკვე დამკვიდრებული ავტორიტარული პრაქტიკების განმეორების გზით ხდება (იქვე, 557). შედეგად, ერთი მხრივ, *გენდერული დისკურსი შეზღუდვად განიხილება:* თუ ქალები და კაცები არ საუბრობენ იმგვარად, როგორც მათი სქესისგან მოელიან, მაშინ მათი საუბარი და ქცევა ნეგატიურად ფასდება, როგორც საპირისპირო სქესის მსგავსი. ამის თვალსაჩინო ნიმუშია თანენის კვლევა ავტორიტეტული პოზიციის მქონე ქალებისა და კაცების საუბრის შესახებ. ავტორმა აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც ფემინურობის მოლოდინს აკმაყოფილებენ, ნაკლებ კომპეტენტურად და თავდაჯერებულად აღიქმებიან; ხოლო ქალები,

რომლებიც ავტორიტეტულ პოზიციაზე მყოფი ადამიანის სტერეოტიპს შეესაბამებიან, ნაკლებ ფემინურად და ზედმეტად აგრესიულად აღიქმებიან. მეორე მხრივ, *გენდერული დისკურსი რესურსად განიხილება:* საუბრის სტილში სხვადასხვა ვარიაციას აქვს ადგილი, რადგან გენდერი სხვა სოციალურად კონსტრუირებულ კატეგორიებთან არის შეჭიდული, როგორიცაა რასა ან სოციალური კლასი. ინდივიდები ფემინურობისა და მასკულინობის არაერთ და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიას ქმნიან. ქალებს და კაცებს შეუძლიათ გენდერთან დაკავშირებული სოციალური ნორმების არა მხოლოდ კვლავწარმოება, არამედ მათი რღვევა და შეცვლაც (იქვე, 559-560).

დისკურსის ანალიზისადმი ცოდნის სოციოლოგიის მიდგომა

დისკურსის ანალიზისადმი ცოდნის სოციოლოგიის მიდგომა სათავეს იღებს პიტერ ბერგერისა და თომას ლუკმანის შრომებიდან და, გარკვეულწილად, ფუკოს მიდგომას დისკურსის ანალიზის სხვა მიდგომებთან აკავშირებს. ამ მიდგომის თანახმად, ყველაფერი, რაც აღქმის და გამოცდილების გზით გვეძლევა, სოციალურად კონსტრუირებული ცოდნითაა გაშუალებული და ეს ცოდნა ლეგიტიმურად და „ობიექტურად“ არის მიჩნეული. ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი წვდომა სამყაროზე, როგორც ასეთზე, მაშინაც კი, როცა მის ყოველდღიურ გამოწვევებს ვეჯახებით და მათი ინტერპრეტაცია გვიწევს. სამყაროს ჩვენეული ცოდნა შინაგანი კოგნიტური სისტემების შედეგი კი არ არის, არამედ სოციალურად კონსტრუირებული სიმბოლური სისტემებისა, რომლებიც დისკურსის გზით იქმნება. დისკურსის ანალიზისადმი ცოდნის სოციოლოგიის მიდგომა სწორედ სიმბოლური წესრიგის შექმნის, განმტკიცებისა და ტრანსფორმაციის სოციალურ პროცესებს და მათ შედეგებს სწავლობს. ამ თვალსაზრისით, სტატისტიკა, კლასიფიკაციები, კანონები, ობიექტები და ჩვეული

პრაქტიკები დისკურსის შედეგებია და სხვა ახალი დისკურსების წინაპირობები. ამდენად, ამ მიდგომას აინტერესებს მნიშვნელობის კონსტრუირების, გამოხატვის, კომუნიკაციის და ლეგიტიმაციის პროცესები და მათი შედეგები სოციალური აქტორებისა და ინსტიტუტების დონეზე (Keller, 2013, 61).

ნაშრომში „რეალობის სოციალური კონსტრუირება“ (1966) ბერგერი და ლუკმანი ცოდნის სოციალური კონსტრუირების, ობიექტივაციის და ცირკულაციის მათეულ თეორიას გვთავაზობენ და საზოგადოების წევრების მიერ ყოველდღიური ცოდნის ინტერაქტიულ შექმნაზე ამახვილებენ ყურადღებას; მათ ნაკლებ აინტერესებთ სპეციალიზებული ცოდნის შექმნა. თუმცა, მათი კვლევების საფუძველზე განვითარებული დისკურსის ანალიზისადმი ცოდნის სოციოლოგიის მიდგომა სწორედ სპეციალიზებული ცოდნის შექმნაზე და გავრცელებაზე ამახვილებს ყურადღებას. მას აინტერესებს, თუ რა სოციალურ კონტექსტში იქმნება ამგვარი ცოდნა, რომელი სოციალური აქტორები მონაწილეობენ მის შექმნაში და როგორი წვდომა აქვთ მასზე სხვა აქტორებს.

ამ მიმართულების ფარგლებში შეგვიძლია განვიხილოთ პიერ ბურდიეს ხედვაც, რომლის თანახმად, სოციალიზაციის პროცესში ინდივიდები კოგნიტური და პერფორმატული სქემების სისტემას ქმნიან, რომელთაც ავტორი „ჰაბიტუსს“ უწოდებს. ჰაბიტუსის განმსაზღვრელია ის ინსტიტუციური პირობები, კაპიტალის სტრუქტურა (ეკონომიკური, კულტურული და სოციალური) და სიმბოლური წესრიგი, რომლის ფარგლებშიც ის იქმნება. სხვა კაპიტალების ფლობის შედეგად, ადამიანი იძენს სიმბოლურ კაპიტალს ანუ ავტორიტეტს, რომელიც საჯაროდ აღიარებულია, როგორც ლეგიტიმური. ჰაბიტუსი გავლენას ახდენს ინდივიდის ქმედებასა და ენის გამოყენებაზე, და ამ გზით, გარკვეული სიმბოლური წესრიგის (კვლავ)წარმოებაზე. ამგვარად, ენის გამოყენებით არსებული სიმბოლური წესრიგის შენარჩუნება ან შეცვლა ხდება; შესაბამისად, ენა სიმბოლური ბრძოლის იარაღია. ბურდიეს მიხედვით, ენის გამოყენება ყოველთვის დამოკი-

დებულია მის ინსტიტუციურ კონტექსტზე ან კონკრეტული სფეროს შიგნით მის სოციალურ პოზიციაზე. სწორედ ამგვარი პოზიცია აკონტროლებს დისკურსის შექმნას და ლეგიტიმაციას, რადგან ამ გზით აუდიტორია ასკვნის, თუ ვის აქვს მოცემულ სფეროში საუბრის ავტორიტეტი. ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს პოზიციებს გარკვეულ სფეროში, იმავდროულად, შესაბამის დისკურსებსაც აკონტროლებს. ცალკეული ინდივიდი ავტორიტეტს იმით იძენს, რომ გარკვეული ჯგუფისა თუ ინსტიტუტის სახელით ლეგიტიმურ მოსაუბრედ გვევლინება. შესაბამისად, ამ დისკურსების (კვლავ)წარმოების, ლეგიტიმაციისა თუ მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ანალიზი წარმოდგენას გვიქმნის საზოგადოებაში სიმბოლური ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე (Bourdieu, 1977).

ნორმან ფერკლოუს ტრანსდისციპლინური მიდგომა

ფერკლოუს თანახმად, დისკურსის კრიტიკული ანალიზის ფოკუსია ურთიერთკავშირი დისკურსსა და სოციალური სტრუქტურის სხვა ელემენტებს შორის, როგორიცაა ძალაუფლებრივი ასიმეტრია, იდეოლოგია, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური იდენტობები და ა.შ. დისკურსის ანალიზს სხვადასხვა „სემიოტიკურ მოდალობასთან“ აქვს საქმე, რომელთაგან ენა ერთ-ერთია (დანარჩენები ვიზუალურ ხატებსა და „სხეულის ენას“ მოიცავს). ამიტომ დისკურსის ანალიზის ზოგადი არსის წარმოსაჩენად ფერკლოუ *სემიოზისის* ცნებას იყენებს. ის მიიჩნევს, რომ სოციალური ურთიერთობები, ძალაუფლება, ინსტიტუტები, რწმენები და ღირებულებები, გარკვეულწილად, სემიოტიკურია და დისკურსის კრიტიკულმა ანალიზმა სემიოტიკურ და სხვა სოციალურ ელემენტებს შორის კავშირები უნდა იკვლიოს. ამ მიზნით მან *ტრანსდისციპლინური* მიდგომა უნდა გამოიყენოს, რომლის ნიმუშად ავტორს მისი „კულტურული პოლიტიკური ეკონომიკა“ მიაჩნია (2011, 11-12).

ფერკლოუ მის მეთოდოლოგიაში ოთხ ძირითად ეტაპს გამოყოფს: 1. სოციალურ პრობლემაზე (“social wrong”) ფოკუსი, მისი სემიოტიკური ასპექტების ანალიზი; 2. იმ წინაღობების გამოვლენა, რაც ხელს უშლის ამ სოციალური პრობლემის გადაჭრას; 3. კრიტიკული რეფლექსია იმაზე, თუ სოციალურ სისტემას თავად ხომ არ „სჭირდება“ ეს სოციალური პრობლემა; 4. არსებული წინაღობების გადალახვის გზების შემუშავება. სოციალური პრობლემა სოციალური სისტემის იმ ასპექტებს გულისხმობს, რაც მოქალაქეებისთვის საზიანოა და მხოლოდ სისტემის ფუნდამენტური ცვლილების შედეგად აღმოიფხვრება. მისი მაგალითებია სიღარიბე, რასიზმი, უთანასწორობის სხვადასხვა ფორმები, სხვადასხვა სახის თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ. (იქვე, 13).

ანალიზის პირველი ეტაპი ორ საფეხურს მოიცავს: საკვლევი თემის შერჩევა, რომელიც სოციალურ პრობლემაზე მიუთითებს და რომელსაც ტრანსდისციპლინური მიდგომით ვიკვლევთ, განსაკუთრებული ფოკუსით სემიოტიკური და სხვა ელემენტების მიმართებაზე. თანამედროვე პირობებში ამგვარი თემებია ემიგრაცია, ტერორიზმი, გლობალიზაცია და ა.შ. რადგან არსებობს საშიშროება, რომ მსგავსი საკითხები იმთავითვე პრობლემურად მივიჩნიოთ და მკვლევრის წინასწარმა განწყობამ კვლევის მონაცემებზე გავლენა მოახდინოს, ამიტომ აუცილებელია მათი თეორიული განმარტება და ემპირიულად გაზომვად კატეგორიებში გადაყვანა, რაც ანალიზის პირველი ეტაპის მეორე საფეხურზე ხდება. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის მაგალითი რომ ავიღოთ და ზემოხსენებულ „კულტურული პოლიტიკური ეკონომიკის“ თეორიულ ჩარჩოში მოვათავსოთ, შესასწავლი სოციალური პრობლემები მოიცავს: „ნეოლიბერალური“ ეკონომიკური წესრიგის გადაჭარბებულ გავლენებს; ბანკების სიძუნწეს, რამაც არსებული კრიზისი და უთანასწორობა კიდევ უფრო გააღრმავა; სხვადასხვა მთავრობის არასწორ პოლიტიკას, რომლის გამოც უბრალო მოქალაქეებს სახელმწიფო ფინანსების კომპენსირების ტვირთი აწვება და ა.შ. აქედან გა-

მომდინარე, ერთ-ერთი შესაძლო საკვლევი თემაა „ნეოლიბერალური“ იდეების (სემიოტიკური გაგებით, დისკურსების) გავლენა, რამაც არსებულ ეკონომიკურ წესრიგამდე მიგვიყვანა და მისი ლეგიტიმაციისთვის გამოიყენება (იქვე, 13-14).

ანალიზის მეორე ეტაპი იმ წინაღობების გამოვლენას გულისხმობს, რაც ხელს უშლის ზემოხსენებული სოციალური პრობლემის გადაჭრას. ის სამ ძირითად საფეხურს მოიცავს: 1. სემიოზისსა და სხვა სოციალურ ელემენტებს შორის დიალექტიკური კავშირის ანალიზი: დისკურსსა და სოციალური პრაქტიკის სხვა ელემენტებს შორის, ასევე, ტექსტებსა და სოციალური სისტემის სხვა ელემენტებს შორის; 2. საკვლევი თემის შესაბამისად, ტექსტების შერჩევა და მათში გასაანალიზებელი კატეგორიების გამოყოფა; 3. ტექსტების ლინგვისტურ-სემიოტიკური და ინტერდისკურსული ანალიზის განხორციელება.

ანალიზის მესამე ეტაპზე მკვლევარი სვამს კითხვას, თავად სოციალურ სისტემას ხომ არ „სჭირდება“ აღნიშნული სოციალური პრობლემის არსებობა. მაგალითად, რატომ ავალდებულებს მთავრობა რიგით მოქალაქეებს ეკონომიკური კრიზისის ხარჯების კომპენსირებას? ამ ეტაპზე მკვლევარი ცდილობს, პასუხი გასცეს შეკითხვას: საკვლევი სოციალური პრობლემა სოციალური წესრიგის შემადგენელი ნაწილია, მის ფარგლებში მოგვარებადია თუ მხოლოდ მისი შეცვლის გზით გადაიჭრება? ამით მკვლევარი იდეოლოგიის პრობლემამდეც მიდის: დისკურსი იდეოლოგიურია, რადგან ის ხელს უწყობს გარკვეული ძალაუფლებრივი ურთიერთობების შენარჩუნებას.

ბოლო, მეოთხე ეტაპზე ანალიზი ნეგატიურიდან პოზიტიური კრიტიკისკენ ინაცვლებს: მისი ფოკუსია არსებული სოციალური წესრიგის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა, იქნება ეს პოლიტიკური ან სოციალური ჯგუფებისა და მოძრაობების თუ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების დონეზე. ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში, ეს იქნება იმ სტრატეგიების ანალიზი, რომელთა საფუძველზეც მთავრობის და

ბიზნესის წარმომადგენელთა დომინანტური დისკურსების ალტერნატიული დისკურსებით ჩანაცვლება ხდება (იქვე, 14-15).

რუთ ვოდაკის დისკურსულ-ისტორიული მიდგომა

რუთ ვოდაკის ფოკუსია პოლიტიკის და დისკურსის ურთიერთმიმართება, კერძოდ, გოფმანის თეორიაზე დაყრდნობით, მას აინტერესებს, თუ როგორ ახდენენ პოლიტიკოსები თვითპრეზენტაციას საჯარო „სცენაზე“ და რა ხდება პოლიტიკურ „კულისებში“. პოლიტიკური „სცენა“ და „კულისები“ მკაცრად დიფერენცირებულია და პოლიტიკოსები მაქსიმალურად აკონტროლებენ და ყოველმხრივ ზღუდავენ აუდიტორიის წვდომას „კულისურ“ დისკურსებზე და აქტივობებზე. ამიტომ „კულისებში“ პოლიტიკის კეთების ანალიზი განსაკუთრებით საინტერესოა და ვოდაკს სწორედ პოლიტიკოსთა ყოველდღიური საქმიანობა აინტერესებს მათ სამსახურებრივ გარემოში. ის პოლიტიკის და დისკურსის მიმართების სფეროში შემდეგ საკვანძო საკითხებს ჩამოთვლის: 1. როგორ განვმარტავთ პოლიტიკურ დისკურსს? ის მხოლოდ ტრადიციულ პოლიტიკურ ჟანრებს მოიცავს (პოლიტიკური გამოსვლები, დებატები, დევიზები და ა.შ.) თუ ნებისმიერი ყოველდღიური ქმედება გარკვეული დოზით „პოლიტიკურია“? 2. ვინ განსაზღვრავს პოლიტიკურ დღის წესრიგს? რა როლს ასრულებენ პოლიტიკური ელიტები? რა როლს ასრულებენ რიგითი მოქალაქეების ინიცირებული მოძრაობები? 3. რა გზით ვლინდება იდეოლოგიები პოლიტიკური დისკურსის სხვადასხვა ჟანრში? რა კავშირია პოლიტიკასა და მედიას შორის? 4. რა ძირითადი ფუნქცია აქვს პოლიტიკურ დისკურსს? რა კავშირია ძალაუფლებრივ სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიებს შორის? 5. რა გარემოში აქვს ადგილი პოლიტიკურ აქტივობებს (პოლიტიკის კეთებას)? რა გავლენას ახდენს პოლიტიკურ დისკურსებზე სხვადასხვა ინსტიტუტების სოციალური სტრუქტურა? (2011, 526).

აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ვოდაკი დისკურსულ-ისტორიულ მიდგომას იყენებს, რომელიც პოლიტიკის ლატენტური ძალაუფლებრივი დინამიკის ასახსნელად ისტორიული, ინტერტექსტური წყაროებისა და სოციოპოლიტიკური კონტექსტის შესახებ ცოდნის ინტეგრირებას ახდენს. ეს მიდგომა სამ განზომილებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ტექსტის მნიშვნელობას განსაზღვრავს: *თემები,* რომლებზეც საუბრობენ ან წერენ; გამოყენებული *დისკურსული სტრატეგიები* და *ლინგვისტური საშუალებები* ამ თემებისა და სტრატეგიების ხორცშესხმისთვის (იქვე, 527).

დისკურსულ-ისტორიულ მიდგომა კონტექსტის ოთხი შრის ანალიზს ითვალისწინებს: ტექსტებს, ჟანრებსა და დისკურსებს შორის *ინტერტექსტური* და *ინტერდისკურსული* ანალიზი; *ექსტრალინგვისტური* სოციოლოგიური ცვლადები; ტექსტების *ისტორია* და *სტრუქტურა;* და ბოლოს, *სიტუაციის ინსტიტუციური ჩარჩოები* (სპეციფიკური საკვლევი ეპიზოდები). ამ გზით მკვლევარს შეუძლია შეისწავლოს, თუ როგორ იცვლება დისკურსები, ჟანრები და ტექსტები სოციოპოლიტიკური კონტექსტების შესაბამისად და რა შედეგები მოაქვს ამ ცვლილებებს. ამასთან, პოლიტიკური „კულისების“ ანალიზისთვის არსებითია ორი მნიშვნელოვანი ცნება: ერთი, *ინტერტექსტურობა* ანუ წარსულის და აწმყოს სხვადასხვა ტექსტს შორის კავშირი. მაგალითად, რაიმე პოლიტიკური გზავნილის თუ ტექსტის ხშირი გამეორება სხვა ტექსტებში, ანდა სისტემატური აპელირება გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებსა თუ აქტორებზე; და მეორე, *რეკონტექსტუალიზაცია* ანუ გარკვეული საკითხისა თუ არგუმენტის მისი კონტექსტიდან ამოღება (დეკონტექსტუალიზაცია) და შემდეგ ახალ კონტექსტში ჩასმა, სადაც ის ახალ მნიშვნელობას იძენს (იქვე, 529). ორივე სტრატეგია პოლიტიკური მანიპულაციის იარაღია და ამიტომ მათი ანალიზი მკვლევარს პოლიტიკური „კულისების“ შესახებ ღირებულ ინფორმაციას აწვდის. დარწმუნების რიტორიკის ნაწილია *ტოპოსი* ანუ ლინგვისტური სტრატეგია, რაც

არგუმენტს დასკვნებთან აკავშირებს. დამაჯერებელი არგუმენტების არქონის პირობებში, პოლიტიკოსები ხშირად ყოველდღიურ ცოდნაზე აპელირებენ, რადგან სხვა სამხილს ვერ პოულობენ. ამიტომ ტოპოსის ანალიზი საკვანძოა პოლიტიკური დისკურსის ანალიზისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკოსების მხრიდან ოპონენტებზე ვერბალური თავდასხმის ანალიზიც, რაც აგრეთვე დამაჯერებელი არგუმენტის დეფიციტის კომპენსაციას ემსახურება. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი სტრატეგია, რომელიც თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ფართოდ გავრცელებულია – დაშინება, რომლის დისკურსული ანალიზიც პოლიტიკის კეთების მიმდინარე სტრატეგიების შესახებ ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის (იქვე, 530). სწორედ ამ დისკურსული სტრატეგიის გამოყენებას ეძღვნება რუთ ვოდაკის წიგნი „შიშის პოლიტიკა“ (“The Politics of Fear”, 2015), რომელიც მემარჯვენე პოპულისტი პოლიტიკოსების დისკურსებს ეხება და აჩვენებს, თუ როგორ ახდენენ ისინი მოსახლეობის რიტორიკულ დაშინებას ეთნიკური/რელიგიური/ლინგვისტური/პოლიტიკური უმცირესობებით, რომელთაც მოცემულ საზოგადოებაში არსებული ყველა სოციალური პრობლემის სათავედ მიიჩნევენ და ამ გზით „ჩვენთვის“, „ჩვენი ერისთვის“, „ჩვენი ეროვნული იდენტობისთვის“ საფრთხედ წარმოაჩენენ. შედეგად, სხვადასხვა უმცირესობები „განტევების ვაცებად“ გვევლინებიან, განსაკუთრებით თანამედროვე მიგრაციის კრიზისის პირობებში.

თოინ ვან დიკის სოციოპოლიტიკური დისკურსული ანალიზი

თოინ ვან დიკი დისკურსის კრიტიკული ანალიზი მიკრო და მაკრო დონეების დაკავშირებას ცდილობს. ენის გამოყენება, ვერბალური კომუნიკაცია და დისკურსი სოციალური წესრიგის მიკრო დონეს განეკუთვნება, სოციალურ ჯგუფებს შორის დომინანტობა, ძალაუფლება და უთანასწორობა კი – მაკრო დონეს. ამდენად, დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიზანი მიკრო და

მაკრო დონეებს შორის ხიდის გადება ხდება. ყოველდღიურ ინტერაქციაში ეს ორი დონე ხომ ისედაც ერთიან მთელს ქმნის. მაგალითად, რასისტული გამოსვლა პარლამენტში მიკროდონის დისკურსს წარმოადგენს, თუმცა, იმავდროულად, ის შეიძლება არსებული კანონმდებლობის ნაწილი იყოს ან ხელი შეუწყოს რასიზმის კვლავწარმოებას მაკროდონეზე (2001, 354).

ვან დიკის სოციოპოლიტიკური დისკურსული ანალიზის საფუძველმდებარე ცნებებია იდეოლოგია და მანიპულაცია. ამა თუ იმ იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები მათი იდეოლოგიის ვალიდობაში სხვების დარწმუნებას სწორედ მანიპულაციის გზით ცდილობენ. ავტორი მანიპულაციას განიხილავს, როგორც არალეგიტიმური ძალაუფლების ფორმას, რომელიც სოციალურ უთანასწორობას განამტკიცებს. კოგნიტურ დონეზე, მანიპულაცია ადამიანების აზროვნების კონტროლს გულისხმობს, ხოლო დისკურსულ დონეზე მანიპულაცია იდეოლოგიური დისკურსის სხვადასხვა ფორმასა და ფორმატს მოიცავს; მაგალითად, „ჩვენი“ კარგი თვისებების და „სხვების“ ცუდი თვისებების ხაზგასმა (2006, 359). ამდენად, დისკურსის, როგორც გარკვეული იდეოლოგიის რიტორიკული შესრულების, ანალიზისას მკვლევარმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს მისი *იდეოლოგიური სქემა,* რომელიც შემდეგი ელემენტებისგან შედგება: 1. *იდენტობები:* ვინ ვართ ჩვენ? ვინ არის ან შეუძლია გახდეს ჩვენი ჯგუფის წევრი? 2. *აქტივობები:* რა უნდა გავაკეთოთ? რა არის ჩვენი როლი საზოგადოებაში? 3. *მიზნები:* რა მიზანს ემსახურება ჩვენი აქტივობები? 4. *ნორმები და ღირებულებები:* რა არის ჩვენთვის კარგი ან ცუდი? 5. *ჯგუფური ურთიერთობები:* ვინ არიან ჩვენი მეგობრები ან მტრები? 6. *რესურსები:* რა მატერიალური თუ სიმბოლური რესურსები უდევს საფუძვლად ჩვენს ძალაუფლებას და პოზიციას (ან მათ ნაკლებობას) საზოგადოებაში? (2013, 178).

ვან დიკი იდეოლოგიური დისკურსის ანალიზის მოდელს გვთავაზობს, რომელიც დისკურსს როგორც მისი იდეოლოგიური მნიშვნელობის, ისე ლინგვისტური სტრუქტურის საფუძველ-

ზე აანალიზებს. იდეოლოგიური მნიშვნელობის ანალიზისას მკვლევარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს დისკურსის შემდეგ ელემენტებზე (იქვე, 182-187):

თემები აღწერს იმ საკვანძო საკითხებს, რაც სათაურში, ანოტაციასა და შეჯამებაში გვხვდება. მათი ანალიზის მიზნით მკვლევარმა, ერთი მხრივ, სიტყვების, წინადადებებისა და პარაგრაფების ლოკალური მნიშვნელობები უნდა შეისწავლოს, მეორე მხრივ კი, მათი გლობალური მნიშვნელობები, მოცემული დისკურსის უფრო ფართო დისკურსის ნაწილად განხილვის საფუძველზე. მაგალითად, მიგრანტებსა და უმცირესობებზე საუბრისას მედიაში, ნეგატიური თემები ყოველთვის „მათ“ ეხებათ, პოზიტიური თემები კი – „ჩვენ“. როგორც წესი, „ჩვენთან“ დაკავშირებული ნეგატიური თემები იგნორირებულია ისევე, როგორც „მათთან“ დაკავშირებული პოზიტიური თემები.

არგუმენტები. როგორც წესი, მნიშვნელობები არგუმენტების სახით გვეძლევა. როგორც ვნახეთ, იდეოლოგიურ დისკურსში ნეგატიური მნიშვნელობები ყოველთვის გარე ჯგუფს მიეწერება, პოზიტიური მნიშვნელობები კი – შიდა ჯგუფს. ნეგატიური მნიშვნელობის გასაძლიერებლად ხშირად ზედსართავები გამოიყენება, მაგალითად, მედიაში მიგრანტებს არცთუ იშვიათად „კრიმინალებად“ მოიხსენიებენ.

მოდალობა. არგუმენტების სხვადასხვა მოდალობის სახით წარმოდგენით, ფაქტები შესაძლოა წარმოვაჩინოთ, როგორც შესაძლო, სასურველი ან აუცილებელი და ა.შ. ამდენად, მოდალობა ფაქტებით მანიპულირების საშუალებაა და იდეოლოგიური დისკურსის ანალიზისას მას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

ლოგიკური თანმიმდევრობაც კი შესაძლოა მანიპულაციის ინსტრუმენტად იქნას გამოყენებული იდეოლოგიურ დისკურსში და არგუმენტი ისე იყოს წარმოდგენილი, რომ ერთი ჯგუფის წევრებს გარკვეული მოვლენა მეორე მოვლენის მიზეზად მიაჩნდეთ, სხვა ჯგუფის წევრებს – მეორე მოვლენის შედეგად, სხვები კი – საერთოდ ვერ ხედავდნენ მათ შორის კაუზალურ კავ-

შირს. მაგალითად, შესაძლოა ვიღაც მიგრაციას საზოგადოებაში სიღარიბის დონის ზრდის მიზეზად მიიჩნევდეს, ვიღაც – პირიქით, სიღარიბის დონის ზრდას მიიჩნევდეს მიგრაციის მიზეზად, სხვები კი – მიგრაციას და სიღარიბეს ერთმანეთთან არც აკავშირებდნენ.

დაშვებები თუ *ნაგულისხმევი მნიშვნელობები.* როგორც წესი, დისკურსები არასრულია. მონაწილეთა გაზიარებული სოციოკულტურული ცოდნის გამო, მოსაუბრეებმა შესაძლოა იგულისხმონ და ამიტომ არც გამოთქვან გარკვეული ვარაუდები. იდეოლოგიური დისკურსის უმეტესი ნაწილი სწორედ გამოუთქმელი თუ იმპლიციტურად ნაგულისხმევია. ყველამ იცის, რომ რასიზმი და ქსენოფობია სოციალურად მიუღებელია, ამიტომ მსგავსი განწყობების გადმოცემა, უმეტესად, ირიბად ხდება და არა პირდაპირი ტექსტებით.

აქტორების აღწერა. ადამიანები შეიძლება სხვადასხვაგვარად აღვწეროთ – მათი სახელით ან გვარით მოვიხსენიოთ, მათი წოდება ან აკადემიური ხარისხი დავურთოთ, მათ ინდივიდუალურ მახასიათებლებს ან ჯგუფის წევრობას გავუსვათ ხაზი. ამით ადამიანების სიმბოლურ კაპიტალს თუ სტატუსს აღვწერთ. იდეოლოგიურ დისკურსში მიგრანტები, როგორც გარე ჯგუფის წევრები, ნეგატიური კუთხით არიან წარმოჩენილნი და ცხადია, რომ ასიმეტრიულად დაქვემდებარებულ პოზიციაში იმყოფებიან მიმღები საზოგადოების წევრებთან შედარებით.

მოვლენის და ქმედების აღწერის ხარისხი. დისკურსის მიკრო და მაკრო ანალიზის განხილვისას დავრწმუნდით, რომ მოვლენები და ქმედებები სიზუსტისა თუ განზოგადების სხვადასხვა ხარისხით შეიძლება აღიწეროს. მაგალითად, მიგრანტებზე საუბრისას პოლიტიკოსმა შესაძლოა იმ ზოგადი პრობლემების აღწერით დაიწყოს საუბარი, რაც ქვეყანას ექმნება და შემდეგ სპეციფიკურ პრობლემებზე გაამახვილოს ყურადღება. ამგვარი იდეოლოგიური დისკურსი, როგორც წესი, საკმაოდ მიკერძოებულია; თუმცა, მოსაუბრემ იცის, რომ პირდაპირ მიგრანტების

დადანაშაულება არაეთიკური იქნებოდა, ამიტომ ის ზოგადი ფრაზებით იწყებს და სპეციფიკური არგუმენტის შეთავაზებისთვის ამზადებს აუდიტორიას.

უარყოფა. იდეოლოგიური დისკურსი და, განსაკუთრებით, რასისტული საუბარი უამრავ უარყოფას შეიცავს. ამის კლასიკური მაგალითია „მე რასისტი არ ვარ, მაგრამ...“ ან „მე მიგრანტების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ...“ წინადადების პირველი ნაწილი პოზიტიურ მტკიცებას შეიცავს, თუმცა მეორე ნაწილი კონტრასტულია და ნეგატიურ გზავნილს გვაწვდის გარე ჯგუფის შესახებ. წინადადების პირველი ნაწილის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მსმენელმა მოსაუბრე რასისტად ან ქსენოფობად არ მიიჩნიოს და მოსაუბრემ სოციალურად სასურველი შთაბეჭდილება დატოვოს.

მეტაფორები ტექსტისა და საუბრისთვის იდეოლოგიური დატვირთვის მინიჭების ძლიერი ინსტრუმენტებია. ისინი აბსტრაქტულ ცნებებს ადამიანთა კონკრეტულ გამოცდილებებთან აკავშირებენ და ირიბი გზით სწორედ ნეგატიურ ან პოზიტიურ ასოციაციებს თუ ემოციებს იწვევენ. ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია მედიის დისკურსი *მიგრანტების ტალღების* შემოდენაზე, რაც წყლის საშიშ რაოდენობასთან ასოცირდება, რომელშიც ადამიანი შეიძლება დაიხრჩოს.

ზემოხსენებული მნიშვნელობები სხვადასხვა გზით გამოიხატება, იქნება ეს სიტყვები, ფრაზები, ბგერები, მიმიკები, ჟესტები თუ სხვ. ამგვარ ვარიაციებს ინტერაქციული, კომუნიკაციური და სხვა სოციალური ფუნქციები აქვს და ისინი კონკრეტულ სოციალურ კონტექსტზეა დამოკიდებული. გადმოცემის ფორმამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შინაარსის ცვლილებაზეც. მაგალითად, უაღრესად მნიშვნელოვანია, ადამიანს ტერორისტს უწოდებ თუ თავისუფლებისთვის მებრძოლს. ამიტომ დისკურსის ანალიზისას დიდი ყურადღება ეთმობა *ლექსიკონს:* რა სიტყვები და გამოთქმები გამოიყენება მსგავსი შინაარსის გადმოსაცემად? მაგალითად, იძულებით გადაადგილე-

ბულ პირებს „ნამდვილი“ თუ „არანამდვილი“ ლტოლვილების სახელით მოიხსენიებენ, მიგრანტების პოზიტიური ან ნეგატიური კუთხით წარმოსაჩენად მათ „ლეგალურ“ თუ „არალეგალურ“ სტატუსს უსვამენ ხაზს და ა.შ. ლექსიკონთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია *სინტაქსის* ანალიზიც. მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსი მხოლოდ ფორმალურ სტრუქტურას გამოხატავს პირდაპირი მნიშვნელობის გარეშე, მასში მაინც ვლინდება ხოლმე იდეოლოგიური საზრისები. სინტაქსი სიტყვების და ფრაზების თანმიმდევრობას ეხება, რომლითაც შესაძლოა ხაზი გაესვას ან მიიჩქმალოს გარკვეული შინაარსები; მოქმედებითი ან ვნებითი გვარის გამოყენებით შესაძლოა ადამიანი გარკვეულ ქმედებებში დავადანაშაულოთ ან, პირიქით, პასუხისმგებლობა ავარიდოთ; პირის ნაცვალსახელების გამოყენებით ვიგებთ, თუ ვის განიხილავენ მოსაუბრენი „თავისიანად“ და ვის – უცხოდ და ა.შ. (იქვე, 188-192). ამგვარად, სრულყოფილი დისკურსის კრიტიკული ანალიზის განხორციელების მიზნით, ვან დიკს სავალდებულოდ მიაჩნია როგორც დისკურსის სემიოტიკური, ისე ლინგვისტური ასპექტების ანალიზი.

დისკურსის კრიტიკული ანალიზი პრაქტიკაში: ნორმან ფერკლოუს სამგანზომილებიანი მოდელი

ნორმან ფერკლოუ დისკურსის სამ ელემენტს გამოყოფს: *ტექსტს, ინტერაქციას* და *სოციალურ კონტექსტს*. ამის შესაბამისად ის დისკურსის კრიტიკული ანალიზის სამ ეტაპს გვთავაზობს: ტექსტის *აღწერას,* ტექსტსა და ინტერაქციას შორის ურთიერთკავშირის *ინტერპრეტაციას,* და ინტერაქციასა და სოციალურ კონტექსტს შორის ურთიერთკავშირის *ახსნას* (1989, 109).

ტექსტის აღწერის მიზნით, პირველ რიგში, ანალიტიკოსი სვამს შეკითხვას, თუ *რა* არის ჩადებული ტექსტში და *რა ტიპის დისკურსებს* ეფუძნება ის. ამ მიზნით, ფერკლოუ ტექსტის სამ შრეს გამოყოფს: ლექსიკა, გრამატიკა და ტექსტური სტრუქტუ-

რები, და 10 საკვანძო შეკითხვას სვამს, რომელზეც პასუხები დისკურსის ანალიტიკოსს აღნიშნული სამი შრის ანალიზში ეხმარება (იქვე, 110-111):

ლექსიკა

1. რა *გამოცდილებას* (ტექსტის შემქმნელის *ცოდნას* და *რწმენებს)* ეფუძნება სიტყვები?
   - კლასიფიკაციის რა სქემებზე ახდენს აპელირებას ტექსტი?
   - არის თუ არა ტექსტში იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელი სიტყვები?
   - ხდება თუ არა სიტყვების გამეორება ან ზედმეტად ხაზგასმა?
   - რა იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი კავშირებია სიტყვებს შორის (სინონიმი, ანტონიმი, ჰიპონიმი)?
2. რა *მიმართებითი* ღირებულება აქვს სიტყვებს (იგულისხმება *სოციალური ურთიერთობები,* რაც დისკურსის გზით ვლინდება)?
   - არის თუ არა გამოყენებული ევფემიზმები?
   - ფორმალური სიტყვებია გამოყენებული თუ არაფორმალური?
3. რა *ექსპრესიული* ღირებულება აქვს სიტყვებს (იგულისხმება ტექსტის შემქმნელის მიერ რეალობის შეფასება, რაც *სოციალურ იდენტობებზე* გვიქმნის წარმოდგენას)?
4. რა მეტაფორებია გამოყენებული?

გრამატიკა

5. რა *გამოცდილებას* ეფუძნება გრამატიკული სტრუქტურები?
   - რა ტიპის პროცესები და მონაწილეები გამოიკვეთება?
   - თვალსაჩინოა თუ არა აქტივობა?
   - გამოტოვებულია თუ არა წინადადების გარკვეული ელემენტი, რომლის მნიშვნელობასაც იმპლიციტურად ვიგებთ?

- წინადადებები მოქმედებით გვარშია თუ ვნებითში?
- წინადადებები პოზიტიური თუ ნეგატიური გზავნილის მატარებელია?

6. რა *მიმართებითი* ღირებულება აქვს გრამატიკულ სტრუქტურებს?
   - რომელი მოდალობა გამოიყენება (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი)?
   - გამოიყენება თუ არა *ჩვენ* და *თქვენ* ნაცვალსახელები და რა სახით?
7. რა *ექსპრესიული* ღირებულება აქვთ გრამატიკულ სტრუქტურებს?
8. რა გზითაა წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებული?
   - რა ლოგიკური ბმებია წინადადებებს შორის?
   - რთული წინადადებები თანწყობილია თუ ქვეწყობილი?
   - რა სტრატეგიები გამოიყენება ტექსტური და მის მიღმა არსებული რეალობის აღსაწერად?

ტექსტური სტრუქტურები

9. რა ინტერაქციული კონვენციები გამოიყენება ტექსტში?
   - აკონტროლებს თუ არა ერთი მონაწილე სხვების საუბრის რიგს?
10. რა ფართომასშტაბურ სტრუქტურებზე მიუთითებს ტექსტი (რამ უბიძგა მის შექმნას და რა არის მისი მოსალოდნელი შედეგები)?

დისკურსის კრიტიკული ანალიზის შემდგომი შრეები ტექსტის ინტერპრეტაციას და ახსნას გულისხმობს. პირველ რიგში, ტექსტსა და სოციალურ სტრუქტურას შორის ურთიერთკავშირი გაშუალებულია იმ დისკურსის გზით, რომლის ფარგლებშიც ეს ტექსტია შექმნილი, რადგან ტექსტური მახასიათებლები „ცოცხლდება“ და სოციალურად ფუნქციური ხდება მხოლოდ სოციალური ინტერაქციის გზით. სწორედ ამგვარი დისკურსული პროცესები და მათი დამოკიდებულება სოციალურ ინტერაქციაზე

დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეორე ეტაპის – *ინტერპრეტაციის* საგანია. გარდა ამისა, ტექსტსა და სოციალურ სტრუქტურას შორის ურთიერთკავშირი გაშუალებულია სოციალური კონტექსტით, რადგან დისკურსები „ცოცხლდება“ და სოციალურად ფუნქციური ხდება, როგორც გარკვეული ინსტიტუციური თუ სოციეტალური პროცესების ნაწილი და იმის გამო, რომ ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ იდეოლოგიებს მოიცავს. დისკურსების ურთიერთკავშირი ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან დისკურსის კრიტიკული ანალიზის მესამე ეტაპის – *ახსნის* საგანია (იქვე, 140-141).

ფერკლოუ ინტერპრეტაციის 6 ძირითად სფეროს გამოყოფს, რომელთაგან პირველი ორი კონტექსტის ინტერპრეტაციას ახდენს, დანარჩენი ოთხი კი – ტექსტის. ინტერპრეტაციის თითოეულ სფეროს ინტერპრეტაციის შესაბამისი პროცედურა ახლავს. პირველ რიგში, ანალიტიკოსი ორი სახის კონტექსტის ინტერპრეტაციას ახდენს: *სიტუაციურის* და *ინტერტექსტურის.* სიტუაციური კონტექსტის ინტერპრეტაციისას *სოციალური წესრიგი* უნდა გავაანალიზოთ, ანუ ინსტიტუციური და სოციეტალური კონტექსტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა სახის აქტივობას აქვს ადგილი, ვინ არის მასში ჩართული, რა მიმართებაში იმყოფებიან მონაწილეები და რა როლი აქვს ენას ამ პროცესში; ინტერტექსტურის ინტერპრეტაციისას კი – *ინტერაქციის ისტორია,* ანუ დისკურსის პირობები და საფუძველმდებარე დაშვებები.

ტექსტის ინტერპრეტაციისას ანალიტიკოსი ოთხ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: *განაცხადის ფორმა, განაცხადის მნიშვნელობა, ტექსტის მთლიანობა, ტექსტის სტრუქტურა* და *გზავნილი.* განაცხადის ფორმის გასაგებად ანალიტიკოსს, პირველ რიგში, „განაცხადის ენა“ უნდა ესმოდეს, ამიტომ მისი ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია *ფონოლოგიის, გრამატიკისა* და *ლექსიკის* ცოდნა. ტექსტის ინტერპრეტაციის მომდევნო დონე მისი შინაარსის ანუ *სემანტიკური მნიშვნელობის* ანალიზს გულისხმობს. სემანტიკასთან ერთად, მნიშვნელოვანია *პრაგმატი-*

კის ანალიზიც, ანუ განაცხადის პერფორმატიული ფუნქციის წვდომა. ინტერპრეტაციის მესამე დონე განაცხადებს შორის კავშირებს აანალიზებს, რაც ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის *ლოგიკურ თანმიმდევრობაზეა* პასუხისმგებელი. ინტერპრეტაციის მომდევნო ეტაპი კი სრული ტექსტის *ლოგიკურ მთლიანობას აანალიზებს,* რაც ტექსტს ამა თუ იმ მოდელთან აკავშირებს, რომელიც სხვადასხვა ტიპის დისკურსთან ასოცირდება. რაც შეეხება ტექსტის ძირითად გზავნილს, ის ტექსტის შემაჯამებელ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ზოგადად, ინტერპრეტაციის ქვეშ ფერკლოუ როგორც ანალიტიკოსის, ისე თავად მონაწილეების მიერ ტექსტის ინტერპრეტაციას გულისხმობს, რითიც ავტორს სურს მსგავსების ხაზგასმა ანალიტიკოსისა და თავად დისკურსის მონაწილეების მიერ განხორციელებულ ინტერპრეტაციის პროცესებს შორის (იქვე, 141-144).

საბოლოო ჯამში, ინტერპრეტაციის პროცესი სამ საკვანძო შეკითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს: 1. *კონტექსტი:* როგორ ახდენენ მონაწილეები სიტუაციური და ინტერტექსტური კონტექსტების ინტერპრეტაციას? 2. *დისკურსის ტიპები:* დისკურსის რა ტიპები გამოიყენება (ანუ ფონოლოგიის, გრამატიკის, ლექსიკის, სემანტიკის და პრაგმატიკის რა სისტემები თუ პრინციპები გამოიყენება და რა სქემებსა თუ ჩარჩოებზე ხდება აპელირება)? 3. *სხვაობა და ცვლილება:* პირველ და მეორე შეკითხვებზე პასუხები მსგავსია თუ განსხვავებული სხვადასხვა მონაწილისთვის და იცვლება თუ არა ეს პასუხები მათი ინტერაქციის პროცესში? ამდენად, ინტერპრეტაციის ეტაპი ცხადყოფს იმას, რაც დისკურსის მონაწილეთათვის იმპლიციტურია: დისკურსის პროცესში ისინი ვერ იქნებიან ავტონომიურები; დისკურსის პრაქტიკა დისკურსის კონტექსტსა და ტიპზეა დამოკიდებული (იქვე, 162).

თუ ინტერპრეტაციის ეტაპი გვიჩვენებს, თუ როგორ იყენებენ დისკურსის პროცესში მონაწილეები რესურსებს, ახსნის ეტაპს ამ რესურსების წარმოება, კვლავწარმოება და ცვლილება

აინტერესებს. ახსნის ეტაპის მიზანია დისკურსის წარმოჩენა, როგორც სოციალური პროცესის შემადგენელი ნაწილისა და სოციალური პრაქტიკისა, რომელიც სოციალური სტრუქტურითაა განპირობებული და, თავის მხრივ, სოციალური სტრუქტურის კვლავწარმოებასა თუ ცვლილებაზე ახდენს გავლენას. სოციალური სტრუქტურები ძალაუფლებრივ ურთიერთობებს გულისხმობს, სოციალური პროცესები და პრაქტიკები კი – სოციალური ბრძოლის გზებს. ამდენად, ახსნის ეტაპზე დისკურსი განიხილება, როგორც ძალაუფლების სისტემაში არსებული ბრძოლის შემადგენელი ასპექტი.

ახსნის ეტაპზე, დისკურსის გამომწვევი მიზეზები და სოციალური გავლენები სამ დონეზე უნდა გაანალიზდეს: სოციეტალურზე, ინსტიტუციურზე და სიტუაციურზე (იქვე, 163). ამ შემთხვევაში, დისკურსის სხვადასხვა მახასიათებლებს კი არ ვსწავლობთ, არამედ ერთსადაიმავე მახასიათებლებს – სხვადასხვა პერსპექტივიდან. მაგალითად, ცოლ-ქმრის შინაურ საუბარში შევამჩნევთ, რომ ქალები მეტად რეაგირებენ კაცების ნათქვამზე და მეტ ჩართულობასა და გაგებას გამოხატავენ (იმგვარი მარკერების გამოყენებით, როგორიცაა: კი, მმმ, მართლა? კარგი და ა.შ.), ვიდრე კაცები. ეს მახასიათებელი შეგვიძლია განვიხილოთ, პირველ რიგში, სიტუაციურ კონტექსტში, როგორც ქალების მხრიდან მხარდაჭერის გამოხატვა. თუმცა, იმავდროულად, ის შეგვიძლია განვიხილოთ ინსტიტუციურ და სოციეტალურ კონტექსტშიც, როგორც იმ ტენდენციის გამომხატველი, რომ ქალები ინტერაქციისას, უმეტესად, მხარდამჭერის როლში განიხილებიან, კაცები კი, როგორც წესი, „ვარსკვლავის“ როლში გვევლინებიან.

სოციალური გავლენების თვალსაზრისით, დისკურსმა შესაძლოა არსებული რეალობის კვლავწარმოებას ან მის ცვლილებას შეუწყოს ხელი. ეს განსხვავებული შესაძლებლობები დისკურსის მწარმოებლის (ინტერპრეტატორის) განსხვავებულ დამოკიდებულებაში აისახება მონაწილეთა რესურსების მიმართ.

პირველ შემთხვევაში, დისკურსის მწარმოებლის მიმართება მონაწილის რესურსების მიმართ *ნორმატულია,* ანუ მოცემული სიტუაცია მონაწილისთვის უპრობლემოა და მას ჩვეული ინტერპრეტაციის გამოყენება და ჩვეული გზით მოქმედება შეუძლია. მეორე შემთხვევაში კი, დისკურსის მწარმოებლის მიმართება მონაწილის რესურსების მიმართ *შემოქმედებითია,* ანუ ჩვეული ნორმები და მოქმედების ნაცნობი გზები ქმედითი აღარაა და მონაწილე მათ ახლებურ კომბინირებას და ტრანსფორმაციას ახდენს. რაც უფრო სისტემატურ ხასიათს იძენს მონაწილის რესურსების ადაპტაცია და ცვლილება, მით მეტად გამოიწვევს ისინი შესაბამისი სოციალური ურთიერთობების გრძელვადიან ტრანსფორმაციას (იქვე, 164-165).

საბოლოო ჯამში, ახსნის პროცესი სამ საკვანძო შეკითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს: 1. *სოციალური მსაზღვრელები:* სიტუაციურ, ინსტიტუციურ და სოციეტალურ დონეზე არსებული რა ძალაუფლებრივი ურთიერთობები უბიძგებს მოცემულ დისკურსს? 2. *იდეოლოგიები:* მონაწილეთა რა რესურსებს აქვს იდეოლოგიური ხასიათი? 3. *სოციალური გავლენები:* როგორია დისკურსის პოზიცია სიტუაციურ, ინსტიტუციურ და სოციეტალურ დონეზე არსებული ბრძოლების ფარგლებში? ეს ბრძოლები აშკარაა თუ ფარული? მოცემული დისკურსი ნორმატულია თუ შემოქმედებითი, ანუ ის არსებულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს განამტკიცებს თუ მათ ცვლილებას უბიძგებს? (იქვე, 166).

დისკურსების კლასიფიცირება: დასავლური წარმოსახვა და აღმოსავლეთ ევროპელთა თავდაცვითი სტრატეგიები

დისკურსის კრიტიკული ანალიზის ნიმუშად გთავაზობთ ჩემ მიერ განხორციელებული დისკურსის ანალიზის შედეგად მიღებულ კლასიფიკაციას, რომელიც ეფუძნება კროსკულტურულ კვლევას ახალგაზრდების დისკურსებზე ევროპეიზაციის შესა-

ხებ ევროკავშირის აღმოსავლეთ გაფართოების ორი ტალღის ქვეყნებში (პოლონეთი (პირველი ტალღა) და რუმინეთი (მეორე ტალღა)) და მათ სამეზობლოში (საქართველო). კველის ფოკუსს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხედვები მათი ქვეყნების ევროპეიზაციასთან დაკავშირებით სამ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, რომელთაგან ორი ევროკავშირის წევრია, ერთი კი ძლიერი პროევროპული მისწრაფებებით გამოირჩევა. მსურდა, გამერკვია, ახდენდა თუ არა გავლენას ევროკავშირთან დაახლოების ხანგრძლივობა და ინტეგრაციის ხარისხი ამ ქვეყნების ახალგაზრდების შეხედულებებზე ევროპეიზაციის შესახებ. მონაცემების მოპოვების მიზნით, გაანალიზდა როგორც ამ თემის მკვლევარ ექსპერტთა, ისე ზემოხსენებული სამი ქვეყნის ახალგაზრდების (17-25 წლის ასაკის) დისკურსები მათი ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ. ემპირიული მონაცემების მოსაპოვებლად, ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ამ სამი ქვეყნის ახალგაზრდებთან. მონაცემების ინტერპრეტაციის მიზნით გამოვიყენე დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოვახდინე იმ ძირითადი დისკურსების კლასიფიცირება, რაც სამიზნე ჯგუფის წევრების ევროპეიზაციის მიმართ დამოკიდებულებებს ასახავს. დისკურსის კრიტიკულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების დისკურსები სამივე ქვეყანაში საკმაოდ მსგავსია და ევროპეიზაციის მიმართ მათ ამბივალენტურ დამოკიდებულებებს ავლენს, რაც, გარკვეულწილად, მათ თავდაცვით რეაქციას წარმოადგენს ე.წ. „დასავლურ წარმოსახვაზე“. ამდენად, კვლევის საკვანძო შეკითხვად იქცა, თუ როგორ უყურებს დასავლეთ ევროპა მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს და რა გავლენას ახდენს ეს ხედვა ამბივალენტური იდენტობების ფორმირებაზე აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნებსა და მათ სამეზობლოში (Tsuladze, 2013).

„დასავლური წარმოსახვისთვის“ დამახასიათებელ ძირითად დისკურსებად შეგვიძლია მივიჩნიოთ „სტიგმატიზაციის გამომწვევი“ დისკურსი და „განმანათლებლობის“ დისკურსი. **„სტიგმა-**

ტიზაციის გამომწვევი“ დისკურსი იმ „იარლიყის“ შედეგია, რომელსაც დასავლეთი, ნებით თუ უნებლიედ, აღმოსავლეთ ევროპას და ევროპის პერიფერიას მიაკრავს. ამ დისკურსის ნაირსახეობებია:

- *„სხვად მიჩნევის “* დისკურსი, რომელიც საზოგადოებებს ცივილიზაციის დაღმავალ სკალაზე განიხილავს და „ძველ“ ანუ „ნამდვილ“ და „ახალ“ ანუ „ჩამოყალიბების პროცესში მყოფ“ ევროპას შორის განსხვავებებს უსვამს ხაზს (Todorova, 1997);
- *„ასიმეტრიული “* დისკურსი, რომელიც გულისხმობს, რომ, თუ იმ „უნივერსალური ერთობის“ წევრი არ ხარ (ამ შემთხვევაში, ევროკავშირის), რომელიც გარკვეულ ნორმატულ სტანდარტადაც კი განიხილება, მასზე ასიმეტრიულად დამოკიდებული ხდები (Melegh, 2006), კერძოდ, ის უფლებამოსილია, „პირობითობა“ (სასჯელი/ჯილდო) გამოიყენოს აღმოსავლეთ ევროპის მიმართ, ამ უკანასკნელმა კი „ბეჯითი მოსწავლის“ როლი უნდა შეასრულოს.

რა თავდაცვითი სტრატეგიები გამოიყენება *„სტიგმატიზაციის გამომწვევი “* დისკურსის წინააღმდეგ?

- „სხვად მიჩნევის“ დისკურსის წინააღმდეგ ძირითად სტრატეგიად მიჩნეულია სტიგმის პროექცია სხვა, უფრო აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებზე და მათი *ორიენტალიზაცია,* იმავდროულად კი, საკუთარი თავის *ოქსიდენტალიზაცია* ანუ სხვის დასავლეთად წარმოჩენა (Todorova, 1997). ამასთან, აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ, ევროკავშირის უკიდურესი აღმოსავლეთ საზღვრის სტატუსისგან განთავისუფლდნენ და ამიტომ ღიად ლობირებენ მათი აღმოსავლელი მეზობლების ევროკავშირში გაწევრიანებას; ანუ მათ ახასიათებთ ევროკავშირის საზღვრის კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადაწევისკენ პრაგმატული სწრაფვა, კერძოდ, პოლონელების დისკურსში ქვეყანა ხშირად ცენტრალური ევროპის სახელით მოიხსენიება და ისინი მხარდაჭერას უც-

ხადებენ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას; რუმინელებიც მსგავსი მისწრაფებით გამოირჩევიან მოლდოვასთან დაკავშირებით.

- „ასიმეტრიული“ დისკურსის წინააღმდეგ ძირითადი სტრატეგიაა *„ევროპული სტატუსის“* მოპოვების მცდელობა (Melegh, 2006), რაც თვალსაჩინოდ აისახება ქართველების რიტორიკაში და იდენტობის სხვადასხვა დონეზე ვლინდება: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ (დისკურსული დონე); მზია და ზეზვა, როგორც პირველი ევროპელები (ისტორიულ ფაქტებზე აპელირების დონე); საქართველო, როგორც ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანა, რაც მისი ევროპულობის გამოხატულებაა (კულტურულ მემკვიდრეობაზე აპელირების დონე).

„განმანათლებლობის“ დისკურსის თანახმად, ევროპას (ამ შემთხვევაში, ევროკავშირს) აქვს კულტურული მისია, „ევროპული ღირებულებების“ კულტივაცია მოახდინოს მათში, ვისაც დემოკრატიულ ქვეყნებად ყოფნაზე აქვს პრეტენზია. ამდენად, ევროპეიზაციის პროცესი ამ ქვეყნების მოდერნიზაციის მთავარ მექანიზმად განიხილება. ამ დისკურსს, ძირითადად, *„ცივილიზაციის“* დისკურსის სახე აქვს (Elias, 1994) და ვინაიდან მისი მხარდამჭერი და გამავრცელებელი ადგილობრივი ელიტაა, ხშირად „ელიტურ“ *დისკურსადაც* გვევლინება, რომლის თანახმად, ევროპას/ევროკავშირს ტოლერანტობა და წესრიგი მოაქვს და „ახალი“ ევროპის ქვეყნებს ადგილობრივი „ეთნიკური“ ნაციონალიზმის დაძლევაში ეხმარება (Melegh, 2006). „განმანათლებლობის“ დისკურსის წინააღმდეგ თავდაცვითი სტრატეგიების ნიმუშია როგორც აღმოსავლეთევროპელ მკვლევართა ტომეულები იმის საილუსტრაციოდ, რომ აღმოსავლეთ- და დასავლეთევროპული ნაციონალიზმი სულაც არაა განსხვავებული, როგორც ამას გავრცელებული სტერეოტიპები გვთავაზობს, ისე დასავლეთევროპელ მკვლევართა მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის „სოციალურად კონსტრუირებული“ საზღვრე-

ბის ხაზგასმა, რაც ძნელად მოსაშლელია, რადგან „წარმოსახვითი“ და არახელშესახებია (Taras, 2009).

რა თავდაცვითი სტრატეგიები გამოიყენება „სტიგმატიზაციის გამომწვევი“ და „განმანათლებლობის“ დისკურსის წინააღმდეგ პოპულარულ დონეზე? როგორც წესი, გავრცელებული სტრატეგიები შემდეგი საპირისპირო პოლუსებიდან ერთ-ერთისკენ იხრება: 1. „რადიკალური ემიგრაცია“ და „კულტურული ამნეზია“ და 2. „მგზნებარე ნაციონალიზმი“ და „ჰიპერბოლური სიამაყე“ (Kiossev, 2002). ჩემ მიერ სამი ქვეყნის ახალგაზრდებთან ევროპეიზაციის დისკურსების კვლევამ აჩვენა, რომ „დასავლური წარმოსახვისთვის“ წინააღმდეგობის გასაწევად, სამიზნე ჯგუფის წევრები, მართლაც, აღნიშნულ პოლუსებთან მიახლოებულ სტრატეგიებს იყენებენ.

„კულტურული ამნეზიის“ ნიმუშია პოლონელების მცდელობა, რომ ინგლისში (სადაც ბოლო პერიოდში პოლონელების მიგრაცია საკმაოდ მაღალია) ბრიტანული აქცენტით ისაუბრონ. კვლევის მონაწილეები აღიარებდნენ, რომ ინგლისში ჩასვლისთანავე არა მხოლოდ ინგლისელებთან ცდილობდნენ ბრიტანული აქცენტით საუბარს, არამედ თანამემამულეებთან პოლონურად საუბრის დროსაც კი ბრიტანულ აქცენტს იყენებენ, რათა მათაც აჩვენონ, თუ რამდენად ინტეგრირებულნი არიან მიმღებ საზოგადოებაში. მსგავს მიზანს ემსახურება რუმინელების სტრატეგიაც, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყოფნისას მათი ეროვნული იდენტობა დამალონ. ვინაიდან რუმინული ენის იტალიურთან სიახლოვის გამო, რუმინელები იტალიურს სწრაფად და მარტივად ითვისებენ, ამასთან, მათ ნაკლებ იცნობენ დასავლეთის ქვეყნებში, ამიტომ დასავლეთ ევროპაში ყოფნისას, აღმოსავლეთევროპული სტიგმის თავიდან აცილების მიზნით, ხშირად, ისინი თავს იტალიელებად ასაღებენ; უფრო მეტიც, რამდენიმე რესპონდენტმა აღიარა, რომ იტალიაშიც კი არაერთხელ გაუსაღებია თავი იტალიელად. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი სტრატეგიები არც ქართველი ახალგაზრდებისთვისაა უცხო.

„ჰიპერბოლური სიამაყე“, რომელიც „კულტურული ამნეზიის“ საპირისპირო პოლუსზე ხვდება, სამივე ქვეყნის წარმომადგენლებში გავრცელებული მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც მათ იდენტურ დისკურსებში ვლინდება, კერძოდ, ტენდენციაში, რომ დიად წარსულზე მოხდეს ფოკუსირება და ის თანამედროვე წარუმატებლობების კომპენსატორად იქნას განხილული; რომ ეროვნული თვისებების ზედმეტად ხაზგასმა მოხდეს, რაც ქართველობას/პოლონელობას/რუმინელობას გამორჩეულ მახასიათებლად წარმოაჩენს (მაგალითად, რიტორიკა, რომ ასეთი სტუმართმოყვარეობა მხოლოდ ქართველებს ახასიათებთ, რომ ქართული სუფრა უნიკალურია და ა.შ.); საკუთარი გამორჩეულობის თუ „რჩეულობის“ ხაზგასმა (მაგალითად, დისკურსი: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ (იუმორით) ან „საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა“ (იუმორის გარეშე)); შიში, რომ ეროვნულ იდენტობას საფრთხე ემუქრება გარედან შემოსული სხვადასხვა პროცესის გავლენით, იქნება ეს გლობალიზაცია თუ ევროპეიზაცია. ზემოხსენებული მახასიათებლები, საბოლოო ჯამში, ამბივალენტურ დამოკიდებულებებს იწვევს ევროინტეგრაციისა და თანმდევი ევროპეიზაციის პროცესის მიმართ: ერთი მხრივ, აღნიშნული სამი ქვეყნის წარმომადგენლები მისკენ ისწრაფვიან (პრაგმატული გაგებით), მეორე მხრივ კი, უფრთხიან (იდენტობის დაკარგვის შიშით).

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

გთხოვთ, გაეცნოთ სტუდენტის დისკურსის კრიტიკული ანალიზის ნიმუშს და შემდეგ შეკითხვებს უპასუხოთ: 1. რა დისკურსულ სტრატეგიებს იყენებენ მონაწილეები საუბრის კონტროლის მიზნით? 2. რა დისკურსულ სტრატეგიებს იყენებენ მონაწილეები აუდიტორიის დარწმუნების მიზნით? 3. ნორმან ფერკლოუს სამგანზომილებიანი მოდელის ჭრილში, როგორ ახდენს ავტორი ინტერვიუს ამონარიდების დისკურსულ ანალიზს, კერძოდ, ტექსტის აღწერას, ტექსტსა და ინტერაქციას შორის

ურთიერთკავშირის ინტერპრეტაციას, და ინტერაქციასა და სოციალურ კონტექსტს შორის ურთიერთკავშირის ახსნას?

„ფროსტი ნიქსონის წინააღმდეგ“

ამერიკის შეერთებული შტატების 37-ე პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ერთადერთი პრეზიდენტია აშშ-ს ისტორიაში, რომელმაც თანამდებობა ვადაზე ადრე დატოვა. ამის მიზეზი უოთერგეიითის სკანდალი აღმოჩნდა, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ამბავი ამერიკულ პოლიტიკაში. ყველაფერი ოპოზიციური პარტიის ოფისში მოსასმენი აპარატის დამონტაჟებით დაიწყო, რაც წარუმატებლად დასრულდა და ამ ფაქტის დასაფარად ნიქსონის მხრიდან საჭირო გახდა მრავალი სხვა კანონდარღვევის განხორციელება. ამერიკელი ხალხისთვის ეს წარმოუდგენელი და მიუღებელი მოვლენა აღმოჩნდა.

უოთერგეიითის სკანდალი და მის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი კარგად გამოიყენა ჟურნალისტმა დევიდ ფროსტმა, რომელიც კარიერული აღმავლობით არ გამოირჩეოდა. მან შეძლო და ინტერვიუზე დაითანხმა იმ დროისთვის ყველაზე სკანდალური ისტორიის მქონე პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტი რეიტინგის მოსაპოვებლად იბრძოდა, ყოფილი პრეზიდენტი კი – რეპუტაციის აღსადგენად.

2009 წელს გადაღებული ფილმი „ფროსტი ნიქსონის წინააღმდეგ“ სწორედ ამ ინტერვიუს აღწერს. აქ კარგადაა ასახული ის პოლიტიკური და ძალაუფლებრივი დისკურსი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კონტროლისკენაა მიმართული. ყოფილი პრეზიდენტი თანხმდება ინტერვიუს სამ სესიას, სადაც სასაუბრო თემები მასთან წინასწარი მოლაპარაკების გზით იქნება განსაზღვრული.

სესია N1: ინტერვიუს დაწყებამდე 30 წამით ადრე
ნიქსონი: *ეს ფეხსაცმელი იტალიურია, არა?*
ფროსტი: *ჩემი ფეხსაცმელი? მგონი.*
ნიქსონი: *საინტერესოა, ცოტა ქალურად არ გეჩვენებათ?*
ფროსტი: *არა.*
ნიქსონი: *ჰო, შეიძლება თქვენი პროფესიის ხალხს მოეწონოს.*

ესაა სცენა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობს ნიქსონი, დისკურსის მიმართულება თავად აკონტროლოს. იგი ცდილობს, ამ შემთხვევაში, მისი მოწინააღმდეგე დააბნიოს. ფეხსაცმელს, რომელიც ფროსტმა მთელი ინტერვიუს განმავლობაში უნდა ატაროს, აკრიტიკებს, მას ქალურს უწოდებს, რაც ფროსტში გაკვირვებას და დაბნეულობას იწვევს (ეს დისკურსული „შეტევა" დისკრიმინაციულია როგორც გენდერული, ისე პროფესიული ნიშნით). მსგავსი სტრატეგია ინტერვიუს შემდგომ მიმდინარეობაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. ნიქსონი დისკურსის წარმართვას ცდილობს, რამაც მასში თავდაჯერებულობის მომატება უნდა გამოიწვიოს, ფროსტში კი, პირიქით.

<u>სესია N1 (არასრული)</u>

ფროსტი: *ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი ინტერვიუების ციკლის განმავლობაში არაერთ საინტერესო თემას განვიხილავთ დეტალურად. მაგრამ, დასაწყისისთვის, მინდა ერთი კონტექსტიდან ამოვარდნილი შეკითხვა დაგისვათ, რასაც ალბათ ნებისმიერი ამერიკელი ან ნებისმიერი ადამიანი გკითხავდათ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. რატომ არ დაწვით ჩანაწერები?*

ნიქსონი *(მცირეხნიანი პაუზის შემდეგ): იცით, მისტერ ფროსტ, ეს კითხვა ჩემთვის სიურპრიზია იმიტომ, რომ ჩვენი კონტრაქტის მიხედვით, უოთერგეითის საკითხი ბოლო შეხვედრაზე უნდა განგვეხილა. მაგრამ თუ ეს საკითხი მართლა ასეთი მნიშვნელოვანია თქვენი აუდიტორიისთვის, შეიძლება მოკლედ გიპასუხოთ. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ თეთრი სახლის სისტემა ჩემმა წინამორბედმა პრეზიდენტმა ჯონსონმა დაამონტაჟებინა – ნაწილობრივ იმისთვის, რომ ყოველ შეხვედრაზე მდივნის დასწრება არ ყოფილიყო სავალდებულო; ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ ხელთ ჰქონოდა ნებისმიერი სიტყვიერი შეთანხმების ჩანაწერი, იქნებოდა ეს ოფიციალური თუ შემთხვევითი. თეთრ სახლში შესვლისთანავე მე ამ სისტემის დემონტაჟი მოვითხოვე. ეს იდეა ძალიან არ მომწონდა, მაგრამ პრეზიდენტმა ჯონსონმა დაიჟინა,*

რომ იმ სისტემის მოშლა, რომელიც ისტორიას თეთრი სახლის ყველაზე მნიშვნელოვან გარიგებებს შემოუნახავდა, სიგიჟე იქნებოდა. რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია თითქმის ყოველთვის კონფიდენციალურია. ეს ჩანაწერები ყველასთვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, ხალხს აღარ მოუნდებოდა თეთრ სახლში ლაპარაკი; ინფორმაციასაც ვეღარ გადასცემდნენ. საბოლოო ჯამში კი, მთელი პოლიტიკური სისტემა და, შეიძლება ითქვას, ქვეყანაც დაზარალდებოდა.

აქ ყველაზე საყურადღებო ისაა, თუ როგორ შეეცადა ფროსტი ინტერვიუს დაწყებას – მან არჩია პირდაპირი თავდასხმა და იმ თემის წამოჭრა, რომელიც პრეზიდენტისთვის ყველაზე მტკივნეულია. დაუსვა კითხვა, რომელსაც ის არ მოელოდა და ამით შეეცადა, დისკურსის კონტროლი თავად აეღო ხელში. ფროსტი ხაზს უსვამს, რომ მის შეკითხვას „ნებისმიერი ამერიკელი ან ნებისმიერი ადამიანი“ ჰკითხავდა „ნებისმიერი კუთხიდან“. ამ სიტყვებით ცდილობს, ისაუბროს საზოგადოების და თითოეული ინდივიდის სახელით, რაც აუდიტორიის მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება. ეს კითხვა ხომ მართლაც ბევრს გაუჩნდებოდა. ფროსტი კი სწორედ პრეზიდენტის გამოჭერის ხარჯზე ცდილობს, საკუთარი ჟურნალისტური რეპუტაციის და რეიტინგის ამაღლებას.

ნიქსონის პასუხი ფროსტისთვის მოულოდნელი უნდა იყოს. ფროსტი, სავარაუდოდ, მოელოდა, რომ ნიქსონი თავდაცვაზე და თავის მართლებაზე გადავიდოდა, თუმცა ნიქსონი დასმულ შეკითხვას პირდაპირ პასუხობს და პოლიტიკურ ახსნას უძებნის. ამასთან, ის ცდილობს, წინამორბედის ქმედებებით მანიპულირება მოახდინოს და პრობლემის მიზეზის მისთვის გადაბრალებით (ის მოსმენის სისტემის წინააღმდეგი იყო, თუმცა მისმა წინამორბედმა „დაიჟინა“), საკუთარი დანაშაული შეამსუბუქოს. ნიქსონმა არჩია, საკუთარი ქმედება წინა პრეზიდენტის სურვილების ხაზგასმით და ქვეყნის ინტერესების დაცვის მცდელობით

გაემართლებინა. მისი დისკურსი საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ემსახურება – მან უკვე შეძლო, საზოგადოების ნაწილი დაერწმუნებინა ფირების არსებობის მნიშვნელობაში. აღსანიშნავია, რომ ნიქსონის საუბრის სტილში იგრძნობა ფარული გაღიზიანება, როცა ამბობს, რომ ეს კითხვა მისთვის სიურპრიზი იყო და მოცემული საკითხის ამ სესიაზე განხილვას არ ელოდა. ეს ფარული გაღიზიანება კი, თითქოს, ბოლომდე გასდევს მის საუბარს.

<u>სესია N2: ისევ ინტერვიუს დაწყებამდე 30 წამით ადრე</u>

ნიქსონი: *გუშინ სასიამოვნო საღამო გაატარეთ?*
ფროსტი: *დიახ, გმადლობთ.*
ნიქსონი: *საყვარელთან ერთად?!*

როცა ნიქსონი უკვე მეორეჯერ ცდილობს ინტერვიუს დაწყებამდე დამაბნეველი კითხვის დასმას, ცხადი ხდება, რომ ფროსტთან მიმართებით ეს მისი ტაქტიკა გახდა. იგი პატარა და თითქოს უმნიშვნელო დეტალით ცდილობს, ფროსტს საკუთარი ძალაუფლება აჩვენოს და ენთუზიაზმი გაუნელოს. რადგან ამას მეორე სესიაზეც იმეორებს, ალბათ ამჩნევს, რომ მისი ამგვარი ქმედება ფროსტზე გარკვეულ გავლენას ახდენს.

<u>სესია N2: (ინტერვიუს დასაწყისი)</u>

ფროსტი: *ბატონო პრეზიდენტო, როცა აგირჩიეს, მშვიდობას გვპირდებოდით, მაგრამ როგორც კი თეთრ სახლში შეხვედით, ამერიკა ვიეტნამის ომში კიდევ უფრო ღრმად ჩაერთო და შედეგი სავალალო აღმოჩნდა. ხომ არ გგონიათ, რომ თქვენს ამომრჩეველს იმედი გაუცრუეთ?*
ნიქსონი: *კარგი, ვიეტნამი ჩემი ომი არ ყოფილა, მემკვიდრეობით მერგო. ჩემი აზრით, ამერიკელი ხალხი ბოლომდე ვერ იგებს ჩვენი იქ ყოფნის მიზეზს. ხალხი ვერ ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანი გამოცდა იყო ამერიკისთვის. მთელი ქვეყანა უყურებდა და ჩვენს შემდეგ ნაბიჯს ელოდა. შემეძლო უკან დამეხია, ყვე-*

ლაფერი ჩემი წინამორბედებისთვის დამებრალებინა, ყველაფერი შემეძლო. შემეძლო ვიეტნამიდან ჯარები გამომეყვანა და ამის შემდეგ დიდი ალბათობით სკანდინავიურ მშვიდობის ჯილდოსაც კი მივიღებდი. მე მჯეროდა ჩემი საქციელის სისწორის. ხანდახან რთული გზით სიარული გვიწევს. შეიძლება ითქვას, რომ ვიეტნამის ომის უკანასკნელი მსხვერპლი ვარ.

ფროსტი საკმაოდ კონკრეტულ საკითხზე, თითქოს, ზოგადი საუბრით იწყებს ინტერვიუს. მიანიშნებს, რომ პრეზიდენტმა ხალხის მოლოდინები ვერ გაამართლა და მხოლოდ ამის შემდეგ ეკითხება იმას, რასაც თავად უკვე გასცა დადებითი პასუხი. ნიქსონისგანაც სურს მოისმინოს, თუ როგორ გაუცრუა იმედები ამომრჩეველს. „როგორც კი თეთრ სახლში შეხვედით", „შედეგი სავალალო აღმოჩნდა" – ეს ფრაზები შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც სკეპტიკური დამოკიდებულება ნიქსონის გადაწყვეტილებების მიმართ. ყოფილი პრეზიდენტის პასუხი ამ შემთხვევაშიც პირდაპირი და პოლიტიკურია. „ხალხი ვერ ხვდება", „ყველაფერი შემეძლო", „მე მჯეროდა ჩემი საქციელის სისწორის" – ეს ყველა ფრაზა კი, აუდიტორიის თვალში, ნიქსონის, როგორც მტკიცე ხასიათის მქონის და საკუთარი ქმედების მართებულობაში დარწმუნებულის, წარმოჩენას ემსახურება. იგი არჩევს, მაყურებლის თვალში მაქსიმალურად გულახდილი გამოჩნდეს, თითქოს დასამალი არაფერი ჰქონდეს. ნათქვამი, რომ იგი სკანდინავიური მშვიდობის ჯილდოსაც კი მიიღებდა, მაყურებელს მიანიშნებს, რომ მან მსხვერპლი გაიღო მათ სასარგებლოდ და არა პირადი მიზნებისთვის. ბოლოს, მას საკუთარი თავი მსხვერპლადაც კი გამოჰყავს, რამაც, სავარაუდოდ, ხალხის თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს. მართალია, წინა სესიისას ცდილობს, სისტემური პრობლემები მის წინამორბედს გადააბრალოს, მაგრამ აქ სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ შეეძლო „ყველაფერი *წინამორბედებისთვის დაებრალებინა"* (აზრის გასაძლიერებლად, ერთ წინადადებაში ორ-ორჯერაა გამოყენებული სიტყვა „ყვე-

ლაფერი“ და „შემეძლო“), მაგრამ ასე არ მოქცეულა, პოპულისტური ქმედებით არ დაკავებულა, არამედ, პირიქით, საკუთარი თავი, ვითომდა ნებაყოფლობით, მსხვერპლად გაიღო.

<u>სესია N3 ინტერვიუს დაწყებამდე 30 წამით ადრე</u>

ფროსტი: *დღევანდელი შეხვედრა ჩვენი სატელეფონო საუბრის მსგავსი თუ იქნება, საკმაოდ საინტერესო გამოვა.*
ნიქსონი: *რომელ საუბარს გულისხმობთ?*
ფროსტი: *სასტუმროში რომ დამირეკეთ.*

ბოლო სესიაზე, ამჟამად უკვე ფროსტი ცდილობს, დისკურსის წარმმართველად იქცეს. მან უკვე ამოიცნო ნიქსონის ტაქტიკა და ცდილობს, მსგავსი სტრატეგიით შეუტიოს. ინტერვიუს წინა საღამოს, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნიქსონი ურეკავს და ესაუბრება, რაც მომდევნო დღეს მას არ ახსოვს. შესაბამისად, ფროსტის ამ სიტყვებმა, სავარაუდოდ, მას ეჭვი უნდა გაუჩინოს – იქნებ მან ფროსტს ისეთი რამ უთხრა, რაც არ უნდა ეთქვა?!

<u>სესია N3 (არასრული)</u>

(ქვემოთ მოყვანილ ინტერვიუმდე ფროსტი ფურცლიდან კითხულობს ნიქსონის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შემცველ დამადასტურებელ ამონარიდებს იმ სატელეფონო ჩანაწერებიდან, რომლებიც არასდროს გასაჯაროებულა. იგი უარყოფს, რომ დამნაშავეების გასაჩუმებლად გადახდილი ფულის შესახებ ინფრომაციას ფლობდა და ყველაფერს თეთრ სახლში მაღალ თანამდებობაზე მომუშავე ორ პიროვნებას აბრალებს.)

ფროსტი: *ყველაფერი თუ ჰოლდმანის და ერლიხმანის გაკეთებული იყო, როცა ამის შესახებ შეიტყვეთ, რატომ არ დაურეკეთ პოლიციას მათ დასაპატიმრებლად? ესეც დანაშაულის დაფარვას ჰგავს, არა?*
ნიქსონი: *ჰო, ალბათ ასე უნდა მოვქცეულიყავი, პოლიცია უნდა გამომეძახა და მათი გასამართლება და დაპატიმრება მებრძანე-*

ბინა. ასეთი არ ვარ. ჰოლდმანს და ერიხმანს ბავშვობიდან ვიცნობ, მათ ოჯახებსაც ვიცნობ, დანაშაულის გრძნობა გაუსაძლისი იყო. ამიტომაც ჯერ ერთი ხელი მოვიჭერი, მერე – მეორე. კარგი ყასაბი არ ვარ. ჩვენ რასაც ვაკეთებდით, ეს დანაშაული არ არის. როდესაც ქვეყანას მართავ, ბევრი ისეთი რამის კეთება გიწევს, რაც კანონს ეწინააღმდეგება; მაგრამ ეს ხალხის საკეთილდღეოდ ხდება.

ფროსტი: *კარგად ამიხსენით, იმის თქმა გსურთ, რომ არის სიტუაციები, როცა პრეზიდენტს შეუძლია გადაწყვიტოს, რა არის ხალხისთვის უკეთესი და უკანონოდ მოიქცეს?*

ნიქსონი: *იმის თქმა მსურს, რომ, როდესაც პრეზიდენტი ასე იქცევა, ეს უკანონო არ არის.*

ფროსტი: *უკაცრავად?*

ნიქსონი: *ამის მჯერა, მაგრამ ვიცი, ამ შეხედულებას არავინ იზიარებს.*

ფროსტი: *მოდი, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს საკუთარი სახელი დავარქვათ. თქვენ აღიარებთ, რომ დანაშაულის დაფარვაში მონაწილეობდით ანუ კანონი დაარღვიეთ...*

ესაა ინტერვიუ, რომელშიც ნიქსონი უკვე ვეღარ აკონტროლებს დისკურსს, ამიტომაც უჭირს, უარყოს და დამალოს უკანონო ქმედებები. საკუთარი თავი ყასაბს შეადარა, რომელმაც საკუთარი ხელები მოიჭრა, რაშიც ის პირადი მსხვერპლი იგულისხმება, რომელიც მან ქვეყნის ინტერესებისთვის გაიღო. გარდა ამისა, ის ხაზს უსვამს მის კეთილშობილებას, როცა ამბობს, რომ ამ ამბავში სხვების ჩათრევა არ სურდა, მით უმეტეს, რომ მათ ბავშვობიდან იცნობს: „ასეთი არ ვარ“. ამდენად, მიუხედავად გაცხადებული დისკურსისა, რომ არაპოპულარულად მოიქცა და მსხვერპლის როლში აღმოჩნდა, მას სწორედ პოპულისტური გათვლა ამოძრავებს, რომ როგორმე „ტყავი გადაირჩინოს“. საკუთარი ქმედებების გასამართლებლად, იგი კანონზე მაღლაც კი აყენებს თავს და ზედმეტ პათეტიკაშიც კი ვარდება: „როდესაც *ქვეყანას მართავ, ბევრი ისეთი რამის კეთება გიწევს, რაც კანონს ეწინააღ-*

მდეგება. მაგრამ ეს ხალხის საკეთილდღეოდ ხდება " (რაც კიდევ ერთი პოპულისტური სვლაა). სწორედ აქ ჩაუვარდა ფროსტს მთავარი მომენტი პრეზიდენტის გამოსატეხად. ფროსტი მიხვდა, რომ ნიქსონი ზედმეტად აყვა სენტიმენტებს და ამ პროცესში აღიარებაც კი შეიძლება დასტყუოს; სწორედ ამიტომ ამბობს, რომ ყველაფერს *„საკუთარი სახელი უნდა დავარქვათ".*

(აღიარებამდე ნიქსონი მცირე ხნით ისვენებს და შემდეგ უბრუნდება ინტერვიუს)

ფროსტი: *ბატონო პრეზიდენტო, 21 მარტიდან 30 აპრილამდე პერიოდს და თქვენ მიერ დაშვებულ შეცდომებს განვიხილავდით. მაინტერესებს, შეცდომების გარდა, რამდენად შორს წახვიდოდით. ეს სიტყვა ხალხისთვის საკმარისი არ არის.*

ნიქსონი: *რომელ სიტყვას გულისხმობთ?*

ფროსტი: *კარგი, რადგან მკითხეთ, ჩემი აზრით, ხალხს თქვენგან სამი რამის მოსმენა სურს: 1. მხოლოდ შეცდომები არ მომხდარა, არასწორი ქმედებაც იყო და შეიძლება დანაშაულიც კი. 2. მე ჩემი, როგორც პრეზიდენტის, ძალაუფლება ბოროტად გამოვიყენე და 3. ამერიკელ ხალხს ორწლიანი ტანჯვა მოვუტანე და ამისთვის ბოდიშს ვუხდი. ვიცი, რთულია ყველასთვის, განსაკუთრებთ თქვენთვის, მაგრამ მგონი ხალხს სჭირდება ამის მოსმენა. და თუ თქვენ ამას არ იტყვით, მთელი ცხოვრება ინანებთ.*

ნიქსონი: *მართალია, შეცდომები დავუშვი. საშნელი შეცდომები. ისეთი, როგორიც პრეზიდენტს არ ეკადრებოდა. შეცდომები, რომლებიც არ ჯდება იმ სტანდარტებში, რომლებზეც ბავშვობაში ვოცნებობდი. მაგრამ თუ გახსოვთ, საკმაოდ რთული პერიოდი იყო. რამდენიმე ფრონტზე ვიბრძოდი: პარტიზანული მედიის, პარტიზანული კონგრესის, უოთერგეიითის და სენატის წინააღმდეგ ვიბრძოდი. მაგრამ, დიახ, ვაღიარებ, რომ ზოგჯერ პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევას ვცდილობდი და, როგორც თქვენ თქვით, დანაშაულსაც ვაფარებდი ხელს. ვაღიარებ ამ შეცდომებს, ძალიან ვნანობ. არავინ იცის, რა რთულია პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა. მაგრამ, თუ გინდათ, რომ დაჩო-*

ქილმა მოვიხადო ბოდიში... არა, არასდროს! ეს შეცდომები გულით დავუშვი, თავით კი არა. მაგრამ ჩემი შეცდომები იყო. არავის ვადანაშაულებ. თავი თვითონ დავდე კუნძზე. მათ ზუსტად ის ხმალი გამოიყენეს, რომელიც მე ჩემი ხელით მივეცი. მათ ადგილას, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი.

ფროსტი: *ამერიკელ ხალხზე რას იტყვით?*

ნიქსონი: *იმედი გავუცრუე. მეგობრები დავაღალატე და კიდევ ჩემი ქვეყანა... და რაც ყველაზე ცუდია, ჩვენი მმართველობის სისტემა დავაღალატე. ახალგაზრდებს, რომლებიც მთავრობაში მოხვედრაზე ოცნებობდნენ, ახლა ის ზედმეტად კორუმპირებული ჰგონიათ. ამერიკელ ხალხს იმედი გავუცრუე. მთელი დარჩენილი ცხოვრება მომიწევს ამ ტვირთვის ზიდვა. მთელი ცხოვრება... ჩემი პოლიტიკური ცხოვრება დასრულდა!*

ფროსტი შეტევაზე გადადის და პირდაპირ ეუბნება, თუ რისი მოსმენა უნდა ხალხს და რა იქნებოდა თავად ნიქსონისთვისაც უკეთესი, რაც საკმაოდ თამამად და გულახდილად გამოსდის. მან იცის, რომ, თუ ამ სამ აღიარებას მოისმენს ყოფილი პრეზიდენტისგან, მისი ჟურნალისტური წარმატება გარანტირებული იქნება. ნიქსონი კი, თავის მხრივ, ხვდება, რომ დროა, თავდაცვის რეჟიმიდან აღიარებაზე გადავიდეს და ამით დაიმსახუროს ხალხის თანაგრძნობა და თუნდაც მცირე პატივისცემა. „ხმალი“, რომელიც, მისი თქმით, სხვებს საკუთარი ხელით მისცა, სავარაუდოდ, მისი პერსონის მიმართ ნდობის მეტაფორაა. ბოლოს ნიქსონი გადადის იმ მთავარ მომენტზე, რომელსაც არამარტო ფროსტი, არამედ ამერიკის მთელი მოსახლეობა ელოდა – ამერიკის რიგით 37-ე პრეზიდენტმა აღიარა დანაშაული, მოიხადა ბოდიში და პოლიტიკური ცხოვრების დასრულებაც აცნობა მოსახლეობას. თუმცა, მიუხედავად აღიარებისა, ხაზი გაუსვა საკუთარ ღირსებას და აღნიშნა, რომ „დაჩოქილი“ არასდროს მოიხდის ბოდიშს, რადგან ეს შეცდომები გააზრებულად, „თავით“ კი არ დაუშვა, არამედ „გულით“ და რომ ის თავად მსხვერპლია მოცემულ სიტუაციაში (ანუ დანაშაულის აღიარებისასაც

კი პასუხისმგებლობას ირიდებს). ამდენად, ნიქსონი კვლავაც მოსახლეობის სენტიმენტებზე თამაშობს და კიდევ ერთხელ გამოყავს თავი მსხვერპლის როლში (მსხვერპლის როლის ხაზგასმა ჯერ კიდევ პირველი სესიიდან იწყება, მეორეში უკვე თავად ტერმინია გამოყენებული, მესამე სესია კი მუდმივად ამის აქცენტირებას ეხება), როცა ამბობს, რომ „*მთელი დარჩენილი ცხოვრება მოუწევს ამ ტვირთვის ზიდვა*". მოსახლეობის თანაგრძნობაზე გათვლილი პოპულისტური განაცხადია ისიც, თუ რაოდენ განიცდის ნიქსონი, რომ მოქალაქეებს მთავრობის რწმენა დააკარგინა. სწორედ ამ აღიარებამ ნიქსონს რეპუტაციის მეტნაკლებად აღდგენა, ხოლო ფროსტს – კარიერული წარმატება მოუტანა. ამ ინტერვიუში ორივე იბრძოდა კონკრეტული მიზნისთვის და ამ მიზნამდე დისკურსის გზით, საზოგადოების აზრის მართვით მიაღწიეს.

გამოყენებული ლიტერატურა

Austin, J. L. (1955). *How to Do Things with Words.* Cambridge, MA: Harvard University Press.

Berger, P. L., & Luckman, T. (1966). *The Social Construction of Reality.* London: Penguin.

Bourdieu, P. (1977). *Outline of a Theory of Practice* (trans. Nice, R.). Cambridge: Cambridge University Press.

Derrida, J. E. (1988). *Limited Inc.* Evanston: Northwestern University Press.

Elias, N. (1994). *The Civilizing Process*. Oxford, UK and Cambridge, USA: Blackwell.

Fairclough, N. (1989). Language and Power. Essex: Longman.

Fairclough, N. (2011). Critical Discourse Analysis. In J. P. Gee, & M. Handford (Eds.), *The Routledge Handbook of Discourse Analysis* (pp. 9-20). London: Routledge.

Foucault, M. (1978). *The History of Sexuality* (trans. R. Hurley). New York: Pantheon Books.

Foucault, M. (1991). Politics and the Study of Discourse. In G. Burchell, C. Gordon, & P. Miller (Eds.), *The Foucault Effect: Studies in Governmentality* (pp. 53-73). Chicago: The University of Chicago Press.

Garfinkel, H. (1984). *Studies in Ethnomethodology*. Cambridge: Polity Press.

Gee, J. P. (1999). *An Introduction to Discourse Analysis: Theory and Method.* London & New York: Routledge.

Goffman, E. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

Goffman, E. (1975). *Frame Analysis.* London: Penguin Books.

Goffman, E. (1981). Footing. In *Forms of Talk* (pp. 124-159). Philadelphia: University of Pennsylvania Press.

Hymes, D. (1981). Breakthrough into Peformance. In *In Vain I tried to Tell You: Essays in Native American Ethnopoetics* (79-141). Philadelphia: University of Pennsylvania Press.

Irvine, J. (1996). Shadow Conversations: The Indeterminacy of Participant Roles. In M. Silverstein & G. Urban (Eds.), *Natural Histories of Discourse* (pp. 131-159). Chicago: The University of Chicago Press.

Jacobson, R. (1960). Linguistics and Poetics. In T. A. Sebeok (Ed.), *Style in Language* (pp. 350-377). New York & London: The MIT Press.

Keller, R. (2013). *Doing Discourse Research: An Introduction for Social Scientists.* London: Sage Publications.

Kendall, S., & Tannen, D. (2001). Discourse and Gender. In D. Schiffrin (Ed.), *The Handbook of Discourse Analysis* (pp. 548-567). London: Blackwell.

Kiossev, A. (2002). The Dark Intimacy: Maps, Identities, Acts of Identifications. In D. I. Bjelic & O. Savic (Eds.), *Balkan as Metaphor: Between Globalization and Fragmentation* (pp. 165-190). Cambridge, USA and London, UK: The MIT Press.

Melegh, A. (2006). *On the East-West Slope: Globalization, Nationalism, Racism and Discourses on Central and Eastern Europe*. Budapest: Central European University Press.

Pellauer, D., & Dauenhauer, B. (2016). Paul Ricoeur. *The Stanford Encyclopedia of Philosophy.* Retrieved from https://plato.stanford.edu/archives/win2016/entries/ricoeur/

Ricoeur, P. (1974). *The Conflict of Interpretations: Essays in Hermeneutics*. Evanston: Northwestern University Press.

Ricoeur, P. (1981). The Model of the Text: Meaningful Action Considered as a Text. In J. B. Thompson (Ed. and trans.), *Hermeneutics and the Human*

Sciences: Essays on Language, Action, and Interpretation (pp. 197-221). New York: Cambridge University Press.

Schegloff, E. A., & Sacks, H. (1973). Opening up Closings. *Semiotica*, 8 (4), 289-327.

Searle, J. R. (1994). Literary Theory and Its Discontents. *Journal of Humanistic Psychology,* 25 (3), 637–667.

Silverstein, M., & Urban, G. (1996). The Natural History of Discourse. In M. Silverstein & G. Urban (Eds.), *Natural Histories of Discourse* (pp. 1-17). Chicago: The University of Chicago Press.

Taras, R. (2009). *Europe Old and New: Transnationalism, Belonging, Xenophobia.* Lanham: Rowman & Littlefield Publishers, Inc.

Todorova, M. (1997). *Imagining the Balkans.* Oxford: Oxford University Press.

Tsuladze, L. (2013). Western Imaginary and Imagined Defense Strategies of Eastern Europe and its Borderlands. *Central European Journal of International and Security Studies*, 7 (4), 107-126.

van Dijk, T. A. (1993). Discourse and Cognition in Society. In D. Crowley & D. Mitchell (Eds.), *Communication Theory Today* (pp. 107-126). Oxford: Pergamon Press.

van Dijk, T. A. (2001). Critical Discourse Analysis. In D. Schiffrin (Ed.), *The Handbook of Discourse Analysis* (pp. 352-371). London: Blackwell.

van Dijk, T. A. (2006). Discourse and Manipulation. *Discourse and Society,* 17(2), 359-383.

van Dijk, T. A. (2013). Ideology and Discourse. In M. Freeden, L. T. Sargent, & M. Stears (Eds.), *The Oxford Handbook of Political Ideologies* (pp. 175-196). Oxford: Oxford University Press.

Wodak, R. (2011). Politics as Usual: Investigating Political Discourse in Action. In J. P. Gee & M. Handford (Eds.), *The Routledge Handbook of Discourse Analysis* (pp. 525-539). London: Routledge.

Wodak, R. (2015). *The Politics of Fear: What Right-Wing Populist Discourses Mean*. Los Angeles: SAGE.

თავი 9
ვიზუალური ანალიზი

ვიზუალური სოციოლოგიის საგანი

ვიზუალური სოციოლოგია საკმაოდ ახალი დისციპლინაა, რომელიც ვიზუალურ ხატებს სოციოლოგიური კვლევის მონაცემებად განიხილავს და არა უბრალოდ სოციოლოგიური არგუმენტის საილუსტრაციო მასალად. შესაბამისად, ვიზუალური სოციოლოგები სოციალურ რეალობას ვიზუალური ხატების საფუძველზე სწავლობენ. უფრო მეტიც, ვიზუალური სოციოლოგიის მიდგომა არავიზუალური მონაცემების ანალიზისთვისაც გამოიყენება, მაგალითად, როცა მკვლევარი ინტერვიუს ატარებს იმის შესასწავლად, თუ როგორ ახდენენ რესპონდენტები ვიზუალური ხატების შექმნას, ინტერპრეტაციას და გავრცელებას. ასეთ შემთხვევაში, მკვლევრებს კვლევის მონაწილეების მიერ სოციალური სამყაროს ხედვა აინტერესებთ და არა თავად ვიზუალური ხატების ანალიზი (Zuev, Krase, 2017, 1).

ვიზუალური სოციოლოგიის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის ირვინ გოფმანის ნაშრომებს, როგორიცაა „ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში“ (1963), „ინტერაქციის რიტუალი“ (1967) და „გენდერული რეკლამები“ (1979). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიზუალური ანალიზის თვალსაზრისით, რადგან 400-მდე რეკლამის შესწავლის საფუძველზე გოფმანი ასკვნის, რომ ისინი ხელს უწყობს „ფსევდორეალობის შექმნას, რომელიც რეალურზე უკეთესია“ (1979, 23) და ამას „ჰიპერრიტუალიზაციას“ უწოდებს (იქვე, 84). ამდენად, მისი თქმით, რეკლამა სოციალური ინტერაქციის ჰიპერრიტუალიზებული მიბაძვაა. გოფმანი ასაბუთებს, რომ რეკლამები გენდერული ურთიერთობების სოციალურად კონსტრუირებული ბუნების რეპრეზენტაციას ახდენს. ამ რეპრეზენტაციის წვდო-

მისთვის საუკეთესო ანალოგია მშობელი-შვილის ურთიერთობა, რადგან რეკლამებში ქალები ბავშვებისთვის ჩვეულ სუბორდინირებულ პოზიციაში გვევლინებიან. გოფმანი იმ ინტერპერსონალურ რიტუალებს განიხილავს, რომელთა მეშვეობით ქალის და კაცის როლის, აგრეთვე მათ შორის მისაღები ურთიერთობების შესახებ ჩვენს წარმოდგენებს განვამტკიცებთ. პოპულარულ რეკლამებში გენდერის რეპრეზენტაციის ანალიზის საფუძველზე ის გვიჩვენებს, რომ ჩვენს მიერ ქალის და კაცის როლების აღქმა იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს.

გოფმანის ხედვა ძალიან ახლოსაა ჰაროლდ გარფინკელის ეთნომეთოდოლოგიასთან, რომელმაც მის კვლევაში ვიზუალური მონაცემების ანალიზიც გამოიყენა, რადგან ყოველდღიურ რეალობაში „საგნების ხედვის“ თუ ვიზუალიზაციის პრაქტიკას სწავლობდა (1984). ეთნომეთოდოლოგებისთვის, რომელთაც მონაწილეთა თვალთახედვა და სიტუაციის კონტექსტური დეტალები აინტერესებთ, ვიზუალური განზომილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეთნომეთოდოლოგების ძირითადი ფოკუსია, თუ რა სტრატეგიებს იყენებენ ადამიანები სოციალური ცხოვრების რუტინული პრაქტიკების მნიშვნელობის გასაგებად და მათში მონაწილეობის მისაღებად, რისთვისაც ისინი ამ სოციალურ პრაქტიკების, განსაკუთრებით ყოველდღიური აქტივობებისა და საუბრის, ვიზუალურ ასპექტებს აკვირდებიან; შედეგად კი – აანალიზებენ, თუ როგორ ხდება რეალობის კონსტრუირება ამ სოციალური პრაქტიკების გზით (Ball, Smith, 2011, 395).

ვიზუალური სოციოლოგიის განვითარებაში არანაკლებ ღირებულია პიერ ბურდიეს წვლილიც. ბურდიეს და მისი კოლეგების ნაშრომში „ფოტოგრაფია“ (1990) ყურადღება გამახვილებულია ფოტოგრაფიულ და ვიზუალიზაციის პრაქტიკებზე. ის განიხილავს სურათის გადაღებას, როგორც სოციალურ პრაქტიკას და აჩვენებს, თუ როგორ განამტკიცებს ოჯახური ფოტოების გადაღება შიდაჯგუფურ სოლიდარობას; აგრეთვე, სხვადასხვა ტიპის ფოტოგრაფიული აქტივობა როგორ გამოხატავს კლასობრივ კუთვნილებას.

ბოლო პერიოდში, ტექნოლოგიურმა განვითარებამ და „სელ-ფის“ ფენომენმა ვიზუალური ანალიზის სფეროში თვითპრეზენ-ტაციისა და პერფორმატიული პრაქტიკის შესახებ ახალ თეორი-ულ დებატებს უბიძგა (Manovich, 2016). მიმდინარე წლებში, ვი-ზუალური სოციოლოგიის ფოკუსი კიდევ უფრო მრავალფერო-ვანი გახდა და მის ფარგლებში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა ისეთი თემატიკა მოიცვა, როგორიცაა ეთნიკური კონფლიქტები, მიგრაცია, ურბანული ცხოვრება, კოლექტიური იდენტობები, სა-მოქალაქო აქტივიზმი, ვიზუალური პოლიტიკა და ა.შ.

როგორ ხდება სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა სფე-როში ვიზუალური მეთოდოლოგიის გამოყენება და რა ძირითად პოსტულატებს ეფუძნება ის? როუზი (2001) ხუთ ამგვარ პოსტუ-ლატს გვთავაზობს: 1. ვიზუალური ხატები მნიშვნელოვანი მედი-უმია სოციალური გზავნილის გადმოსაცემად; 2. ვიზუალური ხა-ტები უბრალოდ კი არ აღწერს რეალობას, არამედ მის კონ-სტრუირებას ახდენს; 3. ვიზუალური ხატები სოციალური პრობ-ლემების ხედვის კონკრეტულ გზებს გვთავაზობს; 4. ვიზუალუ-რი ყოველთვის უფრო ფართო კულტურულ კონტექსტს ასახავს; 5. ვიზუალური ხატების გავლენა, გარკვეულწილად, მათ აუდი-ტორიაზეა დამოკიდებული, ანუ სხვადასხვა ადამიანები სხვა-დასხვაგვარად აღიქვამენ და იგებენ მათ.

თითოეულ პოსტულატს თანმიმდევრულად რომ მივყვეთ, როუზის თანახმად, ის ფაქტი, რომ ჩვენ ვიზუალური კულტურის ნაწილს წარმოვადგენთ, ნიშნავს, რომ ვიზუალურმა ხატებმა ტექსტის სტატუსი შეიძინა და სოციოლოგმა ისინი ისევე უნდა შეისწავლოს, როგორც ტექსტური მასალა. ვიზუალური მასალა სოციალური ისტორიის მოყოლის ალტერნატიული გზაა. მაგა-ლითად, მოდის ჟურნალის ყდა რომ წარმოვიდგინოთ, საიდანაც ლამაზი მოდელი გვიმზერს, რთული არ იქნება ამ სურათის სო-ციალური გზავნილის მიხვედრა. ჟურნალის ყდა არაფერს გვე-უბნება მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების ან პროფესი-

ული წარმატებების შესახებ, არამედ მხოლოდ მისი სილამაზის ჩვენება სურს. მნახველმა უნდა იგულისხმოს, რომ გარეგნული მიმზიდველობა თავისთავად სასარგებლოა მისთვის, როგორც ქალისთვის, მოსაწონია კაცებისთვის, რომლებიც მას უმზერენ და სასურველია სხვა ქალებისთვის, რომლებსაც სურთ, მას მიბაძონ. ეს ყდის მთავარი გზავნილია, რომელიც სიტყვებს არ საჭიროებს, რათა მის არსს ვწვდეთ.

მეორე პოსტულატის თანახმად, ვიზუალური ხატები უბრალოდ კი არ აღწერს, არამედ თავად ქმნის სასურველ რეალობას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ფოტოჟურნალისტი, რომელიც სამოქალაქო აქციის სურათებს იღებს. აქციაზე უამრავი ადამიანია შეკრებილი და ის ხედავს, რომ, აქ არიან ადამიანები, რომლებიც მშვიდობიანად ცდილობენ მიზნების მიღწევას, ტრიბუნიდან აცნობენ ძირითად მოთხოვნებს აქციის მონაწილეებს, ერთად მღერიან სიმღერებს ან აფორმებენ ბანერებს და ა.შ. თუმცა, აქვე ჩანს ადამიანთა მეორე ჯგუფიც, რომელიც საკმაოდ აგრესიულია, აქციის მონაწილეებს არწმუნებს, რომ მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის მოხდენა, საჯაროდ წვავს ამ პირების ფოტოებს და ა.შ. ფოტოჟურნალისტს შეუძლია ორივე ჯგუფის ფოტოების გადაღება, თუმცა მას ისიც შეუძლია, რომ აქციის აღწერისას ყურადღება გაამახვილოს ერთზე ან მეორეზე და ამით არსებული რეალობის გარკვეული ხედვა მიაწოდოს აუდიტორიას – როგორც მშვიდობიანი ან აგრესიული აქციის. ამ გზით, ვიზუალური მასალა უბრალოდ კი არ აღწერს, არამედ ქმნის რეალობის გარკვეულ სურათს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ვიზუალური მასალა სოციალური პრობლემების ხედვის კონკრეტულ გზებს გვთავაზობს. აუდიტორიამ შესაძლოა შეაფასოს სამოქალაქო აქცია, როგორც პრობლემების გადაჭრის მშვიდობიანი და, შესაბამისად, სასურველი გზა, ან საკმაოდ დესტრუქციულ და მიუღებელ მოვლენად მიიჩნიოს, რომელსაც მკაცრად გაემიჯნება,

თუნდაც თავადაც იზიარებდეს მონაწილეთა მოთხოვნებს. ამდენად, ვიზუალური ხატები შესაძლოა მანიპულაციის საშუალებად იქცეს. ჩვენი მაგალითი რომ ავიღოთ, მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც ადამიანთა კონსოლიდაციისთვის, ისე მათი დეზინტეგრაციისთვის.

მეოთხე პოსტულატის თანახმად, ვიზუალური ყოველთვის მოცემული კულტურის ნაწილია, ამიტომ მის გასაანალიზებლად ჩვენს კულტურაში სოციალური ურთიერთობების შესახებ არსებული ცოდნა უნდა გამოვიყენოთ. ჟურნალის ყდაზე გამოსახული მოდელის ფოტო აზრს იძენს ჩვენს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული გენდერული ურთიერთობების ჭრილში. ქალის სხეულის, როგორც ობიექტის, ხედვა მნიშვნელოვან გზავნილს გვაწვდის მის როლზე საზოგადოებაში და მის სოციალურ პოზიციაზე კაცთან მიმართებაში. თუნდაც ის, თუ როგორ პოზირებენ ადამიანები ფოტოებისთვის, ბევრისმთქმელია მათ კულტურულ კონტექსტზე.

როუზის მეხუთე პოსტულატის მიხედვით, უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ რა აუდიტორია ეცნობა ვიზუალურ ხატებს. კაცმა შესაძლოა ქალი მოდელის ფოტო სექსუალურად სასურველის კუთხით დაინახოს, ქალებისთვის კი თვალშისაცემი საღამოს კაბის ახალი სტილი ან ფეხსაცმლის უახლესი ტენდენციები აღმოჩნდეს. სამოქალაქო აქციის ფოტოებიდან, მნახველთა ნაწილს შესაძლოა აქცია კარგად ორგანიზებული მოეჩვენოს, ნაწილს კი, პირიქით, საკმაოდ დეზორგანიზებული. ამ შემთხვევაში, მნახველთა აღქმაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათმა იდეოლოგიურმა ხედვამ და აქციის პათოსის გაზიარება-არგაზიარებამ. ამგვარად, ვიზუალური ხატის აღქმაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისი იერსახე და შემქმნელის იდეა, არამედ მისი აუდიტორიაც, რომელიც შესაბამისი კულტურული კომპეტენციის მატარებელია.

ვიზუალური სოციოლოგიის სათავეებთან: ქალაქის იერსახე და მისი ტრანსფორმაცია ვიზუალური სოციოლოგიის პრიზმით

მართალია, ვიზუალური სოციოლოგია ახალგაზრდა დისციპლინაა, მაგრამ სოციოლოგიის გარკვეული მიმართულებები, როგორიცაა ურბანული სოციოლოგია, გეორგ ზიმელიდან (1924 [1908]), რობერტ პარკიდან და ერნესტ ბარგესიდან (1967 [1925]) ჰენრი ლეფებრამდე (1991) და სკოტ მაკქვაიერამდე (2008), იმთავითვე ვიზუალურ ანალიზს ეფუძნებოდა და დღესაც ეფუძნება. აღნიშნული ავტორები ქალაქის ტრანსფორმაციას სწავლობენ მოდერნულის და, მოგვიანებით, პოსტმოდერნულის მიმართულებით და ამ დინამიკას სწორედ ქალაქის იერსახის ცვლილების საფუძველზე იკვლევენ.

ზიმელის თანახმად, მოდერნული ქალაქის უმთავრესი მახასიათებელია ის, რომ უამრავი ანონიმური პიროვნება მომენტალურ კონტაქტს ამყარებს ერთმანეთთან, ვთქვათ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობისას ან მაღაზიაში საყიდლებზე ყოფნისას. განსხვავებით მცირე ზომის სასოფლო საზოგადოებებისგან, ამ ინდივიდებს შორის მჭიდრო ემოციური და სოციალური კავშირები არ მყარდება, არამედ ისინი ერთმანეთისთვის „უცხოდ“ რჩებიან. ასეთ პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანია გარემოს სწრაფი აღქმა სხვადასხვა პრაქტიკული მოსაზრების გამო, ვთქვათ, დანიშნულების ადგილის მოსაძებნად, ხალხმრავალ ქუჩაში ადამიანების გვერდის ასავლელად, პოტენციური საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ა.შ., რაშიც განმსაზღვრელი როლი ადამიანურ შეგრძნებებს ენიჭება და, განსაკუთრებით, თვალს, რომელსაც ზიმელი „უნიკალურ სოციოლოგიურ ფუნქციას“ მიაწერს. უფრო მეტიც, ის აღნიშნავს, რომ სოციალური ინტერაქცია (რაც სოციოლოგიის მთავარ შესასწავლ საგნად მიაჩნია), შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ინდივიდების უნარი, ერთმანეთის თვალის შევლებით მეორე მხარის სოცია-

ლური გზავნილი გამოიცნონ, იქნება ეს თანაგრძნობა, აღიარება, გაგება, ინტიმურობა, სირცხვილი თუ სხვ. სწორედ ამიტომ უწოდებს ზიმელი მის ნაშრომს „შეგრძნებების სოციოლოგიას“ და მის ძირითად ფოკუსად „ვიზუალური ინტერაქცია“ მიაჩნია (1924 [1908]).

პარკის და ბარგესის ძირითადი ფოკუსიც მოდერნული ქალაქის განვითარებაა. მათ თანახმად, ქალაქი, ფიზიკურთან ერთად, მორალური სტრუქტურითაც ხასიათდება. ეს ორი სტრუქტურა მუდმივ ინტერაქციაშია და ერთმანეთის მოდიფიცირებას ახდენს. პირველ რიგში, თვალში გვხვდება ქალაქის ვიზუალური სტრუქტურა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ის ყოველთვის ადამიანური ბუნებიდან და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარეობს. ამდენად, სტრუქტურა და ტრადიცია ქალაქის ერთიანი კულტურული გარემოს ორი განსხვავებული ასპექტია (1967 [1925], 4). ავტორები ყურადღებას ამახვილებენ თანამედროვე ურბანული ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარებაზე და მიაჩნიათ, რომ ამგვარ სტრუქტურულ ცვლილებებს ურბანული მოსახლეობის წეს-ჩვეულებებისა და სენტიმენტების თანმდევი ცვლილებები ახლავს. ეს, პირველ რიგში, პირდაპირი, „პირველადი“ ურთიერთობების ირიბი, „მეორადი“ ურთიერთობებით ჩანაცვლებით გამოიხატება, რაც მჭიდრო სოციალურ კავშირებს ასუსტებს და მათზე დაფუძნებულ მორალურ წესრიგს არღვევს, რის შედეგადაც დიდ ქალაქებში დანაშაულის დონე იზრდება (იქვე, 23-24). თანამედროვე დიდ ქალაქებს სოფლებისგან სხვა მახასიათებლებიც გამოარჩევს, როგორიცაა ქალების კაცებთან შედარებით დიდი რაოდენობა, ახალგაზრდების და შუახნის ადამიანების უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, ბევრად მეტი უცხოელი, პროფესიების დიდი მრავალფეროვნება და ა.შ. მოსახლეობის კომპოზიციის ეს ცვლილებები ქალაქების ზრდის შედეგია და სოციალურ ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებებზე მიუთითებს (იქვე, 47-48). ეს სოციალური ცვლილებები კი, პირველ რიგში, ქალაქის ვიზუალურ იერსახეში აისახება, ამი-

ტომ მათთვის თვალყურის მიდევნება სწორედ ვიზუალური ანალიზის გზითაა შესაძლებელი.

ლეფებრის ფოკუსია თანამედროვე კაპიტალისტური სივრცე – როგორც ფიზიკური, ისე სოციალური და მენტალური. შესაბამისად, მისთვის სივრცე მხოლოდ ფიზიკური მოცემულობა კი არ არის, არამედ სოციალური პრაქტიკის სივრცეა, სენსორული ფენომენებით მოცული სივრცეა. ამ კუთხით, ლეფებრის ხედვა საკმაოდ ახლოსაა ზიმელის ხედვასთან. ავტორის თქმით, სივრცე სოციალურად კონსტრუირებულია და მისი კონსტრუირების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი დისკურსია. ამიტომ სივრცე უნდა „წავიკითხოთ“ *სივრცული კოდების* ანალიზის საფუძველზე. სივრცული კოდები სუბიექტებსა და მათ სოციალურ სივრცეს/გარემოს შორის ინტერაქციის ნაწილია; შესაბამისად, ამ კოდების გავრცელებისა თუ გაქრობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, მათი საფუძველმდებარე სოციალური ინტერაქციები გავაანალიზოთ (1991, 16-18). სივრცის შესწავლის უმთავრეს ასპექტად ლეფებრს მისი ინსტრუმენტული ფუნქციის ანალიზი მიაჩნია, ანუ „სივრცის, როგორც ცოდნის და ქმედების, როლი წარმოების არსებულ სისტემაში“. ამდენად, მას აინტერესებს, თუ როგორ ემსახურება სივრცე, ცოდნისა და ტექნიკური ექსპერტიზის დახმარებით, „სისტემის“ შექმნასა და განმტკიცებას და როგორ იყენებს მას დომინანტური წესრიგი ანუ ჰეგემონია (იქვე, 11).

ლეფებრი სოციალური სივრცის შესასწავლად შემდეგი კონცეპტუალური ტრიადის ანალიზს გვთავაზობს: 1. *სივრცული პრაქტიკა,* რომლის ქვეშაც თითოეული სოციალური ერთობისთვის დამახასიათებელ წარმოებასა და კვლავწარმოებას მოიაზრებს. სივრცული პრაქტიკა უწყვეტობისა და სოციალური ურთიერთკავშირის გარანტია, რაც საზოგადოების წევრების მხრიდან შესაბამის კომპეტენციასა და ქმედებას გულისხმობს; 2. *სივრცის რეპრეზენტაციები,* რომელიც წარმოების ურთიერთობებს და შესაბამის ცოდნას, კოდებს და ნიშნებს უკავშირდება; 3. *რეპრეზენტაციული სივრცეები,* რომელიც იმ კომპლექსურ სიმ-

ბოლიზმს ასახავს, რაც სოციალური ცხოვრების არაფორმალურ მხარეს, აგრეთვე ხელოვნებას უკავშირდება (იქვე, 33). ლეფებრი ზემოხსენებულ ტრიადას თანამედროვე ქალაქების მაგალითზე განიხილავს და აღნიშნავს, რომ *სივრცული პრაქტიკა* ყოველ-დღიურ რუტინასა და ურბანულ რეალობას შორის მჭიდრო ურ-თიერთკავშირს გულისხმობს; *სივრცის რეპრეზენტაციები* მეცნიერების, ურბანისტების, ტექნოკრატების და მსგავსი აქტორებ-ის მიერ იქმნება, რომლებიც მოცემული სივრცის აღქმასა და გამოყენებას განსაზღვრავენ; *რეპრეზენტაციული სივრცეები* კი იმ მობინადრეთა და ხელოვანთა სივრცეებია, ვინც მათ უშუალ-ოდ იყენებს (იქვე, 38-39). ამდენად, ლეფებრის თანახმად, სოციალური სივრცე საზოგადოების შესწავლის საშუალებაა, მისი ანალიზის ინსტრუმენტად კი სემიოტიკა გვევლინება, რომლის მიზანი სწორედ ვიზუალური რეპრეზენტაციების მიღმა არსებულ-ი მნიშვნელობების წვდომაა.

სკოტ მაკქვაიერის ფოკუსია ტრანსფორმაციის პროცესი შუასაუკუნეების ქალაქიდან მოდერნულის და, მოგვიანებით, პოსტმოდერნულის მიმართულებით. ის აღწერს, თუ როგორ გარდაიქმნებოდა ურბანული სივრცე შუასაუკუნეების ქალაქ-იდან მოდერნულ ქალაქად, „თხევად“ ქალაქად, „შუშის“ ქალაქად და „ციფრულ“ ქალაქად და რა სოციალურ პროცესებზე მიუთ-ითებდა ამგვარი ტრანსფორმაციები. ავტორის ძირითადი არგუ-მენტია, რომ თანამედროვე ურბანული ცხოვრების სივრცული გამოცდილება სამი ურთიერთდაკავშირებული ფენომენის სა-ფუძველზეა კონსტრუირებული – ურბანული ტერიტორიების, არქიტექტურული სტრუქტურების და სოციალური პრაქტიკებ-ის. მისი თქმით, თანამედროვე ქალაქი „მედია-არქიტექტურუ-ლი კომპლექსია“, რომლის განვითარებაც ჯერ კიდევ მე-19 საუ-კუნის ურბანული მოდერნიზაციით იწყება და რომელიც სივ-რცული მედიაპლატფორმების გავრცელების შედეგია, იქნება ეს მე-19 საუკუნის შუახნის ფოტოგრაფია, მე-20 საუკუნის დასაწყი-სის კინო თუ უახლესი პერიოდის ელექტრონული და ციფრული

მედია (2008, vii). ამდენად, ქალაქის ვიზუალური იერსახის და მისი ცვლილების დინამიკის შესწავლა მასში მიმდინარე სოციალური პროცესების ანალიზის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

შუასაუკუნეების ქალაქის მოდერნიზაციის პირველი მცდელობაა პარიზის რეკონსტრუქცია ოსმანის მიერ, რომლის დოკუმენტურ აღბეჭდვასაც ცნობილი ფოტოგრაფი მარვილი ახდენდა. მარვილის ფოტოგრაფია მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პარიზის დოკუმენტური აღბეჭდვის ნიმუში კი არ არის, არამედ სრულიად ახალი განზომილება შემოაქვს, რასაც მაკქვაიერი „ვიზუალური ხატების ტერიტორიას“ უწოდებს და რაც ურბანული ცოდნის ახალი ფორმების საფუძველი ხდება, ურბანულ სივრცესა და ტექნოლოგიას შორის ახლებური ურთიერთკავშირის დამყარების წყალობით (იქვე, 32). მარვილი იმ „შემოქმედებით დესტრუქციას“ აღბეჭდავდა ფირზე, რაც ოსმანიზაციამ გამოიწვია: 1870 წლისთვის ცენტრალური პარიზის ქუჩების 1/5 სრულიად სახეშეცვლილი იყო და პარიზის სამუშაო ძალის 20% მშენებლობაში იყო დასაქმებული. თუმცა, ეს პროცესი ბევრად მრავალმხრივ ტრანსფორმაციას გულისხმობდა, ვიდრე მხოლოდ ახალი ქუჩების შენებას, კერძოდ, ძველი ქალაქის სივრცის გაორმაგებას, ქუჩის ნათურების დამონტაჟებას და საზოგადოებრივი ტუალეტების შემოღებას, ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნას საზოგადოებრივი პარკების სახით, რომლებიც მკაცრად გამიჯნულია ინდუსტრიული ზონებისგან, რკინიგზის გაყვანას, რომელიც ქალაქის ცენტრს პერიფერიულ ზონებთან აკავშირებს, და ბოლოს, ახალი პროფესიების გავრცელებას, რაც ამ სოციალურ ცვლილებებს მოყვება, პროფესიული პოლიციის ჩათვლით, რათა ახალ ტერიტორიებს ზედამხედველობა გაუწიოს (იქვე, 35). ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სისტემის ჩამოყალიბება თანმდევი სოციალური ცვლილებებით ქალაქის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ვიზუალურ მახასიათებელში გამოვლინდა: პირველ რიგში, მონუმენტალიზმის ხაზგასმაში, რადგან ბაღ-ბოსტნები ქალაქის ცენტრიდან პერიფერიაზე გადა-

ვიდა, ცენტრში კი მონუმენტური შენობები აშენდა, რომელთა ფასადების სტანდარტიზაცია მოხდა. ამ სტანდარტიზაციის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ფენომენი, რასაც ზიმელი „სახელდებულიდან დანომრილ სახლზე“ (“from named to numbered houses”) გადასვლას უწოდებს, რაც სახლების ინდივიდუალურ, თვისებრივ მახასიათებლებს რაოდენობრივით ჩაანაცვლებს (იქვე, 50). ამასთან ერთად, პარიზის ძველი, 3-მილიანი ბულვარის 90 მილზე გადაჭიმვამ მოსახლეობაში კიდევ უფრო გააღრმავა დეზორიენტაციის ის შეგრძნება, რაც მონუმენტალიზმმა და შენობების ფასადების სტანდარტიზაციამ გამოიწვია. გარდა ამისა, 1852 წლიდან უნივერმაღების გავრცელება დაიწყო, რამაც უშუალო ინტერაქციაზე დამყარებული სავაჭრო გარიგების სისტემა (გამყიდველსა და კლიენტს შორის მოლაპარაკებაზე დამყარებული, შეთანხმებული ფასით) რეკლამით ჩაანაცვლა (ვიტრინებსა და ბანერებზე წარმოდგენილი პროდუქცია, ფიქსირებული ფასით) (იქვე, 38). და ბოლოს, პარიზის მაგალითმა აჩვენა, რომ თანამედროვე ქალაქმა *ბრბოს*, როგორც სპეციფიკური სოციალური აქტორის, გაჩენა გამოიწვია. ზიმელის სიტყვებით, თანამედროვე ქალაქის მახასიათებელია უცხოებს შორის ცხოვრება, რომლებიც უცხოებად რჩებიან. მიჩნეულია, რომ უცხოების ურბანული საზოგადოება ხელსაყრელ პირობებს ქმნის „მეთვალყურე საზოგადოების“ (“surveillance society”) წარმოქმნისთვის, რომელიც მაინცდამაინც კონტროლის მიზნით კი არ ჩნდება, არამედ ეკონომიკური და ადმინისტრაციული მოქნილობის მოსაზრებით. თანდათანობით, ნდობის ტექნოლოგიური სისტემების განვითარებასთან ერთად, როგორიცაა პაროლები, პინკოდები, საკრედიტო ბარათები და ა.შ., სოციალური ინტერაქცია სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ინდივიდების შესახებ დიდი რაოდენობის ინფორმაციის მოპოვებასა და შემოწმებაზე. საძიებო სისტემა, რომელიც „ინფორმაციული საზოგადოების“ საფუძველს წარმოადგენს, იმავდროულად „მეთვალყურე საზოგადოების“ საფუძველიც ხდება (იქვე, 142).

ამგვარად, პარიზის ვიზუალური ტრანსფორმაციის ანალიზი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმ პერიოდში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებზე, დაწყებული ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებით და დასრულებული სოციალური დეზორიენტაციითა და გაუცხოებით. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი საკმაოდ მტკივნეული იყო, აუცილებელი იყო ახალი რეალობის უპირატესობის ჩვენება ძველთან შედარებით, რასაც მარვილის ფოტოგრაფია ემსახურებოდა. მისი მიზანი სწორედ ძველსა და ახალს შორის კონტრასტის დემონსტრირება იყო, რასაც ე.წ. სერიული ფოტოგრაფიის განვითარება მოჰყვა. ეს უკანასკნელი მნახველს ურბანული სივრცის ტრანსფორმაციას „მდე და შემდეგ“ კადრების შედარების საფუძველზე სთავაზობდა. ძალიან მალე ეს მიდგომა პოპულარული კულტურის ნაწილი გახდა და საფოსტო ბარათები შთააგონა. თავის მხრივ, საფოსტო ბარათები მე-19 საუკუნის დასასრულის ურბანული დისკურსის უმნიშვნელოვანეს ელემენტად იქცა და განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა მოდერნული ქალაქის, როგორც ვიზუალური სანახაობის, იდეის გავრცელებაზე (იქვე, 45). ამგვარი ვიზუალური სანახაობის იდეა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა „ელექტროპოლისის“ განვითარების შედეგად. ელექტროგანათებამ ახალი სივრცეები შექმნა, რომელშიც არქიტექტურის, როგორც უცვლელის, ტრადიციული ფუნქცია ჩაანაცვლა მისმა ახალმა გაგებამ, როგორც მუდმივად ცვალებადმა. განათებას, პრაგმატულთან ერთად, სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციის ფუნქციაც ჰქონდა. ავტორის თქმით, მან ახალ სოციალურ ურთიერთობებს უბიძგა და პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებაც გამოიწვია (იქვე, 113-114). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიზუალური სანახაობის თვალსაზრისით, „შუშის ქალაქზე“ გადასვლაც, რომელიც საზოგადოების გამჭვირვალობის და ღიაობის იდეას უსვამდა ხაზს; „გამჭვირვალობის პოლიტიკა“ კი ჯანსაღი დემოკრატიის მაჩვენებლად განიხილებოდა (იქვე, 163). ქალაქის, როგორც ვიზუალური სანახაობის, იდეის საბოლოო ხორცშეს-

ხმად „ციფრული სახლი“ მოგვევლინა, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ელექტრონულ ეკრანს. თანამედროვე საზოგადოება *სცენად* იქცა, რადგან ციფრული მედიის განვითარებამ პირადი სივრცეც კი საზოგადოებრივი მზერისთვის ხელმისაწვდომ სცენად აქცია (იქვე, 186). ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ურბანული სივრცის ტრანსფორმაციის ანალიზით ვიგებთ, თუ როგორ აისახება სოციალური ვიზუალურში და როგორ შეუძლია ვიზუალურს, სოციალური ცხოვრების ისტორია მოგვითხროს.

ვიზუალური ხატები, როგორც იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტი

ვიზუალური მასალა, სოციალური ცხოვრების ისტორიის მოყოლასთან ერთად, მასში მონაწილე ადამიანების შესახებაც გვიყვება. ვიზუალურის ანალიზით შეგვიძლია თვალყური მივადევნოთ ამ ადამიანების იდენტობების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის პროცესს. დღეს, სოციალური მკვლევრები თანხმდებიან, რომ იდენტობა სოციალურად კონსტრუირებულია და თანამედროვე რეალობაში სულ უფრო მეტადაა დაკავშირებული სტილთან და „იმიჯთან“. თითქოს, ინდივიდუალური იდენტობის შესაქმნელად ყველას საკუთარი სტილი და „იმიჯი“ უნდა ჰქონდეს, თუმცა, სინამდვილეში, ამ უკანასკნელთ მომხმარებლური კულტურა გვკარნახობს, პოპულარული მედიის გამოყენებით. პოსტმოდერნული თვალსაწიერიდან, თანამედროვე საზოგადოებების კომპლექსურობის ზრდისა და სოციალური ცხოვრების ტემპის დაჩქარების კვალდაკვალ, იდენტობა სულ უფრო არასტაბილური, ცვალებადი და ფრაგმენტული ხდება, რაც მედიის ვიზუალურ ხატებშიც თვალსაჩინოდ ვლინდება. შედეგად, ვიზუალურის კვლევით შეგვიძლია გავაანალიზოთ, თუ თანამედროვე რეალობაში როგორ ვახდენთ იდენტობების ფორმირებას, რეპრეზენტაციას, აღქმას და ინტერპრეტაციას (Kellner, 1995, 232-233).

ვიზუალური ხატების ფორმისა და შინაარსის, ზედაპირული სტრუქტურისა და სიღრმისეული ნარატივების ანალიზისა და დეკოდირების მიზნით, კელნერი სატელევიზიო სერიალს "Miami Vice" („მაიამის კრიმინალური სამყარო") განიხილავს, რათა მის საფუძველზე ტელევიზიის, პოსტმოდერნულისა და იდენტობის გაგება გაშიფროს. მისი თქმით, ეს სერიალი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ვიზუალური ხატისა და იდენტობის პოლიტიკის შესახებ თანამედროვე რეალობაში. კრიტიკოსები მას პოსტმოდერნული ტელევიზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად განიხილავენ. სერიალი კრიმინალური დრამის ჟანრს განეკუთვნება, მაიამის ნარკო- და კრიმინალური სცენების გარშემო ტრიალებს და მისი მთავარი მოქმედი პირია ორი „შენიღბული" პოლიციის ოფიცერი.

კელნერი აღნიშნავს, რომ ამ სერიალში „ვიზუალური ხატები დაშორებულია ნარატივს და საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ" (იქვე, 238). სერიალში გამოყენებული განათებით, გახმოვანებით, კამერის ფოკუსით, მაიამის მაღალტექნოლოგიური, მრავალეთნიკური თუ კრიმინალური კულტურის ეგზოტიკური გარემოს წარმოჩენით პროდიუსერები მდიდარ ვიზუალურ ხატებს გვთავაზობენ, რომელთა სინთეზიც მაყურებელს ერთიან ესთეტიკურ სანახაობას სთავაზობს. ვიზუალური ჩრდილავს ნარატივს და საკუთარ პოლისემიურ ისტორიას გვიყვება, რომელიც მრავალი მნიშვნელობით, ღირებულებითა და იდეოლოგიითაა განმსჭვალული. ამ გზით, აღნიშნული სერიალი წარმოდგენას გვიქმნის თანამედროვე იდენტობების კონსტრუირებასა და ფრაგმენტაციაზე, აგრეთვე მედიაკულტურის გავლენაზე იდენტობების ფორმირებაზე (იქვე, 239).

მედიაკულტურა, პირველ რიგში, იმ ვიზუალურ ხატებს სთავაზობს მაყურებლებს, რომელთან იდენტიფიცირებას, შესაბამისად, მიბაძვასაც ისინი ახდენენ. ამ პროცესს სოციალიზაციის ფუნქცია აქვს, რადგან მის საფუძველზე როლური მოდელების, გენდერული როლების და მრავალფეროვანი პოზიციების ათვი-

სება ხდება, რომლებიც მაყურებელთა სტილსა და ქცევას განსაზღვრავს. სერიალის სოციალური კონტექსტი 1980-იანი წლების მომხმარებლური საზოგადოებაა, მისი ფოკუსით სიმდიდრეზე, მოდაზე, სტილზე და ვიზუალზე. ამ პერიოდში ჩამოყალიბებულმა კულტურამ იდენტობის განმსაზღვრელად ვიზუალური ხატები მიიჩნია. სერიალმა მოდისა და იდენტობის ეს დისკურსები მის ვიზუალურ ხატებსა და ისტორიებში ასახა და, თავის მხრივ, მისი ეპოქის მოდასა და სტილზე მოახდინა გავლენა, კერძოდ, საკმაოდ პოპულარული გახდა ჩაცმულობის თავისუფალი სტილი და საკუთარი გარეგნობის მუდმივი ცვლა. სერიალის მთავარი გმირები, მუდმივად ცვალებადი სტილითა და იდენტობებით, როლურ მოდელებად იქცნენ თეთრკანიანი, შავკანიანი და ლათინოამერიკელი კაცებისთვის, ქალებისთვის და თინეიჯერებისთვის, რადგან მათ მომხმარებლურ საზოგადოებაში სქესის, რასისა და კლასის ახლებური გაგება შემოიტანეს. ამ იდენტობების უმთავრესი მახასიათებელი მათი ფრაგმენტულობა და მუდმივი ცვალებადობა იყო (იქვე, 240). ზემოთქმულიდან ნათელია, რომ პოსტმოდერნული იდენტობა, რომლის პოპულარიზაციასაც აღნიშნული სერიალი ახდენს, ვიზუალურ იერსახესა და მომხმარებლურ კულტურაზეა ფოკუსირებული და მუდმივი თამაშისა და ტრანსფორმაციის პროცესშია. შესაბამისად, „მოთამაშე“ მნიშვნელოვანი მახასიათებელი ხდება პოსტმოდერნული იდენტობის განსაზღვრისას და მისი თავისებურებების შესწავლა სწორედ ვიზუალური იერსახის გარდაქმნის ანალიზითაა შესაძლებელი (იქვე, 242).

ტელევიზიის მსგავსად, რეკლამაც იდენტობის როლურ მოდელებს სთავაზობს მაყურებელს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე იდენტობების ფორმირებაზე. ამ კონტექსტში, კელნერი თამბაქოს რეკლამებს განიხილავს და აჩვენებს, რომ სტატიკური რეკლამებიც კი იდენტობის სასურველ ხატებს გვთავაზობენ და ეს რეკლამები იდეოლოგიურად კოდირებულია. ავტორი „მარლბოროს“ და „ვირჯინია სლიმსის“ რეკლამებს

აანალიზებს, რომელთაგან პირველი კაცების დარწმუნებას ცდილობს, რომ რეკლამირებული პროდუქტი „მაგარია“ თანამედროვე კაცისთვის, მეორე კი მსგავს გზავნილს აწვდის ქალებს. კელნერი ამ ბრენდების რეკლამების ცვლილების დინამიკას განიხილავს და აჩვენებს, თუ რა სახის იდენტობის პოპულარიზაციას ახდენდნენ ისინი მე-20 საუკუნის შუახნიდან მოყოლებული. 1950-იანი წლებიდან, მარლბორო ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ის „ნამდვილი კაცების“ ბრენდია. მანამდე ის ქალის შედარებით მსუბუქ თამბაქოდ განიხილებოდა და ახალი კამპანია სწორედ მის მასკულინობასთან ასოცირებას ისახავდა მიზნად. რადგან იმ პერიოდში კოვბოი მასკულინობის, გამბედაობისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ განიხილებოდა, ის მარლბოროს ბრენდის სახედ იქნა შერჩეული. შედეგად, „მარლბოროს კოვბოი“ ამერიკული ფოკლორის ნაწილად და თვალსაჩინო კულტურულ სიმბოლოდ იქცა. რეკლამებში ამგვარი სიმბოლური ხატების გამოყენებით, მათი შემქმნელები ცდილობენ, შეთავაზებულ პროდუქტსა და სოციალურად სასურველ თვისებას შორის ასოციაცია აჩვენონ, ვთქვათ, თუ ვინმეს სურს, „ნამდვილი კაცი“ იყოს, მაშინ სწორედ მარლბოროს უნდა ეწეოდეს. კოვბოის სიმბოლო მარლბოროს „სავიზიტო ბარათად“ რჩებოდა წლების მანძილზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეკლამები სოციალური ტექსტებია, რომლებიც მიმდინარე ცვლილებებს უშუალოდ პასუხობს. 1980-იანი წლებიდან, სულ უფრო ხშირი გახდა მედიით თამბაქოს მოწევის საზიანო ზემოქმედებაზე საუბარი, რის საპასუხოდაც მარლბოროს რეკლამაზე კოვბოის ზომა შემცირდა და უკანა პლანზე გადაიწია, მის ნაცვლად კი ბუნების და ცის ხედი გახდა დომინანტური, თითქოს თამბაქო „ბუნებრივი“ და „სუფთა“ პროდუქტი ყოფილიყო (იქვე, 248).

მარლბოროს მსგავსად, ვირჯინია სლიმსის რეკლამაც მიზნად ისახავდა, ეს თამბაქო სოციალურად სასურველ თვისებებთან დაეკავშირებინა, ამჯერად ქალისთვის სასურველთან. „თა-

ნამედროვე ქალის“ სასურველი ხატის შესაქმნელად, ვირჯინია სლიმსი წარსულსა და აწმყოს შორის კონტრასტის ჩვენებას ცდილობდა. მისი ცნობილი სლოგანი – „შენ გრძელი გზა გამოიარე, ძვირფასო“ – ამ თამბაქოს მწეველ ქალს „პროგრესულად“ და „სექსუალურად“ სწორედ კონტრასტის საფუძველზე წარმოაჩენდა: კოლოფის ზედა ნაწილში მცირე ზომის სურათი იყო, რომელზეც ქალი ფეხსაცმელს ხდიდა სავარძელში გაჭიმულ კაცს (რომელიც ყურადღებასაც კი არ აქცევდა, არამედ გაზეთს კითხულობდა); კოლოფის დანარჩენ სივრცეს კი ავსებდა ემანსიპირებული ქალის ფოტო, რომელიც ვიწრო შარვალსა და ტყავის მოკლე ქურთუკში გამოწყობილი, მაღალი ტყავის ჩექმებით, მუქი სათვალით, გაშლილი თმით, მომღიმარი სახითა და ხელში სიგარეტით, საკმაოდ „მაცდურად“ გამოიყურებოდა. რეკლამის მთავარი გზავნილის თანახმად, ამგვარი ქალი კაცებისთვის სასურველი, სხვა ქალებისთვის კი – მისაბაძი უნდა ყოფილიყო. მისი ვიზუალური ხატის განუყოფელი ნაწილი კი მოწევა იყო, რაც სოციალურად სასურველ და პროგრესულ ქმედებასთან ასოცირდებოდა. ამასთან, ვირჯინია სლიმსი გამხდარი და ტანადი ქალის ვიზუალური ხატის პოპულარიზაციას ეწეოდა, რაც არა მხოლოდ მის სახელწოდებაში, არამედ მის რეკლამაშიც ნათლად ჩანდა (იქვე, 250). ამდენად, ვირჯინია სლიმსის რეკლამა ქალის ტრადიციულ როლსა და ვიზუალურ იერსახეს უკუაგდებს და მის სანაცვლოდ, თავისუფალი და ძალაუფლების მოყვარული ქალის ახალ სახეს, ცხოვრების სტილსა და იდენტობას გვთავაზობს. ამ ახალი იდენტობის რეპრეზენტაცია კი სწორედ ვიზუალური ხატების გზით ხდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კელნერი მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნული ვიზუალური კულტურის ანალიზი იმის ცოდნას საჭიროებს, თუ როგორ „წავიკითხოთ“ ვიზუალური ხატები და გავშიფროთ ამ ხატებს, ტექსტებს, პროდუქტებს და სოციალურ ტენდენციებს შორის ურთიერთკავშირი კომერციულ კულტურაში. მისი სიტყვებით, რეკლამის მიზანია არა მხოლოდ პროდუქ-

ტის გაყიდვა, არამედ ამ პროდუქტთან ასოცირებული ცხოვრების სტილისა და სოციალურად სასურველი იდენტობების „გაყიდვაც“. რეკლამის ამგვარი „წაკითხვა“ არა მხოლოდ მანიპულაციისადმი რეზისტენტულს ხდის ინდივიდებს, არამედ საშუალებას აძლევს, თვალყური ადევნონ იდენტობის მოდელების დროში ცვლილებას (იქვე, 252).

ვიზუალური სოციალური კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო

მართალია, ვიზუალური ანალიზი სოციოლოგიაშიც გამოიყენება, ფსიქოლოგიაშიც, ანთროპოლოგიაშიც და რიგ ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც, მაგრამ ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს დისციპლინები ნაკლებად იყენებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და მიგნებებს. თუმცა, ბოლო პერიოდში, მკვლევრები ურთიერთთანამშრომლობის გაზრდას ცდილობენ, რისი გამოხატულებაცაა „ვიზუალური სოციალური კვლევის ინტეგრირებული ჩარჩო“, რომელიც სამ ძირითად საკითხს მოიცავს: 1. ვიზუალური ხატების წარმომავლობა და ბუნება; 2. კვლევის ფოკუსი და დიზაინი; და 3. კვლევის შედეგების ფორმატი და მიზანი. ეს სამი საკითხი ვიზუალური მონაცემების მოპოვების, დამუშავების და შედეგების წარდგენის ფაზებს შეესაბამება (Pauwels, 2011, 5).

ვიზუალური ანალიზისას მკვლევარი, პირველ რიგში, გადაწყვეტილებას იღებს, თუ რა სახის ვიზუალური მასალა გამოიყენოს – უკვე არსებული თუ თავად შექმნას მისი დაკვირვებების საფუძველზე. ჩვენს გარშემო უამრავი „მზა“ ვიზუალური მასალაა, იქნება ეს რეკლამები, ხელოვნების ნიმუშები, ფოტოები, ფილმები, ვებგვერდები და ა.შ. და მათი ანალიზისას მკვლევრის მიზანია „მეორადი“ ვიზუალური რეალობის ახსნა/დეკოდირება. ეს მრავალფეროვანი მასალა საზოგადოების არაერთ სექტორს მსჭვალავს (იქნება ეს საგანმანათლებლო, გასართობი, სამთავრობო, არასამთავრობო, კომერციული თუ სხვ.) და როგორც თა-

ნამედროვე რეალობას ასახავს, ისე მნიშვნელოვან ისტორიულ ქრონიკებს გვაწვდის. აღნიშნული ვიზუალური მასალის შესწავლით სოციოლოგები იკვლევენ როგორც კულტურის პროდუქტების სოციალურ ფუნქციებს, ისე მათ საფუძველმდებარე სოციალურ პროცესებს და იმ ფართო საზოგადოებრივ კონტექსტს, რომელშიც ისინი იქმნება. თუმცა, „მზა“ ვიზუალურ მასალასთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ სოციოლოგები, როგორც ვიზუალური ხატების შემგროვებელნი, ხშირად არ ფლობენ საკმარის კონტექსტურ ინფორმაციას ამ ვიზუალური მონაცემების წარმომავლობასა და მათი შექმნის პირობებთან დაკავშირებით. ამასთან, ისინი შესაძლოა საავტორო უფლებების პრობლემასაც წააწყდნენ. „მეორადი“ ვიზუალური მასალის მოპოვებისგან განსხვავებულია მკვლევრის მიერ ვიზუალური მონაცემების გენერირება, რაც მას როგორც მონაცემების მოპოვებაზე მეტი კონტროლის საშუალებას აძლევს, ისე კონკრეტულ კონტექსტზე უკეთ მორგებულ მასალასაც გვთავაზობს; შედეგად კი, მეორადი მონაცემებისთვის დამახასიათებელ ზემოხსენებულ პრობლემებს გადაჭრის. ბოლო წლებში, „პირველადი“ და „მეორადი“ ვიზუალური მასალა, როგორიცაა ოჯახური ფოტოები, საფოსტო ბარათები, რეკლამები, რუკები, ნახატები, დოკუმენტური ფილმები და ვებგვერდები, ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიის (და მომიჯნავე დისციპლინების) მიერ ისეთი სოციალური პრობლემების საკვლევად, როგორიცაა ოჯახური ცხოვრება, ახალგაზრდული კულტურა, მიგრაცია, დევიაცია, სტიგმატიზაცია, ეთნიკური იდენტობა, გენდერული იდენტობა, გლობალიზაცია (იქვე, 6-7). ვიზუალური სოციალური კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფოკუსია როგორც კვლევის სუბიექტთა ბუნებრივი ანუ სპონტანური ქცევა, ისე მკვლევრის ვიზუალურ სტიმულებზე (სურათებზე, ფილმებზე, საგნებზე და ა.შ.) მათი რეაქცია (უმეტესად ვერბალური). უფრო მეტიც, მკვლევარმა შესაძლოა უბიძგოს მონაწილეებს, თავად მოახდინონ ვიზუალური მასალის გენერირება მის მიერ მიცემული კონკრეტული დავალე-

ბის პასუხად (მაგალითად, აღწერეთ თქვენი ტიპური სამუშაო დღე) (იქვე, 9).

რაც შეეხება ვიზუალური კვლევის ფოკუსს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ვიზუალური მონაცემები შესაძლოა განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული მთელის სახით (ვთქვათ, ქალაქის ცენტრალური მოედნის სივრცული განაწილება და სოციალური ფუნქცია), ისე მისი ცალკეული ასპექტის საფუძველზე (ვთქვათ, ამ მოედანზე მიმდინარე კონკრეტული სოციალური ინტერაქცია). თავდაპირველად, ვიზუალური მონაცემების ზედაპირული მახასიათებლები უნდა გავაანალიზოთ (ვთქვათ, ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დისტანცია, და ა.შ.), შემდეგ კი ზედაპირს მიღმა არსებული მნიშვნელობების ინტერპრეტაცია უნდა მოვახდინოთ (ვთქვათ, რას გვეუბნება ადამიანებს შორის ფიზიკური დისტანცია მათ სოციალურ სტატუსზე და პოზიციაზე ძალაუფლებრივ იერარქიაში). ვიზუალურ ანალიტიკოსს აინტერესებს როგორც ვიზუალური მონაცემების შექმნის, ისე მათი მოხმარების და მათზე რეაგირების პროცესი, რაც კონკრეტულ კულტურულ გარემოში მიმდინარეობს; ამიტომ შესაბამისი ანალიზი აუცილებლად საჭიროებს კულტურული კონტექსტისა და მისი ღირებულებით-ნორმატული სისტემის ცოდნას (იქვე, 11).

ვიზუალური ანალიზის დიზაინი სოციალური კვლევის სტანდარტული დიზაინის მსგავსია და შემდეგ ასპექტებს მოიცავს: 1. როგორც არსებული ვიზუალური მასალის ანალიზი, ისე ახალი ვიზუალური მონაცემების შექმნა სოლიდურ *თეორიულ საფუძველს* საჭიროებს, რადგან სწორედ თეორიიდან მომდინარეობს კვლევის ჰიპოთეზა და თეორიის გარეშე შეუძლებელია ემპირიული მონაცემების ინტერპრეტაცია. ვიზუალური ანალიტიკოსები, უმეტესად, რამდენიმე თეორიული ჩარჩოს კომბინირებას ახდენენ სხვადასხვა დისციპლინიდან – სოციოლოგიიდან, ანთროპოლოგიიდან, ფსიქოანალიზიდან, სემიოტიკიდან, პოსტკოლონიური და ფემინისტური თეორიებიდან (იქვე, 13); 2. ვიზუალურ სამეცნიერო დისკურსზე მუშაობა შესაბამისი *ვიზუალუ-*

რი კომპეტენციის განვითარებას გულისხმობს. ვინაიდან ვიზუალური ყოველთვის გარკვეული კულტურის ნაწილია, ამიტომ მკვლევარმა აუცილებლად უნდა მოახდინოს ვიზუალური ხატების შექმნისა და მოხმარების კულტურული და ისტორიული კონტექსტის ანალიზი; 3. სხვადასხვა საკვლევი შეკითხვა *შერჩევის* განსხვავებულ სტრატეგიას და *მონაცემების მოპოვებისა თუ შექმნის* განსხვავებულ ტექნიკას მოითხოვს. ვიზუალურ კვლევაში ჰიპოთეზის შემოწმება შესაძლოა სტრატიფიცირებულ ან სისტემატურ შერჩევას საჭიროებდეს (მაგალითად, ყოველი მე-5 სახლი ქუჩაში), კონკრეტული ტენდენციის საკვლევად კი – მიზნობრივად შეირჩეს ის გარემო და პირობები, რომელშიც ის ვლინდება. შესაძლებელია „ოპორტუნისტული შერჩევის“ გამოყენებაც ანუ სპონტანურად მომხდარი მოვლენის აღბეჭდვა, როგორიცაა თვითმხილველების რეაქცია საგზაო შემთხვევაზე, გარკვეული დევიანტური ქმედება და ა.შ. თუმცა, ამ შემთხვევაში, მკვლევარი ვერ გათვლის, როდის მოხდება ცალკეული მოვლენა და მხოლოდ მისი ინტუიციის იმედადაა; 4. ვიზუალურმა ანალიტიკოსმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად *რეპრეზენტატულია* მისი მონაცემები იმ რეალობისა, რომლის აღწერასაც ცდილობს. რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია დროის გარკვეული ინტერვალებით მონაცემების მოპოვება, განსაკუთრებით, როცა მკვლევრის მიერ გენერირებულ მონაცემებთან გვაქვს საქმე. ამგვარი ტექნიკა „განმეორებადი ფოტოგრაფიის“ სახელითაცაა ცნობილი და მისი მიზანია ვიზუალური მონაცემების საფუძველზე სოციალური ცვლილების აღბეჭდვა (იქვე, 14); 5. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ვიზუალური მონაცემები კონკრეტული კულტურის ნაწილია, ამიტომ მკვლევარმა ისინი უფრო ფართო *კონტექსტის* ფარგლებში უნდა განიხილოს. ამასთან, მკვლევარმა ვიზუალური მეთოდით მოპოვებული მონაცემები სხვა მეთოდებით მოპოვებულ მონაცემებს უნდა შეადაროს, რათა ტრიანგულაციის შედეგად მათი სიღრმისეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მიეცეს;

6. ვიზუალური კვლევის დიზაინი *კვლევის ეთიკურ* და *სამართლებრივ* საკითხებსაც ითვალისწინებს. მთავარი შეკითხვა, რომელსაც ვიზუალური მკვლევარი სვამს, არის ის, თუ როგორ გამოიყენოს ვიზუალური მედია კვლევის სუბიექტების შესახებ მონაცემების მოპოვებისა და წარდგენისთვის იმგვარად, რომ მათ რაიმე ზიანი არ მიაყენოს. ამ შემთხვევაში, მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად ამოცნობადია კვლევის სუბიექტები ვიზუალურ მასალაში, რა სავარაუდო ნეგატიური შედეგები შეიძლება მოყვეს მათ ამოცნობას, რა გზითაა შესაძლებელი მათი უფლებების დაცვა და ა.შ. კვლევის სუბიექტებისთვის ზიანის არიდებასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია ვიზუალური მასალის საავტორო უფლების საკითხიც. ეს უკანასკნელი გასათვალისწინებელია როგორც არსებული ვიზუალური მასალის გამოყენებისას (ვთქვათ, რეკლამები, ფოტოები, დოკუმენტური ფილმები და ა.შ.), ისე მისი შექმნისას, რადგან შესაძლოა კვლევის სუბიექტებიც მონაწილეობდნენ ვიზუალური მასალის შექმნაში და შესაბამის საავტორო უფლებებსაც ფლობდნენ. საავტორო უფლებების დაცვის საკითხს განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ინტერნეტით ნებისმიერ ვიზუალურ მასალაზე ხელმისაწვდომობა (იქვე, 17).

ვიზუალური ანალიზის საბოლოო შედეგი შესაძლოა სხვადასხვა ფორმატით იყოს წარდგენილი: ეს შეიძლება იყოს როგორც სტანდარტული ვერბალური სტატია ან კვლევის ანგარიში, ისე მეტწილად ილუსტრაციებზე დაფუძნებული ნაშრომი (მაგალითად, გოფმანის „გენდერული რეკლამები“, რომელიც 84-გვერდიანი ნაშრომია და 28-ე გვერდიდან საილუსტრაციო მასალაა წარმოდგენილი), დოკუმენტური ფილმი, ვებგვერდი და ა.შ. შედეგების წარდგენისას სოციალურ მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რომ ვიზუალური მონაცემები მხოლოდ საილუსტრაციოდ არ უნდა იყოს გამოყენებული, არამედ შესაბამისი ანალიტიკური ფუნქცია უნდა ჰქონდეს. ამდენად, ვიზუალური ანალიზის შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს ან

არ შეიცავდეს ვიზუალურ მასალას. თუ ფოტოსურათების, ვებ-გვერდების ან სხვა ვიზუალური მასალის ანალიზი ადეკვატურად არის გადმოცემული სიტყვებით ან რიცხვებით, მას შესაძლოა სულ არ დასჭირდეს საილუსტრაციოდ ვიზუალური მასალა. თუმცა, ისიც უდავოა, რომ ახალი ვიზუალური მასალის შექმნა (ვთქვათ, შეჯამებული მონაცემების გრაფიკული რეპრეზენტაცია) მკვლევრის არგუმენტს მეტ სიცხადეს სძენს (იქვე, 18).

ვიზუალური მონაცემების ანალიზი: კონტენტანალიზი და ინტერპრეტაციული ანალიზი

ვიზუალურ სოციოლოგიაში მონაცემების ანალიზისადმი ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: *კონტენტანალიზი,* რომელიც რეფლექსიის თეორიას ეფუძნება და *ინტერპრეტაციული ანალიზი,* რომელიც სემიოტიკას ეფუძნება (Alexander, 2008).

მკვლევრები, რომლებიც ვიზუალურ დოკუმენტებს, განსაკუთრებით, მედიის ტექსტებს სწავლობენ, ხშირად რეფლექსიის თეორიას იყენებენ. მათი ამოსავალი პრინციპია, რომ ვიზუალური მასალა საზოგადოების რეპრეზენტაციას ახდენს. მაგალითად, თუ სატელევიზიო დრამები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ნეგატიური კუთხით წარმოაჩენს, ვთქვათ, კრიმინალებად და არა პოლიციის ოფიცრებად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემულ საზოგადოებაში რასისტული სტერეოტიპები საკმაოდ ძლიერია; თანამედროვე რეკლამებში ძალიან გამხდარი მოდელების ჩვენება ჩვენი საზოგადოების მიერ თანამედროვე ქალის ხედვას ასახავს და ა.შ. თუმცა, რეფლექსიის თეორია პასუხგაუცემელს ტოვებს ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვებს, როგორიცაა: კონკრეტულად რისი რეპრეზენტაცია ხდება ვიზუალური ხატების, ვთქვათ, რეკლამების გზით – რეალობის, ღირებულებების თუ ჩვენი წარმოსახვების? ვისი იდეების რეპრეზენტაცია ხდება – მთელი საზოგადოების თუ მისი გარკვეული ჯგუფების, ვთქვათ, მმართველი ელიტის ან სუბკულტურების? მიუხედავად ამ ხარვე-

ზებისა, არაერთი მკვლევრის ფოკუსია ვიზუალური ხატების მიერ სოციალური რეალობის ასახვა (განსაკუთრებით მედიის კვლევისას), იქნება ეს ეთნიკურობის, რასის, გენდერის, კლასის თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით (იქვე, 464-465). როგორც აღინიშნა, კონტენტანალიზი ვიზუალური მონაცემების სოციოლოგიური შესწავლის მთავარი მეთოდია, რომელიც რეფლექსიის თეორიას ეფუძნება. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მკვლევარი ირჩევს საკითხს, რომელიც გაზომვადია ვიზუალური მონაცემების გამოყენებით და მის საკვლევად ჯერ კოდირების სქემას შეიმუშავებს, რომლის საფუძველზეც მონაცემები უნდა დაალაგოს, შემდეგ კი – შერჩევის ჩარჩოს, რომ მოცემული საკვლევი საკითხის რელევანტური და რეპრეზენტატული შემთხვევები შეარჩიოს. კონტენტანალიზის განხორციელების დეტალები მოცემული სახელმძღვანელოს მე-7 თავშია წარმოდგენილი.

ვიზუალური მონაცემების კონტენტანალიზის ნიმუშია ალექსანდერის კვლევა რეკლამებში ბავშვების რეპრეზენტაციის შესახებ. მკვლევარს აინტერესებდა, თუ მე-20 საუკუნის მანძილზე, როგორ იცვლებოდა ბავშვების წარმოჩენა, კერძოდ, ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთობების რეპრეზენტაცია, ამერიკული ჟურნალების რეკლამებში. მან შეიმუშავა შერჩევის პროცედურა, რათა ჟურნალებიდან რეკლამების რეპრეზენტატული რაოდენობა შეერჩია და კოდირების სქემა, რათა ბავშვებსა და მშობლებს შორის ინტერაქცია აღეწერა. მან ასობით რეკლამის კოდირება მოახდინა და მიღებული შედეგები გრაფიკული სახით წარადგინა. მაგალითად, ერთ-ერთი ძირითადი გრაფიკი აჩვენებდა, რომ აღზრდის ავტორიტარული სისტემის პირობებში, ბავშვები რეკლამების ძალიან მცირე რაოდენობაში ჩნდებოდნენ. რეკლამებზე ბავშვების წარმოჩენა ბევრად უფრო ინტენსიური გახდა აღზრდის ლოიალური მოდელის დამკვიდრებასთან ერთად (იქვე, 467).

რეფლექსიის თეორიასთან ერთად, ვიზუალური მონაცემების შესწავლის საკვანძო მეთოდია სემიოტიკური ანალიზი. რო-

გორც უკვე აღინიშნა, სემიოტიკა ნიშანთა სისტემებს სწავლობს და ნიშნის მიღმა არსებული მნიშვნელობა აინტერესებს. კულტურის მთელი სისტემა, თავისი ვერბალური და არავერბალური ნიშნებით, სემიოტიკის შესწავლის საგანია. ამდენად, ვიზუალური მასალა სემიოტური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ვიზუალური სისტემები ენებია, ამიტომ ვიზუალური ხატები უნდა წავიკითხოთ, როგორც ტექსტები. შესაბამისად, ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ვიზუალურ ნიშნებსა და მათ მიერ შექმნილ მნიშვნელობებს შორის ურთიერთკავშირზე. რა სახის ვიზუალური ნიშნების სემიოტიკურ ანალიზს ახდენს მკვლევარი? სემიოტიკის ერთ-ერთი თანამედროვე დამფუძნებლის, პირსის კლასიფიკაციის საფუძველზე, სამი სახის ნიშანი გამოიყოფა: ხატი, ინდექსი და სიმბოლო. *ხატი* რეალობის რეპრეზენტაციას მიმსგავსების საფუძველზე ახდენს. ის რეფერენტის ვიზუალური სიმულაციის თუ რეპროდუქციის ნიმუშია, რაც თვალსაჩინოდ აისახება ფოტოგრაფიაში. *ინდექსი* დროსა და სივრცეში რეფერენტის მდებარეობას მიუთითებს, აგრეთვე მის სხვა ობიექტებთან მიმართებას. მაგალითად, კვამლი ცეცხლის ინდექსია, რადგან ის მიუთითებს, თუ სად ანთია ცეცხლი. *სიმბოლო* კი რეალობის რეპრეზენტაციას კონვენციური მნიშვნელობის საფუძველზე ახდენს. ნებისმიერი სიტყვა, ობიექტი, ფიგურა და ა.შ. შეიძლება სიმბოლურ ნიშნად განვიხილოთ. მაგალითად, ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, თეთრი – სიწმინდის, ვარდი – სიყვარულის და ა.შ. (Sebeok, 2001, 10-11). სემიოტიკური ანალიზისას მკვლევარმა უნდა დასვას შეკითხვა, თუ რა ნიშანი რა მიზნით და რა კონტექსტში გამოიყენება. ამასთან, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნიშნის შექმნისა და ინტერპრეტაციის კულტურული სპეციფიკა, რაც კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წარმოდგენებისა და მათი რეპრეზენტაციის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინტერპრეტაციული ანალიზი, რომელიც სემიოტიკას ეფუძნება, ვიზუალური ხატების

ლატენტური მნიშვნელობების და მათ შორის ურთიერთკავშირის ანუ ინტერტექსტურობის გამოვლენას ისახავს მიზნად. ამგვარი ანალიზის ნიმუშია უილიამსონის მიერ ბრიტანული რეკლამების შესწავლა, რათა მათი ნაგულისხმევი გზავნილები ამოეცნო (1995), რადგან, როგორც წესი, რეკლამების მნიშვნელობა ზედაპირზე კი არ ჩანს (აშკარა შინაარსი), არამედ შეფარულია (ლატენტური შინაარსი). მკვლევარს აინტერესებდა როგორც ინდივიდუალური რეკლამების, ისე რეკლამათა სისტემის, როგორც მთელის, ლოგიკა და სტრუქტურა. როგორც მოსალოდნელი იყო, რეკლამების მიზანი პროდუქციის მოხმარების წახალისება იყო და ამ მიზნით ინდივიდუალური რეკლამები კოდების დიდ მრავალფეროვნებას იყენებდა. მაგალითად, სარეკლამო პროდუქციის ცნობილი ადამიანების გვერდით ან სასურველი ადგილების ფონზე წარმოჩენა, რათა ამგვარი ასოციაციით მათი მიმზიდველობა გაეზარდა. უილიამსონი იმასაც ხსნის, თუ როგორ უნდა მოახერხოს აუდიტორიამ ამ გზავნილების დეკოდირება და მათში ნაგულისხმევი მნიშვნელობის გამოცნობა. ის არაერთ ტექნიკას განიხილავს, რომელთაც რეკლამის შემქმნელნი მაყურებლების მისაზიდად იყენებენ, იქნება ეს ვიზუალური თუ ტექსტური თავსატეხები, „სახეზე არმყოფი მონაწილე“, რომლის ნაცვლადაც მაყურებელმა საკუთარი თავი უნდა წარმოიდგინოს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური მასალის სემიოტიკური ანალიზი უაღრესად საინტერესოა, ის რიგ სირთულეებთანაც არის დაკავშირებული. ტექსტის მსგავსად ნიშნების წაკითხვა მარტივი არაა, რადგან ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ენობრივი სისტემების გარჩევა, ვთქვათ, ინგლისურის და ფრანგულის, თუმცა ვიზუალური ხატების სისტემების გარჩევა ბევრად პრობლემურია. მაგალითად, ცხადია, რომ რენესანსის მხატვრობა განსხვავებულ ვიზუალურ ენას იყენებს, ვიდრე თანამედროვე რეკლამირება. თუმცა, თანამედროვე რეკლამებშიც შესაძლებელია რენესანსის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი კოდების

გამოყენება. უდავოა, რომ ქალებისთვის განკუთვნილ ჟურნალებსა და პოლიტიკურ ჟურნალებში გამოყენებული რეკლამები განსხვავებული ჟანრისაა. თუმცა, ისინი საერთო კულტურის ფარგლებში იქმნება და მისთვის დამახასიათებელ კოდებს იყენებს. შესაბამისად, რეკლამის შემქმნელნი მოელიან, რომ პოლიტიკური ჟურნალების მკითხველნი ქალებისთვის განკუთვნილი ჟურნალების რეკლამებსაც გაიგებენ და პირიქით. ამდენად, ვიზუალურ ხატებს უამრავი და თან ურთიერთგადამფარავი კოდები აქვს, რომელთა ანალიზი იმის ამოცნობას საჭიროებს, თუ რა იკითხება ზედაპირს მიღმა (Alexander, 2008, 466). მთლიანობაში, ვიზუალური მონაცემების ანალიზის საუკეთესო გზაა კონტენტანალიზისა და ინტერპრეტაციული ანალიზის კომბინირება, რაც სათანადო ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს.

ვირტუალური სივრცის ვიზუალური ანალიზი

თანამედროვე პირობებში, ვიზუალური ანალიზი ფართოდ გამოიყენება ვირტუალური რეალობის საკვლევად. რადგან დღეს ვირტუალური სივრცე კომუნიკაციის მნიშვნელოვან მედიუმს წარმოადგენს, ამიტომ ის იდენტობის თვითპრეზენტაციისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. ვებგვერდები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურული კონსტრუქტები; შესაბამისად, ისინი სოციალური და კულტურული (თვით)გამოხატვის მნიშვნელოვანი ფორმებია (Pauwels, 2011, 573).

ბოლო პერიოდამდე, ვებგვერდების ანალიზისას მკვლევრები მათ ტექსტურ მხარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას და იშვიათად სცდებოდნენ ზედაპირულ აღწერას; თუმცა, უკანასკნელ ხანებში, სულ უფრო მეტად ხდება ვებგვერდების კულტურულ განზომილებებზე ფოკუსირება, რაც მათი შინაარსისა და ფორმის სხვადასხვა ასპექტში აისახება. ამდენად, ვირტუალური გარემო უამრავ ექსპრესიულ ინსტრუმენტს იყენებს და დეკოდირების შესაბამის სტრატეგიებს ითხოვს (იქვე, 574).

მართალია, მიჩნეულია, რომ ვირტუალური სივრცე, მისთვის დამახასიათებელი ანონიმურობის წყალობით, ადამიანებს არაავთენტური თვითპრეზენტაციისთვის ხელსაყრელ გარემოს უქმნის, მაგრამ ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ „იდენტობის თამაში“ და „შელამაზებული“ თვითპრეზენტაცია ადამიანური ინტერაქციის სტანდარტული პრაქტიკაა და მისი გამოხატვის გზები და მასშტაბები შესაძლოა მედიუმის და სოციალური კონტექსტის მიხედვით განსხვავდებოდეს. ცხადია, რომ ამგვარი თვითპრეზენტაციები სოციალური და კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვანი ფოკუსია (იქვე, 575). ამდენად, ვებგვერდების დეკოდირება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურული ღირებულებების, ნორმების, გენდერის, კლასის, რასის, რელიგიის და ა.შ. ხედვის შესახებ აშკარა და შეფარული გზავნილების ძიება ვირტუალურ რეალობაში, რისი ანალიზისთვისაც პაუველსი *მულტიმოდალურ მოდელს* გვთავაზობს (იქვე, 575).

ამ მოდელის თანახმად, ვებგვერდების ანალიზი ექვს ძირითად ეტაპს მოიცავს: საწყის ეტაპზე, მკვლევარი პირველ შთაბეჭდილებებს იღებს ვებგვერდის ჟანრისა და მიზნის შესახებ. აქვე, მკვლევარი რეფლექსიას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქმება მოცემული ვებგვერდი, ერთი მხრივ, ნაგულისხმევი აუდიტორიის, მეორე მხრივ კი, მისი მკვლევრების მიერ. ანალიზის მომდევნო ეტაპზე, მკვლევარი ვებგვერდის სახეზე მყოფი და არმყოფი ნიშნებისა და თემატიკის შეგროვებასა და კატეგორიზაციას ახდენს, როგორიცაა, ვთქვათ, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენება, სიახლეების სივრცე, უკუკავშირის სივრცე, ფოტოგალერეა და ა.შ. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია „ნეგატიური“ ანალიზის განხორციელებაც, ანუ რეფლექსია იმაზე, თუ რა ასპექტებია მიზანმიმართულად გამოტოვებული, თუმცა მოსალოდნელი იყო ვებგვერდის კულტურული რეალობიდან თუ ჟანრიდან გამომდინარე. გამოტოვებული თემატიკა თუ ასპექტები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახეზე მყოფი, რადგან

ისინი მიუთითებს კულტურაში ტაბუირებულ ან იმპლიციტურ ნორმებსა და ღირებულებებზე. მესამე და ცენტრალური ეტაპია ვებგვერდის ფორმისა და შინაარსის სიღრმისეული ანალიზი, რომელიც მისი ფორმატისა და დიზაინის, ვერბალური/ტექსტური ნაწილის, ვიზუალური რეპრეზენტაციების და მათი კულტურულ-სპეციფიკური შინაარსისა და აუდიო/ხმოვანი ასპექტების, აგრეთვე ზემოხსენებულ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზს გულისხმობს. აქვე მნიშვნელოვნია სიღრმისეული „ნეგატიური“ ანალიზიც, ანუ სახეზე არმყოფი ან ნაკლული შინაარსისა და არგუმენტების ბევრად უფრო ღრმა და დეტალური ანალიზი, ვიდრე ეს წინა ეტაპზე განხორციელდა. მომდევნო ეტაპზე, მკვლევარი ვებგვერდის ნაგულისხმევ აუდიტორიასა და მიზნებს იკვლევს. ის იმავე შეკითხვებს სვამს, რასაც დისკურსის ანალიტიკოსი, კერძოდ, „ვინ“ „რას“ ამბობს „ვისთვის“ და „რა მიზნით“? ამ კომპლექსურ შეკითხვაზე საპასუხოდ ის სხვადასხვა ექსპრესიული ელემენტის კომბინირებას ახდენს, როგორიცაა მიმართვის ფორმები, ნაცვალსახელების გამოყენება, კამერის ფოკუსი და ა.შ. ვებგვერდის ანალიზის მეხუთე ეტაპია ინფორმაციის ორგანიზებისა და სივრცული განთავსების სტრატეგიების ანალიზი, რაც მის შემქმნელთა განზრახვებისა და მოტივაციის შესახებ ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის. ანალიზის ბოლო, მეექვსე ეტაპი კი კონტექსტურ ანალიზსა და დასკვნების გამოტანას მოიცავს, რაც გზავნილის ავტორებისა და წყაროების იდენტიფიცირებას, ტექნოლოგიური პლატფორმების და მათი უპირატესობებისა თუ შეზღუდვების შეფასებასა და ბოლოს, განზრახ ან უნებური კულტურული მნიშვნელობების გამოვლენას გულისხმობს (იქვე, 576-583). როგორც ვხედავთ, ვებგვერდის ვიზუალური ანალიზი საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომლის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია მის უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტში განხილვა.

ნიმუში: სტუდენტის ნაშრომი

გთხოვთ, გაეცნოთ სტუდენტების ვიზუალური ანალიზის ნიმუშებს და შემდეგ შეკითხვებს უპასუხოთ: 1. როგორ იყენებენ ისინი ვიზუალური ანალიზის მიზნით კონტენტანალიზს და ინტერპრეტაციულ ანალიზს? წარმოდგენილი ტექსტებიდან მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები. 2. რა განსხვავებებს ხედავთ ვიზუალური მონაცემების დინამიკურ (ჟურნალ „ვოგის“ მაგალითზე) და სტატიკურ (ბავშვზე ძალადობის ბანერის მაგალითზე) ანალიზს შორის? 3. წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ვიზუალური მასალის თქვენეული ანალიზი: რაში ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ავტორებს? რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნიათ მათი არგუმენტები (რატომ)? თავად როგორ აღწერდით წარმოდგენილი ვიზუალური მასალის მიღმა არსებულ სოციალურ რეალობას?

ფემინურობიდან ფემინიზმამდე: ჟურნალ „ვოგის“ გარეკანის ცვლილება 1893-დან 2018 წლამდე

რ. კონელი (1987, 2002) თავის ნაშრომებში „ხაზგასმულ ფემინურობაზე“ საუბრობს. ის ქალის იმ სახე-ხატთან ასოცირდება, რომლის კონსტრუირებასაც „ჰეგემონური მასკულინობა“ ახდენს. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, დომინანტი კულტურა უმაგრებს ზურგს. ვფიქრობ, ფემინურობის ეს ტიპი ერთგვარი *კარნავაალიზაციის (პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი პრინციპის)* მაგალითია, სადაც ინდივიდები ირგებენ ჰეგემონი კულტურის მიერ თავსმოხვეულ როლებს, *ნიღბებს* და იქმნება ერთგვარი პერფორმანსი, რომელიც თავისთავად მიზანს წარმოადგენს. კონელის სიტყვებით, იმისთვის, რომ ეს პერფორმანსი შენარჩუნდეს და განმეორებადი გახდეს, საჭიროა მასმედიისა და მარკეტინგის გამოყენება. შესაბამისად, ხაზგასმული ფემინურობის მხარდაჭერა ისეთი ცნობილი ჟურნალების მეშვეობით ხდება, როგორიცაა „ვოგი“ და „კოსმოპოლიტენი“. ჰეგემონური სისტე-

მის, კულტურის მიერ შექმნილი სილამაზის, „ნამდვილი“ ქალის ხასიათის და ქცევის სტანდარტები მოდის ინდუსტრიაში ვლინდება.

დროის მსვლელობასთან ერთად, იცვლება ჰეგემონი კულტურის მიერ ფორმალიზებული იდეალური ქალის, *„წარმოსახვითი ქალის“ (ლუსი ირიგანი)* სახე-ხატები. ეს ცვლილება ჟურნალ-გაზეთების (და არა მარტო) დისკურსზეც აისახება. ჩემი ვიზუალური ანალიზის თემად ჟურნალი *ვოგის* გარეკანი ავირჩიე, რომელიც, ვფიქრობ, მუდმივ მეტამორფოზას განიცდის (წყარო: www.vogue.com).

1893 წლის ვოგის გარეკანზე წარმოდგენილია ქალი და კაცი. იმ პერიოდში ქალის ერთადერთი პერსპექტივა წარმოსადეგ, შეძლებულ მამაკაცზე ქორწინება იყო. ვოგის გარეყდაც იმას გვთავაზობს, რაც იმდროინდელ რეალობას შეესაბამება. გამხდარი ქალი სანთლით ხელში (მეტაფორა: სანთლით ხელში ეძებს) სოლიდური, მაღალი კლასის სამოსში გამოწყობილი კაცის პირდაპირ დგას. მართალია, ტანით მისკენაა შებრუნებული, მაგრამ სახით სხვაგან იყურება. ეს ერთგვარ კეკლუცობის ეფექტს ქმნის, *კარნავალიზაციას.* კაცისკენ კი შებრუნდა, მაგრამ თან არ უყურებს, *თავს იფასებს,* მეცხრამეტე საუკუნეში ხომ ინიციატივის გამოჩენა ქალის მხრიდან მიუღებელი იყო, ამიტომაც გამოწვევის შემდეგ (ტანით კაცისკენ დგას), ყველაფერი კაცზეა დამოკიდებული. სურათზე წარმოდგენილ კაცს ხელში იარაღი აქვს მომარჯვებული, რომლითაც, სავარაუდოდ, სანთელი ჩააქრო (ჯერ ისევ შეიმჩნევა ახლადჩაქრობილი სანთლის კვამლი, რომელიც ზემოთ ადის). ეს კაცი ჰეგემონური მასკულინობის ღირსეული წარმომადგენელია. ამ პერიოდში გავრცელებული იყო „დუელი“, სადაც გამარჯვება და ქალების სიმპათია კარგ მსროლელს რჩებოდა.

1930 წლის აგვისტოში გამოცემულ ვოგის გარეკანზე გამოსახულია გამხდარი ქალი თეთრი კაბით. ეს ქალი ისე გამოიყუ-

რება, როგორც ოცდაათიან წლებში იყო მოდაში: რეტრო სტილი, წითელი ტუჩსაცხი, ხელში სიგარა. ამ პერიოდში ქალებს უკვე მიღებული აქვთ განათლებისა და ხმის მიცემის უფლება. პირველმა ფემინისტურმა ტალღამ ჩაიარა. ეს გარკვეულად ვოგის გარეკანზეც აისახა. თეთრ სამოსში გამოწყობილი ქალი სიგარით ხელში *თავისუფლად* წამოწოლილა დივანზე. ამ შემთხვევაში, სანთელი სიგარამ ჩაანაცვლა (სანთლით ხელში კაცს აღარ ეძებს). სურათის ქვემოთ წერია: *New ideas for interior decorating (ახალი იდეები ინტერიერის გასაფორმებლად).* ესაა ქალებისთვის ერთგვარი მრჩეველი, თუ როგორ მოაწყონ სახლი. განათლებისა და ხმის მიცემის უფლების მიუხედავად, გარეკანზე წარმოდგენილი ნახატი ქალებისთვის მაინც ერთგვარი გზავნილია, რომელიც სახლის პრივატულ სივრცეს უკავშირდება. 30-იან წლებში გაზეთებში, რომლებსაც კაცები კითხულობდნენ, არ იბეჭდებოდა რჩევები სახლის მოწყობასთან დაკავშირებით, თუმცა დაიბეჭდა *ვოგში,* რომლის ხშირი მკითხველები სწორედ ქალები იყვნენ.



Vogue 1893



Vogue 1930



Vogue 1939

ჰეგემონური კულტურა ქმნის სილამაზის სტანდარტებს, რომელიც მოდის ინდუსტრიით ვრცელდება. მაგალითად, 1939 წლის ნოემბრის ვოგის ყდაზე გამოსახული იყო სამი თეთრკანიანი ქალის ფოტო: ქერა, ღია ყავისფერი და მუქი ყავისფერი თმით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდელებს შორის შეიმჩნევა ვარიაცია, ჩემი აზრით, ისინი ერთმანეთს მაინც გვანან: საერთო ასაკი, რასა, სილამაზის სტანდარტები (პატარა ცხვირი, სქელი ტუჩი, წვრილი წარბები, თხელი აღნაგობა). ჯერ კიდევ ფემინიზმის მეორე ტალღის პერიოდში, რომელიც 60-იან წლებში მიმდინარეობდა, უგულებელყოფილი იყო ფერადკანიანი ქალები. აქცენტი კეთდებოდა საშუალო კლასის წარმომადგენელ თეთრკანიან ქალებზე. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ 1939 წლის ვოგის ყდაზე (და 1939 წლამდეც) სამ ერთნაირად ლამაზ ქალს შორის ერთი ფერადკანიანიც არ მოხვდა. იმ პერიოდში სილამაზის სტანდარტებში სხვა რასის ქალები ვერ მოიაზრებოდნენ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მონობა 1865 წელს გაუქმდა, ჰეგემონური კულტურა მაინც რიყავდა აფროამერიკელებს.

Vogue 1992

არც 1992 წლის ვოგის გამოცემაში დარღვეულა მოდელებს შორის ჰომოგენურობა. ყველა ერთნაირად მომღიმარი, მაღალი და გამხდარია, ვიწრო წელით. ერთნაირი ფერის ტანსაცმელიც კი აცვიათ – თეთრი და ვარდისფერი, რომელიც საზოგადოების მხრიდან აღიქმებოდა, როგორც ფემინური. თეთრი, როგორც სუფთა და უმწიკვლო, ხოლო ვარდისფერი, როგორც ნაზი და მგრძნობიარე. ფოტოზე ასახული გოგონებიც სწორედ ასე აღიქმება. მართალია, აღქმა სუბიექტურია მაგრამ ჰეგემონური კულტურა მაინც განსაზღვრავს გარკვეულ კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც ცალკეულ ფერებს გარკვეული ნიშნები მიეწერება. ასე, მაგალითად, ვარდისფერი ფემინურობასთან ასოცირდება. 1992 წლის გარეკანზე შეინიშნება მხოლოდ ერთი ცვლილება. ათ მოდელს შორის ერთი ფერადკანიანია. ეს შეიძლება ჩავთვალოთ გავრცელებული სტანდარტების რღვევის დასაწყისად, რომელიც 2018 წლის ვოგის გარეკანზე ნათლად გამოვლინდა.

Vogue 2009



Vogue 2017

2009 წლის ნოემბერში ვოგის გარეკანზე მიშელ ობამას ფოტო დაიბეჭდება. მიშელ ობამა *ორმაგი კოდირების* მშვენიერი მაგალითია. ერთი მხრივ, ისაა პირველი ლედი, რომელიც პოლიტიკურ კამპანიებში იღებს მონაწილეობას, გვევლინება საქმიანი ქალის როლში, ხოლო მეორე მხრივ, ისაა დედა, რომელსაც სურს, ყოველ დილით შვილები თვითონ მიიყვანოს სკოლაში (ვოგთან ინტერვიუს დროს ასეთი ფრაზა გაჟღერდა). ის ერთდროულად ასოცირდება როგორც სახლის პრივატულ სივრცესთან, ისე საქმიანი ქალის იმიჯთან. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დასავლური კულტურა ქალისგან აღარ მოელის მხოლოდ კარგი დედის როლის მორგებას, არამედ სურს, ამასთან ერთად, პირადი სივრცე, საკუთარი საქმე ჰქონდეს.

ფოტოსესიის დროს თითოეულ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, კაბის ფერს. ფემინისტები ხშირად ამბობენ, რომ იისფერი ყველაზე მეტად ფემინისტური ფერია, რადგან ეს ფერი მიიღება, ერთი მხრივ, ცისფერის (ასოცირდება

კაცურ საწყისთან) და მეორე მხრივ, ვარდისფერის (ასოცირდება ქალურ საწყისთან) ერთმანეთთან შერევით. მიშელ ობამასაც სწორედ იისფერი კაბა აცვია.

2017 წელს ვოგის გარეკანიდან უკვე აშკარა ფემინისტური გზავნილი გამოჩნდა. „ჩვენ ყველა ფემინისტები უნდა ვიყოთ“ – ეს სიტყვები აწერია ცნობილ ინდოელ მსახიობს, ანუშკა შარმას მაისურზე. მისი პოზაც საკმაოდ თავისუფალია, ფეხები განზე აქვს, რაც კაცის ჯდომის მანერასთან ასოცირდება. 2018 წლის ვოგმა კი ამ ჟურნალის ისტორიაში გადატრიალება მოახდინა. სილამაზის მიღებული სტანდარტების მსხვრევა, მრავალფეროვნების დამკვიდრება – ასე შეგვიძლია შევაფასოთ მისი გარეკანი.

Vogue 2018

ვოგის რედაქტორი ედვარდ ენინფული წერს, რომ მიუხედავად ვოგის ყდების განსხვავებებისა, ისინი მაინც ჰგავდნენ ერთმანეთს, მას კი რაიმე განსხვავებულის გამოხატვა უნდოდა. მან შეარჩია 9 ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ქალი, სხვადასხვა რასის, წონის, გარეგნობის მქონე მოდელი. ეს გოგონები

ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ასევე რელიგიით, სოციოეკონომიკური მდგომარეობითა და სექსუალური ორიენტაციით. რედაქტორმა აღნიშნა, რომ მან გულდასმით აირჩია ხაკი, შავი და კრემისფერის ტონალობები იმისთვის, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი ქალის ეფექტი მიეღო. ვოგის გარეკანს აწერია: *New frontiers: the models changing the face of fashion (ახალი საზღვრები: მოდელები მოდის სახეს ცვლიან).* ამ გზავნილიდან ჩანს, რომ მოდა მის სტანდარტულ ფორმას იცვლის. დღესდღეობით მესამე ტალღის ფემინიზმის ხანაა, რომელიც პოსტმოდერნულ და პოსტსტრუქტურალისტურ თეორიებს ეფუძნება. მესამე ტალღის ფემინიზმი განსაკუთრებით სენსიტიურია ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა რასა, კლასი, გენდერი, ჰომოსექსუალობა. ვოგის ამ პოსტერმაც სწორედ ეს საკითხები წამოწია წინ. იცვლება ჰეგემონური კულტურა (ყოველ შემთხვევაში, ბრიტანეთში, სადაც ვოგის ეს გამოცემა გამოქვეყნდა) და წინა წლებთან შედარებით, აღარ იჩქმალებიან სხვა რელიგიის, რასის, სექსუალური ორინტაციის წამომადგენლები. შედეგად, მოდის ინდუსტრიის დისკურსიც შეიცვალა: დომინანტური ნარატივის დეკონსტრუქცია მოხდა, ყველა ინდივიდი (ელემენტი) ერთმანეთს გაუთანაბრდა და ვოგის გარეკანზე ერთნაირად გამოიკვეთა.

აშკარაა, რომ ვოგის ჟურნალმა მისი არსებობის პერიოდში დიდი მეტამორფოზა განიცადა. ფემინურობიდან ფემინიზმამდე – ესაა ის გზა, რაც ჟურნალმა გაიარა. 1930 წლის ვოგის გზავნილი: *ახალი იდეები ინტერიერის გასაფორმებლად,* 2017 წლის გზავნილმა ჩაანაცვლა: *ჩვენ ყველა ფემინისტები უნდა ვიყოთ.* დღევანდელი ქალი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ სახლის პრივატული სივრცით. დასავლური ჰეგემონური კულტურა გვთავაზობს ორმაგ კოდირებას: ქალი, როგორც დედა და ცოლი, დამოუკიდებელი და საქმიანი ქალის პარალელურად. სილამაზის სტანდარტებიც იცვლება, ახალი სახეები ახალ სტანდარტს ამკვიდრებენ – უფრო თავისუფალს და მრავალფეროვანს: *ახალი საზღვრები: მოდელები მოდის სახეს ცვლიან.*

ჩემი ვიზუალური მასალის ანალიზის კონელის ხედვაზე დაფუძნება ვცადე, რომლის მიხედვითაც, ჰეგემონური კულტურის მიერ შექმნილი იდეალური ქალის სახე-ხატების დამკვიდრება მასმედიის მეშვეობით ხდება. მართალია, კონელი ფიქრობდა, რომ ხაზგასული ფემინურობის დამკვიდრების მისია ქალთა ჟურნალებს აკისრია (მაგალითად, როგორიცაა ვოგი და კოსმოპოლიტენი), მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჟურნალი ვოგის დისკურსი მაინც განსხვავებულია, რადგან ის ფემინიზმის ტალღებთან ერთად იცვლება. მაშინ, როცა არ არსებობდა ფემინიზმი, როგორც სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობა, ვოგის გარეკანზე აშკარად შეიმჩნეოდა ხაზგასმული ფემინურობის ნიშნები, თუმცა მესამე ტალღის ფემინიზმისას ვოგის გარეკანზე უჩინარი ქალები გამოჩნდნენ (სხვადასხვა რასის, ეთნიკური ჯგუფის და ა.შ. წევრები), რომელთაც ადრე მოდის ინდუსტრია ვერ ამჩნევდა.

ბანერის ვიზუალური ანალიზი: ბავშვები ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ვიზუალური ანალიზის გასაკეთებლად ავირჩიე, ჩემი აზრით, ერთ-ერთი აქტუალური თემა გლობალური მასშტაბით, რაც ეხება ბავშვთა წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას. შევეცდები გავარჩიო ერთ-ერთი ესპანური ბანერი, რომელიც ბავშვებს არიგებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლნი გახდებიან, აუცილებლად დარეკონ ძალადობასთან ბრძოლის ცხელ ხაზზე. ბანერი მოამზადა ესპანურმა ფონდმა ANAR-მა, რომელიც ბავშვთა დაცვის ორგანიზაციის სახელითაა ცნობილი და ძალადობასთან ბრძოლის ცხელი ხაზის მფლობელია. პირველ რიგში, წარმოგიდგენთ ბანერს, შემდეგ შევეცდები გავაანალიზო ის დეტალები, რაც ხაზს უსვამს ამ ბანერის ინოვაციურობას; შევეცდები ინტერპრეტაციული ანალიზი გავუკეთო მოცემულ ვიზუალურ მასალას და რეფლექსურ თეორიაზე დაყრდნობით (რომლის მიხედვითაც, ვიზუალური დოკუმენტები საზოგადოების შესახებ გვიყვებიან) განვიხილო ის სოციალური ფონი, რაც ამ ბანერის შექმნის წინაპირობად მიმაჩნია.

წყარო: https://www.youtube.com/watch?v=6zoCDyQSH0o

პირველ სურათზე ნაჩვენები გამოსახულება არის ის, რასაც 1.37 სმ-ზე მაღალი ადამიანები ხედავენ (იგულისხმება მოზრდილები/ზრდასრულები); მეორე სურათზე ნაჩვენებია ის გამოსახულება, რასაც პატარები ხედავენ (დაახლოებით, 10 წლის ასაკის ბავშვის სიმაღლეზეა გათვლილი)

იმ პატარებისთვის, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, ANAR-მა ეფექტური სარეკლამო ბანერი შექმნა, რათა ბავშვებმა შეძლონ, დახმარებისთვის შესაბამის სამსახურს მიმართონ. ბანერი დიდებისთვის და ბავშვებისთვის სხვადასხვა გზავნილს ატარებს, გააჩნია, რა რაკურსით შეხედავთ მას. მოზრდილებისთვის, რომლებიც 1.37 სმ-ზე მაღლები არიან, შეუმჩნეველია ფარული გზავნილი, რომლის წაკითხვაც მხოლოდ პატარებს შეუძლიათ. როგორც რეკლამის შემქმნელები იუწყებიან, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პატარა მოძალადესთან ერთად მიდის ქუჩაში, მხოლოდ ის დაინახავს მისთვის განკუთვნილ წარწერას: „თუ ვინმემ რაიმე დაგიშავა, დაგვირეკე. ჩვენ დაგეხმარებით“; ხოლო ბანერის ზედა ნაწილზე, რომელსაც ზრდასრულები ხედავენ, იკი-

თხება წარწერა: „ზოგჯერ მხოლოდ ის ბავშვი ხედავს ბავშვებზე ძალადობას, რომელსაც ეს ძალადობა გამოუცდია“. რეკლამის სპეციფიკა სწორედ ეს არის, ის ატარებს სხვადასხვა გზავნილს „დიდებისთვის“ და „პატარებისთვის“. შესაბამისი ფოტოების საფუძველზე, უშუალოდ განვიხილავ ზემოხსენებულ ბანერს.



ზედა სურათზე წარმოდგენილია ზრდასრულის ხედვის არეალი და შესაბამისი ფოტო, ქვედა სურათზე კი ასახულია ის ფოტო და ხედვის არეალი, რაც პატარების სიმაღლეს შეესაბამება

სურათები მხოლოდ დეკორაციისთვის რომ არ გამოვიყენო, თავდაპირველად წარმოგიდგენთ არგუმენტს, რის გასამყარებლადაც ჩავსვი ფოტო: რეკლამის ავტორები იუწყებიან, რომ სურათის სათანადოდ აღქმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხიდან შევხედავთ მას. იმისთვის, რომ ბავშვებისთვისაც და ზრდასრულებისთვისაც ადეკვატური გზავნილი მიეწოდებინათ, მათ შექმნეს ორი სურათი, ერთი, რომელიც „ზევიდან“ ხედვით შეიძ-

ლება დავინახოთ და მეორე, რომელის დანახვაც მხოლოდ „ქვე-ვიდან“ ხედვითაა შესაძლებელი. ამან საშუალება მისცა ბანერის შემქმნელებს, უზრუნველეყოთ ინფორმაციის გადაცემა ბავ-შვისთვის, რომელიც სურათის ნახვის მომენტში მოძალადის გვერდით იმყოფება. იგი განსხვავებულ ინფორმაციას იღებს სუ-რათიდან, ვიდრე მისი თანმხლები პირი (იქნება ის მოძალადე თუ არა). ბავშვი ხედავს ძალადობის კვალს ბავშვის სახეზე და გაფ-რთხილებას, რომელიც ასე ჟღერს: “If somebody hurts you, phone us and we’ll help you” (თუ ვინმე რამეს დაგიშავებს, დაგვიკავშირდი და ჩვენ დაგეხმარებით). თავიდან, როდესაც ვიდეო რგოლს ვუ-ყურე და ფოტოები დავათვალიერე, ვერ შევამჩნიე ტელეფონის ნომერი (116 111), რომელიც სწორედ იმ შუალედურ მონაკვეთში წერია, ძალიან მკრთალად, სწორედ ამიტომ დავიწყე ნომრის ძებნა, რომელსაც შემთხვევით გადავაწყდი სურათის იმ ნაწილ-ში, რომელიც მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

არეალი, რომელსაც მხოლოდ ბავშვები ამჩნევენ

ეს არის რეკლამის ავტორის მიერ რეკლამაში ჩადებული კი-დევ ერთი ფარული გზავნილი, რომელიც მან მხოლოდ ბავშვე-

ბისთვის განსაზღვრა. ის მოუწოდებს აგრესიის მსხვერპლ ბავშვებს, რომ დარეკონ ამ კონკრეტულ ნომერზე და დახმარებას ჰპირდება. ამ გზავნილის სათანადოდ მისაწოდებლად, რეკლამის ავტორებმა ადამიანის სიმაღლის მიხედვით განსაზღვრეს ხედვის კუთხე და იპოვეს შუალედური მონაკვეთი, სადაც იკვეთება მოზარდისა და ბავშვის (არ დაგვავიწყდეს სიმაღლე) მხედველობის შესაძლებლობები და სწორედ იმ მონაკვეთს მოარგეს ფოტოს ცვლილების უნარი.



პირველ ფოტოზე მოცემულია დიდების და პატარების ხედვის კუთხე, მეორე სურათზე კი მიღებული შედეგი, ხედვის კუთხის კვეთა, სადაც დიდები უკვე ვეღარ სწვდებიან სურათის ამ ნაწილს, პატარებისთვის კი ის ხელმისაწვდომია

ამასთან, რეკლამის ავტორებმა ზრდასრულებისთვისაც დატოვეს შეტყობინება, რომელიც ასე ჟღერს: "Sometimes, childs abuse is only visible to the child suffering it" (ზოგჯერ მხოლოდ ის ბავშვი ხედავს ბავშვებზე ძალადობას, რომელსაც ეს ძალადობა გამოუცდია). ჩემი აზრით, ამ გზავნილით ავტორი ცდილობს, მიახვედროს მოზრდილი (მოძალადე იქნება ის თუ არა), რომ ბავშვებზე ძალადობა არ დაიმალება, რომ ბავშვი, რომელსაც მსგავსი ქმედება საკუთარ თავზე გამოუცდია, აუცილებლად შეამჩნევს ძალადობის სხვა შემთხვევებს, დანახვა კი ერთ-ერთი ნაბიჯია გაცხადებისკენ მიმავალ გზაზე. შესაბამისად, ამ გზავნილში ჩადებული მთავარი აზრი ის არის, რომ ბავშვებზე ძალადობა (მიუხედავად იმისა, რომ ისინი სუსტები და ძალაუფლებას მოკლებულნი არიან) ყოველთვის არ დაიმალება, ბავშვი ყოველთვის არ გაჩუმდება, ერთხელაც ის მოიკრებს გამბედაობას და კომპეტენტური პირები/ორგანიზაციები აუცილებლად დააყენებენ მოძალადის პასუხისმგებობის საკითხს.

რადგან კომპეტენტურ პირებზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა აღვნიშნო ის დეტალები, რაც ამ კონკრეტულ ბანერს დამაჯერებლობას სძენს. ბანერის ზედა ნაწილში მოცემულია წარწერა: „25 აპრილი, ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე." სიტყვა „საერთაშორისო" მეტ დამაჯერებლობას სძენს ბანერს, რადგან ის ფართო აღირებას გულისხმობს. „საერთაშორისო" ნიშნავს, რომ ის არ არის „დამახასიათებელი" მხოლოდ ერთი ან ორი სახელმწიფოსთვის, არამედ გაზიარებულია არაერთ სახელმწიფოს შორის და სწორედ ეს „გაზიარებულობა" სძენს მას მეტ სანდოობას საზოგადოების თვალში. ამგვარი სანდოობა კი შესაძლოა ამ კონკრეტული ბანერისადმი ნდობის ერთ-ერთ დეტერმინანტად ჩავთვალოთ. მეორე დეტალი, რაც, ვფიქრობ, ბანერის დამაჯერებლობაზე ახდენს გავლენას, არის "ANAR foundation"-ის მითითება, როგორც ავტორის და რეკომენდატორის. რადგან ის ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციადაა ცნობილი და

ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებულ არაერთ პროექტს ახორციელებს, მის კომპეტენტურობაში საზოგადოება ეჭვს ვერ შეიტანს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის, თუ რას საქმიანობს კონკრეტული პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელიც მოცემული გზავნილის/რეკლამის ავტორია, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში ამ გზავნილის/რეკლამის მიღებასა და გავრცელებაზე.

ბანერის ტექნიკური მახასიათებლების განხილვის შემდეგ, საჭიროდ ვთვლი იმ სოციალურ ფონზე საუბარს, რამაც რეკლამის ავტორები ამ ბანერის შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა. გავრცელებულია აზრი, რომ საზოგადოებაში შექმნილი ვიზუალური დოკუმენტები ამ საზოგადოების, სოციალური სივრცის და მასში არსებული ინტერაქციების შესახებ გვიყვებიან. თუ ზოგადად რეკლამის როლს და სპეციფიკას გავითვალისწინებთ, ის იმისთვის იქმნება, რომ მომხმარებელს მისთვის საჭირო თუ მნიშვნელოვანი პროდუქტი შესთავაზოს; თუმცა, ისეთი ტიპის რეკლამები, რაც პროდუქტის გასაღებაზე არ არის ორიენტირებული და ფოკუსირებას ახდენს საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებზე, როგორიცაა, მაგალითად, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ინფორმაციას გვთავაზობს ან გვაფრთხილებს, რა შეიძლება მოჰყვეს ამ სოციალურ პრობლემას (ვთქვათ, სიგარეტის, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარებას), ნამდვილად არ წარმოადგენს ჰაერზე აგებულ მარკეტინგულ სვლას. ამგვარი სოციალური რეკლამები შექმნილია იმისთვის, რომ რაღაც გამოსწორდეს და სასიკეთოდ შეიცვალოს სოციალურ გარემოში. შესაბამისად, ძალადობის წინააღმდეგ ANAR-ის ფონდის მსგავსი შეფარული რეკლამა იმაზე მიუთითებს, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც ის მომზადდა, ბავშვთა მიმართ ძალადობა იშვიათობას არ წარმოადგენს და ის საკმაოდ ეფექტურადაა დამალული; სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო მსგავსი შეფარული გზავნილების ჩადება ბანერში.

სრულყოფილი სურათის მისაღებად ვისაუბროთ ბანერის ნაკლოვანებებზეც. ჩემი აზრით, ამ რეკლამის ნაკლოვანებებია:

- ✓ არ არის გათალისწინებული განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლოა, 10 წლის ბავშვი, საშუალო სტატისტიკურთან შედარებით, გაცილებით მაღალი იყოს;
- ✓ ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ბანერი არ უნდა იყოს განკუთვნილი მხოლოდ ბავშვებისთვის. შესაძლოა, ადამიანი, რომელიც მის გვერდითაა, ბავშვებზე ძალადობის ფაქტის მომსწრე იყოს (მაგალითად, დედა, რომელიც უყურებს, როგორ ძალადობს მამა ბავშვებზე) და თუ ის ვერ აღიქვამს ბანერის რეალურ არსს, მაშინ ის ვერ შეძლებს პრობლემასთან ბრძოლას (უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხელი ხაზის ნომერს მხოლოდ ბავშვები ხედავენ);
- ✓ ბანერი ვერ ითავსებს ძალადობის პრევენციის ფუნქციას, რადგან, ვთვლი, რომ უფრო ეფექტური იქნებოდა მოძალადეს სცოდნოდა იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯები ხორციელდება, რასაც შესაძლოა გამოეწვია სირცხვილის გრძნობა ან შიში სოციალურად დასაძრახი ქმედების ჩადენის გამო;
- ✓ ბანერის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასაკობრივი ზღვარი არის მცირე, ვინაიდან, გარკვეულ ასაკამდე (მაგალითად, 3 წლამდე) ბავშვი ვერ აღიქვამს ძალადობის არსს, ხოლო 10 წლის ზემოთ ბავშვები სიმაღლის გამო გზავნილს ვერ ხედავენ. გამოდის, რომ ასაკობრივი ჩარჩო საკმოდ მცირე, შვიდწლიან ინტერვალს მოიცავს, რაც, გარკვეულწილად, არაქმედითია;
- ✓ ბანერზე ასახულია მხოლოდ ფიზიკური ძალადობის გამომხატველი ფოტო, რაც ყურადღების მიღმა ტოვებს ძალადობის სხვა ფორმებს (ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური იძულება); შესაბამისად, მნახველი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს იღებს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად რამდენიმე ნაკლისა, ბანერის გზავნილი საკმაოდ ინოვაციურადაა მიწოდებული საზოგადოებისთვის. რაც მთავარია, ყოველი ინიციატივა

და ქმედება, რაც ძალადობის პრევენციას ემსახურება, მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან ის კიდევ ერთი ნაბიჯია არსებული სოციალური რეალობის უკეთესობისკენ შესაცვლელად.

გამოყენებული ლიტერატურა

Alexander, V. D. (2008). Analysing Visual Materials. In N. Gilbert (Ed.), *Researching Social Life* (462-481). Sage: Los Angeles.

Ball, M., & Smith, G. (2011). Ethnomethodology and the Visual: Practices of Looking, Visualization, and Embodied Action. In E. Margolis & L. Pauwels (Eds.), *The Sage Handbook of Visual Research Methods* (pp. 392-414). London: Sage Publications.

Bourdieu, P., Boltanski, L., Castel, R., & Chamboredon, J. D. (1990). *Photography: A Middle-Brow Art.* Cambridge: Polity Press.

Garfinkel, H. (1984). *Studies in Ethnomethodology*. Cambridge: Polity Press.

Goffman, E. (1963). *Behavior in Public Places.* New York: Free Press.

Goffman, E. (1967). *Interaction Ritual: Essays on Face-to-Face Behavior.* New York: Pantheon Books.

Goffman, E. (1979). *Gender Advertisements.* New York: Harper and Row.

Kellner, D. (1995). *Media Culture: Cultural Studies, Identity and Politics between the Modern and the Postmodern*. London and New York: Routledge.

Lefebvre, H. (1991). *The Production of Space* (trans. Nicholson-Smith, D.). Oxford: Blackwell.

Manovich, L. (2016). *Instagram and Contemporary Image.* Retrieved from http://manovich.net/index.php/projects/instagram-and-contemporary-image

McQuire, S. (2008). *The Media City: Media, Architecture and Urban Space.* Los Angeles: Sage Publications.

Pauwels, L. (2011). An Integrated Conceptual Framework for Visual Social Research. In E. Margolis & L. Pauwels (Eds.), *The Sage Handbook of Visual Research Methods* (pp. 3-24). London: Sage Publications.

Pauwels, L. (2011). Researching Websites as Social and Cultural Expressions: Methodological Predicaments and a Multimodal Model for

Analysis. In E. Margolis & L. Pauwels (Eds.), *The Sage Handbook of Visual Research Methods* (pp. 570-590). London: Sage Publications.

Park, R. E., & Burgess, E. W. (1967 [1925]). *The City.* Chicago: The University of Chicago Press.

Rose, G. (2001). *Visual Methodologies.* London: Sage.

Sebeok, T. A. (2001). Signs: An Introduction to Semiotics (2nd ed.). Toronto: University of Toronto Press.

Simmel, G. (1924 [1908]). Sociology of the Senses: Visual Interaction. In R. E. Park & E. W. Burgess (Eds.), *Introduction to the Science of Sociology* (pp. 356-361). Chicago: The University of Chicago Press.

Williamson, J. (1995). *Decoding Advertisements: Ideology and Meaning in Advertising.* London: Marion Boyars.

თავი 10
თვისებრივი კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში: საწყისი რეფლექსია

თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგები კვლევის ანგარიშში აისახება. თუმცა, თავად წერის პროცესი ანგარიშის შექმნამდე ბევრად ადრე იწყება. მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ *წერა თავად კვლევის მეთოდია,* ორი მნიშვნელობით: წერა როგორც მონაცემების ანალიზის (კოდირება, კატეგორიზაცია და ა.შ.), ისე მონაცემების მოპოვების (ინტერვიუს თუ დაკვირვების დროს) თანმხლები პროცესია (Richardson, St. Pierre, 2005, 970).

წერის პროცესში, პირველ რიგში, მკვლევარმა უნდა განსაზღვროს, თუ რა არის მისი ნაშრომის მიზანი და ვინ არის მისი ნაგულისხმევი მკითხველი. ნაშრომის მიზნისა და მკითხველის განსაზღვრა აკადემიური წერის მთავარი კონვენციაა და ცხადია, ის ვერც თვისებრივი ანგარიშის შემთხვევაში იქნება უგულებელყოფილი. ნაშრომის მიზანი და ნაგულისხმევი მკითხველი ურთიერთდაკავშირებულია, რადგან სწორედ მიზანი განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფს. თუ ნაშრომის მიზანია დარგში სპეციფიკური ნიშის დაკავება ან ავტორის მიერ მოპოვებული მონაცემებით გამდიდრება, მისი სამიზნე ჯგუფი ამ დარგის სპეციალისტები ყოფილან და ცხადია, ავტორი პროფესიულ ტერმინოლოგიას გამოიყენებს; თუკი ნაშრომი მიზნად ისახავს კვლევის შედეგების რაც შეიძლება ფართო აუდიტორიისთვის მიწოდებას, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მკითხველები არ ფლობენ შესაბამის ექსპერტიზას და ამიტომ არ უნდა გამოიყენოს დარგისთვის სპეციფიკური ტერმინოლოგია, არამედ კვლევის შედეგები პოპულარული ენით უნდა წარადგინოს.

მას შემდეგ, რაც ნაშრომის მიზანი და მკითხველი განსაზღვრულია, ავტორმა ნაშრომის სტილი და ტონიც უნდა განსაზღ-

ვროს. სტილი ნაშრომის ფიზიკურ ორგანიზებას გულისხმობს, კერძოდ, თავების და ქვეთავების სათაურებს, ფორმატირების თავისებურებებს, წინადადებებისა თუ პარაგრაფების სიგრძესა და კომპლექსურობას, სქოლიოების გამოყენებას, ინტერვიუს თუ ფოკუსჯგუფის ამონარიდების წარდგენას, საილუსტრაციო მასალის ორგანიზებას და ა.შ. ტონი კი იმაზე მიანიშნებს, თუ როგორ უნდა აღიქვას მკითხველმა კვლევის შედეგები. ავტორმა შესაძლოა მკითხველს გარკვეული განწყობა შეუქმნას, თანამონაწილეობის განცდა მიანიჭოს, პასიურ დამკვირვებლად აქციოს ან აქტიური ქმედებისკენ მოუწოდოს და ა.შ. ამ მიზნით ავტორი მიზანმიმართულად იყენებს პირველ ან მესამე პირს, პირდაპირ ან ირიბ თქმას; ასევე, ტექსტში წინა პლანზე წამოწევს ან, პირიქით, არ აჩენს საკუთარ თავს. შესაბამისი ტონის მიღწევაში ავტორს „ფერადი სიტყვებიც“ (“colored words”) ეხმრება (Rubin, Rubin, 2005, 250), რომლებიც მკითხველში გარკვეულ ემოციებს აღძრავს, როგორიცაა აღელვება, ბრაზი, თანადგომა, იუმორი, ირონია და ა.შ.

რადგან თვისებრივი კვლევისას ავტორი შესასწავლი მოვლენების უშუალო დამკვირვებელია ან თავად ჩართულია კვლევის მონაწილეებთან უშუალო ინტერაქციაში, კვლევის ანგარიშში, საკმაოდ ხშირად, მისი ავტობიოგრაფიული ნარატივიც ანუ *ავტოეთნოგრაფიაც* არის ჩადებული. ჯერ კიდევ რობერტ მერტონმა შემოგვთავაზა ტერმინი „სოციოლოგიური ავტობიოგრაფია“, რაც სოციოლოგიური ცნებებისა და პრაქტიკის გამოყენებას ითვალისწინებს იმგვარი ტექსტის შესაქმნელად, რომელიც საზოგადოებრივი კონტექსტის განხილვისას ავტორის ცხოვრების ინტეგრირებასაც ახდენს (Roberts, 2007, 86). რადგან თანამედროვე პირობებში, ჩვეულია კვლევით ნაშრომში საკუთარი გამოცდილების ინტეგრირება, დამწყებმა ავტორებმა შემდეგი კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინონ (იქვე, 85):

- თუ რა პირადი გამოცდილების აღწერა იქნება მიზანშეწონილი მოცემული ნაშრომის ფარგლებში;

- თუ რა ხარისხით/რამდენად დეტალურად უნდა აღიწეროს ეს გამოცდილება;
- თუ რა ხარისხით უნდა გამოვლინდეს მკვლევრის პირადი გრძნობები და თვითრეფლექსია;
- თუ პირადი გამოცდილების გადმოცემის რა ფორმების გამოყენებაა მიზანშეწონილი კვლევის ანგარიშში (დღიური, ჩანახატი, პოეზია და ა.შ.);
- თუ რა გზითაა შესაძლებელი გამოხატვის ამ ფორმების შეფასება;
- თუ რა გზითაა შესაძლებელი სხვადასხვა მკვლევრის ავტოეთნოგრაფიის ერთმანეთთან მიმართებით შეფასება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტოეთნოგრაფია ავტორის იდენტობას გადმოსცემს, რომელიც მისი სოციალური გამოცდილების შედეგია. ამდენად, წერის პროცესსა და იდენტობას შორის მჭიდრო კავშირია: ერთი მხრივ, იდენტობა სოციალურად კონსტრუირებულია ტექსტის გზით, რომელიც მოცემულ სოციალურ კონტექსტში არსებული ღირებულებებისა და ძალაუფლებრივი ურთიერთობების რეპრეზენტაციას ახდენს (ამდენად, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ *დისკურსულ იდენტობაზეც);* მეორე მხრივ, ტექსტი სოციალური რეალობის კონსტრუირებას ახდენს, მასში გადმოცემული მუდმივად ცვალებადი გამოცდილების საფუძველზე (იქვე, 90).

კვლევის ანგარიშის სტრუქტურა

ზემოხსენებული დეტალების გათვალისწინების შემდეგ, ავტორი ნაშრომის სტრუქტურულ გამართვაზე იწყებს ზრუნვას. სოციალურ მეცნიერებაში კვლევის ანგარიშს განსაზღვრული სტრუქტურა აქვს, ამიტომ სხვადასხვა ავტორები სტრუქტურული ელემენტების მსგავს თანმიმდევრობას გვთავაზობენ (Holliday, 2007; Fritz, 2008; Berg, Lune, 2012). ქვემოთ წარმოგიდგენთ ადაპტირებულ ვერსიას, რომელიც როგორც სხვადასხვა მკვლევრის

კლასიფიკაციებს, ისე ჩემს გამოცდილებას ეფუძნება. ნიმუშის სახით გთავაზობთ შესაბამის ამონარიდებს საქართველოში ევროპეიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური და პოპულარული დისკურსების შესახებ პუბლიკაციიდან. მართალია, ეს პუბლიკაცია კვლევის ანგარიშის ფუნქციას არ ასრულებს, მაგრამ წარმოდგენილი ამონარიდები იმ სახით იქნება დალაგებული, როგორც ამას კვლევის ანგარიშის შესაბამისი სექციები ითხოვს.

სათაური

კვლევის ანგარიშის პირველი და უმთავრესი ელემენტია ნაშრომის სათაური, რომელიც საკვლევი მიზნის მოკლე და კომპაქტურ შეჯამებას წარმოადგენს. სწორედ სათაურიდან იგებს მკითხველი, თუ რას ეხება კვლევის ანგარიში. ამდენად, ნაშრომის სათაურის კონტექსტში კვლევის მიზნისა და ამოცანებისთვის თვალის გადავლებით, მკითხველს პირველი შთაბეჭდილება ექმნება ავტორის ძირითადი არგუმენტის ლოგიკური გამართულობის შესახებ.

ნიმუშად ზემოხსენებული კვლევის ანგარიში რომ ავიღოთ, მისი სათაურია „ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში“. კვლევის მიზანი კი მკითხველისთვის იმის ჩვენებაა, თუ როგორ ახდენენ ქართველი პოლიტიკოსები და მოსახლეობა საქართველოს ევროპულობის დემონსტრირებას გოფმანისეულ „წინა რეგიონში“ და რა გზავნილები იკითხება მათი „სცენური შესრულების“ მიღმა.

ანოტაცია

ნაშრომის სათაურს ანოტაცია ანუ კვლევის მოკლე აღწერა თუ შეჯამება მოსდევს. როგორც წესი, ანოტაციის მოცულობა ერთ გვერდს არ აღემატება და მასში თითო წინადადებით აღწერილია კვლევის მიზანი, მეთოდი, ხშირად თეორიული ჩარჩოც, ძირითადი მიგნებები და დასკვნები. ანოტაციის დაწერის საუკე-

თესო სტრატეგიაა, რომ წარმოვიდგინოთ, თითქოს, ორ-სამ წუთში უნდა ავუხსნათ ჩვენი კვლევის არსი უცხო აუდიტორიას, რომელსაც მის შესახებ არ სმენია.

წარმოგიდგენთ ევროპეიზაციის დისკურსების შესახებ ზემოხსენებული კვლევის ანოტაციას:

მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, 2014 წლის ივნისში, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. საქართველოს მისწრაფებას სხვადასხვა ფაქტორი უდევს საფუძვლად, რომელთა ორ დიდ კატეგორიად – პრაგმატულ და იდენტობის ფაქტორებად – დაყოფა შეიძლება და რომლებიც თვალსაჩინოდ ვლინდება ქართველების პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებში ევროპეიზაციის შესახებ. სწორედ ამგვარი დისკურსების შესწავლას ისახავდა მიზნად კვლევითი პროექტი სახელწოდებით „ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში“, რომელიც კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის მხარდაჭერით განხორციელდა 2014-2016 წლებში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებთან და 18 ფოკუსჯგუფი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობასთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მონაწილეები გვთავაზობენ სოციალურად სასურველ ნარატივებს ევროკავშირისა და საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ, რომლებიც თანხმობაშია საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსთან; თუმცა, ამ ფასადს მიღმა მათი საკმაოდ ამბივალენტური დამოკიდებულებები იჩენს თავს. მართალია, ამგვარი ამბივალენტობა მოსალოდნელი იყო იდენტობის ფაქტორის განხილვისას (ქვეყნის ევროპეიზაცია მოიაზრება, ერთდროულად, ქართული იდენტობის დაცვის საშუალებად და მისთვის საფრთხის მატარებლად), მაგრამ აღმოჩნდა, რომ პრაგმატული ფაქტორების (ქვეყნის უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება, პოლიტიკის კეთების ევროპულ მოდელზე გადას-

ვლა) შესახებ ნარატივებიც საკმაოდ ამბივლენტურია; კერძოდ, რესპონდენტებს აშინებთ, რომ უსაფრთხოების დაცვას შესაძლოა ევროკავშირის მხრიდან ქვეყნის სუვერენიტეტის შესუსტება მოყვეს, რომ ეკონომიკური განვითარება შესაძლოა მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმების და არა რეალური მაჩვენებლების საფუძველზე შეფასდეს, და რომ ქვეყნის ევროპეიზაციის მცდელობა შესაძლოა მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ მოსახლეობისთვის შექმნილი პოლიტიკური იმიჯის ნაწილი იყოს და არ გამოიწვიოს რეალური ცვლილებები. ამდენად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ქართველების მიერ ქვეყნის ევროპეიზაციის მხარდაჭერისა, ეს უკანასკნელი მათ, გარკვეულწილად, აფრთხობს კიდეც, რაც როგორც პოპულარულ, ისე პოლიტიკურ დისკურსებში ვლინდება.

შესავალი

კვლევის ანგარიშის შესავალი ნაწილი მოცემული კვლევის დიზაინს გვაცნობს, რომლის დეტალური სტრუქტურა ამ სახელმძღვანელოს მეორე თავშია განხილული. მოკლედ რომ შევაჯამოთ, შესავალ ნაწილში პრობლემის დასმა და მისი აქტუალობის დასაბუთება ხდება, კვლევის მიზანი, ამოცანები და ჰიპოთეზაა წარდგენილი, შემდეგ კვლევის სამიზნე ჯგუფი და შერჩევის დეტალებია განხილული, რასაც მონაცემების მოპოვების და ანალიზის მეთოდების განხილვა მოსდევს, აგრეთვე – კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დასაბუთება და ბოლოს, მის შეზღუდვებზე საუბარი. პრობლემის დასმისას ძალიან მნიშვნელოვანია მოცემული კვლევის უკვე განხორციელებული კვლევების კონტესტში ჩასმა და იმის ჩვენება, თუ რა ნაკლული ინფორმაციის შევსებას გეგმავს ეს კვლევა, რაც წინა კვლევების ყურადღების მიღმა დარჩა და ამ გზით, როგორ ამდიდრებს მოცემული საკითხის შესახებ დარგში არსებულ ცოდნას. არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევის მოსალოდნელ სამეცნიერო გავლენებზე საუბარი, როგორიცაა არსებული თეორიისა და ცნებე-

ბის გაგების გაღრმავება ან თუნდაც მოდიფიცირება, სიახლეების შეთავაზება კვლევის მეთოდოლოგიის კუთხით, მოცემულ საკითხზე დარგობრივი ცოდნის გამდიდრება და ა.შ. სამეცნიეროსთან ერთად, საყურადღებოა კვლევის პრაქტიკული გავლენებიც, როგორიცაა ადგილობრივ პრობლემებთან კვლევის შედეგების კავშირის ჩვენება, გარკვეული ქმედების მობილიზება, პოლიტიკის დონეზე ინფორმირებული გადაწყვეტილებებისთვის ბიძგის მიცემა და ა.შ.

შესავლის ნიმუშად წარმოგიდგენთ ამონარიდს ზემოხსენებული კვლევიდან ევროპეიზაციის დისკურსების შესახებ, რომელშიც საკვლევი საკითხია დასმული და კვლევის მიზანია ფორმულირებული.

საკითხის დასმა და კვლევის მიზანი

ევროპეიზაცია, როგორც საკვლევი თემა, სამეცნიერო ლიტერატურისთვის საინტერესო 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან გახდა, როცა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების წინაშე ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხი დადგა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი არ წარმოადგენს ევროინტეგრაციის ეკვივალენტურ კატეგორიას და გამოიყენება ევროკავშირის გავლენის თუ „ადგილობრივი ზემოქმედების" აღსანიშნავად არა მხოლოდ მის წევრ ქვეყნებზე, არამედ მის ფარგლებს მიღმა არსებულ ქვეყნებზეც (Sedelmeier, 2011, 5).

თავდაპირველად, ევროინტეგრაციას საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალიტები სწავლობდნენ ნეოფუნქციონალიზმის ან რეალიზმის პოზიციიდან (Jacquot & Woll, 2003), რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი განიხილება, როგორც „ევროპული მმართველობის" მოდელი სპეციფიკური მახასიათებლებით: რეგიონალიზმით, სუპრანაციონალური ინტეგრაციით, მულტილატერალიზმით, ტრანსნაციონალური ვაჭრობით (ნეოლიბერალური ეკონომიკით) და დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმით (Schimmelfennig, 2010). თუმცა, შემდგომ, ევროინტეგრაციის კვლე-

ვებში პოლიტიკის მეცნიერები და სოციოლოგებიც აქტიურად ჩაერთვნენ, და კვლევის ფოკუსი ეროვნული პოლიტიკური სისტემების და ყოველდღიური პრაქტიკის ევროპეიზაციაზე გადაიტანეს. ამდენად, ევროინტეგრაცია ხდება დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე, დისკურსსა და იდენტობებზე (Radaelli, 2003), ხოლო ტერმინი „ევროპეიზაცია" გამოიყენება ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაციის აღსანიშნავად ევროპულ მოდელთან ადაპტაციის პროცესში (Jacquot & Woll, 2003).

სახელმწიფოთა ტრანსფორმაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ევროპეიზაცია სწორედ ევროკავშირის „ადგილობრივი ანალოგის" შექმნის პროცესს წარმოადგენს, რაც ეროვნული სოციოპოლიტიკური მართვის პრინციპებისა და მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან და პრაქტიკებთან ადაპტაციას გულისხმობს (Schimmelfennig, 2012, 10). თავის მხრივ, ტრანსფორმაციის პროცესის გაგებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადაპტაციის, არამედ ევროინტეგრაციის „გამოყენების" შესწავლა. „გამოყენების" ქვეშ იგულისხმება როგორც სახელმწიფო აქტორების ევროპულ ინსტიტუტებთან სტრატეგიული ინტერაქცია, ისე ამ „გამოყენების", როგორც ყოველდღიური პრაქტიკის, გავლენა აქტორთა ინტერესებსა და იდენტობებზე (Jacquot & Woll, 2003, 3).

ევროპეიზაციის სოციოლოგიური ხედვის საფუძველზე, ავტორები ევროინტეგრაციის „გამოყენების" ტიპოლოგიზაციას გვთავაზობენ და სამ ძირითად კატეგორიას გამოყოფენ: სტრატეგიული გამოყენება – „რესურსების გარდაქმნა პოლიტიკურ პრაქტიკებად", გარკვეული მიზნების მისაღწევად, იქნება ეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომის გაზრდა, საკუთარი ქმედითუნარიანობის გაზრდა თუ სხვ. ეს ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა როგორც ეროვნულ, ისე სუპრანაციონალურ დონეზე, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორების მხრიდან.

კოგნიტური გამოყენება გარკვეული პოლიტიკური საკითხის გაგებას და ინტერპრეტაციას გულისხმობს, რისთვისაც პოლიტიკურ აქტორებს კონკრეტულ ანალიტიკურ ჩარჩოს სთავაზობს; ანუ ეს უკანასკნელი დარწმუნების მექანიზმად გამოიყენება და მთელი რიგი აქტორების მონაწილეობას გულისხმობს ეროვნულ და სუპრანაციონალურ დონეზე. ლეგიტიმურობის მიმცემი გამოყენება პირველი ორის სინთეზის შედეგია და გულისხმობს 'ევროპაზე აპელირებას, როგორც ეროვნული საჯარო პოლიტიკის ლეგიტიმაციის გზას'. მას ძირითადად სამთავრობო აქტორები მიმართავენ, რომლებიც ე.წ. 'ევროპულ რიტორიკას' იყენებენ, იქნება ეს 'ევროპული ინტერესები' თუ 'ევროპული დირექტივები'. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლეგიტიმაცია დისკურსს ეფუძნება, მისი ეფექტი საკმაოდ ძლიერია, რადგან დისკურსი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ევროპეიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე (Jacquot and Woll, 2003, 6-7). ჩვენი კვლევის ფოკუსი სწორედ ევროპეიზაციის დისკურსულ ასპექტზეა მიმართული, რადგან ის ევროინტეგრაციის „გამოყენების" სხვა ასპექტებსაც აერთიანებს და ამ პროცესის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას განსაზღვრავს: სწორედ პოლიტიკურ თუ პოპულარულ დონეზე არსებული შინაური დისკურსები ანიჭებენ თუ ართმევენ ლეგიტიმურობას ევროპეიზაციის პროცესს.

წარმოდგენილი ტიპოლოგია რადაელის კლასიფიკაციას ეხმიანება, სადაც გამოყოფილია სამი სფერო, რომლის ევროპეიზაციაც ხორციელდება: ა) შინაური სტრუქტურები, ბ) საჯარო პოლიტიკა, გ) კოგნიტური და ნორმატული სტრუქტურები (2003, 35). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან კულტურული ღირებულებებისა და სოციალური ნორმების სისტემას, დისკურსებისა და ეროვნული იდენტობის კვლავწარმოებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს მოიაზრებს. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპეიზაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურების ფუნქციონირებაზე, არამედ ზემოქმედებს და გარკვეულწილად ცვლის წევრ თუ გაწევრიანების მსურველ ქვეყ-

ნებში დომინანტურ ღირებულებებს, ნორმებსა და დისკურსებს. თავის მხრივ, ამ ქვეყნებში მოქმედი დისკურსები გავლენას ახდენს მათ ევროპეიზაციის ხარისხზე (იქვე, 36).

ევროკავშირთან და ევროპეიზაციასთან მიმართებაში შემდეგ დისკურსებზე შეიძლება საუბარი: ევროკავშირის ოფიციალური დისკურსი, სოციალურ მეცნიერთა დისკურსი, აზრთა ლიდერებისა და ინტელექტუალთა დისკურსი და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების არაფორმალური დისკურსი (Nanz, 2000, 290). ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით არსებული დომინანტური დისკურსების გამოვლენას, განსაკუთრებული აქცენტით იმაზე, თუ როგორ ხდება ამ დისკურსების პრეზენტაცია თუ პერფორმანსი ფართო აუდიტორიისთვის. მართალია, ევროკავშირის ოფიციალური დისკურსი ჩვენს ფოკუსს სცდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აზრთა ლიდერებისა და მოსახლეობის დისკურსები სწორედ ევროკავშირის ოფიციალურ დისკურსებს ირეკლავს და მათზე საპასუხო ნარატივებს გვთავაზობს. შესაბამისად, არსებული ნაშრომი როგორც საზოგადოებრივი აზრის ლიდერებისა და პოლიტიკოსების ნარატივების, ისე მოსახლეობის ყოველდღიური, არაფორმალური დისკურსების ანალიზს სთავაზობს მკითხველს, ამახვილებს რა ყურადღებას მათ მიერ საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების შეფასებაზე. ამასთან, თავად წარმოდგენილი პუბლიკაცია შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს ევროპეიზაციის საკითხზე სოციალურ მეცნიერთა დისკურსის კონკრეტულ შემთხვევად.

ლიტერატურის მიმოხილვა

ამ სექციაში ავტორი განიხილავს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად ლიტერატურას, რათა, პირველ რიგში, ნაშრომის თეორიული ჩარჩო შეიმუშავოს და, ამასთან, მისი კვლევის კონტექსტუალიზაცია მოახდინოს არსებული კვლევების ფარ-

გლებში. დამწყებმა მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ლიტერატურის მიმოხილვა არ ნიშნავს უბრალოდ არსებული კვლევების შეჯამებას ან სხვის მიერ ჩატარებული კვლევების ციტირებას, არამედ ავტორმა დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს სწორედ ის წყაროები, რომლებიც კონტექსტს უქმნის მის ემპირიულ კვლევას და თან უახლეს მონაცემებს მოიცავს. ამასთან, მან მხოლოდ ის საკითხები უნდა განიხილოს, რაც მოცემულ კვლევას უშუალოდ ეხმიანება და მკითხველს ავტორის ანალიტიკური ხედვის უკეთ გაგებაში ეხმარება. თუმცა, მხოლოდ საკუთარი პოზიციის მხარდამჭერი ლიტერატურა კი არ უნდა განიხილოს, არამედ ისიც, რომელიც საპირისპირო პოზიციას ასახავს, რათა ყველა შესაძლო არგუმენტი წარმოაჩინოს და სწორედ ამ ფონზე სცადოს მისი პოზიციის დასაბუთება.

ლიტერატურის მიმოხილვის ნიმუშის სახით წარმოგიდგენთ ზემოხსენებული კვლევიდან ამონარიდს ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ.

ევროპეიზაციის მექანიზმები

გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ევროპეიზაცია ევროკავშირის ფორმალური და არაფორმალური წესების, ნორმებისა და „საქმის კეთების“ ეროვნულ დონეზე დანერგვას გულისხმობს, რაც არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის, არამედ შინაური დისკურსისა და იდენტობების სფეროებსაც ეხება (Radaelli, 2003, 30). ამდენად, ტერმინი „ევროპეიზაცია“ განიხილება ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაციის აღსანიშნავად, ევროპულ მოდელთან ადაპტაციის პროცესში. ევროკავშირის სტანდარტების გადმოტანა და დანერგვა, ერთი მხრივ, ევროკავშირიდან ან ქვეყნის შიგნიდან იმართება, მეორე მხრივ კი, „მიზეზშედეგობრიობის ლოგიკას“ ან „შესაბამისობის ლოგიკას“ ეფუძნება (Schimmelfenning, 2012, 6).

მიზეზშედეგობრიობის ლოგიკის თანახმად, ევროპეიზაციის პროცესს ევროკავშირის მხრიდან ***პირობითობის*** *მექანიზმი წარმართავს, რაც სანქციებისა და ჯილდოს პრინციპზეა აგებული.*

პირობითობა შეიძლება იყოს ნეგატიური, ვთქვათ, ევროკავშირის მხრიდან მუქარა ბილატერალური შეთანხმებების შეჩერებისა, მხარდაჭერის შენელებისა და პოლიტიკური სანქციების განხორციელებისა (მაგ.: ვიზალიბერალიზაციის დაბრკოლება); შესაძლოა, ევროკავშირმა პოზიტიური პირობითობა გამოიყენოს, ანუ დააჯილდოვოს ამა თუ იმ ქვეყნის პროგრესი შიდა ბაზარში უფრო სწრაფი ინტეგრაციით, სავიზო რეჟიმის გამარტივებით და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი ყოველმხრივ ერიდება ნეგატიური პირობითობის გამოყენებას და უმეტესად პოზიტიურ პირობითობას იყენებს, როგორც პოლიტიკური ცვლილებებისთვის ბიძგის მიმცემ მთავარ მექანიზმს (Borzel, 2015, 21).

შესაბამისობის ლოგიკის თანახმად კი, ევროპეიზაციის პროცესის წარმმართველია ***სოციალური დასწავლა თუ სოციალიზაცია:*** *სამიზნე ქვეყნები რწმუნდებიან ევროკავშირის ნორმების სარგებლიანობაში, თუ ეს ნორმები ლეგიტიმურად მიაჩნიათ და თუ საკუთარი თავის ევროკავშირთან იდენტიფიცირებას ახდენენ (Schimmelfenning, 2012, 7). მიჩნეულია, რომ სოციალიზაციის პროცესს კანდიდატი და წევრობის მსურველი ქვეყნებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მათი აღიარებისა და წევრობის ლეგიტიმაციის მიზნით (Stivachtis, 2006). ქვეყნების სოციალიზაციის პროცესში ორი მნიშვნელოვანი კომპონენტია: ა) გაწევრიანებამდე ქვეყანამ საკუთარი თავის მომზადებაზე უნდა იზრუნოს, რათა გაწევრიანებისთანავე შეძლოს დაკისრებული მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესრულება და ბ) ქვეყანამ საერთაშორისო საზოგადოებას უნდა დაუმტკიცოს, რომ ის ღირსეული პოტენციური წევრი-სახელმწიფოა. თუმცა, შესაძლოა, პოლიტიკური ელიტა იმდენად ორიენტირდეს სასურველ პერფორმანსზე, რომ რეალურად კი არ აღელვებდეს ევროპეიზაციის ხელშეწყობა, არამედ მოჩვენებითი ეფექტი შექმნას, საკუთარი ქვეყნის უკეთესი პოზიცირებისა და მოსალოდნელი ჯილდოს სწრაფად მისაღებად (Schimmelfennig, 2012). ამდენად, აუცილებელია, რომ სოციალიზაციის პროცესს გარკვეული „კოგ-*

ნიტური ცვლილება" ახლდეს, რათა ევროპეიზაცია მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს (Sotiropoulos, 2004, 267).

ევროკავშირის ნორმების ათვისება, შესაძლოა, ევროკავშირის მხრიდან პირობითობის ან სოციალიზაციის გამო კი არ ხდებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა უკმაყოფილო იყოს მართვის ადგილობრივი სისტემით, იმავდროულად, ქმედითად და წარმატებულად მიაჩნდეს ევროკავშირის გარკვეული რეგულაციები და სწორედ მათი გადმოღებით ცდილობდეს ადგილობრივი პრობლემების მოგვარებას. ეს პროცესი ცნობილია სახელწოდებით „ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე" (Irondelle, 2003). თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, მსგავსი მოვლენა გამონაკლისს უფრო წარმოადგენს და ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნების ქმედებებს, როგორც აღმოსავლეთ გაფართოების, ისე სამეზობლო პოლიტიკის შემთხვევაში, უმეტესად, პირობითობის მექანიზმი წარმართავს (Schimmelfennig, 2010; Sedelmeier, 2011).

პირობითობის ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერია გაწევრიანებამდე ფაზაში, რაც მიზნად ისახავს, რომ ადმინისტრაციულმა სტრუქტურებმა ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი გააკონტროლონ (Maniokas, 2009). აღმოჩნდა, რომ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისთვის აქტიურად მუშაობს ***თვითპირობითობის*** *მექანიზმიც, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომელთაც ევროკავშირის წევრობა სურთ, ისე იქცევიან, თითქოს ისინი მეტი პირობითობის ფარგლებში განიხილებიან, აგზავნიან სიგნალებს, რომ მზად არიან, შეუერთდნენ წევრებს და ცდილობენ, ევროკავშირი დაარწმუნონ, რომ ისინი კანდიდატებად განიხილოს (Schimmelfennig, 2010, 15). ამასთან, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში ევროკავშირის ნორმების დანერგვის მაღალი მზაობაა იქ, სადაც იმედი აქვთ, რომ სამომავლოდ ევროკავშირის წევრები გახდებიან (Sedelmeier, 2011; Schimmelfennig, 2012; Borzel, 2015). სხვა შემთხვევაში, ევროკავშირის წესებზე ორიენტირება ამ ქვეყნებში დამოკიდებულია ევროკავშირზე ასიმეტრიული დამო-*

კიდებულების ხარისხსა და შესაბამის „ვაჭრობის უნარზე“, რომელზეც, არსებული კვლევების თანახმად, ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნის ზომა, ეკონომიკური სიძლიერე, მართვის სისტემა და პროევროპული/ევროსკეპტიკური განწყობების არსებობა ახდენს გავლენას. აღმოჩნდა, რომ უფრო პატარა, მდიდარი, კარგად მართული და ევროსკეპტიკური კანდიდატები „ვაჭრობის“ უკეთესი უნარით გამოირჩევიან, შესაბამისად, ევროკავშირის მხრიდან მეტ შეღავათებსაც იღებენ (Zhelyazkova, Borzel, Schimmelfennig and Sedelmeire, 2015).

კვლევის მეთოდი

მართალია, კვლევის ანგარიშის შესავალში, კერძოდ, კვლევის დიზაინში კვლევის მეთოდიცაა განხილული, მაგრამ შესავლის ნაწილში ის გაცნობითი ხასიათისაა და დეტალურ აღწერას უშუალოდ კვლევის მეთოდის სექციაში აქვს ადგილი. აქ ავტორი ხსნის, თუ როგორ შეარჩია საკვლევი გარემო და მკითხველს ამ გარემოს ფიზიკურ და სოციალურ მახასიათებლებს აცნობს, კერძოდ, იმ ადგილებს, ადამიანებს და სიტუაციებს, რომლებიც დეტალურად იქნება განხილული ემპირიული მონაცემების ანალიზისას; შემდეგ ის განმარტავს, თუ როგორ მოიპოვა მოცემულ გარემოზე წვდომა, როგორ შეარჩია კვლევის მონაწილენი და როგორ შეიმუშავა კვლევითი სტრატეგიები; შემდეგ კი დეტალურად აღწერს კვლევის პროცედურებს ანუ როგორც მონაცემების მოპოვების, ისე ანალიზის მეთოდებს, დაწყებული კოდირების პროცედურით და დასრულებული მონაცემების ინტერპრეტაციით. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დეტალურად აღწერილი საკვლევი გარემო და კვლევის მეთოდი მეტ სანდოობას სძენს კვლევის შედეგებს, რადგან მკითხველს არწმუნებს, რომ მკვლევარს მართლაც ჰქონდა წვდომა ამა თუ იმ სიტუაციაზე და, ამასთან, ადეკვატურად გამოიყენა საკვლევი ინსტრუმენტი, რათა შესაბამისი დასკვნები მიეღო.

ნიმუშის სახით წარმოგიდგენთ მონაცემების მოპოვების მეთოდებთან დაკავშირებულ ამონარიდს ზემოხსენებული კვლევიდან.

მონაცემების მოპოვების მეთოდები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის სამიზნე ჯგუფი ორია: ერთი მხრივ, პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკის ექსპერტები (ევროპეიზაციის დისკურსები პოლიტიკურ დონეზე), მეორე მხრივ კი, მოსახლეობა (ევროპეიზაციის დისკურსები პოპულარულ/საზოგადოებრივ დონეზე).

წარმოდგენილი კვლევა ტრიანგულაციის პრინციპს ეფუძნება და ოთხ კვლევით კომპონენტს მოიცავს.

დისკურსების პოლიტიკურ დონეზე კვლევის მიზნით:

ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოსებთან (საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები) და საზოგადოებრივი აზრის ლიდერებთან/ექსპერტებთან (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, მეცნიერები), რომელთა შერჩევაც მიზნობრივი მეთოდით განხორციელდა, რათა მოგვეცვა როგორც პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი, ისე სხვადასხვა სექტორში მოღვაწე ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციებით დაწყებული და უმაღლესი სასწავლებლებით დასრულებული. რადგან სიღრმისეული ინტერვიუები 2015 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, ნაშრომში „არსებული ხელისუფლება“ და „საპარლამენტო უმრავლესობა“ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გულისხმობს („თავისუფალი დემოკრატების“ გარეშე), „წინა ხელისუფლება“ და „საპარლამენტო უმცირესობა“ კი – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრის მოცვის მიზნით, შევეცადეთ, სიღრმისეული ინტერვიუები პარლამენტის იმ წევრებთანაც ჩაგვეტარებინა, რომლებიც ღიად ავლენენ ანტიდასავლურ/ანტიევროპულ სენტიმენტებს, თუმცა, მათგან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა ვერ მოვიპოვეთ.

ამასთან, განხორციელდა იმ რეიტინგული ბეჭდური და ელექტრონული მედიასაშუალებების კონტენტანალიზი და დისკურსული ანალიზი, რომლებიც ევროპეიზაციის კონტექსტში სა-

ქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე ახდენ-დნენ რეფლექსიას. მედიასაშუალებების ანალიზი ოთხ რაუნდად განხორციელდა, თითოეული რაუნდის ხანგრძლივობაა 1 თვე; კერძოდ, გაანალიზდა: ა) რეიტინგული ბეჭდური მედია (შესაბამისი ელექტრონული ვერსიით), რომელიც ერთმანეთისგან სწორედ პროდასავლური (ჟურნალები „ლიბერალი“ და „ტაბულა“, გაზეთები „კვირის პალიტრა“ და "Georgia Today") და ანტიდასავლური (გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „საქართველო და მსოფლიო") სარედაქციო პოლიტიკით განსხვავდება; ბ) ანალიტიკური და საინფორმაციო ვებპორტალები („რადიო თავისუფლება“, netgazeti.ge **და** *InterPressNews.ge).*

დისკურსების პოპულარულ დონეზე კვლევის მიზნით:

განხორციელდა ფოკუსჯგუფების სერია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან (2015 წლის შემოდგომა). ვინაიდან პოლიტიკური ტენდენციები, როგორც წესი, დედაქალაქებში და სხვა დიდ ქალაქებში იღებს სათავეს, საიდანაც შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება, ჩვენი კვლევის ფარგლებში ფოკუსჯგუფები ჩატარდა თბილისში და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საკვანძო ქალაქებში, კერძოდ: ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში (დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქები; ამასთან, ზუგდიდი კონფლიქტის ზონასთან ახლომდებარე ქალაქი), ასევე თელავსა და გორში (აღმოსავლეთ საქართველოს საკვანძო ქალაქები; ამასთან, გორი კონფლიქტის ზონასთან ახლომდებარე ქალაქი). ამდენად, ფოკუსჯგუფები საქართველოს ექვს ქალაქში ჩატარდა. რადგან ეროვნული რეპრეზენტატული კვლევების მონაცემებით, ახალგაზრდა თაობა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე პროევროპულ სეგმენტს წარმოადგენს, რესპონდენტების შერჩევა და დაჯგუფება სწორედ ასაკობრივი ნიშნით მოხდა, რაც მათ მიერ პოსტსაბჭოთა ან საბჭოთა პერიოდში გავლილი სოციალიზაციის საფეხურებსაც ემთხვევა: 18-25 წლები (მათ, ვინც სოცი-

ალიზაცია გაიარა პოსტსაბჭოთა პერიოდში), 26-40 წლები (მათ, ვინც სოციალიზაცია გაიარა როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბ-ჭოთა პერიოდში) და 41-65 წლები (მათ, ვინც სოციალიზაცია გა-იარა საბჭოთა პერიოდში). თითოეულ ქალაქში ჩატარდა სამი ფოკუსჯგუფი აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (სულ 18 ფოკუსჯგუფი).

პოპულარულ (მოსახლეობის) დონეზე ევროპეიზაციის დის-კურსების თვისებრივი კვლევის მონაცემების ეროვნული რეპრე-ზენტატული მონაცემებით გამდიდრების მიზნით, განხორციელ-და ბოლო პერიოდში ჩატარებული ეროვნული კვლევების (ISSP 2013, CRRC 2015) მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. კერ-ძოდ, ჩვენი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, განვახორცი-ელთ CRRC-ის 2015 წლის ეროვნული კვლევის „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებისა და ცოდნის შეფასება საქართვე-ლოში“ მონაცემებისა და ISSP-ის 2013 წლის ეროვნული კვლევის „ეროვნული იდენტობის“ მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

კვლევის შედეგები

კვლევის პროცედურების აღწერას მოპოვებული მონაცემე-ბის განხილვა მოსდევს, რაც აუცილებლად დაკავშირებულია კვლევის ანგარიშის სხვა სექციებთან, იქნება ეს შესავალი, ლი-ტერატურის მიმოხილვა თუ კვლევის მეთოდის განხილვა. თვი-სებრივ კვლევაში არ არსებობს კვლევის შედეგების წარდგენის ერთი კონკრეტული მოდელი, არამედ სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენება. რადგან სოციოლოგის მიზანი პრობლემაზე ფოკუ-სირებული ზოგადი ანალიზის განხორციელებაა (Weiss, 1994, 152), ამიტომ კვლევის შედეგების განხილვის ყველაზე გავრცე-ლებული სტრატეგიაა, თეორიული ჩარჩოს კონტექსტში, მონა-ცემების თემატურ კატეგორიებად ორგანიზება და შესაბამის სამხილთან/ციტატებთან ერთად წარდგენა. რადგან თვისებრივ კვლევაში სწორედ ტექსტი (რესპონდენტების სიტყვები) წარმო-

ადგენს ჩვენს მონაცემებს, ამიტომ მნიშვნელოვანია შესაბამისი ციტატების მოყვანა. თუმცა, ავტორმა სათანადო ბალანსი უნდა დაიცვას რესპონდენტების ციტირებასა და მონაცემების ინტერპრეტაციას შორის. მას უნდა ახსოვდეს, რომ მისი მთავარი მიზანი მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და შესაბამისი არგუმენტების შემუშავებაა, ამიტომ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ციტატები უნდა ამოკრიბოს, რაც მისი არგუმენტისთვის ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებას ქმნის. ამასთან, ავტორმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მონაცემების შეჯამებისას, რადგან შესაძლოა მათი დათვლის ცდუნება გაუჩნდეს. მართალია, მონაცემების კატეგორიზაცია და განმეორებადი მოდელების („პატერნების“) ძიება რაოდენობრივი ასპექტის გათვალისწინებასაც გულისხმობს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მკვლევრის მიზანი მათი დათვლა კი არ არის, არამედ არგუმენტების გასამყარებლად შესაბამისი სამხილის პოვნა. ცხადია, რაც უფრო ხშირად განმეორებადია გარკვეული მონაცემები, მით თამამად შეუძლია მკვლევარს კონკრეტულ კატეგორიებსა თუ მოდელებზე საუბარი. თუმცა, მისი მიზანი ამ მონაცემების თუ კატეგორიების აღრიცხვა კი არ არის, არამედ მათი სიღრმისეული ანალიზი.

კვლევის მონაცემების წარდგენას მათი ინტერპრეტაცია და ანალიზი ახლავს. სოციოლოგიაში თვისებრივი მონაცემების წარდგენა და მათი ინტერპრეტაცია პარალელურად მიმდინარეობს ანუ ანგარიშის ერთი სექციის ფარგლებში ხორციელდება, განსხვავებით, ვთქვათ, ფსიქოლოგიისგან, სადაც კვლევის შედეგების წარდგენა და მათი ინტერპრეტაცია (დისკუსიის სექციის სახით ცნობილი), კვლევის ანგარიშის ორი დამოუკიდებელი ნაწილია. კვლევის შედეგების სექცია ლიტერატურის მიმოხილვის სექციას უნდა „ესაუბრებოდეს“, რაც ნიშნავს, რომ მონაცემების ინტერპრეტაცია წარმოდგენილი თეორიული ჩარჩოს კონტექსტში უნდა განხორციელდეს და არსებული კვლევების შედეგებთან უნდა იყოს ჰარმონიზებული. საბოლოო ჯამში, მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად, მოცემული კვლევის ინოვაცი-

ური ასპექტი უნდა გამოვლინდეს, კერძოდ, თუ როგორ შეივსო ამ ანალიზით წინა კვლევების შედეგად დარჩენილი ნიშა და რა სიახლე შეემატა დარგობრივ ცოდნას.

კვლევის შედეგების სექციის ნიმუშად წარმოგიდგენთ მონაცემების ანალიზის ამონარიდს ზემოხსენებული კვლევიდან.

ევროპეიზაციის მექანიზმები ქართულ რეალობაში

როგორც კვლევის შედეგები ადასტურებს, საქართველოში ევროპეიზაციის წარმმართველი მექანიზმია პირობითობა და არა სოციალიზაცია ან ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე. მართალია, ასოცირების ხელშეკრულება განხილულია, როგორც მთავარი სამოქმედო დოკუმენტი თუ ქვეყნის „მოდერნიზაციის გეგმა", რომლის შესრულებამაც ნანატრი ცვლილებები უნდა მოიტანოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მაგრამ აღნიშნულია, რომ რეგულაციების ამოქმედება და სტანდარტების დამკვიდრება სწორედ იმის გამო ხდება, რომ ამას ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს ქვეყანას და ძალიან იშვიათად იმის გამო, რომ პოლიტიკის შემქმნელები მათი დამკვიდრების აუცილებლობას ხედავენ. მართალია, გაცნობიერებულია არაერთი სტანდარტისა თუ რეგულაციის მნიშვნელობა, მაგრამ, დომინანტური დისკურსის თანახმად, მათ ამოქმედებაზე მუშაობა სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ ეს უკვე ხელშეკრულებითაა გამყარებული.

> *ამ სტანდარტების დანერგვა აუცილებელია რომელიმე სფეროს განვითარებისთვის და აუცილებელია იმიტომ, რომ ევროკავშირი ითხოვს ამას. ჩვენ შეგვეძლო ეს პროცესი დაგვეწყო 2-3 წლის შემდეგ, მაგრამ, რადგან გვაქვს ასოცირების შეთანხმება, სადაც ეს ვალდებულებები ავიღეთ, ახლა ვიწყებთ ამ პროცესს (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).*

ამის საპირისპიროდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის, რაც საქართველოს პროგრესისთვისაა საჭირო და ის, რაც ასოცირების დოკუმენტშია გაწერილი, ერთმანეთს ემთხვევა. ქართული მხარე სიახლეებს ნერგავს არა ხელშეკრულების განხორ-

ციელების ვალდებულების გამო, არამედ ქვეყნის მოდერნიზაციისთვის. აქვე ისიც ხაზგასმულია, რომ ყველა ნორმა როდია გაწერილი, თუნდაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებაში (DCFTA), მაგრამ, ვინაიდან ხელისუფლების მიერ გაცნობიერებულია სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარების აუცილებლობა, შესაბამისი სამუშაოებიც დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სფეროში არ ხდება რეგულაციების ევროკავშირთან თანხმობაში მოყვანა, ცვლილებები, რომელთა განხორციელებაზეც მუშაობენ, ისევ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას გულისხმობს.

> *ერთიდაიგივეა დაახლოებით. ზუსტად იმიტომ არის ღირებული ევროინტეგარაცია, რომ ემთხვევა ჩვენი განვითარების პრიორიტეტებს; შესაბამისად, რეფორმები იმიტომ კი არ ხორციელდება, რომ მაინცდამაინც ევროკავშირის მოთხოვნებია, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნის მოდერნიზაციისთვის არის საჭირო (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).*

აქ, თითქოს, სოციალიზაციის მექანიზმის უპირატესობაა ხაზგასმული, თუმცა, როცა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნარატივებს ვუღრმავდებით, ვრწმუნდებით, რომ რეფორმების გატარების მთავარი მოტივი სწორედ პირობითობაა, რომელიც ხშირად თვითპირობითობის ფორმასაც იღებს, რათა ქვეყანამ სცადოს ევროკავშირის დარწმუნება როგორც ინტეგრაციის ძლიერ სურვილში, ისე მზადყოფნაში. ამ კონტექსტში, აუცილებელია ორი ქვედისკურსის გამოყოფა: ერთის თანახმად, ცვლილებები ქართულ მხარეს „აწყობს“, რამდენადაც მას შეუძლია გარკვეული ჯილდოს თუ სარგებლის მიღების მოლოდინი ჰქონდეს. ამასთან, მსგავსი ცვლილებები ქვეყანას ევროპასთან აახლოებს და მის ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივას ზრდის.

> *მოწონებაზე არ არის, ჩვენ კი არ ვაწონებთ [ევროკავშირს თავს], ჩვენ გვაწყობს. ნებისმიერი სტანდარტი, ნებისმიერი რაღაცა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამის სანაცვლოდ რაღაცას ვიღებთ და ამის სანაცვლოდ ჩვენ*

> *ვიღებთ იმას, რომ, ერთი, თავისუფალი ვაჭრობა ანუ ჩვენი ექსპორტის შესაძლებლობები გაიზარდოს ევროკავშირში და, მეორე, ჩვენი ადამიანების გადაადგილება გაუმჯობესდეს ევროკავშირში, მესამე, ევროკავშირიდან მივიღოთ მეტი დახმარება – ფინანსური, ტექნიკური, პოლიტიკური მხარდაჭერა მივიღოთ, რაც აუცილებელია ჩვენთვის; გაიზარდოს ჩვენი ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა, ანუ ეს ყველაფერი არის ის, რაც ჩვენ უნდა მივიღოთ აქედან (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).*

მეორე ქვედისკურსის თანახმად კი, რომელიც, უმეტესად, საპარლამენტო უმცირესობის პოზიციას გამოხატავს, ასოცირების შეთანხმებით გაწერილი რეგულაციების ამოქმედება პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ხდება. ამის მაგალითად ყველაზე ხშირად მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები მოჰყავთ, რამაც შედეგად ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ, ოპოზიციურ, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებულ „რუსთავი 2“-ს მიაყენა დარტყმა. ხაზგასმულია, რომ ამ გადაწყვეტილებით მმართველმა კოალიციამ სცადა, ფინანსურთან ერთად, პოლიტიკური დარტყმაც მიეყენებინა ამ ტელეკომპანიისთვის და, ირიბად, ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური ძალისთვის.

> *დღევანდელმა ხელისუფლებამაც ერთხელ კი გაავრცელა, რომ ტექდათვალიერება არ შემოვიღოთო, მაგრამ მათ უკვე ხალხისგან ისეთი რეაქცია მიიღეს, რომ ეს ადვილად გადადეს. მაგრამ, მეორე მხრივ, სადაც აწყობდათ, მაუწყებლობის კანონი, რომ „რუსთავი 2“ დაეზიანებინათ, იქ ნაჩქარევადაც მიიღეს, ამიტომ ამ რეგულაციების უკან არის პოლიტიკური მიზანშეწონილობა (ი.ჩ., ექსპერტი, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი).*

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი ექსპერტის მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკური თამაშის ნაწილად იქნა შეფასებული მაშინ, როცა იგივე ცვლილება ნეიტრალური პოლიტიკური პო-

ზიციის მქონე ექსპერტის მიერ დანახულ იქნა, როგორც ევროკავშირისთვის თავის მოწონების მაგალითი.

> *5 წელი გვქონდა ვადა კანონზე რეკლამის შესახებ და ეს რაღაცნაირად თავის მოწონებაა, რომ ჩვენ ახლავე ასეთი რამ გავაკეთეთ, მოჩვენებითობა რასაც ქვია (თ.ე., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).*

ამ კონტექსტში კვლავ დგება საკითხი, ხდება თუ არა სტანდარტების ამოქმედება იმიტომ, რომ წინა თუ არსებული ხელისუფლება მათ მიზანშეწონილად თუ მისაბაძად მიიჩნევენ. კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსები ცდილობენ, ევროკავშირის მოცემული „საშინაო დავალების" დისკურსს გაემიჯნონ და ხაზი გაუსვან, რომ ეს ყველაფერი, რეალურად, საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობისთვის კეთდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გზით ისინი ცდილობენ, გაანეიტრალონ ევროკავშირის და მასთან ასოცირებით უზრუნველყოფილი სიკეთეების მიმართ არსებული უტილიტარული დამოკიდებულება, მათ ნარატივებში სოციალიზაციის აუცილებლობის ხაზგასმით. ამდენად, ერთი მხრივ, ისინი ემიჯნებიან ევროკავშირის პირობითობის გადამწყვეტი მნიშვნელობის იდეას, თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ ამ პირობითობის უპირატესობას უსვამენ ხაზს, როცა აღნიშნავენ, თუ როგორი „ბიძგისმიმცემი" ფაქტორია ევროპეიზაციისთვის საქართველოში ევროკავშირის „საშინაო დავალებები".

> *ჩვენ მაინც ფოკუსირება საკუთარ სახელმწიფოზე, საკუთრ მოქალაქეებზე უნდა გავაკეთოთ. ეს სახელმწიფო, რომელიც იქნება მიმზიდველი, ასეთი უნდა იყოს არა ვიღაცისთვის თავის მოსაწონებლად, არამედ საკუთარი მოქალაქეებისთვის (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).*

> *ძალიან არ მომწონს, როდესაც „საშინაო დავალებაზე" ვსაუბრობთ. ეს ვიღაცისთვის არ კეთდება; ეს, პირველ რიგში, კეთდება ჩვენი მოქალაქეებისთვის, მათი კეთილდღეობისთვის. თუ ეს „საშინაო დავალება" უფრო მეტ ბიძგს მისცემს და გამო-*

> *სადეგი იქნება ინტეგრაციული პროცესებისთვის, რა თქმა უნდა, კარგია (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).*

რაც შეეხება ექსპერტთა მოსაზრებებს, ისინი ღიად აღნიშნავენ, რომ ახალი სტანდარტების დამკვიდრებისას გადამწყვეტი სწორედ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებია. რომ არა მკაცრად განსაზღვრული ნორმები და დადგენილი ვადები, ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ მსგავს ცვლილებებს ქართული მხარე თავად განახორციელებდა.

> *ამ ვალდებულების გარეშეც უნდა გვქონდეს სურვილი, რომ ამ მოდელისკენ ვიაროთ, მაგრამ თანამდებობის პირების მიერ გადადგმული ნაბიჯები ვალდებულებების გარეშე ჩემთვის ცნობილი არ არის. ამიტომ ეს ვალდებულებები ჩვენთვის სასიცოცხლოა იმიტომ, რომ ქვეყანამ არ შეანელოს ამ მიმართულებით სვლა (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).*

სწორედ ამ კონტექსტში ხაზგასმულია, რომ, მართალია, მნიშვნელოვანია ვალდებულებების გარეშეც ცვლილებების განხორციელება, მაგრამ ეს „ზეწოლა“ აუცილებელია, რადგან ის „საქართველოს მოდერნიზაციისთვის ბიძგისმიმცემი ფაქტორია“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია). ამდენად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება იმ „იძულებით“ მექანიზმად მიიჩნევა, რასაც საქართველო „ნებაყოფლობით“ მიმართავს, რომ პროგრესი განიცადოს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ კონტექსტში, „იძულებითი“ და „ნებაყოფლობითი“ მექანიზმები ურთიერთგამომრიცხავად კი არ განიხილება, არამედ ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულად.

დასკვნა

კვლევის ანგარიშის ბოლო თემატური სექციაა დასკვნა, სადაც კვლევის ძირითადი შედეგები კიდევ ერთხელ ჯამდება, აგრეთვე სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა ხდება. ცხადია, რომ დასკვნითი სექცია პირდაპირ უნდა ეხმიანებოდეს შესავალში დასმულ საკლევ საკითხს თუ პრობლემას. ავ-

ტორი მოკლედ იმეორებს კვლევის მიზანს, აჯამებს კვლევის ძირითად მიგნებებს და ხაზს უსვამს მათ თეორიულ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამგვარად, დასკვნა მკვლევრის მთავარი არგუმენტის გარშემო ტრიალებს, ოღონდ, თუ შესავალი მკითხველს არგუმენტის არსის გასაგებად ამზადებს, დასკვნითი სექცია ამ არსს აჯამებს. ამ მიზნით, გამოცდილი მკვლევრები დამწყებთ შემდეგ სამ სტრატეგიას სთავაზობენ: 1. არგუმენტის მოდიფიცირება ემპირიული მასალის საფუძველზე; 2. არგუმენტის დაკავშირება შესაბამის თეორიასთან თუ მისი კონტექსტუალიზაცია არსებული ლიტერატურის ფარგლებში; 3. არგუმენტსა და მასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ თუ ანალიტიკურ საკითხებზე „მეტაკომენტარის“ დართვა (Emerson, Fretz, Shaw, 1995, 205). ავტორს შეუძლია ერთ-ერთი სტრატეგიის გამოყენება ან თუნდაც სამივეს კომბინირება ერთ მოგრძო, კომპლექსურ დასკვნაში.

დასკვნის სექციას ბიბლიოგრაფიის სექცია მოსდევს, სადაც ყველა გამოყენებული წყარო ანბანური თანმიმდევრობით უნდა იყოს მითითებული, ციტირების ერთი კონკრეტული სტილის დაცვით (იქნება ეს ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA), ჩიკაგოს, ჰარვარდის თუ ბიბლიოგრაფიის მითითების სხვა სტილი). საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით შესაბამისი საილუსტრაციო მასალის მითითებისას, კვლევის ანგარიში დანართის სექციით სრულდება, სადაც ის დამატებითი მასალა ხვდება, რაც ძირითად ტექსტში ვერ მოხვდა, თუმცა მისი გაცნობა მიზანშეწონილია შესაბამისი დეტალების უკეთ გასაგებად.

დასკვნის სექციის ნიმუშად წარმოგიდგენთ ევროპეიზაციის შესახებ დისკურსებზე ზემოხსენებული პუბლიკაციის დასკვნას.

ევროპეიზაციის პერფორმანსი პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებში

წარმოდგენილი პოლიტიკური და პოპულარული დისკურსების ანალიზი თვალსაჩინოს ხდის, თუ როგორ ხდება ელიტების და მოსახლეობის მიერ ევროპეიზაციის პერფორმანსი საქართველოში. როგორც აღინიშნა, ევროპეიზაციის შესახებ მათი შე-

ხედულებები, უმეტესად, უტილიტარული და იდენტობის ფაქტორებითაა ნაკარნახევი, თუმცა შესაბამისი დისკურსები საკმაოდ ამბივალენტურია. როგორც წესი, კვლევის მონაწილენი ღიად აჟღერებენ ევროკავშირთან და ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებულ სოციალურად სასურველ ნარატივებს, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსთან თანხმობაშია, თუმცა ამ ფასადს მიღმა მათი არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებები იკვეთება.

უტილიტარული ფაქტორებით, კერძოდ, უსაფრთხოების დისკურსით რომ დავიწყოთ, აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეზე საუბრისას, ევროკავშირი საქართველოს უსაფრთხოების დამცველადაა მიჩნეული, თუმცა ხაზებს შორის იკვეთება დისკურსი ევროკავშირის, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის შემასუსტებლის შესახებ, განსაკუთრებით საქართველოს მხრიდან მასზე ასიმეტრიული დამოკიდებულების გამო. მართალია, პოლიტიკოსები ყოველმხრივ ცდილობენ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დამოკიდებულება ჰორიზონტალური ურთიერთობების ჭრილში წარმოაჩინონ, მაგრამ კვლევაში მონაწილე ექსპერტები და მოსახლეობა ღიად საუბრობენ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ასიმეტრიულობაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმდენად მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, რომ ის უდავოდ ჩრდილავს ქვეყნის სუვერენიტეტის შესუსტებასთან დაკავშირებულ შიშს.

უტილიტარული ფაქტორებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური სარგებლის ხედვაც. ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერად და, რუსეთისგან განსხვავებით, სანდო და სტაბილურ სავაჭრო პარტნიორად არის წარმოდგენილი როგორც პოლიტიკოსებისა და ექსპერტების, ისე მოსახლეობის მიერ. თუმცა, იმავდროულად, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ „ფასადური“ ევროპეიზაციის პრობლემაზე, რომელიც მხოლოდ გარეგანი, ფორმალური მახა-

სიათებლებით ზომავს წინსვლის ხარისხს, რაც, სინამდვილეში, ვერ აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მოსახლეობა კი ქართული ექსპორტისთვის ბაზრის დივერსიფიკაციის იმედს გამოთქვამს და სჯერა, რომ, როგორი მომგებიანიც არ უნდა იყოს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობა, რუსეთი, როგორც ალტერნატიული სავაჭრო პარტნიორი, კვლავაც უნდა შენარჩუნდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია ევროპეიზაციის გავლენის შეფასებაც საქართველოში პოლიტიკის კეთების ახალ გამოცდილებაზე. ერთი მხრივ, პოლიტიკოსები და ექსპერტები საუბრობენ იმ პოზიტიურ ცვლილებებზე, რაც ევროპეიზაციის პროცესმა გამოიწვია როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის, ისე ინსტიტუტების შიდა სტრუქტურის გაძლიერების მიმართულებით, და რამაც პოლიტიკოსებს უბიძგა, საქმის კეთების ევროპულ მოდელზე გადავიდნენ. მეორე მხრივ კი, ევროპეიზაციის პროცესი ამ ეტაპზე განიხილება, როგორც ქართველი პოლიტიკოსების მიერ შიდა აუდიტორიისთვის შექმნილი იმიჯის შემადგენელი ელემენტი, რომელიც მნიშვნელოვანია უტილიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე (სოციალურად სასურველი კუთხით თავის წარმოჩენა, ამომრჩევლის გულის მოგება და სხვ.) და პოლიტიკურ აქტორთა ღირებულებით სისტემასთან ნაკლებად აქვს კავშირი. მმართველი გუნდი ოპოზიციურ პარტიებს მიაწერს ამგვარ პერფორმანსს, ოპოზიციური პარტიები – მმართველ გუნდს, ექსპერტები და მოსახლეობა კი – როგორც პირველს, ისე მეორეს.

გარდა უტილიტარული ფაქტორებისა, ძალიან მნიშვნელოვანია იდენტობის ფაქტორიც, რაც ყველაზე მეტ ვნებათაღელვას იწვევს მოსახლეობაში და მისი ამბივალენტური ხედვის უმთავრესი მიზეზია. მოსახლეობაში თანაარსებობს დისკურსები ევროკავშირის, როგორც ქართული იდენტობის დამცველისა და როგორც მისთვის საფრთხის მატარებლის შესახებ. კერძოდ, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ ევროკავშირი ხელს უწყობს ქართული იდენტობის შენარჩუნებას, რადგან თავად ევროკავშირი მულტიეთნი-

კური გაერთიანებაა, რომელიც ხელმძღვანელობს დევიზით „ერთობა მრავალფეროვნებაშია“, ამასთან, მიჩნეულია, რომ ქართულისა და ევროპულის ერთგვარი ბრიკოლაჟი ქართული იდენტობის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების საწინდარია; მეორე მხრივ კი, ევროპეიზაცია ქართული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქმება, რადგან მიჩნეულია, რომ დასავლური ღირებულებები ქართული ტრადიციების გადაგვარებას იწვევს. მოსახლეობის ამბივალენტური ხედვა ნათლად იკვეთება, როცა საუბარია ევროკავშირზე, როგორც საქართველოში ტოლერანტობის გამავრცელებელზე და, იმავდროულად, გარკვეული გაღიზიანებაა გამოხატული იმის გამო, რომ ევროკავშირი ტოლერანტობას ასწავლის იმთავითვე ტოლერანტულ საქართველოს; როცა ევროპული პოსტნაციონალისტური, სამოქალაქო ღირებულებები მისაბაძადაა მიჩნეული, თუმცა, იმავდროულად, პატრიოტიზმის დეფიციტად აღიქმება; როცა საქართველოს ევროპულობა საერთო ქრისტიანულ მსოფლმხედველობას მიეწერება, თუმცა, იმავდროულად, აღნიშნულია, რომ ევროპა „გარყვნილებას“ ავრცელებს და ქრისტიანულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება; როცა ევროპული ღირებულებები ქართულზე უპირატესად მიიჩნევა, თუმცა, იმავდროულად, აღნიშნულია, რომ საქართველო თავად ევროპაზე ადრეც კი იყო ევროპული ღირებულებების მატარებელი. აქვე, ხაზგასმულია, რომ ძალადობრივად მოხდა საქართველოს ამ კონტექსტიდან მოწყვეტა, ამიტომ ის აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს „ევროპულ ოჯახს“, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით იდენტობის ზემოხსენებული სხვა დისკურსებისგან, შეხედულება, რომ საქართველო ევროპაზე უფრო ადრე იყო ევროპული, არა მხოლოდ მოსახლეობისთვის, არამედ პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისთვისაცაა დამახასიათებელი.

უდავოა, რომ ხედვა, თითქოს, საქართველო წინ უსწრებდა ევროპას ევროპულობაში, ამდენად, ევროპა მას ტოლერანტობას ვერ ასწავლის, რომ ევროპელები პატრიოტიზმის დეფიციტს განიცდიან და რომ ევროპის „ცივილიზაციურ უპირატესობებს“ სა-

ქართველოს „სულიერი უპირატესობები“ გადასწონის, მჭიდრო კავშირშია ეროვნული კვლევებით გამოვლენილ ქართველების მაღალ ეროვნულ სიამაყესთან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კვლევაში მონაწილე მოსახლეობა გამოირჩევა აზრთა სხვადასხვაობით იმის თაობაზე, ევროპული ღირებულებებია უპირატესი თუ ქართული, ხოლო პოლიტიკოსები და ექსპერტები იმთავითვე აღიარებენ ევროპული ღირებულებების უპირატესობას და ევროპეიზაციის პროცესს ქვეყნის მოდერნიზაციის მთავარ პირობად მიიჩნევენ.

წარმოდგენილი ამბივალენტური დამოკიდებულებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკის შემქმნელებს შესაბამისი ძალისხმევა მართებთ, პირველ რიგში, ევროკავშირისა და ევროპეიზაციის პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. თუმცა, პოლიტიკოსების ინფორმირებულობის ზრდასაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან კვლევაში მონაწილე ექსპერტები და მოსახლეობა ხაზს უსვამენ ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობასაც. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქტორადაა წარმოჩენილი, რომლის ინფორმირებულობის ამაღლება და სახელმწიფოსთან თანამშრომლობა სავალდებულოდაა მიჩნეული ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვისთვის, საზოგადოებაში მისი დიდი ავტორიტეტის გამო. ამ ცვლილებების განხორციელება კვლევის მონაწილეებს აუცილებლად მიაჩნიათ, რათა რეალისტური გახდეს საქართველოში ევროპეიზაციის ნორმატული და დისკურსული დონიდან ქცევით დონეზე გადატანა და ყოველდღიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა.

პლაგიატის თავიდან არიდება

კვლევის ანგარიშის სტრუქტურის გაცნობის შემდეგ, აუცილებელია შევეხოთ პლაგიატის საკითხსაც, რაც სამეცნიერო ეთიკის შემადგენელი ნაწილია, თუმცა, სამწუხაროდ, აკადემიურ სივრცეში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. პლაგიატი სხვე-

ბის სიტყვების და იდეების, ნებით თუ უნებლიედ, მითვისებაა, წყაროს მითითების ან თუნდაც სათანადოდ მითითების გარეშე.

პლაგიატის ნიმუშია სხვისი ნაწერის საკუთარ ნაშრომად გასაღება, აგრეთვე წინადადებების, პარაგრაფების ან მთელი ამონარიდების გადმოტანა სახელმძღვანელოდან, ვებგვერდიდან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან მათი ციტირების ან ადეკვატური პერიფრაზის გარეშე. ხშირად, სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მეგობრისთვის საკუთარი ნაშრომის ან მისი ცალკეული ამონარიდის გადაწერის უფლების მიცემა, მეგობრის დახმარებაა და პრობლემას არ წარმოადგენს; თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შედეგად სწორედ პლაგიატს ვიღებთ და მასზე პასუხისმგებლობა ორივე სტუდენტს ეკისრება. კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა, როცა პლაგიატს პროფესიონალი მკვლევარი თუ მეცნიერი ახორციელებს, რომელმაც თავად უნდა ასწავლოს სტუდენტებს პლაგიატის თავიდან არიდება. აქვე, თვითპლაგიატის პრობლემასაც უნდა შევეხოთ, რადგან ავტორს, შესაძლოა, საკუთარი მოსაზრებების მოყვანა პლაგიატად არ მიაჩნდეს. თუმცა, თუ მონაცემები ან არგუმენტები ჩვენი წინა ნაშრომებიდან მოგვყავს და ამ ნაშრომებს არ ვუთითებთ, სწორედ თვითპლაგიატთან გვაქვს საქმე.

როგორ უნდა ავირიდოთ პლაგიატი? პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ყველა გამოყენებული წყაროს მითითება როგორც ბიბლიოგრაფიაში, ისე თავად ტექსტში, მათი გამოყენებისთანავე. ამ გზით, მკითხველს შეუძლია ავტორის იდეების გამიჯვნა მის მიერ გამოყენებულ წყაროებში გაჟღერებული იდეებისგან. როცა პირდაპირ გადმოაქვს ვინმეს აზრი, ავტორმა ის ბრჭყალებში უნდა ჩასვას და წყაროს ზუსტი მითითება უნდა მოახდინოს, შესაბამისი გვერდ(ებ)ის ჩათვლით. თუკი პირდაპირ არ გადმოაქვს სხვისი სიტყვები, არამედ მათ შეჯამებას ახდენს, ადეკვატურ პერიფრაზს უნდა ჰქონდეს ადგილი. საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებს, რომლებიც გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიების პლაგიატის დონეს ამოწმებენ, აქვთ მოთხ-

ოვნა, რომ, თუ ავტორი ოთხ სიტყვაზე მეტს იმავე თანმიმდევრობით იყენებს, როგორც ეს წყაროშია, მაშინ ბრჭყალები უნდა გამოიყენოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ნაშრომი პლაგიატის შემთხვევად ჩაითვლება. მნიშვნელოვანია ციტატის მოცულობის გათვალისწინებაც. როგორც წესი, 40 სიტყვამდე მოცულობის მქონე ციტატის მითითება ტექსტშივე ხდება, ის ბრჭყალებშია ჩასმული და თან ახლავს ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი და შესაბამისი გვერდ(ებ)ი. რაც შეეხება 40 სიტყვაზე გრძელ ციტატას, ის ძირითადი ტექსტიდან გამოყოფილია, განსხვავებული ფორმატით ან უფრო მცირე ზომის ტექსტით არის წარმოდგენილი და ბრჭყალებში არ ისმევა, თუმცა წყაროს ზუსტი მითითება სავალდებულოა.

უდავოა, რომ პლაგიატის არიდება ნაშრომის სანდოობას ზრდის. თუ ავტორი სათანადოდ უთითებს მკვლევრებს, ვის ნაშრომებსაც იყენებს, ეს როგორც ავტორის პატიოსნებაზე, ისე მის მიერ შესაბამისი წყაროების ცოდნაზე მეტყველებს. ცხადია, ყველა მკვლევარი უნდა იცნობდეს მისი წინამორბედების მსგავს კვლევებს. საკუთარი ნაშრომის სოლიდურ სამეცნიერო საფუძვლებზე აგება და არსებული კვლევების ფარგლებში კონტექსტუალიზაცია მოცემულ ნაშრომს სანდოობას სძენს და გარკვეული არგუმენტების დასაბუთების საჭიროებისგანაც ათავისუფლებს, რადგან ეს არგუმენტები უკვე დასაბუთებულია (Berg, Lune, 2012, 390).

და, ბოლოს, ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში წყაროების ადეკვატურად მითითების მიზნით, ნიმუშის სახით გთავაზობთ ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) ციტირების სტილს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მარტივად გამოსაყენებელი და ამიტომ საკმაოდ პოპულარულია, და რომელსაც მოცემული სახელმძღვანელოც ეფუძნება. რადგან ციტირების ყველა სტილი დროთა განმავლობაში განახლებას განიცდის, გთავაზობთ ბმულს, რომლის განახლებაც შესაბამის ცვლილებებთან ერთად ხდება. იმ დროისთვის, როცა ეს სახელმძღვანელო გამოქვეყნ-

დება, შესაძლოა ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის ციტირების სტილი კიდევ ერთხელ განახლდეს; ამიტომ ნიმუშის სახით სწორედ წარმოდგენილ ბმულს უნდა დაეყრდნოთ: https://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/

გამოყენებული ლიტერატურა

Berg, B., & Lune, H. (2012). *Qualitative Research Methods for the Social Sciences* (8th ed.). Boston: Pearson.

Emerson, R. M., Fretz, R. I. & Shaw, L. L. (1995). *Writing Ethnographic Fieldnotes.* Chicago: The University of Chicago Press.

Fritz, K. (2008). *Writing Qualitative Research Papers.* Bloomberg: Johns Hopkins University.

Holliday, A. (2007). *Doing and Writing Qualitative Research* (2nd ed.). Los Angeles: Sage.

Richardson, L., & St. Pierre, E. A. (2005). Writing: A Method of Inquiry. In N. K. Denzin, & Y. S. Lincoln (Eds.), *The Sage Handbook of Qualitative Research* (3rd ed., pp. 959-978). Thousand Oaks: Sage Publications.

Roberts, B. (2007). Writing Research. In B. Roberts (Ed.), *Getting the Most Out of the Research Experience* (pp. 78-103). London: Sage Publications.

Rubin, H. J., & Rubin, I. S. (2005). *Qualitative Interviewing: The Art of Hearing Data* (2nd ed.). London: Sage.

Weiss, R. S. (1994). *Learning from Strangers: The Art and Method of Qualitative Interview Studies.* New York: The Free Press.

წულაძე, ლ., ესებუა, ფ., კახიძე, ი., კვინტრაძე, ა., ოსეფაშვილი, ი., ამაშუკელი, მ. (2016). *ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში.* თბილისი: „ნეკერი“.

გამომცემლობის რედაქტორი	**რუსუდან მიქენაია**
გარეკანის დიზაინი	**მარიამ ებრალიძე**
დაკაბადონება	**ლალი კურდღელაშვილი**
გამოცემის მენეჯერი	**მარიკა ერქომაიშვილი**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge